

ISSN-0132-6058

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

მარტნი



675 -ი/2

2013

ისტორიის,
არქეოლოგიის,
ეთნოლოგიისა და
ხელოვნების
ისტორიის
სერია

2

2013



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოლოგიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

92

Series
of History,
Archeology,
Ethnology
and
Art History



თბილისი
Tbilisi

2. 2013

სარედაქციო კოლეგია:

ზურაბ აბაშიძე, ზაზა ალექსიძე, მარიამ დიდებულაძე, სერგო ვარდოსანიძე, ალექსანდრე თვარაძე, ბუბა კუდავა, გიორგი ლორთქიფანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), გურამ ლორთქიფანიძე, დავით ლორთქიფანიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ლია მელიქიშვილი, როინ მეტრეველი (რედაქტორი), დავით მუსხელიშვილი, ოთარ ჟორდანია, კიაზო ფიცხელაური, კახა შენგელია, ოთარ ჯაფარიძე.

Editorial Board:

Zurab Abashidze, Zaza Aleksidze, Mariam Didebulidze, Sergo Vardosanidze, Buba Kudava, David Lordkipanidze, Georgi Lordkipanidze (Editorial Manager), Guram Lordkipanidze, Mariam Lordkipanidze, Lia Melikishvili, Roin Metreveli (Editor), David Muskhelishvili, Otar Zhordania, Kiazoo Pitskhelauri, Kakha Shengelia, Alexander Tvaradze, Otar Japaridze.

ტექსტის

რედაქტორ-კორექტორი: ირმა რუხაძე

Text corrector-editor: Irma Rukhadze

კომპიუტერული

უზრუნველყოფა: პაატა ქორქია

Computer design: Paata Korkia

შინაარსი

საქართველოს ისტორია

ზურაბ შაველაძე. აფხაზეთის კონფლიქტი 20 წლის გადასახედიდან	5
ნინო ჯაველიძე. ახალი უცხოეთოვანი წყარო საქართველოს სამეფო დროშის შესახებ..	24
მარია მშვილდაძე. დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქების მოსახლეობის რელიგიური კუთვნილების საკითხისათვის ახ. წ. I-IV სს.	30
ვახტანგ გოილაძე. სად მდებარეობდა ანდრია პირველწოდებულის მიერ დამოძღვრული „ქუეყანა სულდია“, ვინ იყვნენ სოფდიანები და გორსინები?	38
ბესიკ გაფრინდაშვილი. რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა	56
თეიმურაზ პეტრიაშვილი. ყვარლის ბრძოლა	72
ლია ქიტიაშვილი. ახალციხის საფაშოს როლი XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში ...	81

მსოფლიო ისტორია

რევაზ გაჩეჩილაძე. „გეოგრაფიული შეცდომები“ დიპლომატურ პრაქტიკაში (პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ახლო აღმოსავლეთის მაგალითზე)	91
--	----

არქეოლოგია

გიორგი ლალიაშვილი. იალოილუთეფეს კულტურის გენეზისის პრობლემა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე	106
---	-----

ეთნოლოგია

ნათია ჯალაბაძე. ტრადიციული სამართლის შემონახულობის საკითხისათვის ქვემო ქართლში	128
---	-----

ხალხური ისტორია

ბიჭიკო დიასამიძე. ქრისტიანული საკულტო ძეგლები სხალთა-ხიხანის ხეობაში	138
თეო ჯალაღანია. ექსტერიერის გადარწმუნების საკითხები შუა საუკუნეების ქართულ და ბიზანტიურ არქიტექტურაში	146
რეზო ემელიანი ადამია. ნიკო ფიროსმანაშვილი	158
ქეთევან შენგელია. რამდენიმე შტრიხი პიკასოს პორტრეტისთვის	168

ისტორიოგრაფია

ფარნაოზ ლომაშვილი. მესიანიზმი რუსულ ისტორიოგრაფიაში	174
საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიიდან ჯუანშერ ვათიშვილი. პეტრე დიდის წარმომავლობის საკითხისათვის	186

საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობათა ისტორიიდან

ემილ კობაღიანი. საქართველო-ინგუშეთის ურთიერთობის ისტორიიდან	201
---	-----

ილია ჭავჭავაძე - ღიღი კუზანისტი

ომარ გოგიაშვილი. ილია სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ	220
---	-----

ჩვენი იუვილარი

გიორგი ჭეიშვილი. ქვეყნისა და ერის მსახურებაში	233
---	-----

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გონელი არახაძე. თვალსაჩინო წვლილი „ქართლის ცხოვრების“ შესწავლაში	240
--	-----

პრობლემა და ინფორმაცია

ალექსანდრე დაუშვილი. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პრობლემატიკის სამეცნიერო ცენტრი	243
ახალი წიგნები	246

ისტორიკოსის ბახსანაძე

ნათელა ვაჩნაძე, ბაკურ ბაქრაძე, გიორგი (გოგი) დემეტრაძე	247
--	-----

TABLE OF CONTENTS

GEORGIAN HISTORY

Z. Papaskiri. Conflict in Abkhazia 20 Years Later a Retrospective Review	22
N. Javelidze. German Geographer Philippi Cluverii's New Information about Georgian National Flag in the Middle Centuries Georgia	29
M. Mshvildadze. To the Question about the Religious Belongings of the Population of Cities on the Eastern Black Sea Littoral (According to the Glyptic Materials).....	36
V. Goiladze. Where the Country of "Svildia" was Located and who were Sogdianas and Gorsins?.....	54
B. Gaprindashvili. Socio-Economic Situation of Racha-Imereti Episcopacies.....	70
T. Petriashvili. From the History of the Liberation Struggle of the Georgian People (Xviii C.). Kvareli Bettle.....	79
L. Kitiasvili. The Role of Akhaltsikhe Pashadom in Georgia in XVIII-XIX Centuries ...	90

WORLD HISTORY

R. Gachechiladze. "Geographical Errors" in Diplomatic Practice: (The Case of the First World War-Time Middle East)	105
--	-----

ARCHAEOLOGY

G. Lagiashvili. Problem of Genesis of Yaloulutepe Culture on the Territory of the Eastern Georgia.....	127
--	-----

ETHNOLOGY

N. Jalabadze. On the Problem of Preservation of Traditional Law in Kvemo Kartli (The Custom of Blood Feud).....	136
---	-----

ART HISTORY

B. Diasamidze. Christian Religious Monuments in Skhalta-Khikhani Gorge.....	145
T. Jalagania. Solving Exterior Issues in Medieval Georgian and Byzantine Architecture.....	156
R. Adamia. Niko Pirozmanashvili.....	167
K. Shengelia. Few Traits to Picasso's Portrait	173

HISTORIOGRAPHY

P. Lomashvili. Messianism in Russian Historiography	184
---	-----

FROM THE HISTORY OF THE GEORGIAN-RUSSIAN RELATIONSHIP

J. Vateishvili. For the question of ancestry of Peter the Great	186
---	-----

FROM THE HISTORY OF THE GEORGIAN-NORTH CAUCASUS RELATIONSHIP

E. Kopaliani. From the History of the Georgian-English Relationship.....	218
--	-----

ILIA CHAVCHAVADZE – THE GREAT HUMANIST

O. Gogjashvili. Ilia Chavchavadze and Capital Punishment	231
--	-----

THE JUBILAR

G. Tcheishvili. In the Service of Homeland and Nation	239
---	-----

CRITICISM AND BYBLIOGRAPHY

G. Arakhamia. A Significant Contribution in the Study of "Kartlis Tskhovreba"	242
---	-----

CURRENT EVENTS AND SCIENTIFIC INFORMATIONS

A. Daushvili. The History, Ethnology, Religion Studys and Propagands scientific centre	243
New books	246

FOR THE MEMORY OF THE HISTORIAN

N. Vachnadze, B. Bakradze. Georg Demetradze.....	247
--	-----

ზურაბ აბაასიძე

აფხაზეთის კონფლიქტი 20 წლის გადასახედისად

20 წელი გავიდა 1993 წლის 27 სექტემბრის ტრაგედიიდან. 20 წელია, რაც ქართულმა სახელმწიფომ დაკარგა კონტროლი მის ძირძველ კუთხეზე, რომელიც ისტორიულად ყოველთვის იყო საერთოქართული ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანული ნაწილი. ამ 20 წლის მანძილზე ბევრი რამ გადახდა საქართველოს, იყო ჩავარდნები, წინსვლაც. ქართული სახელმწიფო, მიუხედავად ცალკეული წარუმატებლობისა, განსაკუთრებით კი 2008 წლის ყოველგვარი ზღვარგადასული რუსული აგრესიისა და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ე.წ. „დამოუკიდებლობის“ „დაკანონების“ უბადრუკი მცდელობისა, მაინც შედგა და საერთაშორისო არენაზე საკმაოდ მნიშვნელოვან მოთამაშედაც რჩება – არა მხოლოდ კავკასიის მასშტაბით.

ყველაზე მოუშუმებელი იარა, რასაკვირველია, აფხაზეთია. 20 წლის მანძილზე ქართული სახელმწიფოს ყველა მცდელობა, საერთო ენა ეპოვა ჩვენს აფხაზ თანამემამულეებთან, სამწუხაროდ, რჩება „ხმად მლალადებისა უდაბნოსა შინა“. ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის ჯერ კიდევ გადაულახავია იდეოლოგიური დაპირისპირება. მაშინ, როდესაც ქართული საზოგადოება 1992-1993 წლების კონფლიქტს სავსებით სამართლიანად მიიჩნევს ტრაგედიად, ძმათაშვილს ომად, რომლიდან გამოსავალი აფხაზებმა და ქართველებმა ერთად უნდა იპოვონ, აფხაზური საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა ამ ტრაგედიას ერთნიშნად აფასებს, როგორც საქართველოსა და ქართველი ხალხის მიერ ჩადენილ დანაშაულს აფხაზი ხალხის წინაშე.

და მაინც რა მოხდა აფხაზეთში? რა შეიცვალა ბოლო 20 წლის განმავლობაში? რა გეოპოლიტიკური რეალიები მივიღეთ კონფლიქტის სამხედრო ეტაპის დასრულებიდან დღემდე? როგორია 90-იანი წლების დამდეგის მოვლენების და პოსტკონფლიქტური პერიოდის ხედვა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან? როგორია აფხაზური და ქართული საზოგადოებების დღევანდელი აღქმა 1992-1993 წლების ტრაგედიისა? რასაკვირველია, ერთ სტატიამში ძნელია ყველა ამ პრობლემაზე ამომწურავი პასუხის გაცემა, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით, ზოგადად წარმოვაჩინოთ ძირითადი ტენდენციები.

პირველი: რა მოხდა აფხაზეთში 20 წლის წინ და როგორ აფასებენ 27 სექტემბერს ენგურს გაღმა და გამოღმა. როგორც ცნობილია, სეპარატისტული რეჟიმის შესვეურები და იდეოლოგიები ყოველწინაირად ცდილობენ, დაარ-





ნმუნონ აფხაზური საზოგადოება იმაში, თითქოს 1993 წლის 27-30 სექტემბერს აფხაზმა ხალხმა მოიპოვა ისტორიული გამარჯვება ე.წ. „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“. ეს თეზისი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. განა სრული უაზრობა არაა, გამოაცხადო თავი გამარჯვებულად ყბადაღებულ „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“ («Отечественная война народа Абхазии»), რომლის „ძღვევამოსილი დასრულების“ შედეგადაც ამ „აფხაზეთის ხალხის“ თითქმის 2/3 აიყარა მშობლიური კუთხიდან და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. ამ ლოგიკით გამოდის, რომ ეს 2/3 არ იყო „აფხაზეთის ხალხის“ ნაწილი, რაც სრული აბსურდია და ვერავითარ სამართლებრივ ნორმებში ვერ ჯდება. და განა ამის შემდეგ კიდევ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ ვინ არის მთავარი დამნაშავე აფხაზეთის ტრაგედიაში? განა ეს რასისტული მიდგომა არ ახდენს სრულ ლუსტრაციას იმისა, თუ ვინ როგორ უყურებდა და უყურებს აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს? საბედნიეროდ, დღეს არა მარტო ცივილიზებულმა მსოფლიომ, არამედ თვით იმპერიული სულსიკვეთებით გაჟღენთილმა რუსმა ექსპერტ-პოლიტიკოსებმა დაინახეს სეპარატისტთა ნაციონალისტურ-შოვინისტური (რასისტულიც კი) სახე და ღიად დაიწყეს მათი მხილება.

ამ მიმართულებით უკვე ძალიან ბევრი რამ იბეჭდება რუსულ პრესაში. მათგან გამოვარჩევ ცნობილი რუსი ექსპერტ-ანალიტიკოსის, კავკასიურ თემატიკაში საკმაოდ გათვითცნობიერებული პუბლიცისტის ანდრეი ეპიფანცევის შეფასებებს. ეს ის ა. ეპიფანცევია, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინ თავი გამოიჩინა ბინძური ანტიქართული პუბლიკაციებით [35; 37; 39], ხოლო ბოლო დროს უკვე აფხაზებსაც გადაწვდა და შესაშური მონდომებით მათი ნაციონალისტურ-შოვინისტური ბუნების მხილებას შეუდგა, რის გამოც ის დღეს აფხაზეთში, არც მეტი, არც ნაკლები, Persona non grata-დაა გამოცხადებული. მარტო მისი პუბლიკაციების სათაურები რად ღირს – «Абхазия: необъяснимая щедрость бытия»; «Опять Абхазия. Как власть делают моноэтничной»; «В Абхазии уже построена классическая этнократия» და ა.შ. [32; 33; 36; 40; 41]¹ ამ რუსული იმპერიული პოლიტიკის რუპორის განცხადებით «...Нынешняя Абхазия «это средневековый бандитско-этнический проект, который не может существовать долго в условиях современного общества...» «это этническо-бандитский заповедник», существование которого прикрывать «камланиями о независимости и о каком-то «особом проекте» невозможно...» «Это тупик» [40; ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.].

არანაკლებ მწვავე შეფასებებს შეიცავენ სხვა ცნობილი ჟურნალისტების პუბლიკაციები, რომლებშიც, ამასთან, უკვე ღიადაა საუბარი კრემლის კავკასიური პოლიტიკის კრახზეც [25; 25; 42; 64; 79; 83; 85; 104; 114;]². აი ერთ-ერთ-

1. ამ უკანასკნელი პასკილის შესახებ იხ. [93: 25-60].

2. ა. ეპიფანცევის ამ „ანტიაფხაზურ“ დემარშებს, როგორც მოსალოდნელი იყო, უმწვავესი რეაქცია მოჰყვა აფხაზეთში და იქ ის, ფაქტობრივად, აფხაზი ხალხის მტრად გამოაცხადეს [12; 76; 88; 129; 134].

3. აფხაზეთში გამოხმაურების შესახებ იხ. [4].

თი მათგანის ანდრეი ებიშევის დასკვნა: «А что имеем мы? Только лишь военные базы. А для чего они нам, против грузин? Так с Грузией мы воевали из-за абхазов и осетин. Может быть мы ошиблись? Дешевле было бы дружить с Грузией и иметь в союзники весь Кавказ» [44; ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.]. უფრო შორს მიდის სხვა (ამჯერად უკვე ბელორუსი) ანალიტიკოსი, რომელიც პირდაპირ აცხადებს, რომ «Сама (იგულისხმება 2008 წლის აგვისტოს ავანტიურა – ზ.პ.) та война... была ошибкой. России нужна союзная Грузия, а не Абхазия или Южная Осетия...» [25; ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.].

სწორედ აქ მივადექით კიდევ ერთ პრობლემას აფხაზეთისადმი, ზოგადად საქართველოსადმი ოფიციალური მოსკოვის დამოკიდებულების საკითხს. დიახ, ნამდვილად «Дешевле было бы дружить с Грузией и иметь в союзники весь Кавказ» ანუ უკვე რუსი ანალიტიკოსებიც მიხვდნენ ვ. პუტინის სტრატეგიულ შეცდომას. სწორედ საქართველოა მთლიანად „კავკასიის გასაღები“ (ასე იყო ისტორიულად) და არა სომხეთი, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთსა და კომიკურ „სამხრეთ ოსეთზე“. სამწუხაროდ, რუსეთის სახელისუფლებო ელიტა, ჯერჯერობით, ვერაფრით ვერ ითავისებს ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას და საკუთარი გაუთვლელი და უგუნური პოლიტიკური კურსის მძევლად რჩება. ოფიციალური მოსკოვის გაუთავებელი მონოდებები მსოფლიომ აღიაროს კავკასიაში 2008 წლის აგვისტოს შემდეგ შექმნილი ე.წ. „ახალი რეალობა“ პრაქტიკულად მთლიანად ბოიკოტირებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან და ამ საკითხში რუსეთი სრულ დიპლომატიურ იზოლაციაშია მოქცეული.

რუსული დიპლომატიის სრული კრაზი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოავლინა კრემლის მიერ ინიცირებულმა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ყბადაღებული „დამოუკიდებლობის აღიარების“ პროექტის ჩავარდნამ. როგორც ცნობილია, ამ „პროექტს“ მხოლოდ თითო-ოროლა (ფულით მოსყიდულმა)⁴ კვაზიდიქტატორულმა რეჟიმებმა (ვენესუელა, ნიკარაგუა) და ოკეანეთის ჯუჯასახელმწიფოებმა (ნაურუ, ტუვალუ, ვანუატუ) აღმოუჩინა „დიპლომატიური თანადგომა“. თუ რა ტრაგიკომიკურ სახეს იღებს ს. ლავროვის უწყების დიპლომატიური მანიპულაციები აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარების „ფრონტზე“ და როგორ სწევს ყოველივე ეს დაბლა რუსეთის ავტორიტეტს საერთაშორისო არენაზე, ნათლად გამოავლინა ვანუატუს მაგალითმა, რომელმაც მოკლე დროში რამდენიმეჯერ შეიცვალა პოზიცია. ეს არის აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ სრული დისკრედიტაცია მსოფლიო თანამეგობრობის თვალში. სხვათა შორის, სწორედ ამგვარი დისკრედიტაციის საფრთხე ჰქონდა მხედველობაში „სუვერენული“ აფხაზეთის ან გარდაცვლილ „პრეზიდენტს“ ს. ბაგაფშს, როდესაც აცხადებდა, რომ მას არ სურს, რომ

4. რუსეთ-ვენესუელის საქმიანი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტის ვ. სემაგოს ავტორიტეტული დასკვნით, „продажа Каракасу оружия в кредит является платой за признание Венесуэлой Абхазии и Южной Осетии...“ [24; ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.]. აღსანიშნავია, რომ თვით ანტიქართულად განწყობილი რუსი ანალიტიკოსებიც კი აღიარებენ, რომ „სუვერენული“ აფხაზეთის საერთაშორისო აღიარება „... происходит либо за российские деньги, либо за российские скидки, либо за российские контракты...“ [32; ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.].

აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ «...признавала, скажем, Папуа-Новая Гвинея, Зимбабве, еще какие-то страны экзотические...» [52]⁵.

და ეს იმ ფონზე, როდესაც არათუ წამყვანმა სახელმწიფოებმა, არამედ თვით დსთ-ში შემავალმა რუსეთის ისეთმა სატელიტმა ქვეყნებაც კი, როგორცაა ბელორუსი და სომხეთი, შორს დაიჭირეს თავი 2008 წლის აგვისტოს შემდეგ შექმნილი ე.წ. „ახალი რეალობის“ აღიარებისაგან. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალშისაცემია მეზობელი სომხეთის მაგალითი, რომლის ლიდერმა მეტად გამომწვევი ანტიმოსკოვური ნაბიჯი გადადგა. მან 2009 წ. იენისში განსაკუთრებული პატივით მიიღო ერევანში ვიზიტად ჩასული საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც კრემლი ღიად დებდა ბრალს ე.წ. „კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულში“ [107] და, არც მეტი, არც ნაკლები, დააჯილდოვა ის სომხეთის სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი – ღირსების ორდენით⁶, ხოლო ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს პრეზიდენტს საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა [86]. აი, სწორედ ეს არის საქართველოს მიმართ გატარებული რუსული იმპერიული პოლიტიკის სრული დისკრედიტაცია და კრაზი.

მიუხედავად ამისა, დღევანდელი კრემლის რეჟიმი, ჯერ კიდევ შორსაა მოვლენების ადექვატური შეფასებისაგან და არაფრით არ ეხსენება თავის იმპერიულ სწრაფვას, რადაც არ უნდა დაუჯდეს კვლავ დაეუფლოს საქართველო-კავკასიას. დღეს უკვე ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვმა ამ მიზნის მისაღწევად სრულიად მცდარი გზა აირჩია. მან ვერ გათვალა საქართველოს როლი და ადგილი რეგიონის გეოპოლიტიკურ განლაგებაში, გეზი აიღო საქართველოს როგორც სახელმწიფოს მოსპობაზე და თბილისზე კონტროლის დამყარებით დანარჩენი სამხრეთ კავკასიის შემომტკიცებაზე. სეპარატისტული ამბოხებები აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ ამ გეგმის განხორციელების საშუალებები იყო. მართალია, რუსეთის ხელისუფლებამ მოცემული გეგმის პირველი ნაწილი თითქოს „წარმატებით“ შეასრულა – „გაიმარჯვა“ მის მიერვე პროვოცირებულ ომში და ურჩ საქართველოს დროებით მონყვიტა ისტორიული კუთხეები – მაგრამ ვერ მიაღწია მთავარს, ვერ დააჩოქა საქართველო, ხოლო სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ აღიარებით სრულ დიპლომატიურ ჩიხ-

5. აღსანიშნავია, რომ ზ. ბაგაფშამ ამ განცხადების გამო აფხაზეთი პოლიტიკური ისტებლიშმენტის ოპოზიციური ნაწილის კრიტიკის რისხვა დაატყდა თავს და მისი იმპიშმენტის საკითხიც კი დაისვა [112]. ამასთან, ბაგაფშის ოპონენტებმა „პრეზიდენტის“ განცხადებაში სავსებით სამართლიანად დაინახეს რუსეთის უპატივეცემლობა და მიუთითეს, რომ „...подобные высказывания наносят ущерб ... авторитету Москвы, взявшей на себя роль покровителя Абхазии...“ [112; ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.]

6. მოსკოვისათვის განსაკუთრებით გამაღიზიანებელი აღმოჩნდა „ორდენის დებულების“ ის ნაწილი, რომლის თანახმადაც აღნიშნული ჯილდო ენიჭებოდა: „за значительный вклад в дело укрепления мира между народами“ [11]. აღსანიშნავია, რომ სერჟ სარგსიანის ეს დემარში რუსულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში შეფასდა, როგორც არამეგობრული, რუსეთისადმი „შეურაცხყოფილი“ ნაბიჯი, რომელიც „может создать непристую атмосферу в российско-армянских отношениях“ [29; ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.]

შიც მოექცა. ამიტომაც მიჩნეული 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთის გამარჯვება „პიროსის გამარჯვებად“⁷.

ამჟამად რუსეთი, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაშია. მას სამხრეთ კავკასიაში ჰყავს ერთადერთი მოკავშირე – სომხეთი, იქ განთავსებული რუსული სამხედრო ბაზით, რომლის შენახვა მოსკოვს ძალზე ძვირი უჯდება. აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სატელიტი „დამოუკიდებელი სახელმწიფოები“ რეგიონში ზოგადი გეოპოლიტიკური ბალანსის თვალსაზრისით რუსეთს არა თუ არაფერს აძლევს, არამედ საერთოდ წამგებიანია, რადგან გარკვეულ პრობლემებს უქმნის თვით ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც, ფაქტობრივად, სახეზეა რუსული სახელმწიფოებრიობის კოლაფსის ნიშნები⁸. უფრო მეტიც, ბოლო პერიოდში მოსკოვს სერიოზული პრობლემები შეექმნა თვით აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთშიც“.

ბუნებრივია, ასეთი სიტუაცია დიდ ხანს ვერ გასტანს. მართალია, კრემლში ჯერ კიდევ ეიფორიაში არიან და სჯერათ, რომ დღეს თუ ხვალ მაინც მოახერხებენ საქართველოზე სრული კონტროლის აღდგენას, მაგრამ, რაც დრო გადის, ეს იმედები სულ უფრო ილუზორული ხდება. ამკარაა, რომ ერთადერთი საშუალება, რომლითაც რუსეთი შეძლებს თავისი გავლენის აღდგენას საქართველო-კავკასიაში ეს ღია სამხედრო აგრესია და ქვეყნის ანექსიაა. სხვა მექანიზმები საქართველოს რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნებისა, მით უფრო სოხუმსა და ცხინვალში რუსეთის საელჩოების არსებობის ფონზე, უბრალოდ წარმოუდგენელია. რაც არ უნდა შეცვალოს რიტორიკა საქართველოს დღევანდელმა (თუ ნებისმიერმა მომავალმა) მთავრობამ და რაც არ უნდა დამთმობი გახდეს ის მოსკოვის მიმართ, პრაქტიკულად გამორიცხებულია ოფიციალური თბილისი ოდესმე წავიდეს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის მოშლის იურიდიულ გაფორმებაზე.

ასეთ ვითარებაში, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ რუსეთში ერთ დროს მართლაც გონს მოეგონ და გადასინჯონ თვით რუსეთის ეროვნული ინტერესებისათვის აბსოლუტურად საზიანო კურსი. ანუ სავსებით შესაძლებელია, რუსეთის ხელისუფლებამ შეწყვიტოს სეპარატისტული რეგიონებით მანიპულირება, განიროს ისინი და ერთიან ქართულ სახელმწიფოსთან თანასწორუფლებიანი სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარების გზით მეტნაკლებად აღიდგინოს თავისი გავლენა კავკასიაში. ეს იქნებოდა სწორი გეოპოლიტიკური გათვლა, რომელიც რუსეთს გაცილებით მეტ პოლიტიკურ

7. ეს ფორმულა ამ მოვლენასთან დაკავშირებით პირველად გამოიყენა აშშ-ის იმჟამინდელმა თავდაცვის მდივანმა რობერტ გეიტსმა [138; 3:215].

8. ამ მხრივ მეტად საშიში ვითარებაა დაღესტანში, რომელიც ჩერნეთის მოჩვენებითი „მორჯულების“ შემდეგ ყველაზე ცხელი წერტილია „რუსულ“ კავკასიაში. კრიტიკულ ნიშნულს უახლოვდება (მოახლოებული სოჭის ოლიმპიადის ფონზე) ვენბათა ლელვა ადიღე-ჩერქეზეთშიც, სადაც მოსკოვს სულ უფრო უჭირს აუხსნას ფედერაციის 3 სუბიექტში გადანაწილებულ ერთი (ადიღე-ჩერქეზელი) მოდგმის ხალხს, თუ რატომ შეიძლება „დამოუკიდებელია“ ჰქონდეთ აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსებს“, ხოლო ჩერქეზებს არ ჰქონდეთ ერთიანი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი თუნდაც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

(და არა მხოლოდ პოლიტიკურს) დივიდენდებს მოუტანს, როგორც ქვეყნის შიგნით (პირველ რიგში, ჩრდილოეთ კავკასიაში), ისე საერთაშორისო არენაზე. სხვათა შორის, ამის პირველი ნიშნები გამოჩნდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) განევრიანებასთან დაკავშირებით მიმდინარე დიპლომატიური ბატალიებისას. იმისათვის, რომ მოსკოვს თანხმობა მიეღო ქართული მხარისაგან და ამით დაეძლია უკანასკნელი ბარიერი მსო-ში განევრიანების გზაზე, რუსეთის ხელისუფლებას მოუწია მის მიერვე „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად „ალიარებული“ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „სუვერენიტეტის“ შემლახველი პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება. კერძოდ, კრემლმა 2008 წ. 26 აგვისტოს (სწორედ ამ დღეს მოხდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად ცნობა) შემდეგ ოფიციალურ დოკუმენტში პირველად დააფიქსირა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო სასაზღვრო პუნქტებად ფსოუ და როკი, ხოლო აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. „სუვერენული სახელმწიფოების“ ტერიტორია „სავაჭრო კორიდორებად“ გამოაცხადა, რამაც აფხაზური საზოგადოების პატრიოტულად განწყობილი ნაწილის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია.

ასე მაგალითად, მთავარი ოპოზიციური ძალის – რესპუბლიკური პარტიის „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“ ოფიციალურ განცხადებაში ღიადდა დაფიქსირებული, რომ რუსულ-ქართული შეთანხმება რუსეთის მსო-ში განევრიანების თაობაზე «представляет собой серьезную угрозу национальной безопасности Абхазского государства, его реализация способна привести к эскалации напряженности в зоне конфликта, в регионе в целом. Попытка подрыва, от кого бы она ни исходила, независимого статуса Абхазии, ее суверенитета, может быть расценена как серьезное преступление против всего многонационального народа Абхазии. Данное соглашение способно нанести серьезный ущерб развивающимся абхазо-российским отношениям» [48, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.]. აფხაზი ექსპერტები ღიად აცხადებენ, რომ «Двустороннее Соглашение России и Грузии – прецедент, когда фактически впервые после 2008 г. Россией подтверждается право Грузии на мониторинг и контроль нашей границы, а, следовательно, и юрисдикцию над всей абхазской территорией... Грузия продемонстрировала, что торг с Россией в отношении юрисдикции над границами, а, следовательно, и над территорией Абхазии возможен. Впервые после признания Россия фактически дезавуирует юрисдикцию Абхазии над своей границей, а, следовательно, и ее суверенитет...» (ლ. ტანია) [20; ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.]; «В результате подготовки российско-грузинского соглашения мы оказались предметом серьезного компромисса. Этот шаг России показал, что компромиссы вообще возможны» (ირინა აგრბა) [6; ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.]. აფხაზური ოპოზიციის ალიარებული ლიდერი რაულ ხაჯიძმა განაწყენებული იმით, რომ «В соглашении Абхазию называют «торговым коридором», игнорируя название нашего государства» [6; ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.]. კიდევ უფრო შორს მიდის ცნობილი აფხაზი საველე მეთაური, „აფხაზეთის გმირი“, ამჟამად სეპარატი-

სტული პარლამენტის – „აფხაზეთის სახალხო კრების“ წევრი ასლან კობახია, რომლის კომენტარში ღია მუქარის ტონიცი კი შეინიშნება: **«Наша страна названа «торговым коридором», который проходит по железной и автомобильной дороге. Не встанет ли вопрос защиты «торгового коридора», если Абхазия не допустит на своей территории его существования? Какая речь может быть о торговле между Россией и Грузией через территорию Абхазии? Может, нам стоит заявить о том, что никакого коридора мы не допустим?»** [6; ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.]. ცნობილი აფხაზი ჟურნალისტი ი. ხაშიგი, აჯამებს რა აფხაზური საზოგადოების რეაქციას რუსეთის მსო-ში განვეერიანების საკითხთან დაკავშირებით რუსულ-ქართული შეთანხმების გამო, აღნიშნავს: **«Власть втихую матерится, а общественность до предела возмущена. Как же так, даже не предупредив, хотя бы приличия ради, Россия взяла и согласилась в своих договоренностях с Грузией по поводу принятия ее в ВТО обезличить ее же признанную Абхазию до обидного термина «торговый коридор №1»** [119, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.]⁹.

არანაკლებ მწვავე იყო თვით რუსი ექსპერტების შეფასებებიც, რომლებმაც ღიად დაგმეს ოფიციალური მოსკოვის პოზიცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის პირობების მიღებასთან დაკავშირებით, რომლებმაც ფაქტობრივად დაგმეს რუსეთის ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელი სტატუსის ეჭვს ქვეშ დაყენება [34; 38; 42; 43; 82; 114].

ყოველივე ამის ფონზე სრულიად ცხადი ხდება, რომ ე.წ. კრემლის მიერ შემუშავებულმა „აფხაზურმა პროექტმა“ მთლად არ გაამართლა და აფხაზობა სულაც არ აპირებს მოსკოვის ნებისმიერ სურვილს მორჩილად შეხვდეს. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის პრობლემები, რომლებიც დრო და დრო თავს იჩენენ ოფიციალურ მოსკოვსა და მის მიერვე „სუვერენულ სახელმწიფოდ“ აღიარებულ აფხაზეთს შორის და რომელმაც აპოგეას მიაღწია 2011 წელს. ესაა კონფლიქტები აფხაზთა მხრიდან რუსი ეროვნების მოქალაქეების კუთვნილი სახლებისა და ბინების „ექსპროპრიაციის“ ფაქტების გამო [21; 22; 23; 65; 67; 94; 95; 96; 97; 100; 101;], რომელსაც, როგორც ჩანს, უკავშირდება ამასწინათ სოხუმში მომხდარი მალაღჩინოსანი რუსი დიპლომატისა და მისი მეუღლის მხეცური მკვლელობა; არანაკლებ მწვავედ დგას ზოგადად უძრავი ქონების (პირველ რიგში, ადრე საკავშირო დაქვემდებარებაში არსებული ობიექტების) მფლობელობის პრობლემა [10; 15; 17; 30; 49; 54; 63; 64; 121]; თავი იჩინა სასაზღვრო დავამ სოფ. აიბგას კუთვნილების ირგვლივ [13; 18; 28; 47; 53; 99; 104; 106; 108; 109; 110; 116; 117; 122; 127]; წინა პლანზე წამოიწია ისტორიოგრაფიულმა კოლიზიებმა (პოლემიკა ისტორიოგრაფიულ საკითხებზე ცნობილ რუს პოლიტიკოს კონსტანტინე ზატულინსა და სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. „უშიშროების საბჭოს“ ან უკვე ყოფილ მდივანს

9. ამ თემის ირგვლივ აფხაზურ საზოგადოებაში არსებულ შეფასებებზე იხ. აგრეთვე: [123; 131].



სტ. ლაკობას შორის)¹⁰; ძალზე სერიოზულ დაპირისპირებას აქვს ადგილი ნა-ეკლესიო სფეროში [5; 7; 8; 31; 62; 68; 69; 70; 71; 77; 83; 84; 102; 128; 130; 132]¹¹. სერიოზული პოლიტიკური გართულებები მოჰყვა მოსკოვის მცდელო-ბას გაეკონტროლებინა აფხაზეთისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრე-ბი, კერძოდ, კი მოსკოველი „რევიზორის“, რუსეთის ფედერაციის საანგარი-შო პალატის ხელმძღვანელის, ქვეყნის ყოფილი პრემიერ მინისტრის სერგეი სტეპაშინის ვოიაჟს აფხაზეთში. ეს უკანასკნელი აფხაზმა ნაციონალისტებმა, არც მეტი, არც ნაკლები, „პოლიტიკურ ინტრიგანად, პროვოკატორად და შან-ტაჟისტად“ გამოაცხადეს [46; 51; 55; 78; 79; 89; 90; 98; 103; 118; 120; 126]. იყო სხვა პრობლემებიც¹².

ერთი სიტყვით, სრულიად აშკარაა, რომ რუსულ-აფხაზურ „იდილიურ“ ურთიერთობებში პირველად ბოლო 100 წლის განმავლობაში აშკარად გაჩნ-და ბზარი და, რომ, საჭიროების შემთხვევაში (როდესაც ამას რუსეთის ერ-ოვნული ინტერესები მოითხოვენ), მოსკოვი ნამდვილად განირავს აფხაზეთს (ე.წ. „სამხრეთ ოსეთზე“, რომ არაფერი ვთქვათ) და შეეცდება გადასინჯოს თავისი კონფონტაციული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, ანუ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინ-არე, დღეს თუ ხვალ, მოსკოვი იძულებული გახდება გადასინჯოს საქართვე-ლოსთან კონფონტაციული კურსი, უარი თქვას ე.წ. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მის მიერ დეკლარირებულ ყბადაღებულ „ახალ რეალობაზე“, აღიარ-ოს ერთიანი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი საერთაშორისოდ აღი-არებულ საზღვრებში და დაამყაროს მასთან კეთილშეზობლური, კონსტრუქ-ციული ურთიერთობა.

როგორც ჩანს, აფხაზური საზოგადოების ნაციონალისტურად განწყო-ბილი წრეებიც არ გამორიცხავენ მოვლენების ამგვარ განვითარებას და ერ-თგვარ პრევენციულ ნაბიჯებსაც დგამენ. სრულიად აშკარაა, რომ მზარდი ანტიაფხაზური რუსული ინფორმაციულ-იდეოლოგიური ექსპანსიის ფონზე, რომელზედაც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება, საესებით მოსალოდნელია, რომ კრემლის პოლიტიკით უკმაყოფილო ჭეშმარიტად პატრიოტ აფხაზებში გაჩნდეს განბილების შერკნება, რამაც შეიძლება შექმნას ხელსაყრელი ფონი

10. რუსულ-აფხაზური დაპირისპირება ისტორიოგრაფიის სფეროში დაიწყო 2010 წ. 3 აპრილს სოხუმში გამართულ სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე: «Россия – Абхазия. 200 лет вместе», რომლის დროსაც კ. ზატულინმა «დატუქსა» ს. ლაკობა მის მიერ (ო. ბლაფებასთან ერთად) მომზადებულ და გამოცემულ „სასკოლო სახელმძღვანელოში“ გა-ტარებული თვალსაზრისის გამო [16; 133]. შემდეგ პოლემიკამ გადმოინაცვლა პრესის ფურცლებზე. ჯერ იყო და კ. ზატულინმა გააკრიტიკა აფხაზი ისტორიკოსი მოვლენების არასწორ შეფასებაში [61], რომელსაც მოჰყვა ს. ლაკობას პუბლიკაცია მეტად გამოძნევი დასათარებით – „Затулинизм“ [74]. თავის მხრივ, კ. ზატულინმაც არ დაახანა და ერთ-გვარი შემაჯამებელი სტატია გამოაქვეყნა [45], რომელსაც უმაღლე უპასუხა ს. ლაკობამ [75]. ამ პოლემიკას საგანგებო წერილით გამოეხმაურა კ. ზატულინის „დერჟომოდული“ გუნდის ერთ-ერთი აქტიური წევრი, რუსეთის ფედერაციის ყოფილი ელჩი საქართველოში ფელიქს სტანევსკი [113].

11. ნაეკლესიო სფეროში რუსულ-აფხაზური დაპირისპირების ანალიზი იხ [2; 92:455-461].

12. ზოგადად რუსულ-აფხაზური დაპირისპირების შესახებ იხ. [1; 91:462-475].

აფხაზურ-ქართული დიალოგისათვის. ეტყობა, სწორედ მოვლენების ამგვარი განვითარება აშფოთებთ ნაციონალისტურად განწყობილ ძალებს, პირველ რიგში კი რაულ ხაჯიმბას პარტიას „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმს“, რომელმაც პოლიტიკური ბრძოლის მთავარ იარაღად ზღვარგადასული ნაციონალიზმი აქცია¹³. აი ამ პოლიტიკის პროპაგანდისტულ უზრუნველყოფას ემსახურება ახალი, ერთი შეხედვით, თითქოს სრულიად აუხსნელი ანტიქართული ტალღის აგორება აფხაზეთის მკვიდრი 26 ათასი ქართველისათვის ე.წ. „აფხაზური პასპორტების“ გაცემის ირგვლივ. როგორც ბოლო დღეებში განვითარებულმა პროცესებმა აჩვენეს, ალექსანდრე ანქვაბი კუთხეშია მიყენებული და თუ ის ნაციონალისტების მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს და არ მოახდენს 26 ათასი ქართველის ე.წ. „აფხაზური პასპორტების“ გაუქმებას, არავინ იცის ამას რა მოჰყვება.

რა შეიძლება ამაზე ითქვას? როგორც ვხედავთ, სახეზეა აპარტიდისა და ფაშიზმის „ზეიმი“. და ეს ყოველივე XXI ს-ის დამდეგს. ყველაზე სავალალო კი ისაა, რომ დღევანდელ აფხაზურ პოლიტიკურ ელიტას არ ესმის, თუ რა საშუალო თამაში (სხვათა შორის იგივე ყბადაღებული „აფხაზური სახელმწიფოს სუვერენიტეტის საფრთხის“ კუთხით) ნამოინყო ამ სრულიად უგუნური კამპანიით. როგორც იტყვიან, ამით ისინი „ჭრიან იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ სხედან“, რადგან იმ სიტუაციაში, როდესაც რუსები დღეს თუ ზეალ აუცილებლად ჩაატარებენ „რეფერენდუმს“ ისედაც მოსკოვის სრულ კმაყოფაზე მყოფი უმადური აფხაზეთის რუსეთთან შეერთების საკითხზე, 26 ათასი ქართველისათვის ხმის უფლების წართმევა კატასტროფულ გავლენას მოახდენს ე.წ. „რეფერენდუმის“ საბოლოო შედეგზე. ესაა რეალობა, რომელსაც ვერ ხედავენ სიძულვილს აყოლილი ჩვენი ბედოვლათი თანამემამულენი.

არის კიდევ არაერთი სხვა პრობლემა, რომელმაც ჩიხში შეიყვანა თანამედროვე აფხაზური პოლიტიკური ისტებლიშმენტის და ზოგადად საზოგადოება. პირველ რიგში ესაა ურთიერთობების გამწვავება მოძმე ადილ-ჩერქეზბთან, რომლებიც ვერაფრით ვერ პატიობენ სოხუმის მმართველ რეჟიმს ოფიციალური მოსკოვის „დაკრულზე ცეკვას“ და მათთვის აფხაზეთის მოქალაქეობაზე უარის თქმას [14; 19; 50; 56; 57; 58; 59; 60; 80; 124; 125; 135; 136; 137]. არაფერს ვამბობთ ეკონომიკის სრულ მოშლასა და კრიმინალურ განუკითხაობაზე და ა.შ.

კიდევ ბევრ რამეზე შეიძლება დაფიქრება 1993 წლის სექტემბრის ტრაგედიიდან 20 წლის გადასახედიდან, მაგრამ ამჯერად ამით შემოვიფარგლოთ.

13 აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმისა და მისი ლიდერის ეს ზღვარგადასული ნაციონალიზმი, რომელიც ტრადიციულ ანტიქართულთან ერთად სულ უფრო ანტირუსულ შეფერილობასაც იძენს, უკვე აღიზიანებთ მოსკოვში. ამის დადასტურებაა თუნდაც სულ ახლახან გამოქვეყნებული მასალა, რომელშიც რ. ხაჯიმბა „უნტერ-ფიურერად“ არის მოხსენიებული [11].

წყაროები და ლიტერატურა:

1. პაპასქერი ზურაბ. აფხაზები კრემლს ძალიან გაუთამამდნენ, თუმცა 2014 წლის ოლიმპიადამდე მოსკოვი მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას მოერიდება. – http://www.pirveli.com.ge/old/index.php?option=com_content&task=view&id=85955&Itemid=52&ccdate=4-2011.
2. პაპასქერი ზურაბ. აფხაზეთში ეკლესიურად ორხელისუფლებიანობაა. – http://www.pirveli.com.ge/old/index.php?option=com_content&task=view&id=81279&Itemid=1
3. პაპასქერი ზურაბ. საქართველო-რუსეთის ომი და აფხაზეთის კონფლიქტის მონესრიგების პერსპექტივები. – წგნ.: ზურაბ პაპასქერი, და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009. აღნიშნული სტატია სრულად იხ. აგრეთვე: <http://iberiana.wordpress.com/afxazeti/perspektiva/>.
4. Абхазия – Россия: патронаж или партнерство? _ Апсныпресс. Государственное информационное агентство Республики Абхазия. 4.04.2011. _ <http://apsnypress.info/news/2888.html>.
5. «Абхазский внутрицерковный конфликт может быть урегулирован путем конструктивного диалога, _ считают участники круглого стола «Россия и Абхазия в едином духовном пространстве». _ <http://apsny.ru/news/?ID=5959>, 25.10.2013.
6. Абхазские эксперты обсуждают последствия для республики российско-грузинского соглашения по ВТО. _ Апсныпресс. Государственное информационное агентство Республики Абхазия. 26.11.2011 <http://apsnypress.info/news/4821.html>.
7. Автокефалию Абхазской церкви может даровать патриарх Константинопольский либо Грузинский, но не РПЦ. _ ИА REGNUM. Федеральное информационное агентство. 11.05.2011. _ <http://www.regnum.ru/news/polit/1403084.html>.
8. Алленова Ольга. Теологическая война. _ Коммерсантъ Власть, №24 (928), 20.06.2011. _ <http://www.kommersant.ru/doc/1659846>.
9. Аналитическая справка. _ Апсныпресс. Государственное информационное агентство Республики Абхазия. 12.05.2011. _ <http://apsnypress.info/docs/3192.html>.
10. Аргун Зураб. Почему бы Италии не заявить о своих правах на крепости в Абхазии? _ Эхо Кавказа. 19.11.2010. _ <http://www.ekhokavkaza.com/content/article/2224229.html>.
11. Армения наградила Саакашвили орденом Чести. _ <http://news.mail.ru/politics/2689163/>.
12. Ачугба Теймураз. Очередные нападки на абхазский народ. – გაზ.: „Нужная“, №33, 31.08.2010. ელექტრონული ვერსია იხ.: Материк. Информационно-аналитический портал. _ <http://www.materik.ru/problem/detail.php?ID=10595>.
13. Багапш обещал турецким абхазам не отдавать России ни метра. _ Росбалт. Федеральное информационно-аналитическое агентство. 12.04.2011. _ <http://www.rosbalt.ru/exussr/2011/04/12/838644.html>
14. Бороков Артур. Абхазия убила черкешенку! _ <http://shimerli.livejournal.com/1131122.html>, 20.07.2013.
15. Будущее санатория Сухум. _ Официальный сайт Партии ОРА. 04.07.2011. _ http://era-abkhazia.org/news/index.php?ELEMENT_ID=4364.
16. В Абхазии идут споры вокруг истории российско-абхазских отношений. _ ИА REGNUM. Федеральное информационное агентство. 22.12.2010. _ <http://www.regnum.ru/news/1359409.html>.

17. В Абхазии разгорелся конфликт между сотрудниками санатория „Сухум“ и Минобороны РФ. Санаторий может отойти Сухуми. _ http://www.sertolit.ru/realty/sme_v_abhazee_razgorelsja_konflikt_mezhdru_sotrudnekame_sanatoreja_quotsuhumquot_e_menoborony_rf_sanatoree_mozhet_otoete_suhume.html;
18. Вилиевский Алексей. 160 километров как яблоко раздора. _ АПСНпресс. Государственное информационное агентство Республики Абхазия. 31.03.2011 _ <http://apsnypress.info/smi/2851.html>.
19. Виртуальный Круглый стол ИА «Голос Черкесии». Выпуск №4. О вопросах фарисейства о спекуляции. _ ИА „Адыг“ Хэкум и макъ. Голос Черкесии“. 02.04.2013. _ <http://hekupsa.com/mnenie/kruglyj-stol/102-virtualnyj-kruglyj-stol-ia-adyge-khekumi-mak-golos-cherkesii-vypusk-4-o-voprosakh-farisejstva-o-spekulyatsii>.
20. Вступление России в ВТО _ выгоды и риски. Абхазская точка зрения. _ <http://abkhaz-auto.ru/news/6/586/>.
21. Ворсоби Владимир. Абхазия объявила русским квартирную войну. _ Комсомольская Правда, №103, 31.07.2013. _ <http://www.kp.ru/daily/26114.4/3008645/>.
22. Ворсоби Владимир. Абхазия снова борется за независимость. Теперь от России? _ Комсомольская Правда, 18.05.2011 _ <http://kp.ru/daily/25687/891281/>.
23. Ворсоби Владимир. Первые плоды независимости: Абхазы забирают квартиры у русских. _ Комсомольская Правда, 07.09.2010. _ <http://www.kp.ru/daily/24553/729388>.
24. Габуев Александр. Уго Чавес не промахнулся мимо цели. Президент Венесуэлы рассказал народу, как ловко он занял у России \$2,2 млрд и получил еще \$1 млрд. – გაზბ.: „Коммерсантъ“, #170 (4225), 15.09.2009. _ <http://kommersant.ru/doc/1237465>.
25. Гигин Вадим. За Родину! За Путина! _ Новости Беларуси. Белорусское телеграфное агентство. 27.02. 2012 _ http://www.belta.by/ru/blogs?art_ID=140&auth_ID=16.
26. Глебов. Афанасий Абхазиию по распоряжению президента Багапша «зачищают» от русскоязычного населения. _ <http://www.iapm.ru/showpage.php?id=150&h=9>.
27. Глебов Афанасий. Записки из «Страны мертвецов». გამოქვეყნებულია ამ სერიის 7 ნერილი. – იბ.: <http://in-sider.org/politic/item/67-zapiski-iz-strani-mertvecov.html>; <http://in-sider.org/politic/item/69-zapiski-iz-strani-mertvecov-2.html>; <http://in-sider.org/politic/item/77-zapiski-iz-strani-mertvecov-3.html>; <http://in-sider.org/politic/item/81-zapiski-iz-strani-mertvecov-4.html>; <http://in-sider.org/politic/item/83-zapiski-iz-strani-mertvecov-5.html>; <http://in-sider.org/politic/item/87-zapiski-iz-strani-mertvecov-6.html>; <http://in-sider.org/politic/item/90-zapiski-iz-strani-mertvecov-7.html>;
28. Гогорян Анаид. Территории мало у России, нужно нашей отщипнуть?. _ Эхо Кавказа. 22.03.2011. _ <http://www.ekhokavkaza.com/content/article/2346549.html>.
29. Гусев Владимир. Наградив Саакашвили Орденом Чести, Армения оскорбила Россию. _ Новости Федерации. 26.06.2009. <http://regions.ru/news/2223706/>
30. «Дачный вопрос»: Помогает ли Россия Абхазии безвозмездно? _ ИА REGNUM. Федеральное информа-ционное агентство. 28.03.2011. _ <http://www.regnum.ru/news/1388221.html>.
31. Долгачев Николай. Новый Афон оказался в центре церковных споров. 20.07.2013 _ <http://www.aiaaira.com/index.php/obshchestvo/5684-informatsionnye-tanki-protiv-svyashchennoj-mitropolii-abkhazii.html>.
32. Елифанцев Андрей. Абхазия: необъяснимая щедрость бытия. Грузинский вопрос. _ Агентство политических новостей. 12.04.2010. _ <http://www.apn.ru/publications/article22606.htm>;

33. Епифанцев Андрей. Абхазские выборы в условиях апартеида. _ <http://kavpolit.com/abxazskie-vybory-v-usloviyah-aparteida/?print>.
34. Епифанцев Андрей. Аудит границы России с Абхазией и Южной Осетией _ сдача национальных интересов. _ ИА REGNUM. Информационное агентство. 03.11.2011. _ <http://www.regnum.ru/news/1463449.html>.
35. Епифанцев Андрей. Была ли Грузия союзником России? Политическая модель выживания грузинско-го государства. Проект Института национальной стратегии. _ Агентство политических новостей (27.01.2009) _ <http://www.apn.ru/publications/article21261.htm>.
36. Епифанцев Андрей. В Абхазии уже построена классическая этнократия. _ <http://www.iarex.ru/articles/30547.html>.
37. Епифанцев Андрей. Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом. Церковный вопрос. _ Аген-тство политических новостей (22.09.2009). <http://www.apn.ru/publications/article21981.htm>.
38. Епифанцев Андрей. Компромисс с Грузией по вступлению в ВТО должен быть отклонен Россией. _ ИА REGNUM. Информационное агентство. 30.10.2011. _ <http://www.regnum.ru/news/polit/1461492.html>.
39. Епифанцев Андрей. Национальные окраины Грузии. Условия распада. _ Агентство политических но-востей (26.01. 2010). <http://www.apn.ru/publications/article22327.htm>.
40. Епифанцев Андрей. Опять Абхазия. Как власть делают моноэтничной. _ <http://konbudenogo.livejournal.com/343081.html?thread=5344041>.
41. Епифанцев Андрей. Опять к вопросу об этнократии в Абхазии. _ Эхо Кавказа. 05.11.2012. _ <http://www.ekhokavkaza.com/content/article/24761473.html>.
42. Епифанцев Андрей. Продается Абхазия за ВТО. _ <http://astina.ru/forum/viewtopic.php?f=2&t=2697>, 04.11.2011.
43. Епишев Андрей. ВТО: позорное поражение России. _ <http://news-ru.blogspot.com/2011/11/blog-post.html>, 07.11.2011.
44. Епишев Андрей. Хватит кормить Абхазию! _ http://news-ru.blogspot.com/2012/02/blog-post_19.html; Абхазия _ Россия: патронат или партнерство? _ Апсныпресс. Государственное информационное агентство Республики Абхазия. 4.04.2011. _ <http://arpsnypress.info/news/2888.html>;
45. Загулин Константин. Яд или противоядие _ что выбрать умам в Абхазии? _ Материк. Информаци-онно-аналитический портал. 31.01.2011. _ <http://materik.ru/rubric/detail.php?ID=11734>.
46. Заявление Общественного движения «Ахьяца» (Абхазия). _ Информационное агентство NatПресс. 15.01.2011. _ <http://www.natpress.net/index.php?newsid=5854>, იხ. აგროეთვე: გაზ.: „Новый день“. №2 (308), 17.01.2011. _ <http://www.noviden.info/pdf/92.pdf>
47. Заявление представителей общественности Абхазии. _ Абхазия _ страна души. 28.03.2011. _ http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=28522.
48. Заявление республиканской партии «Форум Народного Единства Абхазии». _ Апсныпресс. Государст-венное информационное агентство Республики Абхазия. 07.11.2011. ელუ-ქტრონული ვერსია იხ.: http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=30941.
49. Заявление РПП «Форум народного единства Абхазии» и группы ветеранов Отечественной войны Народа Абхазии 1992-1993 гг. _ Информационное агентство NatПресс. 03.05.2011. _ <http://www.natpress.ru/index.php?newsid=6437>.

50. Инал-Ипа Арда. Черкесский вопрос и Абхазия _ исторические моменты и современные вызовы. – კრებ.: «Некоторые аспекты взаимоотношений между Северным Кавказом и Абхазией». ელექტრონული ვერსია იხ.: АПСНПРЕСС. Государственное информационное агентство Республики Абхазия. 25.05.2012. _ <http://apsnpres.info/analytic/6357.html>.
51. «Индюльгенции» Степашина усилили антироссийские настроения в Абхазии? _ ИА REGNUM. Федеральное информационное агентство. 20.01.2011. _ <http://www.regnum.ru/news/fd-abroad/polit/1366571.html#ixzz1Bbj6mduO>.
52. Интервью с гостем радиостанции «Эхо Москвы» _ Гости: Баганш Сергей. 15.07.2009. _ <http://www.echo.msk.ru/programs/beseda/605593-echo/>.
53. Испытание землей: Абхазия не хочет отдавать России часть себя. _ <http://www.echo.msk.ru/blog/cknot/765156-echo>, 11.04.2011;
54. Ищенко Сергей. Абхазы ищут у президента России защиты от Сердюкова. Российских офицеров из санатория «Сухум» было велено выкинуть за два часа. _ Свободная Пресса. Российское общественно-политическое интернет-издание. 13.05.2011. _ <http://svpressa.ru/society/article/43233/>;
55. Как Сергей Степашина потушил коррупционный скандал в Абхазии. _ ИА REGNUM. Федеральное информационное агентство. _ <http://www.regnum.ru/news/1364659.html>.
56. Кеш Руслан. Еще раз к вопросу «общей истории». _ ИА Адыг Хэкум и макъ. Голос Черкесии. 29.06.2013. _ <http://hekupsa.com/mnenie/r-kesh/998-r-kesh-eshche-raz-k-voprosu-obshchej-istorii>.
57. Кеш Руслан. Еще раз о черкесо-абхазских отношениях по статье Б. Кобахия. _ Черкесский культурный центр. 15.06.2012. _ <http://circassiancenter.org/general/6136--.html>.
58. Кеш Руслан. О речи Президента Абхазии А. Анкваба. _ ИА Адыг Хэкум и макъ. Голос Черкесии. 30.09.2013. _ <http://hekupsa.com/mnenie/r-kesh/1478-r-kesh-o-rechi-prezidenta-abkhazii-a-ankvaba>.
59. Кеш Руслан. О статье Маркедонова „Абхазия и Черкесия. Единство и противоречия“. _ ИА Адыг Хэкум и макъ. Голос Черкесии. 07.07.2013. _ <http://hekupsa.com/mnenie/r-kesh/1014-r-kesh-o-state-markedonova-abkhadiya-i-cherkesiya-edinstvo-i-protivorechiya>.
60. Кеш Руслан. Очередное воровство черкесской истории: Абхазия, 21 мая. _ ИА Адыг Хэкум и макъ. Голос Черкесии. 21.05.2013. _ <http://hekupsa.com/mnenie/r-kesh/856-ocherednoe-vorovstvo-cherkesskoj-istorii-abkhaziya-21-maya>.
61. К. Загулин: «Лакоба интерпретирует совместную историю России и Абхазии как мрачный период российского засилья». Интервью Антону Кривенюку. _ Материк. Информационно-аналитический пор-тал. 07.10.2010. _ <http://www.materik.ru/problem/detail.php?ID=11083>.
62. Кобахия Беслан. Ответ дьякону Кураеву. «...Не судите _ судимы не будете...». 23.01.2012 _ <http://aiaaira.com/index.php/obshchestvo/3006-5171882.html>.
63. Комментарий депутата Народного собрания Даура Аршба по поводу ситуации, сложившейся вокруг санатория «Сухум». _ Официальный сайт Партии ЭРА. 22.04.2011. _ http://era-abkhazia.org/news/index.php?ELEMENT_ID=4008.
64. Котова Марианна. Сухумское «народное восстание». _ Эхо Кавказа. 30.06.2011. _ <http://www.ekhokavkaza.com/content/article/24251836.html>.
65. Кривенюк Антон. Квартирный вопрос, который испортил Абхазию. _ <http://www.echo.msk.ru/blog/krivenyuk/1158300-echo/>;





66. Кривенок Антон. Россия _ Абхазия: сговор коррумпированных чиновников? _ Caucasus Times. 27.6.2011. _ <http://www.caucasustimes.com/article.asp?id=20904>;
67. Кубатьян Григорий. Кто спасет русских в Абхазии от участи изгоев? Кавказский вопрос. _ Агентство политических новостей, 2013-06-26.06.2013. _ <http://www.apn.ru/publications/article29458.htm>.
68. Кураев Андрей. Абхазский узел церковной политики. _ http://www.profile.ru/items_27714,1512.2008;
69. Кураев Андрей. Бред, порожденный нашей логикой. _ <http://diak-kuraev.livejournal.com/156176.html?thread=22683664,15.01.2011>
70. Кураев Андрей. Сектанты в Новом Афоне. Последняя нить с Русской Православной Церковью порвана! _ <http://diak-kuraev.livejournal.com/342835.html,24.06.2012>.
71. Кураев Андрей. Ясные желания абхазского социолога. _ <http://diak-kuraev.livejournal.com/,24.01.2012>.
72. Кучуберия Анжела. Передача трех государственных дач России вызвала серьезный резонанс в Абхазии. _ Кавказский узел. 03.12.2010. _ <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/177892/>.
73. Ладария Гурам. Дьякону Кураеву, кавалеру ордена «Миротворец», патриоту России, Абхазии и прочая... 25.01.2012 _ <http://aiaaira.com/index.php/obshchestvo/3018-8349053.html>.
74. Лакоба Станислав. Затулинизм. – გაზ.: «Нужная», №41. 28.10.2010, ელექტრონ. ვერსია ობ.: <http://guralyuk.livejournal.com/1584673.html>; <http://www.irontimes.com/archives/16763>.
75. Лакоба Станислав. Политика вокруг „Истории Абхазии“. – გაზ.: «Нужная“, №6, 2011, ელექტრონ. ვერსია ობ.: Информационное агентство NatПресс. 19.02.2011. _ <http://www.natpress.net/index.php?newsid=6096>
76. Лакоба Якуб. Злобная статья злобного автора. _ Къараз. Официальный сайт Народной Партии Абхазии. _ <http://kiaraz.org/page219/>.
77. Лакоба Якуб, Векшин С. Политический провокатор от церковной мафии: ай да профессор, ай да дьякон Кураев! _ Къараз. Официальный сайт Народной Партии Абхазии. _ <http://kiaraz.org/page273/>.
78. Лакоба Якуб. «Феномен» и синдром Степашина: политический интриган, провокатор и шантажист. _ Къараз. Официальный сайт Народной Партии Абхазии. 15.01.2011. _ <http://kiaraz.org/page279/>
79. Лакоба Якуб. Эпопея «Степашин и Ко» продолжается. _ Къараз. Официальный сайт Народной Партии Абхазии. _ <http://kiaraz.org/page281/>.
80. Маркедонов Сергей. Абхазия и «черкесский мир»: единство и противоречия. _ ПОЛИТКОМ.RU. Информационный сайт политических комментариев. 04.07.2013. _ <http://www.politcom.ru/16008.html>.
81. Маркедонов Сергей. Границы, дачи, здравый смысл. _ ПОЛИТКОМ.RU. Информационный сайт политических комментариев. 10.12.2010. _ <http://politcom.ru/11162.html>.
82. Маркедонов Сергей. Молчание Москвы играет на руку Саакашвили. _ НОВАЯ ПОЛИТИКА. Интернет-журнал. 07.11.2011. _ <http://www.novopol.ru/molchanie-moskvyi-igraet-na-ruku-saakashvili-text111942.html>.
83. Мартьянов Павел. Абхазия: вера и политтехнологии. _ Вестник Кавказа. 05.08.2013. _ <http://www.vestikavkaza.ru/articles/Abkhaziya-vera-i-polittechnologii.html>

84. Мельников Андрей, Мальцев Владислав. Новый Афон отошел к Константинополю. _ НГ-Религии (Независимая газета), 04.07.2012. _ http://nvo.ng.ru/events/2012-07-04/5_afon.html.
85. Мишин Владимир. Карманный посол. Абхазия как она есть. _ Агентство политических новостей. 19.09.2011. _ <http://www.apn.ru/publications/article24922.htm>.
86. Михаил Саакашвили стал почетным доктором Ереванского госуниверситета. _ РИА НОВОСТИ. _ <http://ria.ru/world/20090625/175404739.html>
87. Николаев Андрей, Ядуха Виктор. Чисто абхазское убийство. _ ИА «Росбалт». 20.09.2013. _ <http://www.rosbalt.ru/exussr/2013/09/20/1177827.html>.
88. Отырба Анатолий. Государство _ это вам не паравоз. – გაზ.: «Новый день». №15 (276), 23.04.2010.
89. Отырба Анатолий. На правах бедного родственника. – გაზ.: «Нужная», № 34, 07.09.2010. – http://era-abkhazia.org/data/ng/ng_34.pdf. ix. agreTve: <http://www.abkhazia.org/server-articles/article-47a09e5008f9c5785a4c69d8368b84a6.html>.
90. Отырба Анатолий. Компрадоры _ руки прочь от Якуба Лакоба. _ <http://otyrba.livejournal.com/109871.html>.
91. Папаскири Зураб. Абхазы слишком осмелели в отношении Кремля. _ <http://abkhazeti.info/news/1325813715.php>. იხ. აგრეთვე: Зураб Папаскири. Моя Абхазия. Воспоминания и Размышления. Тб., 2012.
92. Папаскири Зураб. В Абхазии церковное двоевластие. _ <http://abkhazeti.info/news/1320455877.php>. იხ. აგრეთვე: Зураб Папаскири. Моя Абхазия. Воспоминания и Размышления. Тб., 2012.
93. Папаскири Зураб. О новых антигрузинских инсинуациях радетелей «независимой» Абхазии. По поволу Статьи А. Епифанцева: Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом. Церковный вопрос. _ Не-которые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии. Гл. редактор: акад. Давид Мухелишвили. Издат.: «Универсал». Тб., 2011, ელექტრონული ვერსია: <http://iberiana.wordpress.com/afxazeti/papaskiri-2>).
94. Перевозкина Марина. Абхазия обрела независимость от... РФ. В новом государстве русскоязычное население оказалось самым бесправным. _ Московский Комсомолец, №25270, 04.02.2010 _ <http://www.mk.ru/politics/article/2010/02/03/423511-abhaziya-obrela-nezavisimost-ot-rf.html>.
95. Перевозкина Марина. Абхазию испортил квартирный вопрос. Русскоязычные жители республики по-прежнему не могут вернуть себе захваченное жилье. _ Московский Комсомолец, №26129, 27.12.2012. _ <http://www.mk.ru/daily/newspaper/article/2012/12/26/792852-abhaziyu-ispotil-kvartirnyiy-vopros.html>.
96. Перевозкина Марина. Абхазский ответ на квартирный вопрос. Стали известны первые результаты работы абхазо-российской комиссии. _ Московский Комсомолец, №25627, 26.04.2011. _ <http://www.mk.ru/politics/sng/article/2011/04/25/584009-abhazskiy-otvet-na-kvartirnyiy-vopros.html>.
97. Перевозкина Марина. Для Абхазии готовится свой «список Магнитского»? Захватчики «русских квартир» могут стать невъездными в РФ. _ Московский Комсомолец, №26286 22.07.2013. _ <http://www.mk.ru/social/article/2013/07/21/887172-dlya-abhazii-gotovitsya-svoy-spisok-magnitskogo.html>.
98. Перевозкина Марина. Клеветникам России посвящается. За критику Степашина в Абхазии посадили оппозиционера. _ Московский Комсомолец №25551, 24.01.2011.



- [_http://www.mk.ru/politics/article/2011/01/23/559924-klevetnikam-rossii-povyschatsya.html](http://www.mk.ru/politics/article/2011/01/23/559924-klevetnikam-rossii-povyschatsya.html).
99. Перевозкина Марина. Ни пяди абхазской земли! Между РФ и Абхазией при активном участии Тбилиси разгорается территориальный спор. _ Московский Комсомолец, №25604, 30.03.2011. _ <http://www.mk.ru/politics/article/2011/03/29/576745-ni-pyadi-abhazskoy-zemli.html>.
 100. Перевозкина Марина. Самозахват Сухума. Россия и Абхазия разошлись по квартирам. _ Московский Комсомолец, №25434, 27.08.2010. _ <http://www.mk.ru/politics/article/2010/08/26/525397-samozahvat-suhuma.html>.
 101. Перевозкина Марина. Трудности перевода. Поссорит ли Россию и Абхазию „квартирный вопрос“? _ Московский Комсомолец, №25472, 11.10.2010. _ <http://www.mk.ru/politics/article/2010/10/10/535488-trudnosti-perevoda.html>.
 102. Председатель совета Священной митрополии Абхазии архимандрит ДОРОФЕЙ (Дбар): «Внутренне я готов к полному разрыву с РПЦ МП». _ <http://www.portal-credo.ru/site/?act=authority&id=1674>.
 103. Родионов Дмитрий. Абхазия: Полигон для модернизации или черная дыра российского бюджета? Хотели как лучше. Получилось ещё замечательнее. _ Агентство Политических Новостей. 26.08.2010. _ <http://www.apn.ru/publications/article23107.htm>.
 104. Рокс Юрий. Урочище противоречий. _ Независимая газета, 01.04.2011. _ http://www.ng.ru/cis/2011-04-01/1_abhazia.html.
 105. Росляков Александр. Абхазский дебош. Абхазия обкакалась в свои национальные штанишки, мы _ в свои. _ http://www.roslyakov.ru/cntnt/verhneemen/noviepubli/abhazski_d.html. 13.07.2011.
 106. Российская пресса признала абхазское село российской территорией. _ <http://www.caucasustimes.com/>;
 107. Россия будет настаивать на привлечении М. Саакашвили к уголовной ответственности за совершенное преступление. Заявление председателя Совета Федерации Сергея Миронова. _ <http://www.garant.ru/news/14219>.
 108. Рябцев Владимир. Кому принадлежит Аибга: стоит ли России ссориться с Абхазией из-за маленького клочка земли? _ Научное Общество Кавказоведов, 09.09.2011 _ <http://www.kavkazoved.info/news/2011/09/09/komu-prinadlezhit-aibga-0909.html>.
 109. Сергей Багапш за селом в карман не полез. Россия и Абхазия не могут поделить территорию. _ Газ.: «Коммерсантъ», №65 (4606), 14.04.2011 _ <http://kommersant.ru/doc-y/1620848>.
 110. Серенко Андрей. Пограничная Аибга жалуется Дмитрию Медведеву. _ Независимая газета. 01.08.2011. _ http://www.ng.ru/regions/2011-08-01/100_aibga.html.
 111. Скорцевич Станислав. Абхазский унтер-фюрер. _ <http://in-sider.org/politic/item/233-abhazskij-unter-furer.html>.
 112. Совместное заявление политических партий и общественных организаций. _ http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=23403; ix. agreTve: <http://kiaraz.org/page123/>.
 113. Станевский Феликс. Комментарий к комментариям (об откликах в Абхазии на статью К. Ф. Затулина). _ Материк. Информационно-аналитический портал. 18.02.2011. _ <http://materik.ru/rubric/detail.php?ID=11907&print=Y>

114. Станевский Феликс. Стыдоба. _ Материк. Информационно-аналитический портал. 10.11.2011. _ <http://www.materik.ru/rubric/detail.php?ID=14172>.
115. Стешин Дмитрий, Алехина Юлия. Абхазия и Россия: Сладкая горечь в конце «медового месяца». _ Комсомольская правда. 17.08.2011. _ <http://www.kp.ru/daily/25737/2726014/>.
116. Темин Игорь. Государственная граница посреди села. Спор о границе между Россией и Абхазией. _ 19.07.2011 _ <http://kuban.mk.ru/article/2011/07/19/606774-gosudarstvennaya-granitsa-posredi-sela.html>.
117. Туча Федор. Абхазия не делится. _ Росбалт. Федеральное информационно-аналитическое агентство. 18.04.2011. _ <http://www.rosbalt.ru/main/2011/04/18/840582.html>.
118. Хаджимба Рауль. Индульгенция на продолжение. – გაზ.: „Новый день“. №2 (308), 17.01.2011. _ <http://www.noviden.info/pdf/92.pdf>. ობ. აგრეთვე: <http://www.irontimes.com/archives/16955>.
119. Хашиг Инал. Застенчивые «коридорные». _ Эхо Кавказа. 01.12.2011. _ <http://www.ekhokavkaza.com/content/blog/24408769.html>.
120. Ходжаа Эмма. Кто-то должен говорить правду. _ გაზ.: „Новый день“. №2 (308), 17.01.2011. _ <http://www.noviden.info/pdf/92.pdf>.
121. Ходжаа Эмма. Сухумский военный санаторий _ территория сделки? _ АИААИРА. Информационно-аналитический сайт Абхазии. 27.04.2011. _ <http://aiaaira.com/index.php/society/1915-2011-04-27-18-38-45.html>.
122. Чанна Изид. «Референдум» двадцати шести. За что воевали?. – გაზ.: „Нужная“, _ <http://atarba.livejournal.com/121019.html>.
123. Чанна Изид. Старший прораб Анкваб объект сдал! – გაზ.: „Нужная“, №46, 22.11.2011. <http://astina.ru/forum/viewtopic.php?f=2&t=2697/>.
124. Черкесы возмущены поведением абхазов. _ Кавказ Online. Информационно-аналитический портал. 23.01.2012. _ <http://kavkasia.net/Georgia/2012/1327365069.php>.
125. Черкесы и абхазы - Прошлое, Настоящее, Будущее. _ Адыги. RU. Информационный портал. 14.06.2011. _ <http://adygi.ru/index.php?newsid=8790>.
126. Шалимова Татьяна. Эксперты: Деньги, выделяемые Абхазии, уходят налево. _ РБК daily. Ежедневная аналитическая газета. 18.03.2011. _ <http://www.rbcdaily.ru/politics/562949979884278>.
127. Шария Виталий. Абхазия _ Россия: грядут территориальные споры? _ Эхо Кавказа. 16.03.2011. _ <http://www.ekhokavkaza.com/content/article/2340401.html>.
128. Шария Виталий. „Информационные танки“ против Священной митрополии Абхазии. _ Эхо Кавказа. 19.07.2013. _ <http://www.ekhokavkaza.mobi/a/25051544.html>;
129. Шария Виталий. К вопросу об «этнократии» в Абхазии. _ Эхо Кавказа. 01.11.2012. _ <http://www.ekhokavkaza.com/content/article/24758169.html>.
130. Шария Виталий. Монахи жигают мосты. _ Эхо Кавказа. 29.06.2012. _ <http://www.ekhokavkaza.com/content/article/24630613.html>
131. Шария Виталий. Остается стерпеть обиду. _ Эхо Кавказа. 16.11.2011. _ <http://www.ekhokavkaza.com/content/article/24393244.html/>.
132. Шария Виталий. Ответ РПЦ _ это не ответ. _ Эхо Кавказа. 08.08.2013. _ <http://morigin.ekhokavkaza.org/a/25070436.html>.
133. Шария Виталий. О чем поспорили Константин Затулин и Станислав Лакоба? _ Эхо Кавказа. 26.10.2010. _ <http://www.ekhokavkaza.com/content/article/2202002.html>.



134. Шария Виталий. Польза как от горького лекарства. В отношениях России и Абхазии закончился медо-вый месяц. _ Эхо Кавказа. 17.05.2010. _ <http://www.ekhokavkaza.com/content/article/2044565.html>.
135. Шария Гурам. Черкесские националисты пытаются втянуть Абхазию в игры с Тбилиси. _ Научное Общество Кавказоведов. 29.08.2013. _ <http://www.kavkazoved.info/news/2013/08/29/cherkesskie-nacionalisty-pytajutsja-vtjanut-abhaziu-v-igry-s-tbilisi.html>.
136. Шмулевич Авраам. Абхазо-черкесские отношения: «братство навек» или «развод в коммунальной квартире»? Интервью с Русланом Кешевым, Председателем Черкесского Конгресса КБР. _ Агентство политических новостей. 10.12.2010. _ <http://www.apn.ru/publications/article23437.htm>.
137. Шмулевич Авраам. Напомнить Абхазскому правительству, чем закончилась в 19 веке игра в автономно. _ <http://www.liveinternet.ru/users/avrom/post286111114/>, 03.08.2013.
138. The Georgian Times (ელექტრონ. ვერსია: <http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=14647&-lang=geo>).

ZURAB PAPASKIRI

CONFLICT IN ABKHAZIA 20 YEARS LATER A RETROSPECTIVE REVIEW

Summary

20 years have elapsed after the tragedy of 27 September, 1993. 20 years have passed since the Georgian government lost control over its ancient province, which historically always was a part of all-Georgian ethnical, cultural, political, and state universe. Lot of things happened in Georgia during these 20 years; there were failures and achievements. Despite some ill luck, especially the Russian aggression of 2008, which passed all the bounds, and the poor attempt to “legitimize” the so-called “independence” of separatist regions, the Georgian State established herself as a significant player, and not only in Caucasian affairs. Of course, Abkhazia is the most persistent wound for Georgia. During the last 20 years Georgian state failed in all the attempts to find a common language with the Abkhaz compatriots. The ideological opposition between the Georgian and Abkhazian societies is still insuper-able. While the Georgian society evaluates the conflict as tragedy and fratricidal war, which can be ended only by common efforts from the Georgians and the Abkhazs, the Abkhazs consider themselves as the victims of the crime, which was committed by the Georgians and the Georgian state.

The presented paper analyzes the events of the last 20 years and gives the evaluation of the post-conflict period. The analysis clearly shows that the Kremlin tops are not quite satisfied with the “Abkhazian project”, which was elaborated by them. This is clearly proved by the problems between Abkhazia and official Moscow, which has recognized the former as a “sovereign state”. The main aspects of the disagreement are: conflicts caused by the “expropriation” of the private houses and apartments be-

longing to the citizens of Russian nationality; the problem of the ownership of the immovable property (first of all, the objects, which were under the central governance during the Soviet times) on the whole; the border dispute over the village Aibga; the historiographical collisions; the confrontation regarding the ecclesiastical issues; the difficulties, which followed the attempt of the Kremlin tops to control the financial assets allocated to Abkhazia, etc.

ЗУРАБ ПАПАСКИРИ

КОНФЛИКТ В АБХАЗИИ 20 ЛЕТ СПУСТЬЯ ОБЩИЙ ВЗГЛЯД

Резюме

Прошло 20 лет со времени окончания военного противостояния в Абхазии и потери контроля грузинского государства над сепаратистским регионом. За это время многое изменилось в Грузии. Были успехи, неудачи, провалы, но, грузинское государство несмотря даже на беспрецедентную по своей наглости российскую агрессию и жалкую попытку со стороны Москвы «международно-правового» узаконения «независимости» сепаратистских регионов Грузии, состоялось и по-прежнему продолжает оставаться достаточно серьёзным игроком в международной политике и не только в масштабе Кавказа. Наиболее болезненной проблемой для Грузии, естественно, остаётся Абхазия. 20 лет как грузинское государство тщетно пытается найти общий язык с абхазскими соотечественниками. Никак не получается преодолеть идеологическое расхождение между грузинской и абхазской ответственностью. В то время как грузинская сторона конфликт 1992-1993 гг. однозначно совершенно справедливо считает трагической братоубийственной войной, подавляющее большинство наших абхазских сограждан воспринимает эту трагедию как преступление перед абхазским народом «содеянное» грузинским государством и грузинским народом.

В представленной статье дано общее видение постконфликтной ситуации. Отмечено, что «Абхазский проект» Кремля не совсем оправдал себя. Наглядное тому подтверждение те острые противоречия, которые почти постоянно (особенно после «победоносной эпопеи» 2008 года) вспыхивают между официальной Москвой и ею же признанной в качестве «суверенного государства» Абхазией. Это – конфликты связанные с «экспроприацией» абхазами домов и квартир граждан русской национальности а также с проблемой собственности недвижимости вообще (особенно объектов бывшего союзного подчинения); территориальные споры вокруг пограничного села Аибга; коллизии в области историографии; противостояние в церковной сфере; «Болезненное восприятие» националистически настроенной частью абхазского общества некоторых шагов российского руководства (игнорирование Москвой «суверенного» статуса Абхазии при подписании грузино-российского соглашения по вступлению России в ВТО и др.).

ენო ჯავლია

ახალი უცხოეთი წყარო საქართველოს სამეფო დროის შესახებ

საქართველოს სამეფო დროის წარმოშობასა და მისი იერსახის გარკვევას ქართველ ვექსილოლოგთა და, საერთოდ, ისტორიკოსთა არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. ამ პრობლემის თაობაზე ორი თვალსაზრისი გამოითქვა, რომლებიც ძირეულად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და, მეტიც, ურთიერთსაწინააღმდეგონი არიან. პირველი თვალსაზრისის თანახმად, რომელიც ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის და რომელსაც დღემდე არაერთი ცნობილი ისტორიკოსი იზიარებს (მ. ლორთქიფანიძე, გ. ჯამბურია, პ. ზაქარაია, ნ. შოშიაშვილი, რ. მეტრეველი, გ. ჯაფარიძე და სხვ.) შუა საუკუნეების სეფე დროშაზე, მის შუაგულში გამოსახული იყო წმინდა გიორგი. მეორე თვალსაზრისის თანახმად კი, XX საუკუნის მიწურულს რომ გაჩნდა (დ. მუსხელიშვილი, ი. ბიჭიკაშვილი, თ. ასათიანი და სხვ.) შუა საუკუნეების ქართული დროშა იყო ხუთჯვრიანი, სწორედ ისეთი, როგორც, აგერ უკვე მეცხრე წელია, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სახელმწიფო სიმბოლოდ დააკანონა. ამთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ ის ისტორიკოს-მკვლევარნი, რომელნიც წმინდა გიორგის ხატწერილ სეფე დროშას ემხრობიან, გაცილებით სჭარბობენ თავიანთ ოპონენტებს. თუმცა საკითხის გარკვევისთვის მთავარია არა რიცხობრივი უპირატესობა ანა თუ იმ თვალსაზრისის მომხრეებისა, არამედ ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, თუ რა სახის ცნობებია დაცული ისტორიულ წყაროებში.

ცნობილია, რომ სეფე დროშა, იგივე სამეფო დროშა, დღესდღეობით დაკარგულია და მის შესახებ ოდენ ჩვენამდე მოღწეული ცნობების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ.¹ სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი ცნობების შემცველი სულ ცხრა წყარო იყო მოხმობილი. მართლაც, ჩვენთვის ცნობილი იყო ცხრა მემბტიანის ვინაობა, რომელნიც შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო დროშას აღწერდნენ. ამ ცხრა ავტორიდან ორი მკვლევარი ქართველი

1. როდესაც ვამბობთ, რომ სამეფო დროშა დღესდღეობით დაკარგულია, ვგულისხმობთ, უპირველესად იმას, რომ წინა საუკუნეებში საქართველოდან, სულ ცოტა, 3 სამეფო დროშა იყო გატანილი: 1) თეიმურაზ ბატონიშვილის თანახმად, ბავრაცი დავით აღმაშენებლისა 1811 წელს დაკარგულა, როდესაც ახალციხესთან გამართული ბრძოლის დროს ოსმალებმა იგი ხელში ჩაიგდეს. შესაძლოა დღეს თურქეთის რომელიმე მუზეუმსა და არქივში ეს დროშა ინახებოდეს; 2) პ. კარბელაშვილის თქმით, ვახტანგ VI როდესაც რუსეთში გადასახლდა, ქართლის დროშა თან წაიღო; 3) პ. კარბელაშვილისვე მოწმობით, გიორგი XII-ის სიკვდილის შემდგომ, 1800 წელს საქართველოს სამეფო დროშა ასევე რუსეთში წაიღეს. იქნებ რუსეთის არქივებსა თუ საცავებში ქართული სამეფო დროშები შემორჩენილი იყოს.

გახლავთ, დანარჩენი შვიდი კი – დასავლეთევროპელები არიან. ქართველ ტიპანეთაგან სამეფო დროშის აღწერას თავიანთ ნაშრომებში ადგილს ტიმოთე გაბაშვილი (XVIII ს.) და თეიმურაზ ბატონიშვილი (XIX ს.) უთმობენ. ტიმოთე გაბაშვილს მოეპოვება ცნობა, რომლის თანახმადაც უცხოელნი საქართველოს სახელად გეორგიას იმის გამო უხმობდნენ, რომ ქართველების დროშებზე წმინდა გეორგის სახება იყო [1: 459], ხოლო თეიმურაზ ბაგრატიონის თანახმად, სამეფო დროშაზე წმინდა გეორგის გამოსახულება ქართველთათვის წმინდა ნინოს დაუნესებია და, აქედან მოყოლებული, ქართველ მეფეებს წმინდა გეორგის გამოსახულებიანი სეფე დროშები ჰქონიათ. მეტიც, მისივე თქმით, სამეფო დროშების დარად წმინდა გეორგის ხატწერილი გახლდათ საბატონიშვილო, სასარდლო, სამხედრო, სამოურავო, საერისთავო და სხვ. სახის დროშებიც [2: 19]. აქვე უნდა ითქვას, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის ხსენებული ცნობა 1950-იან წლებამდე სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში თეიმურაზის ნაშრომს არ ასახელებენ არც ივანე ჯავახიშვილი (ვინაც სეფე დროშის შექმნის ისტორია გამოიკვლია) და არც პოლიევქტოზ კარბელაშვილი, რომელმაც ასევე სპეციალურად შეისწავლა სამეფო დროშის რაობის საკითხი. პირველად იგი, თუ არ ვცდებით, მკვლევარმა სარა ბარნაველმა დაიმონმა თავის წიგნში „ქართული დროშები“ [3: 58, 68]. რაც შეეხება დიპლომატ ტიმოთე გაბაშვილის წყაროს, მიუხედავად იმისა, რომ თავად თხზულება „მიმოსვლა“ კარგა ხანია, რაც შესწავლილია, მასში მოთავსებული ცნობა ქართული დროშის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ამ სიტყვების ავტორის მიერ შარშან იქნა შემოტანილი [4: 39-47].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღემდე ცნობილი იყო სულ შვიდი უცხოელი ავტორი, ქართულ დროშებს რომ აღწერდნენ:

1. ლუდოლფ ფონ ზუჰეში XIV ს-ის 30-იან წლებში ქართველების შესახებ წერდა: „თავიანთ დროშებზე მოთავსებული აქვთ წმინდა გეორგის გამოსახულება“ [5].
2. ქვემორაინელი ანონიმი (XIV ს.) აღნიშნავდა, რომ ქართველებს „თავიანთ დროშებზე აქვთ გამოსახულება წმინდა გეორგისა, რომლის მიხედვითაც შეერქვათ სახელი (გეორგიანი)“ [5].
3. იოჰან ჰილდესჰაიმის (XIV ა.) თანახმად, „ქართველები თავიანთ ქვეყანაში „დადიან წმინდა გეორგის დროშით“ [5].
4. ჟან ტენო, ფრანგი ფრანცისკანელი დიპლომატი XVI ს-ის I ნახევარში წერდა, რომ ქართველებს „ენოდებათ გეორგიანები, ვინაიდან ურწმუნოთა წინააღმდეგ წარმოებულ ომებში, როგორც გადმოგვცემენ, ისინი წმინდა გეორგის დროშებით იბრძვიან [5].
5. იოჰან ფონ კოტოვიჩი (კოტოვიკუსი), XVI საუკუნის მოღვაწე იუნყება, რომ „ქართველები (გეორგიანები) გეორგი მთავარმონამეს (რომლის სახელიც თავიანთთვის ეროვნულ სახელადაც კი აქვთ შეთვისებული) უადრეს თაყვანს სცემენ და სხვა წმინდანებზე მეტად განსაკუთრებით სცემენ პატივს, თავის მფარველადაც (პატრონადაც) მიაჩნიათ, (ადიდებენ) და სამხედრო დროშებზე დახატული მისი სახე ყოველთვის დააქვთ ხოლმე“ [6: 160].



6. ემილიო დორტელი დასკოლი, XVII საუკუნეში მცხოვრებ ინტელიგენტის დომინიკელი მისიონერი, რომელიც ქ. კაფას პრეფექტად მუშაობდა, თავად იმყოფებოდა სამეგრელოში და საკუთარი თვალთი იხილა, რომ: „ჯორჯანის მებრძოლ მოსახლეობას დროშებზე წმინდა გიორგის გამოსახულება აქვთ“ [7: 73-76].

7. ფრანც ფერდინანდ ტროილოელი XVIII საუკუნეში, კერძოდ 1717 წელს წერდა, რომ „ქართველები დიდ თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის და ერთ-გულნი არიან მისი, ყოველ დროშაზე აქვთ მისი გამოსახულება“ [8: 25].

ამ შვიდ უცხოელ ავტორთაგან ერთ-ერთის, იოჰან ფონ კოტოვიჩის ცნობები ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა გააცნო საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ საზოგადოებას. მეორე მათგანის, კერძოდ ფრანც ფერდინანდ ტროილოელის ცნობა, რომელიც გრ. ფერადის წიგნში – „უცხოელ პოლიგრაფთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ“ – იყო მოთავსებული, პირველად პროფესორმა გ. ჯაფარიძემ წარმოადგინა, ხოლო ოთხი ავტორის: ლუდოლფ ფონ ზუჰემის, ქვემორაინელი ანონიმის, იოჰან შილდესჰაიმისა და ჟან ტენოს ცნობებს პროფესორმა ა. სილაგაძემ და პროფესორმა გ. ჯაფარიძემ ქ. ქაიროში მოღვაწეობისას მიაკვლიეს და ასევე პირველად მათ გააცნეს მკვლევრებსა თუ სპეციალისტებს. დაბოლოს, მეშვიდე უცხოენოვანი ავტორის, ემილიო დორტელი დასკოლის წყაროს რუსული თარგმანი XX საუკუნის დასაწყისში, 1902 წელს ქ. ოდესაში გამოიცა და ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო. ხსენებული ნაშრომის შინაარსი ქართველ მკვლევართათვისაც იყო ცნობილი და ნაწყვეტი ამ წყაროდან საქართველოში დაიბეჭდა [9: 240-241]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მასში დაცული ცნობა ქართველთა საერო დროშის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში განხილული არ ყოფილა და მას ყურადღება ამ სტრიქონების ავტორმა მიაქცია. ასეთია იმ წყაროთა ჩამონათვალი, რომლებშიც ქართველთა საერო დროშის თაობაზე ყურადსაღები ცნობებია შემონახული და რომელთა მონაცემები ქართულ ვექსილოლოგიაში უკვე გათვალისწინებულია.

ამჯერად გვსურს კიდევ ერთი დასაველეთევროპელი ავტორის, ფილიპი კლუვერის ნაშრომი წარმოგიდგინოთ, სადაც ქართული საერო დროშა აღწერილი. სამწუხაროდ, დღემდე ეს ცნობაც ქართველ ისტორიკოსთა ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი. გერმანელი მკვლევარი ფილიპი კლუვერი (ფილიპიუს კლუვერიუს) XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრობდა (1580-1623 წ.წ.). მისი კვლევის თვალსაწიერი ერთობ ფართოა და ანტიკური ხანის იტალიის, სიცილიის, სარდინიის, კორსიკის წარსულის, აგრეთვე გერმანიის ისტორიის საკითხებს მოიცავს. ფილიპი კლუვერის სახელს უკავშირდება ისტორიული გეოგრაფიის სისტემური კვლევა, რასაც ავტორმა თავისი თხზულება – „Introductio universam Geographiam...“ მიუძღვნა. ეს ნაშრომი მისი სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა და იგი ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის წარმატებულ მცდელობად იქნა აღიარებული. კლუვერის ამ ნაშრომიდან ერთ ნაწყვეტს ჩვენ წავანწყვით პლატონ იოსელიანის წერილში „ქართველთა სხვადასხვაგვარი სახელი“ [10: 115-143]. პლატონ იოსელიანი განიხილავს მის

დროს არსებულ თვალსაზრისებს იმის თაობაზე, თუ რატომ უწოდებდნენ ქართველებს მეორენაირად „გეორგიანებს“ და იმ ერთ-ერთი ვარაუდის წარმოსაჩენად, რომ მათ გეორგიანები წმინდა გიორგის განსაკუთრებული პატივისცემის გამო შეარქვეს, ფილიპი კლუვერის თხზულებიდან შესაბამის ციტატას თარგმანიურთ იმონმებს. აი, ეს თარგმანიც: „Грузины призвали его (წმ. გიორგი – ნ.ჯ.) своим покровителем и приняли изображение его в свой народный и государственный герб. оттого и прозвались Георгианами“ [10: 132]. ამონარიდის ნაკითხვისას ნაშრომის სქოლიოში შევნიშნეთ, რომ სიტყვა „ღერბი“-ს ადგილას ეწერა „vexillis“, რამაც დაგვაეჭვა, ვინაიდან ამ სიტყვიდან შექმნილი ტერმინი ექსილოლოგია დროშების შემსწავლელ დარგს აღნიშნავს. ჩანდა, რომ თარგმანი არ შეესაბამებოდა დედნის შინაარსს. ჩვენ დახმარებისთვის მივმართეთ კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტს, ქალბატონ ჯული შოშიაშვილს. ქალბატონმა ჯულიმ ლათინურ ტექსტს შეადარა რუსული თარგმანი და დაგვიდასტურა, რომ დედნიეული სიტყვა „vexillis“ არასწორად იყო ნათარგმნი, როგორც „ღერბი“ და იგი უნდა შეცვლილიყო სიტყვით „დროშა“, შესაბამისად თარგმანი შესასწორებელი იყო. ამრიგად, სრულიად ცხადი გახდა, რომ ხელთ გვქონდა ცნობა კიდევ ერთი უცხოენოვანი წყაროდან, რომლითაც დასტურდებოდა შუა საუკუნეების ქართულ საერო დროშაზე წმინდა გიორგის გამოსახულება. ჩვენ მოვიძიეთ ფილიპი კლუვერის ხსენებული წიგნი და გავეცანით მასში საქართველოს შესახებ არსებულ ცნობებს² [11]. კერძოდ, ნაშრომის VI წიგნის 564-566 გვერდებზე მოთავსებულია ცნობები იბერიის, მდ. მტკვრის, თბილისის, კოლხიდის (მენგრელთა), მდინარე ფაზისის, ქალაქ ფაზისის, კავკასიისა და კორაქის მთების, დიოსკურიისა და სებასტოპოლისის შესახებ, რაც შეეხება სამეფო დროშას, 564-ე გვერდზე ვკითხულობთ: „საერთოდ ფიქრობენ, რომ სახელი [გეორგია] წმინდა გიორგიდან [მომდინარეობს], რომელიც მფარველად (პატრონად) აღიარეს [ქართველებმა] და რომლის სახეც, როგორც წილხვედრისა, დროშებზე გამოხატეს“³ – „Putant vulgo nomen a S. Georgia, quem patronum agnoscunt, et cuius imaginem in vexillis gerunt, fortitos“. წიგნში დაცული ცნობებიდან ჩანს, რომ ავტორი საკმაოდ გათვითცნობიერებული ყოფილა ქართველი ერის ისტორიის ცალკეულ საკითხებში. მან იცის, სად მდებარეობს საქართველო, იცნობს ქართველების სარწმუნოებას, მათ მართლმადიდებლურ მრწამსს და იმასაც განმარტავს, თუ საიდან წარმოდგება ამ ქვეყნის სახელი გეორგია, რომლითაც მას უცხოელები მოიხსენიებენ. თუმცა ჩვენთვის ყველაზე საგულისხმო ისაა, რომ ფილიპი კლუვერისთვის ცნობილი ყოფილა ქართველთა საერო დროშის იერსახე. მსგავსად სხვა ევროპელი ავტორებისა, ისიც ადასტურებს, რომ ქართველებს დროშებზე წმინდა გიორგი შქონიათ გამოსახული. ამრიგად, XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე გერმანელი გეოგრაფის ნაშ-

2. გესურს მადლობა გადავუხადოთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ ირინა ნაჭყებიას, რომელმაც ფილიპი კლუვერის წიგნის ელექტრონული ვერსია მოგვაძიებინა.

3. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ჯული შოშიაშვილს დახმარებისა და ლათინური ტექსტის ქართულად თარგმნისთვის მადლობას მოვახსენებთ.



რომში დაცული ცნობა საქართველოს სამეფო დროშის შესახებ კიდევ უფრო მეტ ელ ცხადყოფს, რომ ქართველთა საერო დროშა წმინდა გიორგის სახეებით იყო დამშვენებული, ფილიპი კლუვერი გახლავთ მეთავე ავტორი, რომელიც ამ ფაქტს ადასტურებს.

ქართული საერო დროშების ამსახველი ცნობები სხვადასხვა საუკუნეებში მოღვაწე ავტორებს ეკუთვნით. ყველაზე ადრინდელ აღწერილობას სამეფო დროშისა XIV საუკუნის გერმანელი ავტორების ფონ ზუჰემის, ქვემო-რაინელი ანონიმისა და ჰილდესჰაიმის ნაშრომებში ვხვდებით. ყველაზე გვიანდელი ცნობა კი XIX საუკუნეში მცხოვრებ მემატინანეს, თეიმურაზ ბაგრატიონს ეკუთვნის. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ ავტორთაგან უმეტესნი აღწერენ არა სხვათა მიერ მოთხრობილ და მონაყოლ ამბებს, არამედ ისინი საკუთარი თვალთ ნანახსა და უტყუარ ცნობებს გადმოგვცემენ. ასე მაგალითად, მხოლოდ ერთი მათგანი, ჟან ტენო ამბობს, რომ მას მოსმენილი ჰქონია („როგორც გადმოგვცემენ“), თუ როგორ იბრძოდნენ წმინდა გიორგის სახით შემკული დროშებით ქართველები. დანარჩენი ავტორები დამაჯერებლად მოგვითხრობენ დროშის შესახებ, მათი მონაყოლი კითხვებს არ იწვევს, ხოლო ოთხი მათგანი – ტიმოთე გაბაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი, ფონ კოტოვიჩი და დორტელი დ'ასკოლი თვითმხილველნი იყვნენ, მათ საკუთარი თვალთ ჰქონდათ ნანახი სხვადასხვა ქართულ დროშებზე, იქნებოდა ეს სეფე დროშა თუ სამხედრო და სხვა სახის დროშები, წმინდა გიორგის სახე. აქვე ისიც უნდა დავსაძინოთ, რომ დღემდე შემორჩენილ და ჩვენამდე მოღწეულ სასარდლო და საერისთავო დროშებზეც, რომლებიც სეფე დროშის დარად იქმნებოდნენ და, ამდენად, სამეფო დროშის იერსახეს იმეორებენ, წმინდა გიორგია ამოქარგული, რაც ირიბად ადასტურებს სამეფო დროშის აღწერილობას. ერთი სიტყვით, უტყუარი ფაქტი გახლავთ, რომ შუა საუკუნეებში ქართული სამეფო დროშა წმინდა გიორგის სახეებით იყო შემკული, ვინაიდან ამას ჩვენს ხელთ არსებული ყველა ისტორიული წყარო ერთხმად ცხადყოფს. ადრეც გვითქვამს და იძულებული ვართ კვლავაც გავიმეოროთ, რომ არ არსებობს არც ერთი ისტორიული წყარო, „ხუთჯვრიანი“ დროშის სასარგებლოდ რომ მეტყველებდეს. „ხუთჯვრიანი“ დროშა, რომლითაც ევროპულ პორტულანებზე ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქალაქებია მონიშნული, არასოდეს ყოფილა ქართული სამეფო დროშა. მეტიც, იგი უცხოა სრულიად მართლმადიდებელი სამყაროსთვის და ყოველთვის აღიქმებოდა და დღესაც ასოცირდება ევროპელ ჯვაროსანთა დამპყრობლურ პოლიტიკასთან.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ტ. გაბაშვილი, „მიმოსვლა“, ქართული მწერლობა, ტ. VIII, თბ., 1990.
2. თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორია დაწყებითიდან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სახელად საქართველო, სპბ, 1848.
3. ს. ბარნაველი, ქართული დროშები, თბ., 1953.

4. ნ. ჯაველიძე, ქართველთა საერო დროშის გამო, პროფ. რ. სირაძის 75 წლის-თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული „მშვენიერების ძიებაში“, თბ., 2012.
5. ა. სილაგაძე, გ. ჯაფარიძე, ისევ ქართული სიმბოლიკის შესახებ, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 29 ნოემბერი - 5 დეკემბერი, 2002.
6. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984.
7. ნ. ჯაველიძე, კიდევ ერთი ცნობა შუა საუკუნეების საქართველოს დროშის შესახებ, ჟურნალი „პერსპექტივა XXI“, XI, თბ., 2009.
8. ა. სილაგაძე, გ. ჯაფარიძე, ავმართე დროშა მეფისა, აღმთა წითელ-შავითა, თბ., 1999.
9. Дж. Гамахория, Бадри Гогия, Абхазия - историческая область Грузии, Тбилиси, 1997.
10. П. Иоселиани, Различные наименования грузинов, Ж.М.Вп.Д., 1844, ч.VI.
11. Ph. Cluverii, Introductio in Universam Geographiam, tam Veterem quam Novam, Libri VI, Leiden, 1627.

NINO JAVELIDZE

GERMAN GEOGRAPHER PHILIPPI CLUVERII'S NEW INFORMATION ABOUT GEORGIAN NATIONAL FLAG IN THE MIDDLE CENTURIES GEORGIA

Summary

According to information received from reached to us original historical sources in the nine different languages it is known that in the middle centuries there was depict the St. Georg martyr on the Georgian national flag. In the present study we present German geographer Philippi Cluverii's (1580-1623) information about the Georgian national flag. These data prove once more the truthfulness mentioned above depiction of the Georgian Kings flag. Note should be taken, that the Philippi Cluverii's information from "Introductio Geographiam..." was not taken in account in Georgian Vexillology.

НИНО ДЖАВЕЛИДЗЕ

НОВЫЕ СВЕДЕНИЯ НЕМЕЦКОГО ГЕОГРАФА ФИЛИППА КЛЮВЕРА О ГОСУДАРСТВЕННОМ ФЛАГЕ СРЕДНЕВЕКОВОЙ ГРУЗИИ

Резюме

Из дошедших до нас девяти разноязычных исторических источников стало известно, что на Государственном флаге Грузии в Средние Века изображали Св. Великомученика Георгия. В данной статье мы приводим сведения немецкого географа Филиппа Кловера (1580-1623 гг), касающиеся Государственного флага Грузии. Эти данные еще раз доказывают правдивость вышеописанного изображения флага грузинских царей. Следует отметить, что сведения из "Introductio Geographiam..." Филиппа Кловера по сей день не были учтены в грузинской вексиллологии.

მარიკა მშვილდაძე

**დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქების
მოსახლეობის რელიგიური კუთვნილების საკითხისათვის ახ. წ. I-IV სს.
(გლიპტიკური მასალის მიხედვით)**

საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქები აფსაროსი, ფასისი, სებასტოპოლისი, პიტუნტი (ახ. წ. II საუკუნიდან) ახ. წ. I-IV სს-ის რომისათვის სტრატეგიული დანიშნულების მნიშვნელოვან თავდაცვით სისტემაში შედიოდნენ, როგორც პროვინცია – კაპადოკიის გარკვეული ნაწილი, რომელიც რომაელთა ბატონობის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ფორპოსტი იყო კავკასიაში. კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში რომაელთა გარნიზონები იდგნენ. აღნიშნული ე. წ. ციხე-ქალაქების პორტებში განლაგებული იყო რომაელთა სამხედრო ხომალდები, რომლებიც აკონტროლებდნენ ტრაპეზუნტის ჩრდილო შავიზღვისპირეთთან დამაკავშირებელ სამხედრო კომუნიკაციებს.

II ს-ის პირველ ნახევარში რომაელთა სამფლობელოები სებასტოპოლისთან მთავრდებოდა (Arr., PPE, 17). მათი ბატონობის ძირითადი საყრდენი პუნქტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში თავდაპირველად სებასტოპოლისის კასტელუმი იყო. ახ. წ. II საუკუნის ბოლოდან, რომაელთა უკიდურესი სასაზღვრო ფორპოსტი დასავლეთ ამიერკავკასიაში სებასტოპოლისის „ფრურიონიდან“ პიტუნტის ციხესიმაგრეში გადადის, რასაც ნყარობიც ადასტურებს.

თეოდორიტი კვირელი (394-457 წწ.), როდესაც იოანე ოქროპირის პიტუნტში გადასახლებას ეხება, აღნიშნავს, რომ „პიტუნტი არის უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი“ (Teod., V, 34). რომაული სამხედრო ნაწილების ჩადგომა პიტუნტში ახ. წ. II ს-ის შუა ხანებიდან, კერძოდ 135-152 წწ-იდან შეიძლება ვივარაუდოთ, რაც მომთაბარე ტომების – პენიოხების თავდასხმას უნდა დაუკავშიროთ. პიტუნტი II ს-ის ბოლოდან მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ხდება. როგორც აღვნიშნეთ, ახ. წ. II საუკუნის ბოლოს რომის ბატონობის ფორპოსტი სებასტოპოლისის „ფრურიონიდან“ გადადის პიტუნტში, სადაც რომაელები აგებენ საფორტიფიკაციო ნაგებობებს და სადაც ჩნდება საქალაქო დასახლება (კანაბე). პროკოფი კესარიელის მიხედვით, სანიგების მიწის ზღვისპირა ნაწილი ძველთაგანვე ეპყრათ რომაელებს, რომლებმაც აქ ორი ქალაქი – სებასტოპოლისი და პიტუნტი ააგეს.

II ს-ის შუა ხანებში პიტიუნტში ჩაყენებულია XV ლეგიონის¹ ვექსილარცნი, რომლის რაოდენობა ბიჭვინთის კასტელუმის ზომების მიხედვით (140x170 მ), ერთ კოჰორტას არ აღემატება. აქედან გამომდინარე, პიტიუნტის კასტელუმი საკოჰორტო, საშუალო სიდიდის ციხესიმაგრედ უნდა ჩითვებოდეს [1: 73].

აფსაროსი, რომელსაც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა ჰქონდა, უშუალოდ ემეზობლებოდა იმ დროისათვის საკმაოდ ძლიერ და რომისათვის მნიშვნელოვან იბერიის სამეფოს, არიანეს დროს (ახ. წ. 131 წ.) უკვე იყო „Castella Murata“ ტიპის მუდმივმოქმედი კასტელუმი.

აფსაროსი რომაული ციხესიმაგრეების საერთო სტანდარტებიდან გამომდინარე, საშუალო სიდიდის ბანაკების კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს, სადაც „ხუთი კოჰორტა“ იდგა (Arr., PPE, 6). მკვლევართა უმეტესობას აფსაროსში დისლოცირებული სამხედრო შენაერთები ლეგიონურ გარნიზონად მიაჩნია [2: 169-170]. როგორც ცნობილია, II ს-ში ლეგიონის ძირითადი ერთეული – კოჰორტა 600 მეომრისაგან შედგებოდა. წყაროდან გამომდინარე გამოდის, რომ აქ 3000 ჯარისკაცი იდგა. სამხედრო ძალის ამგვარი კონცენტრაცია კი საკმაოდ დიდია ნებისმიერი ციხე-სიმაგრისათვის [3: 135]. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს წარწერა აბელიდან, ქ. ნოლას (იტალია) მახლობლად, რომელიც გვამცნობს, რომ მარციო პრეტორიო ცელერი დაჯილდოებული იყო ტრაიანეს მიერ პართიის წინააღმდეგ (113-117 წწ.) ბრძოლაში მონაწილეობის გამო, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში პონტოს აფსაროსში განლაგებული რომის დამხმარე ნაწილების (ნუმერორუმ) სარდლის (პრავოსიტუს) მოვალეობას ასრულებდა [4: 310-311]. ნუმერები, თავის მხრივ, წარმოადგენდნენ სასაზღვრო დამხმარე ნაწილებს, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ საშუალო ზომის სიმაგრეებსა და სათვალთვალ პუნქტებში, რომელთა მოვალეობასაც ახლომდებარე სიმაგრეების თვალყურის დევნება წარმოადგენდა. მკვლევართა ნაწილი აღნიშნულ სამხედრო შენაერთებს დამხმარე კოჰორტებად თვლის და აღნიშნავენ, რომ აფსაროსის სიმაგრის ზომებიდან გამომდინარე (195x245 მ), ის დაახლოებით 1200-1400 ჯარისკაცს იტევდა, რაც საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდა. აფსაროსის გარნიზონი ფასისის, სებასტოპოლისისა და პიტიუნტის გარნიზონთა რაოდენობას საგრძნობლად სჭარბობდა, რაც გამოწვეული იყო იბერიის ძლიერ სამეფოსთან უშუალო მეზობლობით, რომელიც მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს – დარიალის ხეობას აკონტროლებდა. ერთდროულად აფსაროსი წარმოადგენდა მოსახერხებელ პუნქტს მთელი კავკასიის გასაკონტროლებლად. ამასთანავე, რომის იმპერიისათვის იგი უკიდურესი აღმოსავლეთ ფორპოსტია, რომელთანაც დაკავშირება შესაძლებელი იყო ზღვით. აფსაროსი შპერერფესტ²-ი, დამცავი პუნქტია კავკასიის მხრიდან საშიშროების შემთხვევაში [5: 33-39].

1. XV Legio Apollinaris იერუსალიმის ალბის შემდგომ, ტიტუსს (Caesar Titus Vespasianus Augustus 71-81 წწ.) ახლდა ალექსანდრიაში, შემდეგ მასთან ერთად დაბრუნდა პანონიაში. აღმოსავლეთში ამ ლეგიონის დაბრუნება შესაძლოა ტრაიანეს (Caesar Nerva Traianus Augustus 98-117 წწ.) პერიოდში პართიასთან ომით იყო განპირობებული. აღრიანეს (Caesar Traianus Hadrianus Augustus 117-138 წწ.) დროს იგი XII Legio Fulminata-სთან ერთად კაპადოკიაში.



ნაშრომში პიტიუნტისა და გონიო-აფსაროსის მაგალითზე განვიხილავთ აღნიშნულ ქალაქებში არსებულ რელიგიურ სიტუაციას ახ. წ. I-IV სს-ში გლიპტიკური მასალის მიხედვით. გლიპტიკური ძეგლები ნივთიერი კულტურის ის მხარეა, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს ამა თუ იმ ქვეყნის, ქალაქის განვითარებას, ის საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ ვიქონიოთ მის საეკონომიკურ, სოციალურ, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე, გემების მფლობელის ქონებრივ მდგომარეობაზე. ჭრილაქვები გვევლინება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლად რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, არსებული კულტების, გავრცელებული ღვთაებების შესახებ.

ჩვენ ამოცანას წარმოადგენდა განგვესაზღვრა, თუ კონკრეტულად რომელ რელიგიასთან იყო დაკავშირებული გონიო-აფსაროსისა და პიტიუნტის ტერიტორიაზე დაფიქსირებული გლიპტიკური ძეგლების სიუჟეტები და აისახებოდა თუ არა გლიპტიკის ნიმუშებზე ის ცვლილებები, რომელსაც ახ. წ. დასაწყისიდან აქვს ადგილი ანტიკური სამყაროში, რაც ახალი მონოთეისტური რელიგიის – ქრისტიანობის გავრცელებაში მდგომარეობს. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ პერიოდს (II-IV სს.) განეკუთვნება პიტიუნტისა და გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გლიპტიკის ნიმუშები.

ზემოაღნიშნულს ემატება ის ფაქტიც, რომ როგორც გონიო-აფსაროსი, ისე პიტიუნტი ქართული ქრისტიანული კულტურისათვის განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელი ქალაქებია. კერძოდ, პიტიუნტმა საქართველოს ზღვისპირეთის ამ უმნიშვნელოვანესმა კულტურულ-პოლიტიკურმა და სტრატეგიულმა ცენტრმა, რომელიც II საუკუნიდან არსებობს, როგორც რომის იმპერიის სამხედრო-სტრატეგიული ფორპოსტი, III ს-ის ბოლოსა და IV ს-ის დასაწყისიდან განსაკუთრებული რელიგიური დატვირთვა მიიღო და იქცა ახალი – ქრისტიანული ცივილიზაციის საყრდენ პუნქტად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. იმავდროულად, აფსაროსს უკავშირდება III-IV და მომდევნო საუკუნეების წყაროები ქრისტეს მოციქულთა მისიონერული საქმიანობის შესახებ (დოროთეოს ტვირელი, ეპიფანე კვიპრელი, სოფრონი, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, „პასქალური ქრონიკა“...). იერონიმეს თხზულებების დამატებაში, რომელიც სოფრონის (IV ს.) მიეწერება აღნიშნულია, რომ „მატათამ... იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში (კოლხეთი), სადაც არის აფსაროსი ციხე და ჰისის ნავსადგური. იქვე გარდაიცვალა და დამარხებულია დღემდე“ [6: 223-224]. შესაბამისად, ფრიად ღირებულია იმ ფაქტის დადგენა, აისახა თუ არა ყოველივე გლიპტიკის ნიმუშებზე, თუ აღნიშნული პერიოდისათვის პიტიუნტსა და გონიო-აფსაროსში ჭრილაქვები რჩებოდა ანტიკური სამყაროს კუთვნილებად.

ბიჭვინთის სამაროვნის ტერიტორიაზე აღმოჩენილია 28 ჭრილაქვა. მათ შორის არის ორი პორტრეტული გემა (ინვ. №1416; ინვ. №1436), ღვთაებები – შვიდი ეგზემპლარი, რომელთა უმრავლესობა უძველეს ბერძნულ-რომაულ ღმერთებად გვევლინება. მაგალითად: აფროდიტე (ინვ. №1419), დემეტრა (ინვ. №1429), ამური და ფსიქეა (ინვ. №1431; ინვ. №1432), დელფინზე მჯდარი ამური (ინვ. №1423), სამი გრაცია (ინვ. №1418), ჰერმესი (ინვ. №1437).

აქვე დაფიქსირებულია გემა ფანტასტიკური ცხოველის – გრიფონის გამო-
სახულებით (ინვ. №1414)².

ბიჭვინთის სამაროვანზე აღმოჩენილ გემებზე კარგად არის წარმოდგენი-
ლი როგორც ცხოველთა და ფრინველთა სამყარო – დელფინი (ინვ. №1420),
კრევეტი (ინვ. №1422; ინვ. №1425), ლომი (ინვ. №1426), მორიელი (ინვ.
№1427), კობორჩხალა (ინვ. №1415), ფუტკარი (ბუზი) (ინვ. №1428), თუთიყუ-
ში (ინვ. №1435), ისე სიმბოლოები – ვაზა ორი თავთავითა და ყყაჩოს ყვა-
ვილით (ინვ. №1417), პურის ორი თავთავი (ინვ. №1430), ხელისჩამორთმევა
(ინვ. №1429/1), დაფნის გვირგვინი (ინვ. №1433; ინვ. №1434)... საკურთხევე-
ლი (ბომონი) (ინვ. №1424), ფიქსირდება წარწერიანი გემა (NI) (ინვ. №1421)...

ნიშანდობლივია, რომ ბიჭვინთის სამაროვანზე აღმოჩენილი ქრილაქვე-
ბის გამოსახულებები გავრცელებას ჰპოვეს ადრექრისტიანულ სამყაროშიც,
მაგალითად გრიფონი, დელფინი, ლომი... რომლებიც ახალი წელთაღრიცხვის
პირველ საუკუნეებში ადრექრისტიანულ სიმბოლოებად იქცევა. შესაბამისად,
ბიჭვინთის დატვირთვიდან გამომდინარე, არ იყო გამორიცხული შესასწავლი
პერიოდისათვის (III-IV სს.) მათი ქრისტიანული სამყაროსათვის კუთვნილების
ფაქტი, მაგრამ ვითვალისწინებთ რა ზემოაღნიშნული სიუჟეტების მქონე გე-
მების აღმოჩენის გარემოებებს, კერძოდ სამარხის ტიპსა და მიცვალებულის
თავის დამხრობას, სიუჟეტებს ანტიკური სამყაროს კუთვნილებად მივიჩნევთ.

ბიჭვინთის სამაროვანზე აღმოჩენილი გლიპტიკური მასალის შესწავლის
შედეგად დგინდება, რომ პიტიუნტში საკმაოდ გავრცელებული ჩანს ბერძ-
ნულ-რომაული ღვთაებები, ძირითადად დაფიქსირებულია ადამიანის პირადი
ქონებისა და კეთილდღეობის მფარველი ღმერთები და მათთან დაკავშირე-
ბული სიმბოლოები. ეს კი ხდება იმ დროს, როდესაც დგინდება ქრისტიანული
სიმბოლოების – გულზე სატარებელი და სხვა ტიპის ჯვრების, აზულეტების,
ლამპრების, მინის ჭურჭელის და ადრექრისტიანული სიმბოლოიანი ნითელლა-
კიანი კერამიკის გაჩენა პიტიუნტის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში. აქვეა
აღმოჩენილი ქვიშა-ქვის მონოლითური სტელა, რომელშიც რკინის ჯვარი იყო
ჩადებული და რომელიც ფარული ქრისტიანის საფლავზე იყო აღმართული...
კვლევის შედეგად ასევე ირკვევა, რომ პიტიუნტის სამაროვანზე II-IV სს-ში
დაკრძალული მოსახლეობის 20% ქრისტიანი იყო [9: 47], საიდანაც შეგვიძლია
დავასკვნათ, რომ პიტიუნტში ყოველი მეხუთე ქრისტიანი ცხოვრობდა, რაც
აღნიშნული პერიოდისათვის საკმაოდ დიდი ციფრია. ქრისტიანულ რელიგიას-

2. გრიფონი – ნახევრადარნივი-ნახევრადლომი – ფანტასტიკური, მითოლოგი-
ური არსებაა გველის დიდი კუდით. ფ. აკერმანის მიხედვით, გრიფონი განასახ-
იერებს მზის ორმაგ სახეს [7: 795]. ეს ფანტასტიკური ცხოველი სიმბოლოურად
ყოფიერების ორ სფეროზე – მინასა და ცაზე ბატონობის სიმბოლოური გამოხატ-
ულებაა. მზის სტიქიის ორი მთავარი ცხოველის (არნივი, ლომი) ერთ არსებაში
გაერთიანება მზეს, სიძლიერეს, სიფხიზლეს... განასახიერებს. ანტიკური სინამდ-
ვილეში გრიფონი ჰერალდიკური ცხოველის როლს ასრულებდა. გამოისახებოდა
რომაულ სასახლეებში, განსაკუთრებით შენობების პორტალზე, როგორც ლომე-
ბზე, გველებზე, ბოროტ ძალებზე გამარჯვების სიმბოლო. გრიფონი ცალკე დგას.
იგი ამაღლებულია გველებსა და ზღვის ცხოველებზე [8: 202-204].

თან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალის შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ პიტიუნტი იმპერიაში მიმდინარე პროცესების ეპიცენტრში იმყოფებოდა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესები მის ცხოვრებაზეც აისახებოდა. გამო-
 ნაკლის სწორედ გლიპტიკური ძეგლები წარმოადგენს, რაც, ჩვენი აზრით, ქალაქის (კანაბეს) მოსახლეობის გარკვეული ნაწილის რელიგიური ორიენ-
 ტაციის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. როგორც ცნობილია, კანაბეს მცხოვრებლებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მრავალი მილეთის ხალხი შეადგენდა – ვაჭრები, ხელოსნები, ვეტერანები, რომლებიც სხვა-
 დასხვა საქმიანობით იყვნენ დაკავებულები, ჯარისკაცის ოჯახები, თავადა-
 საველების მადიებლები...

გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე გვიანანტიკური და ადრემუხასაუკუნეების საქალაქო ცენტრს წარმოადგენდა, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიაში 1995-1998 წწ. არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ასევე იქნა აღ-
 მოჩენილი გლიპტიკური მასალა. მათი რაოდენობა არცთუ ისე დიდია და სულ ხუთი ნიმუშით შემოიფარგლება. ეს არის ადამიანის პირადი ქონებისა და კეთილდღეობის მფარველი ღვთაება ტიხე-ფორტუნა (ინვ. №265), საკურთხ-
 ევლის გამოსახულებიანი გემა (ინვ. №880), სამფურცელა სტილიზებული მცენარე (ინვ. №879), ცხოველთა სამყარო დელფინის სახით (ინვ. №899) და წარწერიანი ინტალიო (ინვ. №773).

პიტიუნტის მასალისაგან განსხვავებით, გონიო-აფსაროსის გლიპტი-
 კური ძეგლები სამაროვნის ტერიტორიაზე არ იქნა დაფიქსირებული, რაც ერთი მხრივ აძწელებს სიუჟეტებთან დაკავშირებით დაბეჭდვით რაიმეს მტიკიებას. შესაბამისად, ჩვენ მხოლოდ გამოსახულების სტილის მიხედვით შეგვიძლია დასკვნების გაკეთება. აქედან გამომდინარე, გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე დაფიქსირებული დელფინის გამოსახულებიან ინტალიოს ჩვენ ანტიკური სამყაროს მივაკუთვნებთ.

ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ როგორც ბიჭვინთის, ისე გო-
 ნიო-აფსაროსის ტერიტორიაზე დაფიქსირებული გვიანანტიკური პერიოდით დათარიღებული ჭრილაქვების თემატიკა რომაული გლიპტიკისათვის ჩვეუ-
 ლებრივ დამახასიათებელი თემატიკისაგან არ განსხვავდება და თითქმის მთელს რომის იმპერიაში ფიქსირდება. ანალოგიური სიუჟეტები ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზეც, კერძოდ მცხეთაში, ურბნისის მიდამოებში... [10; 11; 12].

გამონაკლისს, ჩვენი აზრით, სამფურცელა სტილიზებული მცენარეს გამოსახულებიანი ინალიო უნდა წარმოადგენდეს (ინვ. №879) (ანალოგიურ გამოსახულებას ვერსად მივაკვლიეთ), რაც შესაძლებელია ასევე ადამიანის პირად კეთილდღეობასთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ აქვე დაისმის კითხ-
 ვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნას აღქმული აღნიშნული გამოსახუ-
 ლება – რომელ რელიგიურ მოძღვრებასთან უნდა იქნას ის დაკავშირებული ახ. წ III-III სს-ის მიჯნაზე? გონიო-აფსაროსში არსებული რელიგიური სიტუა-
 ციიდან გამომდინარე, კერძოდ, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ სწორედ

აფსაროსს უკავშირდება III-IV და მომდევნო საუკუნეების ნყაროები ქრისტეს მოციქულთა მისიონერული საქმიანობის შესახებ (დოროთეოს ტვირელი, ეპიფანე კვიპრელი, სოფრონი, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, „პასქალური ქრონიკა“...), რომ გვიანანტიკურ პერიოდში აფსაროსზე გადის სატრანზიტო გზა სებასტოპოლისამდე, რომელიც შემდეგ ერთი სომხეთის მიმართულებით, ხოლო მეორე ჩრდილოეთ კავკასიაში გადადის, რაც განსაკუთრებული დატვითვის მატარებელია, ვინაიდან მკვლევართა ნაწილი სწორედ ამ გზას მიიჩნევს IV ს-ის რომელი გეოგრაფოსის კასტორიუსის რუკაზე ასახულად, რომელსაც ტრაპიზონიდან საქართველოში ქრისტეს მოციქულთა შემოსვლას უკავშირებენ [13:7]. არ არის გამორიცხული, ახ. წ. II-III სს-ში საქართველოს შავიზღვისპირეთში სამფოთლოვანი მცენარის გამოსახულება ადრექრისტიანულ სიმბოლიკას უკავშირდებოდა და ინტალიოზე დატანილი სიუჟეტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე რელიგიურ ცვლილებებზე მიუთითებდა.

პიტიუნტსა და გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე დაფიქსირებული ყველა ინტალიო, ფორმის მიხედვით, არ სცილდება გვიანანტიკურ ხანას. ქვის სახეობები ახ. წ. II-IV სს-ით თარიღდება და რომაული გლიპტიკისთვის არის დამახასიათებელი. არ არის გამორიცხული ინტალიოების დიდი ხნის განმავლობაში ხმარების შემთხვევები.

ამრიგად, კვლევის შედეგად დგინდება, რომ გონიო-აფსაროსისა და პიტიუნტის ტერიტორიაზე ჩვენს ხელთ არსებულ გლიპტიკის ნიმუშებზე ნაკლებად აისახა რომის იმპერიაში, განსაკუთრებით კი მის აღმოსავლეთ პროვინციებში მიმდინარე რელიგიური ცვლილებები, რაც ქრისტეს მოძღვრების გავრცელებაში მდგომარეობდა და ჭრილაქვები (მათი მფლობელები) ანტიკური სამყაროს კუთვნილებად დარჩა.

ნყაროები და ლიტერატურა:

1. გ. გამყრელიძე, თ. თოდუა, რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში, თბ. 2006.
2. T. B. Millford, Cappadocia and Armenia Minor. ANRW, 7,2, 1975, p. 1169-1170.
3. მ. შაიდელო, კავკასიის საზღვარი, II ს. გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“ (ისტორიის სერია), თბ. 1985, №1, გვ. 134-140.
4. Л. А. Ельницкий, Из исторической географии древней Колхиды. ВДИ, 1938, №2/3.
5. Ш. Мамуладзе, М. Халваши, Л. Асланишвили, Римские гарнизоны Ансара. ВДИ, №1, 2002.
6. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1954.
7. Ph. Ackerman, Sasanian Seals, dans AU Pope. A Survey of Persian Art, 1938/39.
8. Lexikon der christlichen Ikonographie. Allgemeine Ikonographie, Rom-Freiburg-Basel-Wien, III, 1971.
9. М. Мшвилдадзе, О распространении христианства в Западной Грузии (Питиунт), Кавказоведение, №3, М. 2003, с. 44-49.
10. М.И. Максимова, Геммы из некрополя Мхета-Самтавро. ССМ, XVI, თბ. 1950.

11. ქ. ჯავახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ. 1972.
12. ქ. რამიშვილი, სასანური გემები საქართველოში, თბ. 1978.
13. ბ. დიასამიძე, ქრისტეს პირველმოციქულები გონიო-აფსაროსში, ქრისტიანული არქეოლოგიის მესამე სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბ. 1999, გვ. 6-8.

MARIKA MSHVILDADZE

**TO THE QUESTION ABOUT THE RELIGIOUS BELONGINGS OF
THE POPULATION OF CITIES ON THE EASTERN BLACK SEA
LITTORAL (ACCORDING TO THE GLYPTIC MATERIALS)**

Summary

In denoted work is studied existed religious situation in the I-IV cc. A.D. according to the glyptic material on the Eastern Black Sea territory (Bichvinta, Gonio-Apsaros). Our aim was to define concretely with which religion were connected the subjects of glyptic monuments that were found on Gonio-Apsaros and Bichvinta territory and were reverberated or not those changed on glyptic samples that have place in Ancient epoch from the 1st c. A.D. that is in spreading of new monotheistic religious – Christianity.

28 seal rings have been found on the territory of Bichvinta. Among them are two portrait gemmas, deities – seven copies. For example: Aphrodite, Demetra, Psiche and Amour, Amour sitting on the dolphin, three Graces, Hermes. Among tree samples a gemma with the representation of an interesting and fantastic animal – Gryphon was found. On the gemmas which are displayed on Bichvinta cemetery are well represented as animals so birds – dolphins, shrimps, lion, scorpion, crab, bee (fly), parrot, symbols – a vase with two wheatears and a poppy flower, two wheat-ears, symbol like shaking hands, laurel crown, altar (bomon) and some gemmas with inscription (NI)...

In 1995-98 years by the ways of archaeological excavations were discovered glyptic materials on territory of Gonio-Apsaros. Their quantity is not so big they are represented with 5 samples. They are: Tikhe-fortune, gemmas with representation of altar, stylized plant; animals by imagine of dolphin, and intaglio with an inscription.

Studies of glyptic material discovered on Bichvinta and Gonio-Apsaros territory shows that there is quite spread Greek-Roman deities, mainly are fixed patron gods of human's private property and prosperity and symbols connected with them.

All fixed intaglios displayed on Pitiunti and Gonio-Apsaros territory by form are dated by Late Antique period. Stone varieties are dated by 2nd-4th cc. A.D. and are typical for Roman glyptic.

There is not excluded the long time use cases of intaglios.

So by results of studies is identified that current religious changes were less reverberated on existed glyptic samples in Roman Empire, especially in its eastern provinces, that was in spread of Christ's teaching and seal rings were left as belonging to the Ancient world.

МАРИКА МШВИЛДАДЗЕ

**О РЕЛИГИОЗНОЙ ПРИНАДЛЕЖНОСТИ НАСЕЛЕНИЯ
ЗАПАДНОГРУЗИНСКИХ ГОРОДОВ ЧЕРНОМОРСКОГО
ПОБЕРЕЖЬЯ В I-IV ВВ. Н.Э.
(ПО ПАМЯТНИКАМ ГЛИПТИКИ)**

Резюме

В работе исследована религиозная ситуация в западногрузинских городах в I-IV вв. н.э. по памятникам глиптики. Целью нашей работы представляло выяснение, конкретно, с какой религией были связаны сюжеты на памятниках глиптики найденных на территории Питиунта и Гонио-Апсара и отражались ли на памятниках глиптики те религиозные изменения, которые происходили, начиная с первых веков новой эры, связанные с распространением новой монотеистической религии – Христианством.

На территории пицундского могильника выявлено 28 гемм, среди которых две портретные геммы, божества – сем экземпляров, такие, как Афродита, Деметра, Психия и Амур, Амур сидячий на дельфине, три Грации, Гермес. Также зафиксирована гемма с изображением фантастического существа Грифона. На пицундских геммах хорошо представлены, как животный и птичий мир – дельфин, креветка, лев, скорпион, пчела (муха), попугай, так и символы – ваза с двумя колосьями и цветком мака, два колоса, рукопожатье, лавровый венок... алтарь. Также зафиксирована гемма с надписью.

На территории Гонио-Апсара в 1995-1998 гг. во время археологических работ, также были выявлены памятники глиптики. Их количество ограничивается пятью экземплярами. Это- Тихе-Фортуна, алтарь, изображение трёхлистного растения, животный мир в виде дельфина и интальо с надписью.

Исследование памятников глиптики Питиунта и Гонио-Апсара показывают, что в этих городах были распространены божества греко-римского пантеона. Главным образом, это божества и символы, охраняющие личное имущество и благосостояние человека, общераспространённые на резных камнях римского времени.

Геммы выявленные на территории Питиунта и Гонио-Апсара датируются позднеантичным периодом. Как резные камни, так и формы перстней датируются II-IV вв. н. э., они не отличаются от памятников глиптики распространённых в римском мире. Не исключено долгое использование инталии.

Исходя из изучения памятников глиптики можно прийти к выводу, что на геммах выявленных на территории Питиунта и Гонио-Апсара, мало отразились те религиозные процессы (распространение христианства), которые происходили в античном мире, а в особенности, в восточных провинциях римской империи.

პანტაფილი

სად მდებარეობდა ანდრია პირველწოდებულის მიერ დამოქვეყნებული „ქუთაისის სკოლა“, ვინ იყვნენ სოფლიანები და გორსინები?

ქრისტეს ერთ-ერთი მოციქულის – ანდრია პირველწოდებულის „ცხოვრებასა“ (ავტორი ეპიფანე კონსტანტინოპოლელი. VIII ს.) და „მიმოსვლაში“ (ავტორი ნიკიტა-დავით პაფლაგონიელი, გარდ. 890 წ.) არსებული ის ცნობები, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ანდრია მოციქულის მისიონერულ მოღვაწეობას ეხება, ჩვენ მეცნიერებაში მაინცდამაინც დიდი კვლევის საგანი არ ყოფილა. იმ ფაქტმა, რომ ამ ავტორთა თხზულებები ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის დროიდან (ახ.წ. I ს-ის 30-40-იანი წლები) საკმაოდ დაშორებულ ხანაში შეიქმნა და დასახელებულ თხზულებებშია, ანდრია მოციქული იბერთა გარდა: სავრომატების, ტაერებისა და სკვითების განმანათლებლად და დასახელებული, ასევე რადგან ზოგი ძველი ავტორი (მაგალითად, ორიგენე. გარდ. 253/54) ისტორიული საქართველოს ცალკეულ მხარეებს და თვით საქართველოსაც კი სკვითეთად მიიჩნევდა, აკად. ივ. ჯავახიშვილს საფუძველი მისცა ანდრია მოციქულის მისიონერული მოღვაწეობა არათუ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, არამედ საქართველოშიც უარეყო. 1900 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში იგი წერდა: „ქართველობას მეცხრე საუკუნემდის ანდრიას იბერიაში მიმოსვლისა და ქადაგებაზე არა სცოდნია რა“, „ეს თქმულება ბიზანტიიდან შემოიტანეს ქართველმა ბერებმა სამშობლოში და გაავრცელეს“ [1: 41-45]. ივ. ჯავახიშვილის ეს დებულება აისახა მისი „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე – 1913 წლის გამოცემაში [2: 237-238]. ამის შემდეგ ეს წიგნი შევსებულ-გადამუშავებული სახით ოთხჯერ (1928, 1951, 1960, 1979) გამოიცა, და, ცხადია, მათში ივ. ჯავახიშვილის დასკვნები ანდრია პირველწოდებულის (საერთოდ ქრისტეს მოციქულთა) საქართველოში მისიონერული მოღვაწეობის შესახებ მეორედ-ბოდა. გასული საუკუნის 30-იანი წლებში დაწერილი მისივე წერილი „ანდრია მოციქული“¹ დაიბეჭდა 1975 წელს „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ პირველ ტომში (გვ. 448), რაც იმას მონშობს, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისს ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ იმდროინდელი ქართული მეცნიერება, უფრო სწორად ენციკლოპედიის სამეც-

1. იმ ხანად გამოსაცემად მზადდებოდა „დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, მაგრამ ომის დაწყების წინ რედაქციამ მუშაობა შეწყვიტა. აკად. ივ. ჯავახიშვილის წერილი ამ გამოცემისათვის იყო განკუთვნილი.

ნიერო-საკონსულტაციო საბჭოს საქართველოს ისტორიის თავჯდომარე, ალექსანდრე თელიძე.

ანდრია პირველწოდებულისა და ქრისტეს სხვა მოციქულთა საქართველოში მოღვაწეობის საკითხზე აკად. ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოჩენილმა მკვლევარმა აკად. კ. კეკელიძემაც გაიზიარა, რამაც კიდევ უფრო გაამყარა აკად. ივ. ჯავახიშვილის შეხედულება.

აკად. კ. კეკელიძის თქმით, ჩვენი ძველი მწერლების მოწმობა, თითქოს საქართველოში ქრისტეს მოციქულებმა (ანდრია, სიმონ კანანელი, მათათა და ბართლომე) იქადაგეს, „სიმართლეს არ შეეფერება“. ანდრია მოციქული არასდროს კავკასიაში არ ყოფილა. ქრისტეს მოციქულთა საქართველოში მოღვაწეობის შესახებ შეხედულება, – დასძენს კ. კეკელიძე, – საქართველოში „მეთათე-მეთერთმეტე საუკუნიდან დამყარებულა, ხოლო მანამდის მას ჩვენში ადგილი არ ჰქონია და არც ჩვენს წინაპრებს სცოდნიათ ის“. „არც ერთი მოციქული საქართველოში არ ყოფილა და არ უქდაგია“ [3: 254-259].²

ქრისტეს მოციქულთა საქართველოში მისიონერული მოღვაწეობის საკითხზე ჩვენი სახელგანთქმული მეცნიერების ასეთი შეხედულების გამო პროფ. რ. სირაძე 1992 წელს გამოცემულ ნაშრომში წერდა: „სამწუხაროდ, ... სახელოვანი ქართველი მეცნიერების მიერ „ანდრიას მიმოსვლის“ მნიშვნელობა იგნორირებული იქნა, რაც არაა მართებული“. მომავალში აუცილებელია ანდრიას მიმოსვლისადმი ამგვარი ნიჰილისტური მიმართების დაძლევა. ჩვენ არ გვაქვს სათანადო საფუძველი თხზულების ღირსებებში დაეჭვებისათვის, თხზულებისა, რომელიც მოგვითხრობს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაზე მოციქულთა მიერ“ [4: 88].

პროფ. რ. სირაძის ასეთი მოწოდების მიუხედავად, ქრისტეს მოციქულთა საქართველოში მისიონერული მოღვაწეობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება ძნელი დასაძლევია იყო. 1997 წელს გამოცემული ენციკლოპედიის („საქართველო“) პირველ ტომში „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ პირველი ტომიდან უცვლელად იქნა გადატანილი აკად. ივ. ჯავახიშვილის წერილი – „ანდრია მოციქული“ [5: 148-149]. მართალია, მას რედაქციამ პროფ. ზ. კიკნაძის წერილი დაურთო, მაგრამ მასში, გარდა იმისა, რომ ანდრია პირველწოდებულის მიერ ისეთი ადგილების დამოძღვრის შესახება ლაპარაკი (მაგ. სვანეთი და სხვანი), რომელთა შესახებ ანდრიას „ცხოვრებასა“ და „მიმოსვლაში“ არაფერია ნათქვამი, რაც მთავარია, მითითება იმის შესახებ, თითქოს ანდრია მოციქულმა „სამცხეში ქრისტეს რჯულზე მოაქცია მესხი დიდებულის ქვრივი სამძივარი“ ანაქრონიზშია. XII-XIV საუკუნეების საქართველოში მოღვაწე სამძივართა სახლის წარმომადგენელზე I ს-ში საუბარი არ შეიძლება.

1997 წელს ენციკლოპედია „საქართველოს“ პირველ ტომში ივ. ჯავახიშვილის მიერ 30-იან წლებში დაწერილი სტატიის შეტანა, რა თქმა უნდა, იმის

2. ეს გამოკვლევა მან 1925 წლის 12 დეკემბერს წაიკითხა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე, ხოლო 1926 წელს დაბეჭდა „მიმოხილველში“ ნ. I. 1928 წელს ლიფციტაში გამოქვეყნდა მისი გერმანული თარგმანი.

დასტურია, რომ იმ ხანად ქრისტეს მოციქულთა საქართველოში მისიონერული მოღვაწეობის შესახებ ნიჰილისტური დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ იყო დაძლეული. ეს შემდეგიდანაც ჩანს: 1998 წელს მეუფე ანანია ჯაფარიძის მიერ საკანდიდატო დისერტაციის დაცვისას (მეუფე ანანია ქრისტეს მოციქულთა საქართველოში მოღვაწეობას რეალურად თვლიდა), თავის გამოსვლაში აკად. მ. ლორთქიფანიძემ განცხადა, რომ მან ვერ მიაკვლია „იმ ბერძნულ წყაროს, სადაც იყოს მითითებული ანდრია მოციქულის მოღვაწეობა საქართველოს რომელიმე კუთხეში, სულ ერთია სად“, რომ „საჭიროა დაკონკრეტება“. იმავე დაცვაზე გამოსულ კინორეჟისორ რ. ჩხეიძეს მან მიმართა „მინდა რომ ბერძნული წყარო იყოს მოპოვებული ამ საკითხზე“ [6: 29].³

ეპიფანე კონსტანტინოპოლისა და ნიკიტა-დავით პაფლაგონიელის ზემოდასახელებული თხზულებები, რა თქმა უნდა, ბერძნული წყაროებია და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საკმაოდ სანდო. გარდა იმისა, რომ თავისი თხზულება ნიკიტა-დავით პაფლაგონიელმა „პირველწერილთა მოსახსენებელთაგან შეკრიბა“ [7: 159]⁴, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, მოციქულთა მოღვაწეობის ამსახველი თხზულებები ზომ ახ.წ. I-II საუკუნეების მიჯნაზე, თითქმის, მოციქულთა მოღვაწეობის დასრულებისთანავე იქმნებოდა [7: 6]. რადგან შემონახული ცნობები IV ს-ში მოღვაწე ეპიფანე კვიპრელისაა, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ანდრია პირველწოდებულის „ცხოვრებასა“ და „მიმოსვლაში“ არსებული მონაცემები, ძრითადად, მოციქულთა უმცროს თანამედროვეთა ჩანაწერებიდან მომდინარეობენ. მათ მეტი ნდობით უნდა მოვეკიდოთ. ამ ბოლო დროს ანდრია პირველწოდებულისა და ქრისტეს სხვა მოციქულთა საქართველოში მისიონერული მოღვაწეობის საკითხს ჩვენი მკვლევრები სწორედ ამ კუთხით უდგებიან. თუმცა, ჩატარებული კვლევების მიუხედავად, ანდრია პირველწოდებულის „ცხოვრებასა“ და „მიმოსვლაში“ ანდრიასი და ქრისტეს სხვა მოციქულების მიერ დამოძღვრილი ხალხების ვინაობა და სამისიონერო ადგილებად დასახელებული ზოგიერთი ტოპონიმის ზუსტი მდებარეობა ჯერაც არაა გარკვეული ან საკამათოა. ასეთებად წარმოგვიდგება: სოგდიანები, გორსინები, სუსები (სუსანია ე.ი. „სუსების ქვეყანა“), „ქუეყანა ოვსეთისა“, „ქუეყანა სკლდია“ (იგივე „ზემო სუგდების ქვეყანა“), ფუსტა (ფუსტელები) ფოსტაფორი და „სოსანგელთა სოფელი“. ეს ადგილის სახელები და ეთნონიმები ზოგი ახ.წ. I-II საუკუნეების, ზოგი IV ს-ის, ზოგი კი, როგორც ჩანს, უფრო გვიანი ხანის ისტორიულ რეალობას ასახავენ. რომელიმე მათგანი შეიძლება დამახინჯებული სახითაცაა გადმოცემული, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია დასახელებულ თხზულებათა ავტორებს (ამ შემთხვევაში ეპიფანე კონსტანტინოპოლელსა და ნიკიტა პაფლაგონიელს) ან გვიანდელ რედაქტორებს, ტექსტში გამოგონილი ტოპონიმების ან ეთნონიმების სახელები შეეტანათ. საეჭვო არაა, არათუ I-IV საუკუნეების მცხოვრებლებისათვის, დასახელებული ავტორებისთვისაც

3. ესაა კრებული ანანია ჯაფარიძის დისერტაციის მასალების. იხ. აკად. მარიამ ლორთქიფანიძისა და კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძის გამოხსენებები.

4. ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლა“ (ავტორი ნიკიტა-დავით პაფლაგონიელი) ქართულად თარგმნა ექვთიმე მთაწმიდელმა XI-ს-ის დამდეგს.

ფუსტელების, სოგდიანების, სუსებისა და გორსინების ვინაობა, ასევე „ქუეყანა სვლდიაჲ“-ს, მდებარეობა ისევე გასაგები და ნაცნობი იყო, როგორც იმავე თხზულებებში მოხსენიებული: ქ. ტრაპიზონის, სინოპის, ამასიის და სხვა მრავალის რაობა.

ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმებისა და ეთნონიმების შესახებ უძველესი ცნობა ეპიფანე კონსტანტინოპოლელის თხზულებაშია შემონახული. იგი ანდრია პირველწოდებულის „ცხოვრებაში“ წერს: კვიპროსის ეპისკოპოსი ეპიფანე ამბობს: გადმოცემის მიხედვით, „ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები და სოგდიანები და გორსინები დიდს სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხე, ჰისოსს ნავსადგური და მდ. ფაზისი; იქ მოსახლეობენ იბერილები, სუსები, ფუსტელები და ალანები“ [8: 57].

იმ ხალხებიდან, რომლებიც ეპიფანე კვიპრელის თანახმად, შავი ზღვის აღმოსავლეთით ანდრია პირველწოდებულმა დამოძღვრა (სკვითები, იბერიელები და ალანები), ყველასთვის კარგად ცნობილი ეთნონიმების სახელებია, მაგრამ ვინ არიან ჩვენთვის საინტერესო „სოგდიანები“ და „გორსინები“, რაც მთავარია, სად მდებარეობდა ნიკიტა-დავით პაფლაგონიელის მიერ დამოძღვრილი „ქუეყანა სვლდიაჲ“ (ეს ქუეყანა ეპიფანე კონსტანტინოპოლელთან „ზემო სუგდების“ ქუეყანად იწოდება)?

სანამ დასმულ საკითხზე ჩვენს მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებებს წარმოვადგენ, უნდა აღვნიშნო: ეპიფანე კვიპრელის (IV ს.) მიერ „დიდს სებასტოპოლისში“ (ახლანდელი ქ.სოხუმი) იბერიელებთან და სკვითებთან ერთად დამოძღვრილი „სოგდიანების“ ბერძნული დამწერლობა („Σαυθιδαια“) რადგან ემთხვევა „მიმოსვლის“ ბერძნული ტექსტის „ქუეყანა სვილდიაჲს“ შესაბამისად მითითებულ „Σαυθιδαι χαιρα“-ს დამწერლობას, ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ეპიფანე კვიპრელი „დიდს სებასტოპოლისში“ „ქუეყანა სვლდიაჲ“-დან, (იგივე „ზემო სუგდების“ ქუეყანიდან) გამოსული ხალხის დამოძღვრაზე მოგვითხრობდა. ახლა ენახით როგორაა განმარტებული ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმები და ეთნონიმები ჩვენი მკვლევრების მიერ.

ნიკიტა პაფლაგონიელის თხზულებაში არსებული ცნობით, ანდრია პირველწოდებულმა „ქუეყანა სვლდიაშიც“ (ვარიანტებია „სვლდიაჲ“, „სუიდალა“ [7: 131]) იქადაგა. „მიმოსვლის“ ბერძნულ ტექსტში ამ ქუეყნის სახელად „Σαυθιδαι χαιρα“ – ე. ი. სუგდიელთა ქუეყანა არის მითითებული [7: 110], რაც კიდევ უფრო ართულებს ამ ქუეყნის ლოკალიზაციის საკითხს.

დასახელებული ცნობის კომენტარებისას მ. კობიაშვილმა აღნიშნა: „ანდრია სოგდიაში ყოფილა, საიდანაც ის ბოსფორის ქალაქში წასულა“ [7: 111]. ამის შემდეგ იგი „მიმოსვლაში“, ანდრია მოციქულის შემდგომ მოგზაურობასთან დასახელებულ, სამეცნიერო წრეებისათვის კარგად ცნობილ „გუთეთზე“ და „გუთებზე“ საუბრობს და „სვლდიად წოდებულ ქუეყანაზე“ აღარ წერს. მის მიერ დასახელებულ „სოგდიაში“ იგი შუა აზიის ოლქს – სოგდიანეს (ბერძნ. Σαυθιδαια) გულისხმობს თუ არა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ამ ქუეყნის სახელის ასეთი გააზრებისაკენ გვიბიძგებს ეპიფანე კვიპრელიდან მომდინარე ცნობაში არსებული მითითება, დიდ სებასტოპოლისში ანდრია მოციქულის

მიერ სკვითებთან და გორსინებთან ერთად სოგდიანების დამოძღვრის შესახებ [8: 57]. ასევე, ანდრია მოციქულის უფროსი თანამედროვის – სტრაბონის (გარდ. ახ. წ. 24 წ.) ის ცნობა, რომელშიც ნათქვამია: „დიოსკურიადა (ე. ი. იგივე სებასტოპოლისი. – ვ. გ.) არის სავაჭრო ადგილი მის ზემოთ და მეზობლად მცხოვრები ტომებისათვის. [ერთთა აზრით ქალაქში] თავს იყრის 70 ტომი, ხოლო მეორენი ამბობენ, რომ 300-იო,... ყველა (ტომის წარმომადგენელი) განსხვავებულ ენაზე (ლაპარაკობს). მათგან უმეტესობა – სარმატებია, მაგრამ ყველა კავკასიელი“ [9: 300].

მართლაც, იმ 70 ტომის წარმომადგენელთა შორის, რომლებიც, სტრაბონის თანახმად, დიდ სავაჭრო ქალაქ დიოსკურიაში იყრიდა თავს, მკვლევარს სურვილი უჩნდება შუა აზიის სოგდიანედან მოსული ვაჭრები, ხოლო ნიკიტა პაფლაგონიელის მიერ დასახელებულ „Νισυθιας χώρα“-ში (ქართული ტექსტის „ქუყყანა სვლდია“) სწორედ შუა აზიის ოლქი – სოგდიანი დაინახოს.

საქართველოს ტერიტორიაზე ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობა არაერთმა მკვლევარმა გააანალიზა, მაგრამ მათგან დიდ სებასტოპოლისში ანდრია მოციქულის მიერ დამოძღვრილი „სოგდიანების“ ვინაობით მხოლოდ მ. თამარაშვილი დაინტერესდა. მის მონოგრაფიაში აღნიშნულია: „სოფრონმა, რომელიც წმინდა იერონიმეს ეპოქაში ცხოვრობდა, ამ მამის არაერთი ნაშრომი გადმოთარგმნა ბერძნულიდან და სხვებთან ერთად, როგორც ჩანს, საეკლესიო მწერალთა კატალოგიც, რომელსაც მოციქულთა სიაც დაურთო... ამ დანართში ვკითხულობთ: „წმინდა ანდრიამ იქადაგა სკვითეთში, სოგდიანასა და დიდ ქალაქ სებასტოპოლისში (სამსონი) ფაზისის მახლობლად კოლხეთში“. ზემომოტანილ ცნობას მ. თამარაშვილი შემდეგ ასე განმარტავს: „IV ს-ის და შემდგომი ეპოქის მწერლები მოგვითხრობენ, რომ სულწმიდის მოფენის შემდეგ, წმინდა ანდრია საქადაგოდ გაეშურა დიდი აზიის ქვეყნებში, განსაკუთრებით სოგდიანაში, კოლხეთში (დასავლეთ საქართველო) და საკების ქვეყანაში“. „საქართველო, უფრო სწორად მთელი კავკასიის მხარე უძველესი დროიდან ძველი ქვეყნების ვაჭრობის ასპარეზი იყო. იგი ბევრ უცხოელს იზიდავდა. დიდ აზიაში მიმავალთ აქ უნდა გაეკლათ გზად“ [10: 167-169].⁵

მ. თამარაშვილის მითითება ანდრია მოციქულის „დიდი აზიის ქვეყნებში“ (მ. შ. სოგდიანეში) საქადაგებლად წასვლის შესახებ ისტორიული რეალობა იყო თუ არა, არავინ გამოხმაურებია. ამ ბოლო ხანს სოგდიანებისა და გორსინების ვინაობით თ. დოლიძე დაინტერესდა, „გორსინებისა“ და „სოგდიანების“ ვინაობისა და მათი განსახლების არეალის შესახებ 2008 წელს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ტბელობა“ ნაიკითხა მოხსენება. მოხსენებაში მან სოგდიანებთან ერთად გორსინების ვინაობისა და განსახლების არეალის დადგენაც სცადა.

თ. დოლიძის სიტყვით, „მეცნიერებაში მოცემულია ცდა უცნობი ეთნონიმი „გორსინები“ (Gorsinoi) დაუკავშირონ სპარსულ გურჯ/გორჯ-ს და არაბულ ჯურჯ/გურგ-ს, რომლებიც ამ ენებში ქართველთა ეთნონიმის

5. მ. თამარაშვილი, როგორც ვნახეთ, სებასტოპოლისს – ახლანდ. ქ. სოხუმს მცირე აზიის ქ. სამსუნად მიიჩნევს.

ალმნიშვნელია. ამ ჰიპოთეზასთან ერთად ნოღდეკე სხვა თვალსაზრისსაც გამოთქვამს: მხარე, რომელიც სოგდიანას ესაზღვრება და ხმოვანებით შეესაბამება Gorsivnoi-ს, არის გურგანი, იგივე ჰირკანი, ე. ი. კასპიის ზღვის სამხრეთი მხარე. ბიზანტიელი ისტორიკოსებისათვის ის ცნობილია აგრეთვე „გორგოს“ ან „გორგას“ სახელწოდებით. თუ შესაძლებლად მივიჩნევთ ამგვარ შენაცვლებას, – დასძენს თ. დოლიძე, – მაშინ მივიღებთ ერთგვაროვან სურათს: როგორც სოფრონიოსი, ისე ფსევდო-ეპიფანე მონმობენ, რომ ანდრია მოციქულს უქადაგია შუა აზიასა და საქართველოში, რაც თავისთავად არ არის გამორიცხული. თუკი გავიხსენებთ, რომ ანტიკურ ხანისა და ბიზანტიელ ისტორიოგრაფოსთა ნაწერებში ეს დაშორებული ტერიტორიები ხშირად ერთ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ ზოლზე განიხილებოდა...“ [11: 63-64].

რაც შეეხება „სოგდიანებს“, მათ შესახებ თ. დოლიძემ ასეთი თვალსაზრისი შემოგვთავაზა: „სარწმუნოა ფრ. დეორნიკის აზრი, რომ „სოგდიანები“ შეიძლება გავაიგივოთ „სუგდებთან“ – ყირიმში მცხოვრებ ალანური მოდგმის ტომთან, რომელიც სუგდეას ტერიტორიაზე სახლობდა. ამ ჰიპოთეზას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ფსევდო ეპიფანე სოგდიანებს უშუალოდ სკვითების შემდეგ ახსენებს (იხ. Fr. Dvornik, The Idea of Apostolicity in Byzantium and the Legend of the Apostle Andrew, Cambridge, 1958, გვ. 208–209). ამგვარად, – ასკენის თ. დოლიძე, მოციქულთა მოგზაურობა საეგვიპტო ლოგიკური ჩანს, სკვითის შიდა ტერიტორიიდან ანდრია მოციქული მიიწევს ყირიმის სანაპიროსკენ და აქედან შედის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მართლაც, სოგდიანები როგორც ამ რიგის მოციქულთა ნუსხებში, ისე ისტორიულ წყაროებშიც (არიანე, ნიკიფორე გრიგორასი) ხშირად სკვითების გვერდით მოიხსენიებიან, რაც, თავის მხრივ, თანხვედბა სუგდებისა ანუ სულდების საცხოვრისის გეოგრაფიულ მდებარეობას“ [11: 64].

ჰირკანიასა (კასპიის ზღვის სამხრეთით) და სოგდიანეში (შუა აზია) ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება თ. დოლიძეს, როგორც ვნახეთ, მთლად დამაჯერებლად არ მიაჩნია. უფრო სარწმუნოდ თვლის „სოგდიანები“ („სუგდები ანუ სულდები“) ყირიმში „სუგდეას ტერიტორიაზე“ მცხოვრები „ალანური მოდგმის ტომები სუგდები“ ყოფილიყვნენ და ამ ხალხის დამოძღვრის შემდეგ, ე. ი. „ყირიმის სანაპიროდან“ შევიდა ანდრია მოციქული დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე⁶.

სანამ იმის შესახებ დავიწყებ საუბარს, რამდენად რეალურია ანდრია პირველწოდებულის გორსინებისა (ჰირკანიაში) და სოგდიანების (შუა აზიაში) ქვეყნებში ყოფნა, უნდა აღვნიშნო: ისევე როგორც ეპიფანე კვიპრელიდან მომდინარე ცნობაში, სოფრონიუსიც ანდრიას მიერ დიდ სებასტოპოლისში – სკვითების, გორსინებისა და სოგდიანების დამოძღვრის შესახებ მოგვითხრობს. ე. ი. „გორსინებში“ თუ ჰირკანიაში მცხოვრები „გურგ“ ხალხის წარმომადგენლები იგულისხმება, ხოლო სოგდიანებში – შუა აზიის ოლქის –

6. ანდრია პირველწოდებულის „მომოსვლა“ (აეტიორი ნიკიტა-დავით პაფლაგონიელი) ქართულად თარგმნა ექვთიმე მთაწმიდელმა XI-ს-ის დამდეგს.



სოგდიანეს მცხოვრებლები, მაშინ გამოდის, რომ ეპიფანე კვიპრელის ცნობით, ანდრია მოციქული დიდ სებასტოპოლისში ამ ქვეყნიებიდან გამოსულ ხალხს (სავარაუდოდ, ვაჭრებს) შეხვდა და ისინი იმ 70 თუ 300 ტომის წარმომადგენელთა შორის იყვნენ, რომელთა შესახებ სტრაბონი წერს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეპიფანე კვიპრელთან და „მიმოსვლაში“ სკვითეთსა, სოგდიანესა (შუა აზიაში) და პირკანიაში ანდრია პირველწოდებულის მისიონერულ მოღვაწეობაზე მითითება არ შეიძლება. ამ ცნობათა ასეთ ინტერპრეტაციას, უპირველეს ყოვლისა, სტრაბონის მონაცემები უჭერს მხარს. როგორც სტრაბონი წერს, დიდი სებასტოპოლისი ხომ ამ ქალაქის „ზემოთ და მახლობლად მცხოვრები კავკასიელი ტომების“ წარმომადგენელთა სავაჭრო ადგილი იყო. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, „ქუეყანა სვლდიაჲ“-ში (სოგდიანების ქვეყანაში) ანდრია მოციქული ჯიქეთიდან რომ შევიდა, პირკანიასა და სოგდიანეში ანდრია პირველწოდებულის ყოფნა გამოირიცხებოდა – გორსინებისა და სოგდიანების განსახლების არეალი ჯიქეთის მახლობლად უნდა ვეძიოთ.

როგორც ჩანს, გარკვეულწილად თ. დოლიძის მიერ მიღებული დასკვნები უდევს საფუძვლად რ. ხალვაშის იმ შენიშვნებს, რომლებშიც „სოგდიანები“ და „გორსინები“ არის განმარტებული. 2011 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში – „ანდრია პირველწოდებული საქართველოში“ ზემოდასახელებულ ეთნონიმებს იგი ასე განმარტავს: სოგდიანები „ყირიმში მცხოვრები ალანური მოდგმის ტომი“-ა, ხოლო სუგდეა – დღევანდელი სუდაკი (ყირიმი, უკრაინა) [12: 15, შენ. 8]“. რაც შეეხება „გორსინებს“, მათ შესახებ წერს: „მეცნიერთა ნაწილი მას ქართველთა აღმოსავლურ ეთნონიმს გურგ-გურზ-გორს-ს უკავშირებს. ზოგიერთი ავტორი კი ეპიფანე მონაზვნის თხზულებაში „გორსინების“ ნაცვლად „მოსხინებს“ კითხულობს: „სოგდიანები და მოსხინები დიდ სებასტოპოლისში“ [12: 15, შენ. 9].

ჩვენთვის საინტერესო ეთნონიმების ვინაობის განმარტებისას, რ. ხალვაშმა, როგორც ვნახეთ, ანდრია მოციქულის შუა აზიაში – სოგდიანეში მისვლის შესახებ არ მოუთითა, თანაც თ. დოლიძე თუ ზოგადად წერს „სუგდეების ტერიტორია“ (სადაც ალანური ტომი „სუგდეები“ სახლობდნენ) რომ ყირიმში მდებარეობდა, რ. ხალვაშის თანახმად, ეს ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარე ქ. სუდაკი იყო (იგი არ უთითებს ასეთი გაიგივებისას რას ეყრდნობა). ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, სათანადო მასალა გავაანალიზო – ვნახოთ, ქ. სუდაკი, მართლაც, ხომ არაა „მიმოსვლაში“ ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის ერთ-ერთ ადგილად დასახელებული „ქუეყანა სვლდიაჲ“ – იგივე „სოგდიანების“ საცხოვრისი.

XIII საუკუნის ფლამანდიელი მოგზაურის ვილემ რუბრუკისის ცნობას თუ გავითვალისწინებთ, „ქუეყანა სვლდიაჲ“-ს ქ. სუდაკთან გასაიგივებლად გარკვეული საფუძველი ჩნდება. საქმე ისაა, რომ იგი ქ. სუდაკს „Солдая“-ს სახელით იხსენიებს.

რუბრუკისი 1253 წელს კონსტანტინოპოლიდან გემით ჩავიდა ყირიმში და პირველი ქალაქი, სადაც იგი გაჩერდა, „სოლდაია“ იყო [13: 88] (ქალაქში

რუბრუკვისი რამდენიმე დღე დარჩა და მას ყოველთვის ამ სახელით ახსენებს [13: 89-91]]. რუბრუკვისის მონათხრობისადმი დართულ კომენტარში ქ. სოლდაიას შესახებ აღნიშნულია: „სოლდაია“ XIII საუკუნისათვის ყირიმის ნახევარკუნძულის მთავარი ნავსადგურის – სუდაკის იტალიური სახელია. ქ. სუდაკი ცნობილია ახ. წ. III საუკუნიდან. პირველად ის ალანური დასახლება იყო⁷. შემდეგში მსხვილი სავაჭრო ცენტრი გახდა“-ო [13: 222, შენ. 3].⁸ ქ. სუდაკი შუასაუკუნეებში რომ სოლდაიად იწოდებოდა, ამ მხრივ რუბრუკვისის მითითებას 1950 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში ბ. გრეკოვი და ა. იაკუბოვსკიც იმონებენ [14: 30], და, თითქოს, ხელს არაფერი უნდა გვიშლიდეს თ. დოლიძისა და მ. ხალვაშის მითითებათა საფუძველზე ანდრია პირველწოდებულის მიერ დამოძღვრილ ხალხად (სოგდიანებად) ქ. სუდაკის მოსახლეობა, ხოლო ეს ქალაქი „ქეყანა სკლდია“-დ მივიჩნიოთ, მაგრამ ასეთი დასკვნის საშუალებას თვით „მიმოსვლის“ ტექსტში არსებული ცნობები არ იძლევა. ყირიმის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქ. სუდაკში ანდრია პირველწოდებული ჩრდილოკავკასიიდან (ჯიქეთიდან) მხოლოდ შავი ზღვის ნავით გადაცურვის შედეგად მოხვდებოდა. ასეთი საჭიროების შემთხვევაში ანდრია მოციქულის გადაადგილებისას „მიმოსვლის“ ავტორი ყოველთვის უთითებს ანდრიამ ნავით რომ გადალახა ზღვა თუ მდინარე [7: 83, 184]. ამჯერად ჯიქეთიდან ქ. სუდაკამდე მის მიერ „ეგსქინის ზღვის“ გადაცურვის შესახებ არაფერია ნათქვამი. პირიქით, „დიდსა მის ტბის, რომელსა მეოტ ეწოდების“ – ე. ი. ახლანდელი აზოვის ზღვისა და „ეგსქინის ზღვის კიდესა“ მდებარე „ბოსფორ ქალაქში“ ანდრია მოციქული „ქეყანის, რომელსა პრქვან სკლდია“-ს გავლით მივიდა [7: 190]. ასე რომ, სოგდიანების საცხოვრისი – „ქუეყანა სკლდია“ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზეა საძიებელი. ამ ქვეყნის მდებარეობისა და მოსახლეობის ვინაობის დასადგენად ახ. წ. I საუკუნისათვის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული ეთნიკური ვითარება უნდა იქნას გათვალისწინებული. სანამ ასეთ კვლევას შევუდგები, მკითხველს კვლავ უნდა შევახსენო: ეპიფანე კვიპრელიდან მომდინარე ცნობაში დასახელებული „სოგდიანები“ (Σογδιανους), რომლებიც გორსინებთან ერთად დიდ სებასტოპოლისში ანდრიამ დამოძღვრა, ეპიფანე კონსტანტინოპოლისის „ზემო სუგდების“ ქვეყნის მცხოვრებნი უნდა იყვნენ, ხოლო „ზემო სუგდების ქვეყანა“, თავის მხრივ, ნიკიტა პაფლაგონიელის მიერ დასახელებული ის „ქუეყანა სკლდია“ არის, რომელშიც ანდრია პირველწოდებული ჯიქეთიდან შევიდა – ამ ქვეყნიდან კი „ბოსფორ ქალაქში“ – (ახლანდელი ქერჩი) გადაინაცვლა. როცა ნიკიტა პაფლაგონიელი „მიმოსვლას“ წერდა, ეს ქვეყანა ახალი მოხრებული ყოფილა.

„ქუეყანა სკლდია“-ს (იგივე „ზემო სუგდების“ ქვეყნის) მდებარეობისა და იქ მცხოვრები ხალხის ვინაობის დასადგენად ეპიფანე კონსტანტინოპოლე-

7. სარმატული მოდგმის ტომების შესახებ არსებულ წყაროებში ასეთი სახელის მქონე ხალხი არ იხსენიება. აღანებმა, როგორც ჩანს, ეს ქალაქი დაიკავეს და იქ დასახლდნენ.

8. ქ. სუდაკის დიდ მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ გვიანი ხანის არაბი ავტორები შავ ზღვას „სუდაკის ზღვად“ (არაბ. „ბაზრ სუდაკ“) მოიხსენიებდნენ, ხოლო რუსულ მატინებში იგი „სუროფის ზღვად“ იწოდება. სუროფი ქ. სუდაკის რუსული სახელია.



ლის ის ცნობაც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომლის თანახმად, „უხეში და ბარბაროსი“⁹, „დღესაც (ე. ი. VIII საუკუნეში. – ვ. გ.) ნახევრად ურწმუნო“ ჯიქებისაგან [8: 59] განსხვავებით „ქუეყანა სვლდიაჲ“-ს მცხოვრებნი რომ „ადვილად დამყოლნი და თვინიერნი“ იყვნენ, რის გამოც მათ „სიხარულით მიიღეს (ღმრთის) სიტყვა“ [8: 59].¹⁰

ეპიფანე კონსტანტინოპოლელისა და ნიკიტა პაფლაგონიელის მიერ ასე კარგად დახასიათებული „ქუეყანა სვლდიაჲ“-ს მცხოვრებელთა ვინაობაზე რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას, ანდრია პირველწოდებულის უფროსი თანამედროვეს, ძველი ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის (გარდ. ახ. წ. 24 წ.) იმ ცნობებს უნდა გადავავლოთ თვალი, რომლებიც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მისი დროისათვის განსახლებულ ხალხთა ვინაობას ეხება. ამ კუთხეში მცხოვრები ხალხების აღწერისას სტრაბონი სარმატების შემდეგ ზღვის პირას განსახლებულ სინდებს, აქაელებს, ზიხებსა და ჰენიოხებს ასახელებს [9: 298]. როგორც პროფ. შ. ინალიფა წერს, სტრაბონი იმავე ხალხს იხსენიებს წიგნის § 13-ში, თანაც შავი ზღვის სამხრეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით განსახლებული ხალხების ვინაობას გვაცნობს [15: 186]. ე. ი. სტრაბონის ცნობებიდან გამომდინარე, აზოვისა და შავი ზღვების აღმოსავლეთით ახ. წ. I საუკუნისათვის აფხაზთა ზემოთ ჯიქები (ზიხები), აქაელები, შემდეგ კი სინდები ცხოვრობდნენ. მათი განსახლების არეალიდან იწყებოდა სარმატულ-ალანური ტომების მომთაბარეობის ტერიტორია. ამ მონაცემებზე დაყრდნობით იმ ხალხად, რომლებმაც „სიხარულით მიიღეს (ღმრთის) სიტყვა“ ძველი სინდების ქვეყნის (სინდიკა) მცხოვრებლები უნდა მივიჩნიოთ.

ასეთი იდენტიფიკაციისათვის შემდეგი ორიენტირები გვაქვს:

1. ჯიქების, ასევე სარმატული ტომებისაგან განსხვავებით, სინდების საზოგადოებრივი ყოფა და კულტურა ახ. წ. I საუკუნისათვის იმდენად მაღალი იყო, რომ მათ უპრობლემოდ „შეინყნარეს ქადაგებაჲ მოციქულისაჲ“.

2. სინდების ქვეყანა ჯიქების ჩრდილოეთით, ხოლო ქ. ბოსფორის სამხრეთით მდებარეობდა.

3. როცა ნიკიტა პაფლაგონიელი ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლას“ წერდა, იგი ახალი მოიხრებული იყო.

ახლა ვნახოთ, ვინ იყვნენ სინდები, სად სახლობდნენ და როგორი იყო მათი კულტურული დონე ახ. წ. I საუკუნისათვის, როცა მათ ქვეყანაში ანდრია მოციქული მივიდა.

9. სტრაბონის ცნობით, ზიხები (ჯიქები), აქაელები და ჰენიოხები ზღვაზე ყაჩაღობით ცხოვრობდნენ [9: 298].

10. იქვე. ნიკიტა პაფლაგონიელის თქმით, „ხოლო კაცნი მის ქუეყნისანი ჯიქნი, იყვნეს კაცნი ფიცხელნი გულითა და საქმითა შინა ბოროტთა განფრდილნი, ურწმუნონი და უძლებნი; რომელთა არა შეინყნარეს ქადაგებაჲ მოციქულისაჲ, არამედ ენება მოკლევად მისი, არამედ მადლმან ღმრთისაგან დაიცვა“ [7: 189–190]. რაც შეეხება „ქუეყანა სვლდიაჲ“-ს მცხოვრებლებს, ნიკიტა პაფლაგონიელი მათზე წერს: „ხოლო მუნ მყოფთა კაცთა სიხარულით შეინყნარეს ქადაგებაჲ მოციქულისაჲ და ჰრწმენა მათ უფალი იესუ ქრისტე“ [7: 190].

ანტიკური ავტორების ცნობებიდან გამომდინარე, აზოვის ზღვის (ესაა ნიკიტა პაფლაგონიელის მიერ დასახელებული „დიდი ტბა, რომელსა მეოტენოდების“) აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ასევე მდინარე ყუბანის შუა წელამდე მცხოვრები სხვადასხვა მეოტიდური ტომებიდან სინდები (პეროდოტესთან ისინი Σινδύას-ის სახელით იხსენიებიან) ყველაზე მრავალრიცხოვანნი იყვნენ. ისინი ძირითადად ტამანის ნახევარკუნძულზე, ახლანდელ ქ. ნოვოროსიისკამდე (ასევე შავი ზღვის სანაპიროს ვიწრო ზოლიც ეკავათ) სახლობდნენ. მთავარი ქალაქი იყო გორგიპია, რომელიც ახლანდელ ქ. ანაპას ადგილზე მდებარეობდა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სინდების განსახლების ტერიტორიით ბერძენი კოლონისტები ადრევე დაინტერესდნენ. სინდების ისტორიის მკვლევარს ვ. მოშინსკაიას მისაღებად მიაჩნია აკად. ი. მანანდიანის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ სინდებია ცნობილი იყო ქალდეველებისა და ძველი სპარსელებისათვის, ხოლო სინდებს ურარტუელებთან სავაჭრო ურთიერთობა რომ ჰქონდათ [16: 206].

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, სინდების ეთნოგენეზის საკითხი საბოლოოდ გადანყვეტილი არაა¹¹, მაგრამ მიკვლევული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ისინი ევროპეიდული რასის წარმომადგენლებად არიან მიჩნეულნი. ფიზიკური ტიპით სკვითურ-საერომატულ მოდგმას არ განეკუთვნებოდნენ, ტიპური კავკასიური მოდგმის ტომები იყვნენ [17: 158]. მკვლევართა უმეტესობა სწორედ ამ უკანასკნელ თვალსაზრისს იზიარებს – სინდები ჩრდილოკავკასიელ აბორიგენებად მიაჩნიათ¹².

ძვ. წ. V საუკუნეში სინდებმა უკვე სახელმწიფო შექმნეს. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში საკუთარი ფულის მოჭრა დაიწყეს. ჭრიდნენ როგორც ვერცხლის, ისე ოქროს მონეტებს. ყველა მიკვლევული მონეტა ძირითადად ერთი ხანისაა [19: 115; 20]. ელინისტური სამყაროს უკიდურეს ჩრდილოეთში მცხოვრები „ბარბაროსი“ სინდების ქვეყანაში კარგად ორგანიზებული სამონეტო სისტემის არსებობა მკვლევრებს იმის საფუძველს აძლევს, ძვ. წ. V საუკუნისათვის, სინდეთი საკმაოდ განვითარებული ეკონომიკისა და კულტურის მქონე ბერძნულ-სინდურ სახელმწიფოდ მიიჩნიონ [19: 111]. სინდების ძლიერ ელინიზაციაზე მიუთითებს ქ. გორგიპიაში მიკვლევული ეპიგრაფიკული მასალა [19: 115] და მალალ დონეზე შესრულებული სინდური სკულპტურის ნიმუშები. სინდურ ხელოვნებაში ძირითადად ადგილობრივი, სინდურ-მეოტური კულტურა დომინირებდა. ახ. წ. I საუკუნიდან, როცა ამ მხარის ძლიერი სარმატიზაცია დაიწყო, სინდურ კულტურას თავისი სახე არ დაუკარგავს [21: 203].

11. მეოტური ტომებისადმი მიკუთვნებული არქეოლოგიური მასალა ძირითადად მდ. ყუბანისა და მისი შენაკადების აუზში მდებარეობენ [15: 189]. სინდების წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. პ. უშაკოვი მათ სახელს ხეთურ „šinata“-სთან (მდინარე) აკავშირებდა, ხოლო კრემერი თვლიდა, რომ მცირეაზიელი სინდები ბოსფორული სინდების ნაწილი იყვნენ და მცირე აზიაში ისინი სკვითების ლაშქრობის შედეგად მოხედნენ ძვ. წ. VII ს-ში. ბ. გრეკოვი მათ სხვადასხვა ხალხად თვლიდა. ზოგის აზრით, სინდები ერთ-ერთი სკვითური ტომი იყო [16: 203, შენ. 1].

12. ამ მხრივ საინტერესოა ის, რომ თანამედროვე ადიღეელების წინაპრებად ზიზებთან (ჯიქები), კურკეტებთან და ტიროტებთან ერთად სინდებიც არიან მიჩნეულნი. იხ. ა. რობაქიძე, ადიღეები. [18: 93].

ძვ. წ. V ს-ში წარმოქმნილმა სინდების სახელმწიფომ დამოუკიდებლად დიდხანს ვერ გაძლო. ბარბაროსულ (სკვითები და სხვადასხვა სარმატული ტომები) გარემოცვაში მოქცეული სინდები, რათა თავიანთი თვითმყოფობა შეენარჩუნებინათ, იძულებულნი გახდნენ ძვ. წ. IV ს-ში ბოსფორის სამეფოს შეერთებოდნენ [16: 208]. ამის შემდეგაც სინდები ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობას ინარჩუნებდნენ. შავი და აზოვის ზღვების აღმოსავლეთ სანაპიროზე განსახლებული ტომებიდან სინდები ყველაზე მაღალკულტურულები იყვნენ. მათ არა მარტო ბერძნული ენა და დამწერლობა შეითვისეს, საკუთარი სახელები და წეს-ჩვეულებათა ნაწილი ბერძნული მიიღეს, სწორედ ბერძნულ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობამ განაპირობა ის, რომ სინდები ჩრდილოკავკასიისა და ჩრდილოშავიზღვისპირეთის ბარბაროსული სამყაროდან გამოირჩეოდნენ, რაზეც, როგორც ვნახეთ, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი და ნიკიტა-დავით პაფლაგონიელი მიუთითებენ.

აი, ასეთად წარმოგვიდგება ანდრია პირველწოდებულის თანადროული „ქუეყანა სვლდია“ – სინდიკა (ეპიფანე კონსტანტინოპოლელის „ზემო სუგდების ქუეყანა“) თავისი ღრმადელინიჰირებული მოსახლეობით. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობ, არ უნდა გაგვიკვირდეს სინდეთის მოსახლეობამ ანდრია პირველწოდებულის ქადაგებისას „სიხარულით [რატომ] შეინყნარა ქადაგებამ მოციქულისაჲ და პრწყმენა... უფალი იესუ ქრისტე“-სი.

როცა ანდრია პირველწოდებულის მიერ სინდების ქვეყნის დამოძღვრის შესახებ ვსაუბრობთ, ეპიფანე კონსტანტინოპოლელის თხრობის ერთ დეტალსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. როგორც ვნახეთ, ეპიფანე სინდების ქვეყანას „ზემო სუგდებად“ იხსენიებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი მოღვაწეობის დროისათვის სინდების ნაწილი უფრო სამხრეთითაც ცხოვრობდა. ასეთი საკითხის დასმისას უნდა გავიხსენოთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი სინდების ადიღეველებთან არა მარტო ერთ ნათესაობის, არამედ ერთ-ერთ წინაპრად მიჩნევის შესახებ [18: 93]. ელინისტურ ხანაში სინდების ქვეყანაში მიმდინარე დიდი კულტურული ძვრები, რა თქმა უნდა, სინდების სამხრეთით განსახლებულ მათ მონათესავე (თუ ძველ თანატომელ) კერკეტების ცხოვრების წესზე და კულტურაზეც მოახდენდა გავლენას. როგორც აკად. გ. მელიქიშვილი წერს, დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილოეთით, ანტიკური წყაროები ერთმანეთისაგან მკვეთრად ასხვავებენ სანაპიროს გასწვრივ მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობას მომიჯნავე მთიანეთში მცხოვრები მეომარი ტომებისაგან. არტემიდორეს (ძვ. წ. II–I სს.) მიხედვით, კერკეტებს ეკავათ სანაპირო ზოლი დაახლოებით დღევანდელი ნოვოროსიისკიდან ვიდრე ტუაფსემდე¹³. იმავე ავტორის ცნობით, ტუაფსეს სამხრეთით, სოჭის რაიონამდე სანაპიროს გასწვრივ ცხოვრობდნენ აქაელები, ხოლო აქედან სოხუმის მიდამოებამდე – ჰენიოხები. ძვ. წ. I ს-ის დასაწყისში უნდა მომხდარიყო ადიღეური ტომის – ჯიქების შემოსევა და მათი ადრე კერკეტებით დაკავებულ ტერიტორიაზე დასახლება [22: 478]. ამის შემდეგ

13. დიონისე პერიეგეტი (ახ. წ. I ს-ის დამდეგი) შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე კავკასიის მთებთან – აქაელებს, ჰენიოხებსა და ზიგებს ასახელებს [15: 186].

გ. მელიქიშვილი დასძენს: ანტიკური ტრადიცია ჯიქებს, აქაელებს და სხვ. ნიოხებს თუ მეომარ, მეკობრე ტომებად გვისახავს, „კერკეტების შესახებ ნათქვამია, რომ ესაა სამართლიანი და კეთილი ხალხი, ზღვაოსნობაში დიდად დახელოვნებული (V ს. ანონიმი, § 65), რომელთა სანაპიროზე არის ნავმისადგომები და სოფლები (Strabo, XI, 2, 14), სადაც მუშაკნი გასაყიდად საქონელს დაატარებენ (პლუტარქე)...“ [22: 478].

აბ. წ. I საუკუნისათვის ასეთად წარმოგვიდგება „ანტიკურ ხანაში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრები ერთ-ერთი უძველესი ადიღეელთა ნინაპარი ტომი“ (ქსე, ტ. V, სტ. კერკეტები) კერკეტებისა, რომელიც ასევე ახლო ნათესავი კი არა, განაყოფი უნდა ყოფილიყო მდ. ყუბანის დელტაში მცხოვრები მალაკულტურული სინდებისა. ეპიფანე კონსტანტინოპოლელი და ნიკიტა პაფლაგონიელი ანდრია პირველწოდებულის მიერ მათ დამოძღვრაზე, მართალია, არაფერს გვამცნობენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც „უხეშმა და ბარბაროსმა ადამიანებმა“ – ჯიქებმა ქრისტეს მოციქულის ქადაგება არ შეინყნარეს, მათგან სიკვდილს გადარჩენილი ანდრია პირველწოდებული „ზემო სუგდების“ ქუეყანაში მცხოვრები „თვინიერი და ადვილად დამყოლი“ სინდების თანამოძმე, სამართლიან და კეთილ ხალხს – კერკეტებს აუცილებლად დამოძღვრავდა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ახლანდელი ქ. ნოვოროსიისკიდან ტამანის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილამდე და აზოვისპირეთში მცხოვრები სინდების [15: 189], სამხრეთით „დაახლოებით დღევანდელი ნოვოროსიისკიდან ვიდრე ტუაფსემდე“ მცხოვრები კერკეტების (ეს ძვ. წ. II-I სს. ავტორის არტიმიდორის ცნობაა) [22: 478] განსახლების არეალი „ქვემო სინდების“ (ალბათ „ქვემო სუგდების“) ქვეყნად უნდა ვცნოთ¹⁴.

ჩემ მიერ მიღებული ასეთი დასკვნა შემდეგით დასტურდება. აკად. თ. ყაუხჩიშვილის თანახმად, პომპონიუს მელა სინდებს სინდონებს უწოდებს (I, 110), ხოლო ლუკიანე – სინდიანებს... ევსტათის კომენტარის მიხედვით (რაც მან გაუკეთა დიონისიოსის „პირიგესისს“), სინდები იგივე ზიკხები არიან (ტ. 681). ზიკხები კი გაიგივებულნი არიან, ჩვეულებრივ, სტრაბონის Ἰσχυί-სთან (რაც იგივე ჯიქებია). ამის შემდეგ თ. ყაუხჩიშვილი დასძენს: რამდენად შეიძლება ზიკხების, ზიგების (ჯიქების) და სინდების გაიგივება, არ ვიცით, ერთი კია, რომ XII ს-ის კომენტატორს ეს სახელები ერთი ისეთი ტომის სახელწოდებად მიაჩნია, რომლის არსებობაც მან იცის [23: 222].

ქნ თ. ყაუხჩიშვილის მსჯელობას მინდა დავუმატო: ზემოთ მოტანილი მასალის შემდეგ, ვფიქრობ, ევსტათი თესალონიკელის კომენტარი ისტორიულ რეალობას რომ ასახავს, ეს საეჭვო აღარაა. ჯიქები ხომ კერკეტების განსახლების არეალში დასახლდნენ, XII ს-ის ავტორს ისინი თავისუფლად შეეძლო ძველი კერკეტების (ქვემო სინდების) შთამომავლებად მიეჩნია.

14. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები კერკეტების ისტორიის ასპარეზიდან გაქრობა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, მთიდან ჩამონოლილმა ჯიქებმა დააჩქარეს. თანამედროვე ადიღეელების ნინაპრად მიჩნეულმა ამ ხალხმა ახლანდელ ჩერქეზების (კერკეტების – ბერძნულ ენაში ბგერა „ჩ“ არ არის) ეთნოგენეზში მიიღეს მონაწილეობა [15: 189].



სინდთა ქვეყანაზე საუბრისას, ქ. გორგოპია ვახსენე, მაგრამ ვერ ვხსენებ ვამს ეს ქალაქი – ძველი სინდიკა (Σινδικα – იგივე სინდთა ნასადგური Σινδικος λιμνη) სტრაბონის ცნობით, სინდების სახელმწიფოს დედაქალაქი რომ იყო (სტრაბო, XI, 2, X). ასევე, ამ ქალაქზე საუბარი შეიძლებოდა იმით დამესრულებინა, მის ტერიტორიაზე (ახლანდ. ქ. ანაპაში) არაერთი ეპიგრაფიკული ძეგლი თუ მაღალ დონეზე შესრულებული სკულპტურა რომაა მიკვლეული, მაგრამ ჩემი ვარაუდით, რადგან, სწორედ ამ ქალაქიდან გამოსული ხალხი (ძირითადად ვაჭრები და გემთფლობელები) იგულისხმებიან იმ „გორსინებში“, რომლებიც ეპიფანე კვიპრელიდან მომდინარე ცნობით, ანდრია პირველნოდებულმა სკვითებთან და სოგდიანებთან (როგორც ზემოთ ვნახეთ, ეპიფანე კვიპრელის მიერ ნახსენები „სოგდიანები“ ეპიფანე კონსტანტინოპოლისის „ზემო სუგდების“, იგივე „ქუეყანა სკლდიაა“-ს მცხოვრებლები არიან) ერთად დიდ სებასტოპოლისში დამოძღვრა, საჭიროდ მიმაჩნია ქ. გორგოპიის შესახებ მკითხველს ცოტა მეტი ინფორმაცია მივანოდო.

ანდრია მოციქულის მიერ დიდ სებასტოპოლისში დამოძღვრილი გორსინები რომ ქ. გორგოპიის მცხოვრებნი იყვნენ, ამას, ვფიქრობ, სტრაბონის ის ცნობა მოწმობს, რომლის თანახმად, დიოსკურია (იგივე სებასტოპოლისი) საერთო სავაჭრო ცენტრი იყო მის მეზობლად და ზემოთ მცხოვრები ტომებისათვის. ქ. გორგოპიაც დიოსკურიის ზემოთ (ჩრდილოეთით – მეზობლად) მდებარეობდა. რაც მთავარია, ეპიფანე კვიპრელიდან მომდინარე ცნობაში სოგდიანები (ე. ი. სინდები) და გორსინები ცალ-ცალკე არიან დასახელებულნი, სტრაბონიც სინდთა ოლქსა და გორგოპიას ცალ-ცალკე ასახელებს [9: 298]. სინდებისაგან განცალკევებული ქალაქის სტატუსი ქ. გორგოპიამ ძვ. წ. IV ს-ის დამდეგს მიიღო.

სინდებმა, როგორც ზემოთ ავლენიშნე, სახელმწიფო ძვ. წ. V ს-ში შექმნეს. ძვ. წ. IV ს-ის დამდეგს, როცა სინდეთი ბოსფორის სამეფოს შეუერთდა, ბოსფორის მეფემ ლევკონ I-მა (სპარტოკიდების დინასტიიდან) თავისი ძმა – გორგოპია ქ. სინდიკის მმართველად (მეფისნაცვლად) დანიშნა, რის შემდეგაც ქალაქი ოფიციალურად გორგოპიად იწოდებოდა [19: 117]¹⁵ – „სინდთა ნავსადგური“ ასე გახდა სამეფო ქალაქი, ბოსფორის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ცენტრი. სინდების გარდა, ფსევდო-სკილაქსის პერეპლუსში არსებული ცნობით, ქალაქში სახლობდნენ მეზობელი ადგილიდან მოსული ელინები [24: 216]. ახ. წ. პირველი საუკუნისათვის ქალაქში, ბერძნული ტაძრების გარდა, ყოფილა სინაგოგა, რაც ქალაქ გორგოპიაში ებრაელი მოსახლეობის არსებობაზე მიუთითებს [24: 218]. აღნიშნულს გარდა, გორგოპიაში თავს იყრინდა სხვა ქალაქებიდან ჩასული ბერძენი ვაჭრების და გემთფლობელების დიდი რაოდენობა. ქალაქში იყო სკვითურ-სარმატული მოსახლეობაც. ამ საპორტო ქალაქიდან ხდებოდა ყუბანისპირეთის სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში დამზადებული ნაწარმის ექსპორტი. სავაჭრო ოპერაციებში ჩაბმულ

15. აღნიშნულის მოუხედავად, ზოგი ძველი ავტორი გორგოპიას სინდიკის (ან სინდთა ნავსადგურის) სახელითაც მოიხსენიებს. ამ სახელებით იხსენიებს მას პომპონიუს მელა (II ს. I ნახ.) და სტეფანე ბიზანტიელი თავის გეოგრაფიულ ლექსიკონში [24: 215-216]

გორგიპიის ვაჭრებსა და გემთმფლობელებს ბოსფორის მეფეები მფარველობდნენ [24: 215]. გორგიპიაში მჯდომი მეფისნაცვალი ბოსფორის სამეფოს მმართველობის ადმინისტრაციის უმაღლეს პირად ითვლებოდა. ხელისუფალთა მიერ ქალაქის მფარველობა რომაელთა ხანაშიც გრძელდებოდა. იმ ხანად ქალაქის დამოუკიდებლობა და ეკონომიკური სიძლიერე უფრო გაიზარდა. ასე შეხვდა ეს ზღვისპირა ნავსადგური ახ. წ. I საუკუნეს, როცა ამ ქალაქიდან „დიდს სებასტოპოლისში“ ჩასული ვაჭრები და გემთმფლობელები – „გორსინები“ ანდრია პირველწოდებულმა დამოძღვრა. რაც შეეხება ანდრია პირველწოდებულის თვით ქალაქ გორგიპიაში შესვლას, ამის შესახებ ცნობა არც ეპიფანე კონსტანტინოპოლელს და არც ნიკიტა პაფლაგონიელს არ აქვს, მაგრამ სინდთა ქვეყანაში მისული ანდრია გორგიპიის მრავალრიცხოვან ბერძნულენოვან მოსახლეობას აუცილებლად შეხვდებოდა. ის ხალხი, რომლებმაც „სიხარულით შეინყნარეს ქადაგებაჲ მოციქულისაჲ“, რა თქმა უნდა, გორგიპიის მცხოვრებლებიც უნდა მივიჩნიოთ.

ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის განაპირა მხარეში მცხოვრებ სინდებში, ისე როგორც თვით ქ. გორგიპიის მოსახლეობაში ანდრია პირველწოდებულის ქადაგება, ცხადია, მათ საბოლოო გაქრისტიანებას არ ნიშნავდა. ქალაქში რომ კვლავ რჩებოდა ძველი ბერძნული თუ ადგილობრივი კულტების თაყვანისმცემელი მოსახლეობა, ამას ახ. წ. 110 წლისთვის მიკუთვნებული, ქალაქ ანაპაში მიკვლეული წარწერა მოწმობს. ქალაქის მმართველს თავისი სახსრებით აფროდიტეს სახელზე ტაძარი აუგია [24: 218].¹⁶

„ქუეყანა სლდიაზე“ (სინდთა ქვეყანა) საუბრის დასასრულს მინდა მკითხველს მოკლედ ამ ქვეყნისა და ხალხის შემდგომ ბედზეც მოვუთხრო, თან ავხსნა, რას უნდა განეპირობებინა ნიკიტა პაფლაგონიელის თხზულებაში „ქუეყანა სვლდიაჲ“-ს მოოხრების შესახებ ცნობის გაჩენა.

ეპიფანე კონსტანტინოპოლელი 815–830 წლებში შედგენილ ანდრია პირველწოდებულის „ცხოვრებაში“ მსგავსი ფაქტის შესახებ არ გვამცნობს, ხოლო ანდრია პირველწოდებულის „მომოსვლის“ ავტორი ნიკიტა პაფლაგონიელი რადგან 890 წელს გარდაიცვალა, „ქუეყანა სვლდიაჲ“-ს მოოხრება, რომლის შესახებ იგი მოგვითხრობს, 890 წლის წინა ხანაში უნდა მომხდარიყო. ასეთი ფაქტი მრავლად იყო ტამანის ნ.-კუნძულზე და მდ. ყუბანის დელტაში მცხოვრები მალაქულტურული სინდების ისტორიაში, რამაც განაპირობა „ქუეყანა სვლდიაჲ“-ს მცხოვრებთა ისტორიის ასპარეზიდან გაქრობა (მათი ბედი გაიზიარეს ამ ქვეყნის სამხრეთით მცხოვრებმა [ქვემო სვლდიაჲს] სინდების მონათესავე კერკეტების ნაწილმა). სინდების ბედი ძირითადად მათი ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა თუ სინდებს ძველი ნელთალრიცხვის IV საუკუნიდან ელინების გვერდით უხდებოდათ ცხოვრება

16. ქ. გორგიპიის დიდ ეკონომიკურ სიძლიერეზე მიგვანიშნებს ძვ. წ. IV ს-ში ამ ქალაქის მიერ საკუთარი მონეტის მოჭრა, ხოლო დიდ კულტურულ აღმავლობაზე ძვ. წ. III ს-ის მიკუთვნებული ერთი წარწერა, რომელშიც ლთაებაჲ პერმესის პატივსაცემად გამართულ საორტულ შეჯიბრში გამარჯვების მოპოვებაზეა მითითება [24: 217]. როგორც ვარაუდობენ, ასეთი საორტულ შეჯიბრებებში ბოსფორის სხვა ქალაქების წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას [24: 217].



და იქვე მომთაბარე სკვითები მათზე დიდ გავლენას ვერ ახდენდნენ. III–II საუკუნეებიდან ტამანის ნახევარკუნძულზე და მდინარე ყუბანის აუზში მცხოვრები სინდები სარმატული ტომების აგრესიის ობიექტი შეიქმნენ. ახ. წ. III ს-ის შუახანებში ყირიმსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ოსტგოთები გაბატონდნენ, IV ს-ის 70-იანი წლებიდან მთელი აღმოსავლეთი ევროპა (მათ შორის სინდების ქვეყანა) ჰუნების ხელქვეით მოექცა. VII ს-ის შუახანებიდან ჩრდილო კავკასიის ველებზე ხაზართა კაგანატი შეიქმნა და ამჯერად სინდები მათი ქვეშევრდომები შეიქმნენ. ამის შემდეგაც მდინარე ვოლგის გადაღმა მხრიდან აღმოსავლეთ ევროპაში თურქული მოდგმის არაერთი გავრთიანება შემოვიდა. იმ დროს (ე. ი. 890 წლის წინა ხანაში), როცა ნიკიტა პაფლაგონიელი „ქუეყანა სკლდია“-ს მოოხრებას გვამცნობს, აღმოსავლეთ ევროპას არალის ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებიდან პაჭანიკები მოეწვინენ.

XI ს-ის ირანელი ავტორის გარდინის ცნობით, მდინარე ვოლგის აღმოსავლეთით მდებარე ველებზე მომთაბარე პაჭანიკებს აღმოსავლეთ ევროპაში გამოჩენამდე მტრულ გარემოში უხდებოდათ ცხოვრება, რის გამოც დასავლეთისაკენ მოძრაობა დაიწყეს და ხაზართა სამფლობელოებში შევიდნენ. კონსტანტინე პორფიროგენეტის (X ს.) ცნობით, თავდასხმებით შეწუხებული ხაზარები პაჭანიკთა სამხრეთით მომთაბარე ლუზებს შეუკავშირდნენ. ლუზთა დანოლით პაჭანიკებმა მასიურად გადმოლახეს მდინარე ვოლგა და ხაზართა კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიებს შეესივნენ (ს. პლეტნიოვას თანახმად, ეს ცნობა IX ს-ის უკანასკნელ მეოთხედს განეკუთვნება [25: 213; 26: 349-350]). პაჭანიკთა ერთი ნაწილი შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე გადავიდა, ხოლო მეორე ნაწილმა (ე. წ. „хазарские печенги“) „ხაზართა ზღვისა“ (აზოვის ზღვა) და მდინარე ყუბანის შესართავის მიმდებარე ტერიტორიები (მ. შ. ტამანის ნახევარკუნძული) დაიკავა [25: 213]. ხაზარები ყოველნაირად ცდილობდნენ დაკავებული ტერიტორიებიდან პაჭანიკების განდევნას. ისინი განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს პაჭანიკებს, ატყვევებდნენ მათ, იტაცებდნენ მათი საქონლის ჯოგებს [25: 213], მაგრამ პაჭანიკთა წინააღმდეგობა ვერ დაძლიეს. ხაზართა ასეთ ლაშქრობებს, ცხადია, პაჭანიკთა მიერ დაკავებული ტერიტორიების აოხრება მოჰყვა. როგორც X საუკუნის ბიზანტიელი ავტორი – იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი წერს, პაჭანიკთა მიერ გარემორტყმული იყო ბოსფორი [25: 213], რაც იმის დასტურად უნდა მივიჩნიოთ, ყირიმის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთით მდებარე მიწებს პაჭანიკები რომ აკონტროლებდნენ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: 890 წლის წინა ხანაში „ქუეყანა სკლდია“-ს მოოხრება აზოვის ზღვისპირეთში პაჭანიკთა შესვლას და მათ წინააღმდეგ ხაზართა განუწყვეტელ ლაშქრობებს უნდა გამოეწვია.

როგორც ს. პლეტნიოვა წერს, პაჭანიკთა მიერ ყირიმისა და ტამანის ნახევარკუნძულების დაპატრონების შესახებ არც არქეოლოგიური მასალა არის და წერილობით წყაროებშიც მწირი ცნობებია [25: 213]. ასეთ ვითარებაში ნიკიტა პაფლაგონიელის მითითება 890 წლის წინა ხანაში „ქუეყანა სკლდია“-ს

– სინდეთის მოოხრების შესახებ მეტად მნიშვნელოვანია სინდთა ისტორიისათვის.

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა-ძიება გარკვეულ საფუძველს იძლევა, ანდრია პირველწოდებულის „ცხოვრებასა“ და „მიმოსვლაში“ არსებული ის ცნობები, რომლებიც ქრისტეს მოციქულთა შავი ზღვის აღმოსავლეთით მცხოვრებ ხალხებში მისიონერულ მოღვაწეობას ეხება, ისტორიული რეალობის ამსახველად მივიჩნით. ეს თხზულებები ამის შემდეგ ძველი საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის ერთ-ერთ წყაროდ უნდა ჩავთვალოთ – ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობა რეალობაა.

ახლა რაც შეეხება სინდების შემდგომ ბედს. 965 წელს ხაზართა კავანატის წინააღმდეგ კიევის დიდი მთავრის სვიატოსლავ იგორის ძის (გარდ. 972/3 წ.) ლაშქრობას შედეგად მოჰყვა ტამანის ნახევარკუნძულზე კიევის მთავრისადმი დამოკიდებული ტმუტარაკანის რუსული სამთავროს შექმნა. ამ სამთავრომ X–XI ს-ში იარსება. იმ დროს რა მდგომარეობაში იყვნენ სინდები, არაფერი ვიცით, მაგრამ რადგან XIII ს-ში მცხოვრები ფლამანდიელი მოგზაური რუბრუკვისი აზოვისა და შავი ზღვების აღმოსავლეთ სანაპიროებზე მცხოვრებ ხალხთა შორის „სოლდაინ“-ებს, შემდეგ კი „კერკისებსა“ და ალანებს იხსენიებს [13: 117], ამჯერად რუბრუკვისი ქ. სულდიაში (ე. ი. ქ. სულდაკში) მცხოვრებლებზე კი არა, სწორედ სინდებზე გვანვდის ცნობას (ნიგნისადმი დართულ საძიებელში არსებული მითითებით, ამჯერად სოლდაიას ქვეყნის მცხოვრებლებზე არის მითითება [13: 117, 261]). ისე როგორც სტრაბონი, რუბრუკვისიც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე სინდების (სოლდაინების – შედარება ექვთიმე მთაწმიდისეულ „ქუეყანა სვლდიას“) სამხრეთით კერკეტების, უფრო სწორად, მათი შთამომავლების – ჩერქეზების [27: 476] განსახლების შესახებ მიგვითითებს.

XII ს-ში სინდებით დასახლებული ტერიტორია ყივჩაყთა, XIII ს-დან კი მონღოლთა ხელში მოექცა. მას ბოლოს ისევ რუსეთი დაეპატრონა, და ისევე როგორც სამხრეთ რუსეთის ველებზე მომთაბარე მრავალრიცხოვანი თურქული მოდგმის ხალხები, მცირერიცხოვანი სინდებიც რუსეთის სახელმწიფოს ხელში მოექცნენ. მრავალრიცხოვანმა თურქული ტომების შთამომავლებმა დროთა განმავლობაში ასიმილაცია განიცადეს. მსგავსი ბედი გაიზიარეს სინდებმაც. სინდთა ძველი დედაქალაქი გორგიპია – ანაპა გახდა, ბოსფორი – ქერჩი, ხოლო სულდაკი – სუროჟი.

VAKHTANG GOILADZE

WHERE THE COUNTRY OF "SVILDIA" WAS LOCATED AND WHO WERE SOGDIANAS AND GORSINS?

Summary

As it is well known Nikitas of Paphlagonias (died 890) wrote Acts of St Andrew. Later on it was translated by Georgian ecclesiastics. According to this translation Andrew the Firstcalled while travelling in eastern black sea coast preached in country of Svildia. Because of Svildia's Greek name Ἰσουλδία χώρα, is closely connected with Greek self-name of Sogdianas Σογδιανούς (Andrew the Firstcalled preached them with Scythians and Gorsinas in Sebastopolis (today Sokhumi), it made clear that people named Sogdianas by Apiphanius of Cyprus (4th century) where the inhabitants from Svildia.

After the long journey, though visiting of Sazds, St. Andrew the Firstcalled reached Svildia. Passing by Kerch Peninsula, he moved to Bosporus. Country of Svildia I considered as Sind people living in Taman Peninsula and Eastern coast of Black Sea.

The Sinds were an ancient people from the 5th century BC (capital Gorgippia). Later on they were subjugated by the Bosporan Kingdom. When St Andrew the Firstcalled came in the country of Sinds, local population was so much Hellenized that they had received Saint Apostle with a happiness. Sogdianas and Gorsins (from town Gorgippia) came out from Svildia together with Scythians exactly where the people preached by St Andrew the Firstcalled in "Great Sebastopolis".

ВАХТАНГ ГОИЛАДЗЕ

ГДЕ НАХОДИЛАСЬ СТРАНА «СВИЛДИИ», В КОТОРОЙ ПРОПОВЕДОВАЛ АНДРЕЙ ПЕРВОЗВАННЫЙ И КТО БЫЛИ СОГДИАНЫ И ГОРСИНЫ?

Резюме

Никита-Давид Пафлагониец (умер 890г.) - автор «Хождения» - сообщает об апостольской деятельности и проповедях жителям Восточного Черноморья, страны «Свилдией» (в греческом оригинале «Ἰσουλδία χώρα») Андрея Первозванного. Эта страна у Епифана Константинопольского (VIII в.) упоминается как страна верхних «сутдов» («Ἰσουλδιανούς»), а Епифан Кипрский (IV в.) рассказывая о проповеди Андрея, говорит, что апостол Андрей в «Большом Себастополесе» (нынешний г. Сухуми) наряду со скифами и горсинами проповедовал и согдианам («Ἰσουλδιανούς»).



Ввиду того, что греческое название страны «Свилдиай» совпадает с названием народа, упомянутого Елифаном Кипрским, стало ясно, что согдианы, которым Андрей вместе со скифами и горсинами проповедовал в «Большом Себастополесе», были выходцами из страны «Свилдиай».

Кроме выше отмеченного, считаю: так как, Андрей Первозванный в страну «Свилдиай» вошёл с Северо-Восточного побережья Черного моря из страны джиков, а из страны «Свилдиай» переместился в расположенный на берегу Керченского пролива в г. Боспор, страну «Свилдиай» надо было искать севернее обитания джиков до г. Боспора, и ошибались те авторы, которые местом проповеди Андрея Первозванного считали Согдиану (область в Средней Азии) и г. Судак, на Крымском Полуострове.

Для локализации страны «Свилдиай», также значительным ориентиром стала сообщение Никиты Пафлагониица о том, что жители страны «Свилдиай» проповеди Андрея о «Божьем Слове» приняли с радостью. Исходя из сказанного, страной «Свилдиай» признана была территория обитания синдов - Таманский п-ов и прилегающее к нему побережье Черного моря.

Синды еще в 5в. до нашей эры создали государство и начали чеканить монеты. С 4в. до нашей эры они вошли в состав Боспорского государства. Как в ареале обитания синдов, так и в его столице - Горгипии жило так много греков, что в первых веках н.э. синды были эллинизированным народом. Этим объясняется, что они с радостью приняли Андрея Первозванного. Вышедшие из страны «Свилдиай» - согдианы и представители г. Горгипии горсины (в основном купцы) были теми людьми, которым вместе со скифами Андрей Первозванный проповедовал в «Большом Себастополесе». Учитывая сообщения Страбона (ум. 24г. н.э.) о том, что Диоскурия (Себастополь) была «торговым центром для живущих выше и соседних с ними народностей», и все они «были кавказцы», еще раз говорит о верности принятых мною заключений.

განსაკუთრებული

რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა)

რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოს (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) სამეურნეო მექანიზმი, მსგავსი იყო იმ ხანის ფეოდალური სენიორიების სამეურნეო წარმოებისა. ზოგადად საეპისკოპოსოს მინათმფლობელობა ახლოს იდგა XVI–XVIII საუკუნეების სათავადო მფლობელობასთან, მაგრამ ამავე დროს საეპისკოპოსო, როგორც საეკლესიო ადმინისტრაციულ ერთეულს, მინათმფლობელობის თავისებური ფორმებიც ახასიათებდა [11: 60]. საეკლესიო მინათმფლობელობა ძირითადად შეწირული ქონებისაგან შედგებოდა. შეწირული ქონების გვერდით არსებობდა ნასყიდი ქონებაც, მაგრამ ნასყიდის ხვედრითი წონა, XVI–XVIII საუკუნეებში მეტად მცირე იყო [12: 214].

რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოს მეურნეობაში წამყვანი ადგილი მინათმოქმედებას ეჭირა. აქ მოჰყავდათ ღომი, პური, ქერი და სხვა მარცვლეულის სახეობები. განვითარებული იყო მევენახეობა და მეფუტკრეობა. ცნობილია, რომ გელათის მონასტერს ჰქონდა ღვინის დიდი შემოსავალი. მეღვინეობის საქმის მომწესრიგებლად დადგენილი იყო საგანგებო მოხელე მეღვინეთუხუცესის სახით [11: 64]. მეღვინეობა გელათში საეპისკოპოსოს დაარსების (1529) შემდეგაც წამყვან დარგად რჩებოდა, ხოლო მეღვინეთუხუცესი გელათის საეპისკოპოსოს მმართველი ორგანოს საპატიო წევრი იყო, რასაც ადასტურებს 1890 წლის საბუთში „საგენათლოს კრებულ სამღვდელთა და საერო“ პირთა შორის მეღვინეთუხუცესისა და მეღვინეს მოხსენიება (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ფონდი H D–1621). ხონის საეპისკოპოსოში განვითარებული იყო მეაბრეშუმეობაც, ამას მონიშნავს ხონის სამწყსოში შემავალი სოფელ მათხოჯის მცოვრებთათვის „საყაჭობო“ გადასახადის დაკისრება [14: 155]. აბრეშუმის ქიას დასავლეთ საქართველოში ყაჭს უწოდებდნენ. სიტყვა „საყაჭობო“, მეაბრეშუმეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. „საყაჭობო“ გადასახადი გეხვედება 1578 წელს შედგენილ ქუთაისის საყდრის გამოსავლის დაეთარშიც [7: 298].

რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოს თავიანთი სამწყსოს ფარგლებს გარეთაც გააჩნდათ შეწირული სოფლები, სადაც „მიმოდათესული გლეხნი“ ჰყავდათ. ყმა-მამულის სიმრავლე საეპისკოპოსოს ეკონომიკურ სიძლიერეზე აისახებოდა. ეკონომიკური სიძლიერით რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოს შორის გელათის საეპისკოპოსო გამოირჩეოდა. გელათის მონასტრის დაქვემდებარებაში იყო მოქცეული მრავალი სოფელი, ასეულობით კომლი გლეხი, ვენახები, ზერე-

ბი, ტყეები, ნისქივლები, სავაჭრო დუქნები და სხვა [9: 44]. გელათში საეპისკოპოსო კათედრის დაარსების შემდეგ (1529 წ.) გელათის მონასტრის უძრავ-მოძრავი ქონება გენათელი ეპისკოპოსის სამწყსოში გაერთიანდა. გენათელი ეპისკოპოსები „სხუათა ეპისკოპოსთაგან უმეტესნი იყვნენ“ და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ იმერეთის სამეფო კარზე. მათ სხვა შემოსავლების გარდა, დადგენილი წესის მიხედვით „ასი თეთრი მიერთმეოდათ სამარადისოდ“ [2: 10–11]. გენათელები იმერეთის სამეფოში მდიდარი და გავლენიანი სასულიერო პირები რომ იყვნენ, ეს უტყვოელი მოგზაურების ცნობებითაც დასტურდება. ფრანგი იუველიერი და მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც საქართველოში 1672–73 წლებში იმყოფებოდა, გენათელი ეპისკოპოსის შესახებ საუბრის დროს აღნიშნავს, რომ: „იგი (საუბარია გენათელ გედეონ ლორთქიფანიძეზე ბ. გ.) იმერეთში მდიდარი და მეტად ღირშესანიშნავი პიროვნებაა“ [16: 243].

XVII საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის სამეფოსა და მთელს დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური ანარქია არ ცხრებოდა. გაუთავებელმა შინააშლილობებმა და ძარცვა-რბევებმა ქვეყანა ეკონომიკურად დასცა და განადგურების პირას მიიყვანა. ყოველივე ამას ოსმალური აგრესია ემატებოდა. 1672 წელს იმერეთის სამეფოში ახალციხის ფაშა შემოიჭრა. უთანასწორო ბრძოლაში იმერეთის ლაშქარი დამარცხდა და უსინათლო მეფე ბაგრატ IV (1660 – ხანგამოშვებით – 1681) ტყვედ ჩავარდა. ოსმალებმა იმერეთის რბევა დაიწყეს. შარდენის ცნობით (შარდენი იმ ხანად იმერეთში იმყოფებოდა), გენათელმა ეპისკოპოსმა (საუბარია გედეონ ლორთქიფანიძეზე ბ. გ.) ფაშას თხოუმეტი ათასი ეკიუ გადაუხადა, რათა თავისუფლება მოეპოვებინა და მისი მიწებიც ხელუხლებლად შეენარჩუნებინა [16: 247]. ფაშამ ქრთამი აიღო და გენათელის სამწყსო აღარ დაარბია. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ოსმალთაგან დატყვევებული მეფე ბაგრატის შეევედრა ახალციხის ფაშა – ასლანს, რომ მისთვის მეფობა შეენარჩუნებინა და სანაცვლოდ ქრთამის მიცემა აღუთქვა. თუმცა იმხანად სამეფო ხაზინა დაცარიელებული იყო და ამიტომ ბაგრატმა ფაშას ქრთამის ნაცვლად „წინდად“ მისცა თავისი ძე – ალექსანდრე (ვახუშტი ბატონიშვილი: 1973 841). ამ ორი ცნობიდან ირკვევა, რომ იმ უმძიმეს ვითარებაშიც კი, რომელიც იმერეთის სამეფოში სუფევდა, გელათის საეპისკოპოსო ეკონომიკურ სიძლიერეს ინარჩუნებდა და გენათელი ეპისკოპოსის ფინანსური მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე იმერეთის მეფისა. მაშინ, როდესაც სამეფო ხაზინა დაცარიელებულია და მეფე ბაგრატ IV ტყვეობიდან თავდასახსნელად ახალციხის ფაშას ქრთამის ნაცვლად მძევლად თავის ვაჟს აძლევს, გენათელ ეპისკოპოსს შეუძლია თხოუმეტი ათასი ეკიუს გადახდა პირადი თავისუფლებისა და მისი მიწების ხელშეუხებლობის პირობით. შარდენის ცნობით, იმხანად დასავლეთ საქართველოში ტყვის მყიდველები ოცდახუთიდან ორმოც წლამდე მამაკაცებს 15 ეკიუდ ჰყიდდნენ. ორმოცზე მეტი ხნისას – 8-დან 10 ეკიუმდე. ქალწულებს ცამეტადან თვრამეტ წლამდე – 20 ეკიუდ, ხოლო ბავშვებს – 3 ან 4 ეკიუდ [16: 212]. იმ ფონზე, როდესაც დატყვევებული ადამიანის ფასი 15–20 ეკიუს არ აღემატებოდა, თხოუმეტი ათასი ეკიუ საკმაოდ სოლიდური თანხა, გენათელი



ეპისკოპოსი გედეონ ლორთქიფანიძე კი – მთელს იმერეთში ყველაზე მდიდარი დარი ადამიანი იქნებოდა.

სიმდიდრით გამოირჩეოდა აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია გურიელიც (1616–1639), რომელსაც პარალელურად ცაიშლობა, ჯუმათლობა და ხონელობა ჰქონდა შეთავსებული. იგი ოცდაოთხი საკათალიკოსო მსხვილი მამულის მფლობელი იყო, აქიდან თვრამეტში სამეურნეო-საგამგეო ცენტრი ჰქონდა განთავსებული [10: 136]. მალაქია გურიელის, როგორც გავლენიანი მღვდელმთავრის შესახებ, ქართული წყაროების გარდა ცნობებს გვანვდიან კათოლიკე მისიონერებიც (არქანჯელო ლამბერტი, ქრისტოფორო კასტელი და სხვ.), რომლებიც XVII საუკუნის შუა ხანებში დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდნენ.

ფინანსურად ძლიერი იყო გენათელი ეპისკოპოსი ზაქარია ქვარიანიც (1637–1660). მან 1637–39 წლებში ქუთაისში მწვანეყვავილაზე ააშენა მთავარანგელოზის ეკლესია, ციხე-სიმაგრე და სახლ-კარი [10: 139]. ზაქარია ქვარიანი აღმშენებლობით სამუშაოებს აწარმოებდა მთელი გელათის საეპისკოპოსოს მამულებით. ჟამთა ვითარებისაგან გაპარტახებულ სოფლებში ასახლებდა გლეხებს და ცდილობდა მეურნეობის აღორძინებას.

ჩიჯავაძეთა ფეოდალური სახლის მემკვიდრე იყო უკანასკნელი ხონელი მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე (1771–1820). მის საკუთრებაში შედიოდა საჩინოსა და ვანის სანახებში არსებული ათობით სოფელი 1000-მდე კომლით და აზნაურის 12 საგვარეულოთი [13: 173]. თუმცა მძიმე ეკონომიკური კრიზისის დროს ანტონს თათრის ვალი დასდებია და იძულებული გამხდარა მამული გაეყიდა (პ. ვაჭრიძე: 1977 17).

ფინანსურ სიდუხჭირეს არ უჩიოდნენ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსებიც. მათ მფლობელობაში მრავალი სოფელი და ყმა-მამული იყო. გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის ცნობით, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების რეზიდენცია უდიდესი და ყველაზე წესიერად აგებული შენობა იყო მთელს იმერეთში [17: 131]. ნიკორწმინდელთაგან ფინანსური შესაძლებლობებით გამოირჩეოდნენ ნულუკიძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები, გერმანე და სოფრონიოს ნულუკიძეები. ამ უკანსაკნელს დიდი წვლილი მიუძღვის ნიკორწმინდის საეპისკოპოსოში განხორციელებული აღმშენებლობის პროცესში.

საეპისკოპოსოს საზღვრებში მცხოვრები ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი თავადი, აზნაური თუ გლეხი, ამ საეპისკოპოსოს სამწყსოს წევრად ითვლებოდა და ვალდებული იყო გადაეხადა სამწყსო გადასახადი. თითოეულ საეპისკოპოსო კათედრას თავისი აზნაურები და გლეხები ჰყავდა, რომლებსაც ეკლესიის მხრიდან გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდა.

საეკლესიო აზნაურების ვალდებულება ძირითადად სტუმრის მიღება-გამასპინძლებით, ლაშქრობებში მონაწილეობითა და სხვა საპატიო სამსახურით შემოიფარგლებოდა. საცაიშლოს გამოსავლის დავთარში აღნიშნულია, რომ: „ათმან აზნაურიშვილმან ზროხიანი კარგი საქმელი თავის თავით გვაჭამოს, რა რიგადცა თავი ესახელებოდეს“ [ნ: 10]. ანალოგიური ვალდებულება აქვთ დაკისრებული ქუთაისის სამწყსოს აზნაურებს 1578 წელს შედგენილი

ქუთაისის საყდრის დავთრის მიხედვით: „7 კომლს აზნაურთ მართებთ თითო პურის ჭამა, ლაშქრობა და თითო თეთრის ყავრის მიტანა ქუთაისს“ [6: 13]. აღნიშნული ვალდებულებები გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საყდრის აზნაურებზეც ვრცელდებოდა.

გაცილებით უფრო მეტი ვალდებულებები ეკისრებოდა საეკლესიო გლეხებს. გლეხი, რომელიც ეკლესიის მიწაზე იჯდა, თავისი შემოსავლის ნაწილი ეკლესიისათვის უნდა გაეღო. საეკლესიო გლეხების მდგომარეობა სამეფო და საბატონო გლეხების ფონზე, შედარებით მსუბუქი იყო, რადგან საეკლესიო გლეხები გათავისუფლებული იყვნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან.

საეკლესიო გლეხები, ისევე როგორც სამეფო და საბატონო გლეხები, რამდენიმე ჯგუფად იყოფოდნენ. მათ შორის იყვნენ აზატები და მებეგრეები. მებეგრეები თავის მხრივ იყოფოდნენ მსახურებად და მოინალეებად. აზატები მებეგრეებზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ზოგიერთ მათგანს თავისი გლეხიც კი ჰყავდა [6: 13]. აზატებს ევალებოდათ სტუმრის გამასპინძლება, ცხენით სამსახური, მცირე რაოდენობის ნატურალური გადასახადი და სხვა. ძირითადი ვალდებულებები და გადასახადები მებეგრე გლეხებს ეკისრებოდათ. იყვნენ მეღაპე გლეხებიც, რომლებსაც მხოლოდ ეკლესიისათვის შემომწირველის სულის მოსახსენიებელი ალაპის გადახდა ევალებოდათ. ალაპის გადახდის დროს მეღაპე გლეხს უნდა გაეღო სანთელი, პური, ღვინო, ხორცი, თევზი, ყველი და სხვა საჭმელი. მარხვის პერიოდში კი – სამარხვო საკვები.

ხონის საყდრის დავთარს ახლავს ერთ-ერთი მინაწერი, სადაც აღნიშნულია: „ქ. ჩვენ ბატონმა ჯვრის მამამ და მისმა მოძღვარმა ზებედეშ დაეხსნედი და გიორგი ჩხეიძის შეწირული გლეხის სააღაპო საქმე გავარიგეთ, ბეგრისაგან გავარიგეთ; უნდა მოიტანოს დათვიამ ჩხიკელემ მისის ბეგრისაგან: ერთი ცხვარი, ხუთი კოდი ლომი, ოთხი კოკა ღვინო, ერთი შაურის სანთელი და ერთი შაურის საკმეველი გიორგობისთვის ალების შაბათს, დეკანოზს და მთავარს ჟამს აწირვინებდეს. გლახებსა და იმ მღდელსა და მთავარს გაუმასპინძლებოდეს და შენდობას ათქმევინებდეს, მღდელს ორს შაურსა და ცხვრის ტყავს მისცემდეს, მთავარს ერთს შაურს“ [7: 370].

ნიკორწმინდის საბუთებში არსებულ ერთ-ერთ შეწირულების წიგნში, მონაზონი იოსებ ნულუკიძე თავისი მამის გიორგი ნულუკიძის სულის მოსახსენებლად, ხახუასა და დათუა ჯმუხაძეების ოჯახს ალაპის გადასახდას აკისრებს: „...დადევით ალაპი ხახუას ჯმუხაძეს, დათუას, მის ძმას, მათთა შვილთა და მომავალთა, სამისდღეშიოდ მოუშლელად ყოველს ხორციელის შაბათს, სულთაობას (?) უნდა მოიტანოს ერთი კაი ცხუარი, სამი კასრი ღვინო, ორი სვერული დამცხუარი პური, ნახევარი ჩარექი სამთელი, სამთელი ხატს მიართუან, კანდელაკმან ჭამი უნდა უწიროს გიორგი ნულუკიძეს შესანდობელად და ჩუენდა სადღეგრძელოდ და სულის საოხად...“ (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე – 1531).

ამ ცნობების მიხედვით, ზოგადი წარმოდგენა გვექმნება, თუ რა სახის იყო ალაპის ბეგარა. მეღაპე გლეხებს საგანგებოდ მფარველობდნენ შემომ-



წირველები, რათა ისინი არ შევიწროვებულიყვნენ და ამას შემოწმებულთა სულის სამსახურის მოსპობა არ გამოენჯია [11: 74]. მეალაპე გლეხების რიცხვი, მებეგრეებისაგან განსხვავებით, მცირე იყო. მათი უმრავლესობა შეწირულები იყვნენ. საეკლესიო დოკუმენტებში გვხვდება სასულიერო პირების მიერ მე-ბეგრე გლეხის მეალაპედ გადაქცევის ფაქტები. ეს, რასაკვირველია, მებეგრე გლეხისათვის დიდ პრივილეგიად ითვლებოდა, რადგან მეალაპე გლეხის მდგომარეობა, მებეგრე გლეხისაგან განსხვავებით, გაცილებით მსუბუქი იყო. ასეთ პრივილეგიებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა გლეხი ხოჭონო კეთილადე მისი შთამომავლობით, რომელსაც ხონელმა მთავარეპისკოპოსმა ბასილი ჩხეიძემ (დაახლოებით 1580–1600) ბეგარა აღუკვეთა და მთავარეპისკოპოსის სულის საოხად ალაპის გადახდა დააკისრა: „...მე მთავარეპისკოპოსის ჩხეიძეს ბასილს ამმკვეთია ბეგარა ხოჭონო კეთილადისათვის და მისს შვილისა და მომავლისათვის და ანე ბეგრის მაგიერ და დამიც და დღეთა ჩემთა სადღეგრძელოდ მერმედ სულისა ჩემისა საოხად და ალაპი მცხრით გარდაიხადოს სულისა ჩემისათვის ყოველს შობის მეორე დღეს დეკანოზს ჟამს აწირვინებდეს. სასებისკერეთ იმ დღეს მიაბარებდეს ათს კოდს (კოდი დაახლოებით 32 კილოგრამი) პურს.....“ [5: 19].

პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დროს, იყო შემთხვევები, როდესაც სამეფო ხელისუფლება საეკლესიო გლეხებსაც აკისრებდა სახელმწიფო გადასახადებს. საეკლესიო გლეხები ხშირ შემთხვევაში იხდიდნენ საურის („საური“ თურქული სიტყვაა და ნიშნავს სამსახურს, ხარკს) გადასახადსაც. იმერეთის მეფე სოლომონ I ერთ-ერთ საბუთში ბოდიშს უხდის სამტრედიისაში მცხოვრებ გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის გლეხებს, რომ მათ იმერეთის სამეფოში ფინანსური კრიზისის გამო დამატებითი გადასახადები დააკისრა და პირობას დებს, რომ ამიერიდან არც თვითონ და არც მისი შემდგომი მეფეები ამ გლეხებს: გელეიშვილებს, ვახანიასა და რევიშვილ გიორგის, საურის გადასახადს აღარ გადაახდევინებდნენ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი HD-10143. [8: 278].

1755 წელს სოლომონ I-მა გელათის საყდრის გლეხები მთლიანად გაათავისუფლა სახელმწიფო გადასახადებისაგან [2: 6]. მანვე პირობა მისცა ხონის საყდრის გლეხებს, რომ საურის გადასახადს თითო მარჩილის მეტს არ გადაახდევინებდა: „მეფე სოლომონ გიბრძანებ სულ ერთობით ხონელებო, ღმერთი მომიცემია თქვენთვის თავდებათ. თუ დიდი თათრის ძალი და გარდასახადი არ მომდგეს, წრეულს იქით ჩემთვის საური თითო მარჩილის მეტი არ გადაგახდევით“ [2: 36]. 1764 წელს შედგენილი საბუთის მიხედვით, ხონის ეკლესიის გლეხები მეფე სოლომონ I-მა საუდიერო გადასახადებისაგან გაათავისუფლა: „ამოგვიკვეთია საუდიერო საძალოდ სათხოვარი ხონის წმინდის გიორგის ყმათათვის, რომ ჩვენგან არა ეთხოვოდეს რა...“ (ს. ც. ს. ა. ფონდი 1448, საქმე – 2170. [15: 11]. 1778 წელს მან საურის გადასახადისაგან გაათავისუფლა ნიკორწმინდის საყდრის ყმებიც: „...სე წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ მეფეთ მეფემან სოლომონ ... თქვენ ნიკოლოზის ეკლესიის ყმას ერთობით ძმუელებს და წყნორელებს, ასე რომე დაგვეაჯე-

ნით და შემოგვეხვეწეთ, ამოგინერეთ საური, არასოდეს ჩვენგან და შემდგომთა ჩვენთა მეფეთაგან თქვენ საური არ გეთხოვებოდესთ ამისა ნაცვლად თქვენი ჩემი წირვა დაიდევით, მანამ ცოცხალი ვიყვნეთ, ჩვენის მეფობის წარსამართებლად და ძეთა და ასულთა ჩვენთა სანდღეგრძელოდ...” [2: 67].

იყო შემთხვევები, როდესაც საეპისკოპოსო საყდრის გლეხებს ზოგიერთი კათალიკოსი თვითნებურად უდგენდა დამატებითი სახის გადასახადებს. მაგალითად, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოს ბესარიონს (1742–1769) გარკვეული პერიოდი მეფე სოლომონ I-ის შეჭირვებული მდგომარეობით უსარგებლია და ხონის ეკლესიის გლეხებისათვის ხორცზე, მარილზე, თევზსა და მატყლზე დამატებითი გადასახადები (ბაჟი) დაუწესებია. ამის გამო გლეხებმა დედოფალ მარიამს (სოლომონ I-ის მეუღლე) შესჩივლეს. დედოფალმა ხონის ეკლესიის გლეხების საჩივარი დააკმაყოფილა და მათ დამატებითი გადასახადები მოუხსნა. ეს ფაქტი დედოფალ მარიამის მიერ ხონის ეკლესიის გლეხებისადმი მიცემული პირობის წიგნშია დაფიქსირებული: „...ამ (ხონის ბ. გ.) ეკლესიის ყმას, მარილის, ხორცის, თევზის და მატყლის ბაჟი არ ეთხოვებოდეს, ვერც ჩვენმა მაგიერმან კაცმან და ვერც ვინც იყოს მთავარეპისკოპოზმან, ვერც არავინ სხვამა ვერ გთხოვოსყე.....“ [2: 39].

პოლიტიკური ანარქიისა და შინა აშლილობების დროს, რაც XVI–XVIII სს-ში დასავლეთ საქართველოს მუდამ თან სდევდა, ერისკაცების მხრიდან ადგილი ჰქონდა საეკლესიო ყმა-მამულის მითვისების ფაქტებსაც. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო ნიკორწმინდის საეპისკოპოსოსათვის იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ XVI ს-ში შეწირული სოფლის – რცხილათის ერისკაცთაგან მითვისება. XVIII ს-ის მეორე ნახევარში მეფე სოლომონ I-მა აღნიშნული სოფელი კვლავ ნიკორწმინდის საყდარს დაუბრუნა (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე – 2164; [2: 50]. მანვე 1782 წელს ხონის საყდარს დაუბრუნა „ერისკაცთაგან სამკვიდრებლად თვისად განსაკუთრებული“ გლეხებიც (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი H D–8452).

ფეოდალთაგან ეკლესიის ყმა-მამულის მისაკუთრების ფაქტები, როგორც აღვნიშნეთ, მრავლად იყო XVII–XVIII საუკუნეებში. მღვდელმთავრები საეკლესიო ქონებისა და თავისი სამწყსოს ყმების დაცვას ცდილობდნენ. ამ საკითხში აქტიურად იყო ჩართული ხონელი მთავარეპისკოპოსი იოსებ მაჩაბელი (1750-იანი წწ.–1763). მისი შუამდგომლობით, ხონის წმინდა გიორგის ეკლესიას კაცია წულუკიძემ ჭანტურაშიელების ოჯახი დაუბრუნა [2: 12–13].

თითოეული საეპისკოპოსოს მწყემსმთავარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისი სამწყსოს გლეხებზე ზრუნვას, რადგან გლეხები იყვნენ „მოქმედნი ამა ქვეყნისანი“ და საეპისკოპოსოს ეკონომიკური სიძლიერეც, ძირითადად, მათი შრომის ნაყოფიერებაზე აისახებოდა. საეკლესიო გლეხი, როგორც აღვნიშნეთ, ვალდებული იყო თავისი შემოსავლის ნაწილი ეკლესიისთვის მიეცა. გლეხი ბეგარას ძირითადად ნატურით იხდიდა, თუმცა არსებობდა ფულადი გადასახადებიც. ისტორიულ დოკუმენტებში, რომლებიც საქართველოს ცენტრალურ არქივში, ქუთაისის სახელმწიფო არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება, დაცულია ცნობები საეკლესიო შემოსავლების შესახებ. ამ საკითხის შესასწავ-

ლად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი დავთარი, აგრეთვე ხონის საყდრის, საქუთათლოს, საცაიშლოს დავთრები და სხვა საეპისკოპოსო საყდართა გამოსაღებების ნუსხები. საეკლესიო შემოსავლების შესახებ ცალკეული ცნობებია დაცული სამეფო სიგელებსა თუ შეწირულების წიგნებშიც. ზემოთ მოყვანილი დოკუმენტების ძირითადი ნაწილი, სხვადასხვა გამოცემებში გამოქვეყნებული აქვს სარგის კაკაბაძეს, შ. ბურჯანაძეს და სხვებს. აღნიშნული საბუთები აგრეთვე შესულია ი. დოლიძის მიერ გამოცემულ „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომში.

როგორც აღვნიშნეთ, საეკლესიო გადასახადების გადახდა ძირითადად ნატურით ხდებოდა. მასში შედიოდა საკლავი (უნდა იგულისხმებოდეს ძროხა ან ხარი. ხონის საყდრის დავთარში საკლავი ცალკე აღნიშნება და ღორი ცალკე. საცაიშლოს დავთარში კი ძროხა ცალკეა აღნიშნული და საკლავი – ცალკე, ამ შემთხვევაში საკლავის სახით ღორი უნდა იგულისხმებოდეს), ღორი, ქათამი, თევზი, კვერცხი, ღვინო, პური, ქერი, ღომი, სანთელი და სხვა. იყო ფულადი გადასახადიც.

საეკლესიო გლეხზე დაკისრებული გადასახადის ოდენობა მისი მთლიანი შემოსავლიდან გამომდინარეობდა. მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუ რამდენად ნაყოფიერ მიწას ამუშავებდა გლეხი. ხშირად მღვდელმთავრები გლეხებს გადასახადებზე შეღავათებს აძლევდნენ და მხოლოდ ღვინის ან ღომის ზეგარას აკისრებდნენ. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო 1782 წელს, როდესაც ხონელმა მთავარეპისკოპოსმა იოანემ მათხოველ გლეხებს მათივე თხოვნის საფუძველზე შეღავათები მისცა და ყოველ მესამე წელიწადს, მხოლოდ თითო კეხი ღომის გადახდა დაუდგინა: „...მობრძანდით ჩვენს ქვეყანას დასამწყესლად (საუბარია ხონელ მთავარეპისკოპოს იოანეზე ბ. გ.) და სასჯულოთ და რომელიც თქვენის ეკლესიის მახლობელს სოფლებს სანულუკიდოს, ნახახულევერს და კონტოეთს ემართა ჩამომწყისა, ისე იმ გვარათ ჩამომწყისას შემოგებვენეთ ერთობი თემი და წყალობის თვალთ მოგვხედეთ და შეგვიხვენიეთ და რაგვართაც იმ სოფლებს ემართა, ისე თითო კეხი ღომი დაგვადევით მესამეს წელიწადს“ [2: 77], აღნიშნულია ხონელი მთავარეპისკოპოსი იოანესადმი მათხოველი გლეხების მიერ მიცემულ პირობის წიგნში.

იყო შემთხვევები, როდესაც ეკლესიის ყმას ვალი ედებოდა და მის დასაფარად ეკლესია ეხმარებოდა, სანაცვლოდ კი ყმას გარკვეული სახის ვალდებულებას აკისრებდა. 1791 წელს სოფელ სიმონეთში მცხოვრებ ბასილა კლდიაშვილს ვალი დასდებია და დახმარებისათვის ეფთვიმე გენათელისთვის მოუმართავს: „რომელიცა ვალი დასდებოდა ჩვენ გარდავიხადეთ...“ - აღნიშნავს ეფთვიმე გენათელი 1791 წლის დოკუმენტში. – „და ამისდა ნაცვლად თვითან თავს ნებითაც ინება და ჩვენც განუწესეთ და დავსდევით: ყოველს წელიწადს... ბატონისშვილის კათალიკოზის იოსების მიცვალების დღეს ცამეტს მაისს ხუთის რუბის ცხვარს გელათს მიიყვანდეს და გელათის დეკანოზს მიგვრიდეს და გელათის დეკანოზი თვითან იმ დღეს... ბატონისშვილის კათალიკოზის იოსებისათვის სწირვიდეს და პანაშვიდს გარდუხდიდეს...და კიდევ ისევ კლდიაშვილი... პურის მოსავლის დროზედ ორს კოდ პურს გელათს

სასებისკვერეთ მიიტანდეს და გენათელს მიერთმეოდეს..." (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 3222).

გლეხებს, რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმს არ აღემატებოდა, ეკლესია გადასახადებს არ აკისრებდა. მაგალითად, სოფელ მუხაყრუაში მცხოვრები გელათის სამწყსოს 17 კომლი გლეხი სიღარიბის გამო 12 წლის განმავლობაში გათავისუფლებული იყო გადასახადებისაგან [ნ: 94]. ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოებშიც.

საეკლესიო გლეხი იხდიდა სამწყსო (საეპისკოპოსო), სამაჭრობო (შემოდგომის გადასახადი), საყველიერო (გადასახადი დიდი მარხვის დასაწყისში), საპურობო (სამასპინძლო), საბატკობო (გადასახადი აღდგომის შემდეგ იხ. [14: 160] - ბატკი სულხან-საბას განმარტებით ჩვილ თიკანს ნიშნავს), საყაჭობო და სხვა სახის გადასახადებს. აღნიშნული გადასახადების გადახდა ძირითადად ნატურით ხდებოდა. „ხონის საყდრის დავთარში“ (ხონის საყდრის დავთარი სავარაუდოდ XVI საუკუნის ბოლოს არის შედგენილი) დაცული ცნობების მიხედვით, ერთი კომლი გლეხის გადასახადი დაახლოებით ამგვარი სახის იყო: „მართებს გიორგა ხურციძეს 1 საკლავი, 1 ქათამი, 1 თეთრის ყველი, საპურობო 1 ქათამი, 3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვინო, 2 თეთრი, 3 თეთრის საბატკობო, 1 ქათამი, 3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვინო (კოკა დაახლოებით 8-10 ლიტრი, ზოგიერთ შემთხვევაში 16-20 ლიტრი), 2 თეთრის სამაჭრობო, 4 ქათამი, 3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვინო, 2 თეთრი, 1 თეთრის საყველიერო, ერთი ურემი ღომი, 10 კოდი ცეხვილი, 24 კოკა მრთელი ღვინო, 1 ურემი თივა სამეჯინიბო ან ურიში და ან ფეტვი, 1 ურემი შეშა და მუშაობა“ [5: 6; 7: 359]. ერთი კომლის გადასახადი ჯამში შეადგინა 1 საკლავს, 7 ქათამს, 10 თეთრს, ერთი თეთრის ყველს, 6 კოდსა და ერთ ურემ ღომს, 10 კოდ ცეხვილს, 30 კოკა ღვინოს, 1 ურემ თივასა და 1 ურემ შეშას. ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ, თუ დროის რა ინტერვალით უწევდა გლეხს აღნიშნული გადასახადების გადახდა. არსებული საბუთების მიხედვით, ხონის საყდრის გლეხს ეკლესიისთვის საკლავი ყოველ მესამე წელს უნდა გაეღო. რაც შეეხება სხვა გადასახადების ჩამონათვალს, სავარაუდოდ, მათი გადახდა გლეხს წლის განმავლობაში უწევდა.

ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული „ხონის საყდრის დავთარში“ არსებული ნუსხის მიხედვით, 61 გლეხის კომლის საეკლესიო გამოსაღებმა ჯამში შეადგენდა 248 თეთრი, 58 საკლავი (ძროხას ან ხარს), 21 ლორი, 241 ქათამი, 43 თეთრის ყველი, 107 თეთრის თევზი, დაახლოებით 234 კოდი ღომი (ლომზე, ყველზე, კვერცხსა და ღვინოზე, ზუსტი რაოდენობის დადგენა ჭირს, რადგან ნუსხის გარკვეულ ნაწილში არ ფიქსირდება აღნიშნული ჩამონათვალის ოდენობა), დაახლოებით 788 კოკა ღვინო, 171 კოდი ცეხვილი, 23 ურემი თივა და 19 ურემი შეშა.

„აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთრის“ მიხედვით კი, რომელიც დაიწერა არა უგვიანეს 1621 წლისა, ხონის წმინდა გიორგის ეკლესიის გამოსავლის „ჯუმალი,“ (ჯამი) მთლიანად შეადგენდა 840 კოკა ღვინოს, 501 კოდ ცეხვილ ღომს, 98 საკლავს, 273 ქათამს, ყველის, კვერცხის, თევზის,



აგრეთვე საყველიეროსა და საბატკობოს „ჯუმალს“ 429 თეთრს; 25 ურემ ლომს, 42 ურემ თივასა და შუშას, 25 კალათ სამეფეინიბოს ან ურიშს ან მჭადს [7: 480].

ჩამოთვლილი გადასახადების გარდა, გლეხებს ეკისრებოდათ დამატებითი სამუშაოების შესრულებაც. მათ შორის ეკლესია-მონასტრის მიწის დამუშავება, ბალ-ვენახებისა და პირუტყვის მოვლა-პატრონობა, სამონასტრო მშენებლობებში მონაწილეობის მიღება, საჭიროების შემთხვევაში სტუმრის გამასპინძლება და სხვა. გლეხების გარკვეული ნაწილი ვალდებული იყო ეპისკოპოსს თან ხლებოდა თავისი სამწყსოს ერთი მხარიდან მეორეში გადაადგილების დროს. მეორე ნაწილს მღვდელმთავრის გამასპინძლება ევალებოდა. თითოეული გლეხის ოჯახს ან გვარს, გადანაწილებული ჰქონდა მოვალეობები. მაგალითად, როდესაც ხონელი მთავარეპისკოპოსი სვიმონ ჩიჯავაძე სანავარდოს მხარეს ეწვეოდა, კორძაიებს და სხვა გვარის წარმომადგენლებს წესად ჰქონდათ მისთვის თითო ზუთხის მირთმევა [5: 17].

იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510–1565) მიერ 1545 წელს გაცემულ სიგელს, რომელიც გელათის წმინდა გიორგის საყდრის აღდგენას ეხება, დართული აქვს დავთარი, სადაც გელათის სამწყსოს გლეხების გადასახადებია აღწუსებული. ერთი გლეხის კომლის გადასახადი ამგვარი სახისა იყო: „მართებს დოლაძეს მამუკას 20 თეთრი, 40 კოკა ღვინო, ღომი ნაოთხალი (კოდის მეოთხედი), სამაჭრობო საკლავი 2, ქათამი 4, ღვინო კოკა 6“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ფონდი S D–2896). ჩვენს ხელთ არსებული ნუსხების მიხედვით XVI საუკუნის 40–50-იანი წლებისათვის გელათის საყდრის 54 გლეხის კომლის გამოსავალი, დაახლოებით ჯამში შეადგენდა: 515 თეთრს, 884 კოკა ღვინოს, 3 საკლავს, 4 ბატკს (ჩვილი თივანი), 64 ქათამს, 21 კოდ პურს, 16 კოდ ქერს, დაახლოებით 136 კოდ ლომს და 20 ლიტრ ხორბალს [ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ფონდი SD–2896, 2897. ფონდი HD–1120. 19: 336-340; 4: 58-69].

1570 წლის გელათის სამწყსოში შემავალ წყალნითელას მცხოვრებთა საბეგრო ნუსხის მიხედვით კი 15 კომლი გლეხის გამოსავალი შეადგენდა: 27 ლიტრ სანთელს, 22 გვერდ ლომს, 12 გვერდ პურს, 33 კოკა ღვინოს და 100 თეთრის საკლავს [2: 28].

1573 წლის იმერეთის მეფის გიორგი II-ის შეწირულების წიგნის ჩამონათვალი გელათის საყდრის 14 გლეხის კომლის გამოსავალი ჯამში შეადგენდა 80 თეთრს, 100 თეთრის საკლავს, 308 კოკა ღვინოს, 14 ქათამს, 13 კოდ ლომს და 4 ზვინ თივას [ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე – 3324. 2: 29].

ზემოთ მოყვანილი დოკუმენტების მიხედვით შესაძლებელი ხდება ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას, დაახლოებით როგორი სახის გადასახადები იყო XVI საუკუნეში ხონისა და გელათის სამწყსოში. სამწუხაროდ, წყაროთა სიმწიფის გამო ამ კუთხით ჯერჯერობით ვერაფერს ვამბობთ ნიკორწმინდის სამწყსოზე. სავარაუდოდ, ნიკორწმინდის საყდრის გლეხებსაც, მეტ-ნაკლები რაოდენობით იმგვარი სახის გადასახადები ჰქონდათ დაკისრებული, როგორც გელათისა და ხონის საყდრის გლეხებს.

XVII–XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში არსებული შინაამბილობა თუ გარე ძალების აგრესია ქვეყნის მეურნეობას მძიმე დაღს ასვამდა. ტყვეთა სყიდვისა და დროდარო გავრცელებული ჟამიანობის გამო კატასტროფულად მცირდებოდა მწარმოებელთა რაოდენობა. იცლებოდა სოფლები, დაუშუშავებელი რჩებოდა მიწები, იკლებდა გადასახადების ოდენობა, რაც საბოლოო ჯამში მძიმე ეკონომიკურ კრიზისს ქმნიდა. ეკონომიკური კრიზისი ეკლესიასაც შეეხო. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება XVII საუკუნეში შედგენილი ჯიმაშთარის, ჯიქთუბანისა და ხონის გლეხთა საბეგრო ნუსხის ფრაგმენტი, რომლის მიხედვითაც ხონის მაცხოვრებელთა გამოსაღებებმა ჯამში შეადგინა: ოთხმოცდაათი მთელი (კოკა) ღვინო, ოთხმოცდაათი თეთრი, შვიდნახევარი ურემი ღომი და ცხრა სასუქი ქათამი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი HD-11223). აღნიშნული გამოსავალი გაცხილებით მცირეა XVI ს-ის 80-იანი წლების ხონის საყდრის გლეხების გამოსავალთან შედარებით, რაც იმ პერიოდში (XVII ს) არსებული ეკონომიკური კრიზისის დამადასტურებელია.

XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII ს-ის პირველ მეოთხედში გარკვეული პერიოდი არსებობდა შეწყვეტეს ქუთაისის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოებმა. გელათის საეპისკოპოსო კათედრა უმძიმეს პერიოდშიც განაგრძობდა მოქმედებას, მაგრამ ქვეყნის საერთო ეკონომიკური კრიზისი მის შემოსავლებზეც აისახებოდა. 1730 წლით დათარიღებულ იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის მიერ გელათის საყდრისათვის მიცემულ შეწირულობის წიგნს, გელათის სამწყსოს გლეხების გადასახადების პატარა ნუსხა ახლავს. ამ ნუსხის მიხედვით 13 გლეხის გამოსავალმა ჯამში შეადგინა 6 ლიტრი სანთელი, 120 კოკა ღვინო, სამმარჩილ-ნახევრის საკმეველი, 7 ურემი ღომი, 2 კოდი გაცხევილი ღომი და 22 ქათამი [2: 123]. მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ XVI ს-ის 70-იან წლებში გელათის საყდრის გლეხების გამოსავალი ორჯერ აღემატებოდა XVIII ს-ის 30-იანი წლების გელათის სამწყსოს ყმათა გამოსავალს.

იმერეთის მეფის სოლომონ I-ის თაოსნობით XVIII ს-ის 50-იან წლებში საეკლესიო რეფორმის გატარება დაიწყო. აღდგა ქუთაისის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრები. მეფე აღდგენილი საეპისკოპოსოების ეკონომიკური მდგომარეობითაც დაინტერესდა. როდესაც მან ხონის საყდრის ძველი საშემოსავლო ნუსხები მოიკითხა, აღმოჩნდა, რომ ისინი დაკარგული იყო. სოლომონ I-ის დავალებით შედგა საეკლესიო კრება აფხაზეთის კათალიკოსისა და დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავართა მონაწილეობით. კრებამ ხონის საყდრის საშემოსავლო საქმეზე იმსჯელა და დაადგინა, რომ ხონის საეპისკოპოსოში იმგვარივე სახის გადასახადები დაწესებულიყო, როგორც იყო ჭყონდიდის, გელათისა და ქუთაისის საეპისკოპოსოებში. ეს ფაქტი აღნიშნულია 1761 წლით დათარიღებულ საეკლესიო განჩინებაში: „... თვითმპყრობელი მეფეთმეფე სოლომონ და თანამეცხედრე ჩემი დედოფალთ დედოფალი დადიანის ასული მარიამ, პირმშო ძე ჩვენი სასურველი ალექსანდრე... შემოვკრებით მაღლის მიცემად ღვთისა და განახლებად ეკლესიათა და ტაძრისა ამის ხონის წმინდის გიორგის ტაძრის განახლება და განთავი-



სუფლებს ვინებთ..... მოვიკითხეთ და ეკლესიის გუჯარი ვერ ვნახებთ, უნდა ვითარებისაგან დაკარგულიყო. არც სამრევლოსი შემოსავლის, არც ნიშნის, არც სახუცოსი, არცერთის წიგნი აღარ იყო. ამაზედ შემოვკრიბეთ თავად უფალი ჩვენი ყოვლად ნეტარი კათალიკოზი ბესარიონ, უფლისწული ძმა ჩვენი ყოვლად ღიწმინდის (გენათელი ბ. გ.) მიტროპოლიტი იოსებ, ჭყონდიდის მიტროპოლიტი გრიგოლ, ქუთათელ მიტროპოლიტი მაქსიმე, შემოქმედელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ, მიტროპოლიტი დანიელ, ბედიელ მიტროპოლიტი მაქსიმე, იერუსალიმის პატრიარქის ვექილი სვიმეონ, არქიმანდრიტი მონაზონი დაყუდებული გერმანე და სხვანი ერთობით ღიწმინდა იმერთა კრებული და ეკლესიის ნიშანი, სამრევლო და გამოსავალი და სახუცო მოვიკითხეთ და წმიდამ ამ კრებამ ასე დაამტკიცეს და ბძანეს: როგორათაც ჭყონდიდის სამწყსოშიდ იყოსო, გენათლისა და ქუთათლის სამწყსოშიდ, იმასაც (ხონის სამწყსოს ბ. გ.) ეგრეთ განუწესოთ“ [5: 7].

XVIII საუკუნის 70–80-იან წლებში იმერეთის სამეფოში შედარებით სტაბილურმა ვითარებამ ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებას. იმატა სამწყსო გადასახადებმაც. 1783 წლით დათარიღებულ მეფე სოლომონ I-ის შეწერილობის წიგნს ახლავს გელათის სამწყსოში შემავალი სოხასტრის გლეხების გამოსავლის ნუსხა. ამ ნუსხის მიხედვით თითოეული გლეხის გამოსავალი შეადგენდა: სამ კოდ ღომს, ექვს თორმეტთან ღვინოს (თუ „თორმეტთანს“ – ვივარაუდებთ როგორც თორმეტი ლიტრის ოდენობის ღვინის ჭურჭელს, გამოვა რომ თითოეულ გლეხს, 72 ლიტრი ღვინის ბეგარა ეკისრებოდა), ერთ ჩარექ სანთელს (ჩარექი ლიტრის მეოთხედია), ერთ ჩარექ ყველს და ორი რუბის ხორცს [2: 79]. ჯამში 28 გლეხის გამოსავალმა შეადგინა: 81 კოდი ღომი, 158 „თორმეტთან“ ღვინო (სავარაუდოდ 2 ტონა და 16 ლიტრა), 27 ჩარექი სანთელი, 27 ჩარექი ყველი, 54 რუბის ხორცი და ერთი მარჩილის საკმეველი.

XVIII საუკუნეში შედგენილი ხონის საყდრის საბეგრო ნუსხების მიხედვით, რომელიც 1803 წელს ხონელი მთავარეპისკოპოსის ანტონ ჩიჯავაძის ბრძანებით გადაწერა მღვდელმა ოსე გაბაონმა, დაახლოებით 38 გლეხის კომლის სანთლის ბეგარამ შეადგინა: 33 ჩარექი და 7 შამახური სანთელი, აგრეთვე 10 მწყთა ტილო [2: 125–127]. აღნიშნული სანთლის ბეგარა ფაქტობრივად წარმოადგენს ფულად ბეგარას სანთელზე გადატანით [6: 23]. საკათალიკოსო ყმების ფულადი ბეგარა თავისი კათალიკოსობის პირველივე წლებში აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსს გრიგოლ ლორთქიფანიძეს სანთლის ბეგრით შეუცვლია. როგორც ჩანს, ანალოგიური ცვლილება გატარებულა სხვა საეკლესიო გლეხების და კერძოდ, ხონის მთავარეპისკოპოსის გლეხების მიმართაც [6: 1, 23].

ზემოთ მოყვანილ ხონის საყდრის საბეგრო ნუსხებში სანთლის ბეგრის გარდა, არის ღომის და ღვინის ბეგარა, აგრეთვე ბეგარა ღორის, ქათმის, თევზის, ყველისა და კვერცხისა. ს. კაკაბაძის ვარაუდით საკლავისა და ქათმის გადამხდელთა ნუსხა შედგენილი უნდა იყოს 1730–1740 წლებში, ღომის და ღვინის გადამხდელთა ნუსხა 1746–1750 წლების ახლოს, ხოლო სანთლის



ბეგრის ნუსხა 1756–1760 წლებში [6: 25]. როგორც თავში აღნიშნეთ, ხონის საეპისკოპოსო კათედრა აღდგა 1750-იან წლებში, მისი აღდგენის პროცესში კი ვერც ერთი ძველი საშემოსავლო ნუსხები ვერ უპოვნიათ. აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხონის საყდრის ყმათა საგადასახადო ნუსხები 1730–1740-იან წლებში შეედგინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მეფე სოლომონ I-ისათვის ცნობილი იქნებოდა ამ ნუსხების შესახებ. აღნიშნული ნუსხების ყველა კრებული ხონის საეპისკოპოსო კათედრის აღდგენის შემდეგ, ანუ 1750-იან წლებში უნდა დაწერილიყო. აღნიშნული ნუსხების მიხედვით, ხონის საყდრის 147 გლეხის კომლის საერთო ბეგარამ ჯამში შეადგინა: 590 კუახი ღომი (კუახი დაახლოებით კოდის 1,5 - იხ. საისტორიო კრებული ნ. 1, ტფ. 1928 გვ. 28), დაახლოებით 893 კოკა ღვინო, 179 რუბისა და 50 მარჩილის ღორი, 120 ქათამი, 4 რუბის თეთრი, 25 შაურის ხორცი და სხვა [2: 127–139]. ამას ემატება ყველისა და კვერცხის ბეგარა, რომლის ზუსტი რაოდენობის დადგენა ვერ ხერხდება, რადგან აღნიშნულ ნუსხებში მათი ოდენობა არ არის დაფიქსირებული.

ორკვევა, რომ 1803 წელს გადაწერილი XVIII ს-ის ხონის საყდრის საბეგრო ნუსხების მიხედვით, ხონის სამწყსოს 147 გლეხის საერთო გადასახადების ოდენობა, თითქმის თანაბარია XVI–XVII საუკუნეთა მიჯნაზე შედგენილ ხონის საყდრის დავთრის ნუსხებში ასახული ხონის ეკლესიის 61 გლეხის საერთო გადასახადების ოდენობისა. ხონის საეპისკოპოსოს მაგალითზე XVIII საუკუნეში XVI საუკუნისგან განსხვავებით, გადამხდელთა რიცხვი გაზრდილია, ხოლო გადასახადი – შემცირებული, რაც მოსახლეობის გალარიბების ნიშანია. სავარაუდოდ, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური ფონის გამო ანალოგიური მდგომარეობა იყო გელათისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოებშიც.

იმერეთის სამეფოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ (1810 წ.) დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმირება დაიწყო. რეფორმის სისრულეში მოყვანა ვერ მოხერხდა საქართველოს პირველი ეგზარქოსის – ვარლამ ერისთავის დროს. ეს უკანასკნელი 1817 წელს რუსეთში გაიწვიეს და მის ნაცვლად საქართველოში მოავლინეს თეოფილქტე რუსანოვი. თეოფილქტემ აღნიშნული რეფორმის გატარებისათვის მზადება აქტიურად დაიწყო. რეფორმის ძალით რაჭა-იმერეთის ოთხივე საეპისკოპოსო კათედრა (გელათი, ქუთაისი, ხონი და ნიკორწმინდა) უქმდებოდა და იმერეთის ეპარქიაში ერთიანდებოდა. ქართული ეპარქიები რუსული ეპარქიების ყაიდაზე უნდა მოწყობილიყო. მცირდებოდა ეკლესია-მონასტრებისა და სასულიერო პირების რაოდენობა.

1819 წლისათვის იმერეთში 12908 კომლი ცხოვრობდა, ეკლესია-მონასტრების რაოდენობა კი 633 იყო (ამ მონაცემებში უნდა შედიოდეს რაჭაში არსებული ეკლესია-მონასტრებიც. არსებობს განსხვავებული მონაცემებიც, რომლის მიხედვით 1782 წლისათვის იმერეთში 18980 კომლი ცხოვრობდა, ხოლო 1819 წლისათვის მათი რაოდენობა 12730 კომლამდე იყო დასული. 30 წლის განმავლობაში იმერეთის მოსახლეობის საგრძნობი კლება 1812 წელს აქ გაჩენილი ეპიდემიის შედეგი იყო. [15: 34]). სასულიერო პირთა რაოდენ-

ნობა ცხრაასსამოცდაცხრას აღწევდა. აქედან 693 მღვდელი, 79 ბერი და 197 დიაკვანი იყო [18: 59]. რეფორმის ძალით რაჭა-იმერეთში არსებული ეკლესიამონასტრების რაოდენობა განახევრდა. მაგალითად, ქუთაისის საეპისკოპოსოში არსებული 72 ეკლესიის და 105 სასულიერო პირის ნაცვლად დარჩა 37 ეკლესია და 39 ღვთისმსახური. ხონელის სამწყსოში 42 ეკლესიისა და 59 სასულიერო პირის ნაცვლად დარჩა 25 ეკლესია და 23 ღვთისმსახური (იქვე). ანალოგიური ვითარება იყო გელათისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოებშიც. სამწუხაროდ, ამ საეპისკოპოსოებში არსებული ეკლესიამონასტრებისა და იქ მოღვაწე სასულიერო პირთა რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ მოგვეპოვება.

რეფორმის ძალით უქმდებოდა გადასახადების ნატურით გადახდა და წესდებოდა მხოლოდ ფულადი გადასახადები. გაუქმებული საეპისკოპოსო კათედრების გლეხები, სახაზინო უწყებებში გადადიოდნენ, სასულიერო პირებს კი ტრადიციულ შესანიშნავ-გადასახადთა ნაცვლად ხელფასები ენიშნებოდათ [13: 65].

1819 წელს თეოფილაქე რუსანოვის განკარგულებით, დასავლეთ საქართველოში ჩატარებული საეკლესიო ყმების აღწერილობაში გენათლის სამწყსოს 45 სოფელში 446 კომლი ყმა არის აღრიცხული [6: 81]. მათ 1819 წელს ნატურალური გადასახადების ნაცვლად დაუნესდათ ფულადი გადასახადები, რომელმაც ჯამში შეადგინა 1977 მანეთი [6: 74–81]. (ზოგიერთი მონაცემებით 1819 წლისათვის გელათის კათედრა 42 სოფლიდან 395 კომლს ფლობდა, ფულადი შემოსავალი კი იყო 2038 მანეთი [18: 63]). სავარაუდოდ, გელათის სამწყსოს აღნიშნულ პერიოდში შვიდასამდე კომლი ყმა ჰყავდა [?: 382]. ხონელის სამწყსოს 9 სოფელში 139 კომლი ყმა აღრიცხებოდა, მათთვის დადგენილმა ფულადმა გადასახადებმა ჯამში შეადგინა 447 მანეთი [6: 1, 28–32–85]. ნიკორწმინდელის სამწყსოს 4 სოფელში აღრიცხებოდა 53 კომლი ყმა. მათი ფულადი გადასახადი ჯამში 218 მანეთი იყო [6: 84–85]. საეკლესიო ყმებზე დაკისრებული ფულადი გადასახადები თითქმის ორჯერ აღემატებოდა ნატურალურ გადასახადებს, რაც გლეხის ისედაც მძიმე მატერიალურ მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა. მაგალითად, თუკი ხონის სამწყსოს სამი სოფლის: ივანდიდის, კონტუათისა და ნახახულავერის მცოვრები 18 გლეხის კომლის ნატურალური გადასახადები დაახლოებით ჯამში 40 მანეთის ღირებულებისა იყო, მათ დაუნესდათ 85 მანეთი ფულადი გადასახადი [6: 31]. სოფელ მუხაყრუაში მცოვრებ გენათლის სამწყსოს 17 კომლ გლეხს გელათის საეპისკოპოსოს გაუქმებამდე ნატურის სახით ბეგარა ედოთ: თითო კომლს 5–7 კოკა ღვინო, 4–6 ბათმანი ღომი, 2–4 გირვანქა სანთელი, ზოგი კომლი იხდიდა ერთ მანეთს ცხვრის სამაგიეროდ. ჯამში აღნიშნული გადასახადები შეადგენდა 38 მანეთს, მაგრამ გლეხების სიღარიბის გამო გელათის საყდარს მათთვის 12 წლის განმავლობაში ბეგარა არ მოუთხოვია. 1819 წლიდან ამ 17 კომლ გლეხს რეფორმის ძალით 51 მანეთი ფულადი გადასახადი დაეკისრა [6: 94]. სოფელ ძმუისში მცოვრებ ნიკორწმინდელის სამწყსოს 10 კომლ გლეხს კომლზე ბეგარა ედოთ 5 ჩაფი ღვინო და 2 ბათმანი ღომი, 1819 წლიდან

დაედოთ ფულადი ბეგარა 40 მანეთი [6: 85], რაც წინანდელ ბეგარას ორჯერ აღემატებოდა.

1822 წელს საბოლოოდ გაუქმდა რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები და შეიქმნა იმერეთის ეპარქია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა უკანასკნელი ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი სოფრონიოს წულუკიძე. იგი რუსეთის ხელისუფლებისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა და დიდი წვლილი შეიტანა იმერეთის ეპარქიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნის საქმეში. მრავალსაუკუნოვან ქართულ ეკლესიაში რუსული მმართველობის დამყარებამ, სხვა უარყოფით ფაქტორებთან ერთად, რაჭა-იმერეთისა და სხვა ქართულ საეპისკოპოსოებში არსებული ტრადიციული სამეურნეო სისტემის მოშლა, ხოლო საეკლესიო ყმებზე გადასახადების გაორმაგება გამოიწვია, რაც მძიმე ტვირთად დაანვა ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფ გლეხობას.

წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ფონდი HD-11201, 11223, 10143, 8452, 1621. ფონდი S D-2896, 2897.
2. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი ფონდი 1448, საქმე - 1531, 2164, 2170, 3222, 3324.
3. ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბ., 1973.
4. ს. კაკაბაძე, „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“ ნ. 1, ნ. 2, ტფ., 1921.
5. ს. კაკაბაძე, „ხონის საყდრის დავთარი“, ტფ., 1913.
6. ს. კაკაბაძე, „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი“, ტფ., 1914.
7. ს. კაკაბაძე, „საეკლესიო რეფორმებისთვის სოლომონ I-ის დროს“, ტფ., 1913.
8. ს. კაკაბაძე, „მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ისტორიისთვის“ – საისტორიო კრებული ნ. 1, ტფ., 1928.
9. ი. დოლიძე, „ქართული სამართლის ძეგლები“ ტ. III, თბ., 1970.
10. ნ. ბერძენიშვილი, „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, ტ. II, თბ., 1953.
11. რ. მეტრეველი, „გელათი“, თბ., 2006.
12. რ. მეტრეველი, „საქართველოს მეფეები და პატრიარქები“, თბ., 2010.
13. ბ. ლომინაძე, „გელათი“, თბ., 1955.
14. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
15. ა. ფაილოძე, „მატიანე ხონისა“ პირველი ნაწილი, ქუთ., 1997.
16. ა. ფაილოძე, „მატიანე ხონისა“ მეორე ნაწილი, ბათ., 2003.
17. პ. ვაჭრიძე, „ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან“, თბ., 1977.
18. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ) ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975.



19. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962.
20. Н. Махарадзе, „Восстание в имеретии – 1819–1820 гг.“. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის ნაკვეთი III, თბ., 1942.
21. თ. ჟორდანიას, „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“ ნ. 2, ტფ., 1897.

BESIK GAPRINDASHVILI

SOCIO-ECONOMIC SITUATION OF RACHA-IMERETI EPISCOPACIES

Summary

In XVI-XVIII centuries the economic mechanism of Racha and Imereti episcopacies was similar to the economic production of feudal seigneurs. Agriculture held the leading place in the economy. Here grew gomi, bread-corn, barley and other cereals. There were developed wine-growing and bee-farming. The Racha and Imereti episcopacies owned the large serfdom-based estates that effected on their economic strength. Bishops of these cathedrals were rich and influential ecclesiastics in the Imereti Kingdom.

The church taxes in Racha and Imereti episcopacies were mainly the taxes in kind, which included slaughter cattle (cow and pig), hen, fish, eggs, gomi, barley, candles and etc. There were also money taxes. According to the existing documents, the church peasants of the given episcopacies were imposed to pay higher taxes in XVI century, than it was in XVII-XVIII centuries, confirming the economic crisis of those times in West Georgia.

In 1820-22 on the instructions of the Russian authorities the Georgian exarchate carried out the church reform of West Georgia. There were abolished the four cathedral of Racha and Imereti (Kutaisi, Gelati, Khoni and Nikortsinda), having merged into the Imereti eparchy. According to the reform, there were abolished all natural taxes and affirmed only money taxes, due to the double increase of fees in general. Breakdown of the traditional economic system and the taxes increase became a heavy load for the church peasants, being in rather deplorable position.

БЕСИК ГАПРИНДАШВИЛИ

**СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ
РАЧА-ИМЕРЕТИНСКИХ ЕПИСКОПСТВ В XVI-XVIII ВЕКАХ**

Резюме

В XVI-XVIII века хозяйственный механизм Рача-Имеретинских епископств был схож с хозяйственным производством феодальных сеньоров. Ведущее место в хозяйстве занимало земледелие. Здесь выращивали гоми, хлебное зерно, ячмень и другие злаки. Было развито виноградарство и пчеловодство. Рача-Имеретинские епископства владели большими крепостными поместьями, что отразилось на их экономической мощи. Епископы этих кафедр были богатыми и влиятельными духовными лицами Имеретинского царства.

Церковные налоги в Рача-Имеретинских епископствах были в основном натуральными. В налоги входили: убойный скот (корова или свинья), куры, рыба, яйца, гоми, ячмень, свечи и т.д. Были также и денежные налоги. Согласно имеющимся документам, в XVI веке в данных епископствах церковные крестьяне выплачивали более высокие налоги, чем в XVII-XVIII века, что подтверждает экономический кризис тех времён (XVII-XVIII века), существующий в Западной Грузии.

В 1820-22 года по поручению русских властей грузинский экзархат провёл церковную реформу Западной Грузии. Были упразднены четыре кафедры Рача-Имерети (Кутаиси, Гелати, Хони и Никорцминда) и объединены в Имеретинскую епархию. Согласно реформе, были упразднены натуральные платежи и утверждены только денежные налоги, вследствие чего платежи в общем возросли в два раза. Распад традиционной хозяйственной системы и рост налогов легли тяжёлым грузом на плечи находящихся и так в прискорбном состоянии церковных крестьян.

თეიმურაზ პატრიაშვილი

ყვარლის ბრძოლა

მე-18 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ დაღესტანში, ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი, მეტსახელად მუცალი გაძლიერდა. ხუნძახი დაღესტნის ნაწილი და ავარიელთა სამფლობელო გახლდათ.

ამ დროს ქართლში თეიმურაზ მეორე, ხოლო კახეთში მისი ვაჟი, ერეკლე მეორე მეფობდნენ.

1754 წელს ნურსალ-ბეგმა ქართლ-კახეთის დაპყრობა განიზრახა, მაგრამ მჭადიჯურის ციხესთან ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი. [11:50; 1:49; 9:627.]

შურისძიების სურვილი აღარ ასვენებდა ნურსალ-ბეგს. 1755 წელს, როგორც კი გაზაფხულდა, თოვლი დადნა და მთებზე გადასვლა იოლი შეიქნა, მუცალმა ისევ გადაწყვიტა საქართველოს დალაშქვრა.

კახეთში ხმა გავარდნილა „მთელი დაღესტანი ყვარელზედ მოდისო“. მართლაც ამდენი მეომარი არასდროს დაძრულა ჩრდილო კავკასიიდან საქართველოსაკენ.

„რაც პირიქითა და პირაქეთა ლეკი იყო, ყველას ჯარი გამოართო“, ვისაც კი კახეთის მტრობა ჰქონდა მეზობლობაში, ყველა ეახლა ხუნძახის ბატონს. ავარიელებს შეუერთდა თარლუს შამხალის და ყაზიყუმუხის სურხაი-ხანის ჯარი, დაღესტნის სხვა სამთავროთა მებრძოლები, შაქის ხანისა და კაკის სულთანის რაზმები, განჯის ხანი. საქართველოს დაჩაგვრის მოსურნეთა რიგებს ჭარ-ბელაქნელებიც დაემატნენ. სხვა მეზობელი სახანოებიდანაც, თითქმის ყველას ჰქონდა სურვილი ბოლო მოეღოთ ქართველთა ლიდერობისათვის ამ რეგიონში.[6:226]

ორი-სამი თვის განმავლობაში 30 ათასამდე მებრძოლი შემოიკრიბა ნურსალ-ბეგმა.[5:360]

„სულ მე გამოწყვეითო, ქართლსა და კახეთს დავიჭერო და იმდენ ტყვესა და საქონელს გაშოვინებთ, რომ შვილით შვილამდე გეყოთი“ – პირდებოდა ის მეკავშირეებს.[6:226]

კახეთის სოფლების უმეტესობა ერეკლემ ძნელად მისადგომ ციხეებში გახიზნა. ციხეები გაამაგრა და ოთხი თვის თადარიგით მოამარაგა პურით, ღვინით და ტყვია-წამლით.[6:227]

ქართლის მოსახლეობაც დიდად შეშფოთდა, რადგან იცოდნენ, რომ თუ ნურსალ-ბეგი კახეთს დაიპყრობდა, მერე ქართლსაც მიადგებოდა. არც იმერეთი იყო მტრის შემოსევისაგან დაზღვეული.

ივლისის ბოლოს, ნურსალ-ბეგის დიდალი ჯარი მართლაც შავი ღრუბელივით დაეშვა მთებიდან და მეკავშირებთან ერთად ყვარლის ციხეს ალყა შემოარტყა. „შემოსაზღვრეს ყვარელის ციხე ლეკთა, იყო ომი დღე და ღამ“.[6:226; 6:227]

მოალყეთა წინა რიგის სანგრები, პირველ ხანებში, გალავნიდან არაუახლოეს 250-300 მეტრის დაშორებით იქნებოდა განლაგებული, რადგან მეციხოვნეთა მიერ ნასროლი თოფის ტყვია დაახლოებით ამ მანძილამდე დააზიანებდა მტერს. წრეზე ალყის სიგრძე ორ კილომეტრს გადააჭარბებდა და მისი შეესება მოალყეთა საკმაოდ დიდი რაოდენობას საჭიროებდა. პირდაპირი იერიშით ციხის ალბა ნურსალ-ბეგს შეუძლებლად მიაჩნდა, მსხვერპლი დიდი იქნებოდა. მტრები კახელთა ჯარის თადასხმის განუწყვეტელ მოლოდინში იყვნენ, ამიტომ ფრთხილად მოქმედებდნენ, თუმცა დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ალყაში მოქცეული მეციხოვნენი ტყვია-წამლისა და საკვების ნაკლებობის გამო მალე დანებდებოდნენ და ციხე დაეცემოდა.

მტრის თითოეულ მებრძოლს ქართველთა დარბევის, ტყვედ გაყიდვის, გაძარცვის და განადგურების ხარჯზე საშვილიშვილოდ გამდიდრების იმედი ამოძრავებდა.

* * *

„ყვარლის ციხე XVI-XVIII საუკუნეების კახეთში აგებულ სიმაგრეთაგან ერთ-ერთი დიდი ციხეა“, „იგი ტიპიურია XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის“ და „მონუმენტური ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს“, გალავანი თითქმის კვადრატულია, თითოეული გვერდის სიგრძე 100 მეტრს აღემატება. კედლები ფართე, მაღალი და მტკიცედ ნაშენია.[3 :190; 2 :444]

ათას ოჯახზე განსაზღვრული, ვაკე ადგილას აგებული ციხესიმაგრე საკმაოდ ძნელი ასაღები იყო. გალავნის კედლების მთელ პერიმეტრზე ათასამდე მეციხოვნე-მებრძოლს შეეძლო განლაგება. ციხის გალავნის შვიდ კოშკში დატანებული სათოფურებიდანაც იოლად შეიძლებოდა მიახლოვებული მტრის დაზიანება .[3 :191]

გალავნის შიგნით მარანი ჰქონდათ. დიდ ქვევრებში საუკეთესო, სამეფო ღვინო ინახებოდა.

კახელ მეციხოვნე ჯართან ერთად ციხეში გამაგრებულნი იყვნენ თავადები – დავით ვაჩნაძე, მელქისედექ და ბესპაზ ჭაჭავაძეები – თავიანთი ოჯახებით, მზღებლებით, მსახურებით. ციხეში შეზინული იყო ყვარლის, გავაზის, ენისელის, ჭიაურის და ალაზნის მარცხენა ნაპირზე არსებული სხვა სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი.[10:106]

მამა-შვილი თეიმურაზი და ერეკლე ჭირსა თუ ლხინში ერთად იყვნენ. როგორც კი ნურსალ-ბეგის ჯარმა ყვარლის მთების ვაკობიდან ციხისკენ დაიწყო დაშვება, თელავიდან ერეკლემ მამას შეუთვალა – „დრო ეს არის მოშველებისათ – მობრძანდითო“. [6:227]

ქართლისა და ფშავესურთა ლაშქარი, მეფის ერთგულ ოსთა, ჩერქეზთა და ყალმუხთა მცირე რაზმებთან ერთად, თეიმურაზ მეორის სარდლობით კახეთისაკენ დაიძრა, თელავში შეუერთდა აქ დაბანაკებულ კახელებს, მაგრამ,



მტრის ჯარი, ქართველ მეომრებზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი იყო. ჩერქეზ მეზობლთა დიდმა ნაწილმა, რომელნიც სხვა დროს, გადასახადის საფასურად ეხმარებოდნენ ქართველებს, ამჯერად ვერ გაბედა დახმარება, შემოთვალეს „მთელი დაღისტანი წამოვიდაო და ჩვენ იმათთან ომი არ შეგვიძლიაო“. მტრის ჯარის სიმრავლე მეტად ართულებდა მდგომარეობას. [6:228]

ყვარლის ციხის დაცვას საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ მტერი გაიმარჯვებდა და ციხე დაეცემოდა – ალაზნის გაღმა კახეთი მტერს დარჩებოდა, მერე მთელი კახეთის დაპყრობაც ალარ იყო ძნელი. დასუსტებულ ქართლსაც იოლად დაიპყრობდა ნურსალ-ბეგი და საქართველოს მომავალიც დასალუჰად იყო განწირული. „ყვარლის ციხე პირდაპირი გასაღები ყოფილა კახეთისათვის. მისი აღება ქვეყნისათვის კარის ჩამოსხნას უდრიდა“.

ნურსალ-ბეგმა თავისი ჯარის ნაწილები ქართლისკენაც გაუშვა, მათ ქართლის აოხრება დაიწყეს, თითქმის გორამდე მივიდნენ.

ქართველი მეფეები დღე და ღამ ფიქრობდნენ, თუ როგორ დაეცვათ ყვარლის ციხე. სარდლებთან ერთად თელავში თათბირი გამართეს. ომში უშიშარმა და გამოცდილმა მამა-შვილმა, ამჯერად პირისპირ შებმა არ მიიჩნიეს სწორ მოქმედებად. მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლა ხელსაყრელი არ იყო და რომც გაემარჯვათ, ეს მრავლად დაღვრილი სისხლის ხარჯზე მოხდებოდა. „სხვა ღონე რამე მოვიპოვნეთო და კახეთის ციხე განვაძლიერეთო“ – გადაწყვიტეს მეფეებმა და გონიერული განსჯის შემდეგ წინამძღვრობის გეგმა შეიმუშავეს. [6:229] ამ გეგმის მიხედვით მოქმედება, როგორც შემდეგ გამოჩნდა, ერთადერთი სწორი გზა იყო მტრის დასამარცხებლად და განსაადგენად.

გეგმის ძირითადი ნაწილის განხორციელებამდე კი, უცარი თავდასხმის შიშით მტერი არ უნდა მოესვენებინათ, მერე კი გამოიკვეთებოდა, რა მოემოქმედათ.

მეციხოვნეებს შეუთვალეს – „გამაგრდითო, მალე მოგეშველებითო“.

კახელი მეციხოვნეებიც „კაცურად და მამაცურად იბრძოდნენ“, სათოფურებიდან მარჯვედ იგერიებდნენ მომხედურებს, ბევრი მათგანი დახოცეს, გაღავანთან ახლოს არ უშვებდნენ, მაგრამ, როცა მტერი მიხვდა, რომ ქართველებს ტყვია-ნამალი შემოეღიათ და ისე ხშირად ველარ ისროდნენ თოფებს, ციხის კედლებთან თამამად დაიწყეს მიახლოება, ალყა შეამჭიდროვეს, ისე ახლოს მიიტანეს კედლებთან მაღალი საფრები (ხის ან მინისაგან გაკეთებული თავდაცვითი, ხელოვნური შემალღებები), რომ უკვე ზემოდან შეეძლოთ ესროლათ თოფები ციხეში, ეს კი მეციხოვნეთათვის დიდად საზიანო იყო. [6:229]

თეიმურაზი თავისი ჯარით ისევ თელავში იდგა ბრძოლის მოლოდინში.

ოცი დღე სრულდებოდა, რაც ციხე ალყაში იყო მოქცეული.

ლეკებმა თიხის მილებით ციხისაკენ მომდინარე წყალიც გადაკეტეს წყაროს სათავესთან, მაგრამ მეციხოვნე დავით ლარაძე ჩუმად გამოვიდა ციხიდან, სათავესთან მოდარაჯე მტრის ყარაულები დახოცა და წყალი ისევ ციხის მიმართულებით გაუშვა. მიუხედავად იმისა, რომ გაღავნის შიგნით ჭაყ იყო გათხრილი, ზაფხულის ცხელ დღეებში წყაროს წყალი მაინც აუცილებელი იყო ციხეში შეხიზნული ოჯახებისათვის. [11:56]

მეციხოვნენი ხედავდნენ, რომ ტყვია-ნამლისა და საკვების ნაკლებობის გამო ცოტა ხანში წინამდებეობის განევას ველარ შესძლებდნენ და მეფეებს შეუთვალეს – „მეტის გაძლება აღარ შეგვიძლია, თუ არ მოგვეშველეთ ციხეს ველარ შევინარჩუნებთ“.

იმავ დღეებში, ციხეში, ოთხ თანამებრძოლთან ერთად დემეტრე ანდრონიკაშვილი შეიპარა. მათ მიერ შეტანილი საკვები და ტყვია ნამალი, რაოდენობით უმნიშვნელო იყო, მაგრამ ამას გამამხნევებელი და დამამიმედებელი მიშვნელობა უფრო ჰქონდა მეციხოვნეთათვის. [10:105; 4:N 57]

* * *

ერეკლემ ბოდბეში დაიბარა თავისი სარდლები, ქიზიყელი მეომრები და ნაცვლები, თეიმურაზთან ერთად შემუშავებული, მოქმედების ზემოთხსენებული გეგმა გააცნო მათ, შემდეგ კი შეკრებილთ მიმართა:

„ჯერ ღვთის სიყვარულისთვის და სარწმუნოებისთვის, მერე თავის მეფეთა და ჩვენის ქვეყნის ერთგულებისათვის, ვინც გარჯასა და თავს არ დაზოგავს, ვინც ვაჟკაცია და თავისი ნებით, გაჭირვებული ყვარლის ციხის გადარჩენაში დაგვეხმარება, ვინც სამშობლოს სიკეთისათვის თავს გადადებს და შევა ციხესა ყვარელისასა – აზატობას და სხვა უშურველ წყალობას მივცემო“. [6:230]

300 მამაცი ქიზიყელი მაშინვე წინ წამოვიდნენ და მეფეს განუცხადეს – „გვიმსახურე ღვთისა და ქვეყნის სიკეთისთვის“.

ერეკლემ ქიზიყელთაგან 103 ვაჟკაცი აარჩია, მათ თელავში მდგარი ქართლ-კახელთა ჯარიდან 97 რჩეული მებრძოლიც შეუერთა. მეფის ერთგული რამდენიმე მხლებელიც ჩადგა მაშველ-მოიერიშეთა რიგებში. მებრძოლებს შორის ათამდე თავად-აზნაური იყო. [10:107]

207 კაცთან, ქვეყნისათვის თავდადებულ გმირთა რაზმს, ერეკლემ, პაპა ბებურიშვილი-ვანჩაძე უსარდლა და საბრძოლო გეგმის შესაბამისად ასეთი დავალება მისცა: შეიარაღებულ მოიერიშეებს, მტრის ალყა ღამით, ქვეითად, მოულოდნელად უნდა გაერღვიათ და ციხეში დიდი რაოდენობით ტყვია ნამალი და საკვები შეეტანათ, რათა ციხე შიგნიდან გამაგრებულიყო და მეციხოვნეებს კიდევ დიდხანს გაეძლიათ მეალყეთა შემოტევისათვის. შემდეგ კი, დრო აჩვენებდათ, რა ელონათ. ეს დავალება თითოეული მებრძოლისაგან დიდ მამაცობასა და თავგანწირვას მოითხოვდა.

ქიზიყელ ნაცვლებს მეფემ უბრძანა, დანარჩენი ქიზიყელი მებრძოლებისაგან „გულოვანი და კარგი ცხენოსნებისაგან“, ოც-ოც კაციანი რაზმები შეექმნათ, რომლებსაც იმავდროულად უჯაროდ დარჩენილი ქარ-ბელაქნის სოფლები უნდა დაერბიათ, რათა ქარელი მეომრები ყვარელს მოშორებოდნენ და შინ დაბრუნებულიყვნენ.[6:231; 10:105]

* * *

ბოდბეში, წმინდა ნინოს მონასტერში, წმინდა ნინოს საფლავთან შეიკრიბა 207 ქართველი მეომარი, ის გმირები, ვინც „შესწირეს სისხლი მსხვერპლად ქრისტიანობისა და ერთგულებისათვის ქვეყნისა და მეფეთა“.

მეფის დავალების შესასრულებლად გამზადებულმა, კბილებამდე შეიარაღებულმა ქართველებმა წმინდა ნინოს საფლავთან დაიფიცეს, რომ თავს არ დაზოგავდნენ თავიანთი ქვეყნისა და რწმენის გადასარჩენად, პირვეარი გადაინერეს და საბრძოლო სიმღერა შემოსძახეს.

მონასტრის მოძღვარმა იოანე ბოდბელმა (ჯორჯაძემ) პარაკლისი გადაიხადა, მოსალოდნელი ხიფათით სავსე გზა დაულოცა „ქვეყნისა და რჯულის“ გადასარჩენად თავგადადებულ მებრძოლებს.[4,N57]

მეფის კარის მოძღვარი იასე მაჭავარიანი წინ გამოვიდა და რაზმს შესძახა: „მომყევითო, წინ მე გაგიძღვებით ჯვრითა და ხმლით ხელშიო“.[4,NN57]

საკვებითა და ტყვია-წამლით დატვირთული 207 ვაჟკაცი, პაპა ბებურიშვილი-ვანძაძის სარდლობით, ბოდბედან ყვარლისკენ გადაადგილდა. ველისციხე ჩუმად გაიარეს, ალაზანი გადალახეს, გავაზში შეჩერდნენ, ცხენებიდან დაქვეითდნენ. აქ საბოლოოდ გამართეს ჯარის წყობა. ნაწილმა სურსათ-სანოვავით და ტყვია-წამლით დატვირთული ხურჯინები გადაიკიდა მხარზე, ზოგიერთს უფრო მსუბუქი ტვირთის ტარება და მტერთან პირველივე ხელჩართული შებმა ევალებოდა.

საქმე სწრაფ, აზრიან მოქმედებას მოითხოვდა. სანამ მძინარე მოალყეთა დიდი ნაწილი გონს მოეგებოდა, ყარაულები გამოფხიზლდებოდნენ და დანარჩენებსაც გაალვიძებდნენ, მანამდე ქართველებს ალყა უნდა გარღვიათ, ციხეში შეესწროთ, თორემ მერე მდგომარეობა გართულდებოდა, მთელი მტრის ჯარი საომრად დაირაზმებოდა და თითოეულ ქართველ მებრძოლს სიკვდილი არ ასცდებოდა.

ქართველ გმირთა რაზმი შუალამისას ყვარლის ციხის გალავნის ჭიშკრისკენ ფრთხილად დაიძრა. თითქმის გასცდნენ პირველ დაბრკოლებას, ის იყო მიუახლოვდნენ გალავნის ახლომდებარე სანგრებს, რომ უცებ მოალყეთა ყარაულმა იყვირა – „ქართველები მოდიანო“ და მოიერიშეებს ახლად გალვიძებული, დაბნეული ლეკები გადაუდგნენ წინ.

ქართველი მებრძოლები არ შედრკნენ, მედგრად განაგრძეს ციხისკენ გადაადგილება, შეუპოვრად კაფავდნენ წინ გაღალბილ მტერს. თოფების და დამბაჩების ხმარებას თავდაპირველად ერიდებოდნენ, რათა ღრმა ძილში მყოფი დანარჩენი მოალყენი არ გაელვიძებინათ. ცოტა ხანში კი თოფები მოიმარჯვეს, დამბაჩები იძრეს, გარს შემოსეულ ლეკებს ერთბაშად დაახალეს ტყვიები, გზა გაიკაფეს, გაიიოლეს წინსვლა. თოფის სროლითა და ხმლის ტრიალით ციხის ჭიშკრისაკენ შეუჩერებლად მიინევდნენ.

ახლად გამოფხიზლებული, გონებაარეული, ქართველთა თოფის ცეცხლის ძალის ნაგემი, მარჯვედ მოქნიული ხმლით აჩეხილი, სასიკვდილოდ განწირული მტრის მებრძოლები ძირს უსულოდ ეცემოდნენ. დიდი მსხვერპლი იყო მათ რიგებში.

მოალყენი, სიბნელეში თავისიანების დაზოცვის შიშით, თოფის სროლას ერიდებოდნენ. ქართველები კი, რომლებიც თავიანთი რაზმისა და გარს შემოსეული მტრის განლაგებასა და გადაადგილების მიმართულებაში კარგად ერკვეოდნენ, ღამითაც მოხერხებულად იყენებდნენ თოფებს.

მაშველთა დანახვით დიდად გახარებულმა, ფრთაშესხმულმა, მოზიემე მეციხოვნეებმაც გალაგნის სათოფურებიდან, ჯერ კიდევ შერჩენილი ტყვია-წამლით, ცეცხლის წვიმა დააყარეს თავდამსხმელებს, ციხესთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ.

როცა ერეკლეს რაზმელები გალაგანთან ახლოს განლაგებულ მტრის ბოლო სანგრებს მიადგნენ და ციხის გალაგნის ჭიშკარს მიუახლოვდნენ, ჭიშკარი მძიმედ გაიღო, მეციხოვნენი გარეთ გამოცვივდნენ, მოალყე ლეკებს ხმლებით ეკვეთნენ. მეციხოვნე და მოიერიშე ქართველებმა ალყაში მოქციეს ჭიშკრის ახლოს დაბანაკებული მტრის რაზმი და ღვთის რისხვა დაატეხეს თავს.

გარეთ გამოსული მეციხოვნენი, გარდა ბრძოლისა, ტვირთის შეტანაშიც ეხმარებოდნენ თავგანწირულ მაშველებს.

მოალყენი დაიბნენ, დიდად დაზარალებულნი და ახლადგალვიძებულინი, ვითარებაში ვერ გაერკვნენ, აირივნენ, გაერთიანება ვერ მოასწრეს, მათი სიმრავლეც ხელისშემშლელი მიზეზი გამოდგა მოიერიშეებზე თავდასხმის ორგანიზებისა.

როცა მოდარაჯეები გამოფხიზლდნენ და მტრის ყველა მებრძოლმა გაიგო – ქართველებმა შემოგვიტიესო, გალაგანთან სასტიკი, ხელჩართული, დაუნდობელი ბრძოლა თითქმის მთავრდებოდა. ქართველ მოიერიშეთა უმრავლესობა, თავიანთი ტვირთით, უკვე გალაგნის შიგნით იყვნენ შესულნი.

„გულოვანობის ძალითა და სიმხნისა და ვაჟკაცობისა მინდობნი მივიდნენ ქართველნი ციხესა ყვარელისასა“, „მიწინდნენ ხმალსა და მამაცობასა თვისსა“ – წერს მათი თანამედროვე ისტორიკოსი.

სამშობლოსათვის თავგადადებულმა ქართველებმა, თავისი გმირული მარჯვენით, ხმალდახმალ, მტრის მჭიდრო რაზმებში სახელდახელოდ გაჭრილი სისხლიანი დერეფნის გავლით მიაღწიეს გალაგნის ჭიშკარს და ციხეში დიდი რაოდენობით საკვები და ტყვია-წამალი შეიტანეს. [8:119]

სანამ მტერი გონს მოეგებოდა, მეფეების თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ მოფიქრებული, ქვეყნის მომავლისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე დავალება უკვე შესრულებული გახლდათ.

* * *

ნურსალ-ბეგს შეატყობინეს – „შემოვიდა ჯარი ქართველთა ციხესაო“. [6 :230]

ასეთ რამეს ნურსალ-ბეგი არც ელოდა და ვერც წარმოიდგენდა. თანაც ხედავდა, რომ ახლა ყველა საწინააღმდეგო მოქმედება დაგვიანებული და უაზრო იყო, მისმა მეკავშირეებმაც დაინახეს, რომ ციხე შიგნიდან ფრიად გაძლიერდა. მიხვდნენ, რომ კიდევ დიდხანს ველარ აილებდნენ ციხეს.

გაძლიერებულმა და დაიმედებულმა მეციხოვნეებმა გალაგანიდან მტრის მიერ ციხესთან ახლოს მიტანილი საფრების დანვა დაინყეს, ტყვია-წამლით მომარაგებულნი ძველებურად დიდ ზიანს აყენებდნენ გარშემორტყმულებს.

მოალყეებმა უკან დაიხიეს, სანგრებს შეეფარნენ და კვლავ სანყის პოზიციებს დაუბრუნდნენ.

იმავდროულად, მეფეების გეგმის მიხედვით მოქმედმა ქიზიყელთა რაზმებმა ჭარი დაარბიეს. ბოდბედანაც კარგად გამოჩნდა იქ ავარდნილი ცეცხლის ალი [6 :630;11:56]. ჭარელებმა, რომ გაიგეს, უჯაროდ დარჩენილ მათ კარ-მიდამოს ქიზიყელები არბევდნენ, ნურსალ-ბეგზე დიდად განანყენებულნი, სასწრაფოდ მოშორდნენ ყვარლის ციხეს და ჭარისაკენ გამოსწიეს [12:366]. მალე კახეთი მუცალის სხვა მეკავშირებმაც დატოვეს, ისინი უკმაყოფილონი და იმედგაცრუებულნი წუნუნებდნენ – აქ ტყულიად ვკარგავთ დროს, ამდენ ხანს ერთი ციხეც ვერ აგვიღია და მთელ საქართველოს როგორღა დავიპყრობთო, ნურსალ-ბეგს კი მათ მოტყუებაში ადანაშაულებდნენ.[6:231; 10:105]

მტრის ჯარი განადგურების საფრთხის წინაშე იყო. მოალყენი ციხეს ახლოსაც ველარ ეკარებოდნენ. თელავში დაბანაკებულმა ქართლ-კახელთა ჯარმაც ყვარლის მიმართულებით დაიწყო გადაადგილება. ლეკებმა იგრძნეს, რომ ქართველები ყოველ ნუთს შეიძლება დასხმოდნენ თავს, რაც მათ სრულ განადგურებას უქადდა, ამიტომ ყვარლის ციხეს ალყა მოხსნეს და კახეთს გაშორდნენ, რაც ქართველთა გამარჯვებას, კახეთისა და მთელი აღმოსავლეთ საქართველოს გადარჩენას ნიშნავდა.[1:49 ; 5:361]

გამარჯვებული და თავისი მებრძოლი რაზმის მაღლიერი მეფე ერეკლე, 1756 წლის 17 იანვრით დათარიღებულ სიგელში, რომელიც რაზმის ხელმძღვანელ პაპა ბებურიშვილ-გაჩნაძისადმი იყო მიძღვნილი, აღნიშნავდა: „ჯერ ლუთის სიყვარულისათვის და მერე ჩვენისა და ჩვენის ქვეყნის ერთგულობისათვის და სარწმუნოებისათვის თქვენი თავი სასიკვდილოდ გადადევით იმ დღეს და არ დაზოგეთ არც შენ და არც ამ თავადთა და გლეხთა, წაზევდით ლუთით და ჩვენის ბრძანებით, დიდათ შემოსაზღვრული იყო ის ციხე, ხმალდახმალ შეხვედით, ლუთის მონყალებამ და თქვენმან შესვლამ შეამაგრა, შესვლაში და შიგნით ციხიდამ მრავალი კაცი მოკალით, და ლომსავით გაისარჯენით, თითონ შენ შიგ დაიჭერ, მას უკან გარეთ ხმალდახმალ გამოუხდით და მრავალი კაცი მოუკალი. ოცდა მესამეს დღეს გაქცეულნი, განილებულნი, პირშავნი, უკეთურნი წავიდნენ.“ [10:107]

ქართველმა მეფეებმა, თავიანთი სამშობლოს კეთილდღეობისათვის გამორულად და შეუპოვრად მებრძოლმა მამა-შვილმა, თეიმურაზ მეორემ და ერეკლე მეორემ, ამჯერად, „ხერხი სჯობია ღონესა“-ს ტაქტიკის გამოყენებით კიდევ ერთხელ მოიგერიეს მრავალრიცხოვანი დამპყრობნი, თავიდან აიცილეს დიდი სისხლისღვრა, ქვეყანა დარბევა-განადგურებას გადაარჩინეს, შეინარჩუნეს პირველობა რეგიონში და კავკასიაში ავტორიტეტი გაიმაგრეს.

წყაროები და ლიტერატურა:

1. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983.
2. ქართული მწერლობა. იოანე ბაგრატიონი, კალმასობა. თბ.,1990.
3. პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988.

4. პოლიევქტოს კარბელაშვილი (პ. ცხვილოელი), ყვარლის ციხე და ნურსალ-ბეგი, გაზ. ივერია, 1893წ., N 57, N 58.
5. ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი I, თბ., 1988.
6. პ. ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, ტექსტი დაადგინა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.
7. თ. პეტრიაშვილი, ყვარლის ბრძოლა, ანუ მაშინ კიდევ ერთხელ გადარჩა საქართველო, თბ., 2008.
8. გ. სანიკიძე, ლევან სანიკიძე, უბის ისტორია, თბ., 2004.
9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
10. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ა. ოსელიანი, თბ., 1980.
11. ო. ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989.
12. საქართველოს ისტორია, ტ. III, თბ., 2012.

TEIMURAZ PETRIASHVILI

FROM THE HISTORY OF THE LIBERATION STRUGGLE OF THE
GEORGIAN PEOPLE (XVIII C.)
KVARELI BETTLE

Summary

North Caucasian tribes often invaded Georgia which caused serious problems for Georgian.

In 1755 Prince Nursal of Avaria, a ruler of Khurdzakhki of Dagestan decided to take over Kartli and Kakheti - eastern kingdoms of Georgia. For that goal he obtained the support of other neighboring Muslim Estates of Dagestan and launched an army of 30.000 warriors to Kakheti. Prince Nursal reached Kvareli Fortress, one of the biggest and important ones in Eastern Georgia and besieged it. The fortress housed quite a big number of the local farmers. If Prince Nursal captured the fortress he would have managed to rule whole of Kakheti and its other neighboring kingdom of Kartli would have faced inevitable defeat. Georgia was on the verge of a disaster.

At that historical time Kartli and Kakheti Kingdoms were ruled by Teimuraz II and his son Erekle II. They abstained from direct confrontation with the numerous troops of the enemy and decided to reinforce the fortress from inside in order to make the capture of the fortress impossible. For that purpose they selected 207 exceptionally brave warriors and ordered them to break through the besieged fortress and deliver food supplies and ammunition to the farmers and warriors protecting the fortress. These brave warriors approached the fortress in the mid-night, attached the special regiment guarding the fortification and managed to penetrate into the fortress with huge amount of food and ammunition.



This brave action of a small number of Georgian warriors made the capture of the Kvareli Fortress impossible. In the meanwhile the warriors from Chari, a neighboring Estate of Kakheti Kingdom, had to leave the siege as their estate was invaded by other warriors and they had to defend their homes and families. Soon after that Prince Nursal lost other supporters and warriors and had to remove the siege from the fortress, leave Georgia and in humiliation and disgrace go back to Dagestan.

Georgian kings with their clever tactical move – avoiding direct combat with the enemy exceeding them in warrior numbers, managed to obtain the victory and thus saved their country from further invasion and massacre. The authority and power of those two Georgian Kings have risen considerably since that occasion.

ТЕИМУРАЗ ПЕТРИАШВИЛИ

КВАРЕЛЬСКОЕ СРАЖЕНИЕ (ИЗ ИСТОРИИ ОСВОБОДИТЕЛЬНОЙ БОРЬБЫ ГРУЗИНСКОГО НАРОДА)

Резюме

На Грузию часто совершались набеги со стороны северокавказских феодалов. В 1755 году, владеец одной части Дагестана, Хундзаха, аварец Нурсал-Бек, с целью завоевания восточной Грузии, собрал войско. В надежде на легкую наживу к нему присоединились и другие дагестанские феодалы, а так же ханы, владения которых были по соседству с Восточной Грузией. Войско Нурсал – Бека в месте с союзниками насчитывало около 30 000 воинов. Нурсал-Бек подступил к Кварели и осадил кварельскую крепость, одну из самых больших крепостей Кахети. После взятия крепости, легко было покорить всю Кахетию, а за тем можно было добраться и до Картли.

В те времена в Кахетии царствовал Ираклий II, а в Картли его отец Теймураз II. Грузинские цари, чтоб избежать большого кровопролития, договорились не атаковать вражеские войска и выбрали другой путь. Они решили укрепить крепость изнутри. С этой целью направили туда вспомогательный отряд и поручили ему пронести в крепость большое количество пороха и провизии. Отряд в составе 207 воинов ночью подокрылся к крепости, с боем прорвал осаду и доставил в цитадель порох и пищу. После чего защитники уже могли выдержать длительную осаду.

Вместе с дагестанцами крепость осаждали чариныцы. Грузины послали в Чари военный отряд, чем вынудили чариинцев оставить осаду крепости и поспешить домой для защиты своих деревень. Скоро Нурсал – Бека покинули и другие союзники. Нурсал-Бек был вынужден оставить Грузию.

План молниеносного уничтожения и разорения Грузии был сорван. Грузинские цари, без больших потер одержали победу над врагом и тем самым повысили свой авторитет в регионе.

ახალციხის საფაშოს როლი XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში

ლია ქიტიაშვილი

გლობალიზაციის პროცესების დაჩქარებისა და ზრდის პროცესში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა კულტურებისა და ცივილიზაციების დიალოგის პრობლემამ. თვით ტერმინმა დიალოგმა უკანასკნელ ხანს გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. თუ კი ადრე „დიალოგი“ განიხილებოდა, როგორც ინფორმაციის გაცვლა, დღესდღეობით იგი მიჩნეულია, როგორც რთული შემოქმედებითი პროცესი ორი სხვადასხვა შეგნების, ლირებულებათა მთავარი სისტემის, სხვადასხვა იდეური პოზიციების მქონე ურთიერთობებისა [1: 85].

„დიალოგი“ და თანაც მრავალმხრივი, მართლაც მიმდინარეობდა საუკუნეების მანძილზე ქართველებსა და ოსმალეთის მანდატით აღჭურვილ ახალციხის საფაშოს შორის, რომლის ორაზროვანი, ფრიად დამღუპველი როლი მიმართული იყო საქართველოს დასალუპად, საზიანოდ. „მე-17 საუკუნეში საქართველოს სამხრეთის კარიც მოეშალა, ვინაიდან სამცხე-საათაბაგო ნაწილობრივ გამაჰმადიანდა და თურქეთის იმპერიის უბრალო ადმინისტრაციულ ნაწილად იქცა“ [2: 90].

„გურჯისტანის ვილაიეთის“ დიდი დავთრის მიხედვით, სამცხე-საათაბაგო 8 სანჯაყად (ლივა) იყო დაყოფილი: ახალციხე, ფოცხოვი, ხერთვისი, ახალქალაქი, ჩილდირი, პეტრა, ფანაკი და დიდი არტაანი. ლივების მიხედვით ხდებოდა რაიონებად დაყოფა: 1. ახალციხის ლივის რაიონები: მზვარე, ჩრდილი, უდე, ქვაბლიანი, აწყური, ალთუნყანა, ოცხე, ასპინძა და ჭაჭარაქი. 2. ხერთვისის – ხერთვისი, ტყიანი-ჯავახეთი, ბუზმარეთი; 3. ახალქალაქის – აკშეჰირი, თმოგვი, ნიალისყური; 4. ჩილდირის – ჯანაზი, ქანარბელი, მგელისციხე; 5. ფოცხოვის – მზვარე, ჩრდილი; 6. პეტრას-პეტრა, ქაშვეთი; 7. ფანაკის – ფანაკი, ქიამხისი, ფანასკერტი; 8. დიდი არტაანის – მზვარე, ჩრდილი, ტყიანი რაიონი. სულ დავთრის მიხედვით, სამცხე-საათაბაგოში 1160 სოფელი შედიოდა [3: 151].

ასე რომ, „გურჯისტანის ვილაიეთის“ აღწერა და მისი რეესტრში გატარება აშკარად მოწმობდა, რომ ოსმალებმა საქართველოს ამ მხარეში თავიანთი წესები შემოიღეს. სწორედ ეს იყო ეროვნული ტრაგედია – საქართველოს გამაერთიანებელ და გამთიშველ ძალთა ჭიდილის შედეგი XVI საუკუნეში, როცა ოსმალთა დამპყრობთა და ფეოდალ-მოღალატეთა სახით ჩვენმა ქვეყანამ თავისი მიწა-წყლის ერთი მესამედი დაკარგა, მისი ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა [4: 155].



ივ. გვარამაძის მიერ 1892 წელს ახალციხეში გადანიჭილი „სამსტარის“ მისიონარული დღიური-წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი“ აღწერს XVIII-XIX ს-ის ახალციხის საფაშოს ყოფიერებას, როგორც დასავლეთი, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეში. „მისიონარულ დღიურში“ უამრავი ჩანაწერი გვხვდება ერეკლე მეორეზე, ლეკთა თარეშზე, ახალციხის ფაშების უფლებამოსილ ქმედებებსა და საერთოდ, იმ დროისათვის დამახასიათებელ, ერთმანეთთან გადახლართულ სეპარატიულ თუ დიპლომატიურ გარიგებებზე. ხუცესი იოვანე¹ პირადად იცნობდა ახალციხის ფაშებს, 1767-1777 წლებში ჰაჯი ალი ბეგის თავდასხმების გამო იმერეთის მეფე სოლომონს კარზე მსახურობდა, 1777 წლიდან კი ახალციხის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული და ყოველდღიური ქრონიკების სახით აღწერს მესხეთში შექმნილ ვითარებას.

მნიშვნელოვანია ყურადღება შევანეროთ იმ გარემოებაზე, რომ XVI საუკუნეში შექმნილი „ახალციხის საფაშო“, დროთა განმავლობაში დამოუკიდებელი პოლიტიკის გამტარებელიც ხდებოდა რეგიონში. XVIII საუკუნეში, ახალციხის ფაშები გარკვეულ მომენტებში, თითქმის აღარ ასრულებდნენ ცენტრიდან მიღებულ დირექტივებს. შევეცდებით, ახალციხის საფაშოს პოლიტიკური ისტორია ქრონოლოგიურ დინამიკაში წარმოვადგინოთ, რათა ერთგვარი შეჯამება მოვახდინოთ საკითხის გარშემო დაგროვილი ფაქტები-სა. გავაანალიზებთ ხუცესის ქრონიკებს და პარალელურად შევაჯერებთ სხვა ისტორიულ ნაშრომებთან.

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები“ 1763 წლის ქრონიკით იწყება. პირველივე გვერდის ისტორია ახალციხეში ჰასან ფაშას გამოჩენასთანაა დაკავშირებული: (ციტატების წინ დასმული ციფრები ავტორისეულია და აღნიშნავს იმ თვის რიცხვს, როდესაც ჩანაწერი შესრულდა) -24- ივნისსა. ახალციხეს კოკონათ იანლუნი იქმნა. -10- მკათათ. ჰასან ფაშა და ჰაჯი ალი ბეგი ჯალითგან მთაზედ ავიდნენ. -16- თებ. ჰასან ფაშა გამოცვალეს, წავიდა ახალციხიდან ჰასან ფაშა [5: 1]. ცნობილია, რომ ჰასანი ახალციხის ფაშად სულთანმა ჰაჯი-აჰმედის სიკვდილით დასჯის შემდეგ დანიშნა ჭირვეული სოლომონ პირველის წინააღმდეგ ბრძოლებში განცდილი მარცხისათვის. ჰასან ფაშას დროებით იბრაჰიმ-ფაშა ჩაენაცვლება, მაგრამ 1762 წლიდან პოსტს კვლავ ჰასან ფაშა უბრუნდება, ოღონდ მან დაარბიოს „დიდი და პატარა საქართველო“, სტამბულის მთავრობამ სერასკირობაც კი უბოძა [6:72].

ხოჯავანას ისტორიაში 1769 წლიდან ფიგურირებს სულეიმან ფაშას სახელი, რომელიც აქტიურობს ახალციხეშიც და იმერეთშიც: -26- მკათათ. სულეიმან ფაშა ქეჰიანად ახალციხეს წავიდა. -15- თიბათ. სულეიმან ფაშა, ქეჰა, მეზერე მემი სხვანიც ქუთაისითგან ბაღდადს წავიდნენ [5: 2].

როგორც უკვე ვიცით, 1767 წლიდან ამ ქრონიკების ავტორი ხუცესი იოვანე იმერეთში გადადის საცხოვრებლად. ამიტომ, ამ დროიდან 1776 წლამდე, ხოჯავანა იმერეთისა და რუსეთის ურთიერთობების დეტალებს აღ-

1. როგორც შ.ლომსაძე უწოდებს. ის კათოლიკე მღვდელია. ნ. ბერძენიშვილი **ხოჯა შაჰანად**, ხოლო შ. ლომსაძე-**ხუცესად** მოიხსენიებენ.

წერს, ხოლო 1776 წლის წუსხაში ვხვდებით შემდეგ ფრაზას: -18- კათალიკონის იოსები გელათს მინაში მიიღეს. სახლთუხუცესი დავით აბაშიძე მეფე სოლომონისგან წავიდა ახალციხეს ფაშასთან გასარიგებლად. -5- სულეიმან ფაშის ბაზინადარი ქუთაისს მოვიდა ხვანთქრის ფარენითა და ფაშის საჩუქრით [5: 3-4]. რა მნიშვნელოვანი ფრაზაა - რუსეთ-თურქეთის პირველი ომი (1768-1774წწ) სულ ორი წლის დასრულებულია და შეფიქრიაწებული სტამბული წერილს, ხოლო ახალციხის ფაშა საჩუქარს აახლებენ სოლომონ პირველს (ქუჩუკ კაინარჯის 23-ე პუნქტით ამ დროისთვის იმერეთიდან ოსმალეთში ხარკი აღარ იგზავნებოდა, ხოლო თავად იმერეთის სამეფო ოსმალეთის ფორმალურ ვასალად რჩებოდა).

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების“ მიხედვით, 1776 წლიდან 1782 წლამდე პერიოდში, ახალციხის საფაშოში განსაკუთრებული ძვრები არ შეინიშნება. მაგრამ სურათი მკვეთრად უარესდება 1782 წლის ჩანაწერებში, რომელშიც გვიამბობენ ახალციხის საფაშოს დიდგვაროვან ჩინოვნიკებს შორის დაღვრილი სისხლიანი ურთიერთობების ისტორიას. მაგ: -15-სულეიმან ფაშას იერლიმ უღალატა ციხე წაართვეს და ოლქობა² შექმნეს. -21- სელიმ ალა მოიძალა ფაშას ჯარისგან. -1- გიორგ. ყარსელი ორი ოჯახ-ლი³ მოვიდა ფაშისგან შესარიგებლად. -7- ფაშა ციხეში შემოვიდა. სულეიმან ფაშას ოჯახლებს თავები დასჭრეს. კიკინ იენიჩლარს, ფაშლევი ალასა და ყოჩალი ტატამ ალას სხვილისა. -13- ნახევარ სულეიმანის შვილის სახლი ბასმიშათ ჰქმნეს [5: 8].

ხუცესი იოვანე 1784 წლის ქრონიკაში წერს: -22- თბილი ქალაქიდან რუსის ელჩი მოვიდა სულეიმან ფაშასთან. ფაშა ჯარით მიეგება, ციხეში დააყენეს. [5: 12] ამ თითქოსდა უბრალო ციტატის მიღმა ქართლ-კახეთის მეფის ორსტანდარტიანი პოლიტიკა მოჩანს: 1) ახალი გარდაცვლილია სოლომონ პირველი, რასაც ხოჯავანაც გადმოგვცემს; 2) უკვე დადებულია გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთსა და ერეკლე მეორეს შორის; 3) კიდევ ერთხელ დასტურდება რუსული დიპლომატიის მრავალმხრივობა მახლობელ აღმოსავლეთთან და კავკასიის საკითხთან მიმართებაში.

1787 წლის მატიანე აფიქსირებს: -23- სულთან ჰემიდის სიკვდილი და სულთან სელიმის დაჯდომა თქვეს. -8- თებერვ. ხვანთქრმან ფაშისგან ვეცხელი ითხოვა და საყდრებითანაც [5: 15]. 1791 წელს გარდაცვლილა სულეიმან ფაშა, მუფთი და ყაფუჯი სტამბულს წასულან ამბების გასარკვევად და რიცხვ 22-ში საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით: -22- ჰასან ფაშის შვილს ფაშობა მოსვლია [5: 16]. როგორც ჩანს, 1765 წლის დასავლეთი საქართველოს ისტორიაში აქტიურად ჩაბმული ჰასანის დამსახურება ოსმალეთმა მის მემკვიდრეებზეც განავრცო. „მისიონარული დღიური-წერილებიდან“ ვეცნობით, თუ რა შემართებით მოივლის ახალი ფაშა ოლთისს, არტაანს, ახალციხეს, როგორ დადის ქორწილებში სტუმრად. 1793 წლიდან მას ჩეანაცვლა ისახ ფაშა, ხოლო 1795 წელს კვლავ ფაშის გამოცვლა თქვესო, გვაუწყებს ხუცესი

2. მცირე მმართველობას ნიშნავს.

3. ოსმალური წოდებაა. ორივე შემთხვევაში ხოჯავანთ იოვანეს სტილი დაცულია.



იოვანე: -21- ჩვენი ფაშის სილასტარი მოვიდა სტამბოლითგან და ჩვენს ფაშობის ფარვანი მოიტანა. -23- ზაბით ფაშამ ფარვანი წაიკითხა და დივანი ჰქმნა. -28- აბდალ ჰაფსი მოლა ზაბით ფაშამ აწყვერს მოაკვლევინა [5: 17]. როგორც დოკუმენტური წყაროდან მოჩანს, ეს ზაბით ფაშა საკმაოდ რისკიანი, შფოთიანი მმართველია. მისივე ბრძანებით, ჰარიზაჯის ხელით მოკლულა სარი ქეჰა. 1798 წლიდან ახალციხის მმართველნი დიდ დაპირისპირებაში არიან ერთმანეთთან. XVIII საუკუნის ბოლო წლები ახალციხეში გართულებული შიდაფეოდალური ომებისა და შეთქმულების წლები იყო. სასახლის ხშირმა გადატრიალებებმა და ბოლომოუღებელმა შულღმა ისე დაამძიმა მდგომარეობა, რომ ახალციხეში რიგიანად ვერც კი გაიგეს, როგორ გაუქმდა 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო და როგორ შეუერთდა იგი რუსეთს [7: 104].

არსებობს რაპორტები ლაზარევის მიერ მიწერილი გენერალ კნორინგისადმი ახალციხის ფაშების ერთმანეთთან დაუნდობელ ბრძოლებსა და თვითნებობაზე: „Побеждение Сабидь-паша писать изъ сего местопребывания своего писма къ Багам-паша,-яко главному въ Анатолий, въконх жалуясь на вновь прибывшаго Шерифъ-пашу и прорисывая, яко бы онъ Шерифъ, пришелъ въ Ахалсикъ безъ всякаго султанскаго фирмана,-просить отъ Батамъ -пашы пособия“ [8: 697]. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები“ კიდევ უფრო საინტერესო ხდება 1801 წლის მოვლენების აღწერისას, რადგანაც სამცხე-ჯავახეთის ვნებათაღელვაში შემოდის ისტორიულად ასევე ფრიად დამაფიქრებელი კუთხის – აჭარის თემა. ქრონიკები მოცემული დროისთვის გადმოგვცემს შარიფ ფაშას, აჭარელ სელიმ ალასა და ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ ზაბით ფაშას დაპირისპირებების ამსახველ ისტორიულ ფაქტებს: -20-შარიფ ფაშა წავიდა ზაბიდ ფაშაზედა. აჭარელი სელიმ ალას მოსვლა თქვეს; ზაბიდ ფაშა ოლთისის ციხითგან გაუშვეს. აჭარელი სელიმ ალა კვლავ მობრძანდა. ზაბით ფაშის გაქცევაც თქვეს. მისს აჭარელის გადმოსვლა თქვეს, შერიფ ფაშას ფაშობისა ახალციხეს მახარობელი მოვიდა [5: 69]. როგორც ხოჯავანას მატიანედან ირკვევა, ამ დაპირისპირების დროს აჭარელი სელიმ ალა შერიფ ფაშას უჭერდა მხარს და მისი გამარჯვების შემდეგ თავადაც შესულა ახალციხეში ციხისთვის [5: 63]. შერიფ ფაშაგან გაქცეული ზაბიდ ფაშა კი ვკითხულობთ ქრონიკაში: -3- თიბათ. ზაბიდ ფაშის რუსთან წასვლა თქვესო [5: 70]. რა შეფასება შეიძლება მიეცეს მოვლენათა ასეთ განვითარებას? ეს არის ისტორიისთვის ჩვეული პოლიტიკური სიბეცე, როდესაც თანამედრობის მაძიებელი რადიკალურად იცვლიან ნებელობას და ახალი ქარის ქროლვასთან ერთად, დაუსრულებელი სახელმწიფოებრივი ავანტიურის მსხვერპლნი ხდებიან თვითონაც და ის ქვეყანაც, სადაც „მსახურებენ“. მისიონარული დღიურის 1803 წლის მატიანე გვაძენობს, რომ სელიმ ალა არ ჩამოსულა პოლიტიკური ავანსცენიდან და გარკვეული წარმატებებისთვისაც მიუღწევია: -19- აჭარელი სელიმ ალა დიდის ჯარით წავიდა ახალციხითგან; -16- აჭარელი სელიმ ალა კლდეს მობრძანდა ჯარით, რუსს ელაპარაკა და ლეკები გაისტუმრა თავიანთ ალაგას; -17- აჭარელი სელიმ ალისთვის ყიფიანისა თქვეს ფაშობის და ხალასობის მოსვლა; [5: 72] 1801-1803 წლების ახალციხის

ფაშობის მაძიებელთა ნუსხას 1803 წელს შეემატა სელიმ ალა ყიფიანი. მას, როგორც „დღიური-წერილებიდან“ ირკვევა, სამტროდ გადაკიდებულ ზაბიდ ფაშასა და შერიფ ფაშას შორის ჭიდილში მოიგო „რუსის გული“. ის უფრო მისაღები კანდიდატი აღმოჩნდა სტამბულისთვისაც: -19- ყიფიანს მოუვიდა მუსალიმოზა აჭარელი ფაშისგან; -8- ენკენის. შარიფ ფაშის მოშლა თქვეს. -21- სელიმ ფაშას თულები და მუყარალამა მოუვიდა [5: 73].

„მისიინარული დღიური-წერილები“ 1804 წლიდან მოვლენებში კვლავ დიდ ადგილს უთმობს ახალციხის ფაშის და აჭარლების ურთიერთობებს, თუმცა სელიმ ალას ბედი მეტად უკუღმართად წარიმართა. აშკარაა, 1805 წლისთვის, ის როგორც ჩინოვნიკინი, აღარ ესაჭიროებათ ოსმალებს. უფრო მეტი, მასში საშუალო მონინალმდევეს ხედავენ და ხუცესის თხზულება გვაუწყებს: -17- 1805. სელიმ ალა ყიფიანი ფაშამ მოაკვლევინა თვანგჩებს. გულო ალა მოიყვანეს და დადა ალა იმერეთს გაიქცა [5: 76]. ჩვენს ხელთ არსებული ხუცესის მატიანე კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ბედკრული საქართველოს ბედკრული შვილების ისტორიას, დროებით რომ ხდებოდნენ რჩეულნი, ოსმალურ-რუსული პოლიტიკის ბრძოლის გზაზე და რომელნიც, სინამდვილეში არც ერთ მხარეს არ სჭირდებოდა გრძელვადიანი დიპლომატიის სარბიელზე (ციტატის ბოლო ორი სიტყვაც მრავლისმთქმელია: „იმერეთს გაიქცაო“). 1808-1809 წლებში ქრონიკების მიხედვით, ახალციხეს სელიმ ფაშა მართავდა. ეს უკვე რადიკალურად განსხვავებული დროებაა. ახალციხის საფაშოს ისტორიაში მათივე ნებისა თუ მათივე სურვილის საწინააღმდეგოდ რუსი მყარად, ძალიან მყარად გაიდგამს ფესვებს სამხრეთ-დასვლეთი საქართველოში.

XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორია და თავად ხუცესის 1763-1809 წლების წერილები ცალსახად აღიარებენ ახალციხის საფაშოს ორიგინალურ როლს ქართველთა ცხოვრებაში. ის ერთდროულად ებრძვის იმერეთის მეფეებს და პირიქით, იფარავს მათ დევნილობაში მყოფთ. დიდ გარიგებებში შედის ერთ-ერთი მეფესთან და იმავდროულად, გაურბის ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. ახალციხის ფაშების ყოფა ერთ თეატრალურ წარმოდგენას ნაგავს, რომლის რეჟისორს თავად ვერ გაუგია, რომელი როლია უფრო მნიშვნელოვანი: 1) ოსმალოფილური? 2) პროქართული? 3) იქნებ არცერთი და არც მეორე, რაღაც უფრო ბუნდოვანი, მანკიერი, შერყვნილი, „ოცდაცამეტ“ ვერცხლად შეფასებული, მდაბალი სეპარატიული სურვილებით გაჯერებული.

ხოჯავანას დღიური წერილების განხილვის ფონზე ჩვენ წარმოვადგენთ ერთგვარ ისტორიულ ქრონომეტრაჟს, თუ, რა წინააღმდეგობრივი ურთიერთობები არსებობდა იმერეთის მეფეებსა (სოლომონ პირველს, სოლომონ მეორეს) და ახალციხის საფაშოს შორის: 1758 წელს იმერეთის დასალამქრად გადმოვიდა ოსმალთა, ხუნძების და ლეკების ჯარი. მათ „გააოხრეს მთელი იმერეთი, ხოლო ქმედებამ ძარცვის ხასიათი მიიღო“. ახალციხეში ბატონიშვილი სოლომონი მოვიდა საჩივრებით, რომლებიც იმერეთის მცხოვრებთ ბაღდათისა და ქუთაისის გარნიზონების მიმართ ჰქონდათ [6: 67]. ამჯერად ახალციხის ფაშის სტატუსი მშველელის როლში გვევლინება, ხოლო 1759 წელს ამ პოლიტიკურ თამაშში გამოწრთობილმა სოლომონმა, ახალციხის

ახალ ფაშას იბრაჰიმს საჩუქრები გაუგზავნა და მოლაპარაკება დაუწყო ზაეზე. მოლაპარაკებას ანარმოებდა სოლომონის მეუღლე მარიამი, მეტად შორსმჭვრეტელი და გონიერი ქალი.

მოგვიანებით, იმერეთის პატრიოტი მეფის სოლომონ პირველის ცხოვრებაში შემდეგი მახასიათებლებით გამოირჩეოდა ახალციხის საფაშო. სოლომონმა ახალციხეში გაქცევით უშველა თავს, ხოლო როდესაც იგი მოგვიანებით აბაშიძეებისა და რაჭის ერისთავის წინააღმდეგ იბრძვის, პირიქით, ამ უკანასკნელთ ეგულებათ დასაყრდენად ახალციხე: „მეფემ პოლიტიკური მოსაზრებით დაიმოყვრა დადიანი, ხოლო გურიელი შემოირიგა; ამრიგად, მან ორი დიდი მოწინააღმდეგე – აბაშიძე და ერისთავი გაიმარტოვა. ამიერიდან მათ მხოლოდ ახალციხის ფაშის იმედილა ჰქონდათ“ [6: 53].

თუ სოლომონის გაძლიერებამდე ახალციხის ფაშა ინტერვალებით სთავაზობს ქართველ მეფე-მთავართ თავშესაფარს, ხრესილის ბრძოლაში, იმერთა მეფეს ახალციხე კოალიციური პრინციპით ეომება: „ამ ბრძოლაში თურქეთის ჯარის მხედართმთავრები გოლ-ფაშა, ქემხა ახალციხის ფაშა და ბაშა-ალა დახოცეს ქართველებმა“ [6: 62].

და გრძელდება ეს ისტორიები: მაშინ, როცა კაცია დადიანი ბესარიონ კათალიკოსს სოლომონის წინააღმდეგ ახალციხის ფაშასთან აგზავნის, იმ დროს, საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლამ, მთელი კავკასიის მაჰმადიანობა რომ შეაშფოთა და ახალციხის ფაშამ – ნამანმა ელჩი გამოაგზავნა ერეკლესთან მოსარიგებლად. ახალციხე კვლავ „ერთგული“ ნავთასუყეფელია არჩილ ბატონიშვილისთვის, სოლომონსა და მის ძმებს შორის ჩამოგდებული შუღლისას. არჩილმა კავშირი გააბა ახალციხის ფაშასა და კაცია დადიანთან და მათ თავისი სამსახური შესთავაზა. ასევე დიდად შეშფოთდა ახალციხე, როდესაც შეიტყო, თუ 1773 წლის 27 ივლისს სოფელ სანგარში როგორ დადეს სამხედრო კავშირის ხელშეკრულება სოლომონმა და ერეკლემ. „ამიტომ ფაშამ იმერეთის წინააღმდეგ დადიანი და აფხაზები ამხედრა, ქართლ-კახეთს ზუნძახის ბატონი და ქარელები დაასხა თავს, ქართლის სოფლებს ახალციხის მხრიდან ლეკთა რაზმები შეუსია.“ [6:137] ვფიქრობთ, ეს ეპიზოდი არავითარ ანალიზს არ საჭიროებს. ახალციხის საფაშოს გამოკვეთილად მოღალატური ფუნქცია სრულიად ნათელია.

1790 წლის 11 ივლისს დავით მეფე ოსმალეთისა და ლეკთა ჯარით (ახალციხის ფაშის ხელშეწყობით) ისევ შემოიჭრა იმერეთში. სოლომონ II-ც მომხდურს მიეგება, მაგრამ ზოვრეთის ბრძოლაში დამარცხდა და წერეთლების სათავედოს შეაფარა თავი. სხვათაშორის, ეს ის დავით მეფეა, რომელზედაც ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში“ ვკითხულობთ: 1795 წ. 11 იანვარს დავით მეფე აქ ყვავილით მოკვდა, ახალციხეს ქრისტესიას სახლში [5: 58].

საინტერესო დაგვირგვინებაა სოლომონ II-ისა და ახალციხის საფაშოს ურთიერთობების ბოლო დრო, როდესაც რუსების წინააღმდეგ მებრძოლ მეფეს ხანის წყალთან 1500-კაციანი რაზმი მოუვიდა ახალციხის ფაშისგან. მაშინაც, როდესაც დამარცხებულ მეფეს ახალციხე ჩირალდნებით განათებული დაახვედრეს და ხაზინიდან ფულიც გამოუყვეს, ახალციხეში შთენილი

მეფე წერილებს აგზავნიდა ხონთქართან, იმერეთში, ირანში, ნაპოლეონ პირველთან. „იმერთა მეფე ჩივის, რომ რუსეთის იმპერატორმა უსამართლოდ და უკანონოდ ჩამოართვა მას სამეფო, სოლომონი სთხოვს ნაპოლეონს, ვითარცა უნივერსალურ არბიტრს გამოსარჩლებას და მფარველობას“ [6: 302].

იმერთა უკანსკნელმა მეფემ სული 1815 წლის 10 თებერვალს ტრაპიზონში დალია. მისი საფლავის ძეგლის მეორე მხარეს აწერია: „განმეძარცვა მე პირველქმნილი სიკეთე და მშვენება და მდებარე ვარ შიშველ და კდემული საფლავსა ამას შინა, ტომისგან დავითისა, შთამოსრული ბაგრატიონი ძე არჩილისა, სრულიად საქართველოს იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაც ვითხოვ შენდობას [9: 205] (ნაპოლეონ პირველი არ იყო უნივერსალური მსაჯული, სოლომონი იყო საკუთარი სამშობლსაგან შიშველი, ხოლო სად იყო ამ დროს სრულიად საქართველო საერთოდ, ძნელი ამოსაცნობია).

აღმოსავლეთში ცარიზმის ექსპანსიური პოლიტიკა საქართველოს სინამდვილეში განმათავისუფლებელ ბრძოლად იქცა. ციციანოვის, ტორმასოვის, ერმოლოვის, პასკევიჩის მცდელობანი ამ მხარის რუსეთის მფარველობაში შესვლაზე მარცხით დამთავრდა. ამის მიზეზები საძიებელია რენეგატი ფაშების, რუსი მოხელეების თვითნებობისა და შიდაკონფლიქტური სეპარატიზმის არსებობაში.

XIX საუკუნეში ახალციხის საფაშოსთვის ბრძოლის საკითხი რამდენიმე ეტაპად გამოიკვეთა: 1807, 1810, 1816 წლების მოვლენები, ხოლო ადრიონოპოლის 1829 წლის მოვლენები მესამე რგოლია მესხების ცხოვრებაში, თუმცა მოპოვებული წარმატებები არ პასუხობდა არც ფრონტზე მოპოვებულ წარმატებას და არც ისტორიულ სამართლიანობას. ამაში მთავარი ბრალი მოუძღვით ინგლის-საფრანგეთისა და გერმანია-ავსტრიის წარმომადგენლებს [7: 189].

1828 წლის 16 აგვისტოდან 1829 წლამდე არსებობდა ახალციხის ორი საფაშო: 1) ტრადიციული ჩილდირის, ახალციხის საფაშო თურქეთის სახელმწიფოში, რომლის ფაშა იყო ახმედ ხიმშიაშვილი და დროებით ხულოში იჯდა; 2) ახალციხის საფაშოს დროებითი მმართველობა რუსეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე, ცენტრით ახალციხეში, რომლის უფროსადაც დაინიშნა ვასილ ბებუთოვი. ბებუთოვის მმართველობის პერიოდი ხასიათდება ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტით, აყრა-გადასახლებით, მათი მამულების ყიდვა-გასაჩუქრებით [7: 251]. ვასილ იოსების ძე ბებუთოვი (ბებუთაშვილი) (1789-1858წწ) 1809-1811 წლებში მსახურობდა საქართველოს მთავარმართველთან, მონაწილეობდა 1812 წლის სამამულო ომში. 1817 წელს ახლდა ა. ერმოლოვის სპარსეთში ელჩობისას. 1825 წელს დაინიშნა იმერეთის მმართველად. 1828 წელს მონაწილეობდა ი. პასკევიჩთან ერთად ახალციხის აღებაში. მის შემდეგ ახალციხის მმართველად დაინიშნა [10: 638]. ბებუთოვის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები ახალციხის ალებისას ჩვენს მიერ დანვრილებითაა განხილული ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების“ დეტალური მიმოხილვისას ჩვენს დისერტაციაში.

„მოიძალა ახალციხის საფაშოს ტახტი. ამ ტახტმა საუკუნეების განმავლობაში აწამა საქართველო. მას 600 წლის განმავლობაში ჯაყელთა გვარი



ფლობდა. „ეს ტახტი ჯერ მენაპირეობდა, შემდეგ მონღოლთა კარგისა დაიფარა და ულუსიანი გახდა, მერე საათაბაგოდ იქცა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას დაუპირისპირდა. XVII საუკუნეში თურქთა მონობა მოიშკო. თურქებმა ამაყი ფეოდალები გატყვეს, მაჰმადიანობა მი-აღებინეს და თავიანთ მოხელეებად (ფაშებად) აქციეს. ჯაყელების ბოლო მოდგმაც კი განდგომილი იყო ქართული პოლიტიკისაგან. 1828 წლიდან ისინი ისტორიული არენიდან ქრებიან. მათი ტახტი ფელდმარშალმა პასკევიჩმა, როგორც რელიქვია, თავის მამულში – მოგილეში გააგზავნა, სადაც დღემ-დეა დაცული“ [7: 177].

1831 წლის მარტში მოხდა ახალციხის საოლქო მმართველობის გადახ-აღისება, ხოლო 1840 წლის 10 აპრილს გარდაქმნების შედეგად შეიქმნა საქა-რთაველო – იმერეთის გუბერნია და კასპიის ოლქი [7: 250]. გაუქმდა ახ-ალციხის საფაშოს დროებითი მმართველობაც. 1840 წლის 10 აპრილიდან შეიქმნა ახალციხის მაზრა, რომელიც დაიყო სამ უბნად: ახალქალაქის, ხერთ-ვისის და აბასთუმნის. ახალციხის მაზრა საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შევიდა [7:254].

მეფის რუსეთის კოლონიზაციური მმართველობის უაღრესად მავნე ექსპანსიური მხარე იყო ის რომ: 1) პასკევიჩმა 1828-1829 წლებში ირანის აზერბაიჯანიდან ამიერკავკასიაში ჩამოასახლა 8249 სომეხთა ოჯახი. იმავე პასკევიჩმა თურქეთის საფაშოებიდან 1829-31 წლებში ამიერკავკასიაში გად-მოასახლა ქრისტიანი სომეხებისა და ბერძნების 6000-ზე მეტი ოჯახი. ისინი ახალციხე-ახალქალაქისა და წალკის მიწა-წყალზე დასახლდნენ [11: 23].

ამ საკითხზე დაფიქრებული წერს ნ. ბერძენიშვილი: ბოლოსდაბოლოს მესხეთის გამაჰმადიანებული ქართველები ერთიმეორისგან ველარ ანსხ-ვავებდნენ სარწმუნოებასა და ეროვნებას. ქართველი მათთვის ქრისტიანული რელიგიის აღმნიშვნელი ტერმინი გახდა. ამის საპირისპიროდ თავიანთ თავს ეძახდნენ მუსლიმს, ან თათარს, რა თქმა უნდა ეს „თათრობა“, რომელიც გამორიცხავდა „ქართველობას“, არ ნიშნავდა „თურქობას“. თავის ვინაობის გამოსაცალკეებლად გამოიხატა კიდევ უფრო დაკონკრეტებული ცნება „იერ-ლი“ – ადგილობრივი ან „ბინალი“ ამ ქვეყნის ბინადარი. ვინც იერელია, მან იცის, რომ „ის არც თურქია, არც ქურთი, არც თარაქმა, არც ქართველი“ – ი ე რ ლ ი ა“ [12: 131].

ახალციხის ფაშების ცნობიერების შეფასებასთან ახლოსაა ვ. გურულის დასკვნა: ილიას პირველი ნაწერებიდანვე აშკარად ჩანდა, რომ მას ზედმინ-ევნით ზუსტად ჰქონდა გააზრებული ყოველივე ის, რაც დამლუპველი იყო ქართული ცნობიერებისათვის. ერთიანი საქართველოს დაშლამ, ძნელბედო-ბის, მუდმივი ომებისა და რბევა-დანაოკების, ფიზიკური გადარჩენისათვის დაუსრულებელი ბრძოლის ხანგრძლივმა პერიოდმა ქართული ცნობიერება ძლიერ შეცვალა. ერის ცნობიერების ასეთი ცვლილებები, ცხადია, ათასი ჯუ-რის მტერთან იძულებითი თანაცხოვრების შედეგი იყო [13: 16-17].

ჩვენი ხელნაწერისვე, ივანე გვარამაძის მირ გადანერილ ნიგნად ქცეულ ნაწრომში, ერთი ქვეთავი ეთმობა სამეცხეთოში დაწერილი ლექსების კრე-

ბუღს. თითქმის ყველა ხალხში მოარული, ფოლკლორული ხასიათისაა. ახალციხის საფაშოსა და მისი ფაშების პოლიტიკურ დატვირთვაზე, ხშირი ცვალებადობის ჩვეულ მიზეზებს ვკითხულობთ მათში:

„სოლოლა სტამბოლს ნავიდა, თავის სიმამრას ბარზედა,
ოცი დღე და ღამ იარა, ჩავიდა ხვანთქრის კარზედა;
სოლოლა ჰკოცნის კალთაზედ, ხვანთქარი ჰკოცნის თავზედა,
მეცა მყავს ერთი არაბი, განთქმული ქვეყანაზედა,
შენ, თუ იმას ეჯირითე, თულებს დაგადგამ თავზედა;
ფ ა შ ო ბ ა ს ხელში მოგცემ, ი მ ა ხ ა ლ ც ი ხ ი ს კარზედა“

[14: 64]. სოლოლა ზოგადი სახელია ყველა იმ ქართველისა, რომელნიც ოსმალეთის კარის მსახურნი, მედროვენი და ტახტის მაძიებელნი იყვნენ.

ხოჯა შავანა, ჩვეულებისამებრ, ახალი ფაშის შემოსვლისას ქვეყნის აკლესიას ელის. 2. რუსი ხოჯაევანასთვის უცხოა, ლეკი და თათარი არც თუ აგრე მტერი მოჩანს; 3. ახალციხე-ოსმალეების საყრდენია; 4. ყველაფერი ფაშა-ხონთქრის გავლით ხდება [15: 260-371]. ლაკონური და იმავდროულად მრავლისმთქმელია ნ. ბერძენიშვილის კომენტარი. მშფოთვარე ისტორიებით გამოირჩეოდა ახალციხის საფაშო-საინტერესო, დაბადებული ქართული სახელმწიფოებრიობის წიაღში, შერწყმული ოსმალურ ცნობიერებასთან, განზე მდგარი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული. ისტორიული მესხეთისა და ჯაყვლების მასთან თანაცხოვრების ისტორიამ ცხადყო, ადრე თუ გვიან, ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მავალთა ხვედრი ისეთივე მკაცრი და დაუნდობელია, როგორც მათ მიერვე განვლილი ცხოვრებისეული გზა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. რ. მეტრეველი, საისტორიო ნარკვევები, თბ., 2009წ.
2. გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბ., 1958წ.
3. მ. სვანიძე, სამცხე-საათაბაგო XVI საუკუნის მიწურულში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ-IV, თბ., 1973წ.
4. ვ. გუჩუა, საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა XVI-XVIIIსს, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ-IV, თბ., 1973წ.
5. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი – 2782, ივ. გვარამაძე, „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილები ხოჯაევანთ მღვდლის მამა იოვანესი“, ახალციხე, 1892წ.
6. მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIIIსს, თბ., 1982წ.
7. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, ახალციხე, 2011წ.
8. Рапорт ген- м. лазарева ген- л. Кнорингу, 1004, от 16- го октября, 1800 года, за №36. АКТЫ кавквзского Археграфическою комиссую, т-1, Тифлисъ, 1866 г. ст 697 (ს. ჯანაშიას სახ. ისტორიის მუზეუმის ბიბლიოთეკის რარიტეტული ფონდი, IV-D 368.
9. ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962წ.
10. ქართული დიპლომატია, რ. მეტრეველის რედაქციით, 15, თბ., 2011წ.
11. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე საქართველოს ისტორია, თბ., 1991წ.



12. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., ტ-1. 1956წ.
13. ვ. გურული, ი. ჭავჭავაძე და ეროვნული ცნობიერება, თბ. 2000წ.
14. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი - 2782, ივ. გვარამაძე, „გაგრძელება ჩემგან შეკრული ლექსებისა სამეცხეთოში“, ახალციხე, 1892წ.
15. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ნ. ბერძენიშვილის აღწერილობა, ტ-5, №2527, „ახალციხური ქრონიკები“, ახალციხე, 1933წ.

LIA KITIASVILI

THE ROLE OF AKHALTSIKHE PASHADOM IN GEORGIA IN XVIII-XIX CENTURIES

Summary

“Historical Missionary Diary Letters” by khojavant Iovan rewritten by Iv. Gvaramadze is a chronicle of XVIII-XIX century edge south west Georgia with turbulent political cohabitation: with Ottoman empire, Roman Catholic Europe, Dagestanis, King Solomon I of Imereti and Erekle II the king of Kartli and Kakheti. Based on the analysis of priest Ioane’s daily historical records our article highlights the late feudal period in the Eyalet of Akhalstikhe and complicated internal feudal wars, tsarist strategic course, controversial political battle created by great empires in the Caucasus and priority roles of Akhalsikhe Pashas. Meskhети has always been of great interest to historians. This topic is an attempt of reviving, evaluating and new understanding of our state’s political period - painful life of south west Georgia.

ЛИА КИТИАШВИЛИ

РОЛЬ АХАЛЦИХСКИХ ПАШЕЙ В ГРУЗИИ В XVIII-XIX ВВ.

Резюме

В статье рассматривается историческая хроника – “Историко-миссионерские дневники - письма Ходжавант Иоване,” переведенная в 1892 году на грузинский язык известным грузинским церковным деятелем Иваном Гварамадзе.

Автор этой хроник, католический священник Отец Иоани, повествует о политической и бытовой обстановке в Ахалцихском Пашалике во второй половине XVIII – начале XIX веков, и о той оригинальной роли, которую исполнял упомянутый Пашалик в судьбоносной жизни тогдашней Грузии.

რეზაზ ბაჩიჩილაძე

„გეოგრაფიული შეცდომები“ დიპლომატიურ პრაქტიკაში (პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ახლო აღმოსავლეთის მაგალითზე)

დიპლომატიურ პრაქტიკაში „გეოგრაფიულ შეცდომებად“ შეიძლება მივიჩნიოთ მოლაპარაკებისას და/ან შეთანხმების მიღწევისას გეოგრაფიული რეალობების – ეთნიკური ჯგუფების განსახლების, არსებული ადმინისტრაციული საზღვრების, სატრანსპორტო ქსელის, ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების – უნებლიე ან შეგნებული უგულვებელყოფა. ასეთი სახის „გეოგრაფიული შეცდომები“ არც თუ იშვიათად გვხვდება. ისინი მკაფიოდ გამოვლინდა პირველი მსოფლიო ომის დროინდელ ახლო აღმოსავლეთში, როდესაც პოლიტიკური გარიგებისას ერთ-ერთი ან ორივე მხარე არ ითვალისწინებდა იმ გართულებებს, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა არსებული გეოგრაფიული რეალობების სრულ ან ნაწილობრივ იგნორირებას.

სტატიაში გაანალიზებულია 1915-1917 წლებში წარმოებული საიდუმლო დიპლომატიური მოლაპარაკებები და შეთანხმებები, რომლებიც თითქმის მამინე განსაჯაროვდა და უკვე საუკუნეა საიდუმლო აღარავისთვის არის. იმდროინდელი დიპლომატიური აქტიობის შედეგად პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა სრულებით ახალი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ვითარება. განჩნდა ახალი პოლიტიკური საზღვრები, რომლებიც არ ემთხვეოდნენ არც ეთნიკურ საზღვრებს და არც ომამდელ ადმინისტრაციულ საზღვრებს.

ასიოდე წლის წინ დაშვებულმა „გეოგრაფიულმა შეცდომებმა“ განაპირობა რეგიონში ისეთი პოლიტიკური პრობლემების წარმოქმნა, რომელთა გავლენა დღემდე იგრძნობა.

ვითარება ახლო აღმოსავლეთში I მსოფლიო ომის წინ და ომის პირველ წელს

პირველ მსოფლიო ომამდე ოსმალეთის იმპერია ბატონობდა არაბებით დასახლებულ თითქმის ყველა ტერიტორიაზე დასავლეთ აზიაში, გარდა არაბეთის ნახევარკუნძულის ცენტრალური რაიონებისა, რომლებსაც განაგებდნენ არაბ ბედუინთა ტომების პრაქტიკულად დამოუკიდებელი შიხები. მე-16 საუკუნის დასაწყისიდან, ანუ თითქმის 400 წლის განმავლობაში, ოსმალეთის საკუთრება იყო ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილი – *ჰიჯაზი* და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი – *იემენი*.

მე-19 საუკუნის განმავლობაში იმავე ნახევარკუნძულის აღმოსავლეთით და სამხრეთით, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სანაპირო ზოლის მონაკვეთე-



ბზე დიდმა ბრიტანეთმა თავის პროტექტორატებად აქცია ის ტერიტორიები, რომლებზეც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები *ომანი, კატარი, ბაჰრეინი, ქუვეითი, გაერთიანებული არაბული საამიროები*. დიდი ბრიტანეთის დაქვემდებარებაში 1839 წლიდან მყოფი ქ. ადენი და ადენის კოლონიის ტერიტორია მე-20 საუკუნის ბოლოს დამოუკიდებელი იემენის შემადგენლობაში შევიდა.

ოსმალეთის იმპერიას ნომინალურად ექვემდებარებოდა ეგვიპტე, თუმცა ფაქტობრივად ის ბრიტანული ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა. 1914 წლის ნოემბერში, რეგიონში ომის დაწყებისთანავე, დიდმა ბრიტანეთმა ეგვიპტე ოსმალეთისაგან გამოყოფილად და საკუთარ პროტექტორატად გამოაცხადა და იქ თავისი უმაღლესი კომისარი (High Commissioner) დანიშნა: 1914-1916 წლებში ეს პოსტი ეჭირა სერ ჰენრი მაკმაჰონს (Sir Henry McMahon).

ომის პირველ წელსვე, 1914 წლის შემოდგომაზე, ევროპის ორ ფრონტზე ანგლოფრანგულ და რუსულ არმიებთან მძიმე ბრძოლებში ჩაბმულმა გერმანიამ ძალიან მოინადინა, რომ რუსეთის იმპერიისთვისაც შეექმნა დამატებითი ფრონტი ფორმალურად ნეიტრალურ, თუმცა პროგრესულად განწყობილ ოსმალეთის იმპერიასთან. გერმანიის გენერალური შტაბის გათვლით რუსეთ-ოსმალეთის ფრონტი დააბანდებდა რუსეთის იმ ძალებს, რომლებიც მას ევროპის ფრონტებზე შეეძლო გამოეყენებინა, ხოლო ოსმალეთის კონტროლქვეშ მყოფი შავი ზღვის სრუტეების – ბოსფორისა და დარდანელის – ჩაკეტვა რუსეთისათვის ეკონომიკური ბლოკადის ტოლფასი იქნებოდა. საკმარისია ითქვას, რომ საზღვაო გზით წარმოებული რუსეთის საგარეო ვაჭრობის 60 პროცენტი და ხორბლის მთელი ექსპორტი 1914 წლამდე შავი ზღვის სრუტეების გავლით ხორციელდებოდა [4: 55]. გარდა ამისა, ოსმალეთის ომში ჩართვა ახლო აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის დამატებითი ძალების გადასროლას მოითხოვდა, რაც შეასუსტებდა ბრიტანულ დანოლას დასავლეთის ფრონტზე.

შავ ზღვაში ოსმალეთის ფლოტის, რომელსაც სარდლობდა გერმანელი ადმირალი ვილჰელმ სუშონი, 1914 წლის 29 ოქტომბრის სამხედრო პროვოკაციას – რუსეთის სანაპირო ქალაქების დაბომბვას – მოჰყვა რუსეთის იმპერიის მიერ 1914 წლის 2 ნოემბერს ოსმალეთისათვის ომის გამოცხადება. საპასუხოდ ოსმალეთმა ჩაკეტა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები. რუსეთი სამხრეთიდან ბლოკირებული აღმოჩნდა.

1914 წლის 5 ნოემბერს ოსმალეთს ომი გამოუცხადა დიდმა ბრიტანეთმა და დამატებითი სამხედრო ნაწილები გაგზავნა ეგვიპტესა და კვიპროსში – სუეცის არხის დასაცავად და მტერზე შესატყევად.

ერთდროულად ამოქმედდა ბრიტანული დიპლომატია.

ბრიტანული დიპლომატია ახლო აღმოსავლეთში

ომის დაწყებისთანავე დიდმა ბრიტანეთმა დაიწყო ადგილობრივი მოკავშირის („მეზუეთ კოლონის“) მოძიება ოსმალეთის იმპერიაში. თუ რუსეთის

იმპერიამ ამ მიზნით ანატოლიაში მცხოვრები სომხები გამოიყენა (რაც, საბოლოოდ, ამ უკანასკნელთათვის დიდი უბედურების მომტანი აღმოჩნდა) ბრიტანულმა დიპლომატიამ იმავე მიზნით არაბების გამოყენება დაგეგმა.

ოსმალეთის სუსტი ადგილი იყო არაბებით დასახლებული პერიფერია, სადაც მკაფიოდ ვლინდებოდა დაპირისპირება იმპერიის ცენტრთან. სტამბოლს განსაკუთრებით ესაჭიროებოდა *ჰიჯაზის* შენარჩუნება: იქ მდებარე ისლამის უმთავრესი წმინდა ქალაქების – *მექას* და *მედინას* – დაკარგვა დიდ პროპაგანდისტულ უკუეფექტს იქონიებდა ოსმალეთისათვის.

ბრიტანელებმა კი სწორედ *ჰიჯაზზე* მიიტანეს დიპლომატიური იერიში, როდესაც მექის შარიფ¹ ამირა *ჰუსაინ ბინ ალი ალ-ჰაშიმიტთან* გამართეს საიდუმლო მოლაპარაკება ოსმალეთის წინააღმდეგ არაბთა აჯანყების მიზნით. შედეგი ბრიტანელებისათვის წარმატებული აღმოჩნდა: 1916 წლის 30 ივნისს *ჰუსაინ ბინ ალიმ* *ჰიჯაზი* დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადა. დიდმა ბრიტანეთმა დაუყოვნებლივ სცნო *ჰიჯაზის* დამოუკიდებლობა. ცოტა ხანში *ჰუსაინ ბინ ალიმ* თავი არაბთა მეფედ (*მალიქ ბილად ალ-არაბ*) გამოაცხადა. *ჰუსაინის* ვაჟის – *ფაისალის* მეთაურობით არაბები აუჯანყდნენ ოსმალეთს.

ასეთი პოლიტიკური შედეგის მიღწევას დიდი დიპლომატიური სამზადისი უძღოდა წინ.

1915 წლის 14 ივლისიდან 1916 წლის 30 იანვრამდე დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა ეგვიპტეში *მაკმაჰონმა* და მექის შარიფმა *ჰუსაინ ბინ ალიმ* ერთმანეთს გაუგზავნეს ჯამში ათი წერილი, შედგენილი არაბულ ენაზე. თუმცა *ფორმალური ხელშეკრულება ბრიტანეთსა და არაბ ლიდერს შორის ხელმოწერილი არ ყოფილა*, მაგრამ ამ წერილებში განისაზღვრა ის პირობები, რომლებითაც *ჰუსაინ ბინ ალი*, როგორც მუსლიმთა წმინდა ქალაქების გამგებელი, მოუწოდებდა ყველა არაბს ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად. ასეთი პოლიტიკური ნაბიჯის სანაცვლოდ *ჰუსაინი* ითხოვდა დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერას ერთიანი არაბული სახელმწიფოს შესაქმნელად, მისი დამოუკიდებლობის ცნობასა და ამ დამოუკიდებლობის გარანტიას. *ჰუსაინს* არ მოუთხოვია ეგვიპტის ტერიტორია და ადენის კოლონია. მან აღიარა *მაკმაჰონის* ერთ-ერთ წერილში ასახული დიდი ბრიტანეთის განსაკუთრებული დანტერესება ბაღდადისა და ბასრას ვილაიეთების მიმართაც, რომელთა ტერიტორია ამჟამინდელ ერაყში შედის. მაგრამ ის ითხოვდა მთელ დანარჩენ არაბეთის ნახევარკუნძულს (სადაც მას ძლიერი მეტოქე ჰყავდა ნაჯდის ამირა აბდ ალ-აზიზ ას-საუდის სახით) და დასავლეთ აზიის არაბებით დასახლებულ ყველა მიწას, სადაც ამჟამად განლაგებულია სირია, ერაყი, ლიბანი, იორ-

1. შარიფი (არაბულად „კეთილშობილი, დიდებული“) იყო წინასწარმეტყველ მუჰამადის შთამომავლების (მისი ქალიშვილის ფატიმას და მისი სიძის, მეოთხე ხალიფა ალის, შრიდან) – *ჰაშიმიანების* ტიტული. შარიფები მართავდნენ მექას მეთე საუკუნიდან 1924 წლამდე, ვიდრე აბდ ალ-აზიზ ას-საუდი წაართმევდა მათ *ჰიჯაზს* წმინდა ქალაქებითურთ. *ჰუსაინ ბინ ალის* შთამომავლები არიან დღევანდელი იორდანის *ჰაშიმიანი* მონარქები. *ჰუსაინის* სხვა შვილი, *ფაისალი*, ერაყში მეფობდა. *ჰაშიმიანთა* ეს შტო მოისპო ერაყის 1958 წლის რევოლუციის დროს.



დანია, ისრაელი და პალესტინური ადმინისტრაციის გამგებლობაში ტერიტორია.

ბრიტანულმა მხარემ პრინციპული თანხმობა განაცხადა ამ პირობებზე, ოღონდ საკუთარი პოზიცია ჩამოაყალიბა არაბების მიერ დასავლეთ აზიაში მოთხოვნილი ტერიტორიის საზღვრებთან დაკავშირებით, რაც შეუგნებლად ან შეგნებულად არაზუსტად გაკეთდა.

“მაკმაჰონ-ჰუსაინის მინერმოწერა” არის კლასიკური მაგალითი, თუ როგორ შეიძლება **„გეოგრაფიულმა შეცდომამ“ გამოიწვიოს ხანგრძლივადიანი საერთაშორისო გართულება.**

თავის მეორე წერილში, 1915 წლის 24 ოქტომბერს, მაკმაჰონი წერდა:

„მერსინისა და ალექსანდრეტას ორი რაიონი და სირიის ის ნაწილები, რომლებიც მდებარეობს დამასკოს, ჰომსის, ჰამასა და ალეპოს რაიონების [არაბულ ტექსტში – „ვილაიეთების“; რ.გ.] დასავლეთით, არ შეიძლება ჩაითვალოს წმინდა არაბულად. ამიტომაც ეს ადგილები უნდა გამოირიცხოს [არაბული სახელმწიფოს; რ.გ.] შემოთავაზებული დელიმიტაციიდან“ [8: 590].

წერილში მრავალი უზუსტობა იყო: სიტყვა „ვილაიეთი“ ოსმალეთში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს აღნიშნავდა, მაგრამ მერსინის, ალექსანდრეტას, ჰომსის და ჰამას ვილაიეთები ოსმალეთში არ არსებობდა (წერილის შემდგენი „ვილაიეთს“ ზოგადად „რაიონის“ მნიშვნელობით იყენებდა); ალეპოს ვილაიეთის დასავლეთით არავითარი მოსახლეობა არ ცხოვრობდა, რადგან იქ ზღვა იყო; არსებობდა აშ-შამის (ანუ სირიის), მაგრამ არა დამასკოს ვილაიეთი. ნიშანდობლივია, რომ ამ „გეოგრაფიულ შეცდომებს“ იმ დროს მექაშიც არ მიაქციეს ყურადღება.

მაკმაჰონის მიერ გამოირიცხულ ადგილებში შედიოდა დღევანდელი *ლიბანი, დასავლეთი სირია, დღევანდელი თურქეთის ჰათაის (ალექსანდრეტას) და მერსინის ილები*, სადაც სუნიტი არაბების გარდა იმ დროს მართლაც ცხოვრობდნენ სხვადასხვა დენომინაციის, ძირითადად, მართლმადიდებელი, გრიგორიანი, მარონიტი ქრისტიანები, არაბულენოვანი ალავიტები (შიიტობის ერთი მიმართულების მიმდევრები), დრუზები, სუნიტი თურქები. ჯამში ეს ტერიტორია, გარკვეული პირობითობით, შეიძლებოდა არ მიეჩნიათ „წმინდა არაბულად“, როგორც ეს ესმოდა მექის შარიფს, თვითონ სუნიტი არაბს.

თუ რუკას დავხედავთ (იხ. ნახ.), ისე ჩანს, რომ *მაკმაჰონი* თავისი პირობებით ახდენდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირის რეზერვირებას დიდი ბრიტანეთის მოკავშირე საფრანგეთისათვის, რომელსაც პრეტენზია სწორედ ამ ტერიტორიაზე ჰქონდა (იხ. ქვემოთ).

თუმცა ჰუსაინ ბინ ალი დასავლეთ სირიის ფრანგებისათვის გადაცემის ნინააღმდეგი იყო, იგი დროებით, ომის დამთავრებამდე, დათანხმდა მის გამოირიცხვას მომავალი არაბული სახელმწიფოდან.

მთელ ამ მინერ-მოწერაში ყველაზე ნიშანდობლივი ის იყო, რომ პალესტინაზე და იერუსალიმზე მაკმაჰონს არავითარი მინიშნება არ გაუკეთებია. ამიტომაც *ჰუსაინმა და მისმა მრჩეულებმა ივარაუდეს, რომ ბრიტანელების ინტერესების სფეროში არ შედის ალ-კუდსი* (არაბულად, იერუსალიმი), ისლამის

მესამე უწმინდესი ქალაქი. შესაბამისად, მომავალი არაბული სახელმწიფოს შემადგენლობაში მათ დაიგულებს პალესტინაც.

სწორედ ეს „არაბული ვარაუდი“ აღმოჩნდა მთელი მინერმოწერის უმთავრესი „გეოგრაფიული შეცდომა“.

როდესაც 1917 წლის ნოემბერში რუსეთის სათავეში გადატრიალების გზით მოსულმა ბოლშევიკებმა ანტანტის ქვეყნების დისკრედიტაციის მიზნით გამოამზებურეს საიდუმლო დოკუმენტები, დღის სინათლე იხილა იქამდე ფარულად შენახულმა „საიქსპიკოს შეთანხმებაშ“ (იხ. ქვემოთ), რომელიც ეწინააღმდეგებოდა მაკმაჰონის მიერ არაბებისათვის მიცემულ პირობებს. იმავე დღეებში გამოქვეყნდა „ბალფურის დეკლარაცია“ (იხ. ქვემოთ).

საიდუმლო დოკუმენტების გაცნობამ გამოიწვია დიდი აღშფოთება არაბებს შორის: ისინი მიიჩნევდნენ, რომ **პალესტინა არ განეკუთვნებოდა იმ ადგილებს, რომელთა გამოორიცხვასაც მომავალი არაბული სახელმწიფოდან მოითხოვდა მაკმაჰონი თავის წერილებში.**

არაბული არგუმენტაცია ელემენტარულ გეოგრაფიას ეყრდნობოდა: ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად, პალესტინის ჩრდილოეთი ნაწილი შედიოდა ბეირუთის ვილაიეთში, სამხრეთით მდებარე ნეგევის უდაბნო ქ. ბირ საბას (ებრაულად ბეერ შევა) ჩათვლით – ჰიჯაზის ვილაიეთში (მისი ცენტრი იყო ქ. მედინა). იერუსალიმის რაიონი („ალ-კუდსის მუთასარიფიეთი“ ან „ალ-კუდსის სანჯაყი“) უშუალოდ ემორჩილებოდა სტამბოლს. პალესტინა არ იყო მაკმაჰონის მეორე წერილში მოხსენიებული „სირიის ნაწილი“ და ის არ მდებარეობდა „დამასკოს, ჰომსის, ჰამას, ალეპოს რაიონების (ვილაიეთების) დასავლეთით“.

მაგრამ პალესტინა გეოგრაფიულად მდებარეობდა სირიის (აშ-შამის) ვილაიეთის დასავლეთით, ვინაიდან ეს ვილაიეთი მოიცავდა დღევანდელ იორდანიასაც. ამ ნიუანსზე მოუხდა ყურადღების აქცენტირება ჰენრი მაკმაჰონს, როდესაც ის თავის ახსნა-განმარტებას წარუდგენდა დიდი ბრიტანეთის კოლონიების სამინისტროს 1922 წლის 12 მარტს [8: 590]. სხვათა შორის, ატეხილი სკანდალის გამო ის უკვე 1917 წელს გადადგა საჯარო სამსახურიდან.

ჩნდება კითხვა, რატომ არ შეეძლო მაკმაჰონს პირდაპირ ეხსენებინა პალესტინა (ალ-კუდსის სანჯაყი) ჰუსაინ ბინ ალისადმი გაგზავნილ წერილში, რომლის შინაარსიც შეთანხმებული იყო ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ედვარდ გრეისთან (Sir Edward Grey), თუკი ბრიტანელებისვე მხარდაჭერილი მომავალი არაბული სახელმწიფოდან ამ ტერიტორიის გამოორიცხვას აპირებდა?

იქნებ ეს იყო არაპროფესიონალიზმისა ან დაუდევრობის შედეგი? მაგრამ ისიც ხომ შეიძლება დავუშვათ, რომ გეოგრაფიული ბუნდოვანება წერილში შეგნებულად იქნა შეტანილი?

ბრიტანული მხარე შემდგომში ამტკიცებდა, რომ გამოორიცხულ ადგილებში ივარაუდებოდა პალესტინაც და, ამდენად, „ბალფურის დეკლარაცია“ არ ყოფილა უპრინციპობის გამოვლინება.

არაბები კი ამტკიცებდნენ, და მათ მეტი გეოგრაფიული ლოგიკა შეუძლიათ დაიმონწონ, რომ წერილის ტექსტიდან ისე გამოდის, თითქოს იმ ტერ-



იტორიაში, რომელსაც *მაკმაჰონი* დაპირდა *ჰუსაინ ბინ ალის*, პალესტინაში იყო გამორიცხული მომავალი არაბული სახელმწიფოდან. ამდენად, მათი აზრით, „საიქს-პიკოს შეთანხმება“ და, განსაკუთრებით, „ბალფურის დეკლარაცია“ ბრიტანული მზაკერობის მკაფიო მაგალითს წარმოადგენდა.

მაგრამ 1916 წლის 5 ივნისს, როდესაც არაბებმა მართლაც წამოიწყეს აჯანყება ოსმალების წინააღმდეგ, ისინი ჯერ არ იცნობდნენ უაიტჰოლის² დიპლომატიის ამ დახვეწილ ნიუანსებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მსოფლიო ომის წინ და ომის პერიოდში არაბეთის სახეივარკუნძულს ბრძოლით აერთიანებდა აბდ ალ-აზიზ იბნ აბდ არ-რაჰმან ას-საუდი, რომელმაც 1902 წელს დაიპყრო არ-რიადის ოაზისი და ნაჯდის ამირა გახდა. მანვე დაიპყრო სახეივარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ალ-ჰასას პროვინცია (სადაც მოგვიანებით აღმოჩნდება ნავთობის მსოფლიოში უდიდესი ბუდობები!).

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშივე ინდოეთში მყოფი ბრიტანელი მოხელეები *პერი კოქსის* (Pery Cox) ხელმძღვანელობით დაუკავშირდნენ ას-საუდს და საიდუმლო შეთანხმება დადეს მასთან (რომელსაც, ბუნებრივია, *ჰუსაინ ბინ ალი არ იცნობდა*) იმის თაობაზე, რომ ის იომებს თურქების წინააღმდეგ (რაც ას-საუდს არ გაუკეთებია) და, რაც მთავარია, ხელს არ დააკარებს სპარსეთის ყურის ბრიტანულ პროტექტორატებს (ეს პირობა ას-საუდმა დაიცვა). სანაცვლოდ მას ყოველწლიური საგ. აქნობი სუბსიდია დაენიშნა. ას-საუდის ექსპანსიონიზმს სხვა არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრიტანელები „ვერ ხედავდნენ“. როდესაც 1924 წელს ას-საუდმა დაიპყრო *ჰიჯაზი*, ევროპის სახელმწიფოებმა, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმაც, სცნეს იგი *ნაჯდისა* და *ჰიჯაზის მეფედ*. *ჰიჯაზის* სამეფომ არსებობა შეწყვიტა. 1932 წელს ას-საუდმა სახელი გამოუცვალა თავის სამეფოს და მას „საუდის არაბეთი“ დაარქვა.

ახლო აღმოსავლეთის წინასწარი დანაწილება „საიქს-პიკოს შეთანხმების“ მიხედვით

ჯერ კიდევ რეალურ სამხედრო წარმატებამდე ლონდონმა და პარიზმა მოილაპარაკეს, თუ როგორ გაიყოფდნენ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიას ომში გამარჯვების შემდეგ. 1915 წლის ბოლოს ანტანტას აღარ ეპარებოდა ეჭვი, რომ მოუგებდა ომს გერმანიასა და მის მოკავშირეებს და დროულად დაიჭირა თადარიგი ოსმალეთის მემკვიდრეობის გაყოფაზე.

ინგლისელმა დიპლომატმა *მარკ საიქსმა* (Sir Mark Sykes) და საფრანგეთის გენერალურმა კონსულმა ბეირუთში *ფრანსუა ფორჟ-პიკომ* (Francois George-Picot), რომელთაც თავიანთი მთავრობების რწმუნებულება ჰქონდათ, 1915 წლის 23 ნოემბერს დაინიშნეს მოლაპარაკება და 1916 წლის 16 მარტს (ქრონოლოგიურად ეს თითქმის ემთხვევა მაკმაჰონ-ჰუსაინის მიწერმოწერ-

2. ლონდონის ქუჩა, სადაც მდებარეობს დიდი ბრიტანეთის ფორინ ოფისი (საგარეო საქმეთა სამინისტრო).

ის პერიოდს) ხელი მოანერგეს საიდუმლო შეთანხმებას ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიის ნაწილის გაყოფის თაობაზე [3: 13].

შეთანხმება ითვალისწინებდა როგორც ბრიტანეთისა და საფრანგეთის, ისე მათი მოკავშირის – რუსეთის – ინტერესებს ოსმალეთის დანაწევრებისას. გაკვრით ნახსენები იყო იტალიის ინტერესებიც, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაზე ჰქონდა პრეტენზია.

ამ დიპლომატიურ გარიგებას გაეცნო რუსეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი *სერგეი საზონოვი* და შეთანხმებას შეუერთდა რუსეთის იმპერიის მთავრობაც. ამის გამო *დევიდ ფრომკინი* თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში ახსენებს „საიქს-პიკო-საზონოვის შეთანხმებას“ [5: 189], თუმცა ეს ტერმინი ვერ დამკვიდრდა.


შეთანხმების თანახმად, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი აცხადებდნენ მზადყოფნას, ეცნოთ და დაეცვათ დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფო ანდა არაბული ქვეყნების კონფედერაცია ერთ-ერთი არაბი ლიდერის სიუზერენიტეტის ქვეშ. ამასთან, თანდართულ რუკაზე მითითებული იყო ოსმალეთის იმპერიის ის ნაწილები, სადაც საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი პირდაპირი ან არაპირდაპირი ადმინისტრაციისა ან კონტროლის დაარსების უფლებას ანიჭებდნენ ერთი-მეორეს. ფაქტობრივად, მომავალ „არაბულ სახელმწიფოს“ საკუთრად მხოლოდ არაბეთის ნახევანკუთხულის უდაბურ ნაწილებს უტოვებდნენ (მაშინ ჯერ არ იყო ცნობილი იქ ნავთობის საბადოების არსებობა), ხოლო უფრო ჩრდილოეთით მდებარე და მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიები ინგლისური და ფრანგული კონტროლის ან გავლენის ზონა უნდა გამხდარიყო. „საიქს-პიკოს შეთანხმებაზე“ მუშაობისას არ არსებობდა „სამან-დატო ტერიტორიების“ ცნება, რომელიც ორი-სამი წლის შემდეგ გაჩნდა.

ორმა დიპლომატმა ფერადი ფანქრებით შემოხაზა სხვადასხვა ხალხებით დასახლებული მიწის მონაკვეთები, სადაც უცხო ძალას დიდი ხნით, შესაძლოა საშუალოდაც, უნდა განესაზღვრა მომავალში შესაქმნელი პოლიტიკური ერთეულების ბედი:

- ლიბანი, სირიის სანაპირო რაიონები და დღევანდელი თურქეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის ნაწილი საფრანგეთის უშუალო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა („*ლურჯი ზონა*“), ხოლო შიდა სირია და მოსულის ვილაიეთი (დღევანდელი ერაყის ჩრდილოეთი ნაწილი) ფრანგული გავლენის ზონა უნდა გამხდარიყო (ზონა „A“);

- დიდი ბრიტანეთის უშუალო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა ცენტრალური და სამხრეთი ერაყი და ქუვეითი („*წითელი ზონა*“), ხოლო დღევანდელი იორდანია და დასავლეთი ერაყი ბრიტანული გავლენის ზონაში შედიოდა (ზონა „B“);

- პალესტინის ტერიტორიაზე ორივე მხარეს ჰქონდა პრეტენზია, ამიტომაც კომპრომისის სახით დადგინდა, რომ მისი დიდი ნაწილი იერუსალიმითურთ („*ყავისფერი ზონა*“) უნდა დაქვემდებარებოდა საერთაშორისო ადმინისტრაციას, რომლის სტატუსი უნდა შეთანხმებულიყო კონსულტაციის გზით



ნახ. „ოსმალეთის მემკვიდრეობის“ დანაწილების გეგმა საიქს-პიკოს შეთანხმების თანახმად

რუსეთის იმპერიასთან, ანტანტის სხვა მოკავშირეებთან და მექის შარიფის წარმომადგენლებთან.

რეალურად, ომის შემდეგ პალესტინაში სულ სხვა პოლიტიკურ-გეოგრაფიული ვითარება შეიქმნა: იქ ბრიტანელები შევიდნენ და 1922 წელს ერთა ლიგისაგან პალესტინა მიიღეს, როგორც სამანდატო ტერიტორია.

მოლაპარაკების დროს საიქსმა თავისი ქვეყნისათვის მოითხოვა პალესტინაში მდებარე ხაიფას და ახლომდებარე აკოს (აკრას) ნავსადგურები, რაზეც ფორე-პიკოს თანხმობა მიიღო. ხაიფა საფრანგეთის ტვირთებისათვის თავისუფალი პორტი უნდა გამხდარიყო, ხოლო საფრანგეთს მიკუთვნებული ალექსანდრეტა (თანამედროვე ისქენდერუნი) – ბრიტანული ტვირთებისათვის თავისუფალი პორტი.

დასავლეთევროპელი მოკავშირეები რუსეთს „უთმობდნენ“ აღმოსავლეთ ანატოლიას – ტრაპზონის, ერზურუმის, ვანის, ბითლისის ვილაიეტებს. შავ ზღვაზე რუსეთი თითქმის ქ. სამსუნამდე უნდა გასულიყო. ეს ტერიტორია რუსეთს უნდა მიეღო იმის ზევით, რასაც მას კონსტანტინოპოლისა და

ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების მისთვის გადაცემის შესახებ 1915 წლის მარტში გაცვლილი დიპლომატიური ნოტების გზით შეპირდნენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი [2: 26]. რეალურად რუსეთმა ვერაფერი მიიღო იმის გამო, რომ მოკავშირეების დაუკითხავად დაუზავდა მონინალმდებგეს.

ევროპელი დიპლომატები მექანიკურად ქრიდნენ ახლო აღმოსავლეთის რუკას, არ აქცევდნენ ყურადღებას არც მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას და არც ეკონომიკურ კავშირებს.

მოსულის ვილაიეთის საფრანგეთის გავლენის ზონაში შეტანა საიქსის ინიციატივა იყო, რომელიც, ბუნებრივია, *ფორინ ოფისთან* იყო შეთანხმებული: დიდი ბრიტანეთს ერჩივნა შექმნილიყო „ფრანგული ბუფერი“ საკუთარ და რუსეთის სამომავლო სამფლობელოებს შორის. ამ შემთხვევაში არ ითვალისწინებდნენ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორს, იმას, რომ ზემო მესოპოტამიას, სადაც მოსულის ვილაიეთი მდებარეობს, უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდა დანარჩენ ერაყთან და არა სირიასთან.

როდესაც 1918 წლის 3 მარტს ბოლშევიკურმა რუსეთმა *ბრესტ-ლიტოვსკ*-ში სეპარატული ზავი დადო ცენტრალურ სახელმწიფოებთან და გამოეთიშა გეოპოლიტიკურ თამაშს ახლო აღმოსავლეთში, ოსმალეთის ტერიტორიის დანაწევრებაში მას „წილი აღარ ეკუთვნოდა“. შესაბამისად, ახლო აღმოსავლეთში რუსეთთან „ფრანგული ბუფერის“ შექმნა ლონდონის პოლიტიკის დღის წესრიგიდან მოიხსნა. ომის დამთავრებისთანავე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა *დევიდ ლოიდჯორჯმა* გამოსთხოვა მოსულის ვილაიეთი (ცნობილი გახდა იქ ნავთობის დიდი ბუდობების არსებობა) და მთელი პალესტინა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე *ჟორჟ კლემანსოს* მისი დაიმედების ფასად, რომ ლონდონი მხარს დაუჭერდა პარიზის ინტერესებს გერმანიის მაქსიმალურად დასუსტების საქმეში. დიდი ბრიტანეთის ზეწოლით 1926 წელს თურქეთმა მოხსნა თავისი პრეტენზია მოსულის ვილაიეთის მიმართ, რომელიც ბრიტანეთისათვის ერთა ლიგის მიერ სამართავად გადაცემული ერაყის შემადგენლობაში შევიდა. საიქსისა და პიკოს გარიგების თანახმად კი ის სირიაში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო.

„*საიქს-პიკოს შეთანხმება*“ არ ითვალისწინებდა ეთნიკური ქურთების განსახლებას. თუ მსოფლიო ომამდე ყველა ქურთი (გარდა სპარსეთში მცხოვრებისა) ოსმალეთის იმპერიაში სახლობდა, „*საიქს-პიკოს შეთანხმებით*“ მათი განსახლების არეალი რუსეთსა და საფრანგეთს უნდა მიეღოთ. რეალურად, ყოფილი ოსმალეთის ქურთები დანაწილებული აღმოჩნდნენ თურქეთსა, სირიასა და ერაყში.

1919 წელს შექმნილმა *ერთა ლიგამ*, რომელშიც ნამყვან როლს დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი თამაშობდნენ, მეტნაკლებად „*საიქს-პიკოს შეთანხმების*“ მიხედვით გამოჭრა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა. ერაყი, პალესტინა და ტრანსიორდანიის ბრიტანეთის *სამანდატო ტერიტორიები* გახდნენ, სირია და ლიბანი – საფრანგეთისა.

პოლიტიკურმა რეალობამ შეცვალა წინასწარ დადგენილი საზღვრები უკვე 1921 წლისათვის, როდესაც ქემალისტურმა თურქეთმა დაამარცხა საფ-



რანგეთის სამხედრო ნაწილები. 1921 წლის 20 ოქტომბერს ანკარაში მყოფ თურქეთის დიდ ეროვნულ კრებასა და საფრანგეთს შორის გაფორმებული „ანკარის ხელშეკრულებით“ (რომლითაც საფრანგეთი დე-იურე ცნობდა ქემალისტურ მთავრობას) ფრანგებმა დაცალეს კილიკია, შეიქმნა თანამედროვე სირია-თურქეთის საზღვარი, რომელიც მას შემდეგ ძირითადად მიუყვება „ბალდადის რკინიგზის“ ლიანდაგს.

„ბალფურის დეკლარაცია“

1917 წლის თებერვლიდან დიდი ბრიტანეთის მთავრობასა და სიონისტურ ფედერაციას შორის მიმდინარეობდა აქტიური მოლაპარაკება ებრაელთა ლეგალურად დასახლების უფლებაზე პალესტინაში, როდესაც ის ჯერ ისევ ოსმალების ხელში იყო. სიონისტებს წარმოადგენდა ფედერაციის პრეზიდენტი *ბაიმ ვაიცმანი*, შემდგომში, 1949-1952 წლებში, ისრაელის სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტი [12].

ბრიტანელებმა იერუსალიმი 1917 წლის 9 ნოემბერს აიღეს. მაგრამ იქამდე ერთი კვირით ადრე, 2 ნოემბერს, დიდი ბრიტანეთის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრმა *ბალფურმა* როტშილდების ბრიტანული შტოს წარმომადგენელს ლორდ *ლაიონელ უოლტერ როტშილდს* გაუგზავნა სიონისტური ფედერაციისათვის გადასაცემად დეკლარაცია, რომელსაც ლორდი ბალფური აწერდა ხელს (იხ. ჩანართი).

ჩანართი

„ბალფურის დეკლარაცია“

ფორინ ოფისი
ნოემბრის 2, 1917 წ.

ძვირფასო ლორდო როტშილდ,

ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, მისი უდიდებულესობის მთავრობის სახელით გადმოგცეთ ებრაელთა სიონისტური მისწრაფებისადმი თანაგრძნობის შემდეგი დეკლარაცია, რომელიც წარედგინა და დამტკიცდა კაბინეტის მიერ:

„მისი უდიდებულესობის მთავრობა კეთილგანწყობით უყურებს პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნებას და გამოიყენებს მთელ თავის ძალისხმევას, რათა გააადვილოს ამ მიზნის მიღწევა, იმის ნათელი გაგებით, რომ არაფერი გაკეთდება ისეთი, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს პალესტინაში არსებული არაებრაული თემების სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს, ანდა იმ უფლებებსა და პოლიტიკურ სტატუსს, რომლითაც ებრაელები სარგებლობენ რომელიმე სხვა ქვეყანაში“.

მადლობელი დაგრჩებით, თუკი გააცნობთ ამ დეკლარაციას სიონისტურ ფედერაციას.

არტურ ბალფური

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1917 წლის 4 ივნისს საფრანგეთის მთავრობამაც მისცა წერილობითი დაპირება სიონისტებს, რომელთაც ნაჰუმ სოკოლოვი წარმოადგენდა, რომ საფრანგეთი მხარს დაუჭერს ებრაელი ერის აღორძინებას *იმ მინაზე*, საიდანაც ისრაელის ხალხი განიდევნა მრავალი საუკუნის წინ [5: 292]. ამ დოკუმენტმა, თუმცა გეოგრაფიულად ის ბუნდოვანი იყო (არ ზუსტდებოდა *ის მინა*, რომელსაც გულისხმობდნენ ტექსტის ავტორები), გარკვეული იმპულსი მისცა დიდი ბრიტანეთის მთავრობას საკუთარი, ასევე საკმაოდ ბუნდოვანი, გარანტიები მიეცა სიონისტებისათვის.

„ბალფურის დეკლარაციის“ გამოქვეყნებით ლონდონი ჩქარობდა დაესწრო ბერლინისათვის, რომელიც ასევე ცდილობდა ებრაელობის მხარდაჭერის მოპოვებას. გერმანიის მთავრობამაც გამოაქვეყნა მსგავსი დეკლარაცია 1918 წლის 5 იანვარს, რომელსაც ისრაელში გამოცემული ენციკლოპედია „ნელთბილს“ უწოდებს [9: 160]. ყოველ შემთხვევაში გერმანულმა დოკუმენტმა დააგვიანა: იერუსალიმსა და პალესტინის დიდ ნაწილში უკვე იდგა მათი მტრის არმია და ბრიტანელები იწყებდნენ კიდევ „ბალფურის დეკლარაციის“ პრაქტიკაში განხორციელებას.

„ბალფურის დეკლარაციის“ საბოლოო რედაქცია კომპრომისების შედეგად ჩამოყალიბდა:

- მან ასახა სიონისტების მისწრაფება – „*პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნება*“. ტერმინი „*ეროვნული კერა*“ (*national home*) სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ამიტომაც ის ორივე მხარემ (ბრიტანეთმაც და სიონისტებმაც) მოიწონა;
- აისახა იმ გავლენიანი ორთოდოქსული ებრაული წრეების თვალსაზრისი, რომლებიც „*სიონიზმს ჰეტეროდოქსულ კრედოდ, ხოლო მის გეგმას ღვთის გეგმის უზურპაციად მიიჩნევენ*“ [7: 12]; ორთოდოქსი ებრაელების რწმენით, ისრაელი მხოლოდ მესიას უნდა აღედგინა. ამავე დროს იმავე წრეებში არ უნდოდათ რამენაირად აუცილებელი გაეხადათ საკუთარი გადასახლება ახლო აღმოსავლეთში. ამიტომაც ჩაინერა: „*არაფერი გაკეთდება ისეთი, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს... იმ უფლებებსა და პოლიტიკურ სტატუსს, რომლითაც ებრაელები სარგებლობენ რომელიმე სხვა ქვეყანაში*“; არტურ ჰეტცბერგის აზრით, იმავე ორთოდოქსული ებრაული წრეების გავლენის შედეგია, რომ „დეკლარაციაში“ ლაპარაკია *პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნებაზე* და არა *მთელი პალესტინის* გადაქცევაზე ასეთ კერად [6].
- დიდი ბრიტანეთის მთავრობის ინიციატივით ჩაინერა სიტყვები „*პალესტინაში არსებული არაებრაული თემების* (რომელთა წარმომადგენლებიც მოლაპარაკებაში არ მონაწილეობდნენ: რ.გ.) *სამოქალაქო და რელიგიური უფლებებისათვის ზიანის მიუყენებლობის*“ შესახებ. სხვათა შორის, არსებობს ცნობა, რომ ხაიმ ვაიცმანი ძალიან ცდილობდა ამოეღო ეს სიტყვები დეკლარაციიდან, ბრიტანელებმა კი არ დაუთმეს. მაგრამ პრაქტიკაში ისე გამოვიდა, როგორც ვაიცმანს უნდოდა: ბრიტანელებმა ეს პუნქტი ვერ დაიცვეს, ებრაელებმა კი მას არსებითი ყურადღება არ მიაქციეს.



„ბალფურის დეკლარაციის“ იმ დეტალს, რომ პალესტინაში დაბრუნდნა მხოლოდ ეროვნული კერა ებრაელებისათვის და არა ებრაული სახელმწიფო, ხაზს უსვამდა 1922 წლის 3 ივნისის ბრიტანეთის კოლონიების სამინისტროს „თეთრი წიგნი“, რომელიც ცნობილია, როგორც „ჩერჩილის მემორანდუმი“. იქ ასეთი სიტყვები ეწერა: „მისი უდიდებულესობის მთავრობა შეუსრულებლად მიიჩნევს მოლოდინს... [რომ შეიქმნას] მთლიანად ებრაული პალესტინა, რომელიც იქნებოდა ისევე ებრაული, როგორც ინგლისი არის ინგლისური... და არასოდეს განიხილავდა პალესტინაში არაბული მოსახლეობის, ენისა და კულტურის გაქრობას ან დაქვემდებარებას“ [http://www.answers.com/topic/churchill-white-paper-1922#ixzz21jJKb5ST].

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა „ბალფურის დეკლარაცია“ იმ ტაქტიკური იმედით, რომ ამერიკის ებრაელობის მხარდაჭერას მოიპოვებდა შეერთებული შტატების მსოფლიო ომში უფრო აქტიურად მონაწილეობისათვის, დაავერებდა რუსეთის ებრაელობას, გავლენა მოეხდინათ თავის მთავრობაზე ომში მონაწილეობის გასაგრძელებლად. ამავე დროს, ლონდონს უნდოდა ეჩვენებინა გერმანიის ებრაელობისათვის, რომ „ბრიტანეთი მათზეც ზრუნავს“.

ბრიტანელებს ეს ტაქტიკური იმედები ძალიან სწრაფად გაუცრუვდათ. მართალია, „ბალფურის დეკლარაციის“ გამოქვეყნებიდან სულ ხუთი დღის შემდეგ, 1917 წლის 7 ნოემბერს, რუსეთის სათავეში მოსული ბოლშევიკების უმაღლეს ხელმძღვანელთა შორის ებრაელები ლამის უმრავლესობას შეადგენდნენ (ტროცკი, სვერდლოვი, კამენევი, ზინოვიევი, სოკოლნიკოვი, ურიცკი, ლიტვინოვი, კაგანოვიჩი, ლარინი და სხვები), მაგრამ ისინი „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ იდეით შეპყრობილი მარქსისტები იყვნენ და არც სიონიზმსა და არც ანტანტას არ სწყალობდნენ: პალესტინაში წასვლა მათ ნამდვილად არ სურდათ. რაც შეეხება გერმანიის ებრაელებს, ისინი მტკიცედ იდგნენ ბერლინის მხარეს. ბევრი მათგანი გერმანული არმიის შემადგენლობაში თავგანწირვით ებრძოდა სწორედ ბრიტანელებსა და ფრანგებს.

უსაფუძვლო აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის სტრატეგიული გათვლაც, თითქოს პალესტინაში ებრაული კერის შექმნა დიდი ხნით უზრუნველყოფდა ბრიტანულ გავლენას ახლო აღმოსავლეთში. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ლონდონს პალესტინაში მხოლოდ არაბები და ებრაელები გაეშველებინა. ორივე მხარე კი ლონდონს ადანაშაულებდა მეორეს მხარდაჭერაში.

„ბალფურის დეკლარაციას“ მსოფლიოში თავიდანვე არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეხვდა: ის სიხარულით მიიღო ებრაელობის საგრძნობმა ნაწილმა, მაგრამ არაბებში გაღიზიანება გამოიწვია. ის არ სცნო არცერთ არაბული ქვეყნის მთავრობამ. ზოგიერთი არაბი მოღვაწე იმასაც კი ამბობდა, რომ „ბალფურმა მისცა მინა, რომელიც მას არ ეკუთვნოდა, ხალხს, რომელსაც მასზე უფლება არ ჰქონდა“ [10].

დოკუმენტის ორაზროვნება და გეოგრაფიულად ბუნდოვანი „ებრაული ეროვნული კერა“ საკმაოდ მალე გახდა არაბულ-ებრაული დაპირისპირების

მიზეზი. პრობლემა გადმოჰყვა ამ ტერიტორიაზე შექმნილ ებრაულ სახელმწიფოს და ჯერაც ოფიციალურად არშექმნილ არაბულ სახელმწიფოს – პალესტინას.

მაგრამ XX საუკუნის პირველ მეოთხედში, როდესაც ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები ის-ის იყო ყალიბდებოდა, გამარჯვებული ანტანტა ანუ ლონდონი და პარიზი, განსაზღვრავდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

1918 წელს „ბალფურის დეკლარაცია“ საფრანგეთმა და იტალიამ სცნეს. ის შეიტანეს *სერის ხელშეკრულებაში* (1920 წ.). 1922 წელს მას დაეთანხმა აშშ-ის კონგრესი. 1922 წელსვე ის აისახა *ერთა ლიგის* მიერ რატიფიცირებულ დოკუმენტში, რომლის ძალითაც პალესტინის მართვის მანდატი მიეცა დიდ ბრიტანეთს. ამრიგად „ბალფურის დეკლარაციამ“ საერთაშორისო ვალდებულების ხასიათი შეიძინა. ამ დოკუმენტის შედეგები არის *fait accompli*, ანუ შეუქცევადი ფაქტი [1: 253].

ბრიტანელი ოფიციალური პირები მოგვიანებით კრიტიკულად აფასებდნენ მათი წინამორბედების მიერ 1917 წელს შექმნილ დოკუმენტს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს *ერნესტ ბევისონმა* თქვა, რომ „ბალფურის დეკლარაცია იყო ბრიტანული საგარეო პოლიტიკის უდიდესი შეცდომა *მეოცე საუკუნეში*“. ბევისონი გულისხმობდა „პოლიტიკურ შეცდომას“, მაგრამ მას „გეოგრაფიული შეცდომებიც“ ახლდა თან. 2002 წელს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა *ჯეკ სტრომ* ინტერვიუში უფრო გეოგრაფიულ ნიუანსებს მიაქცია ყურადღება: „*უცნაური ხაზები ერაყის საზღვრებისათვის ბრიტანელების დახაზულია. ბალფურის დეკლარაცია და წინააღმდეგობრივი დაპირებები, რომლებიც ერთდროულად, კერძო საუბრებში, მიეცათ როგორც პალესტინელებს, ისე ისრაელებებს – ეს ჩვენთვის საინტერესო ისტორიაა, მაგრამ არცთუ მთლად პატივსაცემი*“ [11].

დასკვნა

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში შექმნილი დიპლომატიური დოკუმენტების საიდუმლოება სულ ცოტა ხანს შენარჩუნდა: ისინი მალევე გასაჯაროვდა და სერიოზული პრობლემები შექმნა სახელმწიფოთაშორის და ეთნოსთაშორის ურთიერთობებში. მართალია, *სერ მარკ საიქსისა და ფრანსუა ჟორჟ-პიკოს* ფანქრებით გავლებული ხაზებიდან სრული სიზუსტით პოლიტიკურ რუკაზე მხოლოდ მცირე მონაკვეთები აისახა, მაგრამ მათი გეგმის ძირითადი მონახაზი პრაქტიკაში დაინერგა და შესაბამისი პრობლემებიც წარმოშვა. თავისი წვლილი მომავალ პოლიტიკურ დაპირისპირებაში შეიტანა „ბალფურის დეკლარაციამ“.

დიპლომატიურ მოლაპარაკებებს რეალური პოლიტიკურ-გეოგრაფიული შედეგები მოჰყვა. ლონდონისა და პარიზის კაბინეტებში, სადაც სახაზავით მიჯნავდნენ მომავალ სახელმწიფოებს, არ იცნობდნენ ადგილობრივ სოციალურ გეოგრაფიას და ტოპოგრაფიას. ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა



საზღვრების დიდი ნაწილი გეომეტრიულია, რომლებიც მისდევს განედს, ანდა სწორ ხაზებს, რომლებიც გარკვეულ წერტილებს აერთებს.

ლონდონმა და პარიზმა იზრუნეს, რომ არაბული სამყარო არ გაერთიანებულიყო.

დასავლეთის ზესახელმწიფოების პირველი მსოფლიო ომისდროინდელმა კონიუნქტურულმა ინტერესებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ახლო აღმოსავლეთის ახალშექმნილი სახელმწიფოების საზღვრები. დიპლომატიებისა და პოლიტიკოსების გეოგრაფიული არაკომპეტენტურობა ან მათ მიერ ტერიტორიული რეალიების შეგნებული იგნორირება აღმოჩნდა მრავალი მომდევნო პოლიტიკური პრობლემის სათავე.

წყაროები და ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: ხალხი, სივრცე და პოლიტიკა. მესამე გადამუშავებული გამოცემა, თბ., ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011.
2. История дипломатии. Том III. Москва: Политиздат, 1965.
3. Boustani Rafik & Philippe Fargues. The Atlas of the Arab World: Geopolitics and Society. New York & Oxford: Facts on File, 1991.
4. Drysdale Alisdair D. & Gerald H. Blake. The Middle East and North Africa: A Political Geography. New York & Oxford: OUP, 1985.
5. Fromkin David. A Peace to End All Peace: Creating the Modern Middle East 1914-1922. (First edition: Andre Deutsch, 1984), 2001.
6. Hettzberg Arthur. Democratic? Or pragmatic? Ha'aretz, June 21, 2002, B5.
7. Jones Clive. Ideo-theology and the Jewish state: from conflict to conciliation? British Journal of Middle East Studies, Vol. 26, No 1, 1999, pp. 9-26.
8. Sela Avraham (ed.). The Continuum Political Encyclopedia of the Middle East (revised and updated edition). New York & London: Continuum, 2002.
9. Sela Avraham (ed.). The Political Encyclopedia of the Middle East. Jerusalem, 1999.
10. Silsby Boyle, Susan. Betrayal of Palestine: The Story of George Antonius. Boulder, Col.: Westview Press, 2001.
11. Straw Jack. [Interview with]. New Statesman, November 18, 2002.
12. Weigal Meyer W., and Joel Carmichel (eds.) Chaim Weizmann: a biography by several hands (with a preface by David Ben-Gurion). London: Weidenfeld and Nicolson, 1962.
13. Woodward E.L. and Rohan Butler (eds.) Documents on British Foreign Policy 1919-1939. First Series, Vol. IV, 1919. London: HMSO, 1952.

REVAZ GACHECHILADZE

“GEOGRAPHICAL ERRORS” IN DIPLOMATIC PRACTICE: (THE CASE OF THE FIRST WORLD WAR-TIME MIDDLE EAST)

Summary

A “geographical error” in diplomatic practice is considered unintentional or wilful disregard of geographical realities – physical-geographical features, settlement patterns of ethnic groups, economic-geographical connections and trends, existing administrative borders, etc.

The article deals with the secret negotiations carried out in 1915-1917 (McMahon-Hussein Correspondence; Sikes-Pikot Agreement; Balfour Declaration) which ceased to be secret very soon. But due to those days diplomatic activities absolutely new political-geographical realities appeared in the Middle East after the WW1. New political boundaries were set up in the region which do not coincide with either ethnic boundaries, nor with pre-war administrative borders of the former Ottoman Empire in which they previously belonged.

“Geographical errors” committed by diplomacy almost hundred years ago served to a substantial extent as reasons of appearance of such political problems which are not resolved until now.

РЕВАЗ ГАЧЕЧИЛАДЗЕ

“ГЕОГРАФИЧЕСКИЕ ОШИБКИ” В ДИПЛОМАТИЧЕСКОЙ ПРАКТИКЕ (НА ПРИМЕРЕ БЛИЖНЕГО ВОСТОКА ВРЕМЕН ПЕРВОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ)

Резюме

Под “географической ошибкой” в дипломатической практике подразумевается непредумышленное или сознательное игнорирование географических реалий – физико-географических форм и преград, этно-религиозной структуры расселения, экономико-географического притяжения, существующих административных границ и т.д.

В статье рассмотрены результаты тайных переговоров, проведенных в 1915-1917 гг. (Переписка Макмагона-Хуссейна; Соглашение Сайкса-Пикот; Декларация Бальфура) которые были раскритикованы почти сразу. Но благодаря им же на Ближнем Востоке после Первой мировой войны появились совершенно новые политико-географические реалии. В регионе были проведены новые политические границы не совпадающие ни с этническими, ни с довоенными административными границами.

“Географические ошибки” совершенные дипломатами почти сто лет назад в значительной мере повлияли на возникновение таких политических проблем, которые остаются неразрешенными по сей день.

გიორგი ლალიაშვილი

იალოილუთეფეს კულტურის განეზისის პრობლემა აღმოსავლეთ
საქართველოს ტერიტორიაზე*

დღეისათვის ცნობილი იმ მასალების მიხედვით, რომელთა მიკუთვნება იალოილუთეფეს კულტურისადმი ეჭვს არ იწვევს, შესაძლებლად ვთვლით თვალი გვაადევნოთ საქართველოს ტერიტორიაზე მისი გავრცელების არეალს. ჩვენთვის ცნობილია იალოილუთეფეს ტიპის ძეგლებისა თუ არტეფაქტების¹ აღმოჩენის შემდეგი პუნქტები:

ჭიაური (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი): პირველი აღმოჩენა მოხდა 1890 წელს, სოფელ შერეთისკარში, ჭიაურის ტყეში, სადაც შემთხვევით უპოვიათ სამი სამფეხა ლანგარი და ქოთანნი. ეს მასალა თავის ნაშრომში მოხსენიებული აქვს ა. იესენს [35: 34].

1894 წელს ისევ ჭიაურის ტყეში შემთხვევით აღმოჩნდა ერთი სამფეხა ლანგარი და მრგვალპირა ხელადა. 1936 წელს საქართველოს მუზეუმში შევიდა ამავე ტერიტორიებზე მოპოვებული სამფეხა ლანგარი, აღმოჩენის ზუსტი ადგილი და დრო უცნობია. ეს მასალები დაამუშავა გ. ნიორაძემ [19: 28-29].

სოფელი ახალი ულიანოვკა (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი): 1960-1961 წლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის კახეთის ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი) გათხარა იალოილუთეფეს ტიპის კერამიკის შემცველი ორი ორმოსამარხი სარიტუალო ქვევრებით. მასალები გამოქვეყნებულია [11].²

ამავე ტერიტორიიდან თელავის მუზეუმში შესულია ერთი სამფეხა ჯამი (ინვ. №668) [21: 45].

XX ს-ის 70-იანი წლების დასასრულს კახეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებს მიუღიათ ინფორმაცია სოფლის მიდამოებში სამაროვნის დაზიანების შესახებ, რომლის ინვენტარი ადგილობრივ

* დასასრული. დასაწყისი „მაცნე“, ისტორიის სერია, №1, 2013.

1. წინამდებარე ნაშრომში არ ჩაეთვალით საჭიროდ ყოველი კომპლექსისა თუ არტეფაქტის დანერვილებით აღწერა, რადგან განსახილველი მასალის უმეტესობა გამოქვეყნებულია. ამიტომ დავკმაყოფილებით მათი ზოგადი დახასიათებითა და სათანადო ლიტერატურის მითითებით. დანერვილებით აღწერეთ მხოლოდ იმ მასალებს, რომლებიც პირველად ქვეყნდება და ამასთანავე, მათი მიკუთვნება განსახილველი კულტურისათვის შესაძლოა სადაო იყოს.

2. ეს ინფორმაცია თავაზიანად გაგვიზიარა კახეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა კ. ფიცხელაურმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ. გულისტკივილით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში ამ სამაროვნის განადგურებამ სისტემატორი ხასიათი მიიღო და დღესაც გრძელდება.

მოსახლეობას დაუტაცია. შესაძლებელი გახდა დატაცებული ინვენტარის (ძირითადად კერამიკული ნაწარმი) ნაწილის შეგროვება და გადაეცა ლაგოდების მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ეს მასალები გამოუქვეყნებელია.

სოფელი საქობო (ლაგოდების მუნიციპალიტეტი): 1972 წელს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ექსპედიციის (ხელმძღ. ლ. ჭილაშვილი) საქობოს რაზმმა (ხელმძღ. გ. რჩულიშვილი) სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით გათხარა რამოდენიმე ორმოსამარხი სარიტუალო ქვევრით. გამოთხრელის ცნობით³, სამარხული ინვენტარი წარმოდგენილი ყოფილა იალილილუთეფეს ტიპის კერამიკითა და ერთი ბრინჯაოს ბალთით. მასალა გამოუქვეყნებელია, დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმში.

სოფელი თელა (ლაგოდების მუნიციპალიტეტი): 2012 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ექსპედიციამ, წინამდებარე სტატიის ავტორის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური დაზვერვები აწარმოა აღნიშნული სოფლის მიდამოებში, მდინარე ბაისუბნის ხევის ნაპირებზე. მდინარის ნაპირას კალაპოტში გაითხარა რამდენიმე სარიტუალო ქვევრი. მათთან დაკავშირებული სამარხები კი განადგურებული აღმოჩნდა (მდინარეს ნაუღია). ადგილობრივ მცხოვრებს გ. გოგოლაძეს ქვევრებთან უპოვია სამფეხა ლანგარი (ტაბ. IV,1) და მრგვალირა ხელადა, რომელმაც ნივთები ჩვენ გადმოგვცა. ანალოგიური სამფეხები მრავლადაა ცნობილი იალილილუთეფეს ტიპის ძეგლებიდან [19: 31, სურ.26; 37, ტაბ. XIV, სურ. 13,15] და მისი მიკუთვნება აღნიშნული ტიპის კერამიკისადმი ეჭვს არ იწვევს.

ერთი ცალყურა სასმისი, იალილილუთეფეს ტიპისა (ტაბ. V,4) დაცულია გრემის მუზეუმში, რომელიც ამ უკანასკნელისთვის გადაუცია ლაგოდების მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. მისი აღმოჩენის დრო და ადგილი უცნობია.

ელდარი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი): ამ ტერიტორიიდან სილნალის მუზეუმში შესულია მალაღფეხიანი ლანგრები (ე.წ. „ბარძიმი“), იალილილუთეფეს ტიპისა [21: 46].

არხილოსკალო (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი): ეს სამაროვანი საყოველთაოდაა ცნობილი [19], მასზე ზემოთაც ვრცლად გვქონდა მსჯელობა და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

მილარის ველი: სილნალის მუზეუმის ექსპოზიციაში გამოფენილია ერთი ნისკარტიანი ხელადა და ერთი სამფეხა ჯამი (ტაბ. V, 1-2). ნივთები მუზეუმში შესულა 1975 წელს. აღმოჩენის ზუსტი ადგილი და პირობები უცნობია.

ქვემო მალარო (სილნალის მუნიციპალიტეტი): სილნალის მუზეუმში დაცულია სოფლის ტერიტორიაზე შემთხვევით მოპოვებული მილნისკარტიანი დოქი და სამფეხა ჯამი. ეს მასალები გამოქვეყნებულია [21, ტაბ. XVIII 1,3].

სოფელი ანაგა (სილნალის მუნიციპალიტეტი): XX ს-ის 30-იან წლებში საქართველოს მუზეუმში (ამჟამად ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმი) შესულა სოფლის მიდამოებში სხვადასხვა დროსა და ადგილას მოპოვებული თიხის ჭურჭელი. მათ შორის აღსანიშნავია მილნისკარტიანი დოქი და გრძელნისკარტიანი, საწურიანი ხელადა [19: 35-36]. ჭურჭლის ეს ტიპები ფართოდაა ცნობილი იალილილუთეფეს ტიპის ძეგლებიდან [37: ტაბ. XXIII, სურ. 1-4].

3. ცნობა მოგვანოდა გ. რჩულიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.



სოფელი ჩუმლაყი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი): 1913 წელს უკრაინის რკინიგზისათვის მიწის სამუშაოების დროს, 118-ე კილომეტრზე შემთხვევით უპოვიათ სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭელი, მათ შორის ერთი სამფეხა ლანგარი და ბრტყელძირა ჯამი, რომელსაც ყური ჰორიზონტალურ სიბრტყეზე აქვს მიძერწილი [19: 29-30]. ეს ჯამი ძალიან ახლოს დგას იალოილუთეფეს სამაროვნიდან ცნობილ ჭურჭლებთან [37: ტაბ. XII, სურ. 2; XIV, 4, 7, 9; XVI, 4].

გურჯაანი: 1933 წელს ქალაქში (ყოფილი ლენინის ქუჩაზე) მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოუჩენიათ სამარხები. ინვენტარი წარმოდგენილი ყოფილა ბრინჯაოს სამაჯურებით, სარდიონის მძივებითა და კერამიკით. მათ შორის ყოფილა ხუთი ცალი სამფეხა ლანგარი, იალოილუთეფეს ტიპისა. ეს მასალები მოხსენიებული აქვს გ. ნიორაძეს [19: 37-38].

1958 წელს გურჯაანიდან თელავის მუზეუმში შესულია მინიატურული სამფეხა ჯამი (ინვ. № 4197), რომელსაც ფეხები მოტეხილი აქვს (ტაბ. V, 5). ნითელკეციანი მომრგვალებული ბაკოთი და ძირისაკენ სუსტად დაქანებული კალთებით. ყური მიძერწილია პირსა და ძირზე. მხარი და ყური შემკულია ნიწვოვანი ორნამენტით. გარდა ფორმისა, ჯამის ორნამენტული შემკობაც იალოილუთეფეს წრის კერამიკისაკენ მიგვითითებს.

2009 წელს გურჯაანში, კურორტ ახტალის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოაჩინეს რამოდენიმე სამარხი. სამარხებში დადასტურდა იალოილუთეფეს ტიპის სამფეხა ლანგრები. მასალა გამოუქვეყნებელია, დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის გურჯაანის ფონდსაცავში.⁴

სოფელი ვაჩნაძიანი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი): 1969 წელს კახეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. კ. ფიცხელაური) რაზმმა (ხე-ლი ი. გაგოშიძე) სოფლიდან აღმოსავლეთით, 2-3 კმ-ის დაშორებით ადგილ „შალოანთ ახოში“ გათხარა სამაროვანი, სადაც ადგილობრივ კერამიკასთან ერთად წარმოდგენილი იყო იალოილუთეფეს ტიპის ჭურჭელიც. ეს მასალა გამოუქვეყნებელია, თუმცა მოხსენიებული აქვს პროფ. ი. გაგოშიძეს [ნ: 29]. სამარხეული ინვენტარი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის გურჯაანის ფონდსაცავში.

ვაჩნაძიანში მოქმედ „გიორგი მაისურაძის სახელობის სოფლის ისტორიის მუზეუმში“ დაცულია ერთი სამფეხა ლანგარი (ტაბ. V, 9). იგი სოფლის შემოგარენში შემთხვევითაა მოპოვებული, თუმცა მისი აღმოჩენის ზუსტი ადგილი და დრო უცნობია.

გარდა აღნიშნული მასალებისა, ჩვენთვის ცნობილია თელავის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა პუნქტიდან თელავის მუზეუმში შემთხვევითი მოპოვებების სახით შესული ჭურჭელი. მათი ერთი ნაწილი მოხსენიებული აქვს რ. რამიშვილს, ნაწილი კი პირველად ქვეყნდება. საჭიროდ ვთვლით ამ მასალის დანვრილებით აღწერა-განხილვას, რადგან მათი მიკუთვნება იალოილუთეფეს კულტურისათვის, შესაძლოა სადაო იყოს.

4. დაზიანებული სამარხებიდან მასალა აკრიფა და ფონდსაცავს გადასცა გურჯაანის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების თანამშრომელმა თ. მარკოზაშვილმა.



სოფელ ბუშეტიდან თელავის მუზეუმში 1955 წელს შესულია (ინვ. №30103, ტაბ. V, 3) სამფეხა ჯამი. იგი არის ვარდისფერკეციანი, მოტეხილი აქვს პირ-კალთის მესამედი, აქვს მომრგვალებული, შიგნით გადაზნექილი ბაკო და ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული კალთები. დგას დაბალ, ზოომორფულ ფეხებზე, რომლებიც კატიხა თუ ვეფხვის თათებს გამოსახავს. შიდა პირი შემკულია ამოკანრული კონცენტრული წრეებით, რომელსაც ზედა ნაწილში ერთ რიგად მოყვება ჭდეული ორნამენტი.

აღწერილი ჯამის ორნამენტი მოგვგავონებს იალოილუთეფეს ტიპის კერამიკის ორნამენტს (შიდა პირზე ამოკანრული კონცენტრული წრეები). თუმცა, აღნიშნული კულტურის ძეგლების განათხარში ფორმით მასთან მეტნაკლებად ახლოს მდგომ ეგზემპლარს ვერ მივაკვლიეთ.

ამავე ტერიტორიებიდან თელავის მუზეუმში შესულია ერთი მილიანი ჭინჭილა⁵ (ინვ. № 690). [21: 44].

თელავის მუზეუმში 2006 წელს შესულია (ინვ. № 11070, ტაბ. V, 6) ქალაქში შემთხვევით მოპოვებული სასმისი. იგი არის შავკეციანი, აქვს ტალღოვანი (გოფირებული) პირი, ძაბრისებური ტანი, გამოყვანილი ქუსლი ბრტყელი ძირით. პირსა და მხარზე აქვს მცირე შეერილები. ეს ჭურჭელი ფორმით იალოილუთეფეს ძაბრისებურ ტანიან ტოლჩებთან და სასმისებთან ამჭლავნებს მსგავსებას. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ტალღოვანი პირიც. თუმცა, მისი უშუალო ანალოგია ჩვენთვის ცნობილი არ არის.

1937 წელს სოფელ გულგულის ტერიტორიიდან თელავის მუზეუმში შესულია ორი ჭურჭელი [21: 42]. ერთი მათგანი სამფეხა ლანგარია (ინვ. №3007, ტაბ. V, 7). იგი არის წითელკეციანი, აქვს მომრგვალებული ბაკო და ძირისაკენ თანაბრად დაქანებული კალთები. დგას დაბალ, ოვალურკვეთიან ფეხებზე.

მეორე კი ოთხფეხა ჭურჭელია (ინვ. №.693, ტაბ. V, 8).⁶ ეს არის ლეგამონაცრისფროდ გამომწვარი, ოვალურპირიანი ღრმა ჯამი, რომელიც ძირზე სიმეტრიულად განლაგებულ ოთხ დაბალ, მრგვალკვეთიან ფეხზე დგას. ამ ჭურჭლის უშუალო ანალოგები უცნობია. თუმცა, იგი გარკვეულ სიახლოვეს ამჭლავნებს იალოილუთეფეს სამაროვანზე მოპოვებულ ერთ ოთხფეხა ჯამთან, რომელსაც ასევე ოვალური პირი და მრგვალკვეთიანი, მოკლე ფეხები აქვს [37: ტაბ. XIV, სურ. 17-18]. მიუხედავად ამისა, მათ სრულ იგივეობაზე მსჯელობა გაგვიჭირდება (შეადარე: ტაბ. IV, 3 – ტაბ. V, 8).

მიუხედავად იმისა, რომ აღწერილი ჭურჭლები ძირითად ხაზებში თანხვედრიან იალოილუთეფეს კერამიკის თავისებურებებს, მათი ცალსახად მიკუთვნება ამ კულტურისადმი არამართებულად მიგვაჩნია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისინი შემთხვევითი მონაპოვრებია და მათი შემცველი არქეოლოგიური კომპლექსის ხასიათი არ ვიცით. მეორეც, მხოლოდ სამფეხა (თუნდაც ოთხ-

5. ჩვენ საგანგებოდ გადავამოწმეთ თელავის მუზეუმის არქეოლოგიის ფონდი, თუმცა აღნიშნულ ჭინჭილას ვერ მივაკვლიეთ.

6. ეს ჭურჭელი მოხსენიებული აქვს პროფ. რ. რამიშვილს [21: 44], თუმცა შეცდომით მისი აღმოჩენის ადგილად სოფ. ბუშეტი აქვს დასახლებული. ჩვენ საგანგებოდ გადავამოწმეთ თელავის მუზეუმის საინვენტარო დათვრები და აღმოჩნდა, რომ იგი გულგულიდან მომდინარეობს.



ფეხა) ჯამები რომ არ განსაზღვრავს იალოილუთეფეს კულტურას, სემისი, ვფიქრობთ, თვალნათლივ იყო ნაჩვენები. და ბოლოს; მათი უშუალო ანალოგიები სპეციალურ ლიტერატურაში არ არის ცნობილი. ასე რომ, ისინი ისევე შეიძლება წარმოდგენდნენ, როგორც იალოილუთეფეს კულტურის, ასევე სხვა, ნებისმიერი არქეოლოგიური პერიოდისა და კულტურული წრის არტეფაქტებს. საერთოდაც, ამა თუ იმ შემთხვევითი მონაპოვრის მიკუთვნება იალოილუთეფეს კულტურისადმი, თუ მისი უშუალო ანალოგია არ არის ცნობილი საკვლევი კულტურის რომელიმე გათხრილ-დოკუმენტირებული ძეგლიდან, არამართებულად მიგვაჩნია. ანტიკური ალბანეთისა და ქართლის მატერიალური კულტურა, მრავალ ასპექტში ამჟღავნებს თანხვედრას [36:131]. აქედან გამომდინარე, თუ არ ვიცით ძეგლის ზოგადი კულტურული კუთვნილება (ანუ არ გვაქვს გარკვეული არქეოლოგიური კონტექსტი), ამა თუ იმ ნივთის ფორმალურმა მსგავსებამ ყოველთვის შეიძლება შეიყვანოს შეცდომაში მკვლევარი. ვფიქრობთ, აღნიშნულის საუკეთესო ილუსტრაციაა რ. რამიშვილის ზემოთ განხილული კონცეფცია.

წარმოდგენილი მასალები ცხადჰყოფს, რომ განსახილველი კულტურა არანაირად არ ვრცელდება თბილის-სამთავრომდე (როგორც პროფ. გ. ნიორაძე ფიქრობდა) და მით უმეტეს შიდა ქართლის ცენტრალურ რაიონებამდე (რ. რამიშვილი). წარმოდგენილი რუკის მიხედვით (იხ. ტაბ. I) ცხადია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ამ კულტურის გავრცელების ძირითადი არეალია ალაზნის აუზის ქვემო და შუა წელი და იგი არ ვრცელდება ივრისა და ალაზნის წყალგამყოფი ქედის (ცივ-გომბორის ქედი, რომელიც სიღნაღის სამხრეთით დაბლდება და ივრის ზეგანში გადადის) დასავლეთით. დღემდე ცნობილ იმ ძეგლთაგან, რომელთა მიკუთვნება იალოილუთეფეს კულტურისადმი ეჭვს არ იწვევს, უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი პუნქტია ელდარი, ჩრდილო-დასავლეთი კი ვაჩნაძიანი. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ძეგლების სიმჭიდროვეს, ისინი შედარებით კომპაქტურადაა განლაგებული მდ. ალაზნის ქვემო და შუა დინების აღმოსავლეთით (დღევანდელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე). ალაზნის დასავლეთით, მის ქვემო წელზე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ძეგლად გვევლინება არხილოსკალოს სამაროვანი. მისგან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პუნქტებიდან კი შემთხვევითი მონაპოვრების სახით თითოთოროლა ჭურჭელი თუ არის წარმოდგენილი (იხ. ტაბ. II-III).

ზემოთ მითითებული გარემოებები ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ ეს კულტურა (თუ მისი მატარებელი ეთნიკური ელემენტი) იორ-ალაზნის ორმდინარეთში ვრცელდება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ და მისი გავრცელების ძირითადი მიმართულებაა ალაზნის ხეობა, მისი ქვემო დინებიდან აღმა აყოლებით. ამის მატერიალური დასაბუთებაა ის ფაქტი, რომ ალაზნის ქვემო დინების დასავლეთ სანაპიროზე იალოილუთეფეს კულტურის ტიპური ძეგლი არხილოსკალოს სამაროვანია დადასტურებული, ხოლო იმავე ალაზნის დასავლეთ სანაპიროს შუა წელზე ეს კულტურა მხოლოდ თითოთოროლა ჭურჭლით თუ არის წარმოდგენილი (ჩუმლაყი, გურჯაანი, ვაჩნაძიანი). ამასთანავე, ალაზნის აღმოსავლეთით ამ კულტურის ძეგლები გაცილებით კომ-

პაქტურადაა განლაგებული, ვიდრე მის დასავლეთ მხარეზე. ეს გარემოებაც, ვფიქრობთ ილილიუთეფეს კულტურის აღმოსავლურ წარმომავლობაზე უნდა მიუთითედეს ანუ იგი ალაზნის ქვემო დინების აღმოსავლეთ მხრიდან („გალ-მახრიდან“) იჭრება იორ-ალაზნის ორმდინარეთში და ალაზნის შუა დინების დასავლეთ მხარემდე მხოლოდ მისი ელემენტები აღწევს.

ცალკე უნდა შევხვით ჩვენთვის საინტერესო რეგიონში დადასტურებული საკვლევე კულტურის ძეგლების ხასიათსაც. კერძოდ: იორ-ალაზნის ორმდინარეთში ისინი მხოლოდ სამარხებითა თუ შემთხვევითი მონაპოვრებით შემოიფარგლება და ჯერჯერობით არსად ჩანს ამ კულტურის მატარებელი ხალხის ნამოსახლარები. ეს გარემოება, ვფიქრობთ, მისი ავტოქტონურობის მტკიცებისათვის სასარგებლო არგუმენტად არ გამოდგება. გარდა ამისა, შემთხვევითი მონაპოვრები ხშირ შემთხვევაში თითო ცალი ჭურჭლით თუ არის წარმოდგენილი (იხ. ზემოთ). აქ, ვფიქრობთ, რთულია ვილაპარაკოთ ილილიუთეფეს კულტურის ტიპურ ძეგლებზე, რადგან ამა თუ იმ პუნქტში ცალკეული არტეფაქტის დადასტურება ჯერ კიდევ არ ნიშნავს აქ საკვლევე კულტურის ძეგლის არსებობას, თითო ეგზემპლარი ამ პუნქტებში ალაზნის გაღმა მხრიდან ნებისმიერი გზით შეიძლება მოხვედრილიყო.

იორ-ალაზნის ორმდინარეთში ილილიუთეფეს კულტურის გავრცელების მიმართულება, ვფიქრობთ ცხადად გვიჩვენებს იმას, თუ საიდან უნდა შემოჭრილიყო იგი აღნიშნულ რეგიონში. ესა არის ძველი ალბანეთის ტერიტორია, რომელსაც ნელთალრიცხვათა მიჯნაზე იბერიისაგან მდ. ალაზნის ქვემო დინება ყოფდა [25: XI,3.5; 28:14; 15: 169; 16: 37]. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ ილილიუთეფეს კულტურის ტიპური ძეგლი – არხილოსკალოს სამაროვანი სწორედ იბერია-ალბანეთის სასაზღვრო ზონაში, ალაზნის ქვემო ნელზე მდებარეობს, იმავე ალაზნის შუა დინებამდე ამ კულტურის მხოლოდ ელემენტები აღწევს, ხოლო ქვეყნის (იბერიის) შიდა რაიონებში იგი აღარ ვრცელდება.

საქართველოს საზღვრებში ილილიუთეფეს კულტურის გავრცელების არეალი, ფაქტობრივად ჰერეთის აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავს (ალაზნის ველის შუა და ქვემო ნელი). ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, იორ-ალაზნის შესართავიდან გულგულამდე (თურდოსხევამდე) მდებარე ტერიტორია ხომ ჰეროსის ნილია [30: 9; 9: 49]. ამ გარემოების გამო, ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგა ხანს მუსირებდა აზრი მისი ჰერებისათვის მიკუთვნების შესახებ. მან სათანადო ასახვა ჰპოვა მთელ რიგ სამეცნიერო ნაშრომებსა თუ დამხმარე სახელმძღვანელოებში [20: 242; 1: 270-273]. მართალია, დღეისათვის ფაქტიურად ეჭვმიუტანლად შეიძლება ჩაითვალოს ილილიუთეფეს კულტურის ალბანური წარმომავლობა, მაგრამ იმისათვის, რომ არ დარჩეს დაეჭვების საფუძველი, მიმოვიხილავთ ამ კულტურის ეთნიკური ატრიბუციის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს.

პირველად ამ საკითხს ა. იესენი შეეხო და საკვლევე კულტურა იმთავითვე ალბანურ ეთნიკურ ელემენტს დაუკავშირა [35: 39]. მას შემდეგ ალბანეთის არქეოლოგიაში მომუშავე არც ერთ მკვლევარს ეჭვქვეშ აღარ დაუყ-

ენებია იალოილუთეფეს კულტურის ა. იესენისეული ეთნიკური ატრიბუცია. მხოლოდ კ. ტრევერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს კულტურა არ არის საერთო ალბანური, არამედ ალბანურ გავრთიანებაში შემავალი ერთ-ერთი მსხვილი ტომის – უდების მატერიალური კულტურაა [49: 66,176]. ამ მოსაზრების მიმართ აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში XX ს-ის 80-იანი წლებიდან კრიტიკული დამოკიდებულება გაჩნდა [Халилов Дж., 1985:203]. თუმცა, იმისგან დამოუკიდებლად, მართალია თუ არა კ. ტრევერი, არ იცვლება საკითხის ძირითადი არსი, რადგან, საყოველთაოდ ცნობილია, რომ უდები სწორედაც კავკასიის ალბანეთის ავტოქტონური მოსახლეობაა. ამდენად, მათი კულტურა – ალბანური კულტურაა.

მას შემდეგ, რაც იორ-ალაზნის ორმდინარეთში აღმოჩნდა იალოილუთეფეს ტიპის ძეგლები, ქართველ სამეცნიერო წრეებში გაჩნდა ტენდენცია – დაეკავშირებიათ იგი ჰერეთის ავტოქტონური მოსახლეობისათვის.⁷ ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ეს მოსაზრება გამოთქვა, იყო სტეფანე მენტეშაშვილი. 1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში იგი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ იალოილუთეფეს კულტურის მატარებელი ხალხი ძველი კამბეჩოვანელები იყვნენ [13: 18-19].

ამ დროიდან მოყოლებული, კარგა ხნის მანძილზე, ყველა ქართველი მეცნიერი, ვინც კი შეხებია ამ კულტურას, ცდილობდა მის დაკავშირებას ჰერებთან. აკად. სიმონ ჯანაშია მიუთითებდა, რომ „ჰერებს უნდა მიეპყროს ყურადღება მაშინაც, როცა საკითხი ჩნდება, თუ ვინ იყო მატარებელი ამ კულტურისა, რომელსაც ატყამად ალაზან – იალოილუთეფეს კულტურა უნდა ეწოდოს“-ო [31: 101]. სწორედ დიდი მეცნიერის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კულტურის აღსანიშნავად ცნება – „ალაზან-იალოილუთეფეს“ შემოტანა.

კიდევ უფრო შორს წავიდა პროფ. რამინ რამიშვილი. მისი აზრით, ამ კულტურის მომცველ ტერიტორიაზე მოსახლე ძირითადი ეთნიკური მასა იყო ჰერები და აქედან გამომდინარე, მას ჰერული კულტურა უნდა ეწოდოს [21: 40-41]. ვფიქრობთ, პატივცემული მეცნიერი ცდება, როდესაც აცხადებს, რომ ამ კულტურის მომცველ ტერიტორიაზე მოსახლე ძირითადი ეთნიკური მასა იყო ჰერები. დღეისათვის არ არსებობს არანაირი დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ ძველი ალბანეთის მთელ რიგ რაიონებში (ჯერიან-ქეჩმაზი, ჩუხურიორტა, მილისა და მულანის ველები), სადაც ეს კულტურა დასტურდება, ოდესღაც ჰერები ცხოვრობდნენ. აქედან გამომდინარე (და იმიტომაც, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ჰერეთის ტერიტორიაზე იგი შემოტანილია) საკვლევი კულტურის ჰერებთან დაკავშირება არამართებულად მიგვაჩნია.

იალოილუთეფეს კულტურის გენეზისზე და მის მატარებელ ხალხთა ეთნიკურ ვინაობაზე საინტერესო (და შესაძლოა ითქვას ორიგინალურიც) მო-

7. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ამ კულტურის პირველმა ქართველმა მკვლევარმა – პროფ. გ. ნიორაძემ ეს საკითხი ღიად დატოვა. იხ. ნიორაძე გ., 1940:95.

საზრება შემოგვთავაზა აკად. ანდრია აფაქიძემ. მისი აზრით, იგი ჰერებს უნდა დავუკავშიროთ და მივიჩნიოთ ძვ.წ. V-I სს-ის ჰერულ კულტურად, რომლის შექმნაში ალბანელებსაც შეუტანიათ თავისი წვლილი და იბერებსაც (ავტორის აზრით, ამ უკანასკნელთა როლი შედარებით მოკრძალებულია), მაგრამ წამყვანი ადგილი ჰერებს ეკავათ, ხოლო ის ფაქტი, რომ ამ კულტურის ძეგლები აღმოჩენილია ჰერთა განსახლების არეალს გარეთ, გაცილებით აღმოსავლეთით, მეცნიერის აზრით, უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ იბერთა ექსპანსიის შედეგად ჰერების გარკვეულმა ჯგუფებმა გადაინაცვლეს აღმოსავლეთისაკენ და თან წაიღეს თავიანთი კულტურა [1: 272-273].

აკად. ა. აფაქიძის ჰიპოთეზაში იბერების ჩართვა უთუოდ პროფ. რ. რამიშვილის ნაშრომის გავლენის შედეგია, რომლის მიხედვით მათ საცხოვრებელ ტერიტორიებზე (შიდა ქართლი) ამ კულტურის „ძველი პლასტები“ ჩანს. ზემოთ ვფიქრობთ ნათლად იყო ნაჩვენები, რომ იბერთა (ქართვების) საცხოვრისში არანაირი „იალოილუთეფეს ძველი პლასტები“ არ ჩანს, აქედან გამომდინარე ძნელია პატივცემული მეცნიერის ჰიპოთეზის ეს პუნქტი გავიზიაროთ. რაც შეეხება ჰერების მიერ ამ კულტურის აღმოსავლეთით (ალბანეთის ტერიტორიაზე) გატანას, ვფიქრობთ ავტორს ამგვარი ჰიპოთეზის წამოყენებისას აუცილებლად უნდა მიექცია ყურადღება პროფ. გ. ნიორაძის დებულებისათვის, რომლის მიხედვითაც ამ კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა ალბანეთის სამხრეთიდან – მილისა და მულანის ველების გზით ვრცელდება ამიერკავკასიაში [19: 94-95]. აქედან გამომდინარე, ჰერების მიერ ამ კულტურის აღმოსავლეთით გატანის დასასაბუთებლად, აკად. ა. აფაქიძეს უნდა ეცადა მანც პროფ. გ. ნიორაძის მოსაზრების უარყოფა, იმისგან დამოუკიდებლად, სწორია თუ არა ეს უკანასკნელი.

ქართულ არქეოლოგიურ ისტორიოგრაფიაში იალოილუთეფეს კულტურის ჰერებისადმი მიკუთვნება უმთავრესად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ამ კულტურის ძეგლები დასტურდება ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე. თუმცა, XX ს-ის 60-70-იანი წლებიდან იორ-ალაზნის ორმდინარეთში გამოვლინდა მასალები, რომელთა ფონზეც შესაძლებელი გახდა სხვაგვარად დასმულიყო „ჰერული კულტურის“ პრობლემა. ეს არის თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკული ნაწარმი, რომელიც სწორედაც ჰერეთისათვის არის დამახასიათებელი და იგი არ დასტურდება იალოილუთეფეს კულტურის გავრცელების ძირითად რაიონში – ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე [46]. აქედან გამომდინარე, კ. ფიცხელაური აყენებს საკითხს იალოილუთეფეს კულტურის მიმართ ტერმინ „ჰერული კულტურის“ ხმარების არამართებულობაზე. მისი სიტყვით: „სწორედ ეს უკანასკნელი (იორ-ალაზნის ორმდინარეთის ტრადიციული კერამიკა – გლ.) უნდა მივიჩნიოთ ჰერთა კუთვნილად და არა იალოილუთეფეს კულტურა, რომელიც ამ ტერიტორიაზე აშკარად შემოტანილია“ [29: 206].

ამის შემდგომ იორ-ალაზნის ორმდინარეთში გამოვლენილი იალოილუთეფეს ტიპის ძეგლების მიკუთვნება ჰერებისადმი თითქოსდა დღის წესრიგიდან უნდა მოხსნილიყო, მაგრამ ზოგიერთმა მკვლევარმა პრობლემის გააზ-

რების სხვა (ჩვენი აზრით მცდარი) მიმართულება აირჩია. ვგულისხმობთ ქ-ნ ვერა თოლორდავას, რომელმაც გამოაქვეყნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციის მიერ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ ულიანოვკაში გათხრილი იალოილუთეფეს ტიპის სამარხები [11]. მკვლევარი დასაშვებად მიიჩნევს კ. ფიცხელაურის დებულების იმ პუნქტს, რომ იალოილუთეფეს კულტურა, შესაძლოა, იორ-ალაზნის ორმდინარეთში მართლაც შემოტანილია, მაგრამ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სადაც კი თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკა აღმოჩენილი, იქვე იალოილუთეფეს კულტურაც დასტურდება [11: 88]. აქედან გამომდინარე, ავტორი საკითხს აყენებს მოცემულ რეგიონში იალოილუთეფეს კულტურის არა მექანიკურ შემოტანაზე, არამედ მისი მატარებელი ეთნიკური ელემენტის შელწევაზე ქვეყნის შიგნით, ორი კულტურის (იალოილუთეფესა და ადგილობრივი) შერწყმაზე, რამაც საბოლოო ფაზში გარკვეული კვალი დაამჩნია ადგილობრივ მატერიალურ კულტურას და დიდი როლი ითამაშა „ჭერული კულტურის“ ჩამოყალიბებაში [11: 88]. ავტორის აზრით, იალოილუთეფეს კულტურა იმდენად ფართო არეალზე გავრცელებული, რომ მისი ეთნიკური ატრიბუცია შეუძლებელია ანდა უკიდურეს შემთხვევაში თვით ამ კულტურის შიგნით უნდა გამოიყოს ლოკალური ვარიანტები, რომლის მიკუთვნება შესაძლებელი გახდება ამა თუ იმ ეთნოსისათვის.

მითითებულ ნაშრომში ავტორი არ მიდის კატეგორიულ დასკვნამდე, მაგრამ სრულიად გარკვევით მიაჩნებს იმაზე, რომ იორ-ალაზნის ორმდინარეთში გამოვლენილი იალოილუთეფეს ტიპის ძეგლები, შესაძლოა, ამ კულტურის ერთ ლოკალურ ვარიანტად იქნას განხილული და იგი ისევ და ისევ ჰერებს დაუკავშირდეს.

მკვლევარი სავსებით მართალია იმაში, რომ ჰერეთის ტერიტორიაზე იალოილუთეფეს ტიპის მასალებთან ერთად, ხშირად ერთ კომპლექსში დასტურდება თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკა. მაგრამ ამ ფაქტის განხილვა ორი კულტურის შერწყმად, რომლის საფუძველზეც უნდა წარმოქმნილიყო „ჭერული კულტურა“, არამართებულად მიგვაჩნია და აი რატომ: იორ-ალაზნის ორმდინარეთში არ მოიძებნება ახ.წ. I საუკუნის შემდგომი პერიოდის ძეგლი ან არტეფაქტი, რომელსაც რაიმე ნიშანი ჰქონდეს იალოილუთეფეს კულტურისა [6: 28].⁸ ორი კულტურის შერწყმა შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ მიგვეჩნა სარწმუნოთ, თუკი მომდევნო პერიოდის იორ-ალაზნის ორმდინარეთის მატერიალურ კულტურაში რაიმე ფორმით გამოვლინდებოდა იალოილუთეფეს კულტურის ნიშანი. თუმცა, როგორც აღინიშნა, ამ რიგის ფაქტები ჯერჯერობით რეგისტრირებული არ არის. პირიქით, ყოლოთოს ადრემუსასაუკუნეთა ხანის სამარხებში დადასტურებული ჭურჭელი თეთრი ანგობის ზოლებით არის მოხატული, რაც ადგილობრივი, ელინისტური ხანის კერამიკის სანარმოო ტრადიციების გაგრძელებად უნდა იქნეს განხი-

8. ასეთი ფაქტები ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე გვაქვს, სადაც ახ.წ. II-III სს-ის კომპლექსებში დასტურდება ჭურჭლები, რომელსაც პროტოტიპები აშკარად იალოილუთეფეს კერამიკაში მოეძებნებათ [39: 209].

ლული, და ამავე დროს, გამორიცხავს იალოილუთეფეს კერამიკის სანარმოო ტრადიციების გავლენას ახალი ნელთალრიცხვის პირველი ნახევრის ადგილობრივ მატერიალურ კულტურაზე.⁹

რაც შეეხება ავტორის მტკიცებას, რომ სადაც კი თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკა აღმოჩენილი, იქვე იალოილუთეფეს კულტურაც დასტურდება და ამ უკანასკნელს დომინირებული მდგომარეობა უკავია [11: 88], უნდა აღინიშნოს, რომ იორ-ალაზნის ორმდინარეთის მთელ რიგ ძეგლებზე, ელინისტური ხანის კულტურულ ფენებში თუ სამარხებში ნამყვანი ადგილი სწორედაც თეთრი ანგობის ზოლებით მოხატულ კერამიკას უკავია და ხშირ შემთხვევაში აქ საერთოდ არ დასტურდება იალოილუთეფეს ტიპის კერამიკა [6: 29]. ის ფაქტი, რომ იორ-ალაზნის ორმდინარეთში შესწავლილ იალოილუთეფეს ტიპის ძეგლებზე თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკა დასტურდება, სხვაგვარადაც შეიძლება იქნას გააზრებული. ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ იმ ძეგლებზე, სადაც იორ-ალაზნის ორმდინარეთის ტრადიციული კერამიკა წარმოდგენილი და საერთოდ არ გვხვდება იალოილუთეფეს ტიპის მასალა, მეორე მხრივ კი ის, რომ ამავე რეგიონში გათხრილ იალოილუთეფეს კულტურის ძეგლებზე დასტურდება ადგილობრივი კერამიკა, შესაძლოა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ამ კულტურის მატარებელი ეთნიკური ელემენტი ვერ ახერხებს ნამყვანი ადგილი დაიკავოს მოცემულ რეგიონში. პირიქით, ის ფაქტი, რომ იალოილუთეფეს ტიპის ძეგლებზე ადგილობრივი კერამიკა დასტურდება, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ იგი (თუ მისი მატარებელი ეთნიკური ელემენტი), თავად განიცდის ადგილობრივ გავლენას. ეს შესაძლოა, ჯერ კიდევ დაუსაბუთებელი ჰიპოთეზაა, რომლის დადასტურება ან უარყოფა შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს. მაგრამ, ზემოთქმულიდან ის კი მაინც ცხადი უნდა იყოს, რომ ადგილობრივი და იალოილუთეფეს კულტურის ტიპიური კერამიკის ერთ კომპლექსში მოპოვების ფაქტები მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ ხანას (ძვ.წ. I – ახ.წ. I სს) იორ-ალაზნის ორმდინარეთში ამ ორი კულტურის თანაარსებობაზე შეიძლება მიუთითებდეს და არა იმაზე, რომ იალოილუთეფეს კულტურამ გავლენა მოახდინა ადგილობრივ კულტურაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, საესებით მართალია¹⁰ პროფ. ი. გაგოშიძე, რომელიც იორ-ალაზნის აუზში იალოილუთეფეს კულტურის გამოჩენას ალბანური ეთნიკური ელემენტის შემოსვლას უკავშირებს, ხოლო ახ.წ. I ს-დან კი ამ რეგიონიდან მის უკვალო გაქრობაზე მიუთითებს [6: 28].

9. მ. სინაურიძე ამ ფაქტს იალოილუთეფეს კერამიკის სანარმოო ტრადიციების გავლენად განიხილავდა [სინაურიძე მ., 1967], თუმცა იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო განსაზღვრული იორ-ალაზნის ორმდინარეთის ტრადიციული კერამიკის თავისებურებანი და თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკა, გ. ნიორაძის ნაშრომზე დაყრდნობით, იალოილუთეფეს კულტურის დამახასიათებელ ელემენტად შიანდათ. იხ. ზემოთ.

10. იმისაგან დამოუკიდებლად რა პირობებში იქნა შემოტანილი იალოილუთეფეს კულტურა იორ-ალაზნის ორმდინარეთში, მისი მატარებელი ეთნიკური ელემენტის მშვიდობიანი ინფილტრაციის გზით თუ ამ რეგიონზე ალბანეთის ეთნოპოლიტიკური ექსპანსიით. – იხ. ქვემოთ.

ვ. თოლორდავა, გამომდინარე იქიდან, რომ ვარაუდობს იალოილუთეფესა და ადგილობრივი კულტურების ერთმანეთთან შერწყმას, დასაშვებად მიიჩნევს თავის დროზე აკად. ს. ჯანაშიას მიერ შემოტანილ ტერმინ „ალაზანი-იალოილუთეფეს“ კულტურას, რადგან „ამ დასახელებას არ გააჩნია ეთნიკური ატრიბუციის პრეტენზია. იგი მხოლოდ მიგვანიშნებს ამ კულტურის გავრცელების არეს დროის გარკვეულ მონაკვეთში“ [11: 87-88]. მკვლევარი საესებით მართალია თავისი დებულების ციტირებულ პუნქტში, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ როდესაც აკად. ს. ჯანაშიამ დააყენა საკითხი საკვლევე კულტურის მიმართ აღნიშნული ტერმინის ხმარებაზე, იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო განსაზღვრული იორ-ალაზნის ორმდინარეთის ადგილობრივი კულტურის თავისებურებანი და ეს ე.წ. „ალაზანი-იალოილუთეფე“ მიიჩნეოდა ადგილობრივ კულტურად.

ალაზნის ველზე შემოჭრილი ალბანური მატერიალური კულტურის აღსანიშნავად ქართულ არქეოლოგიურ ისტორიოგრაფიაში საჭიროა ბოლოს და ბოლოს მიღებულ იქნას ტერმინი, რომელიც უპასუხებს აღნიშნული კულტურის სამარხების ტიპოლოგიას, ეთნიკურ ატრიბუციას და საერთო ხასიათს. მის აღსანიშნავად არ გამოდგება აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში მიღებული „საერთო ალბანური კულტურა“, რადგან ალბანური სამარხული კომპლექსები არ შემოიფარგლება მხოლოდ იალოილუთეფეს სამაროვნის ტიპის ორმოსამარხებით. ამავე დროს იორ-ალაზნის ორმდინარეთში დღემდე არ დადასტურებულა ტიპური ალბანური ინვენტარის შემცველი სხვა ტიპის სამარხები; ასევე არ გამოდგება ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა დროს მიღებული ტერმინები: „ალაზნის ველის კულტურა“, რადგან ამ ტერიტორიაზე იგი შემოტანილია და აქ ადგილობრივი მატერიალური კულტურა არსებობს; „ჰერული კულტურა“, – რადგან ეს დასახელება რეალურად არ შეესაბამება მის ეთნიკურ ატრიბუციას; „ალაზანი-იალოილუთეფე“, – რადგან ეს ტერმინი შეიძლება მიგველო მხოლოდ მაშინ, როდესაც დასაბუთებული იქნებოდა იალოილუთეფეს კულტურის ადგილობრივი წარმომავლობა, უკიდურეს შემთხვევაში ამ უკანასკნელისა და ადგილობრივი კულტურების ერთმანეთთან შერწყმა მაინც, ვინაიდან ამ დასახელების შინაარსი სწორედ ამას გულისხმობს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ვთვლით იორ-ალაზნის ორმდინარეთში დადასტურებული ალბანური მატერიალური კულტურის ძეგლების მიმართ იხმარებოდეს ის დასახელება, როგორც თავდაპირველად იქნა იგი განსაზღვრული ანუ იალოილუთეფეს კულტურა. ამ ტერმინის მიზანშეწონილობას გვიკარნახებს, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ ქართული არქეოლოგიური ისტორიოგრაფიის შედარებით ახალ გამოკვლევებში [6], სადაც კი ამ პრობლემაზეა ყურადღება გამახვილებული, ალაზნის ველზე დადასტურებული ჩვენთვის საინტერესო კულტურის ძეგლები კვლავ „იალოილუთეფედ“ (ან „იალოილუთაფად“) არის მოხსენიებული. მეორე მხრივ კი თვით იალოილუთეფეს სამაროვნის სამარხებისა და იორ-ალაზნის ორმდინარეთში შესწავლილი ალბანური კულტურის სამარხული ძეგლების ტიპოლოგია, რომლებიც იდენტურია.

იალოილუთეფეს კულტურის იორ-ალაზნის ორმდინარეთში შემოტანის დროსა და პირობების შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ი. ვაგოშიძეს. მისი აზრით, ეს კულტურა აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება ძვ.წ. I საუკუნის მეორე მეოთხედიდან, ალბანურ ტომთა ექსპანსიის შედეგად. ამ პერიოდში მომძლავრებული ალბანეთი სარგებლობს ქართლის სამეფოს დროებითი სისუსტით და თავის ძალაუფლებას ავრცელებს იორ-ალაზნის ორმდინარეთის ქვემო წელზე – კამბეჩოვანზე (ბერძნულ-რომაული წყაროების კამბისენე), რომელიც ძვ.წ. III-II სს-დან იბერიის შემადგენლობაშია [6: 28]. ალბანური ტომების ამ ტერიტორიებზე შემოჭრას (რომელთაც თან მოიტანეს იალოილუთეფეს კულტურა), მეცნიერის აზრით, ხელი შეუწყო იმ გარემოებასაც, რომ იორ-ალაზნის ორმდინარეთის ქვემო წელზე ძვ.წ. VI ს-დან დაწყებულმა კლიმატის ცვლილებამ (გაშრობამ) ადგილობრივი მოსახლეობა აიძულა მიეტოვებინა საცხოვრებელი. მათი ადგილი კი იალოილუთეფეს კულტურის მატარებელმა, ალბანურმა ეთნიკურმა ელემენტმა დაიკავა [6: 29]. თუმცა, ეს ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა და აღნიშნული რეგიონი ახ.წ. I ს-დან კვლავ ქართლის შემადგენლობაშია.

პროფ. ი. ვაგოშიძე შესაძლოა მართალია თავისი დებულების იმ პუნქტში, რომ დროის რომელიღაც მონაკვეთში, კამბეჩოვანის ხანმოკლე ეთნო-პოლიტიკური ანექსია მართლაც მოახდინა ალბანეთმა,¹¹ მაგრამ იალოილუთეფეს კულტურის ალაზნის ველზე გაჩენის ამ გარემოებით ახსნა, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართებული. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პოლიტიკური საზღვრის ცვლილება ყოველთვის არ გულისხმობს ეთნიკურ ცვლილებას (და პირიქით). მეორე, პატივცემული მეცნიერი ფიქრობს, რომ როდესაც იალოილუთეფეს კულტურის მატარებელი ეთნიკური ელემენტი კამბეჩოვანში შეიჭრა, იქ ადგილობრივი მოსახლეობა აღარ იყო [6: 28-29]. ამ შემთხვევაში, მაშინ ახსნას საჭიროებს ის ფაქტი, რომ იმავე იორ-ალაზნის ქვემო წელიდან ცნობილ იალოილუთეფეს ტიპის ძეგლებზე (მაგ. არხილოსკალოს სამაროვანზე იხ. [6: 59]) დასტურდება თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკა. ეს უკანასკნელი კი, როგორც უკვე ითქვა, ამ რეგიონის ავტოქტონური მოსახლეობის კუთვნილად მოიაზრება [46]. აქედან ვფიქრობთ, ის დასკვნა უნდა გამომდინარეობდეს, რომ ალაზნის ველზე შემოჭრილ იალოილუთეფეს კულ-

11. ჩვენი აზრით, ესეც შეიძლება საკამათო იყოს, რადგან არც ერთი ანტიკური ხანის წერილობითი წყარო (გარდა კლავდიოს პტოლემეაიოსისა, რომლის უტყუარობაშიც თავად პროფ. ი. ვაგოშიძეს შეაქვს ეჭვი, იხ. [6: 26]) არ შეიცავს მინიშნებას, რომ ოდესმე ალბანეთის პოლიტიკური ძალაუფლება ვრცელდებოდა იორ-ალაზნის შუამდინარეთში. თუ კი კამბეჩოვანი შედიოდა ალბანეთის შემადგენლობაში, ეს უნდა იყოს მისი იორსა და მტკვრის შორის მონაკვეთი, რომელიც ძველი კამბეჩოვანის (კამბისენეს) ერთ ნაწილს წარმოადგენდა [17: 13] და ზოგიერთი წყაროს ჩვენება, რომელიც ძვ.წ. I ს-ის ამბებს ეხება (დონ კასიოსი, პლუტარქე). გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული რეგიონის ეს ნაწილი (იორსა და მტკვრის მარცხენა სანიპიროს შორის მდებარე ტერიტორია) მართლაც ალბანეთის შემადგენლობაში ყოფილა. სამწუხაროდ, სტატისის ფორმატი საშუალებას არ გვაძლევს გამოწვლილოთ განვიხილოთ ყველა წერილობითი წყარო და გამოკვლევა, რომელიც კი ქართლ-ალბანეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს ეხება. თუმცა განზრახული გვაქვს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნათ ამ საკითხს.



ტურის მატარებელ ეთნიკურ ელემენტს აქ ადგილობრივი მოსახლეობა დაბვედრია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერაფრით ავხსნით იმ ფაქტს, რომ აქ იალოლილუთეფეს კულტურის ტიპიურ სამარხულ კომპლექსებში ადგილობრივი კერამიკის ნიმუშები დასტურდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ იალოლილუთეფეს კულტურის ალაზნის ველზე გაჩენა არ უნდა იყოს დაკავშირებული ამ რეგიონში ალბანეთის ეთნოპოლიტიკურ ექსპანსიასთან. შესაძლოა, კლიმატის ცვლილებამ ხელი შეუწყო ამ კულტურის გავრცელებას იორ-ალაზნის ორმდინარეთის ქვემო წელზე, მაგრამ ჩვენი აზრით, მისი მატარებელი ეთნიკური ელემენტი, პოლიტიკური მიზეზებისაგან დამოუკიდებლად, დიფუზიის გზით იჭრება მდინარე ალაზნის ქვემო და შუა წელის დასავლეთით, ერწყმის ადგილობრივ მოსახლეობას და საბოლოო ჯამში ასიმილაციას განიცდის. ამასთან, ეს ეთნიკური ნაკადი იმდენად ნაკლებ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, რომ მათმა კულტურამ ვერ მოახდინა გავლენა ადგილობრივი მატერიალური კულტურის შემდგომ განვითარებაზე. შესაბამისად, მათ შემოქრას არ უნდა გამოეწვია ძირეული ცვლილება იორ-ალაზნის ორმდინარეთის ავტოქტონური მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში.

იალოლილუთეფეს კულტურის გავრცელების არეალი და ეთნიკური ატრიბუცია ამ კულტურის შესწავლის საწყისი ეტაპიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა ქართლ-ალბანეთის ისტორიული და ეთნიკური გეოგრაფიის საკითხებს. კერძოდ, ა. იესენი, ამოდიოდა რა იმ გარემოებიდან, რომ იალოლილუთეფეს ტიპის კერამიკის ნიმუშები ცნობილი იყო ალაზნის ველიდანაც, გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ანტიკურ ხანაში ეს რეგიონი დასახლებული იყო ალბანური მოდგმის ტომებით, აქედან გამომდინარე, მას ძველი ალბანეთის შემადგენელ ნაწილად განიხილავდა [35: 39].

ა. იესენის ეს ჰიპოთეზა გახდა ქვაკუთხედი ალბანეთის ისტორიაში მოღვაწე შემდგომი პერიოდის მკვლევარებისათვის, რომელთაც მცირეოდენი კორექტივების შეტანით გაიზიარეს იგი [49: 66, 176; 52: 354; 33: 24-25]. ეს აზრი მუსირებს ანტიკური ალბანეთის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ უახლეს გამოკვლევებშიც [36: 112]. თუმცა, იორ-ალაზნის ორმდინარეთში დადასტურებული ალბანური (იალოლილუთეფე) კულტურის ძეგლების ხასიათი და ამ რეგიონის ზოგადი არქეოლოგიური სიტუაცია სულ სხვა სურათს გვისახავს. კერძოდ, ამ რეგიონში მთელი ელენისტური ხანის მანძილზე არსად ჩანს ტიპიური ალბანური მატერიალური კულტურა. მხოლოდ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე იჭრება აქ იალოლილუთეფეს კულტურა და, ისიც ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი. რაც ყველაზე მთავარია, აქ, იალოლილუთეფეს კულტურის გამოჩენამდე და მისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში¹² მის გვერდით ამ უკანასკნელისაგან განსხვავებული კულტურა არსებობს. ადგილობრივი, ელენისტური ხანის ტრადიციებს აგრძელებს ახალი წელთაღრიცხვის პირველი ნახევრის მატერიალური კულტურაც [46],

12. სადღეისოდ მიღებული ქრონოლოგიით ძვ.წ. I – ახ.წ. I სს. თუმცა, ესეც შეიძლება დაზუსტებას საჭიროებდეს.

რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს იალილილუთეფეს კულტურასთან. ხოლო, თვით ამ უკანასკნელის ხასიათიც მისი ადგილობრივი წარმომავლობაზე არ მიუთითებს (იხ. ზემოთ). ეს არქეოლოგიური ფაქტები, ვფიქრობთ, სულ არ მეტყველებს იორ-ალაზნის ორმდინარეთის ავტოქტონური მოსახლეობის ალბანელობის სასარგებლოდ.

კვლევის ამჟამინდელ ეტაპზე ჩვენი ძირითადი დასკვნები ამგვარად გამოიყურება: იალილილუთეფეს კულტურა, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად დასტურდება ალაზნის ველის ქვემო და შუა ნელზე. მისი გავრცელების ჩრდილო-დასავლეთი საზღვარია ალაზნისა და ივრის წყალგამყოფი – ცივი-გომბორის ქედის აღმოსავლეთ ფერდობები (დღევანდელი გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორია). აქედან გამომდინარე, ქართულ არქეოლოგიურ ისტორიოგრაფიაში ამ კულტურის გავრცელების დასავლეთ საზღვრად თბილის-მცხეთისა (პროფ. გ. ნიორაძე) და შიდა ქართლის ცენტრალური რაიონების (პროფ. რ. რამიშვილი) განხილვა დღის წესრიგიდან უნდა მოიხსნას.

დასახელებული მკვლევარების მიერ იალილილუთეფეს კულტურის გავრცელების არეალის ამგვარი წარმოდგენა, უმთავრესად განაპირობა ამ კულტურის არასწორმა განსაზღვრამ. კერძოდ, ისეთი არტიფაქტებისა და არქეოლოგიური კომპლექსების მიკუთვნებამ საკვლევი კულტურისადმი, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ ამ უკანასკნელთან და მატერიალური კულტურის სხვა წრეში ექცევიან. აღნიშნული ფაქტობრივი შეცდომების კვალდაკვალ ადგილი ჰქონდა იალილილუთეფეს კულტურის მცდარ ეთნიკურ ატრიბუციასა და შესაბამისად, მის აღსანიშნავად ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ცნების შემოტანას: „ალაზნის ველის კულტურა“, „ალაზანი-იალილილუთეფე“, „პერული კულტურა“. კვლევა გვიჩვენებს, რომ არც ერთი ეს დასახელება რეალურად არ პასუხობს ამ კულტურის ხასიათს. – ალაზნის ველისათვის იგი უცხო, გარედან შემოტანილი არქეოლოგიური კულტურაა, ხოლო მისი შემოქმედია არა იორ-ალაზნის ორმდინარეთის ავტოქტონური მოსახლეობა, არამედ ძველი ალბანეთის ტერიტორიიდან შემოჭრილი ეთნიკური ელემენტი. ყოველივე აქედან გამომდინარე, მის აღსანიშნავად ზემოთ დასახელებული ცნებების ხმარება არამართებულად მიგვაჩნია.

იალილილუთეფეს კულტურის ალაზნის ველზე გავრცელება ძვ.წ. I საუკუნეში ალბანური ეთნიკური ელემენტის ინფილტრაციას უკავშირდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ალბანურ კულტურას აქ თავისთავადი, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებული მატერიალური კულტურა დახვდა, რაც თავის მხრივ გვაფიქრებინებს იალილილუთეფესა და ადგილობრივი კულტურის მატარებელი ხალხის ეთნიკურ სხვაობას. რადგანაც ვთანხმდებით, რომ იალილილუთეფეს კულტურა ალბანური ეთნოსის კუთვნილია, გამოდის, რომ ამ უკანასკნელთა ეთნიკურ ერთობაში ავტოქტონური მოსახლეობის განხილვა არამართებული უნდა იყოს. ამავე მიზეზების გამო ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ მკვლევარებს, ვინც ალაზნის ველზე დადასტურებული იალილილუთეფეს კულტურის ძეგლების მიხედვით მიდის დასკვნამდე, რომ ამ რეგიონის ავ-



ტოქტონური მოსახლეობა ალბანური იყო და მაშასადამე, ალბანეთის ტერიტორიაზე გენლობაში შედიოდა. ამ არქეოლოგიური ფაქტის ასეთი ინტერპრეტაცია შეიძლება დასაშვები ყოფილიყო XX ს-ის 20-იან წლებში, როდესაც ა. იესენმა წამოაყენა ზემოთ განხილული ჰიპოთეზა. მაგრამ, დღეისათვის იორ-ალაზნის ორმდინარეთის არქეოლოგიური შესწავლა გაცილებით შორს არის წასული. აქ მიკვლეული მატერიალური კულტურის ძეგლები, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ამ რეგიონის ეთნიკური შედგენილობის სხვაგვარ სურათს გვისახავენ. აქედან გამომდინარე, რიგი თანამედროვე მკვლევარების მიერ ა. იესენის ჰიპოთეზაზე უპირობო დაყრდნობა, მათი მხრიდან რეგიონის არქეოლოგიური სიტუაციის არასრულყოფილ ცოდნასა და ქართველი არქეოლოგების მიერ ამ სიტუაციის არასათანადო წარმოჩენაზე თუ შეიძლება მიუთითებდეს.

ასეთია ძირითადი დასკვნები, რაც ზემოთ წარმოდგენილი საკითხების კვლევისას მივიღეთ. თუმცა, იალოილუთეფეს კულტურის აქტუალობა, რასაკვირველია ამით არ ამოიწურება. მისი ქრონოლოგიისა და სოციალ-ეკონომიკური ატრიბუციის საკითხებს მომავალში, ცალკე ნაშრომში შევხვებით.



ტაბ. 1 – იალოილუთეფეს კულტურის გავრცელებს რუკა იორ-ალაზნის ორმდინარეთში: 1. ელდარი, 2. არხილოსკალო, 3. მილარი, 4. შერეთისკარი (ჭიაური), 5. საქობო, 6. თელა, 7. ახალი ულიანოვკა, 8. ქვემო მალარო, 9. ანაგა, 10. ჩუმლაყი, 11. გურჯაანი, 12. ვაჩნაძიანი.


ალმაჩენის ადგილი	კომპლექსის სახეობა	კომპლექსის/არქიტექტურის/ტიპი	ალმაჩენის პირობები	ალმაჩენის თარიღი	ამჟამინდელი ადგილისამართვით	ბიბლიოგრაფია	
1	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. პერეთისკარი, ადგილი ჭიაური		სამფეხა ლანგრები	შემთხვევითი აღმოჩენა	1890-1894 წწ.	35 19	
2	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფ. ახალი უღიანოვკა	სამაროვანი	ორმოსამარხები სარიტუალო ქვევრებით/სამფეხა ლანგრები, ძაბრისებურტიანი ტოლჩეები, სანურიანი ხელადები.	არქეოლოგიური გათხრები /შემთხვევითი აღმოჩენა/	1960-1961 წწ.	ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი /ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი/	11
3	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. საჭობო	სამაროვანი	ორმოსამარხები სარიტუალო ქვევრით/სამფეხა ლანგრები, ბრინჯაოს ბალოა.	არქეოლოგიური გათხრები	1972 წ.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	
4	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფ. თელა	სამაროვანი	სარიტუალო ქვევრები, სამფეხა ლანგარი	არქეოლოგიური დაზვევრები	2012 წ.	გრემის მუზეუმი	
5	ელდარი (ალმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია)		მალაღვებიანი ლანგრები	შემთხვევითი აღმოჩენა		სილნალის მუზეუმი	21
6	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფ. არხილოსკალო	სამაროვანი	ორმოსამარხები/სამფეხა ლანგრები, სანურიანი ხელადები, ძაბრისებურტიანი ტოლჩეები, მილ-ნისკარტიანი დოქები.	არქეოლოგიური გათხრები	1937 წ.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	19
7	მილარის ველი (ალმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია)		სამფეხა ჯამი, სანურიანი ხელადა	შემთხვევითი აღმოჩენა		სილნალის მუზეუმი	

ტაბ. II – იალილოთეფეს კულტურის ძეგლების ცხრილი იორ-ალაზნის ორმდინარეთში.




აღმოჩენის ადგილი	კომპლექსის სახეობა	კომპლექსის /არქიტექტურის ტიპი/	აღმოჩენის პირობები	აღმოჩენის თარიღი	ამჟამინდელი ადგილსამყოფელი	ბიბლიოგრაფია
8	სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფ. ქვემო მაღარო.	სამფეხა ფაში, მილნისკარტიანი დოქი	შემთხვევითი აღმოჩენა	.	სიღნაღის მუზეუმი	21
9	სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფ. ანაგა	მილნისკარტიანი დოქი, სანურიანი ხელადა	შემთხვევითი აღმოჩენა		საქართველოს ეროვნული მუზეუმი	19
10	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფ. ჩუმლაყი.	სამფეხა ლანგარი, ცალყურა სასმისი	შემთხვევითი აღმოჩენა	1913 წ.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	19
11	ქ. გურჯაანი, ყოფილი ლენინის ქუჩა /კურორტ ახტალის მიმდებარე ტერიტორია/	სამფეხა ლანგრები	შემთხვევითი აღმოჩენა	1933-1937/2009 წწ.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი /საქართველოს ეროვნული მუზეუმის გურჯაანის ფონდსაცავი/	19
12	გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაჩნაძიანი	სამფეხა ლანგრები	შემთხვევითი აღმოჩენა /არქეოლოგიური გათხრები	1969 წ.	საქართველოს ეროვნული მუზეუმის გურჯაანის ფონდსაცავი /ვაჩნაძიანის გ. შაისურაძის სახელობის სოფლის ისტორიის მუზეუმი/	6

ტაბ. III – იალოილუთეფეს კულტურის ძეგლების ცხრილი იორ-ალაზნის ორმდინარეთში.



ტაბ. IV - 1 - სამფეხა ლანგარი ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფელ თელადან;
2-12 - იალოილუთეფეს ტიპის კერამიკის ნიმუშები (ო. ისმიზაღეს მიხედვით).



ტაბ. V – 1-2 – სამფეხა ჯამი და სანურიანი ხელადა მილარის ველიდან; 3 – სამფეხა ჯამი ზოომორფული ფეხებით თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუმეტიდან; 4 – ძაბრისებურ ტანიანი სასმისი ლაგოდეხიდან; 5 – სამფეხა ჯამი გურჯაანიდან; 6 – ძაბრისებურ ტანიანი ტოლრა თელავიდან; 7-8 – სამფეხა ლანგარი (№7) და ოთხფეხა (№8) ჯამი გულგულიდან; 9 – სამფეხა ლანგარი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩნაძიანიდან. 10 – სანურიანი ხელადა ულიანოვკიდან.

წყაროები და ლიტერატურა:

1. აფაქიძე ა., 1959: ანტიკური ხანის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს არქეოლოგია. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. – თბ.
2. აფაქიძე ა., კალანდაძე ს., ნიკოლაიშვილი ვ., 1978: მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში. მცხეთა, ტ. II. – თბ.
3. ბარამიძე მ., 1965: კასპის სამაროვანი, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. IV. – თბ.
4. გაგოშიძე ი., 1970: მოხატული კერამიკა სამადლოდან. „ძეგლის მეგობარი“ №23. – თბ.
5. გაგოშიძე ი., 1982: თრიალეთის სამაროვნები. – თბ.
6. გაგოშიძე ი., 2007: ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები ძ.წ. I საუკუნეში. იბერია-კოლხეთი №3. – თბ.
7. გობეჯიშვილი გ., 1981: ბუდენის გორასამარხების კულტურა, თბ.
8. გოგაძე ე., 1972: თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. – თბ.
9. ვახუშტი ბაგრატიონი 1973: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. „ქართლის ცხოვრება“ (აკად. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით), ტ. IV – თბ.
10. თოლორდავა ვ., 1963: მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III. – თბ.
11. თოლორდავა ვ., 1978: ანტიკური ხანის სამარხები ულიანოვკადან. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I. – თბ.
12. თოლორდავა ვ., 1980: დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. – თბ.
13. მენტეშაშვილი ს., 1941: ძველი ანაგისა და ყოლოთოს კულტურის მატარებელი ხალხის ვინაობისათვის. საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, – თბ.
14. მინდორაშვილი დ., 2008: უფლისციხე შუა საუკუნეებში. – თბ.
15. მუსხელიშვილი დ., 1977: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. – თბ.
16. მუსხელიშვილი დ., 1978: ხოლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. – თბ.
17. მუსხელიშვილი დ., 1997: ქიზიყის ძველი ისტორია. – თბ.
18. ნარიშკინიშვილი გ., 1990: ნასტაგისის ანტიკური ხანის სამაროვანი. „არქეოლოგიური ძიებანი“ (ახალგაზრდა მკვლევართა VII-VIII სამეცნიერო სესიების მასალები). – თბ.
19. ნიორაძე გ., 1940: ალაზნის ველის გათხრები, თბ.
20. პაპუაშვილი თ., 1970: ჰერეთის ისტორიის საკითხები, მეცნიერება, თბ.
21. რამიშვილი რ., 1959: კამარახევის სამაროვანი, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II. – თბ.
22. რამიშვილი რ., 1979: ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. – თბ.
23. საქართველოს ისტორია (ავტორთა კოლექტივი), 2012: ტ. II. – თბ.
24. სინაურაძე მ., 1967: გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები ყოლოთოდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ტ. XXVII. – თბ.
25. სტრაბონის გეოგრაფია 1957: ცნობები საქართველოს შესახებ (თ. ყაუხჩიშვილის რედაქციით) – თბ.
26. ჩიკოძე ც., 1980: უძველესი სამარხები თელავის ტერიტორიიდან – თბ.
27. ჩიკოძე ც., 1979: ქალაქი თელავი. – თბ.
28. ფიცხელაური კ., 1980: კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე კვლევამების შედეგები, პრობლემები, პერსპექტივები. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. IV. – თბ.



29. ფიცხელაური კ., 1973: აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის დი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს.) არქეოლოგიური მასალების მიხედვით. - თბ.
30. „ქართლის ცხოვრება“ 1955 (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით): ტ. I. - თბ.
31. ჯანაშია ს., 1952: შრომები, ტ. II. - თბ.
32. ხახუტაიშვილი დ., 1964: უფლისციხე, ტ. I. - თბ.
33. Алиев К., 1992: Античная Кавказская Албания. - Баку.
34. Гошгарлы Г., 2012: Типология погребальных памятников античного периода на территории Азербайджана. - Баку.
35. Иессен А., 1929: Культура Ялойлу-Тапа в Закавказье (предварительная характеристика). Сборник Государственной Академии истории материальной культуры, I. - Москва- Ленинград.
36. Искендеров Э., 2012: Взаимосвязи Азербайджанского Албанского государства с Иберией (IV в. до н.е. - III в.н.е. - На основе археологического материала). - Диссертация на соискание ученой степени доктора философии по истории. - Баку.
37. Исмизаде О., 1956: Ялойлутепинская культура.- Баку.
38. Казиев С., 1953: О двух кувшинных и двух катакомбных погребениях. Материальная культура Азербайджана, Т.3.- Баку.
39. Керимов В., Алиев М., Керимов Г., 2009: Археологические исследования поселения Торпагтала близ села Ляляли Кахского района. Археологические исследования в Азербайджане. - Баку.
40. Лекернов А., 1927: Материалы по археологии и этнографии Азербайджана, Известия общества обследования и изучения Азербайджана, #4. - Баку.
41. Нариманишвили Г., 1991: Керамика Карли V-I в.в. до н. е. - Тбилиси.
42. Нонешвили А., 1992: Погребальные обряды народов закавказья.- Тбилиси.
43. Пахомов Е., 1937: Статуэтка из Моллаисаклинского сельбища и ее датировка. Известия Азерб. филиала Академии наук СССР. - Баку.
44. Пассек Т., Латинин Б., 1927: К вопросу о керамике из Ялойлутепе. Известия общества обследования и изучения Азербайджана, #4. - Баку.
45. Пассек Т., 1946: Джафарханский могильник (археологические разведки в Муганской степи), Вестник древней истории, # 2.
46. Пицхелаури К., 1977: Памятники второй половины I тысячелетия до н. э. на территории Кахетии. Советская археология. - Москва.
47. Розендорф Г. 1906: Раскопки. - Отчет археологической комиссии за 1903 г.- Санкт-Петербург.
48. Скиндер В., 1906: Опыт археологической разведки.- Пятигорск.
49. Тревер К. 1959: Очерки по истории культуре Кавказской Албании (IV в.'до н.э. - VII в. н.э.) Изд-во Академия наук СССР.- Москва- Ленинград.
50. Шарифов Д., 1927: Раскопки в Ялойлу-Тапа (Нухинский у., 1926 г.), Материалы Азгосмузея, Вып. 1. - Баку.
51. Халилов Дж., 1985: Материальная культура Кавказской Албании. - Баку.
52. Ямпольский З., 1961: Албания Кавказская. Советская историческая энциклопедия. Т.1.- Москва.
53. Tallgren A., 1928: Eurasia Septentrionalis Antiqua, B. III, Helsinki,
54. Pottier E., 1899: Note sur les poteries rapportees du Caucase par M. le baron de baye (bull. Et Men. De la Soc. nat. des antiquaires de France, Memoires. Paris # #17-21.
55. Hancar F., 1934: Kaukasus-Luristan. Zuge Kultureller Verwandtschaft des prahistorischen Kaukasusgebites mit dem Alten Orient. Eurasia Septentrionalis Antiqua, b. IX, Helsinki.

GIORGI LAGIASHVILI

PROBLEM OF GENESIS OF YALLOULUTEPE CULTURE ON THE TERRITORY OF THE EASTERN GEORGIA

Summary

Until recent in scientific literature there was a popular point of view, that in the I century B.C. "Yalloulutepe Culture" on the territory of Georgia was spread in the interfluves of the rivers Iori and Alazani and to the West reached gorges of the rivers Mtkvari and Aragvi (G. Nioradze, R. Ramishvili). Depending on this point of view, in historical literature far-reaching conclusions had been made, which do not correspond reality.

Article thoroughly observes all archaeological monuments and artifacts belonging to Yalloilutepe type. According to the research it us clear, that Yalloilutepe Culture in Georgia was spread only in the downstream of the river Alazani. The author accepts view of some researchers about import of Yalloulutepe Culture to Georgia from the East (Caucasian Albania) while in the extreme East of Georgia (in the interfluves of the rivers Iori and Alazani) different, autochthonous material culture existed. For some time these two culture coexisted, but after about I century A.D. Yalloilutepe Culture vanishes and local material culture continues traditions of the ancient, Hellenistic era.

ГЕОРГИЙ ЛАГИАШВИЛИ

ПРОБЛЕМА ГЕНЕЗИСА ИЯЛОИЛУТЕПИНСКОЙ КУЛЬТУРЫ НА ТЕРРИТОРИИ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Резюме

До последнего времени в научной литературе ошибочно утверждалось, что материалы т.н. иялоилутепинской культуры конца I в. до н.э. на территории Грузии были распространены до Арагвского ущелья (Г. Ниорадзе, Р. Рамишвили). К сожалению, на этом основании делались довольно далеко идущие научные заключения исторического характера, не соответствующие действительности.

Автор скрупулезно исследовал весь археологический материал иялоилутепинской культуры и пришел к совершенно противоположным заключениям. Он разделяет точку зрения тех авторов, которые считают, что иялоилутепинская культура на территории Грузии привнесена и здесь она сосуществует с местной культурой. Что касается ареала распространения материалов этого характера, автор точно установил, что он охватывает лишь нижнее течение Алазанской долины и северо-восточную окраину Иорского плоскогорья.

ნათია ჯალაღაძე

**ტრადიციული სამართლის შემონახულობის საკითხისათვის ქვემო
ქართლში
(სისხლის ალების ჩვეულება)**

ამ ბოლო წლების განმავლობაში ქართულ მედიასა და ინტერნეტ ფორუმებში სისხლის ალების ჩვეულება არც თუ იშვიათად გამხდარა მსჯელობის საგანი. საზოგადოებაში პერიოდულად ვრცელდება ხმები, რომ ესა თუ ის მკვლელობა სისხლის ალების საფუძველზე იქნა ჩადენილი. ჯერ კიდევ არსებობს ნარმოდგენა, რომ სვანი ან ხევსური თავისი ნათესავის მკვლელზე აუცილებლად იძიებს შურს. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ კინემატოგრაფიაში სისხლის ალების პრობლემისადმი მიძღვნილი ფილმებიც კი შეიქმნა. ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოებისათვის ეს საკითხი ჯერ კვლავ საჭირობოროტია.

გასულ საუკუნეში საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ ეტაპზე „სისხლის ალება“ ერთგვარად დახურული თემა იყო ქართულ მეცნიერებაში. მიუხედავად ამისა, იგი მაინც არაერთი მკვლევრის ინტერესის ობიექტად იქცა. ქართველი ისტორიკოსები და ოურისტები, რომლებიც სისხლის ალების ჩვეულებას სწავლობდნენ [9; 2; 3; და სხვ.], ინტერესდებოდნენ მისი გენეზისით, თანამედროვე რეალობასთან მისი ურთიერთმიმართებით, სამართლებრივი პლურალიზმით და სხვ. ქართველ ეთნოგრაფ-ეთნოლოგთაგან ადათობრივი სამართლის კვლევის ჩარჩოებში მხოლოდ რამდენიმემ [7; 8; 4; 5] სცადა მისი შესწავლა. რ. ხარაძემ ერთ-ერთმა პირველმა გაამახვილა ყურადღება ამ ადათთან დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმებზე, დასჯის სისტემაზე, კომპოზიციებზე, დამნაშავეთა შერიგების პროცესზე და ა.შ. პრობლემის შესწავლა ემყარებოდა უმთავრესად მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალებს ძირითადად ხევსურეთიდან და სვანეთიდან (სადაც ეს ტრადიცია უკეთ იყო შენარჩუნებული), რომელთაც ცნობილი საზოგადო მოღვაწენი თუ ეთნოგრაფები და ე.წ. კორექსონდენტები (ხიზანაშვილი, ბაქრაძე, ნიჟარაძე, ოჩიაური, ბალიაური, და სხვ.) კრებდნენ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის I ნახევარში. მაგრამ ქართულ ეთნოლოგიაში კონკრეტულად სისხლის ალების ტრადიცია ამომწურავად შესწავლილი არასდროს ყოფილა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მეცნიერთა ინტერესი, ძირითადად, საქართველოს მთიანი რეგიონებისკენ იყო მიმართული. საქართველოს ბარის საზოგადოებები ამ თვალსაზრისით არ გამოკვლეულა, იმ აღიარებული მო-

საზრების გამო, რომ სისხლით შურისძიების ინსტიტუტი მხოლოდ მთაში ფუნქციონირებდა. სინამდვილეში სისხლის აღების პრაქტიკა მხოლოდ ქართველ მთიელებში არ ყოფილა გავრცელებული; ის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ბარის რეგიონებისთვისაც არ იყო უცხო და მსგავს შემთხვევებს (თუმცა იშვიათად) დღესაც კი ვხვდებით. რა უნდა იყოს ამ ჩვეულების შემონახულობის მიზეზი? როგორია ის საზოგადოება, რომლის ნიაღვივც „ბარბაროსულად მიჩნეული“, თუმცა ტრანსფორმირებული ეს ჩვეულება ჯერ კიდევ ცოცხლობს?

ამ პრობლემის საქართველოს ბარში შესწავლის მიზნით საკვლევ რეგიონად ქვემო ქართლი შეირჩა, როგორც მულტიეთნიკური და მულტიკულტურული რეგიონი, სადაც ერთმანეთის მეზობლად სახლობენ ქართველები და არაქართული ეთნოსების წარმომადგენლები (აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, რუსები და სხვ.). აღნიშნული კვლევის კუთხით ეს რეგიონი იმით არის საინტერესო, რომ აქ ცხოვრობენ მიგრანტები საქართველოს მთის იმ რეგიონებიდან, სადაც სისხლის აღების წესი ჯერ კიდევ პრაქტიკულად არ გამქრალა (ხევსურეთი, სვანეთი). საკვლევ რეგიონში რიგი დასახლებები მონოეთნიკური და, ხშირად, მონოკულტურული ხასიათისაა ანუ ერთი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მქონე ჯგუფებით არის დასახლებული. ხოლო შერეული დასახლებები ორი ან მეტი განსხვავებული იდენტობის მქონე ჯგუფითაა წარმოდგენილი. იზოლირებულად მცხოვრები მონოეთნიკური ჯგუფების შემთხვევაში კულტურული ტრადიციები მეტ-ნაკლებად კარგად არის შემონახული; ეს კი პრობლემის შესწავლისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საკითხის კვლევა ქვემო ქართლში მცხოვრებ ადგილობრივ ქართველთა და არაქართველთა, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხებიდან (ხევსურეთი, რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი, სვანეთი, აჭარა) ჩამოსახლებულთა ჯგუფებში, ბარის პირობებში სისხლის აღების ჩვეულების არსებობა-არარსებობის და მისი შემონახულობის მიზეზების დადგენის საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა.

საველე მუშაობის შედეგად გამოვლინდა, რომ არაქართულ ჯგუფებში სისხლის აღების პრაქტიკა არ გვხვდება, თუმცა რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ეს „წესი წინათ აზერბაიჯანელებში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა“. ეს ჩვეულება არც ადგილობრივ ქართველებში არ არის დამონმებული. ანალოგიურად, არ ჩანს იგი ქართველ მიგრანტებს შორის, გარდა სვანებისა და ხევსურებისა. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის აღების ჩვეულება დადასტურებულია აჭარაში, ქვემო ქართლში გადმოსახლებულ აჭარლებში სისხლით შურისძიების ფაქტები აღარ მოწმდება. საკვლევ რეგიონში სისხლის აღების შემთხვევები ძირითადად სვანებში (იშვიათად ხევსურებში) არის დაფიქსირებული. ამდენად, კვლევა ბარში მიგრირებული სვანების ყოფას ეფუძნება.

ცნობილია, რომ სისხლის აღების ჩვეულება არის ადათი, საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული ქვევის ტრადიციული ნორმა, რომელიც გულისხმობდა მკვლელზე ან მისი გვარის მამაკაცზე საპასუხო შურისძიებას. ქართულ (ჩვენ შემთხვევაში სვანურ) სინამდვილეში სისხლის აღების ინსტიტუტი მკვლელობის, შურისძიების და შერიგების ეტაპებს მოიცავს, რომლე-

ბიც თავის მხრივ, კონკრეტულ წესებს, სამართლებრივ თუ ქცევის ნორმებსა და აკრძალვებს აერთიანებს. შურისძიების ობიექტი მკვლელის გვარის წარმომადგენელი მამაკაცი იყო; უპირველეს ყოვლისა, მამა, ძმა, შვილი, შემდეგ კი ბიძაშვილები; ასეთივე თანამიმდევრობით სისხლის აღება ეკისრებოდათ მოკლულის გვარის წარმომადგენლებს. არ იყო განსხვავება განზრახ და შემთხვევით მკვლელობას შორის, ორივე შემთხვევაში სისხლის საფასური ერთნაირი იყო. სისხლით შურისძიების საკითხებს ტრადიციული სამართლის მიხედვით ანესრიგებდა მედიატორი (სვან. მორვალი), რომელიც იღწვოდა მხარეთა შესარიგებლად, ადგენდა სისხლის საფასურს, აწესებდა ჯარიმას, ახდენდა შერიგების სუფრის ორგანიზებას და სხვ.

სვანეთში, თითქმის XX საუკუნის 40-იან წლებამდე ეს ინსტიტუტი საკმაოდ აქტუალური იყო. როგორც გადმოგვცემს ეგნატე გაბლიანი, სვანის მკვლელობა მთელი გვარის, თემის შეურაცხყოფა იყო და სანამ სისხლს არ აიღებდნენ, ჩრდილში ყოფნას ცდილობდნენ, საზოგადოებაში გამოჩენას ერიდებოდნენ, რომ „სისხლის აულებელი კაცის შვილი“ არ წამოეძახებინა მათთვის ვინმეს. თუ შვილი ვერ მოახერხებდა სისხლის აღებას, ეს ვალდებულება გადადიოდა მოკლულის შვილიშვილზე ან მომდევნო თაობაზე და შეიძლება საუკუნეებიც კი გაგრძელებულიყო. იყო სვანეთში შემთხვევა, როდესაც ქმრის სიკვდილის მერე ცოლი ორსულად დარჩა და როცა ბავშვი გაიზარდა, წლების მერე აიღო სისხლი [1: 134].

სისხლით შურისძიება იყო აუცილებლობა, რომლის განხორციელების შემთხვევაში შურისმაძიებელი ერთგვარად „ანგარიშს აბარებდა“ მიცვალებულის სულს, რაც კარგად ჩანს შემდეგ ტრადიციაში: სისხლის აღების მერე სვანები მოკლულის საფლავზე მივიდოდნენ, ჯოხს ჩაარჭობდნენ და ჩასძახებდნენ – გისისხლეო [1: 135].

გასულ საუკუნეში საბჭოთა ხელისუფლების მიერ განუული ამ ჩვეულების აღმოფხვრის ყოველმხრივი მცდელობა სასურველი შედეგით ვერ დამთავრდა. ეთნოგრაფიული მონაცემები ცხადყოფს, რომ სისხლის აღების მძლავრი ტრადიცია საკუთრივ სვანეთში საკმაოდ გვიანობამდე იქნა შემონახული და შურისძიების შემთხვევები აქამდეც ფიქსირდება. დღემდე შენარჩუნებულია საქმის განხილვის ტრადიციული წესები, მედიატორების – მორვალთა პრაქტიკა. მაგრამ, ბუნებრივია, დროთა ვითარებაში ამ ინსტიტუტმა გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. სვან რესპონდენტთა ინფორმაციით, შურისძიების ობიექტთა წრე კლანიდან გვარამდე (ფამილია) დაეწიროვდა, სისხლის საფასურმა ფულადი კომპენსაციის ფორმა მიიღო, არის შურისძიების არგანხორციელების შემთხვევებიც, განსხვავებულად ფასდება წინასწარ განზრახული და შემთხვევითი მკვლელობები, ნაკლებად პომპეზურია შერიგების რიტუალი და სხვ. (მესტია 2010, ავტორის საველე მასალები).

რა ვითარებაა ამ მხრივ ქვემო ქართლის სვანებში? სანამ ამ საკითხს უშუალოდ შევხებოდე, შეეჩერდები მკვლელობის რიგ შემთხვევებზე, რასაც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა შორის კონფლიქტების შედეგად ჰქონდა ადგილი ქვემო ქართლში. აღსანიშნავია, რომ რეგიონში სვანების პირველი მიგრაცია

ციის დროს (1980-იანი წლები) არც თუ იშვიათი იყო სისხლიანი დაპირისპირებები მათსა და დამხვედურ მოსახლეობას შორის; სვანებში დასახლებულ ქვემო ქართლის ყველა რაიონში იყო სერიოზული კონფლიქტები, უმეტესად ჯგუფური ხასიათის დაპირისპირებები, რომელთაც მკვლევლობები სდევდა თან: ძირითადად სვანებსა და აზერბაიჯანელებს შორის მარნეულში, გარდაბანში, ბოლნისში და დმანისში, ხოლო სვანებს და სომხებსა და ბერძნებს შორის წალკის რაიონში. მსგავს ინციდენტებს შემდგომაც ჰქონდა ადგილი, თუმცა თანდათანობით მათმა სიხშირემ მნიშვნელოვნად იკლო. 1992 წელს სერიოზული ინციდენტი მოხდა სვანსა და ადგილობრივ ქართველს შორის სოფელ განთიადში (დმანისის რაიონში). ნასვამი სვანი ახალგაზრდების ჯგუფმა ადგილობრივი მცხოვრები (ქართველი) მოკლა, რის შემდეგაც სოფლის მოსახლეობამ სასტიკად იძია შური სრულიად უდანაშაულო სვან ახალგაზრდა მამაკაცზე: „ერთი შემთხვევა იყო ეგეთი, განთიადი როა იმ სოფელში. სვანმა მოკლა ქართველი და მერე ის გამოიყვანეს და ქვით ჩაქოლეს, სოფელმა ჩაქოლა. მერე პოლიცია ჩაერია საქმეში და დანაშაულები“ [11].

აღსანიშნავია 2006 წლის 9 მარტის მოვლენები, როდესაც ნასვამ სვანებსა და სომხებს შორის მომხდარი ჩხუბი 23 წლის სომეხი მამაკაცის სიკვდილით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ ექვმიტანილები სასწრაფოდ დააკავეს და გამოიძიება დაიწყო, ადგილობრივი სომხები წალკის პოლიციის შენობის წინ შეიკრიბნენ და ექვმიტანილ ბოროტმოქმედთა ლინჩის წესით დასჯას ითხოვდნენ. შეიქმნა მასობრივი გამოსვლის ესკალაციის საშიშროება, თუმცა საბოლოოდ ვითარების განმუხტვა მაინც მოხერხდა [6: 61].

სვანი რესპონდენტის ინფორმაციით, ლემშვანიერადან აზერბაიჯანელმა მოკლა მათი თანასოფლელი ერემია; „სვანებმა მარტო მკვლელი კი არ მოკლეს, ვინც იმას მფარველობდა, ისიც მიაყოლეს. აზერბაიჯანელებს შეეშინდათ და საპასუხო არ მოჰყოლია“ [12].

იმავ რესპონდენტის ცნობით: „დაახლოებით 5 წლის უკან ფერმაში აქ აზერბაიჯანელი მწყემსები ჰყავდათ ჩვენებს. ჩვენი ბიჭები მიდიოდნენ ხოლმე იქ. ერთი თავზეხელაღებული ონიანი იყო წყალტუბოდან ჩამოსული, გაიყოლია ამან ბავშვები, სკოლის მოსწავლეები, მწყემსებთან; მერე მწყემსებს უთხრა მათხოვე მობილურიო, მაგრამ უკან აღარ დაუბრუნა. რო აღარ დაუბრუნა, ატყდა ჩხუბი. იმას გადაჭრილი თოფი ჰქონდა და აზერბაიჯანელი ბიჭი მოკლა. დაირაზმნენ მთელი აზერბაიჯანელები და წამოვიდნენ ჩვენზე, ოჯახის ამონყვეტა უნდოდათ. იმან უშველა, რომ იქ იყო სამი ბავშვი და ვერ გაიგეს რომელი იყო დამნაშავე. მაშინ მთელი სპეც.ნაზი ამოიყვანეს და ჩააწყნარეს სიტუაცია“ [12].

საყურადღებოა, რომ არც ერთ მსგავს შემთხვევას სვანებსა და არასვანებს შორის, სისხლის აღება არ მოჰყოლია. ინფორმანტები სისხლის აღების არსებობას სვანებსა და ადგილობრივებს შორის უარყოფენ. სვანების აზრით: „აზერბაიჯანელებსაც სცოდნიათ წინათ სისხლის აღება, მაგრამ ახლა თითქოს აღარ მისდევენ. იმათ სვანებისა ძალიან ეშინით. იმათ იციან, რომ სვანი მათ თავს არასდროს დააჩაგვრინებს“ [12].



აღსანიშნავია, რომ ხსენებული ტიპის მკვლევლობის შემთხვევებში სახელმწიფო სამართალდამცველი ორგანოების კონტროლის ქვეშ ექცევა და ოფიციალურ სასამართლო პროცესზე განიხილება. კვლევამ გამოავლინა, რომ ქვემო ქართლში ქართველ და არაქართველ ჯგუფებს შორის მკვლევლობას საგვარეულო შურისძიება არ მოსდევს. მას შესაძლებელია მოჰყვეს საპასუხო ქმედება – ჩვეულებრივი შურისძიების აქტი, რომელიც არ არის სისხლის აღების იდეოლოგიით შთაგონებული.

სხვაგვარი სურათი იკვეთება თვით სვანურ საზოგადოებებში. საგვარეულო მტრობა, რომელიც გადმოსახლებაზე სვანეთში იყო დაწყებული, ქვემო ქართლში გადმოსახლების შემდეგაც გაგრძელებულა; თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უშუალოდ ქვემო ქართლში ინსპირირებული შემთხვევები საკმაოდ იშვიათია. ისტორიებს ამგვარი მტრობის შესახებ ქვემო ქართლის სვანებით დასახლებულ ყველა რაიონში შეიტყობთ. მაგალითად: „დმანისში ერთმა სვანმა მოკლა მეორე სვანი. მკვლელი დაიჭირეს. დაზარალებულმა გვარმა ჯერ მკვლელის სახლი დაწვა და მერე მისი უდანაშაულო ბიძაშვილი მოკლა. ახლა ის ციხეშია, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს, ეს გვარი ისევ პასუხისმგებელია მოკლულის სისხლზე. მე არ ვიცი, მერე რა მოხდება, მაგრამ რადგან ორივე გვარის მხრიდან თანაბარი რაოდენობის მოკლული იყო, შერიგებაზე მოლაპარაკება ალბათ დაიწყება. მოლაპარაკების დროს ყველაფერს მიიღებენ მხედველობაში; სახლის დაწვასაც გაითვალისწინებენ“ [11].

ამ შემთხვევაში ყურადსაღებია ის ვითარება, რომ ტრადიციულად, გადანყვებილების გამოტანისას სახლის დაწვას მედიატორები შემამსუბუქებულ გარემოებად არ თვლიდნენ; ხოლო ეთნოგრაფიული მონაცემების თანახმად, დღეს ასეთ შემთხვევებს მხედველობაში იღებენ. კვლავ მოქმედებს პრინციპი, რომ დამნაშავეს პატიმრობაში ყოფნა მის სასარგებლოდ არაფერს ცვლის. მიუხედავად ციხეში გატარებული წლებისა, იგი კვლავ სისხლით შურისძიების ობიექტად რჩება. რაც შეეხება „სისხლის აულებლობას“, ე. წ. სისხლის შერჩენას, მიგრანტ სვანებშიც ის დიდ სირცხვილად ითვლება: „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს, ჭუბერში იყო ერთი ძალიან ავტორიტეტიანი კაცი, მძლოლი, რომელსაც სვანები ძალიან დიდ პატივს სცემდნენ. ის კაცი მოკლეს, მიზეზი რა იყო, ოღონდ არ ვიცი. იმ კაცს სამი ძმა ჰყავდა. მიკვირს, რატომ არ აიღეს სისხლი დღემდე. საერთოდ ასეთი რამ ჩამოსახლებულ სვანებში იშვიათია. სირცხვილია, როცა ვინმე შენ ნათესავს მოგიკლავს და შენ სისხლს არ აიღებ. სხვადასხვა ადამიანს განსხვავებული ტაქტიკა აქვს: ზოგი ამას ძალიან ეშმაკურად აკეთებს, ზოგიც უცბად, ზოგი კი წლობით ელოდება შესაფერის დროს. ვინმეს დაქირავება ამ მიზნით დიდ სირცხვილად ითვლება“ [11].

რამოდენიმე წლის წინ გარდაბნის რაიონის სოფელ ლემშვანიერაში იყო შემთხვევა, როდესაც ადგილობრივი ქალიშვილი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. ნაწვიმარზე მოცურებული მანქანა სახლთან მდგარ გოგონას დაეჯახა. მანქანაში იყო გარდაცვლილი გოგონას ძმაც. საჭესთან

მკვდომი ახალგაზრდა მათი მეზობელი იყო, ხოლო უბედურ შემთხვევაში მათ ოჯახებს ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. დაზარალებულის ოჯახი დამნაშავეის ოჯახის სოფლიდან გასახლებას მოითხოვდა. რამდენადაც დღეს ჩემთვის ცნობილია, მედიატორების მიერ პროცესი საბოლოოდ გადაჭრილი არ არის და მოლაპარაკება აქამდე გრძელდება [12].

როგორც ზემოთაც ითქვა, ტრადიციულად, სვანეთში ადამიანის შემთხვევით მოკვლა ისევე იყო შეფასებული, როგორც ადამიანის განზრახ მკვლელობა. დღეს კი ბარში ჩამოსახლებულ სვანებში ინციდენტის შემთხვევითობას მედიატორები გადანყვეტილების გამოტანისას მხედველობაში იღებენ და ის ერთგვარ შემამსუბუქებელ გარემოებადაც კი ითვლება.

საველე მასალების თანახმად, ქვემო ქართლის სვანებში იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც ქალი თავის თავზე იღებდა დანაშაულს, რათა მამაკაცებისათვის საგვარეულო შურისძიება აერიდებინა. მაგალითად, ასეთი ინციდენტი მოხდა დმანისში – ცოლმა დაიბრალა ქმრის მიერ ჩადენილი მკვლელობა (საველე მასალები, დმანისი 2010).

რესპონდენტთა ინფორმაციით, როდესაც ორივე მხრიდან თანაბარი რაოდენობის ადამიანია მოკლული და ორივე მხარე დამნაშავედ აღიარებს თავს, შურისძიება შეიძლება შეწყდეს. ასეთ შემთხვევაში ოფიციალური შერიგების ცერემონიის ჩატარება საჭირო არ არის. შურისძიება შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ოჯახში მამაკაცი აღარ ჰყავთ.

საკითხის კვლევისას გამოიკვეთა, რომ ტრანსფორმაცია, რაც სისხლის ალების ინსტიტუტმა თავად სვანეთში განიცადა, იდენტურია მიგრანტ სვანთა ყოფაში დამონებული ცვლილებებისა. ერთ-ერთი ასეთია სისხლით შურისძიებაზე პასუხისმგებელთა წრის დავინროვება. თუ წინათ სისხლის ალების ვალდებულება ეკისრებოდა კლანის წევრებსაც, დღეს ის მხოლოდ გვარის ახლო ნათესავ მამაკაცთა წრეს მოიცავს; ბარის სვანებში აქა-იქ გაიგებთ უკმაყოფილებას მკვლელის უდანაშაულო ნათესავის შესაძლო მოკვლის გამო, თუმცა ეს არ გულისხმობს თავად სისხლის ალების სანინაალმდეგო განწყობას. დღეს აღარ ტარდება შერიგების პომპეზური ცერემონიალი, აღარც ტრადიციული ტიპის ჯარიმებს ანესებენ, ხოლო სისხლის საფასური ფულადი სახით კომპენსირდება.

თვითოველ სვანურ თემს, რომელიც კომპაქტურად სახლობს ქვემო ქართლში, ჰყავს თავისი ავტორიტეტები, რომელთაც იციან ტრადიციული ნორმები სისხლის ალების ჩვეულებასთან დაკავშირებით. ისინი ჩართულები არიან შერიგების პროცესში მონინაალმდეგე მხარეების თანხმობის საფუძველზე; საქმის განხილვა მორგალთა მიერ ძირითადად ადგილზე ხდება, თუმცა ვითარებიდან გამომდინარე, მედიატორთა ან უზუცესთა გადანყვეტილების საფუძველზე იგი შესაძლებელია მოხდეს სვანეთშიც. როგორც აღნიშნავს სვანი რესპონდენტი დმანისიდან: „ჩვენთვის სალოცავები ძალიან წმინდა რამეა. სალოცავს დიდი მნიშვნელობა აქვს შერიგების დროს, როცა ჩვენ პირველად ჩამოვედით აქ, ეკლესები არ გვქონდა, მაგრამ მერე აქაური ძველი სალოცავები აღვადგინეთ და ახალიც ავაშენეთ. მაგრამ თუ მედიატორები

გადანყვეტენ, დამნაშავეს ხატზე სვანეთში დააფიცებენ. ხანდახან მორვანებს სვანეთიდან იწვევენ. ისე კი სისხლის ალების ამბები აქ იშვიათია" [11].

თუმცა სისხლის ალების პრაქტიკა ძალიან შემცირებულია ქვემო ქართლის სვანებში, სისხლის ალება არის ჩვეულება, რომელიც თეორიულად მისაღებია სვანი მამაკაცების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. სვანი მამაკაცი ძნელად თუ გაკიცხავს იმას, ვინც საკუთარი მამის მკვლელს იბოვნის, თუნდაც წლების მერე, და მასზე შურს იძიებს. ბარში ჩამოსახლებული სვანების განწყობა ამ ჩვეულების მიმართ უფრო მეტად პოზიტიურია. უმეტესობა სვანი რესპონდენტის აზრით (ქალების ჩათვლითაც კი): „სისხლის ალების წესი ცუდი არაა, იმიტომ რომ ის აწესრიგებს ადამიანების ურთიერთობებს და აიძულებს ადამიანს გააკონტროლოს თავისი ქცევა, რათა თავიდან აიცილოს შესაძლო უსიამოვნებები. გარკვეულწილად, ეს არის ერთგვარი შემაკავებელი ფაქტორი არასვანებისათვის, ვინც იცის სვანების შურისძიების შესახებ“ [12].

საუბარში სვანები ნათლად აფიქსირებენ სისხლის ალების ჩვეულების მიმართ თავიანთ დამოკიდებულებას: „სვანებს აქვთ სისხლის ალების ჩვეულება, მაგრამ მე თეთრწყაროში არ გამოვიყენებ; მაგრამ ისე, მკვლელობას ვინ აპატიებს? არც ერთი სვანი ამას არ აპატიებს!“ [10], ან „ხშირი იყო შემთხვევები, რომ არ ისისხლებდნენ, მაგრამ ჩემ გაგებამდე არ დადის, რომ ვილაცამ მე მომიკლას ვინმე და მე არ ავილო სისხლი?! მთელ მსოფლიოშია სისხლის ალება, მარტო სვანეთში კი არა. აბა ვინმემ მოგაშოროს დედ-მამიშვილი, მაშინ რას იზამ? მაშ რაღა მაინცდამაინც სვანებზე? [12].

საველე მუშაობის შედეგად გამოვლინდა, რომ სვანების ახალგაზრდა თაობამ, რომელიც არ აღზრდილა სვანეთში, იცის სვანური ტრადიციები და ცდილობს მათ დაცვას. როგორც ირკვევა, ისინი მშობლებისგან იგებენ, უსმენენ და სწავლობენ მსგავს ამბებს; ცდილობენ უფროს-უმცროსობის ტრადიცია დაიცვან. ისინი ეხსრებიან გვარის/საძმოს ყრილობებს, სადაც ჩამოდიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული ერთი საძმოს წარმომადგენლები, უსმენენ მათ გადამწყვეტილებებს და იმახსოვრებენ [11].

კვლევამ წარმოაჩინა, რომ ბარის სვანებში სისხლის ალების იდეოლოგია გაცილებით უფრო აქტიურია, ვიდრე მისი პრაქტიკა. ბარში სისხლით შურისძიების მცირე შემთხვევები გვხვდება; ხოლო, რაც შეეხება სვანთა დამოკიდებულებას, მათ მნიშვნელოვან ნაწილს თეორიულად სისხლის ალების ჩვეულება დასაშვებად მიაჩნია („თუ მომიკლავენ ნათესავს, იმას შევარჩენ?“). ერთი მხრივ, სისხლის ალების პრაქტიკულად შემცირება და, მეორე მხრივ, სისხლის ალების იდეოლოგიის მდგრადობა შემდეგი მიზეზებით შეიძლება აიხსნას: მიგრირებული სვანი მოსახლეობა, უმეტეს შემთხვევაში, კომპაქტურად და იზოლირებულად სახლობს. მათი ქვემო ქართლში გადასახლება ეკოლოგიური კატასტროფების გამო მოულოდნელი და დაუგეგმავი იყო. ეს იყო მძიმე და მტკივნეული იძულებითი მიგრაცია. ისინი აღმოჩნდნენ არაქართველი მოსახლეობის გვერდით, ვინც სინამდვილეში უმრავლესობას წარმოადგენდა რეგიონში და ვისაც შენარჩუნებული ჰქონდა თავიანთი ეთნიკური და კულტურული იდენტობა (ენა, რელიგია, ტრადიციები). ფაქტობრივად სვანები

უცხო ეთნიკურ და კულტურულ გარემოცვაში მოხედნენ. ეს აძლიერებდა ებრაული მიგრანტების სრაფვას მყარი ადგილი დაემკვიდრებინათ ამ ჯგუფებს შორის და დაეფიქსირებინათ თავიანთი ეთნიკური იდენტობა. იდენტობის შენარჩუნების საჭიროებამ გაააქტიურა ჯგუფის თავდაცვითი მექანიზმები, რაც გულისხმობდა ყოფითი ტრადიციების და ტრადიციული ქცევითი სტერეოტიპების დაცვასა და შენარჩუნებას. ისტორიულად და ტრადიციულად, სვანებს არ ჰქონიათ სისხლის ალების პრაქტიკა იმ ხალხებთან, ვის მეზობლადაც ისინი ბარში აღმოჩნდნენ. ამ ინსტიტუტის არსებობა ქვემო ქართლში არც ერთ ჯგუფში აღარ ფიქსირდება, გარდა ხევსურებისა, და ისიც, იშვიათად. ამავდროულად, საკმაოდ დიდია საოჯახო და საგვარეულო ურთიერთობების მნიშვნელობა სვანთა ყოფაში. თითქმის ყველა სვანს, ვინც ბარში გადასახლდა, შენარჩუნებული აქვს კავშირი თავიანთ კუთხესთან, ტრადიციულ სვანურ გარემოსთან, ნათესავებთან; ზოგიერთმა მათგანმა სვანეთში ახალი სახლი აიშენა ან ძველი აღადგინა, ზოგმა იქ ბიზნესიც კი წამოიწყო. ამდენად, მთასა და ბარში მცხოვრებ სვანთა ტრადიციებს შორის წყვეტა არ მომხდარა. ცხადია, რომ სვანების მიგრაციამ, თავის დროზე ქვემო ქართლში სისხლის ალების ჩვეულების ინსპირაცია მოახდინა. დღეს ბარის პირობებში სისხლის ალების პრაქტიკა თანდათანობით იშვიათი ხდება, თუმცა ამ ფენომენს სვანთა მენტალობაში კვლავ აქვს ფესვები გადგმული.

წყაროები და ლიტერატურა:

1. გაბლიანი ე., ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი, 1925.
2. დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, 1960.
3. კეკელია მ., ეროვნული ტრადიციების სოციალური ფუნქცია, თბილისი, 1989.
4. მაკალათია ს., ხევი, თბილისი, 1934.
5. მაკალათია ს., ხევსურეთი, თბილისი, 1935.
6. ტრიერი ტ., ტურაშვილი მ., ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება. არსებული პრობლემის გადაწყვეტა თუ ახლის შექმნა? ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006, ECMI monografia #6 http://www.ecmicaucasus.org/upload/publications/monograph_6_en.pdf. 2007.
7. ხარაძე რ., ხევსურული რჯული, ანალები, თბილისი, 1947.
8. ხარაძე რ., ხევსურული ანდრეზი - ხალხური სამართლის წყარო, მიმომხილველი, ტ. II, თბილისი, 1951.
9. ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, ტფილისი, 1929.
10. ჯალაბაძე ნ., საველე მასალები, წალკის რაიონი (აუდიო ჩანაწერები), 2008.
11. ჯალაბაძე ნ., საველე მასალები, დმანისი/ბოლნისის რაიონი (აუდიო ჩანაწერები), 2009.
12. ჯალაბაძე ნ., საველე მასალები, მარნეული/გარდაბნის რაიონი (აუდიო ჩანაწერები), 2010.
13. ჯალაბაძე ნ., საველე მასალები, მესტიის რაიონი (აუდიო ჩანაწერები), 2010.



ON THE PROBLEM OF PRESERVATION OF TRADITIONAL LAW IN KVEMO KARTLI (THE CUSTOM OF BLOOD FEUD)

Summary

The article discusses the problem of blood feud in the multi-ethnic region of Kvemo Kartli, where its resurgence is related to the migration of Svans since the 1980s. It seeks to explain the causes of preservation and sustainability of the custom among the Svan migrants.

After migration in Kvemo Kartli, Svans appeared to live in the neighbourhood of ethnic minority groups (Azeris, Armenians, Greeks, etc.) which have preserved their ethnic and cultural identity. These conditions increased the Svan's inclination to establish their place among these groups and firmly define their ethnic identity. The necessity to survive in alien surroundings activated the group's self-defence mechanisms. This focus on preserving the Svan identity facilitated the preservation of traditional practices of everyday life and traditional behavioural stereotypes. Hence, the preservation of the institution of blood feud until recent times is an important element of self-preservation of the group. This situation caused a relative reduction in the number of blood feud cases, on the one hand, and the survival of the blood feud custom among the lowland Svans, on the other.

One of the reasons of preservation of the custom of blood feud and its ideology could also be the fact that almost all Svans residing in Kvemo Kartli have retained close ties with their home region and remain in contact with the traditional Svan environment.

Deminition of blood feud cases among the lowland Svans claims that the ideology of blood feud is more vital than the practice itself.

НАТИА ДЖАЛАБАДЗЕ

К ВОПРОСУ О СОХРАННОСТИ ТРАДИЦИОННОГО ПРАВА В КВЕМО КАРТЛИ (ОБЫЧАЙ КРОВНОЙ МЕСТИ)

Резюме

В данной статье рассматривается проблема кровной мести в мультиэтническом регионе Восточной Грузии Квемо Картли, где его возрождение связано с миграцией сванов из горного региона с 1980-их годов. Автор стремится объяснить причины сохранения и устойчивости обычая среди мигрантов из Сванети.

После миграции в Квемо Картли, сваны оказались в окружении этнических меньшинств (азербайджанцев, армян, греков и др.), которые сохранили свою этническую и культурную самобытность. Эти условия увеличили стремление

სვანთა უნდა დასტურდეს მათი ადგილი და მათი ეთნიკური იდენტურობა. აუცილებელია დასტურდეს მათი ადგილი და მათი ეთნიკური იდენტურობა. აუცილებელია დასტურდეს მათი ადგილი და მათი ეთნიკური იდენტურობა. აუცილებელია დასტურდეს მათი ადგილი და მათი ეთნიკური იდენტურობა.

Одна из причин сохранения обычая кровной мести и ее идеологии также может быть тот факт, что почти все сваны проживающие в Квемо Картли сохранили тесные связи со своим родным регионом и остаются в контакте с традиционной сванской средой.

Уменьшение случаев кровной мести среди сванов, проживающих в районах Восточной Грузии утверждает, что идеология кровной мести является более активным, чем сама практика.

გიჟიკო დინასიძე

ქრისტიანული საკულტო ძეგლები სხალთა-ხინანის ხეობაში

ბერძნულ-რომაული და ქართული წერილობითი წყაროებით, რომლებსაც მხარს უჭერს არქეოლოგიური, ზეპირსიტყვიერი და ტოპონიმიკური მასალებიც, ქრისტიანობა აჭარის ტერიტორიაზე ქრისტეს პირველმოციქულთა ხანაში გავრცელდა. აქ აიგო პირველი ეკლესიაც. მოგვიანებით, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, IV საუკუნის შუახანებში, როცა საეპისკოპოსოები ჩამოყალიბდა, აჭარა ტერიტორიულად **თუხარისის** სამწყსოში შედიოდა [16: 4]. V-VI საუკუნეებში საეპისკოპოსოთა რაოდენობა გაიზარდა. თუხარისის სამწყსოს ადგილი ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულმა ახიზის საეპისკოპოსომ დაიკავა და აჭარაც ამ საეპისკოპოსოში შევიდა, თუმცა პ. ინგოროყვას მტკიცებით, აჭარა VI საუკუნიდან პეტრას საეპისკოპოსოში უნდა ყოფილიყო გაერთიანებული. იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროის აჭარის ბარის ტერიტორია (ქობულეთ-ბათუმის მხარე გონიო-აფსაროსამდე) ეგრისის ქართულ სახელმწიფოში შედიოდა, ხოლო აჭარისწყლის ხეობა (მთიანი აჭარა) – ქართლში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბარის აჭარა პეტრას საეპისკოპოსოს სამწყსოში იქნებოდა გაერთიანებული, ხოლო მთიანი აჭარა-ახიზის საეპისკოპოსოში. მალე ეს ტერიტორიები ანჩის ეპარქიის საზღვრებში მოექცა [16: 4]. X-XI საუკუნეებში განხორციელებული საეკლესიო რეფორმით, „ძველი“ საეპისკოპოსოების „ახლით“ შეცვლის ხანაში, რაც საქართველოს გაერთიანების პროცესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ბარის აჭარა ხინოს საეპისკოპოსოს ფარგლებში ჩანს, მთიანი აჭარა კი ტბეთის საეპისკოპოსოს საზღვრებში [4: 179].

XI საუკუნის დასაწყისიდან მთიანი აჭარის საერისთავოს აბუსერისძეთა საგვარეულო განაგებდა. ფართოდ გაიშალა აქ საეკლესიო მშენებლობა. თითქმის არც ერთი სოფელი არ დარჩენილა საეკლესიო ნაგებობის გარეშე, ზოგან ორი ეკლესიის ნანგრევებიცაა დაფიქსირებული (ორთახოხნა, სალორეთი, დარჩიძეები) [3: 365].

წარმოდგენილი ნაშრომი ამ ეპოქაში აშენებული ეკლესიების დათარიღებას (თხილვანის იოვანე მახარებლის ეკლესია) და სტატუსის (უფლებრივი მდგომარეობის) დადგენას (სხალთის ეკლესია) ეძღვნება.

თხილვანის იოვანე მახარებლის ეკლესიის არსებობის შესახებ საზოგადოებაში იცოდა აბუსერისძე ტბელის თხზულებიდან „ახალი სასწაულნი წმიდა გიორგისნი“. ბოლო წლებამდე იგი ითვლებოდა ტბელ აბუსერისძის დის –

ვანენის მიერ აშენებულად და XIII საუკუნით იყო დათარიღებული [14: 50-51; 9: 62], მაგრამ 2008 წელს, შესაბამის არგუმენტებზე დაყრდნობით, პროფ. შ. მამულაძემ ეს ძეგლი XI საუკუნეში აშენებულად მიიჩნია [10: 243]. გასარკვევი დარჩა ჯერ ერთი, ამ ძეგლთან დაკავშირებული წერილობითი წყაროების შეუსაბამობის საკითხი, რაც ადრევე ეჭვის ქვეშ აყენებდა ძეგლის XIII საუკუნით დათარიღებას და მეორე, თუ ძეგლი XI საუკუნით თარიღდება, მაშინ სად უნდა ვეძებოთ ტბელი აბუსერისძის ნაშრომში მითითებული ვანენის მიერ აშენებული იოვანე მახარებლის ეკლესია.

აბუსერისძე ტბელი, თხზულების „ახალნი სასწაულნი წმიდა გიორგის-ნის“ „ანდერძში“ წერს, რომ მისმა დამ – ვანენმა „ეკლესიად აღაშენა წმინდისა იოვანე მახარობლისაი და ღმრთისმეტყუელისაი, სამკვიდრებელი ჩუენი, და აღავსო სანყაული კეთილი“ [1: 68], რაც აშკარას ხდის, რომ თხილვანაში, აბუსერისძეთა ფეოდალური გვარის სამკვიდრო სოფელში ეკლესია უნდა ყოფილიყო.

ამ აზრის ერთგვარ დადასტურებად იქცა 1948 წელს სოფელ თხილვანაში დ. მამულაძის მიწის ნაკვეთში წარწერიანი ბალავრის ქვის ნაწილის აღმოჩენა. წარწერა შემდეგი შინაარსისა იყო: „ქრისტე, წმიდაო იოვანე მახარებელო, დაიცავენ სულითა და ხორცითა ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დედოფალი ვანენი და ძე მათი ზაქარია და შვილნი მათნი და ყოველი ერი მათი და მოიხაიძნენ ექმნენ დღეს ამისა სასჯელისა ნუ დასჯი ამინ“ [9: 64-65]. როგორც წარწერიდან ჩანს, ეკლესია იოვანე მახარებლის სახელობის ყოფილა. მოხსენიებული არიან ერისთავთ-ერისთავი აბუსერი, მისი მეუღლე ვანენი, ძე მათი ზაქარია და შვილნი მათნი. მოგვიანებით ამ ბალავრის ქვიდან 50 მეტრის დაშორებით, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1978-1979 წლებში გათხარა სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც მიწნულ იქნა ტბელის დის ვანენის მიერ აგებულ ეკლესიად, მაგრამ ყველა ამჩნევდა წერილობითი წყაროების მონაცემთა შეუსაბამობას: ტბელის თხზულების მიხედვით ეკლესიის ამშენებლად მწერლის და – ვანენია, რომელიც ერისთავთ-ერისთავ აბუსერ III-ის დაცაა, ხოლო 1949 წელს აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლში მოხსენიებული არიან ერისთავთ-ერისთავი აბუსერი, მისი მეუღლე ვანენი და ძე მათი ზაქარია. გამოდის, რომ წერილობით წყაროებში სხვადასხვა პირებზეა ლაპარაკი: ტბელის თხზულების მიხედვით ვანენი აბუსერის დაა, ხოლო ეპიგრაფიკული წყაროს მიხედვით – მეუღლე. ამ უხერხულობის მოსახსნელად პროფ. ი. სიხარულიძე დასაშვებად თვლიდა, რომ ეპიგრაფიკულ ძეგლში მოხსენიებული ვანენი ტბელის ძმის აბუსერის მესამე ცოლი ყოფილიყო, რადგან „ანდერძში“ პირველი ორი ცოლი (თამარი, ვახახი) გარდაცვლილი ჩანან. „ეტყობა, – წერდა ი. სიხარულიძე, ვანენი აბუსერისძეთა სახლში XIII საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში, „ანდერძის“ შედგენის შემდეგ უნდა იყოს შეყვანილი“ [14: 64]. არადა, თვითონ ი. სიხარულიძე ეკლესიას XIII საუკუნის 20-30 წლების მიჯნაზე აგებულად თვლიდა [9: 50-51], რაც თავისთავად გამორიცხავს დაშვებულ ვარაუდს, რადგან ადრე აგებული ეკლესიის ბალავრის ქვაზე წარწ-

ერაში აბუსერისძეთა ოჯახში გვიან (30-იანი წლების შუა ხანებში) შესული რძალი ვერ მოხვდებოდა. ამიტომ უფრო მისაღებად მიგვაჩნია ის აზრი, რომ ეს ორი წყარო განსხვავებულ ამბებზე მოგვითხრობს და ეპიგრაფიკული ძეგლი XI საუკუნის შუა ხანების მოღვაწის აბუსერ II ხანას უნდა ეკუთვნოდეს, რომელსაც შვილ – ზაქარიასთან ერთად აბუსერისძეთა გენეალოგიაში IV-V თაობებად მიიჩნევენ [19: 6].

თუ ამ ყველაფერს სარწმუნოდ ჩავთვლით, მაშინ ჩვენთვის ცნობილი თხილვანის ეკლესია აგებულად უნდა ჩაითვალოს ერისთავთ-ერისთავ აბუსერ II (Xს.) დროს და სრულიად კანონზომიერი ჩანს ბალაერის ქვაზე წარწერაში მისი და მისი ოჯახის წევრთა მოხსენიებაც (დედოფალი ვანენი და ძე ზაქარია).

გასარკვევი რჩება კიდევ ერთი საკითხი. თუ აქამდე ტბელის დის – ვანენის აშენებულად მიღებული ეკლესია XI საუკუნის II ნახევარშია აშენებული, მაშინ სად უნდა იყოს ვანენის მიერ აშენებული ეკლესია? შეიძლება თუ არა ერთ სოფელში აეგოთ ორი ეკლესია იოვანე მახარებლის სახელზე? (ორივე წერილობით წყაროში ეკლესია იოვანე მახარებლის სახელობისაა).

ასეთ პირობებში უფრო სავარაუდოა, რომ ტბელის და – ვანენი XI საუკუნეში აგებული იოვანე მახარებლის ეკლესიის აღმდგენელ-განმაახლებელად მივიჩნიოთ, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ტბელის თხზულებაში [5: 41-42]. ვფიქრობთ, ეს არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ძირითად ხაზსა და შინაარსობრივ დატვირთვას, რადგან მწერლის მიზანს თხილვანის ეკლესიის მშენებლობის ისტორიის ასახვა კი არ წარმოადგენდა, არამედ „მოსახსენიებელში“ მისი ახლობლების ღვთისმოსავობისა და ქველმოქმედების ჩვენება, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მწერალმა დანგრეულ-დაზიანებული ეკლესიის აღდგენა მხატვრულ-ლიტერატურულ სტილში, ახლადაშენებულად წარმოადგინა. ეს მით უფრო სავარაუდოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველქართულში „აშენება“ განახლება-აღდგენას და შემკობასაც ნიშნავდა („აშენება-შენობის ქნა, გინა გამდიდრება;“) [15: 46]. მით უმეტეს, რომ ჩვენთვის ცნობილია XII საუკუნის 90-იან წლებში ხიხანში განვითარებული რთული პოლიტიკური მოვლენები: მწერლის მამის — ერისთავთ-ერისთავ ივანეს დაღუპვა „თურქთა ხელითა“, მწერლის პაპის აბუსერისა და მისი ძმის, სანანოს ვაჟკაცობა“ მტერთა ზედა გაცემული ხიხანის გამოხსნა-დაბრუნებაში და სხვა. არაა გამორიცხული ამ ამბების დროს დანგრეულ-დაზიანებულიყო XI საუკუნის მეორე ნახევარში აგებული თხილვანის იოვანე მახარებლის ეკლესია და იგი აღედგინა ტბელის დას – ვანენს [5: 42].

ვიდრე სხვა სარწმუნო ცნობებს მოვიპოვებდეთ, უკეთესი ახსნა არ ეძებნება წერილობით წყაროებში (ბალაერის ქვაზე წარწერა, მოსახსენებელი) არსებულ შეუსაბამობას და ერთ სოფელში ორი ეკლესიის აგებას ერთი პირის სახელზე.

უფრო გვიან (XIII საუკუნეში) აგებულად ითვლება ჩვენამდე თითქმის პირვანდელის სახით მოღწეული *სხალთის ეკლესია*, რომელსაც, როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მძიმე უამს, XVII ს-ში მოუწია ეპარქიის

ცენტრობაც. სწორედ ამ საკითხზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

სხალთის ეკლესიის არსებობის შესახებ სამეცნიერო საზოგადოებამ მხოლოდ XIX საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ გაიგო, როცა ცნობილმა მკვლევარმა დ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. მკვლევარი ძეგლის შესახებ წერდა: „ეკლესიის სტილი მოგვაგონებს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების საუკეთესო ეპოქას, სახელდობრ, X-XIII საუკუნეებს. მთელი მხატვრობა და განსაკუთრებით უკანასკნელი ფრესკები ოსტატურად არის შესრულებული, მათში ნატამალიც არ არის საღებავების იმ სიჭრელისა და ბრჭყვიანისა, რაც ასე შაოცებდა შემდეგ გურიის ძველ ეკლესიებში“ [2: 57].

ასეთი ხუროთმოძღვრული სტილისა და მხატვრობის მქონე ტაძრის შესახებ XIX ს-ზე ადრინდელი ცნობები არ შემონახულა, გარდა ზეპირი გადმოცემებისა, რომლებიც ასახულია დ. ბაქრაძის, გ. ყაზბეგის, ზ. ჭიჭინაძის, თ. სახოკიას და სხვათა ნაშრომებში.

XIV საუკუნიდან, ჯერ თემურ ლენგის, შემდეგ ირან-ოსმალეთის შემოსევებმა შეცვალა სრულიად საქართველოს და მისი ცალკეული მხარეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მათი როგორც ადმინისტრაციული, ისე საეკლესიო ეპარქიათა საზღვრები. მაგალითად, თუ XVI საუკუნის წყაროში „კათალიკოზის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში“ სამცხეში 13 ეპარქიაა დასახელებული, ცნობილი მკვლევარის მ. თამარაშვილის წიგნში „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ შეტანილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათედრო ტაძრებისა და ეპარქიების სიის მიხედვით, სამცხის ეპარქიათა რაოდენობა გაზრდილია 19-მდე. ახალ ეპარქიათა შორის ორი აჭარიდანაა: სხალტის იოვანე მახარებლის საკათედრო ტაძარი ეპისკოპოსის ზედწოდებით „სხალტელი“ და ევფრატის წმიდა ლეთისმშობლის საკათედრო ტაძარი ეპისკოპოსის ზედწოდებით – „ევფრატელი“ [8: 470].

მ. თამარაშვილის თქმით, საკათედრო ტაძრებისა და ეპარქიების ეს სია შედგენილია თეატინელი კათოლიკე მისიონერის *არქანჯელო ლამბერტის* მიერ, რომელიც საქართველოში მოღვაწეობდა 1630-1649 წლებში.

ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე, ქართლსა და სამეგრელოში ყოფნისას, იგი საფუძვლიანად გაეცნო ქართველთა ყოფასა და სარწმუნოებას, დაუახლოვდა როგორც საერო ხელისუფალთ, ისე მაღალ საეკლესიო პირებს [8: 181-185]. მ. თამარაშვილის თქმით, „იგი არამარტო იცნობდა ქართველ ეპისკოპოსთა უმრავლესობას, არამედ ბევრი კათოლიკურ მრწამსზედაც კი მოაქცია“ [8: 467]. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას და ნდობას იმსახურებს მის მიერ შედგენილი ქართლის, კახეთის, სამცხის და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ეპარქიათა სიები. მ. თამარაშვილი წერს: „ვინაიდან ეპისკოპოსებს რეზიდენცია, ჩვეულებისამებრ, მონასტერში ჰქონდათ, ამის გამო ძველ საეპისკოპოსთა უმრავლესობა სოფლებსა და მთებში იყო მოთავსებული. ეპისკოპოსებსა და ეპარქიებს სახელწოდება ერქმეოდათ ეპისკოპოსთა

რეზიდენციის, ან იმ წმინდანთა სახელის მიხედვით, რომელთაც საკათედრო ტაძარი განეკუთვნებოდა“ [8: 467]. შემდეგ მ. თამარაშვილს მოცემული აქვს ა. ლამბერტისეული სიები საკათედრო ტაძრებისა და შესაბამისი ეპარქიებისა [8: 469-470]. ქართლში – 21 ეპარქიაა დასახელებული, კახეთში – 20, დასავლეთ საქართველოში – 17 (სამეგრელოში – 10, აფხაზეთში – 4, გურიაში – 3); სამცხეში – 19.

წყაროში სამცხის საკათედრო ტაძრები და ეპისკოპოსთა ზედწოდებები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: 1. წმინდა იოანე მახარებლის – სხალტელი; 2. წმინდა ღვთისმშობლის – ევფრატელი; 3. წმინდა მთავარანგელოზის – აზილაკელი; 4. წმინდა სუდარის – ანჟელი; 5. წმინდა იოანე ნათლიმცემლის – სხალტბელი; 6. წმინდა ღვთისმშობლის – ტბელი; 7. წმინდა მოციქულთა – სურწყალელი; 8. წმინდა ღვთისმშობლის – მანყვერელი; 9. წმინდა ღვთისმშობლის – მანყვერელი; 10. წმინდა ღვთისმშობლის – ქარელი; 11. წმინდა ღვთისმშობლის – ანელი; 12. წმინდა ღვთისმშობლის – იშხნელი; 13. წმინდა ანდრიას – ისპირელი; 14. წმინდა ბართლომეს – ართვინელი (ტექსტში ართონელი); 15. წმინდა ბართლომეს – ისკმელი; 16. წმინდა პეტრეს – ოლთელი (ტექსტში ორთელი); 17. წმინდა თომას – არზრუმელი; 18. წმინდა ღვთისმშობლის – კუმურდოელი; 19. წმინდა ღვთისმშობლის – ერუშნელი (ტექსტში ურუშმელი).

როგორც ვხედავთ, სამცხის საკათედრო ტაძრებისა და ეპისკოპოსთა ზედწოდებების სიაში პირველ ნომრად სხალტელია დასახელებული.

ვფიქრობთ, აქ საუბარია სხალთის ეკლესიაზე და მისი ეპისკოპოსის ზედწოდებაზე, მაგრამ ასეა კი? სხალტა და სხალთა ერთი და იგივეა? ან დღეს სხალთის ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა, ხოლო წყაროში – წმინდა იოვანე მახარებლის, როგორ აეხსნათ ყოველივე ეს?

დავინწყით იმით, რომ სხალტის სახელწოდებით სხვა ეკლესია არაა ცნობილი. რაც შეეხება სახელწოდებაში თ-ს ნაცვლად ტ-ს ხმარებას, ვფიქრობთ, ლათინურში თ-ს არარსებობის გამოა ასე. ამასთან, სიაში მეორე ნომრად მეზობელი მხარის მაჭახლის დედა ეკლესია (ევფრატის) მოხსენიებული და საეჭვოა, რომ არარსებული საკათედრო ტაძრები ავტორს სიის თავში მოეთავსებინა.

სარწმუნო ახსნა ეძებნება საკათედრო ტაძრის სახელწოდებასაც. ღვთისმშობლის სახელი ტაძარს XIX საუკუნიდან მიენიჭა, როცა დ. ბაქრაძემ რუსულ ენაზე 1878 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოაქვეყნა ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, სადაც მკითხველს მოუთხორო ამ ეკლესიის შესახებ. რადგან ეკლესიის ძველი სახელწოდება მაშინ არ იყო ცნობილი, შესასვლელის მარჯვენა მხარეს მკაფიოდ გამოსახული ღვთისმშობლის ფრესკის (ხატის) საფუძველზე ეს სახელი მიეცა მას. რაც შეეხება წყაროში მოცემულ სახელწოდებას (იოვანე მახარებელი), ცნობილია, რომ ტბელების ფეოდალურ სახლში დიდი პატივისცემით სარგებლობდა იოვანე მახარებელი, მის სახელზე აგებდნენ ეკლესიებს (თხილვანის იოვანე მახარებლის ეკლესია), იოვანეთა სახელზე შექმნა წმინდა ტბელმა საგალო-

ბლები [19: 4] და სრულიად მისაღებად ჩანს აბუსერისძეთა ძლიერების ხანაში, XIII საუკუნეში, სხალთაში აგებულ იყო იოვანე მახარებლის სახელობის ეკლესია.

მართალია, ჯერჯერობით ეპისკოპოსს ან სხვა სასულიერო პირს სხალთელის ზედწოდებით არ ვიცნობთ, მაგრამ ყურადღებას იმსახურებს დ. ბაქრაძის ნიგნში მოტანილი ერთი ზეპირსიტყვიერი მასალა, რომელიც სხალთის ეკლესიას ეხება. ავტორი წერს: „ზოგი ადგილობრივი მოხუცი მარწმუნებდა, თითქოს სხალთის ეკლესია საეპისკოპოსო ყოფილიყოს“ [2: 57]. ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1874 წელს გ. ყაზბეგი წერდა: „ერთნი ამბობენ, აქაური მცხოვრებლები უკანასკნელ ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად იმერეთში გადასახლდნენ და ეკლესიიდან თან წაიღეს წმინდანთა ხატები, მეორენი კი ამტკიცებენ, მოსახლეობა ადგილობრივ ციებიან ჰავას გაექცაო“ [17: 41]. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ხალხის მეხსიერებამ შემოინახა ინფორმაცია სხალთაში ოდესღაც საეპისკოპოსოს არსებობის შესახებ? ამ ეჭვს ამყარებს სხალთის ეკლესიის გრანდიოზულობა, მოხატულობის მაღალი დონე, მათი გააზრების სიღრმე და მისი დაცვის მიზნით გაგრცელებული და დღემდე შემონახული ხალხური გადმოცემები [12: 301].

იქნებ ყველაფერმა ამან დაიცვა დღემდე მეტნაკლებად პირვანდელი სახით სხალთის ტაძარი, იქნებ ამანაც განსაზღვრა ის, რომ ეპარქიას ჩვენს დროში სხალთის სახელი დარქმეოდა („მდინარე თავის კალაპოტს უბრუნდება“).

ვიფიქრობთ, კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის მიერ XVII საუკუნის 30-40 იან წლებში შედგენილი საკათედრო ცენტრებისა და ეპარქიების სია იძლევა იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში, ფუნქციონირებდა სხალთის ეპარქია და მისი ეპისკოპოსის სახელწოდება იყო „სხალთელი“, [6: 39], მაგრამ როდის? ერთი კი ვიცით, რომ მეფე ალექსანდრე პირველის (XVს.) გუჯრით სოფელი სხალთა მცხეთის საპატრიარქო კათედრის კუთვნილებად იყო აღიარებული [2: 57], მაგრამ არც XV და არც XVI საუკუნის დასაწყისის სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სიაში სხალთის ეპარქია არ ჩანს. ამასთან, XVI საუკუნის დასაწყისის წყაროში ცამეტი ეპარქიაა მოხსენიებული, ა. ლამბერტის სიით კი (XVIII-ის 40-იანი წლები) 19 ეპარქია ჩანს, რამდენიმე სრულიად ახალი სახელებით (სხალტელი, ევფრატელი, არზრუმელი და ა.შ.). ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ XVI საუკუნის შუა ხანებიდან, როცა ოსმალებმა დაიკავეს სამცხე, ძველ ეპარქიათა საზღვრები დავიწროვდა, ზოგიც შეიცვალა. ასევე მათი მართვის გაადვილების და მრევლის შენარჩუნების მიზნით შეიქმნა ახალი ეპარქიებიც. სწორედ ამ პერიოდს ხომ არ ასახავს ა. ლამბერტისეული სია? ა. ლამბერტი ხომ სწორედ ამ უმძიმეს ხანაში (XVIII-ის 30-40იანი წლები) იყო საქართველოში. სხვაგვარი ახსნა არ ეძებნება ა. ლამბერტისეულ სიას. იგი ხომ უსაფუძვლოდ არ შეიქმნებოდა. ანდა, მ. თამარაშვილი, ეკლესიის ისტორიის ეს ცნობილი მკვლევარი, შეიტანდა კი მას თავის ნიგნში, რომ ეს ინფორმაცია უმნიშვნელოდ და უსაფუძვლოდ ჩაეთვალა?



ყველა ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნველო ლამბერტისული საკათედრო ტაძრებისა და ეპარქიების სიის სახით, ჩვენ საინტერესო ცნობა გვაქვს სხალთის ეკლესიის ძველი სახელისა და აქ ეპარქიის ცენტრის არსებობის შესახებ. იგი საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ვთქვათ, სხალთის ეპარქიის ისტორია იწყება არა 1995 წლიდან, როცა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის გაყოფის საფუძველზე წარმოიშვა ბათუმ-სხალთის ეპარქია, ან 2006 წლიდან, როცა ბათუმ-სხალთის ეპარქიის გაყოფით შეიქმნა სხალთის ეპარქია, არამედ XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან მაინც, როცა ამ ეპარქიათა სიებს ქმნიდა არქანჯელო ლამბერტი.

წყაროები და ლიტერატურა:

1. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს: ნ. გოგუაძემ, მ. ქავთარიამ და რ. ჩაგუნავამ ბათუმი, 1998.
2. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა ა.ტოტოჩავამ, ბათუმი, 1987.
3. ბ. დიასამიძე, ისტორიული ეტიოდები, ბათუმი, 2009.
4. ბ. დიასამიძე, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-Xსს.), ბათუმი, 2001.
5. ბ. დიასამიძე, თხილვანის ეკლესიის დათარიღებისათვის. კრ.: „ჩვენი სულიერების ბალავარი“, №2010.
6. ბ. დიასამიძე, სხალთის ეკლესიის წარსულიდან, კრ.: „ჩვენი სულიერების ბალავარი“ III, 2011.
7. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1974.
8. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.
9. შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი, 2000.
10. შ. მამულაძე, ნ. ვერულაშვილი, თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესია. წგ.-ტბელობა, 2008.
11. მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XXსს. თბ., 1995.
12. თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.
13. ი. სიხარულიძე, ნათელი დაულამბებელი, ბათუმი, 1979.
14. ი. სიხარულიძე, ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, ბათუმი, 1981.
15. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949.
16. ლეთიკურთხეული ბათუმისა და სხალთის ეპარქია, ბათუმი, 2004.
17. გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნეს, კომენტარები და საძიებლები დაურთეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა, ბათუმი, 1995.
18. მ. ჭიჭილეიშვილი, სხალთის ეკლესიის მოხატულობა, ბათუმი, 2010.
19. რ. ხალვაში, გალობანი წმინდათა იოვანეთა, ბათუმი, 1992.

BICHIKO DIASAMIDZE

**CHRISTIAN RELIGIOUS MONUMENTS IN SKHALTA-KHIKHANI
GORGE**

Summary

There are many Christian religious monuments in Skhalta-khikhani Gorge. Among those monuments the tribal feudal church of Abuseridzeta in Tkhilvana and Skhalta church (that come to us in its initial appearance) deserve special attention. The aim of the given thesis is to date the first one and to define the status of the second one. Until the last few years the tribal feudal church of Abuseridzeta was dated to the 13th century, but by comparing the written and epigraphic documents the author concludes that the church was built in the middle of the 11th century, during the rule of Abuser II.

The Skhalta church is the 13th century monument. On basis of written documents the author asserts that in the 30-s of the 17th the Skhalta church became the center of eparchy, its archbishop was known as "Skhalteli" and the temple was named after John the Evangelist.

The author suggests dating the history of Skhalta Eparchy from the 30-s of 17th and not from 3rd millennium, when in 2006 after dividing Batumi-Skhalta Eparchy the Skhalta Eparchy was formed.

БИЧИКО ДИАСАМИДЗЕ

**ХРИСТИАНСКИЕ КУЛЬТОВЫЕ ПАМЯТНИКИ В АДЖАРИИ
(СХАЛТА-ХИХАНСКОЕ УЩЕЛЬЕ)**

Резюме

На территории Аджарии, Схалта-Хиханское ущелье находятся множество христианско-культовые памятники, датируемые средними веками. Среди них особо привлекают церковь принадлежащая известному Грузинскому феодальному роду Абусалидзе в местечке Тхиввали и церковь называющаяся Схалтинской.

Целью автора настоящей статьи является точная датировка первого памятника и определение статуса второго. После Скрупулёзного изучения дошедшего до наших дней – в том числе и эпиграфического – материала, автор приходит к заключению, что церковь принадлежащая представителям рода Абусеридзе построена в XI веке. Что-же касается Схалтинской церкви, на основе рассмотрения обширного исторического материала заключается, что церковь построена в XIII веке и с 30-х годов XVII века является центром Схалтинского Епископства. С 2006 года, после раздела упомянутого Епископства, образовалось отдельная Схалтинская Епархия.

თაო ჯალალანი

ექსტერიერის გადაწყვეტის საკითხები შუა საუკუნეების ქართულ და ბიზანტიურ არქიტექტურაში

შუა საუკუნეების არქიტექტურა ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. თანამედროვე ეპოქაში, როდესაც გლობალიზაციის ფონზე ეროვნული ხელოვნების, მისი თვითმყოფადობის საკითხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, უაღრესად აქტუალური ხდება ხელოვნების ნაციონალური ხასიათისა და ფორმის პრობლემები. ამჯერად განვიხილავთ ეროვნული ფორმის ზოგიერთ საკითხს, კერძოდ კი საკულტო არქიტექტურის ძეგლთა ექსტერიერის გადაწყვეტისადმი მიდგომას და მის კავშირს გარემოსთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ექსტერიერის საკითხი ქართულ შუასაუკუნეობრივ არქიტექტურაში უაღრესად მკაფიოდ იყო დასმული და გადაწყვეტილი. ამ ფაქტზე ყურადღების განსაკუთრებული აქცენტირება იმიტომაც არის აუცილებელი, რომ, როგორც ცნობილია, საზოგადოდ ქრისტიანული არქიტექტურისთვის ინტერიესი ამ პრობლემისადმი ყოველთვის და ყველგან არ არის ერთნაირად დამახასიათებელი, რაც განსაკუთრებით ეხება ადრეულ პერიოდებს. პირიქით, განსხვავებით უძველესი დროის წარმართულ არქიტექტურათაგან (მაგ., ეგვიპტე, საბერძნეთი, შუამდინარეთი და სხვ.), სადაც რელიგიური რიტუალების ჩატარების სპეციფიკა ტაძრის ძირითადად გარედან აღქმას მოითხოვდა, ქრისტიანულმა ხუროთმოძღვრებამ უმთავრესი ყურადღება გადაიტანა ინტერიერის პრობლემის გადაწყვეტაზე, სადაც მორწმუნენი იკრიბებოდნენ.

„ბერძნულ-რომაული ტაძარი ღვთაების ქანდაკების საცხოვრებელს წარმოადგენდა და წმინდათაწმინდაში შესვლის უფლება მხოლოდ ქურუმებს ჰქონდათ. მორწმუნენი არ მონაწილეობდნენ რელიგიურ ცერემონიებში, არამედ გარედან ადევნებდნენ მათ თვალყურს. ქრისტიანობამ ფართოდ გააღო ტაძრის კარი და მორწმუნეები ღვთისმსახურების მონაწილეებად აქცია. ამიტომ ბერძნულ ტაძარში ძირითადი დატვირთვა ჰქონდა ექსტერიერს: მაყურებელი ტაძარს ძირითადად გარედან აღიქვამდა. ბიზანტიური ეკლესია კი (განსაკუთრებით ადრეული ხანის), პირიქით, მოკლებული იყო თვალშისაცემ გარეგნულ დეკორს – სამაგიეროდ, მისი შიგა სივრცე ირთვებოდა მოზაიკითა და ფრესკებით, სვეტებითა და თალებით.“ [1]

ანტიკური წარმართული არქიტექტურის უმაღლესი მიღწევა იყო ტაძრის – „ღვთაების სახლის“ – ბრწყინვალედ გადაწყვეტილი ექსტერიერის



სურ. 1.




სურ. 2.

შექმნა, ვინაიდან შენობა აღქმული უნდა ყოფილიყო გარედან, ქანდაკების მსგავსად, ხოლო ბიზანტიურ, ისევე, როგორც საერთოდ შუასაუკუნეობრივ ქრისტიანულ არქიტექტურაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა შიგა სივრცის გაფორმებას.

საერთოდ, ქრისტიანულ ტაძარში ყოველივე განკუთვნილი იყო იმისთვის, რათა მორწმუნეს შექმნოდა ღვთაებრივი, ბრწყინვალე, საზეიმო და ამალღებული განწყობა – ამას ემსახურებოდა დიდებული ინტერიერიც, რიტუალის სილამაზეც, მუსიკაც, ძვირფასი საეკლესიო ნივთებიც, საკმეველის არომატიც – ეს ყველაფერი ერთიან დიდებულ ანსამბლს ქმნიდა და ზეციური მშვენიერების ასახვად აღიქმებოდა.

ეკლესიათა ფასადები კი ხშირად სავსებით მოკლებული იყო მორთულობას (სურ. 1, 2). მაგალითისთვის შეგვიძლია შევხედოთ რომის სანტა კონსტანცას მავზოლეუმის ფასადს (IV ს), რომლის უბრალო, დაუნანვერგებელი გომეტრიული მოცულობები, მძიმე პროპორციები და აგურის სრულიად გლუვი კედლები ძლიერად კონტრასტირებს მის მდიდრულ ინტერიერთან. იმავე პრინციპებს ვხედავთ ბიზანტიური არქიტექტურის ნიმუშებშიც, მაგალითად, რავენის ან სხვა, უფრო გვიანი პერიოდის ძეგლებში (სურ. 3, 4). ამავე დროს, ხაზი უნდა გაუესვათ იმასაც, რომ ასეთი მიდგომა ახასიათებდა არა მხოლოდ უადრეს პერიოდს, არამედ გრძელდებოდა საკმაოდ დიდი ხნის მან-



სურ. 3.



სურ. 4.

ძილზე და მხოლოდ XI საუკუნიდან მოყოლებული ბიზანტიურ არქიტექტურაში თანდათან ჩნდება ინტერიესი ტაძრის ექსტერიერის გადანყვევტისადმი.

„ბიზანტიურ ნაგებობათა ექსტერიერების უკიდურესი უბრალოება და „სიშოშვლე“ გამოწვეული იყო ადრექრისტიანული არქიტექტურის ჩამოყალიბების სპეციფიური პირობებითა და გვიანრომაული ხუროთმოძღვრების ზეგავლენით. შენობათა გარეგნული მხარის დეკორატიული შემკობის ტენდენცია მატულობს მხოლოდ ბიზანტიის არსებობის ბოლო პერიოდში.“ [2]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერიერის მხატვრული გადანყვევტის საკითხის ამკარა დომინირება განპირობებული იყო აგრეთვე ბიზანტიური ღვთისმეტყველების თავისებური მიდგომითაც. ჯერ კიდევ წმინდა მაქსიმე აღმსარებლისა და პატრიარქ გერმანეს შრომებიდან ცნობილია, რომ მართლმადიდებლურ ტაძარს გააჩნია:

ა) კოსმიური სიმბოლიკა – მისი ნაწილები ზეციურ და მიწიერ სფეროებს შეესაბამება;

ბ) ტოპოგრაფიული სიმბოლიკა: ტაძრის ნაწილები წმიდა მიწის გეოგრაფიულ პუნქტებს შეესაბამება;


გ) ლიტურგიულ-ქრონოლოგიური სიმბოლიკა: შესაბამისობა ქრისტიანული ღვთისმსახურების კალენდართან [3]. (ასეთსავე სიმბოლიკაზე, ოღონდ ტაძრის ფერწერულ დეკორთან კავშირში, წერს ოტო დემუსი თავის ნაშრომში „ბიზანტიური მოზაიკური დეკორი“ [4]), მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ, ამის გარდა, ბიზანტიურ თეოლოგიაში პარალელს ავლებდნენ აგრეთვე ტაძარსა და ქრისტიან ადამიანს შორის ანუ ტაძრის ინტერიერი და ექსტერიერი შეესაბამებოდა ქრისტიანის გარეგნობასა და მის შინაგან სულიერ სამყაროს.

„ბიზანტიური ტაძრების თავისებურება მდგომარეობდა კონტრასტში მათ გარეგნულ სახესა და ინტერიერს შორის. ეკლესიის ფასადები გვაოცებს კედლების პირქუში სიგლუვით, რომლებიც, მეტადრე ადრეულ ხანაში, სრულიად მოკლებულია დეკორს. ქრისტიანული ეკლესიის ექსტერიერის უბრალოება ნარმოიშვა, როგორც ანტიკური ტაძრის მდიდრული გარე დეკორის ანტითეზა. ქრისტიანი იდეოლოგები დეკორატიული ელემენტების ასეთ განაწილებას ეკლესიის არქიტექტურაში ხსნიდნენ იმით, რომ ადარებდნენ მას მორწმუნე ადამიანს. მდიდარი სულიერი ცხოვრების მქონე თავმდაბალი ქრისტიანის მსგავსად, ტაძარი, თავისი ექსტერიერით, ხაზგასმულად მკაცრი უნდა ყოფილიყო“ [5].


ყოველივე ზემოდთქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ როგორც რომაულ ადრექრისტიანულ ტაძრებში, ასევე ბიზანტიურ ტაძრებში ექსტერიერის მხატვრული გადანყვევტის პრობლემას, ანტიკური ხანის ძეგლებისაგან განსხვავებით, გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა და ეს მიდგომა არა მარტო რეალურად არსებობდა, არამედ თეორიულადაც საბუთდებოდა ბიზანტიელი ღვთისმეტყველების მიერ. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ძირითადად მნიშვნელოვანია არა მარტო (და არა იმდენად) განსხვავება ქრისტიანული ტაძრის ინტერიერის და მისივე ექსტერიერის მორთულობის სიუხვესა და სიმდიდრეს შორის, არამედ ის, რომ შიგა სივრცის მხატვრული გადანყვევტის

პრობლემა იქ იდგა თავიდანვე, მაშინ როცა ფასადები აღიქმებოდა მხოლოდ, როგორც მისი „ნაჭუჭი“, მისი შემომსაზღვრელი ზედაპირი, და არა დამოუკიდებელი მხატვრული ამოცანა.

ასეთ საერთო ფონზე ქართველ ხუროთმოძღვართა დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი საკმაოდ თავისებურად გამოიყურება, რადგანაც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი არქიტექტურის განვითარების ყველა ეტაპზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მათ მიჩნდათ სწორედ ექსტერიერის გადანყვეტის საკითხი, რაც მრავალ მკვლევართან პოულობს ასახვას [6].



სურ. 5.



სურ. 6.

მაგალითია შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში, რომ ფასადის სახე დამოუკიდებელი, შეგნებულად დასახული, მხატვრული ამოცანის მნიშვნელობას იძენს. ამიერიდან, ეს ქართული არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშანი იქნება, ერთი იმ მრავალ ნიშანთაგანი, რომელიც მკვეთრად განასხვავებს მას ბიზანტიურისაგან: საკმარისია გავიხსენოთ სერგისა და ბაქოს ან წმინდა ირინეს ეკლესიები კონსტანტინეპოლში (სურ. 5,6,7), წმინდა სოფიო – ბიზანტიური არქიტექტურის უმაღლესი მონაპოვარი, რავენის ეკლესიები, და ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ბიზანტიაში ხუროთმოძღვართა ყურადღებას

სწორედ ამ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას ვ. ბერიძე, როდესაც საუბრობს მცხეთის ჯვრის მხატვრულ გადანყვეტაზე:

„ჯვრის გარეგნული სახე ნათლად ასახავს შიგა სივრცის დანაწევრებას. მაგრამ აქ მხოლოდ პასიური გამოვლენა კი არ არის იმისა, რასაც შიგნითა კონტურები კარნახობდა, არამედ შიგა და გარე ფორმების მხატვრულად გააზრებული შესაბამისობა. ეს პირველი



სურ. 7.



(ხელოვნების აყვავების პერიოდშიც) მთლიანად იპყრობდა დიდებული სივრცის შექმნის ამოცანა, ფასადები მათ არ აინტერესებდათ“ [7] (სურ. 8).



სურ. 8.

ის, რომ ვახტანგ ბერიძე განსაკუთრებით უსვამს ხაზს ქართულ არქიტექტურაში არსებულ ინტერესს ექსტერიერის მხატვრული გადანწყვეტისადმი, როგორც მისი თვითმყოფადი, ორიგინალური ხასიათის დამადასტურებელ ნიშანს, უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგანაც ჯერ ერთი, ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქარისტიანოს, ანუ ბიზანტიური სამყაროს კულტურულ რეგიონში შემავალი ქვეყნების ხელოვნებას დიდხანს (და ზოგჯერ ჩვენს დროშიც კი), აღიქვამდნენ, როგორც ბიზანტიური ხელოვნების კუთხურ, რეგიონალურ ვარიანტებს. ამიტომ აღნიშნული მომენტის ხაზგასმა და ეროვნულ თვითმყოფადობაზე აქცენტის გაკეთება კვლავაც მეტად აქტუალურია და მეორეც, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენს შემთხვევაში, აქ ნათლად იკვეთება ის კავშირები, რომლებზეც ადრე უკვე გვქონდა საუბარი: ექსტერიერის გადანწყვეტის თავისებურებანი განიხილება ხელოვნების ეროვნულ ხედვასთან კავშირში, ეს უკანასკნელი კი – სივრცის, ფორმის, ფერის გრძნობა – დიდადაა დამოკიდებული გარემოს თავისებურებებზე. თავის მხრივ, ეს ხედვა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ გარემოზე, რომელშიც იგი ყალიბდება.

რაც შეეხება ქართულ არქიტექტურაში ტაძრის ექსტერიერის გადანწყვეტის სპეციფიკას, აქ ძირითადი და ყველაზე ტიპიურია ჯვარ-გუმბათოვან გეგმაზე აგებული კრისტალისებური ფორმა ერთმანეთში შეზრდილი ზემსწრაფი საფეხურებით. მართალია, საქართველოში არსებობდა სხვა ფორმებიც, რომლებიც შეესაბამებოდა მაგალითად, ბაზილიკის და დარბაზული ეკლესიის ტიპებს, მაგრამ ეს ფორმა მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი და სახასიათოა. ეპოქებისა და სტილების ცვლასთან ერთად იცვლებოდა პროპორციები, შეფარდებანი, ჩნდებოდა ან ქრებოდა სხვადასხვა ფორმები და დეტალები, იცვლებოდა „გარეკანის“ დეკორატიული ელემენტები, მაგრამ საერთო კრისტალისებური იერი საუკუნეთა მანძილზე უცვლელი დარჩა.

ცხადია, ჯვარ-გუმბათოვანი ტიპი არსებობდა არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში. ოტო დემუსი თავის „ბიზანტიურ მოზაიკურ დეკორში“ ასე ახასიათებს ბიზანტიაში მისი ნაჩამოქმნის პირობებსა და მიზეზებს: „ბიზანტიური (ფერწერული დეკორის) პროგრამა ყოველთვის საჭიროებად განსაკუთრებულ მოჩარჩოებას, თანაც სწორედ იმას, რომელშიც იგი ჩამოყალიბდა და რომელსაც შეესაბამებოდა. ასეთ მოჩარჩოებად იქცა

შუაბიზანტიური საეკლესიო არქიტექტურის კლასიკური წარმომადგენელი – ჩანერილი ჯვრის ტიპის ტაძარი გუმბათოვანი გადახურვით ცენტრში.

ამ არქიტექტურული ტიპის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესი იყო, ხოლო საბოლოო გადაწყვეტისკენ რამდენიმე კონკურენტული გზა მიდიოდა. თვით ეს იდეა, ეტყობა, გაჩნდა არაუგვიანეს VI ს-ისა. სხვადასხვა არქიტექტურული ტრადიციების მიმდევარი ხუროთმოძღვრები პრობლემის გადასაწყვეტად განსხვავებულ სანყის ნერტილებს ირჩევდნენ: ზოგი ეყრდნობოდა თავისუფალი ჯვრის ცენტრულ გეგმას ან ოქტაგონალურ გეგმას, ცენტრულ-გუმბათოვან ბაზილიკას, სალონიკის და ანკირას ტიპის ნახევარბაზილიკურ გეგმებს და ა.შ. ზოგიერთი შუალედური ვარიანტი, როგორცაა კონსტანტინოპოლის ხუთნავიანი ტაძრის ტიპი, გარსემოსავლელიანი ტაძარი ან ტაძარი-ტრიკონქი, წარმოადგენდა ერთგვარ წინასწარ ცდებს და საბოლოოდ მათზე უარი თქვეს კლასიკური ჩახაზული ჯვრის ტიპის სასარგებლოდ. ამ ევოლუციის ისტორია თითქმის თეოლოგიურ ინტერპრეტაციაში ჯდება. იგი ცხადყოფს მიზანდასახულ ძიებას ისეთი საბოლოო გადაწყვეტისა, რომელიც უპასუხებდა ლიტურგიის მოთხოვნილებებს და თავისი დროის ესთეტიკურ იდეალებს. ლოკალური განსხვავებები გზას უთმობდა ამ იდეალური ტიპის ძიებებს და იმის მერე, რაც იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, იგი უკვე აღარასოდეს უარყვიათ, გახადეს რა იგი მომდევნო ევოლუციის საფუძველად. საბოლოო ვარიანტი, რომელიც IX ს-ის ბოლოსთვის ჩამოყალიბდა, უჩვეულოდ სრულყოფილი იყო და ლიტურგიული და ფორმალური თვალსაზრისით თითქმის არ საჭიროებდა დამუშავებას. ამ ტიპის უმაღლეს სრულყოფილებას შეიძლება მისი სიცოცხლისუნარიანობაც კი მოესპო, რომ არა ამ არქიტექტურის ძირითადი იდეის საოცარი მოქნილობა, რომელმაც შემდგომი ვარიანტების საფუძველი შექმნა“ [4].

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ბიზანტიაში ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრები, რომლებიც წარმოდგენილია V ს-ში, VI ს-ში უკვე აღარ წარმოადგენს იშვიათობას, ხოლო VII ს-ში უკვე ფართოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით – საქართველოსა და სომხეთში [8], [9], [10]. რაც შეეხება საქართველოს, გიორგი ჩუბინაშვილის წიგნში „რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან“ ეკითხულობთ:

„...ჯვარ-გუმბათოვანი თემა საქართველოში უკვე მუშავებოდა IV და V საუკუნეებში, რასაც ამტკიცებენ იმ დროის ცალკე ნაშთები და ფრაგმენტები. ამ უძველეს შენობათა განსაკუთრებულ ხაზულს, რომლითაც ისინი განსხვავდებიან მომდევნო დროის შენობათაგან, წარმოადგენს ტაძრის უშუალო გადახურვა გუმბათიანი თალით, რომელსაც არა აქვს გარედან განსაკუთრებული ღია ყელი, – ეს ყელი საბოლოოდ მუშავდება ჩვენში VI საუკუნის ნახევარში“ [11].

გიორგი ჩუბინაშვილმა ქართული კლასიკური ტეტრაკონქის ჩამოყალიბების ლოგიკური ეტაპები (ძველი გავაზი – ნინოწმინდა – მცხეთის ჯვარი) აბსოლუტურად ნათლად და დამაჯერებლად ჩამოაყალიბა თავის წიგნში „ჯვრის ტიპის ძეგლები“ [12].

ამავე ნაშრომში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ „სწორედ VI საუკუნის უკანასკნელი ათეული წლის ნაწარმოებში ქართული ხელოვნება აღწევს მხატვრულ დამთავრებას, მთლიანობას, აღწევს კლასიკურ ფორმებს. ეს ფორმები ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს, მათ არა აქვთ პარალელები ანუ განმეორება ბიზანტიაში. მართალია, ქრონოლოგიურად მხატვრული განვითარების ამ ორ პუნქტს შორის – ბიზანტიაში იუსტინიანეს დროს (526-565) და საქართველოში სტეფანოზ I-ის დროს (586/590- 604) დაახლოებით 50 წლის მანძილია, მაგრამ ამას თვით წმინდა ფორმალური მხრითაც არა აქვს მნიშვნელობა მხატვრული გათანაგვით მიღებული შედეგის დასაფასებლად, რადგანაც კომპოზიციის ფორმებით ეს ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენები როდია. ბიზანტიის არქიტექტურამ არა თუ არ შეიმუშავა არავითარი ნორმები ფასადისათვის, როგორც მხატვრულ-დეკორატიული ერთეულისათვის, არამედ არც კი დასვა ასეთი პრობლემა, ვერ შეიგნო მისი არსი; ქართულმა ხუროთმოძღვრებამ კი უკვე მცხეთის ჯვრის პატარა ეკლესიაში ან ნინოწმინდის კათედრალში მოახდინა ამ მიმართულებით ცდა, რომელიც, როგორც განვითარების ყველა სხვა მოსამზადებელი ძაფები, იღებენ თავის სრულ დამთავრებას მცხეთის ჯვრის დიდი ეკლესიის გენიალურ შექმნაში.“ [11]. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გ. ჩუბინაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ექსტერიერის გადანყვეტისადმი განსხვავებული მიდგომების გამოვლენას ქართულ და ბიზანტიურ არქიტექტურაში [13].

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგვიძლია შევხედოთ ამ პერიოდის ზემოთ უკვე ნახსენებ VI ს-ის ბიზანტიური არქიტექტურის ისეთ კლასიკურ მაგალითებს, როგორიცაა სერგისა და ბაქოს ეკლესია ან წმიდა სოფიოს ტაძარი კონსტანტინოპოლში, რომ სავსებით ნათელი ხდება გ. ჩუბინაშვილისა და ვ. ბერიძის მოსაზრებების სრული სამართლიანობა.

სერგისა და ბაქოს ეკლესიის ექსტერიერი უკიდურესად მარტივია. იგი შედგება აგურისაგან ნაგები მასიური, დაუნაწევრებელი მართკუთხა მოცულობისაგან, ძლიერ გამოზნექილი სამწახნაგიანი აბსიდიით. სარკმლები მცირერიცხოვანია, უბრალო მართკუთხა ან თაღოვანი ფორმისაა (აბსიდაზე და გუმბათის ყელზე) და პრაქტიკულად არ არის აქცენტირებული დეკორით, თუ არ ჩავთვლით ამ უკანასკნელების ზედა თაღოვანი ნაწილის გარშემო აგურით ამოწყობილ ბრტყელ სხივებს, რომლებიც თითქმის არ აღიქმება კედლის სიბრტყეზე. ეს „სხივები“ და პრიმიტიული, აგურის კუთხეების ორმაგი ზოლისაგან შედგენილი კარნიზი შენობის სახურავისა და გუმბათის ქვეშ ფასადების ერთადერთ დეკორს წარმოადგენს.

შენობის სახურავის დაქანება ძალზე მცირეა, ამიტომ 16-წახნაგიანი განიერი დაბალყლიანი გუმბათი, რომელიც თექვსმეტივე ქოლგისებური ამოზნექილი სეგმენტისაგან შედგება, უშუალოდ შენობის ტანის შემდეგ, გარდამავალი საფეხურების გარეშე აღიქმება და ამიტომ არ შეიგრძნობა მყურების მიერ მის ლოგიკურ გაგრძელებად, როგორც ჯვარში ანუ არ ტოვებს მისგან ამოზრდილის შთაბეჭდილებას, არამედ კონტრასტირებს მასთან. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გუმბათის სახურავი არ მალავს შიგნით არსებულ

მოცულობრივი სეგმენტების ტალღოვან ფორმას, არამედ პირდაპირ იმეორებს მას, ასევე არ არის შენიღბული ან მხატვრულად დამუშავებული გუმბათის ყელის ყრუ წახნაგებზე მიდგმული მცირე, მართკუთხა კონსტრუქციული ელემენტები, რის გამოც გუმბათის ყელის არე თითქოს დაულაგებელ, მოუნესრიგებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს აბსიდის ჩრდილოეთის გამოზნექილი ვიწრო ვერტიკალური სათავსო, რომელსაც არ გააჩნია მეორე მხრიდან შესატყვისი სიმეტრიული ფორმა და რომლის ორი ვიწრო, ზედ აბსიდის კუთხესთან მიდგმული სარკმელი არც ფორმით, არც ზომით, არც განლაგებით არ შეესაბამება აბსიდის წახნაგებზე არსებულ ფანჯრებს.


ყოველივე ეს აშკარად გვიჩვენებს, რომ ხუროთმოძღვარი, რომელმაც შექმნა თავისუფალი, მაღალი, ნათელი და უაღრესად მდიდრული ინტერიერი და შეამკო იგი მარმარილოს ფერადი სვეტებითა და მოელვარე მოზაიკებით, სრულიად არაა დაინტერესებული ექსტერიერით და მისი ფორმები მხოლოდ იმეორებს მის შიგა სტრუქტურას.

იგივე პრინციპს ვხედავთ აგრეთვე ლეთაებრივი სიბრძნის, ანუ წმინდა სოფიოს ტაძრის, ანუ იგივე აია სოფიას ტაძრის გადანაცვლებაში, მაგრამ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი თავისი მასშტაბებითაც, სირთულითაც და ამავე დროს, თავისი მნიშვნელოვნებითაც გაცილებით მეტია სერგისა და ბაქოს ეკლესიაზე, ამიტომ ფასადების პრობლემა ან, უფრო სწორად, მისი არარსებობა, კიდევ უფრო სერიოზული ხდება (სურ. 9, 10, 11).

უნდა აღინიშნოს, რომ აია სოფიას გენიალური ქმნილებისა და მსოფლიო არქიტექტურის მარგალიტის ესთეტიკური ზეგავლენის და თვით მისი საქვეყნო დიდების ძალა იმდენად შთამბეჭდავია, რომ მკვლევართა უმრავლესობა ან საუბრობს მხოლოდ მის ბრწყინვალე ინტერიერზე და ურთულესი კონსტრუქციული ამოცანის გადანაცვლებაზე და საერთოდ არ განიხილავს ექსტერიერებს, ან გაკვრით ეხება მათ და იმავე აღფრთოვანებით, რომლითაც მანამდე განიხილავდა ინტერიერს, აღნიშნავს, რომ აია სოფიას ფასადები „შთამბეჭდავია თავისი უბრალოებით და დიდებულებით“, თუმცა აქ ისევე, როგორც სერგისა და ბაქოს ეკლესიაში, გარეგნული ფორმები არა მარტო მოკლებულია დეკორს, არამედ მხოლოდ იმეორებს შიგა სტრუქტურას და არ წარმოადგენს მხატვრულად ორგანიზებულ მთლიანობას.

ზოგი მკვლევარი კი ამ ფაქტს უკავშირებს იმავე ან იმის მსგავსს თეოლოგიურ საფუძველს, იმ სიმბოლურ გაგებას, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი.

„წმ. სოფიო აიგო იმავე უიშვიათესი და, ეტყობა, გააზრებული პრინციპის შესაბამისად, რომელიც



სურ. 9.



სურ. 10.

ითვალისწინებდა გარეგნულ სახეზე უარის თქმას. ეს არის ქარის ქროლვით საესე ერთი რთულად შეკერილი აფრა, რომელიც გადაფარებულია ინტერიერზე, მაგრამ არაა გარედან ფორმალურად გამოვლენილი და შემკული. ეს არის შიგა სივრცეზე გარსშემოვლებული უზარმაზარი „გარეკანი“, მრავალნაწილიანი, მაგრამ ერთიანი გუმბათი, ზეციური სფეროს გრანდიოზული და რთული მეტაფორა. გარედან კი ეს სტრუქტურული,

გეომეტრიულად გაანგარიშებული გარეკანი გამოიყურება, როგორც სამშენებლო მასალების და კონსტრუქციული ელემენტების გიგანტური ერთობა, რომელიც ერთგვარი ამორფულობის შთაბეჭდილებას ქმნის.

ეს გასაოცარი თვისება უაღრეს თეატრალურობას ანიჭებს წმინდა სოფიოს აღქმას. ხედვის შორეული წერტილებიდან, ზღვიდან ან ოქროს რქის მეორე მხრიდან, ტაძარი ბატონობს მთელ განაშენიანებაზე, როგორც მაღალი, ცოტათი გაღვენილი ბორცვი ან ყორღანი. ქალაქის კვარტალების მხრიდან მომავალი მასურებელი კი ხედავს გუმბათით დახურულ მასას, რომელშიც ამოიცნობა კონტრფორსები, ცალკეული თალები და მომცრო გუმბათოვანი ტაძრები ორ საყრდენ მასივზე, მაგრამ ვერ აღიქვამს მთლიანობას, რომელიც იკარგება კონსტრუქციული ბლოკების, ძირითადი და დამატებითი მოცულობების დახვავებაში. და უეცრად შიგ შესვლისას პლინთისა და ქვის მასა გადაიქცევა სინათლით საესე ტაძრად ბრძნულად გადანყვეტილი სივრცით.

ბიზანტიელი ხუროთმოძღვრები უეჭველად ითვალისწინებდნენ მოულოდნელობის ამ ეფექტს, მაგრამ ამ მიზეზის გამო არ დაუტოვებით მათ დიადი ტაძრის ფასადები ყოველგვარი დეკორატიული დამუშავების გარეშე. კონსტანტინეპოლის წმინდა სოფიოს ტაძარში ჩვენ ვხვდებით არქიტექტურული აზრის იმ უკიდურეს ფაზას, რომელიც საკრალური სივრცის შექმნის დროს ტაძარს ხედავს მარტო შიგნიდან, ხოლო მის გარეკანს უყურებს, როგორც ზეცის მატერიალიზებულ მეტაფორას. ტაძრის გარე სახე არის ის, რაც არ არსებ-



სურ. 11.

ბობს, რადგანაც ზეცას არ გააჩნია უკანა მხარე, არ გააჩნია გარეგნობა, არის მხოლოდ ის, რაც შიგნითაა“ [14].

შესაბამისად, ამ პერიოდში ბიზანტიურ არქიტექტურაში ექსტერიერის პრობლემისადმი ინტერესის არარსებობა და ტაძრის გარეგნული სახის გადაწყვეტის მხატვრული ამოცანის უგულვებელყოფა, რითაც იგი ესოდენ განსხვავდება ქართული არქიტექტურისაგან, სიმბოლურ-თეოლოგიური ხასიათის კიდევ ერთ თეორიულ საფუძველს პოულობს. თუმცა სავარაუდოდ ასეთი თეორიები ალბათ არსებული რეალური მოვლენის მიზეზების post factum ძიებას უფრო წარმოადგენს, ვიდრე მის რეალურ საფუძველს, რადგანაც სხვა შემთხვევაში იგივე მოვლენა მეტ-ნაკლებად საერთო იქნებოდა ყველა მართლმადიდებლური ქვეყნისათვის. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის გაცნობიერებული უფრო მნიშვნელოვანია თვით ამ ფაქტის კონსტატაცია, ვიდრე მისი გამომწვევი მიზეზების გარკვევა.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებას მრავალი რამ აქვს საერთო ბიზანტიურთან, რაც ძირითადად გამოწვეული იყო საერთო სარწმუნოებით და მჭიდრო ურთიერთობების არსებობით, მაინც არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებანი, რომლებიც თავს იჩენს ქართულ და ბიზანტიურ რელიგიურ არქიტექტურას შორის. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია სწორედ ძეგლის ბუნებაში განლაგების და მისი ექსტერიერის – მასათა საერთო განლაგებისა და ფასადების გადაწყვეტის – თავისებურებანი, რადგანაც სწორედ ექსტერიერია ძეგლის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ კონტაქტირებს გარე სამყაროსთან და თავისი თვისებების მეოხებით გავლენას ახდენს მასზე – ა) ჰარმონირებს ან კონტრასტირებს ბუნებასთან, ბ) ორგანიზაციას უწევს გარემოს სივრცეს თავის გარშემო ან ერწყმის მას [15]. და, გარდა ამისა, სწორედ შენობის მასათა განლაგების პრინციპში, მოცულობათა პროპორციულ ურთიერთდამოკიდებულებაში, ფორმათა მოხაზულობის თავისებურებებსა და მათ კავშირში ვლინდება ყველაზე ნათლად არამარტო კონკრეტული არქიტექტორის მიერ შესისხლხორციელებული სივრცობრივი შთაბეჭდილებები და წარმოდგენები, არამედ აგრეთვე მთელი ერისათვის სახასიათო მხატვრული გემოვნება, რომელშიც ქვეცნობიერად აისახება მისი აღმზრდელი ბუნების ტიპური, დამახასიათებელი ნიშნები.

წყაროები და ლიტერატურა:

1. P. A. Michelis. An Aesthetic Approach to Byzantine Art, London, 1955.
2. Византийское государство, <http://www.arx.by>.
3. R. Ousterhout, Master Builders of Byzantium, Pennsylvania, 2008.
4. O. Demus, Byzantine Mosaic Decoration, London, 1948.
5. Стыль первых византийских храмов, <http://www.icone.tv/?p=214>.



6. დ. თუმანიშვილი, „ქართული ტაძრის გარე სახის ერთი თავისებურება“, № 8, 1977.
7. ვ. ბერიძე, „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“, თბ., 1974.
8. R. Krautheimer, *Early Christian and Byzantine Architecture*, Harmondsworth, Middlesex, 1975, p. 251-348.
9. C. Mango, *Byzantine Architecture*. N. Y., 1976, p. 151-193.
10. А. Комеч, Храм на четырех колоннах и его значение в истории византийской архитектуры; <http://architecture.artyx.ru/books/item/f00/s00/z0000007/st001.shtml>.
11. გ. ჩუბინაშვილი, „რამოდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან“, თბ., 1928.
12. Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1948.
13. Г. Н. Чубинашвили, «К вопросу о национальной форме в архитектуре прошлого», в сб. «Вопросы истории искусства», т. 1, თბ., 1970.
14. В. Седов, Собор святой Софии в Константинополе, <http://projectclassica.ru>.
15. А. Гутнов, «Мир архитектуры», М., 1985.

THEA JALAGANIA

SOLVING EXTERIOR ISSUES IN MEDIEVAL GEORGIAN AND BYZANTINE ARCHITECTURE

Summary

Medieval architecture represents a substantial part of a cultural heritage of Georgia. In today's world of growing globalization processes the issues of art identity, its national characteristics and forms have become especially important and relevant. In this respect, the problem of solving an exterior of an Orthodox temple and its relation with environment is very interesting.

In medieval Georgian architecture this problem was put forward and resolved very precisely. This factor should be underlined because, as we know, the interest of Christianity toward its architecture was not very typical, especially in earlier times. On the contrary, unlike ancient pagan cultures (e.g. Egyptian, Mesopotamian, Greek etc.) where religious rituals required a specific exterior of a temple, Christian architecture was focused on the interior of the building, where believers would gather. Examples of such relation can be found in architectural design of early Byzantine temples.

Even though medieval Georgian architecture has much in common with Byzantine (due to the fact that both countries practiced the same religion and had strong ties with each other), there still are some substantial differences. An important factor in this regard is a unique and very different attitude to the problem of exterior – general disposition of masses in space and defining facades, as well as relation of a temple with environment.

**ВОПРОСЫ РЕШЕНИЯ ЭКСТЕРЬЕРА В СРЕДНЕВЕКОВОЙ
АРХИТЕКТУРЕ ГРУЗИИ И ВИЗАНТИИ**

Резюме

Средневековая архитектура является существеннейшей частью культурного наследия Грузии. В наше время, на фоне убыстряющихся процессов глобализации, вопросы самобытности искусства, его национального характера и формы становятся особенно важны и актуальны. В этом плане особенно интересна проблема решения экстерьера православного храма и его соотношения с окружающей средой.

В средневековой архитектуре Грузии эта проблема была поставлена и решена особенно четко. Этот фактор необходимо подчеркнуть, поскольку известно, что для христианской архитектуры в целом интерес к ней не слишком типичен, тем более на ранних стадиях. Наоборот, в отличие от древнейших языческих культур (например, египетской, месопотамской, греческой и т.д.), где специфика проведения религиозных ритуалов требовала восприятия наружной части храма, христианское зодчество сосредоточилось на решении проблемы интерьера, где и собирались верующие. Примеры такого отношения можно наблюдать в архитектуре византийских храмов раннего периода.

Несмотря на то, что средневековое искусство Грузии имеет много общего с византийским, что было вызвано единством религии и наличием прочных связей между этими странами, все же в средневековом культовом зодчестве Грузии и Византии есть также и существенные различия. В этом смысле важным фактором является своеобразное и довольно различное отношение к проблеме экстерьера - общего расположения масс в пространстве и решения фасадов, а также соотношение храма с окружающей средой.

რეზოლუცია

ნიკო ფროსმანაშვილი

„ადამიანი არის ჩამოვარდნილი ღმერთი,
რომელსაც ახსოვს ზეცა“

ლამარტინი

ხანგრძლივმა ურთულესმა კოსმიურმა მოვლენამ და გენიათა მოღვაწეობამ დედამიწაზე მრავალი ურთიერთგანსხვავებული ცივილიზაცია წარმოშვა. მათგან ერთ-ერთი და გამონაკლისი ფიროსმანის მოსულაა. ამ მხრივ ბედნიერია საქართველო, ვარსკვლავებმა მის წიაღში ფიროსმანაშვილი რომ ჩამოაგდო, რასაც კეთილი და უჩვეულო ზეციური აურა მოჰყვა. ნიკოს შემოქმედება იგივე მხატვრული იდეალური ფორმაა, როგორცაა მილიონობით წლის წინანდელი პირველყოფილ ადამიანთა მიერ, მღვიმეების განმაცვიფრებელი კედლის მოხატულობა, საოცრება ეგვიპტის ცივილიზაციის პირამიდები, რაც გახლავთ სამყაროს ცნობიერების მათემატიკური მკაცრი ფორმულა, ღვთაებრივ ხაზთა თანხვედრა და კოსმოსის მოცულობითი დაუნჯება, მთლიანობაში დროისა და სივრცის მარადიული გაღრმავება.

იმავე პერიოდის მრავალი სახის ფორმისა და შინაარსის ქანდაკებანი, ბარელიეფები, გორელიეფები და უნიკალური კედლის მოხატულობა, თავისი იდეალურობა იეროგლიფებით და ქვაში ქმნილებათა შეუდარებელი სფინქსით, რომელშიც სამყაროს უსასრულო მზერა და ღვთიური ფიქრია გაცხადებული.

ასევე ცივილიზაციათა არანაკლები საკვირველებაა მაიას და აცტეკების იდეალური კულტურათა შემოსვლა დედამიწაზე.

როგორც გაუწყეთ, შორეული მზერით, ფიქრით და სევდით ამ უზარმაზარ შემოქმედებით სივრცეებს უმთლიანდება ნიკო ფროსმანაშვილი. სამწუხაროდ, ამგვარ ღვთიურ ქმნილებათა აღმოცენებას და მის ხანგრძლივ შეგუებას ურთულესი და განსხვავებული ფსიქოლოგიით ვერ უძლებს მომდევნო თაობები და გაურკვეველი, უცხო და შიშვეპყრობილი გაურბის. ისმის კითხვა: – რატომ მოიძულევენ მათ მომდევნო ცივილიზაციები? ამ შემთხვევაში მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენა და ახსნა შესაძლებელია, მაგრამ საერთო შედეგი ხომ სახეზეა, თან ტრაგიკულად მწარე...

და მალონებელია, რომ გონებრივად ვერ გაუგო ადამიანთა მოდგამამ ამ ღვთიურობით მოსილ უძველეს ცივილიზაციას და დაუცველად – ღია ცის ქვეშ ტოვებს. შემდგომ ველად მიგდებულ შედეგურ ქმნილებებს მტვრად გარდამქმნელი სტიქია ეუფლება და დაუნდობლად თავს დასტრიალებს (მი-

წას რაში ენაღვლება, თავის ზედაპირზე ეს ქმნილებანი მონესრიგებულ ტექსტულ ფენებზე იქნება განფენილი თუ მტკრად მოყრილი) ოდითგანვე მალაღკულტურას და ცივილიზაციას უფლისაგან რჩეული გენიები ქმნიან, ბოლოს, მხოლოდ მოაზროვნე ერთეულები გადაარჩენენ და სამარადისოდ ინახავენ. გავისხნით სევდის მომგვრელი ქართული, კოლხურ-იბერიული კულტურა და მათი უძველესი ცივილიზაცია, რომელიც მინას მიბარებული ათასეულ წლებს ითვლის ან წყლის ქვეშა გორაკებში ჩამარხული უნიკალური შორეული წარსულის ექსპონატები...

ნიკო ფიროსმანაშვილის მოსვლით ქართული ფერწერის ახალი თვითნაბადი ცივილიზაცია დამკვიდრდა, რომელმაც მთელი ქვეყანა გაანათა და გააკვირვა.

იგივე ამბავი ხდება ჩვენგან შორს, ევროპის ცენტრში. ამალელებულმა მოულოდნელობამ შეძრა და ურუანტელი მოჰგვარა პარიზს ამაღეო მოდილიანის გამოჩენით. მისმა სრულიად განსხვავებულმა მხატვრობამ საქვეყნოდ აღიარებული გენიებიც ჩააფიქრა, ისინი ხომ საერთო კოსმიური ქსოვილით იყვნენ შეზურვილნი. ამაღეო კი იტანჯებოდა თავისი მარტოხელა განსხვავებული ნიჭით და ღრმად ემოციური გენით. სამუხაროდ, ნიკო ფიროსმანაშვილის არ იყოს, ძალიან ცოტა სურათ-ტილოების შექმნა მოასწრო მხატვარმა, რადგან დედამინამ ვერ აიტანა კოსმიური მზურვალე სხეული და მაცხოვარებით გააძევა თავისი ნიალიდან. ამგვარადვე შეინირა ბნელმა ძალამ ნიკო ფიროსმანაშვილი, მოცარტი, ვან-გოგი, ბეთოვენი, კარუზო, ტერენტი გრანელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე და მრავალი მათგარი, მაგრამ, ამ წმინდან ხელოვანთა შედეგებთან ერთად იდუმალი, მარად ამოუშლელი აჩრდილი ჩანვა დედამინის სხეულში.

ყველაზე დიდი წესრიგი კოსმოსში უფალი და სიყვარულია...

გონებაშერყეული და დათრგუნვილი სიკვდილი ჭაობში ეგდო შიშველი და სისხლი სდიოდა რქებმომტვრეულს...

კოსმოსი და უფალი გამუდმებით რომ არ ნათლავდეს ჩვენს პლანეტას, იგი ხელიკის ფერი, სულთამზუთავი ჯოჯოხეთი იქნებოდა. მინის მიუტევებელმა სტიქიამ დროთა ჟამში მრავალი რჩეული გენია შეინირა, მათთან ერთად – უთვალავი, კეთილი და უდანაშაულო, ნიჭიერი ადამიანიც. ევროპის კულტურის და ხელოვნების მანათობელ ცენტრში, პარიზში, მოდილიანის ზეციდან ჩამოგდებაც ხომ საკვირველებაა. ამაღეომ თავიდანვე გრძნეულად გაიზრა პარიზული ფერწერის სიახლეები და მისი ფეთქებადი მიმდინარეობის მთავარი არსი, მაგრამ სხვა მხატვრებისაგან უმთავრესი და გამაოგნებელი, ამაღეოს გამორჩეული საოცრება სტილისტური ინდივიდუალიზმია...

მოდილიანის პიროვნული ფილოსოფია, პოეტურ-მუსიკალური ჟღერადობა, მხატვრის ლეთური გემოვნების, მოცურავე ხაზთა და არაჩვეულებრივ ფორმათა მიმზიდველი, მსუყე კოლორიტის, ფერთა ძლიერი და მტყველი პარმონია და ნანარმოების მთლიანობის, უიშვიათესი მხატვრული სტილის შექმნა თავისი ზეციური განწყობილებით, მაყურებლისათვის უცხო და შორეულია.

არამინიერი ხიბლი, ადამიანური ბუნების იდუმალეზა და ბავშვივით ალალ ფიქრთა სულიერი სუნთქევა ნიკო ფიროსმანაშვილი. უდიდესი მხატვრის, შემოქმედების ჩამაფიქრებელი სიახლე-თვითმყოფადობით ალელვე-ბული ხარ და მართალი, ღრმადმორწმუნე ბერის ლოცვასავით სინმინდის თანახარი ხდები...

ფიროსმანაშვილის ფერწერული სურათის წინ მდგომი პიროვნება, სულით, გონებით და გულით მიიზიდები და უშუალოდ შედიხარ დიდი მაცსტროს სასწაულმოქმედი შემოქმედებით გაიშვიათებულ სივრცეში, მაგრამ ბოლომდე ვერ უმთლიანდები, თანდათან გადაულახავ სიშორეს მიადგები და აქა თურმე ღვთის სულიერი ნაღდი სანყისი. ამ ურთულეს საუფლოში შესვლის ყოველგვარი ცდა ნაკლებმდევიანია და სინანულშეპყრობილი მორჩილებით ეთხოვები ფერწერულ ტილოს, რადგან დიდ შემოქმედებაში ღმერთი ზის – ჩუმი- მქადაგებელი.

ნიკო ფიროსმანაშვილი, ფანტასტიურად მეტყველი ფერის მეოხებით, სულიერი სინმინდის, ამქვეყნიური მშვენიერების და ამაღლებული სიყვარულის მოძღვარია. ეჭვსგარეშეა, ლუკა ზის მის სხეულში, მოციქული და უშუალო ხატმწერი მასწავლებელ მაცხოვრისა.

უდაბნოში მომლოცველი წმინდანვით კეთილშობილი და კაცთმოყვარეა მხატვარი, მაცხოვარვით უბრალო ადამიანებთან და ღარიბ-ღატაკებთან ურთიერთობდა. სამწუხაროდ, მის ირგვლივ მყოფნი ვერ აღიქვამდნენ ნიკოს კოსმიურ იდუმალეზას და მხოლოდღა ღვთივკაცური სიყვარული და ბუნდოვანი ინსტინქტი-ინტუიცია აკავშირებდა მათ...

როგორც მოგახსენეთ, თვითმყოფადი ფერთსიუხვის და უსახღვროდ გაბედული შუქ-ჩრდილის ფერმწერია ნიკო. ამ გზით ნიკალასეული ალალი, ნაღდი და უნაკლო საქართველო დახატა, თავისი ულამაზესი მუქი ლურჯი ცით, უმშვენიერესი მთა-ბარით და კეთილშობილი ადამიანებით, განურჩევლად ფენისა და საქმიანობისა. შთამბეჭდავი და აღმაფრთოვანებელია ფიროსმანისეული, უიშვიათესი სილამაზის და კეთილთვალეზა ცხოველთა ხატულობა. ნიკალა, სხვა გენიებისგან განსხვავებით, ყოველგვარ სწავლებას მოკლებული, მინდვრის შაშვია მგალობელი, სულის მკურნალად დამატკობელი ხმით, მოზომილი რეესტრით და მის მიმართ დაუსრულებლად მოსმენის სურვილით. ანდამატური სიამოვნების მომგვრელი და ბუნების იდუმალი განწყობილების შემომთავაზებელი. ამგვარი ფორმისა და განსხვავებულ ფერთა მომღერალია, ბუნებისაგან უნაკლოდ განსწავლული, ნიკო ფიროსმანაშვილი...

ქალის სიყვარულს ბოლომდე ვერ გაჰყვა ნიკო, რადგან ღვთიური უხილავი ძაფით იყო მიბმული ხელოვნებისა და სიცოცხლის ვარდისფერ ხეზე, რის შედეგადაც განდევილობას და მარტობას შეეგუა.

ადამიანის ყველაზე მაღალი გრძნობისა და ნიჭის გამჟღავნება ხელოვნებაშია, შემოქმედება რომ არ იყოს, ნებისმიერ სიყვარულს გაუჭირდებოდა ფუნქციონირება. თუმცა ხელოვნება თავად სიყვარულია. დიდი შემოქმედება ხომ ღმერთია და ოქროს გვირგვინი სიყვარულისა.

ნიკო ფიროსმანაშვილის ნებისმიერი სურათ-ტილო წმიდა სურათხატის სალოცავი.

მაცხოვრის ცრემლით განბანილ ვაზის მტევნებს ხატავდა ფიროსმანი და დღენიდაგ ფერთა სიმრავლეს სწირავდა უზუნაესს...

გენიალურმა მხატვარმა პაბლო პიკასომ სულმწარეობით აღიარა მოდილიანისა და ფიროსმანაშვილის სიდიადე. ამადეო მოდილიანის გამოჩენამ აალაპარაკა პარიზი – მხოლოდ დასაწყისში... ამავდროულად ევროპის სამხრეთით, ქალაქ თბილისში, ნიკალამ სიცოცხლეშივე ააღივლა და ინტელექტუალური საფიქრალი გაუჩინა, მაგრამ დრო მიძიმედ ჩადგა ხალხსა და ავტორს შუა.

ფიროსმანაშვილის მხატვრობას ინტერესით იხილავდა და ღრმად აფასებდა დიდი ფრანგი მწერალი რომენ როლანი, რომელიც ნიკოს ერთ-ერთი სურათ-ტილოს მფლობელიც გახლდათ.

ძალიან აფასებდნენ და უყვარდათ ფიროსმანი რუსეთის მოწინავე ხელოვანთ, განსაკუთრებით დიდ მწერლებს და პოეტებს – სემიონოვის და ევტუშენკოს ოჯახებში ნიკალას თითო ფერწერული ტილო ინახებოდა.

მაღალ შეფასებასა და სიმპათიას გამოხატავდნენ ფიროსმანაშვილის მიმართ უბრწყინვალესი სომეხი მხატვარი მარტიროს სარიანი და უდიდესი კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი.

ასევე, დიდი ქართველი მხატვრის ფერწერული ნახატებით მოხიბლული გახლდათ გენიალური ფრანგი მხატვარი ფერნანდ ლეჟე.

ამჟამად ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებას ეცნობიან და ეთაყვანებიან ისეთი ცივილიზებული ქვეყნები, როგორებიცაა: საფრანგეთი, იაპონია, იტალია, გერმანია. პოლანდია, საბერძნეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, ესპანეთი, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ისრაელი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა მრავალი. ფიროსმანს უმღერიან მსოფლიო ესტრადის ვარსკვლავები, იქმნება მუსიკა, იწერება ნიგნები და ლექსები. გთავაზობთ ნიკოზე შეთხზულ ტერენტი გრანელის შედევრს:

ფიროსმანაშვილს

შენ დაგედევნა სამიკიტნო რკინის რაზებით,
 ყალბი არღნებით განუხებდა ღამე ნვიმაში,
 არ კადრულობდი შებრალებას ბედის წინაშე,
 დაგედევნა ლანდი მთვარისგან განაბრაზები.

ჩუმად გენვია საოცრების რუხი ხაზები,
 ფარულ კომმარებს ატირებდი სევდის მინაში
 და ღამის ლოთებს დაეძებდი ღვინის თასებით.

ლოცვით ამსხვრევდი ზიარებას სასაფლაოზე.
 სისხლიან მკერდით აიტანე ბროლის არმაზი.
 ანთებულ მხატვარს საიქიო ალბათ გაოცებს.

შენი ოცნება ისვენებდა წითელ ნარმაზე,
 ცოდვილ ქალაქში დადიოდი ჩოხის ამარა.
 საშინელებამ უცნაურად დაგასამარა...

ფიროსმანის თვითმყოფადი შემოქმედის უმდიდრესი განძი აღდამიანური დღესასწაულია.

მხატვრის ბუნებრიობა და სულიწმიდა, იესოს ცრემლია უმანკო, მაგრამ ამქვეყნად, სადაც არ შეიხედავ ადამიანი, ჯოჯოხეთურად წვალობს, მდიდარი იქნება თუ ღარიბი, ნიჭიერი თუ უნიჭო, კეთილი თუ ბოროტი... გამოუცნობია სამყაროს შემოქმედება და უმკაცრესი მარწუხები. ყოველივეს უზიარა ფიროსმანი და საცოდავად შეენირა კიდევ...

უპატიოსნესი, რაინდული კეთილი სული ამოძრავებდა ნიკალას და სრულიად ჯანსაღი ხელოვანი ნებისმიერ დამოუკიდებელ სულს, საკუთარი სულთვე ხატავდა და ღვთიერკურთხეულად ამარადიულებდა, მაგრამ როგორც მხსნელი მაცხოვარი არ დაინდეს მისგანვე პატივგებულებმა. ასევე ნიკო ფიროსმანაშვილს არ მადლობდნენ, მხატვრის შედეგებისაგან განეზივრებული და გამდიდრებული უმადური თანამედროვენი, რადგან რთულზე რთული ყოფილა თურმე ღვთისნიერ ადამიანთან ახლოს მისვლა და ნორმალური ურთიერთობა.

ნიჭიერთ ხომ, ოდითგანვე არაკაცური, შური და მტრობა დეენის სასტიკი.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ერთად საქართველოსაც თავისი კუთვნილი კოსმიური სიკეთის წილი ერგო და რამდენიმე გენიალური მოღვაწე ჩვენც გვებოძა როგორც ხელოვნებაში, ასევე მეცნიერებაში.

ნიკო რთულსა და თვითმყოფად კომპოზიციას, ძლიერსა და მდიდარი შემადგენლობის ფერს, სურათის სიღრმისეულ კოლორიტს და არქაულწარევ, კულტურამოსილ ღრმა გემოვნებიან ფორმებს, საგანგებოდ არ ეძებდა და თვითმიზნურად არ ფიქრობდა მათზე. ყოველივე უზენაესისგან ერთმეოდა უშუალოდ და კანონიერ პატრონს, ტილოზე უნაკლოდ გადაჰქონდა.

როგორც უთვალავ ფერთა ციმციმ ციაგია სამყაროში და ასევე ვარსკვლავთ სხეულზე, თანაბრად იგივე ფერთ სიმრავლეა დედამიწაზეც, რასაც ფიროსმანაშვილი უფალივით ხედავდა და მხატვრულად აღიქვამდა.

ფერთა შემადგენლობის განხილვისას ცისარტყელაზე იტყვიან ხოლმე, სამყაროს მთავარი ფერთა შემადგენლობისააო, ამ უცნაური ნახევარწრიული ცის მოხატულობაზე მეც გეთანხმებით. რადგან ცისარტყელა ბუნების უთვალავ ფერთა, ტონთა და ნახევარტონალობის – ნიუანსების მათემატიკური ტაბულაა შეკუმშული ფორმით.

ცისარტყელა ხომ დედამიწის კოსმოსთან ფერთდილოგის ღვთიური ავტოგრაფია. ჩემი აზრით, სამყარომ თავისი უბიდან დედამიწა თუ დაკარგა, უმალ გაფერმკრთალდება მისი მომხიბვლელი სურათ-სახე, შეეზღუდება კოსმიური აზროვნება და საეჭვო გახდება სულის არსებობის რაობა. ასევე ეჭვქვეშ დადგება საკითხი სამყაროსეული მეცნიერების ყველა საფუძვლისა. მართალია, სამყაროში ძალიან მცირე ზომისაა, მაგრამ უთვალავი იდუმალებით სავსე ფუნქციების.

ყოველმხრივ სარწმუნოა, რომ კოსმიური მწვანე – სიცოცხლის ფერისაა დედამიწა, სივრცეში ძალიან პატარა და მძაფრი... სამყაროს უსასრულო

ფიქრია ეს მწვანე პლანეტა, რომელიც განუსაზღვრელად ყველაფერს იტევს და მზესავით სჭირდება კოსმოსს, რადგან მისი სიცოცხლის თუ არსებობის უხილავი ამთვლელი და ღვთის შეცნობის რეალური კერაა...

დიდი მხატვარი, პოეტი, მწერალი და მეცნიერი ყოველივე ამას სინათლესავით ხედავს, რომ სამყაროს უსასრულობის ბოლომდე შეუსწავლელი იდუმალი მომწესხველობა დედამინაზეა თავმოყრილი...

მინდა გავიმეორო, – ნიკო ფიროსმანაშვილი ზეციური ნაყოფია და უთუოდ ლუკა მოციქულის მეორედ განსხეულებაა...

სამწუხაროდ, კაცობრიობა იშვიათად უფროთხილდება ღვთიურ სახეებს, რადგან ამ მიმართებაში ცივი და უდარდელია. უფრო სტიქიას მიმსგავსებული უაზრობა და მრუდე ზნე-ხასიათისაა. ადამიანის თითქოსდა შინაგანი მიმალული ბუნება, კოსმიურთან ფარდობითია და უმძიმესი სტიქიაა – მბორგავი, ხშირად დამანგრეველი და სისხლმწყურვალე. სიკეთისა და ბოროტების არათანაბარი მატარებელია ადამიანთა უმეტესობა და ამანვე განირა ფიროსმანაშვილი, ტერენტი გრანელი, ვან-გოგი, მოდილიანი. მათთან ერთად ნიჭით და სიკეთით სავსე, მრავალი უდანაშაულო...

ჩემო კეთილო მკითხველო, ამჟამად ლირიკული, მაგრამ დრამატული გადახვევით მინდა შეგასვენოთ, ამქვეყნიური ნიკოსაგან და მივყვეთ ნიკალას წყლისქვეშა სევდიან სვლას უცნაური სათავეებისკენ.

ნიკო ფიროსმანაშვილი თავისი შემოქმედებით ზღვის ბინადარი საოცრება ორაგულივით, საკუთარ გენიაზე შეწირული მხატვარია. ორაგულები, როცა დაქვრივდებიან, ზღვიდან თუ დიდი მდინარეებიდან, ჯგუფ-ჯგუფად დაიძრებიან დანიშნულ ადგილას ქვირითის დასაყრელად. თევზური ინტუიციით, შეუსვენებლივ მიემშრებიან მდინარის პირველ წყარომდე, დაპატარავებულ კალაპოტში. ნელი სვლით და ცოცვით მიიწევენ წინ, წყაროს თვალამდე. ამ მსვლელობისას გზადაგზა ტანის ფერიც ეცვლება. მუქი მწვანე კრიალა ზურგით და ვერცხლისფერი ფაფრით ზეცას შეჰყურებენ, ხოლო თეთრი და მოვერცხლისფრო ქვირითით სავსე მუცლით, კრიალა და სხვადასხვა ფერის ქვებს თევზისეული სინაზით ელაციცებიან, ოდნავ ეხახუნებიან, ასე ცოცვით ქვიდან ქვაზე გადადიან და უსასრულო სურვილი აქვთ, როგორმე მივიდნენ წყაროს თვალამდე და მის სიღრმეებშიც ჩააღწიონ...

წყაროს სანაპიროს მომდგარი, წყურვილით აღტყინებული, ჩაღისფერი ირმები კი, ბუნების ამ საოცარ მოვლენას ნუშისებური თვალებით, ნესტოებდაბერილნი, ფრუტუნით მისჩერებიან...

დასასრულს, ასობით დალილი-დაქანცული ორაგული, სიამით თუ ტკივილით ადგილზევე ფერად-ფერად ქვირითს ყრის და განწირულნი საკუთარ სიცოცხლეს ეთხოვება... მაცხოვარივით თევზისეულ ვერცხლისფერ ჯვარს გაეკვრებიან და ასე გადაარჩენენ ორაგულთა უმშვენიერეს მოდგმას...

ნიკო ტანჯული და შეწირული იმიტომ კი არ იყო, რომ უჭირდა და ღარიბი იყო. არა, მეგობრებო! ნიკალასავით სულგრძელი ქართველი ყოველთვის იშოვნდა თავისსა და ოჯახის სარჩოს, თანაც, ქიზიყელსა და მირზაანელს, უმდიდრესი და უღამაზესი კუთხის წარმომადგენელ ნიკო ფიროსმანაშვილს,

სულ სხვა გასაჭირი და ვალდებულება დაეკისრა უზენაესისგან, დიდი შემოქმედის სულით დაორსულდა ის და მისი ბედისწერის გარდაუვალობა დაეკისრა გამჩენისაგან, რათა ეშვა თავისი ჯიშისა და ჯილაგის გადამრჩენელი ხელოვნება. ქვირითით საესე ორაგულივით იარა მან ურთულესი გზა და ცხოვრების საწყისთან განუტევა სული...

ასე დაშრეტილი, ყველაფერგაცემული და წმინდანის დონეზე უპატიოსნესი მარტოხელა მხატვარი, შთამომალვობისათვის შენირული ორაგულივით, უპატრონოდ მიგდებულ სხეულად მიბარდა მიწას... ხოლო უდიდესი შემოქმედის სულს მოწყვეტილი ღვთიური ნაყოფი თავის ერს უსასრულო დროით გადარჩენის მარგალიტებად შესწირა...

მხოლოდ ნიკო ფიროსმანაშვილს შეეძლო, ზეცაში და მიწის ზედაპირზე ბრძენი ქურუმით მოსიარულეს, მაცხოვარვით წყლის ქვეშაც ზეადამიანური ფუნქციით ემოგზაურა და საკუთარი ერის გადარჩენისათვის თავისთავზე სასიკვდილო მძიმე წერტილი დაესვა...

ამქვეყნად უმეტესობა გენიოსებისა სიცოცხლეშივე ტრაგიკულია და, ღრმად მორწმუნე წმინდანებთან შედარებით, არანაკლებ წამებულნი. გენიის მფლობელი ის კოსმიური კატეგორიაა, რომელიც დღე და ღამე ინვის შემოქმედის უხილავი ცეცხლით. საბოლოოდ აღმიმქრალი და კვამლში გახვეული ნახშირდება ის და მსუბუქ ნაცრად იქცევა, მაგრამ მათ მიერ შობილი ხელოვნების ნიმუშები მზესავით მარადიულია...

სიკვდილთან და საფლავებთან ნიკალას დიალოგი არასოდეს არ გაუმართავს, რადგან სულიერად მათზე მაღლა იდგა ყოველთვის...

მშობლიური, მზეჩაღვრილი ქარვისფერი ყურძნის მტევანი და მუქი შინდისფერი ვაზის რტო იყო მხატვრის ღვთიური ზიარება.

სასწაულია გენიოსის ცხოვრება, რადგან ნუთისოფლის უმკაცრესი მცენება თავის დროზე მასაც არ ასცდებდა. მანამ კი, დღე და ღამე თავდადებული შრომით მარადიულობის ახალ სამყაროს ქმნის. ამ შემთხვევაში, შეუთანხმებელი და მოულაპარაკებელი ურთიერთჩანაცვლებაა, რაშიც მხოლოდ უფლის კანონები მოქმედებს... მეცნიერული ძიებები და თეორიული მტკიცებულებები არაა საჭირო, რათა გავარკვიოთ ნიკო ფიროსმანაშვილის რომელიმე ფერწერული სკოლის წარმომადგენლობა. ნიკო არ ეკუთვნოდა არც ერთ მხატვრულ მიმდინარეობას. იმ ბედნიერ პერიოდში კოსმიური ნიჭის ტალღამ გადაუარა ჩვენს პლანეტას და ჩვილი ნიკალა დაბადა სოფელ მირზაანში, რომელსაც უზარმაზარი ფუნქცია დააკისრა, ეხატა თავისი ქვეყანა. ესაა და ეს... ერთმა ქართველმა მხატვარმა, გულდანყვეტილმა, უზენაესს შესჩვილა, საწყენია, ნიკალას შემდეგ, მისი დონის ფერმწერი რომ არ გამოჩნდა საქართველოში. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა გამოჩენილიყო, როდესაც ათასწლეულებში, ალბათ, ერთხელ თუ ხდება ამგვარი კოსმიური საოცრება-ფუნქციონირება. გაისროლა, შორეულმა, გენიის ქვემეხი და მორჩა, გარკვეული დროით დაიცალა – დაიღალა ის სისტემა. გაივლის ათასი ან მეტი წელი და ისევ ჩამოუქროლებს ნიჭის ხალიჩა ჩვენს პლანეტას და ვინ იცის, სად ჩამოვადგებს,

რომელ ქვეყანაში – საფრანგეთში, საბერძნეთში, თუ ისევ საქართველოში, ზღვის პირას? მხოლოდ უფალმა უნყის.

იმავე სამყაროსეული მოვლენით პროცესის შედეგია ვაჟა-ფშაველას ურთულესი გენია...

როგორც მოგახსენეთ, ნიკალა რომელიმე ფერწერული სკოლის ნევრი არ გახლავთ და არცა რომელიმე იდეათა გამზიარებელი.

იმ პერიოდის რომელიმე დაჯგუფების შემთხვევაში, ნიჭიერი და გამორჩეული მხატვრები ფერწერული სკოლის წარმომადგენლებთან ერთად, გონების განვითარებით და ტექნიკის ათვისების პროცესში და ურთიერთშევისებით, შემოქმედებით ზენიტს აღწევდნენ. ამგვარი მეცადინეობით შემზადებულნი და მოულოდნელ მიღწევათა აფეთქებებით დამოუკიდებელ გენიას შობდნენ. ამათ მიმდინარეობას ეკუთვნის: დავიწყოთ, კლასიკოსებით, მერმე ბარბიზონელთა სკოლა, რასაც აჰყვა იმპრესიონიზმი; შემდგომ მოდის პოსტიმპრესიონიზმი, ფოვისტები, ექსპრესიონისტები. მათ ნიაღში იფეთქა კუბიზმმა და მოვარდა აბსტრაქციონიზმი, მერმე შემოიჭრა სიურეალიზმი. ამრიგად, მრავალი და მრავალი მიმდევრობა ისევ მოდის, მაგრამ უკვე ილღებიან ისინი და ჩიხიც შეინიშნება... მერმე მომავალში რა მიმართულება გამოჩნდება ხელოვნებაში, დროის საქმეა. შეიძლება ახალი სტილის და ფორმის კლასიკას დაუბრუნდეს კაცობრიობა... ახლა ვენვიოთ პოსტიმპრესიონისტების გაერთიანებას, კერძოდ, უდიდეს მხატვარს, ტულუზ ლოტრეკს. ის ხშირად დასცინოდა ჯგუფურ წრეებს და ამბობდა, ვერ ვიტან მხატვართა ჯოგურ ცხოვრებასო. ლოტრეკსაც ჰქონდა, უთუოდ, ველური თვისებები (ემჩნევა კიდევაც მხატვრის ზოგიერთ ტილოს), თუმცა, პოსტიმპრესიონისტთა სკოლას კი მიეკუთვნებოდა. აქედან გამომდინარე, ჩვენს ნიკალას სამართლიანად ვამსგავსებ გამოქვაბულის მხატვრობის – შედეგების შემქმნელ ველურ გენიებს. ღმერთმა მათ შორის ერთ-ერთ ჯანსაღ მონადირეს შემოქმედის გენია რომ შეუგორა და დაბადებიდან აჰყვა კირკიტის ფინი – ხან ქვას თლიდა კაეის მტკიცე ქვის ნატეხითხშირად, ველად გასული, მხატვრულ ფორმებს აკვირდებოდა, ბუნების ნაძერწს, ნადირობისას გაოგნებული შეჰყურებდა ირმების ჯოგს და მათ ლტოლვას. ან იხსენებდა უფროსების მიერ (ალბათ ბელადის) კერიის ცეცხლში გამომწვარ თიხას, ნყალში რომ გახსნიდა და ყველას საძინებელ კუთხეებს გამოქვაბულის ბრტყელ ქვებზე რომ მოინიშნავდა. ზოგიერთი ფერი აგურისა იყო შავიც, მომწვანო ან ნაცრისფერი. ამდაგვარი შემზადებული ფერებით დაიწყო მან ხატვა და პირველად გაელიმა ადამიანს... მერმე დაჟინებით მიეძალა ამ საქმეს და ქმნიდა გამოქვაბულის ქვის კედლის მონადირეთა ცხოვრების ამსახველ პანორამას. თავისი ტომის მოძმეებს მოსწონდათ მისი ნახატები და შემდგომში ხიფათით სავსე ნადირობაზე არ გაჰყავდათ... ასე იქმნებოდა პირველყოფილი გამოქვაბულის მუზეუმი. ჯერჯერობით მათ არ ჰქონდათ სალაპარაკო ენა, მხოლოდ ხელების მკაცრი მოძრაობის პანტომიმა იყო ურთიერთობის დამამყარებელი. ველური მხატვრობა და პანტომიმა – აი, რითი დაიწყო პირველყოფილ ადამიანთა შემოქმედებითი ზესვლა...



საფიქრალია, რომ მილიონობით წლის წინ, მღვიმეების ველურად მდებარე ბები იშვიათად იყო. მაშინ, წარმოიდგინეთ, რამდენი მაგისტანა გენიალური ნიჭი და ნაღვლიანი თვალები მიიბარა მინამ. აქ, ამ შემთხვევაში დიდი მეცნიერული კვლევები არაა საჭირო. საერთო პროცესი და განვითარება მხოლოდ ასეთი იყო. ამდაგვარი ისტორიის გააზრებისათვის აინშტაინის და ივანე ჯავახიშვილის შენუხება არ გვჭირდება. ჩვეულებრივი გონებრივი ხედვა, თამამი გააზრება და წარსულის ისტორიულ სიმართლებებთან აღმოვჩნდებით.

საკვირველად მოვარდნილ ნიკალას ის განსაკუთრებული ნიჭიც მისცა უფალმა, რომ მის ფერწერაში უახლოესი ეპოქის მთავარი ხასიათ-განწყობილებები აღებეჭდა. შემოქმედებით მარტოობაში მყოფ მხატვარს არაფერი უნახავს და არც გაუგონია იმ პერიოდის პარიზული ფერწერის მიმდინარეობები. ამ დროს ხატავს მათი ლიდერებით და მგონი უფრო მაღალი დონით, გამონაკლისი მატისია (მატისი ხომ მათში შეუდარებელი ფერმწერია), ზოგ მომენტში მასაც უტოლდება. ეჭვს გარეშე მჯერა, ფიროსმანი დერენტან, მარკესთან, ვლამინკთან, დიოფისთან ერთად მრგვალ, უღამაზეს მაგიდასთან ძმურად ზის და გენიის ღვთიური იდეებით იკვებება...

ნიკალას ირგვლივ თუ როგორი კოსმიური ქსელ-ხლართებია გაბმულ-დაქსაქსული და გამაოგნებელი ჭექა-ქუხილია ზეციური, მიახლოებით მაინც რომ აღვწერო, ერთი სქელტანიანი წიგნის დაწერა მომიწევს. მინდა ვირწმუნო, რომ ამისათვის უთუოდ მეყოფა სიყვარული, ცოდნა და ინტუიცია.

დიდი ნიკალა კოსმიური თვალთ იმზირებოდა და მისთვის ნათელი იყო, ჩვენს პლანეტაზე თუ რა ხდებოდა. დედამიწელები ყოველმხრივ ბოჭყადნენ მას და ყოველდღიური გაგდებით ემუქრებოდნენ. საბოლოოდ უდროოდ მაინც გააძევეს ამ ქვეყნიდან სანყალი ნიკალა...

უჯიუტესია პლანეტა ჩვენი. ზოგჯერ მზესაც გაეჯიბრება ხოლმე...

ნიკო ფიროსმანაშვილი ის იშვიათი მოვლენა იყო, რომელზეც თანაბარი ძალისხმევით მოქმედებდა კოსმოსი და დედამიწა. საბოლოოდ მშობლიურმა მინამ კანონიერად მიიღო შენიღბულის ფერფლი და გამვლელმა ჩაილაპარაკა, რა ერთნაირი ყოფილაო ყოველთა ფერფლი...

ზეციური ფიროსმანისეული შემოქმედების გენიალური ნაყოფი სახეზეა, მაგრამ, საკვირველებაც! ნებისმიერი შედეგის ისევ დედამიწას აბარია და უღმობელი სტიქია ბოროტად გარს უვლის ყოველმხრივ დაცულს...

REZO ADAMIA

NIKO PIROSMANASHVILI

Summary

The author cannot become adjusted to other opinions about genius artist Niko Pirosmashvili, namely real views. The event makes us get closer to the painter only with the help of mystic and inspires us, exactly with only such thinking we may go to the very depth of the artist's genius. According to this form it is possible to penetrate in, think and approximately analyze the unrepeated secret painter's invisible moods and far passing layers. According to author's opinion, only with the help of mystic means it is possible to learn the genius even partially.

РЕЗО АДАМИА

НИКО ПИРОСАМАНАШВИЛИ

Резюме

Для автора неприемлемы, ему не по душе иные соображения, в частности - реальные видения о гениальном художнике Нико Пиросмашвили. Явление приближает нас к живописцу и вдохновляет нас им лишь только через мистику; нет сомнения, что исключительно только подобным мышлением мы можем постичь гений художника. Именно видением подобного рода возможно проникновение в слои невидимых настроений живописца и в его далеко ведущие пласты, их осмысление и хотя бы приблизительный анализ. По мнению автора, изучение творчества гениальных художников, пусть даже хотя бы частичное, возможно лишь мистическими способами.

ქათივან შინგალი

რამდენიმე შტრიხი პიკასოს პორტრეტისთვის

„მარადისობა კენჭებით მოთამაშე ბავშვია“ – წერდა პერაკლიტე – „ბავშვის ეკუთვნის მეუფება ამა ქვეყნისა“. მხატვრის უჩვეულო სახელი, სწორედ ამ ბავშვის ხელში მოქცეული ერთ-ერთი კენჭია, რომელიც ესპანეთის მიწაზე გადმომსკდარმა ლურჯმა, ბობოქარმა ტალღებმა აჩუქეს მიწას.

მისი შემოქმედება, ხელოვნების ისტორიაში, უამრავი აურზაურის და მრავალჯერადი კამათის საგნად იქცა. 1881 წელს, მალაგაში, მხატვრის – ხუან რუისის ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელმაც დედის – მარია პიკასოს გვარი აირჩია.

პაბლო პიკასოს ოჯახი ბარსელონაში გადასახლდა; სწორედ აქედან იწყება მხატვრის შემოქმედებითი გზა. 10 წლის პიკასო უკვე აქტიურად მუშაობს მამის ხელმძღვანელობით. ესპანეთის სამხატვრო სასწავლებლების დამთავრების შემდეგ (კაზმული ხელოვნების სკოლა ბარსელონაში და სახვითი ხელოვნების სამეფო აკადემია სან-ფერნანდოში, რომელიც მდებარეობს კადისში) მხატვარი საფრანგეთში გადადის საცხოვრებლად. „პარიზში თავისუფლება ვიგრძენი“ – წერდა ის. ეს ქალაქი ყოველთვის იზიდავდა მხატვრებსა და პოეტებს, თითქოს მისი ჰაერი და ყოფა უნებურად, ყველაზე მეტად უწყობდა ხელს თავისუფალ ხელოვანთა აზროვნებას, მათ შემოქმედებით აღმავლობას. ღამე მონმარტრი ზეცასა და მიწაზე ანთებულ ვარსკვლავთა ერთობლივი შუქით ბრწყინავდა, რაც განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა პარიზს.

პიკასო ხასიათით ნამდვილი ესპანელი იყო; ხოლო, როგორც მხატვარი, ფრანგულ კულტურას ეკუთვნოდა.

ხელოვანი თავისუფალმა შემოქმედებითმა ექსპერიმენტებმა კუბიზმამდე მიიყვანა. ის თავდავიწყებით ეძლეოდა ფორმათა ძიებას. თუმცა ამბობს: „მე არ ვეძებ, მე ვპოულობო“. მხატვარს თავდაჯერება, ექსპანსიურობა და იმპულსურობა ახასიათებდა; გამოირჩეოდა უდიდესი ენერგიით. ყოველივე ეს მკვეთრად აისახა მის ქმნილებებში. უნდა ეძებდეს თუ არა ფერმწერი მსგავსებას რეალურ ყოფასთან და ვისთვის რა არის ეს რეალობა? წარმოჩნდებიან თუ არა ახალი იდეები ახალ ფორმებთან ერთად? ბოლომდე იტყვს თუ ვერა შემოქმედის განწყობილებას, ემოციას და აზრებს ფერის და კომპოზიციის პიკასოსეული შერწყმა? – ალბათ, ეს არის ის ძირითადი კითხვები რომლებსაც ბადებდა მისი შემოქმედება.

პიკასოს მხატვრობა რამდენიმე ეტაპად (ცისფერი, ვარდისფერი, კუბიზმი, მტრედების პერიოდი...) იყოფა. ის ნახატებიც კი, რომლებიც ტრადიციული შესრულების მანერით ხასიათდება და მხატვარმა ბარსელონაში ცხოვრების პერიოდში შექმნა („მეცნიერება და რელიგია“, 1897; „პირველი ზიარება“, 1896; „ავტოპორტრეტი“, 1896; „არლეკინი“, 1896; „დედის, მარია პიკასოს პორტრეტი“, 1896; „მამის პორტრეტი“, 1896...) მუდამ საკამათო იყო.

პიკასოს ფორმათა გამოსახვის მანერა იმდენად მრავალფეროვანი და უჩვეულოა, რომ დიდ ყურადღებას იქცევდა შემფასებელთა მიერ აზრთა „სიჭრელის“ მხრივაც. ეს ეხება არა მხოლოდ მის ფერწერას, არამედ მის მიერ შესრულებულ ქანდაკებებსა და კერამიკულ ნამუშევრებსაც; რაღა თქმა უნდა, ამგვარი ვითარება, ინვევდა მხატვრობაში მისთვის განკუთვნილი ადგილის შესახებ ურთიერთგამომრიცხველ აზრებს.

30 წელს გადაცილებული მხატვარი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. პიკასოს მხატვრობით ინტერესდებოდნენ: აპოლინერი, არაგონი, ნერუდა, კოკტო, ვერკორი, ელუარი... და უძღვნეს მის შემოქმედებას გამოკვლევები, ვრცელი პოემებიც კი; მოუხდებოდა ამისა, პიკასოსთვის დაუწოდებელი კრიტიკაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო;

პაბლოს მხატვრობაში, ფორმათა ძიების ექსპერიმენტები აღიზიანებდა ჩერჩილს, ტრუმენმა მის შემოქმედებას გარყვნილება უწოდა, ხოლო შიტლერმა მუზეუმებიდან ჩამოახსნევინა მხატვრის ნამუშევრები.

1901-02 წლებიდან იწყება მისი ცისფერი პერიოდი, 1900 წელს პიკასო პარიზში ჩადის და იბადება განსხვავებული „ფერწერული ხანა“ მის შემოქმედებაში: მოწყენილობა, ტრაგიზმი, გარინდება, მღუმარება, სიღარიბე და ნაკლებად აქტიური ფიგურები დამახასიათებელია 1901-04 წლებში შექმნილი ნახატებისათვის. 1902 წელს ის ისევ ბარსელონაშია. 1903-04 წლები ყველაზე მკვეთრად ასახავს მის ცისფერ პერიოდს („ქალი შეკრული თმით“, 1903; „ღარიბი მოხუცი პატარა ბიჭით“, 1903; „შეხვედრა“, 1902; „ტრაგედია“, 1903...) ამ პერიოდის მხატვრობას ქმნის პიკასო ძირითადად მუქი და ღია ლურჯი, ცისფერი და რუხი ფერებით.

1904 წლის შემდეგ იწყება მისი ვარდისფერი პერიოდი(1905-06წწ). ვარდისფერი, ოქროსფერი და ნაცრისფერი ტონები დომინირებენ მკვეთრად. უკვე ჩნდება მის მხატვრობაში უფრო ცოცხალი, სიცოცხლის უნარიანი სახეები, აქტიური და ენერგიული მონასმები, საგრძნობია მოხეტიალე მსახიობების ზედაპირული მხიარულება და ამავდროულად გულჩათხრობილობაც, ცირკოსა და თეატრის სცენებიც („ავინიონელი ქალები“, 1907; „პიკასოს პორტრეტი“, 19012; „აკრობატის ოჯახი“, 1914...). ცისფერი პერიოდისგან განსხვავებით ამ ნახატების ფერთა სპექტრი უფრო მრავალფეროვანიც არის.

1907 წლიდან პიკასო სრულიად ცვლის თავის ხელწერას: ის ეძებს ფორმობრივ ვარიაციებს, მისი ფიგურები კარგავენ სიმრგვალებს. საგრძნობია დიდი ექსპერიმენტი მის ფერწერაში. ნახატებში შემოდის ხალისიან ფერთა სიჭრელეც- აქტიური მონასმები, ნათელია გეომეტრიულ ფიგურათა მსგავსი ფორმების წინ წამოწევა. კმის ფერწერას ახასიათებს კომპოზიციური სრუ-



ლყოფილება, გაბედული, რისკიანი ფორმების გამოსახვა ენერგიულ და დასახატი ნატურის ან საგნის მსგავსების ძიების მიმართ მიზანდასახული გარიდება; ჯკუბიზმის ერთი უპირველესი ფუძემდებლისთვის გამორჩეული პერიოდი იწყება... მინდა გამოვარჩიო მისი „გიტარა“(1912), „ხილის ლარნაკი“(1917), „ყვავილების ვაზა“(1943), „ქალიშვილის პორტრეტი“(1914)...

ამ შემოქმედის სახელი აღელვებდა საზოგადოების სხვადასხვა ფენას. ხშირად, მასზე გამოთქმული ურთიერთსაწინააღმდეგო აზრის გამო, ადამიანებს შორის გაჩენილი დაპირისპირება დიდ აჟიოტაჟს იწვევდა; თითქოს პიკასოს მჩქეფარე და ენერგიული ხასიათი ასეთივე მოზღვავებული მუხტით ავსებდა მის შემფასებელთა განწყობილებებსაც, რაც მათ შორის გამართულ ზღვარგადასულ კამათში აისახებოდა. დაახლოებით ხუთი ათეული წლის წინ, როცა პიკასოს მიერ გაფორმებული საბალეტო სპექტაკლის („აღლუმი“) დეკორაციები იხილა მაყურებელმა, დარბაზში ხელჩართული ჩხუბი გაიმართა განსხვავებული შეხედულებების მიზეზით. მასზე საუბრობდნენ ყველგან: საგამოფენო დარბაზებში, კაფე-ბარებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც კი.

მხატვრის ენერგია და სიყვარული ფერწერას და ქალებს თანაბრად ეთმობოდა. ხელოვნების გამო არასდროს უთქვამს უარი ამქვეყნიურ ტკობაზე. მისი პირველი ცოლი საბალეტო დასის ულამაზესი მოცეკვავე ოლგა ხოხლოვა იყო (1918-1935); ხოლო, მეორედ, 1953 წელს 72 წლის პიკასომ აირჩია 26 წლის ჟაკლინ როკი. მათ თორმეტი წელი გაატარეს ერთად და პიკასოს გარდაცვალებიდან ცამეტი წლის შემდეგ, ქალმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. პიკასოს ათეულობით საყვარელი და ამასთანავე უამრავი მოდელი ჰყავდა გვერდით, რომელთა „შეცნობაც“, როგორც მისი თანამედროვენი იგონებენ, მისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. „მე ნატურას არ ვხატავ, მე მისი დახმარებით ვხატავო“ – წერს ის; თუმცა სიცოცხლის ბოლო წლებში პიკასოს ნამუშევრები სქესობრივი ლტოლვისა და ეროტიკის აპოლოგიად იქცა. ასეთი თემების მიმართ დაუოკებელი სწრაფვა, ამ საოცრად საინტერესო, ორიგინალური და გამორჩეული მხატვრის ერთგვარ „უსიამოვნო უცნაურობად“ შეიძლება მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ ამ პერიოდის მხატვრობა განსაკუთრებულს ვერაფერს სძენს მის დიდ ხელოვნებას. აქვე უნდა გავიხსენოთ მისი შესანიშნავი ნახატი, რომელიც გარეგნულად, თითქოს, იგივე თემას ეძღვნება ოლონდ, ამ სურათით, პიკასო ზემოთქმულისაგან განსხვავებით, ნამდვილ და სრულყოფილ ფერწერას გვთავაზობს.

1936 წელს ის ქმნის ნახატების სერიას, რომელთა შორისაც გამოირჩევა „დორა და მინოტავრი“. დორა მარი პიკასოს საყვარელი ქალი, რამდენიმე წლის განმავლობაში მისი მუზა და ცხოვრების მეგობარი იყო. დორა არაერთგზის ჰყავს მას გამოსახული. მხატვრის მჩქეფარე და მოუსვენარი, მარად ცვალებადი პირადი ცხოვრების ამსახველი ფაქტები, რასაკვირველია, ხშირად ასულდგმულვებდა მის შემოქმედებით სიუჟეტებს.

დორას გვერდით, 53 წლის მხატვარმა თითქოს ახალი ენერგია აღმოაჩინა საკუთარ თავში და სიყვარულსა და ხელოვნებას თავდაუზოგავად მიეცა. მისი სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა ძალზე იოლად უძლებდა ამგვარ

ყოფას. ამ ორ „დემონთან“ ერთდროულად გამკვლავება, სხვა მხატვართაგან განსხვავებით პიკასოსთვის არ აღმოჩნდა საშიში და დამლუპველი.

ჩვენს მიერ დასახელებულ ნახატზე ორი ფიგურაა: დორა – ქალი და მინოტავრი – ხარისთავიანი სხეული. შიშველი ქალი მდებარეობს დაუწვევნი მინოტავრის მდებარეობაზე. ეს არის ყოფის, არსებობის, მარადიულობის გამოხატველი ფერი. მინოტავრის უკან ფონი მოაღისფრო-მონითალოა. ეს ფერი შერჩეულია გზების, გულისცემისა და სისხლის აჩქარებული მოძრაობის მისანიშნებლად. შიშველი მინოტავრი ანუ მამაკაცი-ცხოველი თავდაჯერებული მოუთმენლობით დაჰყურებს ქალს. ის მუხლებზე დგას. ერთი ხელით დორას ფეხი უჭირავს, მეორე – მის მკერდთან აქვს. მინოტავრის შიშველი ტანი სქესობრივი აქტისადმი ლტოლვას განასახიერებს. დორას თეთრი, სრული სხეული წინააღმდეგობას და კონტრაქტისათვის მზაობას ერთდროულად გამოხატავს. ქალი გახელილი თვალებით შესცქერის მინოტავრს. ის მომეხვეული მიგდებულა მდებარეობაზე და ოდნავ კისრისკენ აზიდული მხრები, წინ წამოწეული მკერდი, გაშლილი ფეხები გვაგარძნობინებს, რომ ვნებას აჰყოლია. აქ პიკასო ჯადოქრის სიზუსტით გადმოგვცემს „ვითომ“, და, ნახევრად ნაძალადევი ინტიმური ურთიერთობის იმ მხარეს, როცა ძლიერი ენერჯია აუცილებლად აღწევს შედეგს; ხოლო „მსხვერპლი“, თითქოს საკუთარი ლოგიკისა და სურვილის სანაღმდეგოდ, თავის „გადარჩენის ნიშნად“ ემორჩილება არსებულ ფაქტს. ნახატზე, ქალისა და მამაკაცის ურთიერთსანაღმდეგო სახასიათო ნიშნის, ერთმანეთის მიმართ მიზიდულობის უცვლელი კანონის ერთ-ერთი ინტერპრეტაციაა გამოსახული და, რაღა თქმა უნდა, ირონიზირებულიც.

პიკასო აღწევს ფუნჯით მოგვითხროს ის სიუჟეტი, რომელიც მან მოამზადა და არ გვაძლევს ფანტაზიის საშუალებას. ის ამგვარი თემის შემოთავაზების დროსაც ხშირად იმარჯვებს.

მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების ნაირსახოვანი ამპლიტუდები მეტყველებს იმაზე, რომ ამგვარი ექსპანსიური ნამუშევრების გვერდით, მის მხატვრობაში, მრავლად არის უნაზესი თემები, სადაც სიმშვიდის მოპოვებისა და სიბრძნის ნვდომის შედეგი, ამქვეყნიურ სიამეთა უკიდურესი უარყოფაც გვხვდება. მოვიგონოთ სურათი „ორი და“ (შეხვედრა).

მხატვარი ამჯერად რელიგიურ სიუჟეტს დასტრიალებს. ორი ქალი შეხვედრია ერთმანეთს. მათი თაღის სამოსი და თავსაბურავები კისრიდან ფეხის კოჭებამდე ფარავს ფიგურებს. მონაზვნებს თავები ერთმანეთისკენ მოუყრიათ. მოუჩანთ მხოლოდ სახეები, ხელის მტკვანი და ტერფები. ფონიც ბინდისფერია. ირგვლივ საოცარი სიმშვიდე სუფევს. ერთ დას თვალები დაუხუჭავს და საკუთარ ფიქრებს ჩაღრმავდება. მეგობრები არც კი საუბრობენ. ისედაც ნათელია მათთვის ყოველი. ნახატზე საგრძნობია, რომ ეს ხანმოკლე სიამოვნება ერთად და ერთმანეთის გვერდით ყოფნა, მონაზვნებისთვის ამქვეყნიურ სურვილებთან დამაკავშირებელი უმნიშვნელო ბილიკია. როდესაც ნახატს აკვირდები სევდა გეუფლება; ხვდები, რომ ეს უსიხარულო შეყრა ის „მაქსიმუმია“, რაც დებს ჯერ კიდევ შერჩენიან მინიერი ყოფიდან. მხატვართან ერთად განიცდი მათ უჩინარ (ოღონდ, არა უფლისთვის) ყო-



ფას. ეს არის მეგობრული და არა საქმიანი შეხვედრა; რაც გვაგრძობს, რომ ჩვენ ადამიანებთან გვაქვს საქმე და არა უხორცო ნმინდანებთან. ამიტომაც არის დასაფასებელი ის ღვაწლი, რაც მათ სულის გადასარჩენად, ნუთისოფლის სიამეთა უარყოფით უტვირთავთ. ფიგურების სახეთა გამომეტყველება გვაგრძობინებს, რომ მათთვის ტრაგიკული განცდები ჯერ კიდევ არ არის უცხო და საბოლოო სიმშიდმედე მისასვლელი გზა ისევ გრძელდება.

ნახატში დების (მონაზვნების) სახეებზე კოსმიური სამყაროს შეცნობის სურვილია ასახული. პიკასო ახერხებს ჩასწვდეს ცოდნაზე დამყარებულ სიმშვიდეს, ადამიანის სულის მოძრაობას; ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად მხატვრის ექსპანსიური და ცვალებადი ცხოვრების ნესისა, მას აქვს უნარი აღიაროს დიად ფასეულობებზე დაფიქრებულ კაცთა უპირატესობა; პიკასო აფასებს ყველაფერს, რასაც ადამიანის გული შეუპყრია და სულით-ხორცამდე შეუძრავს. ის მაქსიმალისტიკა და არ ცნობს სანახევრო სურვილებს, სანახევრო ქმედებებს.

შემომქმედი ხშირად უტრიალებდა შემდეგ თემებს: დედა-შვილობა, ომი, უბრალოების ხიბლი, მხატვრის ტრაგედია... უყვარდა ზოგიერთი მითოლოგიური გმირის, აგრეთვე ხართა ბრძოლების, მტრედების ხატვა. დატოვა 20 ათასზე მეტი ნამუშევარი...

პიკასოსთვის მტრედი ფრინველი კი არა, საკუთარი შემოქმედების თანამგზავრი იყო.

მხატვარი სამუშაოდ იყენებდა ყველანაირ მასალას: ქალაღდს, ტილოს, ცარიელ კოლოფებს, ფანერას, კედელს... ის ვერ იტანდა მოუხატავ სივრცეს. სახელოსნოში საღებავები მთებივით აზიდულიყო. „ახალგაზრდობაში ფული არ მქონდა და საღებავებს ვერ ვყიდულობდი; ამიტომ ახლა, მრავლად მოვიმარაგე უამრავი რაოდენობით, რომ მთელი ცხოვრება მეყოსო“ – უთხრა ერთ გაოცებულ სტუმარს. სახელოსნოში უამრავი სხვადასხვა ყოფითი ნივთი ჰქონდა: ძველისძველი ქამარი, მავთული, თმის სარჭი, ქილა, გალია... არეულობა მას არ აღიზიანებდა, თუმცა ირგვლივ დასაჯდომი ადგილიც ძნელად მოიძებნებოდა. მაგიდებზე – გრავიურები, მოლბერტებზე – სხვადასხვა დროს დაწყებული ნახატები, ძირს დაყრილი, წიგნებისთვის შექმნილი ილუსტრაციების ნიმუშები მისთვის ჩვეულებრივი გარემო იყო. პიკასო სამოცდაათ წელს გადაცილებულიც თავდაუზოგავად შრომობდა. ის 1973 წელს გარდაიცვალა და დატოვა უამრავი შესანიშნავი ნახატი. ხელოვნების ისტორიაში უამრავი ექსპერიმენტია ცნობილი, გამარჯვებული ექსპერიმენტის ავტორი კი ძალიან ცოტაა, ამ ერთეულებს მიეკუთვნება პიკასოც... „მე არ მაინტერესებს თვალით დანახული გარემო, ვხატავ სამყაროზე ჩემი აზროვნებისა და ფიქრების შედეგს“ – ასე აფასებდა ის საკუთარ შემოქმედებას.

წერილში მოცემული თარიღებისთვის დავიხმარეთ ბარსელონაში, პიკასოს მუზეუმში არსებული მასალები. რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მათ არქივს.

წყაროები და ლიტერატურა:

1. დამარ ფეგველი – „პაბლო პიკასოს ცხოვრების ისტორია,“ პრესტელის გამომცემლობა, 2010;
2. ანიტა ბელუბეკ-ჰამერი – „პაბლო პიკასო: ქალები, ხარები, ძველი ოსტატები“; სპილენძის გრაფიკების კაბინეტი (გერმანია), 2013.
3. ქსაველ კოსტა ქლაველი – „პიკასო“ – პიკასოს მუზეუმი ბარსელონაში; („ცისფერი პერიოდი“, „ვარდისფერი პერიოდი“) პიკასოს ბარსელონას მუზეუმის მე-14 გამომცემა.
4. მარია პიკასო – „მოგონებები ბაბუაზე“; გამომცემლობა „ტექსტი“ 2006.

KETEVAN SHENGELIA

FEW TRAITS TO PICASSO'S PORTRAIT

Summary

The writing describes several aspects of life and art work of one of the most prominent painters in the history - Pablo Picasso, and elaborates on different stages that accompanied his painting (beginning, “Blue Period”, “Rose Period”, the period of establishment of “Cubism” and etc.). The essay describes the distinctive signs and color spectrums of these periods, as well as harmonic confluences of shapes and compositions that were introduced by the author.

The work particularly examines two paintings created on totally different subjects, these are: “Dora and Minotaur” and “The Meeting” (“Two Sisters”). The end of the letter is dedicated to describing of Picasso's art workshop.

КЕТЕВАН ШЕНГЕЛИЯ

НЕСКОЛЬКО ШТРИХОВ ПОРТРЕТА ПИКАССО

Резюме

В статье рассматриваются несколько аспектов жизни и творчества озаренного божественным талантом художника Пабло Пикассо и этапы, которые сопутствовали его живописи – начальный этап, „голубой период“, „розовый период“, основа „кубизма“... В этом труде показаны характерные черты и цветовой спектр этих периодов, предложенные художником гармоничные слияния новых форм и композиций.

Из всех работ рассмотрены две картины сильно отличающиеся друг от друга по тематике. Это „Дора и Минотавр“ и „Свидание“ („Две сестры“).

Статья заканчивается описанием мастерской Пикассо.

ფარანოზ ლომაჰვილი

მესიანიზმი რუსულ ისტორიოგრაფიაში

მესიანიზმის ესა თუ ის ფორმა (პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური და სხვა) თითქმის ყველა ეროვნულ ისტორიოგრაფიას ახასიათებს. არსებობს უნივერსალური მესიანიზმიც, რომელიც ერის განსაკუთრებულ მრავალმხრივ დანიშნულებაზე პრეტენზიას ერთდროულად აცხადებს. მაგრამ, საკითხის გამარტივების მიზნით, ალბათ, უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ ისინი ორ ძირითად ნაწილად – დიდი და მცირე ერების მესიანიზმად დავყოთ.

დიდი ერების მესიანიზმი, როგორც წესი, შემტევი ხასიათისაა და ხშირად მსოფლიოს წარმმართველი ძალის პრეტენზიასაც კი აცხადებს. მცირე ერთა მესიანიზმი კი ძირითადად თავდაცვით ხასიათს ატარებს და სხვა ერებისთვის თითქმის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს.

წინამდებარე სტატიის მიზანია ძირითად ხაზებში, სქემატურად მაინც, წარმოადგინოს დიდი ერებისთვის დამახასიათებელი მესიანიზმის რუსული სახესხვაობის ასახვა ეროვნულ ისტორიოგრაფიასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში.

მესიანიზმის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ ეროვნულ სახელმწიფოებრიობის ზრდასთან ერთად ისიც მტკიცდება და ფართოვდება, ამ ერის ისტორიოგრაფიაზეც შესაბამის გავლენას ახდენს. ასე დავმართა რუსულ ისტორიოგრაფიასაც. თავდაპირველად ის ეროვნული სახელმწიფოებრიობის უცხოურ (ნორმანულ-ვარიაგულ) წარმომავლობას არ უარყოფდა. შემდეგში კი, რუსეთის სახელმწიფოებრივი ძლიერების ზრდის შესაბამისად, ის ე.წ. „ნორმანულ თეორიას“ სულ უფრო გადაჭრით და დაჟინებით ებრძოდა. თავი რომ დავანებოთ ამ პროცესის დეტალურ აღწერას, საკმარისია გავიხსენოთ, რომ საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ ის ანტიმეცნიერულ მიმდინარეობად გამოაცხადა. „ნორმანული თეორია – ნათქვამია „საბჭოთა ენციკლოპედიურ ლექსიკონში“, – არის რუსული და უცხოური ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ანტიმეცნიერული მიმდინარეობა, რომლის მომხრეები ნორმანებს (ვარიაგებს) ძველი რუსეთის სახელმწიფოს შემქნელებად თვლიან. იგი მე-18 ს-ის მე-2 ნახევარში გ.ზ. ბაიერმა და ზ. თ. მილერმა ჩამოაყალიბეს. ნორმანულ თეორიას უარყოფდნენ მ. ვ. ლომონოსოვი, დ. ი. ილოვაისკი, ს. ა. გედეონოვი და სხვები. ნორმანული თეორიის უსაფუძვლობა საბოლოოდ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ დაამტკიცა“ (18, 902).

რუსული მესიანიზმის პირველ აშკარა დეკლარაციად ე.წ. „მესამე რე-

მის" თეორია იქცა. თუ „მეორე რომი“ კონსტანტინოპოლი იყო, „მესამე და უკანასკნელი მოსკოვია, რადგან „მეოთხე აღარ იქნებაო“ – ასეთი იყო რუსული ისტორიოგრაფიის კატეგორიული განცხადება. ეს პრეტენზიული იდეა მთელი რუსი ხალხის საერთო იდეა არასოდეს არ გამხდარა. რაც მთავარია, ის თვით რუსეთში არ წარმოშობილა. როგორც ირკვევა, ეს იდეა ბულგარეთის საეკლესიო წრეებში ჩასახულა და თავდაპირველად მხოლოდ მართლმადიდებლობის დაცვაში მაშინდელი ყველაზე მძლავრი ქრისტიანული ქვეყნის განმსაზღვრელ როლს გულისხმობდა. მაგრამ ის რუსეთში საკმაოდ ფართოდ გავრცელდა და ქვეყნის იმპერიულ პოლიტიკაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა. ძველი რუსული მატეანეების პირველი დიდი მკვლევარი. ა. შახმატოვი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ რუს მემატეანეებს იმთავითვე „პოლიტიკური ვენებები და პრაქტიკული ინტერესები ამოძრავებდათ“ [22: XVI].

ივანე III-ის, განსაკუთრებით კი ივანე მრისხანის, შემდეგდროინდელ ისტორიოგრაფიაში რუს მეფეთა რეიტინგის განმსაზღვრელ ფაქტორად მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნებისა და ხალხების რაოდენობა იქცა. რაც მთავარია, რუსული ისტორიოგრაფია სულ უფრო ფართოდ მიმართავდა სხვა ხალხთა პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო მიღწევების სრულიად უსაფუძვლოდ მითვისებას. ეს მაცდური ნაციონალისტური ტენდენცია თვით პეტრე I-ის თანამედროვე პირველი ევროპელი დონის დიდი რუსი ისტორიკოსის ვ. ტატიშჩევის გამოსვლამაც ვერ დაძლია. ის უარყოფდა ძველ რუს მემატეანეთა მტკიცებას, თითქოს „ბიბლიაში“ და სხვა დოკუმენტებში მოხსენიებული ქარველი „მოსოხები“ „მოსკოვიტა“, ე.ი. მოსკოველთა წინაპრები იყვნენ, ხოლო ქრისტეს ერთ-ერთმა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა I საუკუნეში გააქრისტიანა კიევი, რომელიც მხოლოდ VIII საუკუნეში დაარსდა [21: IX]. ეს მესიანისტური ცდუნებები რუსულ ისტორიოგრაფიას დიდხანს შემორჩა.

თვით გენიალური მ. ლომონოსოვიც კი ამ საერთო დინებას ვერ ასცდა. ის თავგამოდებით ამტკიცებდა, თითქოს სლავები ევროპის ავტოქტონები იყვნენ და მათ ცივილიზაცია და დამწერლობა ჯერ კიდევ გაქრისტიანებამდე შექმნესო. ის გადაჭრით უარყოფდა რუსული ეროვნული თავმოყვარეობის შემლახველ „ნორმანულ თეორიას“. XVIII ს-ის მეორე ნახევრის თვალსაჩინო ისტორიკოსები მ. შერბატოვი და ი. ბოლტინი ევროპული განმანათლებლური საისტორიო აზროვნების გავლენით ფეოდალური ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბებას ცდილობდნენ. მაგრამ მოწინავე ფეოდალურ ისტორიოგრაფიას ისინი ხშირად მარჯვნიდან აკრიტიკებდნენ. პირველის აზრით, ივანე მრისხანისა და პეტრე პირველის მთავარი შეცდომა „ბოიართა პოზიციების შერყევა“ იყო, ხოლო მერე თვითიმპერობელური მმართველობისა და ბატონყმობის გამართლებასაც კი ცდილობდა. სამაგიეროდ, ორივენი ეროვნული მესიანიზმის სამსახურში რჩებოდნენ და რუს მეფეთა აგრესიულ დამპყრობლურ კოლონიზატორულ პოლიტიკას გუნდრუკს უკმევენენ.

რუსული ისტორიოგრაფიის მესიანისტური მიდრეკილების დაძლევა ვერც უცხოური წარმოშობის ისტორიკოსებმა შეძლეს, თუმცა შლეცერმა



დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ რუსი ხალხი და მისი ენა ინდივიდუალური ოჯახის განუყოფელი ნაწილია, ბაიერისა და მილერის ძირითად მემკვიდრეობად კი მაინც ე.წ. „ნორმანული თეორია“ დარჩა. ბუნებრივია, რომ რუსულმა პატრიოტულმა ისტორიოგრაფიამ ეს „ნიჰილიზმად“ მიიჩნია და, ეროვნული სიამაყის გაძლიერების მიზნით, რუსეთის მთელი ისტორიული განვითარების „თავისებური გზის“ ძიება განაგრძო. ამ მიმართულებით განსაკუთრებული პოპულარობა ნ. კარამზინმა მოიპოვა.

ყოველ ხალხს, ამბობდა მეფის მიერ რუსეთის ოფიციალურ „ისტორიოგრაფად“ დანიშნული ნ. კარამზინი, განვითარების საკუთარი გზა აქვს. ევროპის ხალხებმა განვითარებას დემოკრატიის, სამრეწველო წარმოებისა და ტექნიკის სრულყოფის გზით მიაღწიეს. სამაგიეროდ, ისინი რევოლუციებისა და ომების გამანადგურებელ ალში გაეხვივნენ. რუსეთი კი წარმატებას მხოლოდ მართლმადიდებლობის, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის ყოველმხრივი განმტკიცებით აღწევდა. რაც მთავარია, უზარმაზარი და სანიმუშო იმპერიის შექმნას და თავისი კულტურტრეგერული მისიის განხორციელებას ის ყოველგვარი ძალადობისა და ბოროტმოქმედების გარეშე ახერხებდა. ამიტომ რუსეთის სახელმწიფო მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის მისაბამ მაგალითად იქცა. „რომი – წერდა ნ. კარამზინი „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ შესავალში, – თავისი სიდიადით მას ვერ შეედრებო“ [15: 15].

ნ. კარამზინი რუსეთის მიერ დაპყრობილ ხალხებს, ამერიკელ შავკანიან მონებთან ერთად, „ველურებს“ უწოდებდა და ამტკიცებდა, თითქოს რუსეთმა ისინი თავისი „მხნეობითა და ვაჟკაცობით“ შეიძინა და ცივილიზაციის შარა გზაზე გაიყვანა. „ამერიკის მსგავსად, – აცხადებდა ის, – რუსეთსაც თავისი ველურები ჰყავს... აუცილებელი არ არის რუსი იყო, საკმარისია აზროვნებდე, რომ ინტერესით ნაიკითხო გადმოცემა იმ ხალხისა, რომელმაც თავისი მხნეობითა და ვაჟკაცობით მოიპოვა ბატონობა დედამიწის მეშვიდედ ნაწილზე, მანამდე უცნობი ხალხები აღმოაჩინა და გეოგრაფიისა და ისტორიის სისტემაში შეიყვანა, ლეთიური რწმენით გაანათლა ისინი არა ისეთი ძალადობითა და ბოროტმოქმედებით, როგორსაც ევროპელი და ამერიკელი ქრისტიანობის დამცველები მიმართავდნენ, არამედ ერთადერთი მისაბამი ნიმუშის ჩვენებით“ [15: 15].

ეს სიტყვები დაინერა მაშინ, როცა რუსეთს უკვე დაპყრობილი ჰყავდა ქართველი ხალხი, რომელსაც 30-საუკუნოვანი ცივილიზაციური გამოცდილება ჰქონდა და რუსეთზე 600 წლით ადრე გაქრისტიანდა. რუსეთზე ძველი და მაღალი ცივილიზაცია ჰქონდათ გავლილი სომხებსა და ზოგიერთ სხვა ჩაგრულ ხალხებსაც.

ნ. კარამზინის ნაშრომის გამოსვლას რუსეთის საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა. თვით გენიალურმა პუშკინმა ნ. კარამზინს რუსეთის აღმომჩენი „კოლუმბი“ უწოდა. მაგრამ ამან სლავიანოფილთა და მედასავლეთეთა საბოლოო გათიშვაც დააჩქარა.

რუსული ისტორიოგრაფიის ორ მონინალმდევე მიმდინარეობად გათიშვა გერმანული ისტორიულ-ფილოსოფიური ლიტერატურის გავლენამაც განა-

პირობა. მედასავლეთეებმა შვედელის საკაცობრიო ისტორიის იდეა გაიზიარეს. სლავიანოფილებმა კი თავიანთ კუმირად „განსაკუთრებული ეროვნული სულის“ მადიებელი შელინგი გაიხადეს.

რუსეთის საზოგადოების სლავიანოფილებად და მედასავლეთეებად გათიშვა, ცხადია, ძირითადად თვით ეპოქამ განაპირობა. ნაპოლეონთან სამართლიან ომში ისტორიულმა გამარჯვებამ საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. ამ გამარჯვებამ საზოგადოების ერთ ნაწილში ბატონყმურ – თვითმპყრობელური წყობილების გარკვეული უპირატესობის შთაბეჭდილება შექმნა. მაგრამ რუსეთის არმიის არა მარტო ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, არამედ თვით მეფემაც კი, საკუთარი თვალთ ნახეს ცხოვრების ევროპული წესის სრული უპირატესობა. ამან კი ჩამორჩენილი რუსეთის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნის მრავალნაირი პროექტების წარმოშობა განაპირობა. ასეთ პროექტებს თვით უმაღლეს სახელმწიფო წრეებშიც კი ამუშავებდნენ. მაგრამ პოლემიკა ძირითადად მაინც ინტელიგენტური წრეების ფარგლებში დარჩა.

მედასავლეთეთა პირველ დიდ მედროშედ ა. რადიშჩევი გამოვიდა. ევროპამ და ამერიკამ – აღნიშნავდა ის – ძირითადი სოციალური და კულტურული პრობლემები უკვე გადაწყვიტეს. ჩვენ კი ბარბაროსებად ვრჩებით, ბატონყმობა ვერ გავციუქმებია და თვითმპყრობელობის „ასთავიან ურჩხულსაც“ ვემონებით. რუსეთის ამოცანა ამ ორი მთავარი ბოროტების მოსპობაა. ამის შემდეგ ჩვენ განვითარების ევროპულ გზას დავადგებით და ხალხის მდგომარეობას რადიკალურად გავაუმჯობესებთ.

სამწუხაროდ, ა. რადიშჩევი იმპერიის ჩაგრულ ხალხთა გათავისუფლების საკითხს გაკვრითაც არ შეხებია. ამ პრობლემას დუმილით გვერდი აუარა აგრეთვე პ. ჩაადაევმა, რომელმაც ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რადიკალური პროტესტი ლეგალურ პრესაშიც კი გამოთქვა, რისთვისაც ის „შემილიად“ გამოაცხადეს და „მკურნალობაც“ კი დაუნიშნეს.

რუსეთის მესიანურ-კოლონიზატორული პოლიტიკის კრიტიკა და ჩაგრულ ხალხთა გათავისუფლების საკითხი თვით დეკაბრისტულმა რევოლუციურმა მოძრაობამაც სათანადოდ ვერ დააყენა. დეკაბრისტთა ერთი ნაწილი კავკასიის დაპყრობაში და ჩაგრულ ხალხთა გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაშიც აქტიურად მონაწილეობდა. რაც შეეხება „განვითარებულ სლავიანთა საზოგადოებას“, რომელიც დეკაბრისტთა სამხრეთის ორგანიზაციას შეუერთდა, ის პოლონეთის, ჩეხეთის, სერბეთის, უნგრეთის, მოლდოვეთის, ელახეთისა და სხვა სლავური ხალხების „რუსეთის დემოკრატიულ ფედერაციაში“ ძალდატანებით თავმოყრასაც კი მოითხოვდა და ფაქტობრივად იმპერიულ-კოლონიზატორულ პოზიციამდე ეშვებოდა.

XIX ს-ის 40-50-იანი წლებიდან მედასავლეთეებსა და სლავიანოფილებს შორის შეურიგებელი ბრძოლა რუსული ისტორიოგრაფიისა და მთელი საზოგადოებრივი აზროვნების მთავარ მოვლენად იქცა.

მედასავლეთეები (ბ. ბელინსკი, ნ. ჩერნიშევსკი, ა. გერცენი, ნ. დობროლიუბოვი და სხვა) გადაჭრით უარყოფდნენ რუსეთის ისტორიული განვითარების თავისებურების კარამზინისეულ გაგებას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ



კაცობრიობას თავისი განვითარების ერთგვაროვანი გენერალური გზაზე წინსვლისთვის ევროპის დამსახურება ისაა, რომ მან პირველმა მოსპო ბატონყმობა და მისი მპყრობელობა, განავითარა მრენველობა და ტექნიკა, რითაც ჩამორჩენილ ხალხებსაც ეს გენერალური გზა გაუკაფა. რუსეთიც ამ გზით უნდა წავიდეს. უფრო მეტიც, მას შეუძლია ევროპის გამოცდილების გათვალისწინებით და თვით რუსეთის რეალურ თავისებურებათა (სასოფლო თემი და სხვა) გამოყენებით, ევროპას სოციალიზმის განხორციელებაში გაასწროს. რაც მთავარია, ეს მოძღვრება ძირითადად თავისუფალი იყო რუსული სახელმწიფოებრიობის მნიშვნელობის მესიანური გაზვიადებისაგან.

სამწუხაროდ, მედასავლეთობამაც რუსეთის იმპერიაში მიმდინარე სოციალურ-გამათავისუფლებელ და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობათა ურთიერთდამოკიდებულება სწორად ვერ განსაზღვრა. მან ვერც აგრესიული მესიანიზმის კრიტიკა მიიყვანა ბოლომდე და ვერც უტოპიური ნაროდნიკული მოძრაობის გაბატონებას შეუშალა ხელი. იგი სოციალური პრობლემის პრიმატულობის პოზიციაზე დარჩა.

რაც შეეხება სლავიანოფილობას, ის ნაციონალისტური მესიანიზმის ქაობში სულ უფრო ღრმად ეფლობოდა.

ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი კ. აქსაკოვი ამტკიცებდა, რუსეთის ისტორიული განვითარების თავისებურებას „ცვალებადი“ სახელმწიფოებრიობა კი არ განსაზღვრავს, არამედ „მარადიული“ სასოფლო თემიო. მისი მთავარი თეორეტიკოსი ა. ხომიაკოვი ცდილობდა დაესაბუთებინა, თითქოს ყოველგვარი სიკეთე სლავიანურია, ბოროტება (პარლამენტარიზმი, კათოლიციზმი და სხვა) კი დასავლური. ამიტომ მსოფლიოზე ბატონობას სლავიანურ ხალხებს თვით ისტორია აკისრებსო.

ასეთი შოვინისტური მოძღვრების გავლენას თვით გენიალური თ. დოსტოევსკიც ვერ გადაურჩა. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ის სლავიანოფილობის ყველაზე რადიკალური ფრთის ერთ-ერთ მეთაურად იქცა. ეს განსაკუთრებით ნათლად მისი პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ჩანს. ამჯერად მის მხოლოდ ზოგიერთ მოსაზრებას შევხვები.

რუსეთის ისტორიული განვითარების თავისებურება ისაა, რომ აქ თვითმპყრობელობა, ხალხურობა და მართლმადიდებლობა განუყოფელია. ევროპელებმა ტექნიკითა და მეცნიერებით გვაჯობეს, ჩვენ კი მათ მორალურად ვაჯობებთ და კათოლიციზმის, პროტესტანტიზმისა და პაუპერიზმის გაბატონებას თავიდან ავიცილებთ, მეცნიერებას და ხელოვნებას კი ძლევაში სილი ომებით განვავითარებთ ჩვენ ჯერ იაფეტიის მოდგმას, ე.ი. სლავიანებსა და ევროპელებს, შემდეგ კი სემისა და ქამის მოდგმასაც გვაბედნიერებთ [2: 23].

თ. დოსტოევსკის სლავიანთა ისტორიულ მისიაზე მსჯელობისას მხედველობაში ჰქონდა რუსეთის წამყვანი როლი და მისი მესიანური მიზნების განხორციელების კონკრეტული გეგმის შედგენასაც ცდილობდა. „რუსი – ნერდა ის, ვერ გაევროპელდება“. ამიტომ „უპირველეს ყოვლისა ყველა უნდა გარუსდეს. თუ ზოგადკაცობრიულობა რუსული ნაციონალური იდეაა, მაშა-

დასამე, ყველა უნდა გარუსდეს“ [6: 23].

ამ დიდი მისიის განხორციელების პარალელურად, – აღნიშნავდა დიდი მწერალი და მოაზრონვე, – მსოფლიოს პრაქტიკული დაპყრობაც უნდა დაეწყოთ. „ადრე თუ გვიან, ცარგარდი ჩვენი იქნება“. ეს „რუსეთის მთავარი დანიშნულებაა“. „კონსტანტინეპოლი ჩვენი უნდა იყოს. ჩვენ ის უნდა დავიპყროთ და სამარადისოდ შევინარჩუნოთ [6: 67-68].

თ. დოსტოევსკის აზრით, რუსეთის მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობა „აღმოსავლეთის საკითხის მხოლოდ ნაწილობრივ გადაჭრაა, მისი საბოლოო გადაჭრა კი ყარსისა და ერზრუმის აღება იქნება. ამაზე მსოფლიოში ყველა ისევე ადვილად დაგვეთანხმება, როგორც თავის დროზე კავასისის დაპყრობა გვაპატიეს [3:121].

თ. დოსტოევსკის აზრით, მთავარი მაინც „მსოფლიო ერთიანობის“ იდეაა, რომელიც ძველ რომში დაიბადა, მაგრამ ვერ განხორციელდა. ამ მისიას ვერც თანამედროვე გერმანია შეასრულებს. ახლა ევროპაში ერთადერთი „კოლოსი“ რუსეთია. ივანე III-ს რუსეთის სახელმწიფოს სიმბოლოდ ორთავიანი არწივი შემთხვევით არ შეურჩევია. ახლა ის მთელი რუსი ხალხის იდეალად იქცა [10: 103]. ჩვენ არა მარტო ევროპას, არამედ აზიასაც ვჭირდებით [11: 33]. მაგრამ – აზია ჩვენთვის იგივეა, რაც ამერიკა ევროპისათვის [11: 35]. აქ ჩვენ დიდი „ცივილიზატორული მისია გვაკისრია“ [11: 37].

თ. დოსტოევსკი რუსეთის მთელ მსოფლიოში გაბატონების კონკრეტულ ვადასაც კი განსაზღვრავდა. „მთელს მსოფლიოს, – წერდა ის კატეგორიულად, – მოელის განახლება რუსული აზრით... და ეს სულ რაღაც ას წელში მოხდება, – აი, ესაა ჩემი მტკიცე რწმენა. მაგრამ ეს დიდი საქმე რომ მოხდეს, საჭიროა მთელი სლავიანურ სამყაროზე ველიკორუსული ტომის პოლიტიკური უფლება და პირველობა საბოლოოდ და შეუქცევად დამყარდეს“ [28: 260]. ბუნებრივია, რომ „სლავიანურ სამყაროზე ველიკორუსული ტომის პოლიტიკური უფლების დამყარებაში თ. დოსტოევსკი მთელი აღმოსავლეთ ევროპის რუსეთის მიერ დაპყრობას გულისხმობდა.

თ. დოსტოევსკი არა მარტო აკრიტიკებდა, არამედ დასცინოდა კიდევ მედასავლეთეებს, რომლებიც იმპერიაში მოქცეული ჩაგრული ხალხებისათვის შეზღუდული ავტონომიის მინიჭებას მორცხვად მოითხოვდნენ. „...ჩვენი ლიბერალიშკები... ტურგენევი, გერცენები, უტინები, ჩერნიშევსკები“... „რუსეთის მოკავშირე შტატებად გადაქცევის ქადაგებით“ საკუთარ სამშობლოს „ლანძღავენო“ [12, 210]. „რა დაემართება რუსეთს, – შესწიოდა ის ცნობილ რეაქციონერს, სინდოის ობერპროკურორ პ. პობედონოსცევს, როცა ჩვენ – უკანასკნელი მოჰიკანები – მოვკვდებითო“ [13: 122].

მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლის ასეთმა აშკარად აგრესიულმა მესიანისტურმა პოზიციამ დიდი გავლენა მოახდინა მთელ რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე. ცნობილი რუსი პოეტი თ. ტიუტჩევი სიამოვნებით აცხადებდა:

“Москва и град Петров и Константинополь град -
 Вот царства Русского заветные сталицы...”

Семь внутренних морей и семь великих рек...

От Нила до Невы, от Эльбы до Китая,

От волги по Евфрат, от Ганга до Дуная...

Вот царство русское... и не пройдет вовек,

Как то провидел Дух и Даниил предрек" [22: 167].

სლავიანოფილთა და მედასავლეთელთა ხანგრძლივმა პოლემიკამ რუსულ პროფესიულ ისტორიოგრაფიაზეც სერიოზული გავლენა მოახდინა. ჩამოყალიბდა ე.წ. „სკეპტიკური სკოლა“, რომელსაც სათავეში მ. კაჩნოვსკი ედგა. მან ძველი რუსული მატრიანები „ზღაპრულ თხზულებებად“ გამოაცხადა და მათზე დამყარებული კარამზინის თეორია მთლიანად დაიწუნა. აკადემიკოსი მ. პოგოდინი კი ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის ისტორიის „ევროპული პერიოდი დასრულდა“ და დაიწყო „ევროპაში რუსეთის პირველობა“, რაც მალე აზიასაც „გადასწვდება“ [17: 12].

სლავიანოფილობისა და მედასავლეთეობის მორიგების ცდა აშკარად აისახა რუსეთის პროფესიული ისტორიოგრაფიის ისეთ მნიშვნელოვან მიმდინარეობაში, როგორც „ისტორიულ-სახელმწიფოებრივი“ („იურიდიულ-სახელმწიფოებრივი“) სკოლა იყო. მისი ლიდერები – კ. კაველინი, ბ. ჩიჩერინი და სხვები – ისტორიული განვითარების ევროპული და რუსული გზების „სინთეზის“ შესაძლებლობას აღიარებდნენ. მაგრამ მესიანიზმის გავლენისაგან ვერც ისინი გათავისუფლდნენ. პირიქით, ისინი ცდილობდნენ, კონკრეტული მასალით „დაესაბუთებინათ“ რუსული სახელმწიფოებრიობის მესიანური როლი სხვა ქვეყნების დაპყრობისა და კოლონიზაციის განხორციელებაში.

რუსული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მწვერვალად სამართლიანად ითვლება ს. სოლოვიოვი, რომლის ოცდაცხრატომიანი ნაშრომი პირველად 1851-1879 წლებში გამოქვეყნდა და თავისი მეცნიერული მნიშვნელობას დღემდე ინარჩუნებს. რუსეთი, მიუთითებდა ის, ისეთივე გზით მიდის, როგორც ევროპამ გაიარა.

რუსეთის ისტორიის ახალი, ე.ი. ბურჟუაზიული განვითარების პერიოდი – მიუთითებდა ის თავისი მრავალტომეულის წინასიტყვაობაში – იწყება არა პეტრე I-ის მეფობით, არამედ რომანოვების დინასტიის დამყარებით. „ახალი დინასტიით, - წერდა ის, - იწყება მზადება მოვლენათა ისეთი განვითარებისათვის, რომელიც რუსეთის სახელმწიფოებრიობას ევროპის სახელმწიფოთა შორის ათავსებს. ახალი დინასტიის პირველივე სამი მეფის დროს ჩვენ აქ უმნიშვნელოვანეს გარდაქმნებს ვხედავთ“ [19: 55]. წინა პერიოდისაგან განსხვავებით – განმარტავდა ის – „აღმოსავლეთისაკენ რვასაუკუნოვანი მოძრაობა“, „დასვლეთისაკენ მოძრაობამ შეცვალა“. მაგრამ მთელ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ის განუხრელად ატარებს იმ აზრს, რომ ევროპის დიდი სახელმწიფოების მსგავსად, რუსეთიც მცირე ქვეყნებს აპყრობდა და მათ კოლონიზაციას ახორციელებდა. ს. სოლოვიოვის აზრით, რუსეთის ასეთ ექსანსიას მესიანურ-კულტურტრეგერული მნიშვნელობა ჰქონდა, რაც რუსული სახელმწიფოსაგან ფართო დამპყრობლური ომების ნარმოებას მოითხოვდა. პეტრე I-ის პოლიტიკის ორგანული ნაწილი დაპყრობითი ომები იყო. ამან

რუსეთის სოციალური და კულტურული ჩამორჩენილობაც განაპირობა, მაგრამ ამ სპეციფიკურ ფაქტორთა გავლენა თანდათან მცირდება, ევროპული და საერთო საკაცობრიო ცივილიზაციის გავლენა კი იზრდება. მის შემდგომ განვითარებაში ჩვენ ჩვენს სიტყვას ვიტყვით და მსოფლიოს მოწინავე ხალხთა შორის საპატიო ადგილს დავიკავებთ. ეს ისტორიული კანონზომიერი აუცილებლობაა. ასე, რომ, რუსეთის ისტორიის განვითარების რაიმე განსაკუთრებულ გზაზე მსჯელობა შეუძლებელია.

სამწუხაროდ, რუსულ იმპერიულ მესიანიზმს ვერც ს. სოლოვიოვმა დააღწია თავი. მისი აზრით, უკრაინას მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთის შემადგენლობაში შეეძლო არსებობა [20: 503-595]. პოლონეთის გამათავისუფლებელი აჯანყებები მას ქვეყნის „დაცემადა“, ხოლო მისი დანაწილება „ისტორიულ აუცილებლობად“ მიაჩნდა. მისი აზრით, „რეაქციული“ და „მიუღებელი“ იყო ყველაფერი, რაც რუსული იმპერიული სახელმწიფოებრიობის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა აგრეთვე ვ. კლიუჩევსკიმ. მან შექმნა რუსეთის ისტორიის ორიგინალური კონცეფცია, რომელიც ისტორიულ მოვლენათა განუმეორადობას ეყრდნობოდა. „ამა თუ იმ ქვეყნის ისტორია, – წერდა ის, – არ არის განმეორება იმ პროცესებისა, რომლებიც სხვა ქვეყნებში უკვე მოხდა. ისტორიაში რომ ეს ხდებოდეს, მისი მკვლევარისათვის დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას მოკლებული იქნებოდა“ [16: 15]. ამიტომ, დაასკენიდა ის, ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ამ მოვლენათა მეტ-ნაკლებ ადგილობრივ თავისებურებებზე.

რუსული მესიანიზმი ვ. კლიუჩევსკიმაც ბოლომდე და მთლიანად მაინც ვერ დაძლია. რუსეთის განუწყვეტელ ომებს – წერდა ის – განმათავისუფლებელი მნიშვნელობა მხოლოდ მანამ ჰქონდა, სანამ რუსული მიწების „შეკრებას“ ემსახურებოდა. შემდეგში კი ამ ომებმა აშკარა დამყრობულურ-კოლინიზატორული ხასიათი მიიღო. ამის შემდეგ – აღიარებდა ის – „კოლონიზაცია ჩვენი ისტორიის მთავარი ფაქტორი გახდა, რომელსაც მისი ყველა დანარჩენი ფაქტორი, ასე თუ ისე, დაუკავშირდაო“ [16: 2].

მიუხედავად ამისა, ვ. კლიუჩევსკისთვისაც გაუგებარი დარჩა, როგორც ქვეყნის შიგნით მიმდინარე ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა, ისე რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკური მესიანიზმის არსი.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უკანასკნელი თვალსაჩინო წარმომადგენელი, კადეტი პ. მილიუკოვიც კი, რომელიც მარქსისტული ისტორიულ-მატერიალისტური მონიზმის წინააღმდეგ თანმიმდევრულად იბრძოდა და „ფაქტორების თეორიას“ ავითარებდა, საბოლოო ჯამში, მაინც რუსული მესიანიზმის ტყვეობაში რჩებოდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ის დროებითი მთავრობის წევრი გახდა და რუს ხალხს იმპერიალისტურ ომში „საბოლოო გამარჯვებისაკენ“ მოუწოდებდა.

როგორც ვნახეთ, ძველი (ფეოდალური) და ახალი (ბურჟუაზიული) რუსული ისტორიოგრაფია მთლიანად ადასტურებს იმ ისტორიულ-ფილოსო-



ფიურ დებულებას, რომ მესიანისტურ განწყობილებათა ბოლომდე დამცველი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წყობილების ძირეულ შეცვლასაც კი არ შეუძლია. პირიქით, რუსეთში ყოველი ასეთი ცვლილება მესიანიზმის გაძლიერებას იწვევდა. როგორც ჩანს, მესიანიზმი დაკავშირებულია არა მარტო ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობილებასთან, არამედ სხვა ფაქტორებთანაც.

უახლესი (საბჭოური) ისტორიოგრაფიაც, ქვეყანაში გამეფებული იდეოლოგიური რეპრესიების არნახული სიმკაცრის გამო უძლური აღმოჩნდა აღენიშნა პროლეტარიატის ისტორიული მისიის მარქსისტული იდეის რუსული მესიანიზმის შირმად გადაქცევა. ეს პირველად ემიგრანტულმა ისტორიოგრაფიამ შეამჩნია. „რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, – ნერდა ლენინის მიერ სამშობლოდან გაძევებული ნ. ბერდიაევი, – ბოლშევიზმი რუსული თვითმპყრობელობისა და რუსული იმპერიალიზმის მესამე მოვლინებაა. პირველი მოვლინება იყო მოსკოვის სამეფო, მეორე – პეტრეს იმპერია“ [1: 9]. „მარქსიზმის მესიანური იდეა, დაკავშირებული პროლეტარიატის მისიასთან, – განმარტავდა ის, – რუსულ მესიანურ იდეას შეუერთეს და მასთან გააიგივეს, რამაც ყოველგვარი თავისუფლება მოსპო“ [2: 251].

რაც შეეხება რუსული და მთელი საბჭოური ისტორიოგრაფიის შემდგომ განვითარებას, მისი დეტალური ანალიზი, ჩვენი აზრით, იმ ისტორიული-ფილოსოფიურ დებულებასაც ადასტურებს, რომ თვით ერთი და იგივე წყობილების ფარგლებშიც, მესიანიზმის გაძლიერება-შესუსტება ქვეყნის გაძლიერება-დასუსტებით განისაზღვრება.

„სოციალისტური მშენებლობის“ პირველ წლებში, როცა საბჭოთა ხელისფულებამ იმპერიიდან გასული „განაპირა მხარეების“ ხელმეორედ დაპყრობა მოახერხა, ის მათ არა მარტო ავტონომიური ერთეულების, არამედ მოკავშირე რესპუბლიკების სტატუსსაც გულუხვად ანიჭებდა. მაგრამ ქვეყნის ძლიერების ზრდის კვალობაზე, არა მარტო ავტონომიების, არამედ რესპუბლიკათა სტატუსიც ფიქციად იქცა. ასეთ პირობებში რუსულმა ისტორიოგრაფიამ და საზოგადოებრივმა აზროვნებამ თანდათანობით ჩამოაყალიბა ქვეყნის შიგნით „დიდი რუსი ხალხის უფროსი ძმობისა“ და ქვეყნის გარეთ მთელი კაცობრიობისათვის კომუნიზმისკენ გზის გამკვალავი ძალის მესიანისტური „თეორიები“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოური ისტორიოგრაფია და საზოგადოებრივი აზროვნება ყოველნაირად ცდილობდა რუსული მესიანისტური იდეის განხორციელების მოახლოება „დაესაბუთებინა“. მთავარ „არგუმენტად“ წამოყენებულ იქნა საბჭოთა კავშირში „სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება“, „კომინიზმზე თანდათანობით გადასვლის“ დაწყება, ქვეყანაში თავმოყრილი 120 ერისა და ეროვნების „ერთიან საბჭოთა ხალხად“ გადაქცევა, „ძირმომპალი კაპიტალისტური სისტემის“ წინაშე „მსოფლიო სოციალური სისტემის“ უპირატესობა და სხვა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და „მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში“ ძალდატენებით გაერთიანებული აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა განთავისუ-

ფლების შემდეგ რუსულ ისტორიოგრაფიასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში ტრადიციული მესიანური იდეები თითქმის მთლიანად გაქრა. მაგრამ, საკმარისი იყო ქვეყანა წელში გამართულიყო და აღმავლობის გზაზე დამდგარიყო, რათა რუსულ მესიანიზმსაც კვლავ თავი ეჩინა. დავასახელებ მხოლოდ ერთ ფაქტს, რომელსაც რუსული ისტორიოგრაფია გულდასმით მალავს. სიზუსტის დაცვის მიზნით, პუბლიკაციის ენაზე მოვიტან ამონარიდს საიტზე გამოქვეყნებული დოკუმენტიდან, რომელშიც გადმოცემულია მაშინდელი პრემიერ პუტინისა და პრეზიდენტ მედვედევის შორის რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საბჭოს 2010 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე გამართული დისკუსია:

«Путин отметил что советский способ создания такой «ноциональной» идентификации, как «советский народ», сегодня может послужить хорошим примером для Российской федерации. «Ведь в Советском Союзе не было таких проблем с межнациональными отношениями» - сказал Путин про прошлый опыт. Именно такой формулировки не хватает для России сегодня, считает Прумьер.

С ним не согласился президент Дмитрий Медведев, который просчитал, что советская схема достижения «результата межнационального мира» не подходит для России сегодня. Он считает её чрезмерно жестокой в современных условиях»

როგორც ვხედავთ, რუსეთის დღევანდელი პრემიერი და მაშინდელი პრეზიდენტი დ. მედვედევი რუსეთის ფედერაციაში დარჩენილი თითქმის 100 ერისა და ეროვნების გარუსებისაგან 2010 წლის დასასრულისათვის თავს მხოლოდ დროებით იკავებდა, რადგან საკითხი ჯერჯერობით მომწინფებულად არ მიაჩნდა.

დასასრულს, აუცილებლად მიმაჩნია ალენიშნო, რომ რუსული ისტორიოგრაფიის ისტორიის სახელმძღვანელოთა ავტორები გულდასმით მალავენ რუსული მესიანიზმის თვით არსებობას. ეს განსაკუთრებით საბჭოურ და პოსტსაბჭოურ პერიოდში გამოქვეყნებული სახელმძღვანელოების ავტორებზე ითქმის. თუ ადრინდელ სახელმძღვანელოებში ტერმინი „მესიანიზმი“ გაკვირვებით მოიხსენიებოდა, ომის შემდგომი გამოცემებიდან ის მთლიანად გაქრა. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მესიანიზმი მხოლოდ სხვა ქვენების ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყოს. ამიტომ, უკანასკნელ ხანებში ჩამოყალიბებული „ევრაზიული გეოპოლიტიკური“ და სხვა ახალი მესიანისტური „თეორიების“ კრიტიკული ანალიზი თანამედროვე რუსული საისტორიო აზროვნების ამოცანად რჩება.

წყაროები და ლიტერატურა:

1. Бердяев Н. Истоки и смысл русского коммунизма, М., 1998.
2. Бердяев Н. Самопознание, М., 2008.
3. Достоевский Ф. Полное собрание сочинений в тридцати томах, т.22, М., 1981.
4. Достоевский Ф. Полное собрание сочинений в тридцати томах, т.25, М., 1982.
5. Достоевский Ф. Полное собрание сочинений в тридцати томах, т. 21, М., 1980.



6. Достоевский Ф. Полное собрание сочинений в тридцати томах. т. 25, М., 1982.
7. Достоевский Ф. Полное собрание сочинений в тридцати томах. т. 25, М., 1982.
8. Достоевский Ф. Полное собрание сочинений в тридцати томах. т. 26, М., 1983.
9. Достоевский Ф. Полное собрание сочинений в тридцати томах. т. 22, М., 1981.
10. Достоевский Ф. Полное собрание сочинений в тридцати томах. т. 23, М., 1981.
11. Достоевский Ф. Полное собрание сочинений в тридцати томах. т. 27, М., 1984.
12. Достоевский Ф. Полное собрание сочинений в тридцати томах. т. 28, книга вторая, М., 1985.
13. Достоевский Ф. Полное собрание сочинений в тридцати томах. т. 30, книга первая, М., 1988.
14. Кеарамзин Н. История государства Российского. М., 1988.
15. Кеарамзин Н. История государства Российского. М., 1988.
16. Ключевский В. Курс русской истории, М., 1937.
17. Погодин М. Историко-критическое отрывки, т. I, М., 1846.
18. Советский энциклопедический словарь, М., 1987.
19. Соловьев С. Сочинения в восемнадцати книга, книга I, М., 1988.
20. Соловьев С. Сочинения в восемнадцати книга, книга V, М., 1990.
21. Татищев В. История Российская, книга I, М., 1768-1769.
22. Тютчев Ф. Стихотворения, М., 1936.
23. Цахматов А. Повесть временных лет, Петербург, 1916.

PARNAOZ LOMASHVILI

MESSIANISM IN RUSSIAN HISTORIOGRAPHY

Summary

Messianism – is a peculiar form of the historical and philosophical teleology. Almost all national historiographies contain different kinds of the messianism (political, cultural, ideological, etc.). However, we should separate messianism of small nations from the messianism of large nations.

Messianism of small nations, as a rule, has defensive character and does not contain any threat to other peoples. Messianism of large nations, having universal and aggressive features, often develops into the claim to play a special part in whole mankind history, and sometimes even to the world supremacy.

In our point of view, Russian messianism can be considered as the above mentioned kind of messianism and the present article we would like to dedicate to the schematic reflection of it in the national historiography.

Russian national historiography clearly shows, that enhancement of the universal messianism is directly connected to the growth of overall military and political might of the Russian State. The Old Russian claim to be the Third Rome, which originally meant only the advantage in protection of Orthodox Church, in XVIII-XIX centuries turned into Slavophil claim to world supremacy.

We could also see, how the Soviet historiography in the frame of one social order, transformed from messianic ideology of one country into the ideology of the whole 'Socialistic System', paving to the whole mankind the way to communism.

ПАРНАОЗ ЛОМАШВИЛИ

МЕССИАНИЗМ В РУССКОЙ ИСТОРИОГРАФИИ

Резюме

Мессианизм – своеобразная форма историко-философской телеологии. Его отдельные разновидности (политическая, культурная, идеологическая и т.д.) присущи почти всем национальным историографиям. Однако следует различать друг от друга мессианизм малых народов и мессианизм больших народов.

Мессианизм малых народов, как правило, имеет оборонительный характер и никакой опасности для других народов не содержит. Мессианизм же больших народов, имея универсальный и наступательный характер, часто перерастает в претензию на особую роль в истории всего человечества, а иногда даже на мировое господство.

К числу последних, на наш взгляд, следует отнести и русский мессианизм, схематическому отражению которого в национальной историографии и посвящена данная статья.

В русской историографии отчетливо видно, что усиление универсального мессианизма непосредственно связано с ростом общего военно-политического могущества Русского государства. Древнерусская претензия на «третий Рим» первоначально подразумевавшая лишь преимущество в защите православной церкви, в XVIII-XIX веках переросло в славянофильскую претензию на мировое господство.

На том же примере видно, каким образом советская историография в рамках одного общественного строя из мессианской идеологии одной страны превратилась в идеологию в сей «мировой социалистической системы», прокладывающей путь к коммунизму всему человечеству.

ჯუანხარ პათივილი

პეტრა დიდის წარმომავლობის საკითხისათვის*

პეტრე I-ის წარმომავლობის დადგენის საქმეში შინაგან საქმეთა ორგანოების ჩარევაზე მეტყველებს სხვა ფაქტიც, რომლის შესახებ ჩვენმა კოლეგამ, ისტორიკოსმა ნოდარ ლომოურმა შეგვატყობინა (მისი მონათხრობი, რომელიც მწერლის მეუღლის ლ. კრესტინსკაიას ზემოთ ციტირებულ მოგონებას ადასტურებს, ასევე დღიურიდან ამონაწერის სახითაა წარმოდგენილი; მის შინაარსს ქვემოთ მოკლედ გადმოვცემთ). გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს, როდესაც მოგონების ავტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომელი იყო, იგი უნებური მონმე გახდა ამ ინსტიტუტის დირექტორის, ან განსვენებული აკადემიკოსის ნ. ბერძენიშვილის მოთხრობისა, რომლის შინაარსს ე.წ. ტელეგრაფულ სტილში გადმოვცემთ: 50-იან წლებში, როდესაც აკადემიკოსი მოსკოვის „ცგადას“ არქივში მუშაობდა, მას შესაძლებლობა მიეცა ნატალია ნარიშკინას ბატონიშვილ ნიკოლოზ დავითის ძისადმი გაგზავნილი წერილების ასლი გადაეღო. ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ მათი შინაარსი ორივე შემთხვევაში – ა. ტოლსტოის ქვრივისა და აკადემიკოსის გადმოცემით – იდენტური შინაარსის აღმოჩნდა. რადგან ქართულ ინტელიგენტურ წრეებში, განსაკუთრებით მწერალთა შორის, მითქმა-მოთქმა ასეთი წერილების არსებობის შესახებ უკვე გავრცელებული იყო, ნ. ბერძენიშვილმა თბილისში ჩამოსვლისას მოსკოვში სამეცნიერო მივლინების ანგარიში რესპუბლიკის ერთ-ერთ მაშინდელ ხელმძღვანელს წარუდგინა, სადაც აღნიშნული წერილების ფიქსირების ფაქტიც მიუთითა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როგორც ნ. ლომოური იხსენებს, ისტორიკოს-ბიზანტინოლოგ ვ. კოპალიანთან ერთად მას შეუძლოდ მყოფ აკად. ნ. ბერძენიშვილთან ბინაზე მისვლა მოუწია კონსულტაციის მისაღებად კონკრეტულ სამეცნიერო საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ მაშინ, აკადემიკოსთან პირადი საუბრისას, ნ. ლომოურმა გაიხსენა ბატონ ნიკოს მიერ „ცგადას“ არქივში მიკვლეული ნატალია ნარიშკინას წერილების შესახებ და თავს უფლება მისცა მისთვის ეკითხა, თუ რა ბედი ეწია მათ ასლებს. ბატონმა ნიკომ პირდაპირ უპასუხა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მას შინ მიაკითხა ადგილობრივი უშიშროების კომიტეტის თანამშრომელმა, რომელმაც მას ეს ასლები

* გაგრძელება; დასაწყისი იხ. „მაცნე“, ისტორიის ...სერია, №1, 2013.

ჩამოართვა ისე, რომ დამატებითი ასლის გადაღების ნებართვა არ მისცა. ადგილობრივი სუკ-ის თანამშრომლის ასეთი უცერემონიო მოქმედების შედეგად აკადემიკოსი ბერძენიშვილი მომდევნო წელს მოსკოვში სამეცნიერო მივლინებით ყოფნისას (50-იანი წლების დამლევს) ისევ შეეცადა „ცგადას“ არქივში ადრე მიკვლეული წერილებიდან ასლის გადაღებას, მაგრამ უშედეგოდ: ისინი ადგილზე აღარ აღმოჩნდნენ.

ამრიგად, იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ თუ მითითებული უნიკალური საბუთები ა. ტოლსტოისა და ვ. შუმილოვის დროს ამ უკანასკნლის გამგებლობაში არსებულ „სარარიტეტო“ ფონდს ეკუთვნოდა, მათი გარდაცვალების შემდეგ ისინი, როგორც ჩანს, მკვლევართათვის მიუწვდომელ „საიდუმლო ფონდს“ გადაულოცეს, სადაც უკეთეს შემთხვევაში დღესაც არის დაცული. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ამ დროიდან მოყოლებული პეტრესდროინდელი რუსეთის შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ამ საბუთებზე მინიშნება არავის გაუკეთებია. მაგრამ მათ შესახებ ადრე დარხეულმა ხმებმა ხელი შეუწყვეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ბატონიშვილის ნიკოლოზ დავითის ძის (იგივე ერეკლე I)-სადმი ადრინდელთან შედარებით მძაფრი ინტერესის გაღვივებას. ამ უკანასკნელის პორტრეტული ჩანახატი ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონს აქვს მოცემული, ჩვენი აზრით, განსახილველ საკითხთან მიმართებაში ასოცირებულად მეტად დამახასიათებელ კონტექსტში: «ესე ერეკლე ყენისაგან ნოდებული ნაზარ-ალიხან მოვიდა და დაჯდა თბილისის მეფედ ქსა ჩქვჳ (1688 წ. - ჯ.ვ.), ქარ. ტოვ. (376 - ჯ.ვ.). არამედ იყო ქართლისა და საქართველოსათა უცნობელი და მეფობისა გამოუცდელი, ლირნთა და უშუერთა მოუბარი, სმისა და შუება-ლხინთა მოყვარე, მხნე და ჰაეროვანი, ტანოვანი, მონყალე და მცირედთა ყურის მიმპყრობი და დიდთა დამამდაბლებელი, არამედ არა ძალ-ედევა თვინიერ ყენისა, მრისხანე ჟამად და უსისხლო¹. ასეთად წარმოგვიდგინა ვახუშტიმ ბატონიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე - ერეკლე I, რომლის ხასიათის ნიშანთვისებები, უნდა ვალია, ძალიან ჩამოჰგავს პეტრე I-ისას.

ბატონიშვილ ნიკოლოზ დავითის ძე - ერეკლე I-ზე ვრცელი და დასაბუთებული აზრი გამოთქვა რუსეთ-საქართველოს ისტორიის მკვლევარმა ვ. ტატიშვილმა, რომელიც შეეცადა არა მარტო მისი პიროვნება და ახლო გარემოცვა, არამედ მოსკოვის სამეფო კარზე მისი მდგომარეობაც წარმოეჩინა ალექსი მიხეილის ძის მეფობის ბოლო წლებში. წარმოდგენილი სურათის სრულად ალქმის მიზნით მისი ნაშრომიდან შედარებით ვრცელ ამონაწერს დავიმომჩებთ მცირე კუპიურებით. ისტორიკოსი თავის მოთხრობას ქაბუკი ნიკოლოზ დავითის ძის მოსკოვში ჩასვლიდან იწყებს, რომელსაც თან ახლდნენ დედამისი, დედოფალი ელენე ლევანის ასული² და კარისკაცთაგან

1. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973, გვ. 464.

2. ბატონიშვილის ნიკოლოზ დავითის ძის დედა - ქალიშვილი იყო თავად ლევან დიასამიძისა, წამოშობით მესხეთიდან, ახლანდელი ახალციხიდან. იგი ცოლად გაჰყვა ბატონიშვილ დავითს, ვაჭიშვილს კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის და მისი მეუღლის ხორეშანისა, ქართლის მეფის სიმონ I-ის ქალიშვილის (უნდა იყოს შვილიშვილის - ჯ.ვ.). ელენეს შვილე-



შემდგარი მნიშვნელოვანი ამაღლა. მისი იქ დაფუძნების პირველივე წლებში დასრულდა „ქართველი ბატონიშვილი მიღებულ იქნა სამეფო ოჯახის წრეში. ის არ ითვლება ხელმწიფის დის, მეფის ასულის ტატიანას საქმროდ, როგორც ამას მეფე თეიმურაზი ცდილობდა, მაგრამ რუსი მეფის ოჯახისადმი მისმა ურთიერთობამ მალე ნათესაობრივი სიახლოვის ელფერი მიიღო. ხელმწიფე ყველგან ქართველი უფლისწულის თანხლებით ჩნდებოდა. მეფისა და მისი ახლობლებისათვის სათანადო პატივის მიგების რთული წესების გათვალისწინებით, ქართველ ბატონიშვილს მეფის შემდეგ მეორე ადგილი უკავია. „სამეფო კარეტას – აღნიშნავს რეიტენფელსი, – მხოლოდ ქართველი ბატონიშვილის კარეტას შეუძლია მისდევდეს, რადგან სხვებისათვის უხამსად და მიუღებლად ითვლება მეფეს კარეტით თან რომ ახლდეს და ისევე მოგზაურობდეს, როგორც ხელმწიფე...“³. დიდი დღესასწაულების დღეებში ბატონიშვილი ნიკოლოზი მეფეს თან ახლავს მონასტრებში მგზავრობისას, აქ იგი მოსკოვის უმაღლეს სამღვდელოებას ხვდება და თანდათან ითვისებს რუსულ ენას. მოსკოვში ხანგრძლივი, მრავალწლიანი ცხოვრების განმავლობაში მან ისე საფუძვლიანად ისწავლა რუსული, რომ ამ ენაზე როგორც ბუნებრივი მოსკოველი, ისე ლაპარაკობდა, მაგრამ სანერ ენად ქართული რჩებოდა... ბატონიშვილი (მოსკოვში) დავაჟკაცდა. იგი ადვილად აალებადი იყო, მაგრამ საჭირო შემთხვევაში თავშეკავება იცოდა. სიმაღლით საშუალოზე მაღალი იყო, წელში ვიწრო და მხრებში ფართო⁴. იგი მუდმივ სამხედრო წვრთნითა და ცხენოსნობით იყო დაკავებული. მთელი მისი აზრები იქითკენ იყო მიმართული, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყო და სამეფო ტახტი დაეკავებინა...

1671 წელს ალექსი მიხეილის ძემ მეორედ იქორწინა. მისი საცოლედ ნატალია კირილეს ასული (ნარიშკინა) 20 წლის იყო. ხელმწიფის ქორწინებაში „ტისიაცკის“ თანამდებობა ქართველ ბატონიშვილს ნიკოლოზ დავითის ძეს დაევალა. რუსული წესისამებრ ეს უმაღლესი საქორწინო ნოდება იყო. ტისიაცკი, როგორც წესი, სასიძოს ჯვრისწერის მამობილი იყო. იგი განაგებდა ქორწილის მთელ მსვლელობასა და საქორწინო წეს-ჩვეულებებს. ტისიაცკის ევალეობდა სასიძოს დალოცვა და წაყვანა, წყვილს შორის ბექედების გაცვლა, საქორწინო დანახარჯის გადახდა და ჯვარდანიერილთა შინ მიყვანა. ეს კი იმას

ბი გიორგი და ლუარსაბი 1650 და 1659 წწ. გარდაიცვალნენ. მისი ქალიშვილი ქეთევანი ცოლად გაჰყვა არჩილ მეფეს, ვახტანგ V-ის შვილს, ვისგანაც ორი ვაჟიშვილი (უნდა იყოს – სამი ვაჟიშვილი – ვ.ე.) და ერთი ქალიშვილი ჰყავდა... რაც შეეხება ერეკლეს (ნიკოლოზ დავითის ძეს), იგი რუსეთში აღიზარდა და იქიდან დაბრუნების შემდეგ თავადის ასულ ანა ჩოლაკაევანზე (ჩოლაკაშვილზე) იქორწინა. დედამისი – ელენე ორჯერ იყო რუსეთში და იქიდან დაბრუნების შემდეგ, დაახლოებით 1678 წ. ისპაჰანში იმყოფებოდა“ (იხ. Иоселиани П. И. Описание древностей города Тифлиса. Тбилиси, 1866. С. 141-142).

3. Рейтенфельс Я. Сказание светлейшему герцогу Тосканскому Козме III о Московии. Палубя. 1680. Русское издание: М., 1905. С. 206-207.

4. შემორჩენილია ბატონიშვილ ნიკოლოზ დავითის ძის უცნობი მხატვრის მიერ შექმნილი პორტრეტი, რომელიც შეტანილ იქნა რუსეთის საგვარტომო აღწერილობაში („ტიტულარინიკში“). ამ პორტრეტის მიხედვით ნიკოლოზ დავითის ძე უფრო ვიწრო მხრებისა და შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი მეორე, შედარებით ჭარმაგ ასაკში გაკეთებული პორტრეტული გამოსახულება, როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულია ნ. კ. ვიტსენის წიგნის „Noord en Oost Tartaryen“-ის მეორე გამოცემაში (1705).

ნიშნავდა, რომ იგი (ამ მოვალეობათა შემსრულებელი) ხელმწიფის ყველაზე ახლობელთა და სანდო პირთა წრეს განეკუთვნებოდა. ამასთან დაკავშირებული იყო ისიც, რომ (ქართველი) ბატონიშვილის დედას ელენე ლევანის ასულს ქორწილში იგივე სუფრაჯები ემსახურებოდნენ, ვინც თვით დედოფალს⁵.

ახალგაზრდა დიასახლისი (კრემლის) სასახლეში შესვლისთანავე სამეფო კარის ქალთა ნაწილში ახალი წესრიგის დამყარებას შეუდგა. კარეტაში ჩაჯდომისას ახალგაზრდა დედოფალი ფანჯრების ფარდებს აკეცილებდა ხალხი უკეთესად რომ დაენახა. ქალაქგარეთ იგი მაღალი და გახსნილი ეკიპაჟით მიემგზავრებოდა უკეთესად რომ დამტკბარიყო ბუნებით. სანახაობებსა და თეატრს, რომელიც ევროპული დედაქალაქების მსგავსად მოსკოვშიც იკიდებდა ფეხს, ახალგაზრდა დედოფალი ასევე ღიად ესწრებოდა, ფარდებს მიღმა დამალვის მცდელობის გარეშე. წლინახევრის შემდეგ 1672 წლის მაისში დედოფალს შვილი – პეტრე შეეძინა, რუსეთის მომავალი იმპერატორი. იმ დღეს... ალექსი მიხეილის ძე ყველა თავის ახლობელთან ერთად უსპენსკის ტაძარში მივიდა გალობის მოსასმენად... ხელმწიფეს ულოცავდნენ ასევე ბატონიშვილები, ბოიარები, კარისკაცები, „დუმის წევრები და სხვა წოდების ადამიანები“, მისასალმებელი სიტყვით ქართველი ბატონიშვილი გამოვიდა⁶ ... 29 ივნისს პეტრე ალექსის ძე ჩუდოვოს მონასტერში მონათლეს. საზეიმო მაგიდა (კრემლის) ნახნაგოვან პალატაში გაიშალა, სადაც დამსწრეთ ტკბილეულით უმასპინძლდებოდნენ – „შაქრითა და ბოსტნეულით...“ ქართველ ბატონიშვილს შაქრიანი საკვების 40 ლანგარი შესთავაზეს. ასეთივე რაოდენობა ლანგრებისა დედოფალმა ელენე ლევანის ასულმაც მიიღო, რომელსაც ამ დროს (რუსეთის) დედოფალთან უმასპინძლდებოდნენ.

კიდევ ორი წელი დაჰყო ქართველმა ბატონიშვილმა ნიკოლოზ დავითის ძემ მოსკოვში, შემდეგ კი ხელმწიფეს შვებულებაში „ანუ სამშობლოში გამგზავრების ნებართვის თხოვნით მიმართა“. ირანის შაჰმა, შეიტყორა იმის შესახებ, რომ ვახტანგი („შაჰნავაზი“) როგორც დამოუკიდებელი მმართველი მოქმედებდა და მისი ნებართვის გარეშე ქართული ფულის მოჭრაც კი დაიწყო, საქართველოზე გალაშქრებას აპირებდა. ბატონიშვილმა (ნიკოლოზმა) გადაწყვიტა ირანში შაჰთან გამგზავრებულიყო, რათა საქართველოსათვის ახალი უბედურება თავიდან აეცილებინა. შაჰთან მოსალაპარაკებლად უფრო ხელსაყრელი დროის შერჩევა ძნელად იყო წარმოსადგენი. ვახტანგზე გაგულისებულ შაჰს ხელთ არ ჰყავდა ქართული სამეფო კარის მემკვიდრენი, ამიტომ ბატონიშვილთან მოლაპარაკებისას მას შეეძლო ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო. მას შეეძლო ძნელად, მაგრამ მაინც დათანხმებულიყო იმაზე, რომ ბატონიშვილს ტახტი რჯულის შეცვლის გარეშე დაეკავებინა. ირაკლის (ნიკოლოზს) ამის იმედი ჰქონდა. ჩვენ არ გავგაზრნია დაწვრილებითი მონაცემები ბატონიშვილსა და ალექსი მიხეილის ძეს შორის შემდგარი გამოსათხოვარი მოლაპარაკების შესახებ. ალექსი მიხეილის ძემ 1674 წელს ქართველი ბატონიშვილი გამგზავრა, თუმცა ეს გამოთხოვება ადრინდელი თბილი,

5. Дворяные разряды. СПб., 1855. Дополнительный том. С. 463-482.

6. იქვე.

თითქმის ნათესაობრივი ურთიერთობის შეწყვეტა-დასრულებას უფრო ნაგავად. 11 თებერვალს ბატონიშვილი ძალზე მშრალად იქნა მიღებული „ნინა ქობში“. ბატონიშვილს არც შეხვედრები მოუწყვეს, არც მის მოსვლასთან დაკავშირებით განცხადება გაუკეთებიათ და არც „განყოფილი მაგია“ და სასაჩუქრო ამანათები გაუმზადებიათ. უფრო მეტიც, როდესაც 22 თებერვალს ბატონიშვილი მოსკოვიდან გაემგზავრა, პრისტავს ივანე ტელუბანესა და დიაკს ბოგდან ეფიმოვს ნაბრძანები ჰქონდათ ბატონიშვილი მხოლოდ ყაზანამდე გაეცილებინათ, „ყაზანიდან კი ბატონიშვილის ასტრახანამდე გაცილება რომელიმე ყაზანელი აზნაურისათვის უნდა დაევალებინათ, ვინც ამ მიზნისათვის უფრო გამოდგებოდა“⁴⁷ – ასეთ გაცილებას მხოლოდ საელჩოთა უმნიშვნელო ჩინოვნიკებს ანდა უბრალო შიკრიკებს თუ უწყობდნენ ხოლმე. მიუხედავად ამისა, ბატონიშვილი დიდი იმედით შეგუიანებული მიემგზავრებოდა საქართველოში, ხოლო შემდეგ ირანში.

მას არ შეეძლო გულგრილად დამშვიდობებოდა ქვეყანას, სადაც პირველად შეიცნო ნამდვილი ცხოვრება, საბრძოლო განწყობა, პატივი და წარმოდგენილი სამეფო ფუფუნება, ქვეყანას, სადაც თითქმის ბავშვის ასაკში ჩავიდა, ხოლო ტოვებდა მას უკვე მონიფულ და გამოცდილებით გამობრძმედილ მოღვაწედ⁴⁸.

ქართველი ისტორიკოსის ნაშრომიდან ზემოთ მოტანილ ვრცელ ამონარიდში საკმაოდ მკაფიოადაა წარმოდგენილი არა მხოლოდ ბატონიშვილ ნიკოლოზ დავითის ძის პიროვნება თავისი მისწრაფებებით, არამედ მისი საკმაოდ ახლო, თითქმის ნათესაობრივი ურთიერთობაც მეფე ალექსი მიხეილის ძესთან და მის მეორე მეუღლესთან, რომელთა ქორწინებაში მან მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. უფრო მეტიც, ზემოთ მოტანილი ამონაწერის შინაარსის შესაბამისად რეალურად დასაშვებია ქართველი ბატონიშვილის უშუალო ურთიერთობის შესაძლებლობა ახალგაზრდა დედოფალთან⁴⁹, რაზეც

7. იქვე. სპეციალურ ლიტერატურაში ნიკოლოზ დავითის ძის რუსეთის დედაქალაქიდან გამგზავრების სხვა თარიღიცაა დამოწმებული: „1674 წლის 27 თებერვალს ბატონიშვილი ერეკლე 73 თანმხლებ პირთან ერთად საქართველოში გაემგზავრა (დედოფალი ელენე ლევანის ასული ამაღის დანარჩენ ნაწილთან ერთად მოსკოვში დარჩა)“ – იხ.: ტივაძე თ. საქართველო და XVIII. II ნახევრის რუსულ-ირანული პოლიტიკური ურთიერთობები (თბილისი, 1977, გვ. 146).

8. Татишвили В.И. დასახ. ნაშრ., გვ. 111-112, 137-139. იმაზე, რომ ქართული საზოგადოებრიობის ინტერესი პეტრე I-ის წარმომავლობის საკითხისადმი არ მოდუნებულა, მონიშნის ქართულ პერიოდიკაში, კერძოდ, „ლიტერატურულ საქართველოში“ ბოლო დროს გამოქვეყნებული არაერთი წერილი თუ შენიშვნა: ზ. ქირია, „აკრძალული ნათესაობა“ (1996, 5-12 ივლისი); დ. სტურუა, „პეტრე I წარმოშობით ქართველია?“ (1996, 26 ივლისი – 2 აგვისტო); რ. ბურჭულაძე „წითელი, ყვითელი, მწვანე“ (იქვე) და სხვ.

9. აი, რა აქვს ნათქვამი ასეთი „შესაძლებლობის“ შესახებ ცნობილ რუს ისტორიკოსს ი. ზაბელინს: „დედოფლის დარბაზები სრულიად შეუვალა ითვლებოდნენ არა მხოლოდ უცხოელი ელჩებისათვის, არამედ თავისი ხალხისთვისაც, ბოიარებისა და მთელი კარისთვისაც, გარდა იმ პირებისა, ვინც შისთვის ახლობლებად ითვლებიან, ანუ მისი ახლო ნათესაები ან კარის მსახურთაგან ყველაზე მეტად ნდობით აღჭურვილნი არიან“ (იხ.: Женищина в донегровском обществе. СПб., 1901. С. 5). ბატონიშვილ ნიკოლოზ დავითის ძეს დედოფალ ნატალიას დარბაზში შესვლისა და იქ ყოფნის უფლება ექნებოდა როგორც სამეფო ოჯახის „ყველაზე მეტად ნდობით აღჭურვილ“ პირს.

ციტირებულ ტექსტში მხოლოდ მკრთალი ქარაგმული მინიშნებაა მოცემული, რადგან იმ დროისათვის განსახილველ საკითხზე დადებული ტაბუ ჯერ არ იყო მოხსნილი. ამავე მიზეზით აიხსნება ალბათ ის გარემოებაც, რომ ქართველი ისტორიკოსი არ ცდილობს ახსნას მიზეზი ალექსი მიხეილის ძის ბატონიშვილ ნიკოლოზ დავითის ძესთან მშრალზე მშრალი გამოთხოვებისა, რაც ვფიქრობთ, იმაზე მიუთითებდა, რომ მეფეს რატომღაც არ აწყობდა ნიკოლოზის საქართველოში გამგზავრება და რომ მისი სურვილი ბატონიშვილის მოსკოვში დატოვებისა, შესაძლოა, იმას უკავშირდებოდა, რომ ალექსი მიხეილის ძე გათვითცნობიერებული იყო თავისი ახალგაზრდა მეუღლის ურთიერთობაში ნიკოლოზ დავითის ძესთან, ისევე როგორც ახალდაბადებული პეტრე ალექსის ძის ნამდვილ წარმომავლობაში და რომ, შესაძლოა, მას აწყობდა არსებული Status quo-ს შენარჩუნება.

ამ ვარაუდებისგან განსხვავებით, კონკრეტულად პეტრე დიდის ნიკოლოზ დავითის ძისგან (ერეკლე I-ისგან) წარმომავლობის შესახებ პირდაპირი მითითება მოცემულია 1723 წლის ოქტომბრით დათარიღებულ ზემოთ დამონმებულ შვედურ პუბლიკაციაში, რომელმაც მეფე რეფორმატორის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე იხილა დღის სინათლე. საუბარია ჰენრიკ ბრენერის ჩვენთვის უკვე ცნობილ ნაშრომზე, რომლის შინაარსში სომხეთისა და საქართველოს ისტორიულ წარსულში საფუძვლიან ექსკურსებს დართული აქვს ზედმიწევნით საინტერესო კომენტარი, კერძოდ, ნიკოლოზ დავითის ძის სპარსეთში ჩასვლის შემდეგ მის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როდესაც იგი სულეიმან შაჰის ძლიერი ზენოლის შედეგად იძულებული გახდა ისლამი ელიარებინა ნაზარ ალი-ხანის სახელდებით.

ამ უკანასკნელმა გულთბილად მიიღო ახალგაზრდა შვედი დიპლომატი და სწავლული, რომელსაც რეკომენდაცია მის წინაშე, ჩვენი ღრმა რწმენით, მისმა დისშვილმა (ალექსანდრე ბატონიშვილმა) გაუწია. როგორც თვით ჰ. ბრენერი აღნიშნავს, ნიკოლოზ დავითის ძემ – ერეკლე I-მა („ელეგერე-მირზამ“), ითვალისწინებდა-რა თავისი სტუმრის სამეცნიერო ინტერესებს, პირადად გადასცა მას გამოსაყენებლად „ქართული ხელნაწერები“, რაც, ჩვენი აზრით, „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის (ქართულ გენეალოგიასთან დაკავშირებულ) მონაცემებს გულისხმობდა. შვედმა სწავლულმა ეს ხელნაწერები მაქსიმალურად გამოიყენა, როგორც ირკვევა, ისპაჰანში მყოფი კათოლიკე მისიონერის, მამა ჯოვანი ბარტოლომეო და სან ჯაჩინტოს დახმარებით, რომელიც მას ქართული და სომხური ტექსტის ლათინურად თარგმნაში ეხმარებოდა. სწორედ ეს თარგმანი დაედო საფუძვლად ჰ. ბრენერის ქართველ მეფეთა გენეალოგიის შესახებ ლათინურენოვან ნაშრომს, რომელიც სტოკჰოლმში 1723 წელს გამოქვეყნდა.

ყოველივე ამის შესახებ მკითხველს თვით ჰ. ბრენერმა გაანდო თავის პუბლიკაციაში, რომელშიც აისახა აგრეთვე ზოგიერთი ცნობა ნიკოლოზ დავითის ძის ბიოგრაფიიდან სპარსეთში მისი ჩასვლის შემდეგ. კერძოდ, იგი მკითხველს აცნობებდა, რომ მას შემდეგ, რაც შაჰმა ქართლის ტახტი გიორგი XI-ს ჩამოართვა, „თბილისში გამეფდა და მას ახლა მართავს ერეკლე



(ტექსტში დამახინჯებულად ელეგერე ან ზოგჯერ „ერიგლერ“ არეგლერ¹¹, ბული – ჯ.ვ.), რომელიც ნაზარ-ალი ხანად იწოდება¹⁰. მისი დედა¹¹, ცოლი და ორი ვაჟიშვილი¹² ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდნენ, მაგრამ ცოლმა (მოგვიანებით) უარჰყო ქრისტი¹³. ჰ. ბრენერი შემდეგ იტყობინებოდა, რომ ნიკოლოზ დავითის ძის დედა გარდაიცვალა, ხოლო ცოლს თბილისში დაბრუნების ნება მისცეს, მაშინ როდესაც ვაჟიშვილები სპარსეთში დარჩნენ¹⁴. ამ ცნობებს მოსდევდა ცალკე აზვაცად გამოყოფილი სრულიად მოულოდნელი ფრაზა, რომლის აზრს განსახილველ პრობლემატიკაში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი ვერ ჩანვდებოდა, ამიტომაც დღემდე იგი შეუმჩნეველი და ჯეროვნად გაუშიფრავ-ამოუცნობი დარჩა. აი, ამ ფრაზის შინაარსი, რომელიც ლათინურ კონტექსტში ორგვარად იკითხება: „მას (ნიკოლოზ დავითის ძეს – ერეკლე I) სხვა შვილიც ჰყავს ასაკით უფროსი, თითქმის შეშლილი, რომელიც მან ოდესღაც მოსკოვეთში წარმოშვა“. აი, მეორე, ალბათ უფრო არაორაზროვანი ნაკითხვა ამ ფრაზისა: „მას სხვა შვილიც ჰყავს, ასაკით უფროსი, გარყვნილებისგან შეშლილი, რომელიც მან ოდესღაც მოსკოვეთისათვის წარმოშვა“¹⁵.

პირველი შეხედვით ძნელად ასახსნელია ზემოთ დამონმებულ ცნობაში ნიკოლოზ დავითის ძის – ნაზარალიხანის უფროსი შვილისადმი შვედი ავტორი 10. Brenner H. Commentarium... Stockholm. 1723. P. 41. ერეკლე-ნაზარალიხანი ქართლში 1688-1703 წწ. მეფობდა. ჰ. ბრენერის წიგნის გამოქვეყნებისას იგი დიდი ხნის გარდაცვლილი (1709 წ.) იყო. მის დასახასიათებლად ერთგვარ შტრიხს გვაწვდის ფრანგი მოგზაური ჟოზეფ ტურნეფორი, რომელიც, აღნიშნავდა, რომ ქართლის მეფის მიერ იძულებით აღიარებულ მაჰმადიანობას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რადგან სულიერად იგი ქრისტიანი იყო: „იგი დადის მერქოში, მაგრამ როდესაც სალოცავად კაპუცინებს მიაკითხავს ხოლმე, იქ პაპის სადღეგრძელოსაც წარმოთქვამს ხოლმე“ (იხ.: ჟ. ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან ქართულად თარგმნა მ. მგალობლიშვილმა. თბილისი, 1988, გვ. 12). ქრისტიანობისადმი მის კეთილგანწყობაზე მტყუყვლეს ერეკლე I-ის მიერ 1688 წელს დამტკიცებული სივლი-ბრძანებულება, რომლითაც „ქართლში ეკლესიისადმი დაქვემდებარებული ყველა მამული სამეფო გადასახადის ვალდებულებისგან განთავისუფლდა, რასაც მეფის ხელმოწერა ადასტურებდა“ (იხ. Иоселиани П.И. Описание... გვ. 211).

11. თავადის ასული ელენე ლევანის ასული დიასამიძე იგულისხმება, რომელიც თავის შვილს (ნიკოლოზ-ერეკლეს) თან ახლდა როგორც რუსეთში, ისე სპარსეთში.

12. იგულისხმებიან ერეკლე I-ის ვაჟიშვილები დავითი (მუსლიმანობაში – იმამ ყული-ხანი) და კონსტანტინე (მუსლიმანობაში – მაჰმად ყული-ხანი), რომლებიც მოგვიანებით ერთი მეორის მიყოლებით კახეთში მეფობდნენ.

13. Brenner H. Op. cit. P.41.

14. ჰ. ბრენერის ცნობები ერეკლე I – ნაზარალიხანზე თითქმის სრულიად ემთხვევა ვახუშტის ანალოგიურ მონაცემებს, რომელიც აღნიშნავდა, რომ ერეკლე, როგორც ქართლის მეფე, თბილისში 1688წ. ჩამოვიდა, მაგრამ ოჯახის გარეშე, რომელიც ისპაჰანში დარჩა. ქართლის თავდაპირველობის მოთხოვნით, მან სპარსეთიდან მუუღვე გამოითხოვა, რომელიც თბილისში გამგზავრებამდე გაამაჰმადიანეს. იგი თბილისში ქალიშვილ ელენესთან ერთად ჩამოვიდა, მაშინ როდესაც ვაჟიშვილი დავითი სპარსეთის დედაქალაქში დარჩა (ვახუშტი რატომღაც მეორე ვაჟიშვილს კონსტანტინე – მაჰმადყულიხანს არ ასახელებს, რომელიც ბრენერის მონაცემებით, ასევე ისპაჰანში დაიბადა. მოგვიანებით, 1700 წელს ერეკლეს მესამე ვაჟიშვილი – თეიმურაზი შეეძინა, კახეთის მომავალი მეფე თეიმურაზ II, რომელსაც ბრენერი არ ასახელებს, რადგან იგი ამ უკანასკნელის საქართველოდან გამგზავრების შემდეგ დაიბადა (იხ.: ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრ.).

15. Brenner H. Op. cit.P. 41.

რის თვალნათლივ მტრული განწყობა ანუ იმ ადამიანის პირმშოსადმი, ვისც მას ასე გულთბილად შეხვდა როგორც დისშვილის მეგობარს, დახმარება აღმოუჩინა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და ვის მიმართაც პ. ბრენერს, ჩვენი აზრით, საპასუხო კეთილგანწყობისა და ღრმა მადლიერების გრძობის გარდა, სხვა განწყობა, მით უმეტეს საპირისპირო, არ უნდა ჰქონოდა. მაგრამ საქმე სწორედ ის გახლავთ, რომ ქართლის მეფის ერეკლე I-ის (იგივე ნიკოლოზ დავითის ძე ნაზარალიხანის) უფროსი შვილის სახით შვედი ავტორი პეტრე I გულისხმობდა, რომელიც მას არც თუ უსაფუძვლოდ სძულდა: სწორედ ამ უკანასკნელის ბრძანებით ჰენრიკ ბრენერმა თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ჩრდილოეთის ომის დაწყებიდან მის დასრულებამდე რუსული ტყვეობის საზარელ პირობებში, ცალკე საკანში გამოკეტულ ტუსაღად გაატარა¹⁶. შვედი აღმოსავლეთმცოდნის მიერ თავის ნაშრომში პეტრე I-ის წარმომავლობასთან დაკავშირებით გათვითცნობიერებული მკითხველისათვის მოულოდნელად მიწოდებული, ნაწილობრივ დაშიფრული, ინფორმაციის სხვაგვარი ახსნა (თუნდაც ჰიპოთეტურ ვარიანტში) გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. ამ საკითხზე არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში ეს ინფორმაცია პირველად იძლევა იმის საფუძველს, რომ დიდი ხნის წინ აღმოცენებული ვერსია პეტრე I-ის „ბაგრატიონული“ წარმომავლობის შესახებ ამ უკანასკნელის ნიკოლოზ დავითის ძის – ერეკლე I-ის მოსკოვში დატოვებულ პირმშოსთან იდენტიფიცირების მეშვეობით დადასტურებულად ჩაითვალოს. მაგრამ ამ ინფორმაციის მეცნიერულად დამტკიცების მიზნით აუცილებელია მისი შეჯერება და ერთობლივი განხილვა პრობლემასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სხვა ზედმინევენით საინტერესო გარემოება-მონაცემებთან, რისი მცდელობა ქვემოთ არის წარმოდგენილი.

შვედი დიპლომატისა და სწავლულის პეტრე I-ის პირადი განკარგულებით დაპატიმრებისა და ტყვეობის უმკაცრეს პირობებში ხანგრძლივად ყოფნის (20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში) ნამდვილ მიზეზს შემდეგი გარემოება წარმოადგენდა. სპარსეთში შვედეთის ელჩობის წევრად ჩასული პ. ბრენერი ერეკლე I-ის კეთილგანწყობით სარგებლობდა. რადგან მას შესაძლებლობა მიეცა ქართველი მეფის მფარველობით თავისი აღმოსავლეთმცოდნეობითი ინტერესები დაეკმაყოფილებინა, ბრენერი ისპაჰანში მეტ ხანს დარჩა, ვიდრე შვედეთის ელჩობა. სპარსეთის საპასუხო ელჩობის შემადგენლობაში შვედეთში გამგზავრებამდე იგი თავის შთაბეჭდილებებს ე.წ. უბის წიგნაკებში (იგივე დღიურში) აფიქსირებდა. მის ჩანაწერებს შორის, რომლებიც ერეკლე I შეეხებოდა, აღმოჩნდა ამ უკანასკნელის მიერ (როგორც ჩანს, შვედი მეცნიერის პატივსაცემად მოწყობილი წვეულებისას) სტუმრისათვის ანაზღად განდობილი ცალკეული ეპიზოდი რუსეთში მისი ხანგრძლივი ცხოვრებიდან, რომელთა შორის პეტრე I-ის მიმართ მისი მამობის ამბავიც აისახა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ სპარსეთიდან რუსეთში ჩასული პ. ბრენერი არხანგელსკში დააპატიმრეს და მისთვის ჩამორთმეული ტვირთიდან ოდიოზურად მიჩნეულ

16. ეს ფაქტი და მასზე მინიშნება პ. ბრენერს 1723წ. გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში არაერთგზის აქვს დამოწმებული.

იქნა მისი უბის წიგნაკები, რომელთა შინაარსს თვით პეტრე I გაეცნო და რამაც ჰ. ბრენერის 20-წლიანზე მეტი ხნის პატიმრობა გამოიწვია¹⁷.

ამრიგად ჰ. ბრენერს ჰქონდა საფუძველი პეტრე I-სადმი სიძულვილი რომ ჰქონოდა, მაგრამ შვედ სწავლულს იმავდროულად მის მოულოდნელ გამოვლინებათა წინაშე შიშის გრძნობაც ჰქონდა, რადგან მას „შემოილი“ ადამიანად აღიქვამდა (რომელსაც შეეძლო, მაგალითად, „საიდუმლოს“ განმანებლის შემთხვევაში რუსეთ-შვედეთის ომი განეახლებინა), რის გამო თავისი გამოქვეყნებული ნაშრომის ბოლოს, სათანადო ადგილას, მისი სახელის სრულფასოვანი გაშიფვრისაგან თავი შეიკავა, თუმცა უეჭველად სწორედ მას გულისხმობდა¹⁸. ზემოთ დამონმებულ შესაბამის ფრაზას სხვა ახსნა-განმარტება არ გააჩნია: ერეკლე I-ის უფროსი ვაჟიშვილის იდენტიფიცირება პეტრე I-თან, ჩვენი ღრმა რწმენით, არავითარ დაეჭვებას არ უნდა იწვევდეს (სხვა შემთხვევაში ჰ. ბრენერს ერეკლე I-ის მოსკოვში დარჩენილი უფროსი ვაჟის მიმართ ემოციური უარყოფითი გამონათქვამებისგან თავი უნდა შეეკავებინა და მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით შემოფარგლულიყო). საინტერესოა ის გარემოებაც, რომ რუსულ ისტორიოგრაფიაში ხსენებაც კი არ არის იმის შესახებ, რომ ნიკოლოზ დავითის ძე ბაგრატიონს მოსკოვში ქორწინების გარეშე დაბადებული უფროსი ვაჟიშვილი დარჩა (მით უმეტეს რუსეთის მომავალი მეფე), თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზემოთ მოხსენიებულ „ცვადას“ გასაიდუმლოებულ ფონდში საეარაუდოდ დაცულ ნატალია ნარიშკინას წერილებს ნიკოლოზ დავითის ძისადმი. ჩვენთვის მხოლოდ გადმოცემით ცნობილი მათი შინაარსის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ პეტრე I-ის გენეტიკური წარმომავლობის დასადგენად სადღეისოდ ყველაზე სარწმუნო საიმედო წყაროდ, ჩვენი აზრით, ბრენერის წიგნში დამონმებული სათანადო ცნობა უნდა მივიჩნიოთ. მისი მიზნდება შვედი დიპლომატისთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ ერეკლე I-ს (ნიკოლოზ დავითის ძეს) შეეძლო, რომელმაც ეს, ვფიქრობთ, შეგნებულად გააკეთა, რადგან იძულებით რჯულგამოცვლილს რუსეთთან მისი დამაკავშირებელი ყველა ხიდი ჩატეხილად მიაჩნდა¹⁹.

17. უფრო დანვრილებითი ინფორმაცია ჰენრიკ ბრენერზე და რუსეთში მისი დაპატიმრების შესახებ მოცემულია ავტორის ნაშრომების რუსულენოვანი შედგომების („საქართველო და ევროპის ქვეყნები XIII-XIX სს...“, მოსკოვი, 2003-2006) მეორე ტომში, სადაც ალექსანდრე ბაგრატიონის შვედ კოლეგებთან ურთიერთობასა და შემოქმედებით თანამშრომლობაზეა მოთხრობილი.

18. ნიკოლოზ დავითის ძის უფროსი ვაჟიშვილის სახელის გაშიფვრისაგან ჰ. ბრენერმა, რომელიც თავისი წიგნის გამოქვეყნებისას უკვე სამშობლოში იმყოფებოდა, თავი მიანც შეიკავა. მას, როგორც ჩანს, რეალური შიში ჰქონდა იმისაც, რომ რუსი მეფის მოთხოვნით შვედეთის მთავრობას მისი თავი რუსეთისათვის იძულებით არ გადაეცა, რათა საბრძოლო მოქმედებათა განახლება თავიდან აეცილებინა.

19. ჰ. ბრენერის მიერ რუსეთ-საქართველოს ისტორიაში შეტანილი მეტად მნიშვნელოვანი კორექტივის გათვალისწინებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ერეკლე I (ნიკოლოზ დავითის ძეს) რუსეთთან, გარდა პირმშო ვაჟიშვილისა, მომდევნო დროის სამი ფაქტი აკავშირებდა: მისი უმცროსი ვაჟიშვილის თეიმურაზ II-ის რუსეთში ოფიციალურ ეიზიკად ყოფნისას პეტერბურგში გარდაცვალება (1762წ.) და ასტრახანში მისი დაკრძალვა; ქართლის მეფის იეგუ ლევანის ძის მუხლიის - ელისაბედის (ელენეს), რომელიც ერეკლე I-ის ქალიშვილი იყო, რუსეთში დაბრუნებულ არილის ასულთან სტუმრობისას მოსკოვში გარდაცვალება: „დაკრძალულია დონის მონასტერში“ (იხ. Иоселиани П.И. Описание ...С. 117);

მაგრამ როგორი იყო თვით პ. ბრენერის დამოკიდებულება მის მიერ დადგენილი ამ ფაქტის გახმოვანებასთან (ან პიროქით) დაკავშირებით? როგორც ვნახეთ, თავის გამოქვეყნებულ ნაშრომში მან ამ საკითხში გარკვევა გათვითცნობიერებულ მკითხველს მიანდო, რადგან პეტრეს დაუოკებელი ხასიათის გამოვლინებებს, შესაძლოა, მართლაც ერიდებოდა. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: პეტრე I-ის კასპისპირეთში მომავალი ლაშქრობის შესახებ შევდეთის საკანცელარო კოლეგიისათვის წარდგენილ თავის რელაციაში პ. ბრენერი „სპარსულ ამბებში“ განსახილველ პრობლემასაც ხომ არ გულისხმობდა, როდესაც კანცელარიას შემდეგ დაპირებას აძლევდა: „არ დავაყოვნებ შეგატყობინოთ მომდევნო ინფორმაცია სპარსულ ამბებზე, რომლებიც ჩემს დღიურში გადავწერე მათი საკუთარი ხელნაწერებიდან და ტრაქტატებიდან, რომელთა შესახებ ჯერ არავინ იცის და რომლებსაც დიდი მონდომებით ვინახავდი. ამასთან მეფის (პეტრე I-ის) ბრძანებით (ისინი) ჩამომართვეს და (თვითონ) ათვალეერებდნენ“²⁰.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიასაც არ გააჩნია ცნობა იმის შესახებ, რომ ნიკოლოზ (ერეკლე) დავითის ძეს მოსკოვში უკანანოდ დაბადებული ვაჟიშვილი ჰყავდა²¹, გარდა ერთი წყაროსი, რომელმაც ეს ფაქტი დააფიქსირა ყოველგვარი კომენტარის გარეშე. შევეცდებით მკითხველს შეძლებისამებრ საფუძვლიანად მოვუთხროთ მის შესახებ მცირეოდენი ჩვენი კომენტარიტურთ.

მიუხედავად იმისა, რომ მეფე ალექსი მიხეილის ძესა და ქართველ ბატონიშვილ ნიკოლოზ (ერეკლე) დავითის ძეს შორის არსებულმა ზედმიწევნით გულთბილმა ურთიერთდამოკიდებულებამ ამ უკანასკნელის 1674 წელს მოსკოვიდან გამგზავრების წინ მეტად გულგრილი ხასიათი მიიღო, ირკვევა, რომ რუსეთის მეფეს ქართველ ბატონიშვილზე გული შესტკიოდა, რადგან იმ ქვეყანაში მიემგზავრებოდა, სადაც მისი მომავალი ბედი ბოლომდე არ იყო გარკვეული. ზემოთ აღნიშნული ქართული წყარო იმის დადგენის შესაძლებლობას იძლევა, რომ აღმზრდელი და აღზრდილი მოსკოვში გამოთხოვებისას იმაზე შეთანხმებულან, რომ ნიკოლოზ დავითის ძის სპარსეთში ჩასვლამდე ან მის კვალდაკვალ იქ რუსი ელჩიც ჩავიდოდა, რომლის მოქმედებისთვის ქართველ ბატონიშვილს მხარი უნდა აეგა თავისივე კეთილდღეობის მიზნით²².

და ბოლოს, ის ფაქტი უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე I-ის სახელს უკავშირდება აგრეთვე რუსეთის დიდი მხედართმთავრის პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც ზემოთ მითითებული ელისაბედ-ელენე ერეკლეს ასულის შვილიშვილის შვილი იყო და ამდენად, პ. ბრენერის მიხედვით, პეტრე I-ის არაპირდაპირი შთამომავალიც (ელისაბედი მამით ხომ პირველი რუსი იმპერატორის, ჩვენი ღრმა რწმენით, დეიძლი და იყო).

20. Rabener J.G. Leben Petri des Ersten und Grossen. Leipzig, 1925. S. 718-719.

21. თუ ნიკოლოზ დავითის ძეს მოსკოვში ვაჟიშვილი დარჩა, ის უდაოდ უკანონო იქნებოდა, რადგან, როგორც უკვე ცნობილია, თეიმურაზ I-ის სურვილი თავისი შვილიშვილი მეფე ალექსი მიხეილის ძის დაზე – ტატიანაზე დაექორწინებინა არ განხორციელდა. სხვა ფაქტი რუსეთში ნიკოლოზ დავითის ძის ნიშნობის, ან ქორწინებისა, არც რუსულ და არც ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის დამოწმებული.

22. სამეციალურ ლიტერატურაში, კერძოდ, ნ.კ. ვიტსენის ნაშრომში დამოწმებულია ფაქტი სპარსეთში ერთ-ერთი რუსული ელჩობის წარგზავნის შესახებ, რომელმაც ნიკოლოზ და-



ამ პოზიციის არსი ორი საისტორიო წყაროს მეშვეობით უკლებლად ქართულისა და ფრანგულის. ქართული წყარო იმავდროულად შესაძლებლობას იძლევა გავერკვიოთ იმაშიც, თუ რა უსწრებდა წინ და რამ შეუწყობდა ხელი ქართველი ბატონიშვილის მოსკოვიდან სპარსეთში გამგზავრებას. XVII ს-ის ცნობილი ქართველი მემბტიანის ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიაში“ აღნიშნულია, რომ 1672 წ. დამდეგს ერეკლემ (ნიკოლოზ დავითის ძემ) მიმართა სპარსეთის შაჰს წერილით, რომელშიც სურვილი გამოთქვა პირადად ხლებოდა მას ისპაჰანში, რათა სამემკვიდრეო უფლებით მის კუთვნილ კახეთის სამეფოს კანონიერ მმართველობაზე სათანადო რწმუნება მიეღო. როგორც უკვე ითქვა, შაჰმა კეთილგანწყობით აღიქვა ეს წინადადება, რადგან იმ კონკრეტულ ვითარებაში ბატონიშვილ ერეკლეს ვახტანგ V – შაჰნავაზის რეალურ საპირწონე ძალად განიხილავდა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში შესამჩნევად გაზრდილი გავლენის გამო სპარსეთის სამეფო კარს დაძაბულობის უსიამოვნო გრძნობას უწერდა. ამიტომ შაჰმა ცოტა ხნის შემდეგ მოსკოვში თავისი შიკრიკი წარგზავნა: მან ერეკლე ბატონიშვილს შაჰის „რაცამი“ გადასცა, რომელშიც სპარსეთში საგანგებო მინვევის გარდა, მისთვის სასიკეთო ყოველგვარი დაპირება იყო აღნიშნული, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი – კახეთის ტახტზე რჯულის გამოცვლის გარეშე ხელდასმის ჩათვლით. ერეკლე, „რა რაცამი მოუვიდა, რუსეთის ხელმწიფეს დაეთხოვა და დედა და შვილი (ხაზგასმა ჩვენია – ჯ.ვ.) იქ გაუშვა და წამოვიდა და თუშეთის გზით კახეთს ჩამოვიდა და შაჰნავაზს ხან (არჩილ II – ჯ.ვ.) კახეთში ბატონობდა და ქეთევან დედოფლობდა და ოცი წელიწადი იყო და ამათ ერთმანერთი არ ენახა“²³. დასთან და სიძესთან ცოტა ხნით სტუმრობის შემდეგ ერეკლე 250 კაციანი ამაღლის თანხლებით²⁴ შირვანზე გავლით ყაზვინ-

ეთის ძის დედა – ელენე ლევანის ასული ისპაჰანში ჩაიყვანა. ეს უკანასკნელი „ათას ექვსას სამოცდაცხრამეტ წელს მოსკოვში იმყოფებოდა. სწორედ მაშინ მისმა სამეფო უდიდებულესობამ (თუ ვეღარ ვაღუქვის ძემ – ჯ.ვ.) სპარსეთში ელჩობა წარგზავნა, რათა სხვათა შორის ეშუამდგომლა დასახელებული კანონიერი ქრისტიანი ბატონიშვილის (ნიკოლოზ-ერეკლეს – ჯ.ვ.) თავის ქართულ ოლქში აღდგენის შესახებ, რისთვისაც იქ მისი დედაც გაემგზავრა“ (იხ.: Witsen N.K. Noord en Oost Tartaryen. 1705. S. 504.). მეფე ალექსი მიხეილის ძის გარდაცვალების შემდეგ ამ მომდევნო რუსული ელჩობის სპარსეთში წარგზავნა არა მხოლოდ ნიკოლოზ – ერეკლეს დედის ისპაჰანში ჩაყვანის საჭიროებით იყო გამოწვეული, არამედ ქართველი ბატონიშვილისათვის მხარდაჭერის აუცილებლობითაც, რომელიც სპარსეთის დედაქალაქში უკვე ხუთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა კახეთის კანონიერ მეფედ თავისი ხელდასმის მოლოდინში.

23. ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორია – საისტორიო მოამბე. წიგნი II. 1925 (ს. კაკაბაძის გამოცემა), გვ. 279. ცნობილმა ინგლისელმა ისტორიკოსმა და ქართველოლოგმა დ.მ. ლანგმა ფარსადან გორგიჯანიძე ასე დაახასიათა: „ფარსადანი საქართველოსა და სპარსეთის ისტორიის შესაფასებლად ქართული ენით სარგებლობდა. სპარსეთის კარზე მას მაღალი თანამდებობები ეჭირა და ხშირად ინვედენენ კონფიდენციალურ დავალებათა შესასრულებლად, რომლებიც საქართველოს ეხებოდა. ამდენად, იგი საქმეში ზედმინეწით კარგად ჩახედული პიროვნება იყო. მისი ქრონიკა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელ ქართულ-სპარსულ ურთიერთობებზე და გვიჩვენებს, რა მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სპარსეთის ადმინისტრაციულ სამსახურში დასაქმებული ქართველები“ (Lang D.M. The last year of the Georgian Monarchy. 1658-1832. New York, 1957. P. 132).

24. ჟან შარდენი. მოგზაურობა სპარსეთსა და სხვა აღმოსავლეთ ქვეყნებში (თარგმანი ქართულ ენაზე მ. მაგალობლიშვილისა). თბილისი, 1975, გვ. 364.

ში ჩავიდა, სადაც შაჰ სულეიმანს შეხვდა, რომელმაც ქართველ ბატონიშვილს საპატიო შეხვედრა მოუწყო: „ბატონიშვილ ერეკლეს დაჰპატიჟეს და თავისი ჯარით, ქართულად მოკაზმულნი, ყველანი ახალგაზრდა ვაჟკაცი, ტურფანი და შევნიარნი ნამეტნავად ბატონიშვილს ერეკლეს წვერ უღვაში ახლა ეხვეოდა და ტანად ყველას უმაღლესი იყო და ნაქმრად ყველას აჯობინეს. რა ალაყაფის კარს მოვიდა, თაყვანი სცა და მიწას დაემხო და კარის ზღურბლს ემთხვივა... რა მეჯლის შიგ შემოვიდა, ბატონიშვილის სიტურფემან და შევნიარობამან და ტანადობის ნაქმრობამან ყველაკანი გაკვირვებული შეიქმნეს. ნადგა და ხემნიფეს ფეხს აკოცა და მარჯვნივ ყველას ზეით დასვეს და თორმეტი ყმანიც მეჯლის შიგ დაუსხეს. ხემნიფემ სამჯერ წინიხმო და უწინ რუსეთის ხემნიფის ანბავი ჰკითხა და მერმე თავისი და რუსთ შექცევა და განყოფა და მათი კაცობა გამოჰკითხა. მას უკან რომლის გზით მოსვლა და გარჯა. უწინ ნახვაზე ხემნიფემ კარგის თვალით ნახა და შეიყვარა, თავად დიდ გვარის კაცობისათვის და მერმე შევნიარობისათვის და კარგად აგებულობა მოუწონა. წელიწადში ორი ათასი თუმანი თეთრი და დღეში თორმეტი ჭიქა შირაზული ღვინო და ხუთასი თუმანი ხონსრის მაჯულაჰთი ღვინისა და მაზდის ფასად გაუწინა, სხვებს წყალობებს გარდაის ამაებს ყოველ წელიწადს მოსცემდეს“²⁵.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ზემოთ ციტირებულ XVIII, ქართულ წყაროში პ. ბრენერზე უფრო ადრე იყო დაფიქსირებული ფაქტი ნიკოლოზ დავითის ძის (ერეკლეს) უკანონო ვაჟიშვილის არსებობისა, რომელიც მან, ისევე როგორც დედამისი, 1674 წელს მოსკოვში დატოვა, როდესაც იქიდან სპარსეთში გაემგზავრა. ეს ბავშვი უკანონო უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ერეკლე ბატონიშვილმა ოფიციალურად მხოლოდ სპარსეთში იქორწინა. ამასთან ერთად ისიცაა ცნობილი, რომ რუსეთში ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მისი ქორწინების, ან მით უმეტეს, ვაჟიშვილის შექმნის რაიმე დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს. მაგრამ ინტერესს ის გარემოება იწვევს, რომ XVII ს-ის 50-იან წლებში აღმოცენებული არარეალიზებული მოსაზრება ნიკოლოზ დავითის ძის (ერეკლეს) მეფე ალექსი მიხეილის ძის უმცროს დაზე ტატიანა მიხეილის ასულზე დაქორწინების შესახებ²⁶ თურმე მოგვიანებით (20 წლის შემდეგ) „გალვანიზებულ“ იქნა რუსეთ-სპარსეთის მოლაპარაკებებში, როდესაც ისპაჰანში შაჰ სულეიმანის კარზე მეფე ალექსი მიხეილის-ძის მიერ წარგზავნილი რუსი ელჩი ჩავიდა ცოტა ხნით ადრე, ვიდრე იქ ერეკლე ბატონიშვილმა ჩააღწია. ამას ადასტურებს ქვემოთ მოტანილი ამონაწერები იმ დროს სპარსეთის სამეფო კარზე მყოფი ცნობილი

25. ფ. გორგიჯანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 279-280.

26. როგორც ირკვევა, საკითხი ყმანილი ნიკოლოზ დავითის ძის ქორწინების შესახებ მეფე ალექსი მიხეილის ძის უმცროს დაზე ტატიანაზე XVII ს-ის ჯერ კიდევ 40-იან წლებში განიხილებოდა ანუ ბევრად ადრე ქართველი ბატონიშვილის მოსკოვში ჩასვლამდე: „1641-დან 1648 წლამდე (რუსეთსა და კახეთის სამეფოს შორის) ორი ელჩობა გაიცვალა. პირველი ელჩობის მიზანი იყო თეიმურაზის შვილიშვილის (ნიკოლოზ დავითის ძის - ჯ.ვ.) მეფე ალექსი მიხეილის ძის დაზე დაქორწინება. მაგრამ რუსი ელჩი ბობოროკინი კასპიის ზღვაში დაიხრჩო და ამით ყველაფერი დამთავრდა“ (იხ.: Allen W.E.D. A history of the Georgian people from the Beginning down to the Russian conquest in the nineteenth century. London. 1932. P. 176.).



ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის მითითებული წიგნიდან. საუბარია ფრანგი მოგზაურის კომენტარზე, რომელიც მან იმხანად ისპაჰანში მიმდინარე რუსულ-სპარსულ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით გააკეთა: „28 ოქტომბერს (1674 წ.) ხელმწიფის (შაჰის) სასახლეში ყოფნისას შემატყობინეს ხელმწიფის კარის პასუხი მოსკოვის საგანგებო ელჩისადმი, რომელიც რამდენიმე წნის წინათ ჩამოვიდა სპარსეთში და მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს იმის გაგება, თუ რა დავალება ჰქონდა ამ ელჩს (თავისი მეფისაგან)“²⁷. შემდეგ შარდენი იხსენებდა ზოგიერთ ეპიზოდს თეიმურაზ I-ის მეფობის ისტორიიდან, კერძოდ, როდესაც ეს უკანასკნელი XVII ს-ის 50-იანი წლების დამდეგს იძულებული გახდა ხელი შეეწყო თავისი შვილიშვილის – ნიკოლოზ-ერეკლესა და მისი დედის – ელენე ლევანის ასულის რუსეთში ემიგრაციისათვის. „დიდმა მთავარმა (რუსეთის მეფემ – ჯ.ვ.) – განაგრძობდა შარდენი, – დიდი პატივით მიიღო (ქართველი) დედოფალი და მისი ვაჟი, – მიუჩინა მათ ჩამომავლობისა და უწინდელი მდგომარეობისათვის შესაფერისი ბინა, ხოლო როდესაც ვაჟმა გარკვეულ ასაკს მიაღწია, თავისი ასული მიათხოვა მას და დაჰპირდა, რომ გამოიყენებდა თავის გავლენას სპარსეთის ხელმწიფესთან, რათა იგი საქართველოს სამეფოში მეფისნაცვლად დაებრუნებინათ. სწორედ ამის გამო მოვიდა ეს საგანგებო ელჩი სპარსეთის ხელმწიფის კარზე. დიდი მთავარი ხელმწიფეს (შაჰს – ჯ.ვ.) ელჩის პირით უთვლიდა, რომ რაკი მან თავს იღო თეიმურაზის შვილიშვილის, საქართველოს ტახტის კანონიერი მემკვიდრის მფარველობა და რაკი იმ პირობების შესაბამისად, რომლითაც ეს სამეფო დაემორჩილა სპარსეთს, პირველ ყოვლისა გათვალისწინებული იყო, რომ საქართველოს მეფისნაცვლები მისი უკანასკნელი მეფის თეიმურაზის საგვარეულოდან უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო ვინაიდან თეიმურაზის შვილიშვილი მტკიცედ არის დაკავშირებული მის პიროვნებასთან, იგი იმედოვნებს, რომ მისი სპარსული უდიდებულესობა სიამოვნებით მოიქცევა სწორედ ასე, დაიცავს სამართლიანობას და აუცილებლად ჩაერევა ამ საქმეში. საგანგებო ელჩთან ერთად (იგი) აგზავნის თავის სიძეს – ახალგაზრდა უფლისწულს, რათა მან მის უდიდებულესობას ფეხები დაუკოცნოს და მიიღოს მისგან საქართველოს მეფის ნაცვლობა. ასეთი იყო დიდი მთავრის წერილების შინაარსი, რომლებიც საგანგებო ელჩმა წარუდგინა სპარსეთის ხელმწიფეს“²⁸.

სულეიმან შაჰისადმი მეფე ალექსი მიხეილის ძის მიმართვის შინაარსის შარდენისეულ გადმოცემაში, რომელიც ბატონიშვილ ერეკლე-ნიკოლოზ დავითის ძეს უკავშირდებოდა, ეს უკანასკნელი რუსეთის მეფის უკვე შემდგარ სიძედ არის წარმოდგენილი, მაგრამ აქ სიტყვაც კი არ არის ნათქვამი იმაზე, რომ მას მოსკოვში დედა და იქ შეძენილი ვაჟიშვილიც დარჩა. საინტერესო ის არის, რომ ამის შესახებ საკმაოდ მკაფოიდაა ნათქვამი ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიიდან“ ზემოთ დამოწმებულ ამონარიდში, რომელიც მაშინ, ისევე როგორც ჟან შარდენი, შაჰის კარზე იმყოფებოდა და ამ დროისათვის კარის მოხელის რამდენიმე თანამდებობაც კი გამოიცვალა. როგორი ახსნა

27. ჟ. შარდენი. დასახ. ნაშრ., გვ. 358-359.

28. იქვე, გვ. 359.

შეიძლება მოეძებნოს ამ ფაქტს? რუსი ელჩის მიერ ერეკლე ბატონიშვილის რუსეთის მეფის სიძედ წარმოჩენა, ჩვენი აზრით, იმაზე გათვლილი დიპლომატიური ფანდი იყო, რომ ქართველი ბატონიშვილის სასარგებლოდ აღძრული რუსეთის მეფის ოფიციალური შუამდგომლობა იმავდროულად აღქმული ყოფილიყო, როგორც მონარქის გულითადი თხოვნა „საკუთარი სიძის“ შესახებ. ცხადია, რომ ეს დიპლომატიური ფანდი რუსი ელჩის ინიციატივას არ წარმოადგენდა. იგი უეჭველად მოსკოვში შემუშავდა, თვით მეფე ალექსი მიხეილის ძის დასტურით.

ვფიქრობთ, სულ სხვა ახსნა აქვს ცნობას მოსკოვში ერეკლე ბატონიშვილის ვაჟიშვილის დარჩენის შესახებ, რომელიც XVII ს-ის ქართველი ისტორიკოსის ნანარმოებში განსახიერდა და რომელიც აზრობრივად ეხმიანება და ურთიერთშემავსებელიცაა რუსი ელჩის მიერ შაჰისათვის მიწოდებული ცნობისა იმის თაობაზე, რომ ერეკლე თითქოს რუსეთის მეფის სიძე იყო. მოსკოვში ჭეშმარიტად დატოვებული ვაჟიშვილის შესახებ საიდუმლო ინფორმაციის „გაფონვის“ ინიციატივა, ჩვენი აზრით, ერეკლე ბატონიშვილს მიეწერება. მან არა იმდენად მიმნდობლურად, რამდენადაც, ვფიქრობთ, შეგნებულად გაანდო თავის თანამემამულეს, შაჰის კარის მოხელე ფარსადან გორგიჯანიძეს მოსკოვში თავისი პირმო ვაჟიშვილის არსებობა (ცხადია, იმის დაკონკრეტების გარეშე თუ ვისგან შეეძინა იგი მას). კარის მოხელისათვის თავისი პირადი ცხოვრების ასეთი დეტალის განდობა იმას ითვალისწინებდა, რომ თუ რუსეთის მეფის სიძობის გარდა სპარსეთის ხელისუფალთ ისიც ეცოდინებოდათ, რომ მას ამ „რანგში“ მემკვიდრეც ჰყავდა შეძენილი, ეს მის საქმეს წაადგებოდა, რადგან ერთგვარი პოლიტიკური ლავირებისა და მის წინაშე მდგარი პრობლემის ალტერნატიული გადაწყვეტის შესაძლებლობას აძლევდა: თუ კახეთის ტახტს, როგორც კანონიერი მემკვიდრე, გართულების გარეშე დაიკავენდა, ცხადია, სამშობლოში დარჩებოდა და ფესვებს გაიდგამდა, წინააღმდეგ შემთხვევაში – თუ მასზე რაიმე ძალდატანებას იხმარდნენ, კერძოდ, რჯულის შეცვლას თუ დაავალდებულებდნენ, იგი როგორც რუსეთის მეფის სიძე და მისი შვილიშვილის მამა უფლებამოსილი იქნებოდა მოსკოვისკენ უკან მიმავალ გზას დადგომოდა, სადაც ყმანვილკაცობა გაატარა და შესანიშნავი ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული. როგორც უკვე ცნობილია, აღნიშნული ალტერნატივის მეორე შესაძლებლობის გამოყენებამდე საქმე არ მივიდა: ბატონიშვილი ერეკლე ისპაჰანში დარჩა და მის მიმართ კეთილგანწყობილი შაჰის ზენოლის შედეგად ისლამი აღიარა, იქვე პირველად იქორწინა და ცოლად შეირთო კახეთის ღირსეული საგვარეულოს წარმომადგენელი ანა ჩოლაყაშვილი, რომელთანაც რამდენიმე ვაჟიშვილი და ქალიშვილი შეეძინა.

იმის შესახებ, რომ მოსკოვში მას უფროსი ვაჟიშვილი დარჩა ერეკლე დავითის ძემ მეოთხედი საუკუნის შემდეგ ჰენრიკ ბრენერს გაანდო (ამ შემთხვევაში ყოველგვარი დაფარული მიზნის გარეშე), თუმცა ამ უკანასკნელს ქართლის მეფის ეს გულწრფელი აღიარება მრავალი უსიამოვნებითა და უბედურებით შემოუბრუნდა რუსეთის ციხეში 20 წლიანი პატიმრობის ჩათვლით. ბუნებრივი კითხვა იბადება: სად შეეძლოთ ერთმანეთს შეხვედროდნენ ჰენრიკ

ბრენერი და ერეკლე I ნაზარალიხანი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ მოვლენები, რომლებიც სპარსეთის დედაქალაქში ახალგაზრდა შვედი დიპლომატის ჩასვლის წინ ხდებოდა და ამის შემდეგ ცოტა მოგვიანებითაც. შაჰი სულეიმანი, რომელმაც ერთმანეთს დაუპირისპირა ერეკლე I და გიორგი XI, 1692 წელს გარდაიცვალა და თავის მემკვიდრედ ფაქტობრივად სეფიანთა უკანასკნელი წარმომადგენელი სულთან ჰუსეინი დატოვა. გიორგი XI-ის ახლო ნათესავები სპარსეთში მძევლად იმყოფებოდნენ, რის გამო მან ახალ შაჰთან შერიგება ამჯობინა, ხოლო უკანასკნელმა, ითვალისწინებდა რა გადაყენებული ქართლის მეფის განსაკუთრებულ მხედართმთავრულ ნიჭს, იგი ავლანეთში წარგზავნილი სპარსული ჯარის მთავარსარდლად დანიშნა. მისმა პირველივე წარმატებებმა ავლანეთში ხელი შეუწყვეს ქართლის მეფედ მის აღდგენას და ერეკლე I-ის თბილისიდან ისპაჰანში განწევას, რომელსაც ქართლში 15-წლიანი მეფობის შემდეგ მემკვიდრეობით მფლობელობაში გადაეცა კახეთის კუთვნილი სამეფო ტახტი, თუმცა სპარსეთის დედაქალაქში მისი დატოვებით²⁹.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

29. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ბატონიშვილი ეახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველო-სა... თბილისი, 1973, გვ. 479. ერეკლე I-ის კახეთში მეფობა ფაქტობრივად არ მოუწია. მის ნაცვლად მეფის მოადგილის ტიტულით იქ მისი უფროსი შვილი – დავითი გაიგზავნა (მუსლიმანობაში იმამყული-ხანი), ხოლო ერეკლე 1709 წელს ისპაჰანში გარდაიცვალა. ასეთივე ბედი ეწია გიორგი XI-ს, რომლის ნაცვლად 1703 წელს ქართლში მეფის მოადგილედ (ჯანიშინად) მისი ძმისშვილი – ვახტანგ ლევანის ძე დაინიშნა, ხოლო გიორგი იმავე 1709 წელს ავლანეთში დაიღუპა.

აილ კოპალიანი

საქართველო-ინგუშეთის ურთიერთობის ისტორიიდან

XX საუკუნის მიწურულს საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია მსოფლიოს ტრადიციული გეოპოლიტიკური კონფიგურაციის თვისებრივი ცვლილება. პოსტსაბჭოთა სივრცეში დინამიურად წარიშართა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ეთნონაციონალური, რელიგიური, კულტურული განვითარება. ამ ფონზე საინტერესოა როგორ მიმდინარეობს ეს პროცესები ისეთ რთულ და მრავალეროვან რეგიონში, როგორიცაა კავკასია. საქართველოს ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან, კერძოდ ინგუშებთან ურთიერთობის ისტორიის შესწავლა ახლა არ დაწყებულა, მას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, მაგრამ კავკასიის და კავკასიოლოგიური პრობლემატიკის გააქტიურებამ დღის წესრიგში დააყენა ამ საკითხების უფრო ღრმად და ყოველმხრივ შესწავლის ამოცანა. ამ მხრივ ბოლო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა ახალი, წერილობითი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული წყაროების პუბლიკაციითა თუ საინტერესო სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებით. მიუხედავად იმისა, რომ დიდი წარმატებებია მიღწეული, როგორც ზოგადი კავკასიოლოგიური პრობლემების, ისე ცალკეული ჩრდილოკავკასიელი ხალხების ისტორიისა და კულტურის შესწავლაში, მაინც სრულფასოვნად და ამომწურავად არ არის გაშუქებული საქართველოს ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან, მათ შორის ინგუშებთან ურთიერთობის ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია. ამ ფაქტს აქვს სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზი, მაგრამ ჩვენი აზრით, მთავარი დაბრკოლება მაინც საისტორიო წყაროთა სიმცირეა. წყაროთა სიმცირის გამო ხშირად კავკასიოლოგიური პრობლემებით, მათ შორის ქართულ-ჩრდილოკავკასიელი ხალხების ურთიერთობის ისტორიის კვლევით დაკავებული მეცნიერები მიმართავენ შედარებით ნაკლებად სანდო სხვადასხვა ხალხის ზეპირსიტყვიერების, გადმოცემების, თქმულებების დღემდე შემორჩენილ ნიმუშებს. ეს მოსაზრება მთლიანად ესადაგება ქართულ-ინგუშური ურთიერთობების ხანგრძლივ ისტორიას უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე.

ქართულ-ინგუშური ურთიერთობების შესახებ უძველეს ინფორმაციად უნდა ჩაითვალოს „ქართლის ცხოვრებაში“ „დაცული ცნობა“. როგორც ცნობილია უძველეს ამბავთა კრებული „ქართლის ცხოვრება“ მოიცავს არა მარტო საქართველოს ისტორიას, არამედ კავკასიელი ხალხების ისტორიასაც. „ქართლის ცხოვრება“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ჩრდილოკავკასიელი

ხალხებისათვის, ვინაიდან ამ ხალხებს ხანგრძლივი დროის მანძილზე საკუთარი დამწერლობა და მითუმეტეს საისტორიო წერილობითი წყაროები არ შეუქმნიათ. სწორედ ლეონტი მროველს ეკუთვნის უძველესი ცნობა, რომელიც ვეინახთა შესახებ შემოგვინახა „ქართლის ცხოვრებამ“: „ხოლო ღურძუკ, რომელი უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასისთა, მივიდა და დაჯდა ნაპარალსა შინა მთისასა, და უწოდა სახელი თვისი ღურძუკეთი“ [2: 32] მოხმობილ ციტატაში ახ. წ.-ის I საუკუნიდან V საუკუნებდე ისტორიული ფაქტები უნდა იყოს ასახული, როდესაც აღანებმა ვეინახური ტომები შეავინროვეს, აღმოსავლეთისაკენ განდევნეს, დარიალისა და დასავლეთ კავკასიონის გადასასვლელები (გზა დვალეთისა, ნებელდის გადასასვლელი და სხვ.) ხელში ჩაიგდეს, ხოლო ვეინახები შეეხიზნენ ასისა და არღუნის ხეობებს „ნაპარალსა შინა მთისასა,“ როგორც აღნიშნავს ლეონტი მროველი.

„ქართლის ცხოვრების“ ისტორიული ცნობები კავკასიელ ხალხებთან ურთიერთობის შესახებ შედარებით სანდო, საიმედო და კონკრეტული ხდება ძვ.წ-ის IV საუკუნიდან. საინტერესოა ამ ავტორის ცნობები ფარნავაზისა და მისი მემკვიდრის საურმაგის ხანაზე.

„ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზის ეპოქის შესახებ ერთობ საგულისხმო ამბებს გადმოგვცემს. შემთხვევითი არაა, რომ მატიანე ყურადღებას ამახვილებს ფარნავაზის სანათესაო წრეზე, ვინაიდან ამას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მატიანის ცნობით, ფარნავაზის მეუღლე ღურძუკი იყო, რაც მის მემკვიდრეს შინაური გართულების დროს დიდად დაეხმარა კრიზისის მოგვარებაში. ფარნავაზს საკუთარი დაც ოვსთა მეფეზე ჰყავს დაქორწინებული. როდესაც ფარნავაზის მემკვიდრეს – საურმაგს საკუთარი ერისთავები განუდგნენ და მისი თავიდან მოცილება გადაწყვიტეს, საურმაგმა ეს დროულად შეიტყო, „...უზრახა ოვსთა მეფესა, მამისა დისწულსა მისსა და ითხოვა შეწევნაი, ...შეკრიბა ღურძუკეთიცა“ და განგდომილნი კვლავ დაიმორჩილა. საურმაგმა ღურძუკთა ნახევარი საქართველოს მთიანეთში დაასახლა „... დიდოეთითდგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“ [2: 46-47] – ლეონტი მროველის ამ ცნობას ადასტურებს ქართლ-კახეთის მთიანეთის ტომონიმიკა და ეთნოგრაფიული მასალა. ასევე უნდა ითქვას, რომ ქართული წარმომავლობის მოსახლეობა ვეინახებშიც გვხვდება და მთელი რიგი რელიგიური რიტუალებიც ორმხრივ დიფუზიას ადასტურებენ.

წერილობითი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ზეპირსიტყვიერების წყაროების მონაცემებით ჩრდილოკავკასიის ცენტრალურ ნაწილში ჩვ. წ-ის პირველ ათასწლეულის მეორე ნახევარში ცხოვრობდნენ ვეინახები და აღანები. დაახლოებით მეექვსე საუკუნიდან დაიწყო აღანი ტომების შეღწევა ცენტრალური კავკასიონის ხეობებში (ბალთა, ჩმი, არხონი, სადონი) [12: 123]. მერვე საუკუნეში ნახები ერთ ენაზე მოლაპარაკე რამდენიმე ტომისაგან შედგებოდა, მათ შორის ქისტებისაგან. ქისტები, გარდა იმისა, რომ ნახურ ტომებს მიეკუთვნებიან, ცნობილია მათი განსახლების რეგიონიც. ისინი მოსახლეობდნენ მდინარე არშხის ხეობაში, ამ მდინარეს სავარაუდოდ აქ მცხოვრები ტომის სახელის მიხედვით ქისტეთის წყალი ეწოდა. როგორც

ცნობილია მეშვიდე საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“ ნახსენებია ტერმინი „დურცკ“, როგორც ვარაუდობენ ეს არის „ქართლის ცხოვრებაში და სხვა ქართულ წყაროებში ნახსენები „დურძუკების“ იდენტური ტერმინი. ეთნონიმი „დურძუკი“ გვხვდება არაბულ წყაროებშიც. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ VII-X საუკუნეებში შემორჩენილი ცნობების მიხედვით ჩეჩნებისა და ინგუშების წინაპრები იწოდებოდნენ „ნახჩამატენებად“, „ქისტებად“ და „დურძუკებად“ [12: 125]. უძველეს პერიოდში ვეინახები წარმართები იყვნენ. IX-X საუკუნეებიდან ვეინახებში დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება საქართველოდან და ბიზანტიიდან [13: 178-201].

ვეინახებს ადრეფეოდალური ხანის ისტორიის შესწავლა გაძნელებულია საისტორიო წყაროთა სიმცირის გამო. ცენტრალური კავკასიონის მთიანი ზოლის მოსახლეობის შესახებ წერილობითი წყაროები პრაქტიკულად არ არსებობს. ქართულ წყაროებში ჩეჩენ-ინგუშების წინაპრები დურძუკების, ლილეების, ქისტების სახელით მოიხსენებიან. (ამჟამად ქისტებს უპირატესად საქართველოს ტერიტორიის ნაწილის - პანკისის ხეობის მოსახლეობას უწოდებენ და არა მთლიანად ჩეჩენურ-ინგუშურ მოსახლეობას). სავარაუდოდ მათ ერთ ნაწილს, რომლებიც წოვა-თუშებად იწოდებიან, ზოგიერთი ენათმეცნიერი ბაცბებს უწოდებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დურძუკებს, როგორც აღმოსავლური, ისე ქართული წყაროები რიგ ლეგენდარულ თუ რეალურ ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიებს.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ჩეჩენ-ინგუშების ლეგენდარული წინაპარი კავკასოსია, რომელსაც ცენტრალური კავკასიონის უდიდესი ნაწილი ეპყრა. ადრეფეოდალურ ხანაში მათი საცხოვრებელი შემცირებული ჩანს და ძირითადად ცენტრალური კავკასიონის მთიან ნაწილს მოიცავდა.

საქართველო თავისი ჩრდილოეთი საზღვრის ერთი მონაკვეთით, ზეესურეთისა და თუშეთის მხრიდან უშუალოდ ემეზობლება ჩეჩნებსა და ინგუშებს. ასეთი საერთო საზღვრის არსებობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა უძველესი დროიდან მათ შორის მჭიდრო კავშირების დასამყარებლად. ამ ურთიერთობებში მთავარი მნიშვნელობა დარიალის გასასვლელს ენიჭებოდა, როგორც უფრო მოსახერხებელსა და ხელმისაწვდომს, მაგრამ არსებობდა კიდევ მინიმუმ ორი გზა, რომელიც თუშეთის მხრიდან გადადიოდა ინგუშეთში, თუმცა მათ მაინც ადგილობრივი მნიშვნელობა გააჩნდათ [8: 58]. ჩრდილოკავკასიაში სპარსეთსა და ბიზანტიას შორის მიმდინარე ხანგრძლივ ბრძოლებში ქართლიც იყო ჩართული ბიზანტიის მხარეზე. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ქართლის კურაპალატს გუარამს ბიზანტიელთა ფულით დაუქირავებია ჩრდილოკავკასიელი მთიელები, მათ შორის დურძუკები და წარმატებული ლაშქრობა მოუწყვია ადარბადაგანზე [3: 227]. აქედან ჩანს, რომ დურძუკები, როგორც დაქირავებული სამხედრო ძალა, ხშირად მონაწილეობდნენ ქართველი მეფეებისა და მმართველების მიერ მოწყობილ სამხედრო ღონისძიებებში [4: 79]. ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, დურძუკეთი, რომელშიც სავარაუდოდ მთიან ინგუშეთს გულისხმობს, კახეთის მეფე კვირიკე III-ის დროს (1010-1037წ.) კახეთის შემადგენლობაში შედიოდა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედ-



ვით, 1204 წელს აჯანყებულ დიდოეთში, რომელსაც დურძუკები მიემხრნენ, გაიგზავნა ლაშქარი [1: 515]. როგორც ზემოთ ავლინებთ, ეს ეთნიკური ტერმინი ამ დროს საქართველოს მოსაზღვრე მალაღმთიანი რაიონების მთელ ვეინახურ მოსახლეობას გულისხმობდა.

X საუკუნიდან ვეინახებში გაძლიერდა აღმავლობის გზაზე დამდგარი ფეოდალური საქართველოს გავლენა. X საუკუნეში აშენდა (მშენებლობის ადრეული პერიოდი დაიწყო IX საუკუნეში) თბაბა-ერდის ქართული ტაძარი ასას ხეობაში (ზოგიერთი მეცნიერის აზრით – ღვთაების ეკლესია), და როგორც ჩანს, ღვთისმსახურების მთავარ ცენტრს წარმოადგენდა, რომელიც ემსახურებოდა, როგორც მეზობელ ვეინახურ მოსახლეობას, ასევე მალაღმთიანეთში მცხოვრებ ქართველებსაც. XI საუკუნის მეორე ნახევარში კათოლიკოს მელქისედეკ I-ის დროს განსაკუთრებით გაფართოვდა ქართველი სასულიერო პირების მისიონერული საქმიანობა ვეინახებსა და ჩრდილოკავკასიის სხვა რეგიონებშიც. თბაბა-ერდის ეკლესიის შესწავლისას აღმოჩნდა არაერთი ქართული წარწერა. მოგვიანებით XI-XIII საუკუნეებში მთიან ინგუშეთში აშენდა სხვა ქართული ეკლესიები: ალბი-ერდის, თარგიძის, გალიერდის, მაგი-ერდის დელითის და სხვა. მიზანდასახულობა და ინტენსიურობა, რასაც ქრისტიანობის გავრცელებასა და ინგუშეთში გავლენის მოსაპოვებლად მიმართავდა ქართული ფეოდალური მონარქია, განპირობებული იყო დარიალის გადასასვლელზე კონტროლის დაწესების სურვილითა და ჩრდილოელი მეზობლების სამხედრო-პოლიტიკური ლოიალობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მჭიდრო და ინტენსიური ურთიერთობა ვეინახებთან, კერძოდ ინგუშებთან, სხვა სფეროებშიც კარგად ჩანს. ინგუშეთში აღმოჩენილია ქართულ წარწერებიანი საფლავის ქვები, სხვადასხვა სახის ჭურჭელი, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართული ასოებითაა შესრულებული ადგილობრივი საკუთარი სახელები და ტოპონიმები. საქართველოდანაა გავრცელებული ძირითადი სამეურნეო იარაღი-გუთანის, რასაც ადასტურებს მისი ჩქინურ-ინგუშური სახელწოდება „გუთა“. ასას ხეობის ქართულ ეკლესია-მონასტრებში, როგორც თვლიან, ღვთისმსახურებას ატარებდნენ ქართულის მცოდნე სასულიერო პირები, შესაძლოა ქართველი სასულიერო პირებიც. ამ მიზეზითაც მათში გავრცელდა ქართული ქრისტიანული ტერმინოლოგია, მაგ: ჯვარს უწოდებენ „ჯარ“, მარხვას „მარხა“, გავრცელებული იყო კვირის დღეების ქართული სახელოდებები – პარასკევი – „პერისკა“, კვირა – „კვირა“, ორშაბათი – „ორშუათ“ და ა.შ. ჩქინურ-ინგუშური, ფშავის, ხევსურეთისა და თუშეთის საომარი და საცხოვრებელი კოშკები ასევე გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ. არსებობს განსხვავებული შეხედულებები იმის თაობაზე, თუ საიდან გავრცელდა თავდაცვითი და საოჯახო ნაგებობების ეს ტიპი. მონღოლთა ბატონობის დამხობის შემდეგ საქართველოს მეფემ გიორგი V (ბრწყინვალე) აღადგინა საქართველოს გავლენა ვეინახებზე, რისი დასტურიც უნდა იყოს გალიერდის ტაძრისადმი საეკლესიო ნივთების შეწირვა და რამდენიმე სამლოცველოს აშენება. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ვეინახები ურთიერთობას კახეთის სამეფოსთან ამყარებენ.

XIII-XIV საუკუნეების წერილობითი წყაროების ცნობები ჩეჩნებისა და ინგუშების წინაპრების შესახებ სამწუხაროდ ძალზე ცოტა შემორჩენილი. ამ დროს უცნობია ტერმინები „ჩეჩენი“ და „ინგუში“, ისინი გვიან გაჩნდნენ. „სომხური გეოგრაფიის“ XIII საუკუნის ნუსხაში მოხსენიებულია ხალხი „ხობჩუ“, ისე, რომ არ არის მინიშნებული ზუსტად მათი განსახლების ადგილი. ქართული წყაროებში ეს ეთნონიმი პირველად XIV საუკუნეში გვხვდება, როდესაც საქართველოს პატრიარქი ეფრემი ჩრდილოკავკასიის მონახულებისას მოიხსენიებს „ნახჩებს“, იგი გულისხმობს ჩეჩნებისა და ინგუშების წინაპრებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XIII საუკუნის ქართულ ხელნაწერებში გვხვდება ეთნონიმი „ქისტი“ („ქიშტი“). სამართლიანად თვლიან, რომ ქართველი მთიელები, კონკრეტულად მოხევეები „ქისტებს“ უწოდებდნენ ყველა ჩეჩენსა და ინგუშს [12: 239].

ქართული ეკლესია ინგუშეთში თხაბა-ერდი მეზობელი მთიელების შეკრების ადგილსაც წარმოადგენდა ადათობრივი სამართლის მიხედვით სადავო საკითხების გადასაჭრელად. ქართველებსა და ინგუშებს (ქართულად ქისტებს) რამდენიმე საერთო სახალხო დღეობაც ჰქონდათ. მათგან აღსანიშნავია ხევსურეთის სოფელ შატილში ყოველწლიური ხატობის დღესასწაულები. მასპინძლები და მოწვეული სტუმრები, ქისტები ხატში ერთად ასრულებდნენ რიტუალს ამალეების დღეს. ასეთი ცერემონიალის დროს, როგორც წესი, დეკანოზი იყო ხევსური, ხოლო მედროშე – ქისტი. ქისტების გამუსლიმანების შემდეგაც ქისტები მონაწილეობდნენ ასეთ დღესასწაულებში, ოღონდაც ხევსური დეკანოზი სამსხვერპლო საქონელს აღარ დაკლავდა, არამედ ყურს გაუჭრიდა მსხვერპლს, ვინაიდან მუსლიმებს ეკრძალებოდათ ქრისტიანის მიერ დაკლული საქონლის ხორცის ჭამა. ასეთი ზეიმი რამდენიმე დღე გრძელდებოდა, რის შემდეგაც ხდებოდა ხევსურების მიპატივება ქისტების სოფელში და ახლა იქ გრძელდებოდა ერთობლივი ზეიმი.

ასეთი საინტერესო ტრადიციის არსებობა ორ მეზობელ ხალხს შორის ვერ დაარღვია ქისტების გამუსლიმანებამაც, რაც ამ ურთიერთობის დიდ ისტორიასა და გამძლეობაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, ამ ფონზე ხდებოდა სასაზღვრო რაიონებში გარკვეული ეთნიკური ელემენტების შერევა და შერწყმა. მაგალითად, მიჩნეულია, რომ ჩეჩნების აულის მასსტა მოლჩის მცხოვრებნი ხევსურებისა და ჩეჩნების შთამომავლები არიან.

ჩრდილოკავკასიის ხალხების ენებში „დალი“, „დიალ“, „დელა“, „დალაი“ ნიშნავს ღმერთს. გამუსლიმანებამდე ჩეჩენთა რელიგიაში „დიალა“ ერქვა. თუშეთში გმირის მოსაგონარ რიტუალსა და სამგლოვიარო ლექსს „დალაობა“ ეწოდება. ამ შემთხვევაში კარგად ჩანს ისლამის გავრცელებამდე ქართულ-ვეინახური კულტურული ურთიერთობის აშკარა კვალი [6: 43-44].

ქართული და ჩრდილოკავკასიური, კონკრეტულად ვეინახური ენების ბუნებრივ-გენეტიკური საიხლოვის (როგორც ცნობილია, ისინი ენების ერთი და იგივე, იბერიულ-კავკასიურ ოჯახს მიეკუთვნებიან) გარდა, საუკუნეების განმავლობაში მჭიდრო ისტორიული კავშირების არსებობის პირობებში, მიმდინარეობდა ენების ურთიერთგამდიდრების პროცესი, რაც კულტურული

ურთიერთობების არსებობის ნათელი დადასტურებაა. განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდიდან ჩეჩნურ-ინგუშურ, ისევე როგორც სხვა ხალხების ენებზე განსაკუთრებული გავლენა იქონია ქართულმა ენამ. ამას ადასტურებს არა მარტო ქართული სიტყვების მრავლად არსებობა ჩეჩნურ და ინგუშურ ენებში, არამედ მათ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეპიგრაფიული ძეგლების სიმრავლეც. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რამდენიმე წარწერა აღმოჩენილი თხაბა-ერდის ეკლესიაში, სამარხ ქვებსა და სხვა ნაგებობებზე. აღმოჩნდა ქართული ხელნაწერი, რაც დასტურია ინგუშების საეკლესიო მსახურებაში ქართული დამწერლობის გამოყენების და გავრცელებისა. ერთ-ერთი სამაროვნის თავზე შემორჩენილია ინგუშური სახელი, რომელიც ქართული დამწერლობითაა შესრულებული. XIV-XV საუკუნეებში უნდა იყოს დანყბული ჩეჩნების, ინგუშების, იძულებითი გადაადგილების ცალკეული, ერთეული შემთხვევები საქართველოს საზღვრებს შიგნით. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ნოვა-თუშები ამ დროს გადმოსახლებულთა შთამომავლები უნდა იყვნენ. გარკვეულ მინიშნებებს ასეთი მიგრაციული პროცესების შესახებ ონომასტიკური მასალაც იძლევა, მაგალითად, სოფლის სახელწოდება-ქაიტაური, გვარი – მარსაგიშვილი და სხვ.

XVI-XVII საუკუნეებში ჩეჩნები და ინგუშები ცალკეული საზოგადოებების სახელით მოიხსენებიან საისტორიო წყაროებში, მხოლოდ ქართული წყაროები უწოდებენ მათ „ქისტებს“. მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ XVI საუკუნის მიწურულისათვის დასრულდა ქისტი ბაცბიელების საქართველოში, კერძოდ თუშეთში გადმოსახლება, სადაც ისინი ნოვა-თუშებად იწოდებიან.

ჩეჩნეთ-ინგუშეთი შუა საუკუნეებში ემეზობლებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას, სადაც ცხოვრობდნენ ქართველი მთიელები – მოხვევები, ხევსურები, თუშები, მთიულები, ფშაველები. საქართველოს მოსაზღვრე ჩრდილოკავკასიურ აულებში ქართველები ცხოვრობდნენ, ამავდროულად ქართულ სოფლებში ცხოვრობდნენ ჩეჩნები, ინგუშები და ზოგიერთი სხვა ჩრდილოკავკასიელების ოჯახები. მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ქისტი-ბაცბიელების თუშეთში გადმოსახლებით წარმოიშვა შერეული ქართულ-ინგუშური, ნოვა-თუშური მოსახლეობა, თუმცა ამ საკითხზე სხვაგვარი მოსაზრებაც არსებობს. თუშეთის ნაყოფიერ მიწებზე დასახლების შემდეგ ინგუშები მოწყდნენ თავიანთ ისტორიულ საცხოვრებელს და ბევრი რამ გადაიღეს ქართველებისაგან.

ქართულ გარემოში ადაპტაციამ წარმოშვა მათში ორენოვნება, მიმდინარეობდა მათ ენაში სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ქართული სიტყვების დამკვიდრება.

ჩეჩნეთის მთიან ზოლში და ინგუშეთში, სადაც გავრცელებული იყო ქართული დამწერლობა, მეთექვსმეტე საუკუნიდან, ისევე როგორც სხვა ჩრდილოკავკასიელ ხალხებში, ისლამის გავრცელებასთან ერთად იჭრება არაბული ენა, რამაც ნელ-ნელა ქართული ენის პოზიციების დაკარგვა განაპირობა ამ რეგიონში. თუმცა მთიანი ჩეჩნეთის რაიონებში, საიდანაც მოხდა მეცხრამეტე საუკუნეში ვეინახთა მიგრაცია პანკისის ხეობაში, მოსახლეობა

გარეგნულად კი აღიარებდა ისლამს, მაგრამ ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ქრისტიანულ ადათ-წესებს. ამის დასტურია მათი ხევესურებთან ერთად ანატორის ჯვარში სალოცავად სიარული და რიტუალში მონაწილეობა [5: 109-111].

ვეინახების მიგრაციას საქართველოში და ქართველებისას – ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ასეთი შემთხვევები, როგორც წესი, მთავრდებოდა ადგილობრივ მოსახლეობაში გადასახლებულთა ასიმილაციით. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე ვეინახური ტომების გადასახლების დანყება დიდ ჯგუფებად გამოიწვია მონღოლ-თათრების ჩრდილოკავკასიაში გაბატონებამ. ვეინახების ეკონომიკური ინტერესები გარკვეულწილად დაკავშირებული იყო ქართლ-კახეთთან, თუმცა ქართველების მხარეზე ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისთვის საქართველოს მტრების წინააღმდეგ ისინი გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ და ეს ფაქტიც გასათვალისწინებელია.

ცნობილია, რომ ქართველი მთიელები ვეინახებს (ჩეჩნებს, ინგუშებს, ქისტებს) უწოდებდნენ ქისტებს. როგორც ვარაუდობენ, შესაძლოა ამის მიზეზი ისაა, რომ ისტორიულად დურძუკებთან ერთად მოიხსენიებიან ქისტები და ქისტეთი. მოგვიანებით ეთნონიმი დურძუკი შეიცვალა ეთნონიმით – ჩეჩენი, ხოლო ღლიღვი – ინგუშით, ქისტებმა კი დღემდე შეინარჩუნეს თავიანთი სახელწოდების პირვანდელი ფორმა.

ქართულ წყაროებში ტერმინი „ქიშტი“ ცნობილია მეცამეტე საუკუნიდან. ასე, რომ ქიშტი, ქუსტი, ქისტი ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარება უძველესი დროიდან დღემდე. აღმოსავლეთ საქართველოს მაღალ მთაში მდებარეობს „საქისტოს მთა“, „საქისტოს წყარო“, ხევესურეთში სოფელი „ქისტანი“, კახეთში სოფლები – „ქისტნელი“, „ქისტაური“ და სხვ. ეთნონიმ ქისტს, ქისტებს თავდაპირველად ქართველები უწოდებდნენ საქართველოს საზღვართან მცხოვრებ ვეინახებს. ჩეჩნებისა და ინგუშებისათვის ეს სახელწოდება უცნობია და მათში ეს სიტყვა, ტერმინი არ არსებობს. პანკისელ ქისტებს ისინი უწოდებენ „გურუფიხარ ნოხჩის“ (ჩეჩენი საქართველოდან) ან „გურუფიხარ ვაინახის“ (ქართველი ვაინახები) პანკისელმა ჩეჩნებმა მიიღეს ეთნონიმი „ქისტი“, ასე უწოდებენ ისინი თავიანთ თავს. საინტერესოა ვეინახების შეხედულებები მათი ისტორიული წარმომავლობის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, რომელიც ვეინახურ ზეპირგადმოცემებს ეფუძნება, მათი ზოგიერთი გვარის მამამთავრები აღმოსავლეთის ქვეყნებიდან და ხევესურეთიდან მოსულებად ითვლებიან. აქედან გამომდინარე, ქისტებში ქართული სისხლი უნდა იყოს შერეული, ასეთი შეხედულებისათვის არსებობს არაერთი საფუძველი, ჯერჯერობით ბოლომდე დაუმუშავებელი [9: 5-6].

იმის გამო, რომ ჩეჩნები და ინგუშები დიდი ხანია ცალკე ეთნიკურ ერებად ჩამოყალიბდნენ გარკვეულ ტერიტორიაზე, ტერმინი ქისტით აღინიშნება ვეინახური წარმომავლობის მოსახლეობა, რომელიც საქართველოში, პანკისის ხეობაში ცხოვრობს [15: 11-13].

ვეინახებს მრავალი საუკუნის განმავლობაში ჰქონდათ ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა საქართველოსთან. მათ აკავშირებდა შორეულ

ნარსულში დანყებული ნათესაური ურთერთობები. ტერმინები დურძუკი, ლილივი და ქისტი გვხვდება თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში. აღნიშნულ ტერმინებს დაახლოებით XVIII საუკუნიდან დაემატა ტერმინი ჩეჩენი და ინგუში, რომლებიც იგივე დურძუკისა და ლილივის მნიშვნელობისაა.

ქართველების სიახლოვე ვეინახებთან განაპირობა ქართულ მინაზე ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მათ დასახლებამ. სამშობლოდან განდევნილი თუ ნებაყოფლობით გადმოსახლებული ვეინახები თავშესაფარს საქართველოში პოულობდნენ. თუშეთის, ხევსურეთის, ფშავეის, ხევის თემები მათ ახალ ადგილზე ცხოვრებისთვის აუცილებელ ყველა პირობას უქმნიდნენ. ვეინახებს თან მოჰქონდათ საკუთარი ყოფის, ტრადიციის ინსტიტუტები, რომელიც ახალი გარემოს ზეგავლენით ცვლილებას განიცდიდა. გადასახლება დაიწყო ჯერ კიდევ ქართლის მეფე ფარნავაზის დროს. მისმა ვაჟმა საურმაგამა ვეინახების მნიშვნელოვანი რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაასახლა.

ქისტების საქართველოში გადასახლების რამდენიმე მიზეზი არსებობდა; არ ჰქონდათ საკმარისი რაოდენობით სახნავი მიწა, სხვადასხვა საქონელი, მარილი, რკინა, ტანსაცმელი, ცხოვრობდნენ ძნელადმისასვლელ მაღალმთიან აულებში, ხშირი იყო სისხლის ალების შემთხვევებისაგან თავის არიდების მიზნით გადასახლება უსაფრთხო ადგილებში საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე შამილის მიერ ისლამის ძალით დანერგვისას გამოყენებული სასტიკი მეთოდები. ჩამოსახლებული ქისტების ძირითადი მასა წარმართი იყო, ხშირ შემთხვევაში შემორჩენილი ჰქონდათ ქრისტიანობის გამოძახილიც. ცნობილია, რომ შამილი დაუნდობელი იყო ყველა არამუსლიმის მიმართ. ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოში გადმოსახლებას ქისტებს აიძულებდა ტრადიციით განპირობებული იძულებითი ეკონომიკური სანქციებიც.

გადმოსახლების ეს პროცესი იყო ქართველებისა და ვეინახების დაახლოებისა და ურთიერთშერწყმის, ასიმილაციის საფუძველი. მშვიდობიანი ურთიერთობის გარდა, მათ შორის ადგილი ჰქონდა მტრობისა და ურთიერთთავდასხმების შემთხვევებსაც, მაგრამ ეს იყო შედარებით ხანმოკლე ეპიზოდები. თუშეთში, ხევსურეთში, ფშავეში, ხევში არის ბევრი ქისტური წარმომავლობის გვარი, მაგ: ელანიძე, ქელეხიძე, აზიკური, ნუქურიძე, კააძე, აშაძე, ცაძიკიძე, სულაკაური, მალსაგიშვილი, ქუშაშვილი, ალბუთაშვილი, მემგელაშვილი, ცხაოშვილი, ხაიაური და სხვ.

ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ვეინახური წარმომავლობის მოსახლეობა ხევსურეთში XVII საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა. ასევე ადგილი ჰქონდა პირუკუ პროცესსაც, ხევსურების გადასახლებას ინგუშეთში. ინგუშეთში ვარაუდობენ არა მარტო ქართული წარმომავლობის ცალკეული გვარების, არამედ მთელი სოფლების არსებობასაც, მაგალითად, ხევსურების შთამომავლებად თვლიან თავს ჯაირახის ხეობის სოფლის, შუანას მცხოვრებნი [15: 33-34].

XVII-XVIII საუკუნეებიდან დაიწყო ვეინახების ასიმილაცია ქართველ

მთიელებში, რასაც მოჰყვა მათი ტრადიციული მეურნეობის დარგების, ადგილობრივი ჩვევების, კულტურისა და ფსიქიკის თანდათანობით შეცვლა. ბუნებრივია, ეს პროცესი საუკუნეების მანძილზე ხანგრძლივად მიმდინარეობდა. მათ დაკარგეს მშობლიური ენა, ყოფითი ტრადიციები და განიცადეს ასიმილაცია. საქართველოში გადმოსახლებულ ვეინახებს შორის აკრძალული იყო ქორწინება, ვინაიდან ისინი ნათესავებად ითვლებოდნენ, რაც კიდევ უფრო აჩქარებდა მათი ასიმილაციის პროცესს.

შესაძლებელია იმის თქმა, რომ ჩამოსახლებულ ვეინახურ ტომებს ეჭირათ გარკვეული ქართული ტერიტორიები. ასევე საფიქრელია, რომ მთიანი ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენა, რაზეც მიანიშნებს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მიერ ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მთებში აშენებული სიმაგრეები. ქისტები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იყვნენ დასახლებულები და ისე შეეზარდნენ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას, რომ მათთვის მშობლიური გახდა ქართული ენა, ყოფა და ტრადიციები. ეს იყო კანონზომიერი და ბუნებრივ-ისტორიული პროცესი. უნდა აღინიშნოს, რომ ასიმილაცია არ იყო ცალმხრივი მოვლენა. არსებობს მონაცემები, რომლითაც დასტურდება, რომ მეცხრამეტე საუკუნის 70-80-იან წლებამდე ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე ბევრი ქართული ოჯახი ცხოვრობდა. მიჩნეულია, რომ იტუმკალინის თემი, რომელიც რამდენიმე ოჯახს ითვლის, ქართული წარმომავლობისაა. ზოგიერთ მკვლევარს მოაქვს სავსე მონაცემები, რომლითაც დასტურდება, რომ მისტიცის, შილდხარის, მელხის საზოგადოებებში ბევრი ოჯახი ცხოვრობს, რომელიც დღემდე არ უარყოფს თავის ქართულ წარმომავლობას [15: 37-39].

ჩეჩნები და ინგუშები ჩამოყალიბდნენ, როგორც ჩრდილოკავკასიელი ხალხები ეთნოსებისათვის დამახასიათებელი ნიშნების საფუძველზე, პანკისის ხეობის ქისტები მოკლებული აღმოჩნდნენ ამ ნიშნებს, თუმცა დღემდე ინერებიან ქისტებად, მიუხედავად იმისა, რომ ქისტი თემის სახელწოდებაა და არა ხალხის, ერის. ქისტები პრობლემის წინაშე დგანან, ისინი არ ინერებიან ჩეჩნებად და ინგუშებად, ვინაიდან თავიანთ ისტორიულ სამშობლოს დიდი ხნის მონყვეტილები არიან, თუმცა ფსიქოლოგიურად საკუთარ თავს აღიქვამენ ქისტური წარმომავლობისად და თავს ქისტი ეროვნებისად თვლიან, ამავდროს ძალიან ბევრი თავს ქართველად თვლის.

კომპაქტური დასახლებისას ასიმილაციის კანონი ძალას კარგავს. ზოგიერთ შემთხვევაში კომპაქტური დასახლება კულტურისა და ყოფის ისეთი ელემენტების კონსერვაციას ახდენს, რომელიც საკუთარ სამშობლოში სწრაფ სახეცვლილებას განიცდის და დავინყებულა. რ. ხარაძის აზრით, პანკისის ხეობაში კომპაქტურად დასახლებულმა ქისტებმა შემოინახეს საკუთარი ტრადიციების ბევრი ელემენტი, თუმცა განიცადეს მნიშვნელოვანი ბუნებრივი ზეგავლენა ქართველი მოსახლეობის მხრიდან.

თეიმურაზ ბატონიშვილი „ივერიის ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ ქართულმა კულტურამ და ეკონომიკურმა ურთიერთობებმა დიდი გავლენა იქო-

ნია ჩრდილოკავკასიაზე და რომ ოდესღაც დურძუკ ლილეებს ჰქონდათ ქართული დამწერლობა და სარგებლობდნენ ქართული ენით [16: 13].

ზოგადად კავკასიისათვის დამახასიათებელია მთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გადაადგილება ძველი საცხოვრებელი ადგილიდან ახალ ტერიტორიებზე. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ეს პროცესები გარკვეული ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. ამგვარი მიგრაციების შედეგად საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ადგილებში მუდმივად დასახლებული აღმოჩნდა ჩეჩნურ-ინგუშური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. ამავ დროს, მიჩნეულია, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთში ზოგიერთი გვარი ქართული წარმომავლობისაა. ასეთი გადაადგილებები ჩრდილოეთიდან სამხრეთით და პირიქით, ხდებოდა მეზობლების დამაკავშირებელი გზებითა და ბილიკებით. უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბუნებრივ, შედარებით მოსახერხებელ კომინიკაციებს, თუმცა არსებობდა ცხენის სავალი და საცალფეხო ბილიკები ხევსურეთსა და თუშეთში, რომელიც გამოიყენებოდა საქართველო-ვეინახების ურთიერთობის სხვადასხვა პერიოდებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველო-ჩრდილოკავკასიურ ურთიერთობებში მაინც დარიალის გასასვლელს ენიჭებოდა. სწორედ აქედან ხდებოდა უმთავრესად ქართული პოლიტიკური, კულტურული გავლენის შეღწევა ჩრდილოკავკასიაში, მათ შორის ჩეჩნეთ-ინგუშეთში. ძირითადი და მეორეხარისხოვანი კომუნიკაციების როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა XI-XIII საუკუნეებში, როდესაც საქართველოს გეოგრაფიული საზღვრები გაფართოვდა, რასაც შედეგად მოჰყვა ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობების გაფართოება ჩრდილოკავკასიისთან, კერძოდ ჩეჩნეთ ინგუშეთთან.

ქართველ მთიელებსა და ვეინახებს შორის მჭიდრო კავშირი ხელს უწყობდა ერთი ეთნიკური ელემენტის მეორეში შეღწევასა და დამკვიდრებას. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ერთ-ერთი ჩეჩნური გვარი ქართული წარმომავლობისად ითვლება. ქართული ელემენტების მთიან ჩეჩნეთში არსებობაზე მიუთითებს გვარები: ხაიაური, მუხაური, გადამაური, აგრეთვე სოფლების, შუნდი-მოხკის და ცაცახის მცხოვრებთა ნაწილის ქართული წარმომავლობა. ასევე ინგუშეთში მცხოვრები მასლაგოვები უნდა წარმოადგენდნენ ქართული გვარის, მარსაგიშვილის განშტოებას, იგივე ითქმის ზოგიერთი სხვა გვარის შესახებაც. ინგუშურ ენაში სხვა, უცხო ენებიდან საკუთარი, ზოგჯერ საგვარეულო სახელების მრავალფეროვნება განპირობებულია კავკასიის მრავალენოვანი ონომასტიკური სისტემების ურთიერთზემოქმედების და ხანგრძლივი ღრმა კულტურულ-ისტორიული კონტაქტების ფაქტით. საქართველოსთან ურთიერთობა ხშირად ხელს უწყობდა ინგუშებში საკუთარი სახელის წარმომობას, მაგ: „გურჯიე“, „ქართველი“.

ინგუშურ ანთროპონიმიკაში ქართული ელემენტი წარმოდგენილია ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მაგრამ მისი გამოვლენა და დადგენა ძველ სახელებში ზოგჯერ გაძნელებულია, რადგან რთულია საზღვარის გავლება ძირძველ ადგილობრივ და ნასესხებ ანთროპონიმებს შორის. მიუხედავად ამისა, ინგუშურ ენაში მოიპოვება ქართული წარმომავლობის მთელი რიგი საკუთარი

იმისა, რომ ნოვა-თუშები (ბაცბიელები) თავიანთ ენაზე ლაპარაკობენ, ჩეჩნები მათ თუშ მოსახლეობას მიაკუთვნებენ. ზოგჯერ ხდება ისე, რომ მეცნიერთა ერთი ნაწილი ნოვა-თუშურისა და ვეინახური ენების გენეტიკურ ნათესაობაზე მსჯელობისას, საერთოდ უგულებელყოფს ნოვა-თუშების დანარჩენ თუშებთან ეთნიკურ ერთობას, რაც ისტორიულ რეალობას არ უნდა შეესაბამებოდეს.

მკვლევართა ერთი ნაწილი (ი. ცისკაროვი, ნ. დუბროვინი, ა. დირი, ს. მაკალათია, ვ. ლაგაზიძე და სხვ.) კატეგორიულად მიიჩნევენ ნოვა-თუშების ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან გადმოსახლების ფაქტს. ვახუშტი ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი, ი. ჯავახიშვილი და სხვა ავტორები კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით ასაბუთებენ, რომ ნოვა და ჩალმა თუშები ადგილობრივი მოსახლეობაა და სავსებით შესაძლებლად თვლიან მათ კავშირს და ეთნიკური ურთიერთშეხების და შერწყმის შესაძლებლობას და შემთხვევებს.

ნოვა-თუშების ვეინახური წარმომავლობის თეორია ჩეჩნეთის ეთნოგრაფიული მასალებით არ დასტურდება, არაფერია ნათქვამი ნოვა-თუშებისა და ვეინახების ეთნიკურ ნათესაობაზე ჩეჩნურ-ინგუშურ ფოლკლორშიც.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნოვა თუშების ცალსახად ვეინახური წარმომავლობის თეორია, ზემოთქმულის გარდა, ეწინააღმდეგება ვახუშტის, ი. გიულდენშტედტის ცნობებს XVIII საუკუნის თუშეთის მოსახლეობის შერეული ხასიათის შესახებ. ასევე ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო ქართული და კავკასიური ენების ნათესაობის შესწავლის საქმეს, არ იზიარებდა ნოვა-თუშების ვეინახური წარმომავლობის ვერსიას. გარკვეულ ინტერესს ამ მხრივ იწვევს ტოპონიმიკური მასალა, რომელშიც ფიქსირდება ათეულობით ადგილის დასახელება, რომელიც ქართულია და ასეთივე ფორმითაა იგი შესული ნოვა-თუშურში [16: 57-58].

სხვადასხვა წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერები სხვადასხვა ვარაუდებს გამოთქვამენ თუშების (ნოვა და ჩალმა) წარმომავლობის შესახებ. ერთნი თვლიან, რომ თუშები ქართული წარმომავლობის არიან, სხვები კი მათ ვეინახურ ჯგუფს მიაკუთვნებენ, როგორც არ უნდა იყოს, ამკარაა მათი მჭიდრო ურთიერთობის ფაქტი.

ამ ორი ხალხის ენაში შემოინახა ერთნაირი სიტყვები, ეს თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, თუკი რაიმე ნათესაობა შეიმჩნევა, სანყისს იგი ქართული ენიდან იღებს, თუმცა ცალკეული სიტყვები შესაძლებელია შემონახული იყოს იბერიულ-კავკასიური წინა ენის უძველესი შრეებიდან. მაგ: პარასკევი (პერასკ), შაბათი (შოთ), კვირა (კირა), მარხვა (მარხა), ხანი-დრო (ხან), კირი (კირ), მარწუხი (მარწუხი), აკვანი (ააგა), ლომი (ლუომი), ვირი (ვირ), აქლემი (ემკალ), ქერა (ქიერე), ალი (ალუ). კიდევ უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება ქართულიდან სესხებისა [16: 86-87].

ქისტების (ვეინახები) ერთი ჯგუფი ოფიციალური მონაცემებით 1847 წელს გადმოსახლდა პანკისის ხეობაში. მთიანი ჩეჩნეთის მაისტის თემის ერთი ტიპი ძალზე შევიწროებული აღმოჩნდა შამილის რეპრესიებითა და მძიმე ეკონომიკური პირობებით, რის გამოც დატოვა თავისი ძველი საცხოვრებელი

ადგილი, გადავიდა საქართველოს ტერიტორიაზე და სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ (რუსული ადმინისტრაციის მხრიდან) დამკვიდრდა პანკისის ხეობაში. ამ გადმოსახლების ინიციატორი იყო ვეინახების ერთ-ერთი მეთაური ჯოყოლა. საინტერესოა, რომ მათი გადმოსახლების აქტიური მომხრეები თუშები იყვნენ, რაც იმით იყო განპირობებული, რომ თუშებს სურდათ როგორმე მოეშორებინათ ეს საშიში და მოსვენარი მეზობლები და აღკვეთათ მათი თარეში თუშების სოფლებში. ამ დროიდან ინტენსიური ხდება ჩეჩნების გადასახლება თუშეთის თემებში, როგორც ცალკეული პირებისა, ისე ოჯახებითა და გვარებითაც კი. მიგრაციის შედეგი ის იყო, რომ წოვა-თუშების ენაში მრავალი ვეინახური ელემენტი გაჩნდა.

კავკასიის ხალხების კულტურისა და ენების ურთიერთობების შესწავლას ზოგადთეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. გარდა იმისა, რომ კავკასია ამ მხრივ იძლევა ორიგინალურ, განუმეორებელ მასალას მთელი რიგი მეცნიერული პრობლემების დასაყენებლად და გადასაჭრელად, კავკასიელი ხალხების ურთიერთობის ისტორიული გამოცდილება ამ რეგიონში მრავლად არსებული კონფლიქტების მოგვარების ეფექტურ საშუალებადაც შეიძლება გამოდგეს.

საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზები, ოსები, ჩეჩნები (ქისტები), ბაცბიელები, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად განიცდიდნენ და განიცდიან ქართული კულტურისა და ქართული ენის გავლენას. მათ შორის ბაცბიელები თანდათან კარგავენ რა საკუთარ ენასა და ეთნიკურ თავისებურებას, ერწყმიან ქართველებს. ყველა ბაცბიელი ორენოვანია, მათ მეორე ენად იქცა ქართული ენა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე არსებობდა კულტურულ-ისტორიული კავშირები ჩრდილოკავკასიელ ხალხებსა და სამხრეთ კავკასიას შორის, კერძოდ ქართველებსა და ნახურ მოსახლეობას შორის. ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება კავკასიის მთის ხალხების, მათ შორის ნახჩებისა და ქართველების მატერიალურ კულტურაში, ყოფაში, ადათ-ჩვევებში ბევრი საერთო ნიშნის არსებობა. ამგვარი საერთო ნიშნების ნაწილი შეიძლება იყოს საერთო მოვლენა ყველა ამ ხალხისათვის, მეორე ნაწილი შეიძლება იყოს მეზობლებისაგან ნასესხები. უძველესმა ქართულმა კულტურამ გავლენა იქონია ვეინახების განვითარებაზე. ბევრი საერთო იძებნება საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში მცხოვრები ჩეჩნებისა და ინგუშების მატერიალურ კულტურაში.

ონომასტიკაში, ტოპონიმიკასა და ეთნონიმიკაში არსებობს ბევრი ნიშანი, ქართველი და ვეინახი ხალხების კულტურულ-ისტორიული კავშირების დასადასტურებლად. ჩეჩნებისა და ინგუშების ონომასტიკაში ბევრი სახელია ქართული ენიდან შესული. მათათშეთსა და პანკისში გვხვდება ნახური წარმომავლობის ტოპონიმები [11: 27]. ლინგვისტიკის დამოკიდებულება ხალხურ ეტიმოლოგიასთან ხშირად სკეპტიკურია და არცთუ უსაფუძვლოდ. ცნობილია, რომ ხალხი, როგორც წესი, ზედაპირულ და არამეცნიერულ ახსნას აძლევს ამათუ იმ ტოპონიმს, რომელიც მოჩვენებით მსგავსებას იჩენს მეორე



ენის ტოპონიმთან. მიუხედავად ამისა, ინგუშურ ენაში რამდენიმე სახელწოდება სოფაქტი გვხვდება. ხალხური გადმოცემით აულ მეცხალის სახელწოდება ორი სიტყვისაგან უნდა იყოს შედგენილი, მეცა (შიმშილი, მშიერი) და ხალა (ძნელი, მძიმე), ე.ი. მძიმე (ძნელი) შიმშილი. ლეგენდის მიხედვით, იმ ადგილებში, სადაც აული მეცხალი მდებარეობდა, ცხოვრობდა ერთი კეთილშობილი ფრინველი, რომლის ბუდე ბოროტმა ადამიანებმა დაანგრიეს, რის შემდეგაც მან მიატოვა ეს ადგილი და გაფრინდა საქართველოში, სადაც ამის გამო მინის მადლი ამოწურულა. ამ შემთხვევაში მკვლევარებს დასასმევებად მიაჩნიათ აღნიშნული ტოპონიმის დაკავშირება ქართულ სახელებთან – მერცხალთან და მცხეთასთან. მათი აზრით მერცხალის ქართული ჟღერადობა კიდევ უფრო აახლოვებს მას ჩეჩნურ-ინგუშურ მეცხალთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მერცხალი ერთობ პატივსაცემია ადგილობრივ მოსახლეობაში და სავსებით შესაძლებელია იგი იგულისხმებოდეს იმ კეთილშობილ ფრინველში. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ზოგიერთი ჩეჩნური და ინგუშური ტოპონიმი აიხსნება ქართული ენის მეშვეობით. როგორც ცნობილია, ძველად იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ჩეჩნებისა და ინგუშების ენაზე [10: 35-38].

ქართულ-ვინახური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების კვალი კარგად ჩანს ეთნონიმებშიც. ასეთია, მაგალითად წოვა (წოვათის მცხოვრები) და წოვა-თუში, ასევე ჩეჩნების უძველესი ქართული სახელწოდება-ქისტები. ქართულში ბაცბიელებს უწოდებენ თუშების ნაწილს (წოვას). ეს სახელწოდება (თუში), როგორც ი. დემურიევი ვარაუდობს, ძველი წარმომავლობის უნდა იყოს. ვინაიდან თუშებს უწოდებენ არა მარტო ბაცბებს, არამედ ჩალმასაც და პირიქეთსაც, ძნელი სათქმელია თავდაპირველად ვის უწოდეს თუშები.

ქართული და ნახური ურთიერთობების თავსაჩინო მაგალითია ქართული ენიდან ნახურ ენებში ნასესხები სიტყვები. ლექსიკური ფონდის სესხებისას ზოგჯერ კარგად ჩანს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ამ ხალხების ურთიერთობის ხასიათი.

ქართულ-ნახური ლექსიკური პარალელები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: 1) სიტყვები, რომლებიც სავარაუდოდ განეკუთვნება საერთო, ძველ ქართულ-ნახურ ლექსიკურ ფონდს, მაგალითად ხანი-დრო, ხევი, ბაგე, ქათამი და სხვ. 2) სიტყვები, რომლებიც ნასესხებია ქართულიდან და მისი მეშვეობით სხვა ენებიდან. ამ ჯგუფს ი. დემურიევი რამდენიმე ქვეჯგუფად ყოფს: ა) შინაური ცხოველების სახელები, მაგალითად, ძაღლი, კატა, ვირი, აქლემი; ბ) გარეული ცხოველებისა და ფრინველების სახელწოდებები, მაგალითად, ლომი, ქორი; გ) შრომის იარაღების, საყოფაცხოვრებო საგნების, ნივთების აღმნიშვნელი ტერმინები, მაგალითად, ხერხი, ჩარხი, აკვანი, ჯამი, გუთანნი, საცერი, გირვანქა, გემი; დ) უძველეს პერიოდში ნასესხები სიტყვები, მაგალითად, ბალი, კირი, ხახვი, ბოხჩა; ე) კვირის დღეების სახელწოდებები, ეს მოვლენა განსაკუთრებით აღსანიშნავია, ვინაიდან იგი ადასტურებს, რომ ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ქრისტიანობა გაცილებით ადრე იყო გავრცელებული ვიდრე ისლამი. ვინახების ისტორიის მკვლევართა შორის ეს ფაქტი აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს. ამ ფაქტის ნათელი დადასტურებაა მთიან ჩეჩ-

ნეთ-ინგუშეთსა და მის ხეობებში მრავალი ქართული, ქრისტიანული ტაძრის არსებობა. თხაბა-ერდის ეკლესიაში, ი. გიულდენშტედტის ცნობით, ინახებოდა ხატები და ხელნაწერები, კედლებზე იყო ეპიგრაფიკული წარწერები. შემდეგში ხელნაწერები დაიკარგა, მაგრამ შემორჩა წარწერები. ერთ-ერთი წარწერა იუნყება, რომ ეკლესია აშენდა მეფე დავითის მიერ 830 წელს, ცხადია, რომ მეცხრე საუკუნიდან ინგუშეთში ქრისტიანობა საქართველოდან ვრცელდებოდა. ოსური, ბალყარული და ჩეჩნური ზეპირგადმოცემები ერთხმად ამტკიცებენ, რომ კავკასიის მაღალმთიან რაიონებში ყველგან შენდებოდა ქართული ეკლესია-მონასტრები. ამ პროცესმა განსაკუთრებით დიდი მასშტაბი თამარის მეფობისას მიიღო. თუმცა, როგორც აღნიშნული წარწერა მოწმობს, საქართველოდან ქრისტიანობის გავრცელება გაცილებით ადრეული პერიოდიდან იწყება.

მოტანილი ფაქტები მეტყველებს ქართველებსა და ვეინახებს შორის არსებულ უძველესი ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების არსებობის შესახებ [11: 28-31].

ბაცბურ ონომასტიკაზე ქართული კულტურის, ქართული ენის ძლიერი ზეგავლენა შეინიშნება. ძველი ბაცბური სახელები, ასევე ონომასტიკური პლასტები გამოდევნილია ქართული სახელების მიერ. ამას ხელი შეუწყო ბაცბელების ორენოვნებამ. საკუთარი სახელების უმრავლესობა ქართულია. ასე, რომ ბაცბური ონომასტიკა ბევრს არაფერს იძლევა ბაცბების ისტორიის შესასწავლად, იგი საინტერესოა მხოლოდ ქართული ენის ბაცბურზე ზეგავლენის დასახსიათებლად.

ბაცბების ძირითადი მასა საქართველოში ცხოვრობს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე. მათი წინაპრები გამოსული არიან ვაბოდან, ეს ტერიტორია ქ. ვლადიკავკაზის ახლოს, მთებში მდებარეობდა [11: 62].

ყველა ბაცბელი, როგორც აღინიშნა ორენოვანია. ყოველდღიურ ყოფაში ქაბობს ქართული ადათ-წესები, სიმღერებს ქართულად მღერიან, ცეკვები ქართული აქვთ. ენა უდამწერლობაა, ყოველივე ეს განაპირობებს მათი ძირი ენის ბუნებრივ დაიწყებას და კვდომას ყოველგვარი ზენოლის, ძალდატანების, უცხო ენის თავს მოხვევის გარეშე. კახეთში მათი ჩამოსახლების შემდეგ (არსებობს მოსაზრება კახეთში მათი ჩამოსახლების თაობაზე, სავარაუდოდ, კახეთის მეფე ლევანის დროს მეთექვსმეტე საუკუნეში) ინტენსიური გახდა ქართველებთან კულტურულ-ეკონომიკური კავშირები. ამ დროს მოხდა ძირეული ცვლილებები ბაცბელების ეკონომიკურ-კულტურულ ცხოვრებაში, მათ ყოფაში ადათებსა და ჩვევებში, მათში დამკვიდრდა მრავალდარგოვანი მეურნეობის ფორმები. ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა, ქართული ადათ-წესები ნელ-ნელა დამკვიდრდა მათ ყოფაში, რამაც გამოიწვია ბაცბელების ძველი, საკუთარი მატერიალური და სულიერი კულტურის გამოდევნა, ეს ყველაფერი აისახა მათ ენაზე. ქართველ მოსახლეობასთან ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაფართოება სასიკეთოდ აისახა ბაცბელების ცხოვრებაზე. თუ ადრე მთებში, იზოლირებულად, გარე სა-

მყაროსგან მოწყვეტილები ცხოვრობდნენ, კახეთში ისინი გაცენენ გაცილებით დანიანურებულ მინათმოქმედებას, მებალებას, მევენახეობას, მდიდარ კულტურულ სამყაროს. უძველესმა, დიდი ტრადიციების მქონე ქართველი ხალხის მატერიალურმა და სულიერმა კულტურამ განსაკუთრებული, კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია ბაცბების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე, მათი ცხოვრების ყველა სფეროზე [11: 64-69].

ბაცბური ენა განიცდიდა და განიცდის ქართული ენის დიდ გავლენას, განსაკუთრებით ლექსიკის სფეროში. ამ ენაში გაჩნდა ქართული ლექსიკის ფენა, შრე თუ პლასტი. ბაცბური ენის ქართულ შრეს მიეკუთვნება ქართული ენიდან ნასესხები სიტყვები და ქართულის მეშვეობით სხვა ენებიდან შესული სიტყვები. ქართული წარმომავლობის სიტყვების ხვედრითი წონა თანამედროვე ბაცბურ ენაში, ენათმეცნიერების აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია.

ქართული ენა ბაცბელებისათვის მეორე მშობლიურ ენად გადაიქცა. ამ ენამ ქართული ენის მეშვეობით ძალზე გააფართოვა საკუთარი სიტყვების მარაგი. ამ ურთიერთობის დამახასიათებელია ქართული ენის ძლიერი გავლენა ბაცბურზე, ბაცბური ენიდან მხოლოდ რამდენიმე სიტყვა შევიდა ქართულში. ქართული ენიდან ნასესხები სიტყვების რაოდენობის წარმოსადგენად საკმარისია იმ სფეროების ლექსიკის ჩამოთვლა, რომელთაც ეს სიტყვები მიეკუთვნება: შრომის იარაღების, ინსტრუმენტებისა და მათი ნაწილების სახელწოდებების უმრავლესობა, სხვადასხვა დაავადებების სახელწოდებების მნიშვნელოვანი ნაწილი, სანური მოწყობილობების სახელწოდება, მატერიალური კულტურის ტერმინების უმრავლესობა, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნივთების, მრავალი პროფესიის სახელები, თითქმის ყველა ახალი სახის ტანსაცმლის (ჩასაცმელის), ფეხსაცმლის, გადაადგილების საშუალებებისა და აღკაზმულობის სახელები, სხვადასხვა საკვები პროდუქტებისა და კერძების სახელწოდებები, ხეხილისა და ხილის, შინაური და გარეული ფრინველების, მემინდვრეობისა და მებალების კულტურების, მცენარეებისა და მათი ნაწილების სახელწოდებები, სიგრძის, მოცულობის, წონის, დროის აღმნიშვნელი ტერმინები, შინაური და გარეული ცხოველების უმრავლესობის სახელწოდებები, ადამიანის სხეულის ზოგიერთი ნაწილის სახელი, მეფუტკრეობის, მეთევზეობის, ნადირობის ტერმინები, მწერების, ზოგიერთი ბუნებრივი მოვლენის სახელები, ბევრი ტოპონიმი და ეთნონიმი, თითქმის მთელი ონომასტიკა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თანამედროვე ბაცბელები ორენოვანი არიან, ხშირია შემთხვევები საკუთარი ბაცბური ენის დავინყების, დაკარგვისა და ქართულ ენაზე, როგორც ერთადერთ მშობლიურ ენაზე გადასვლისა [11: 87-88].

ა. შანიძის აზრით „წოვა – თუშური არის ენა; . . . წოვა – თუშური უნდა დარჩეს იმ ენის აღსანიშნავად, რომელიც შემორჩა ერთი თემის თუშებს, რომლებიც ძველად წოვათში ცხოვრობდნენ და კაიხანია, რაც ზემო აღვანში სახლობენ“ [7: 26].

ამგვარად, ქართულ-ვეინახური ურთიერთობების ხანგრძლივი ისტორია

ზოგადად ასე შეიძლება გავიხზოთ: ჩრდილოკავკასიელი ხალხების, მათ მო-
 რის ვეინახების შესახებ ძალზე მწირი წერილობითი ცნობებია შემონახული.
 ერთ-ერთ უძველეს წყაროს ჩრდილოკავკასიელი ხალხების შესახებ „ქართლის
 ცხოვრება“ წარმოადგენს. სწორედ ლეონტი მროველს ეკუთვნის უძველესი
 ცნობა ვეინახების შესახებ, რომელიც ჩვენს საიტორიო კრებულშია დაცული.

დავით აღმაშენებლის დროიდან ვეინახები საქართველოს ფეოდალური
 მონარქიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ ექცევიან, ხოლო თამარ მეფის დროი-
 დან ეს ურთიერთობები ყმადნაფიცობის პრინციპებზე იყო დაფუძნებული.

საქართველო-ვეინახების ურთიერთობას ორმხრივი საფუძველი გააჩნდა.
 საქართველოსთვის ვეინახები საშინაო და საგარეო საფრთხეების წინააღმდეგ
 დამატებით დამხმარე სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ, ამასთანავე საქა-
 რთველოს ინტერესებში შედიოდა კავკასიონის უღელტეხილზე კონტროლის
 დანერგვა. ვეინახებს საქართველოსთან ურთიერთობის გაფართოებისაკენ
 ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები კარნახობდა.

საქართველო საკუთარი პოლიტიკური გავლენის ვეინახებში გაძლიერები-
 სათვის ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებას მიმართავდა, ამით იყო გან-
 პირობებული ტაძრებისა და ეკლესიების მასშტაბური მშენებლობა. **ტაძრებზე**
 შემორჩა ქართული წარწერები, აღმოჩნდა ხელნაწერებიც. ყოველივე აღნიშ-
 ნული მიუთითებს ამ რეგიონში საქართველოს დიდ გავლენაზე. ამ პერიოდს
 განეკუთვნება ვეინახებში ქართული დამწერლობის გავრცელება.

მონღოლთა დაპყრობების შედეგად შესუსტდა საქართველოს გავლენა
 ჩრდილოკავკასიაზე, თუმცა გიორგი ბრწყინვალეს დროს პოლიტიკური გავ-
 ლენა ვეინახებზე ნაწილობრივ აღსდგა. მონღოლთა დაპყრობები გახდა, ზო-
 გიერთი მეცნიერის აზრით, მიზეზი ვეინახების სამხრეთით, საქართველოს
 მთიან ნაწილში მიგრაციის დაწყებისა [8: 107-112].

XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან ოსეთის კომისიის ძალისხმევით ბევ-
 რი ინგუში მოინათლა ქრისტიანულად იმ იმედით, რომ თავს დააღწევდნენ
 ყაზარდოელი და დაღესტნელი ფეოდალების ბატონობას. პაპუნა ორბელიანის
 ცნობით (XVIII საუკუნის შუახანები), ერეკლე მეფე საგარეო მტრების წი-
 ნააღმდეგ ბრძოლაში ხშირად წარმატებით იყენებდა ინგუშთა შეიარაღებულ
 სამხედრო ძალას [4: 241-242].

XVIII საუკუნეში გაგრძელდა ვეინახთა გადმოსახლება საქართველოს
 მთიანეთში. ჯერ ბაცებების ანუ ნოვა-თუშების გადმოსახლებას ჰქონდა ადგ-
 ილი, მოგვიანებით პანკისელი ქისტებისა. დროთა განმავლობაში მოხდა მათი
 კულტურული ასიმილაცია ქართულ მოსახლეობაში, რაც სავსებით ბუნებრი-
 ვი და საყოველთაო კანონზომიერი მოვლენაა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ბასილი ეზოსმოდვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, „ქართლის ცხოვრება“, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბ., 2008.
2. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბ., 2008.
3. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, „ქართლის ცხოვრება“, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბ., 2008.
4. გ. გასვიანი, თ. გასვიანი, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე, თბ., 2006.
5. ხეთისო მამისიმედაშვილი, პანკისი. წარსული და თანამედროვეობა, თბ., 2008.
6. ქ. სიხარულიძე, კავკასიური მითოლოგია, თბ., 2006.
7. ა. შანიძე, თუშები, ჟურნ. „მნათობი“, N2, 1970.
8. ჩრდილოკავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვეთი 1, ავტორთა კოლექტივი: ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე, თბ., 1968.
9. მ. ხანგოშვილი, ვეინახური საგმირო ეპოსი, თბ., 2006.
10. И.А. Дахильгов, Народная этимология некоторых топонимов горной Чечено-Ингушетии (по легендам и преданиям). Вопросы отраслевой лексики, Грозный, 1978.
11. Ю.Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов, Грозный, 1963.
12. История народов Северного Кавказа, с древнейших времён до конца XVIII в. Ответст. редактор академик Б.Б. Пиотровский. т. 1, М., 1988.
13. Крупнов Е.И. Средневековая Ингушетия, М., 1971.
14. А.С. Куркиев, Вопросы Ингишской антропонимики. Вопросы отраслевой лексики, Грозный, 1978.
15. Л.Ю. Маргошвили, Культурно-этнические взаимоотношения между Грузией и Чечено-Ингушетией в XIX—нач. в (Кисты панкиси), Тб., 1990.
16. А.И. Шавхелишвили, Из истории горцев Восточной Грузии, Тб., 1983.

EMIL KOPALIANI

FROM THE HISTORY OF THE GEORGIAN-ENGLISH RELATIONSHIP

Summary

Georgian-Ingush relations have long and interesting history. Unfortunately there are very few written records kept about these relations. The information about Vainakhs, that was retained in ‘Kartlis Tskhovreba’ (Georgian Chronicles) and that came down to our days, can be considered to be one of the oldest.

Since David the Builder’s times the Vainakhs were under the political influence of Georgian feudal monarchy and during the reign of King Tamar these relations were founded on the principles of serf loyalty oath.

Georgia's relations with Vainakhs had double basis. Vainakhs of Georgia were additional military force against the inner and outer threats; besides, to control the Caucasus mountain ridge was in Georgia's interest. Widening of Vainakh's relations with Georgia was prompted by economic and political interest. In order to increase political influence on Vainakhs, Georgia applied to spreading of Christianity.

As a result of Mongolian conquest Georgia's influence on Vainakhs temporarily weakened but during the following centuries these relations were restored.

In the XVIII century Erekle II, King of Kartli and Kakheti often and successfully used Ingush armed military force against outer enemies.

Georgian-Vainakh relations acquired new impulse by resettling of Vainakhs in Georgia. As time passed they were culturally assimilated with Georgian population; it is a natural, general phenomenon.

ЭМИЛЬ КОПАЛИАНИ

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-ИНГУШСКИХ ОТНОШЕНИИ

Резюме

Грузино-ингушские взаимоотношения имеют длительную и интересную историю. К сожалению, сохранилось довольно мало письменных источников, свидетельствующих о взаимоотношениях двух народов. Одним из древнейших является сведение о вайнахах, засвидетельствованное в хронике «Картлис цховреба» («Житие Картли»).

Во времена Давида Агмашенебели вайнахи оказались под политическим влиянием грузинской феодальной монархии, а в период правления царицы Тамар они находились в вассальной зависимости от Грузии. Между грузинами и вайнахами существовали двусторонние взаимовыгодные отношения. Грузия использовала их в качестве дополнительной военной силы в борьбе против внутренних и внешних врагов. В интересы Грузии также входило установление контроля над перевалами Кавказского хребта. Что же касается вайнахов, то экономические и политические интересы побуждали их расширять взаимоотношения с Грузией. С целью упрочения своего политического влияния Грузия стремилась распространить христианство среди вайнахов.

Нашествие монголов временно ослабило влияние Грузии на вайнахов, хотя в последующие века эти отношения были возобновлены.

В XVIII веке царь Картли-Кахети Ираклий II в борьбе против внешних врагов часто прибегал к военной помощи ингушей.

Грузино-вайнахские взаимоотношения приобрели новый импульс после переселения вайнахов в Грузию. С течением времени произошла их культурная ассимиляция с грузинским населением, что совершенно естественное и закономерное явление.

ოპარ გომიასვილი

ილია სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ

„მან გაბედულად აღიმალა ხმა ადამიანთა უფლებების დასაცავად; დაპგმო სიკვდილით დასჯა, როგორც უმკაცრესი ზომა სამაგიეროს მიზლისა, როგორც უკიდურესად მინიერი და არაქრისტიანული ქმედება“.

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
უნმინდესი და უნეტარესი ილია II.*

რუსეთის იმპერიაში 1905-1907 წლების რევოლუციური ანარქიის ფონზე, ცარიზმი აბსოლუტური მონარქიის პოლიტიკური სისტემის გარკვეულ მოდერნიზაციაზე წავიდა.

მეფე-იმპერატორი მოსახლეობას ჰპირდებოდა სიტყვის, კრებების, კავშირების თავისუფლებას, პიროვნების ხელშეუხებლობას, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ღონისძიებებში იყო ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანოს („Дума“) დაფუძნება, რომელიც ორპალატიანი იქნებოდა. ზედა პალატის, სახელმწიფო საბჭოს ნახევარი ინიშნებოდა, ნახევარი კი უნდა არჩეულიყო.

1906 წლის 9 მარტს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება ილიას ირჩევს სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩეველად, ხოლო პეტერბურგში ჩასულ თავად ილიას 8 აპრილს სახელმწიფო საბჭოს წევრად, საქართველოს თავადაზნაურობის წარმომადგენლად ირჩევენ.

სახელმწიფო საბჭოში არჩევას ქართული და რუსული პოლიტიკური ძალები არაერთგვაროვნად შეხვდნენ და თავად ილიაც არ იყო დაბეჯითებით დადებითად ან უარყოფითად განწყობილი ამ დიდი პატივის გამო. სახელმწიფო საბჭოს ახლადარჩეული წევრები, მათ შორის ილიაც, საზოგადოებას გააცნო პრესამ — „როსიამ“, „სლოვომ“. გაზეთი „რეჩი“ მიუთითებდა ილიას შემარცხენე შეხედულებებზე და ამავე დროს აღნიშნავდა, რომ მან „ფრიად საპატიო სახელი დაიმსახურა არა მარტო ქართველთა, არამედ მსოფლიოს ყველა კულტურულ ხალხებს შორის“. ეს გაზეთი ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური პოზიციის გარკვევისას სახელმწიფო საბჭოში მართებულად მიუთითებდა, რომ „ქართველი ხალხისათვის“ მოითხოვდა „ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას ადგილობრივ კითხვებში საკანონმდებლო უფლებით“. [1:180]

მოუხედავად ასეთი მაღალი ავტორიტეტისა „მსოფლიოს ყველა კულ-

ტურულ ხალხთა შორის“, ილია გარკვეული ეჭვით შეხვდა მოღვაწეობის ახალ, გაცილებით ფართო ასპარეზს. ჯერ ერთი, უკვე 70 წელს მიღწეული ილია ჯანმრთელობას სერიოზულად უჩიოდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ იგი მკაცრად აკრიტიკებდა მეფის მანიფესტს, რადგან დაპირებული უფლებები არასაკმარისად მიაჩნდა. ეს უფლებები კიდევაც რომ განხორციელდეს, ბევრი რამ საზოგადოებაში მოუგვარებელი დარჩებოდა, აღნიშნავდა და იმასაც მიუთითებდა, რომ დაპირებულის შესრულებაც არაფრით არ იყო გარანტირებული. თუმცა მთავარი მიზეზი, რის გამოც ილია ენთუზიაზმის გარეშე შეხვდა ამ არჩევას, ის იყო, რომ თავადაზნაურობის წარმომადგენელი მათი კლასობრივი ინტერესების დამცველი უნდა ყოფილიყო, რაც აშკარად არ თავსდებოდა მისი პოლიტიკური იდეოლოგიის კონცეფციებში. ამის გამო, ილიამ არჩევისთანავე საჯაროდ არაერთხელ განაცხადა, მათ შორის რუსი ჟურნალისტების თანდასწრებით, რომ საბჭოში ის მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი იქნებოდა, რაც არაერთხელ დაამტკიცა სიტყვით და საქმით. საქართველოს ინტერესების დაცვის გარდა მას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩნდა მონაწილეობა მიეღო ქვედა პალატის ყველა იმ კანონპროექტის მომზადებასა და განხილვაში (სახელმწიფო საბჭოს წევრებს ამის უფლება ჰქონდათ), რომლებიც რუსეთის ჩამორჩენილი პოლიტიკური რეჟიმის და ეკონომიკის გარდაქმნას წაადგებოდა.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის აზვირთების პირობებში, როცა ხელისუფლება იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო და აბსოლუტური მონარქიიდან კონსტიტუციურ მონარქიად ტრანსფორმაციის ნიშნები გამოჩნდა, რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ბევრ სხვა დემოკრატიულ კანონპროექტთან ერთად, სიკვდილის დასჯის აკრძალვის შესახებ დაინყეს მუშაობა.

ილია, როგორც რუსეთის უმაღლესის საკანონმდებლო საბჭოს წევრი, ბუნებრივია ამ სიახლეების საქმის კურსში იყო და ზოგი მათგანის განხილვაში მონაწილეობას აპირებდა. ამ მიზნით მან შეადგინა სახელმწიფო საბჭოში გამოსვლის კონსპექტი (თეზისები) სიკვდილით დასჯის აკრძალვის მოთხოვნის მხარდასაჭერად. გამოვიდა თუ არა ილია ამ თემაზე სახელმწიფო საბჭოში, დღეს ბოლომდე გარკვეულად არ შეიძლება ჩაითვალოს. პავლე ინგოროყვა თვლიდა, რომ ილია სიტყვით გამოვიდა და თარიღსაც მიუთითებდა - 17 აპრილს ან 2 მაისს (1907 წელი), მაგრამ ცენზურამ მისი გამოსვლა არ შეიტანა საბჭოს სხდომების სტენოგრაფიულ ანგარიშებში. „ილიას სიტყვა სიკვდილით დასჯის შესახებ, როგორც ირკვევა, წარმოუთქვამს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე 1907 წლის 17 აპრილს ან 2 მაისს. სახელმწიფო საბჭოს ამ სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები ხარვეზებით შედგა, რადგან ამ სხდომებზე წარმოუქმული ზოგიერთი სიტყვის დაბეჭდვა მთავრობას აუკრძალავს. ამ აკრძალულ სიტყვათა შორის ყოფილა, როგორც ირკვევა, ილიას სიტყვაც.“ [2:464] ზოგ თანამედროვე მკვლევარს აქვს არგუმენტაცია იმის სასარგებლოდ, რომ ილია კი ემზადებოდა გამოსასვლელად და კონსპექტიც შეადგინა, მაგრამ სიტყვით არ გამოსულა.

ილია სახელმწიფო საბჭოში გამოსვლას რომ აპირებდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და ამისთვის პეტერბურგში სერიოზულად ემზადებოდა, ამის მრავალი მოწმე არსებობს. ცნობილია, რომ სახელმწიფო საბჭოში ილია შედიოდა ე.წ. აკადემიურ ჯგუფში, მცირერიცხოვან, მაგრამ განათლებულ ინტელექტუალების გაერთიანებაში, სადაც იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე ლიბერალი მეცნიერები გ. კოვალევსკი, ნ. ტაგანცევი და სხვები. მ. ბოლქვაძე, რომელიც იმ პერიოდში პეტერბურგში იმყოფებოდა და სახელმწიფო საბჭოში ილიას მოღვაწეობის შესახებ ყველაზე საგულისხმო ცნობებს გვანდის, აღნიშნავს, რომ ილიამ მოხსენება დაამთავრა და ემზადებოდა ჯერ აკადემიურ ჯგუფში, შემდეგ კი სახელმწიფო საბჭოში შესატანად: „გუშინ სალამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილის დასჯის შესახებ. ამ დღეებში წავუკითხავ ჩვენს წრეს. მერმე – კი სახელმწიფო საბჭოს“ – გადმოგცემს მ. ბოლქვაძე ილიას ნათქვამს და ამასთან, თავის მოსაზრებასაც ურთავს – ეს მოხსენება ნამდვილად არსებობდა და მისი მოძიება აუცილებელია, რადგან იმ პერიოდისათვის „ძალიან მნიშვნელოვანი იყო“ [3:111].

ილია ხშირად საუბრობდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და ამას ბევრი თანამედროვე, მათ შორის ოფიციალური პირებიც ადასტურებს. სახელმწიფო საბჭოს წევრი, ცნობილი იურისტი, მაქსიმ კოვალევსკი 1913 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ორგანიზებულ ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილ შეკრებაზე აცხადებდა: „პროფ. ტაგანცევთან ერთად... თავადი ჭაჭვაძეც სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით გამოვიდა“ [4:222].

აღნიშნულ შეხვედრის პერიპეტციებს უფრო დანერვილებით გადმოგცემს მ. გორგიძე: პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრისა და სახელმწიფო საბჭოს პროგრესული დეპუტატების ინიციატივით აღინიშნა ილიას დაბადების 75-ე და ტრაგიკული დაღუპვიდან 5 წლისთავი. სხდომათა დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა ეს შეკრება, გამოკიდული იყო დაფნის გვირგვინით შემკობილი ილიას სურათი. ქართველ სტუდენტებთან ერთად შეხვედრას ესწრებოდნენ რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის ილიას პერიოდის სახელმწიფო საბჭოს დეპუტატები. შეკრება გახსნა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მეცნიერმა, სახელმწიფო საბჭოს წევრმა მ.მ. კოვალევსკიმ. თავის გამოსვლაში მან ილია დაახასიათა, როგორც დიდი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, რომელთან თანამშრომლობის პატივი ჰქონდა სახელმწიფო საბჭოში მეცნიერებისა და ინტელიგენციის ფრაქციის წევრებს – ე.წ. აკადემიურ ჯგუფს. პირველი, რაც ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა იყო ის, რომ ილია მხარს უჭერდა სიკვდილით დასჯის გაუქმებას და მეორე, ფართო აგრალურ რეფორმას [5:21,22]. აღნიშნული გამოსვლის ტექსტი გამოქვეყნებული აქვს პროფ. ვ. შადურს, ხოლო მისი ქართული ასლი ინახება ილიას ყვარლის სახლ-მუზეუმში [6:469:471].

ისტორიკოსები მომავალში ალბათ ნათელს მოჰფენენ ამ საკითხს. ჩვენ გვინტერესებს ის მოსაზრებები და არგუმენტაცია, რომლითაც ილია სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოდიოდა. ილიას პოლიტიკურ-ზნეობრივი მსოფლმხედველობის კვლევისათვის სწორედ ეს ასპექტია მნიშვნელოვანი,

რამდენად პროგრესული იყო მისი არგუმენტაცია იმ პერიოდისათვის, რამდენად ეხმიანება და თანამედროვეა დღეს, როცა ამ პრობლემის გადაწყვეტას ცივილიზირებული სამყარო დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზმის ერთ მთავარ მონაპოვრად მიიჩნევს.

1906 წლის 19 ივნისს სახელმწიფო სათათბირომ მიიღო კანონპროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ და პროცედურის დაცვით გადაუტანა სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად.

სახელმწიფო საბჭოს მიერ შექმნილმა განსაკუთრებულმა კომისიამ, მართალია დაიწყო სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ კანონპროექტის განხილვა, მაგრამ სახელმწიფო საბჭოსადმი თავისი დასკვნის წარდგენა ვერ მოასწრო. პირველი სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემდეგ სახელმწიფო საბჭომაც შეწყვიტა მუშაობა. მეორე სახელმწიფო სათათბიროს მონვევისთანავე, 1907 წლის 20 თებერვლიდან სახელმწიფო საბჭომაც განაახლა მუშაობა, მაგრამ სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ კანონპროექტის განმხილველმა განსაკუთრებულმა კომისიამ თხუთმეტი ხმით ორის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს კანონი აღარ უნდა განიხილებოდეს და კომისიამაც შეწყვიტოს მუშაობა. გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, რომ რევოლუცია დაღმავლობისკენ მიდის და ფაქტობრივად, დამარცხებულია. სახელმწიფო საბჭოს საერთო კრებამ ასევე ხმის დიდი უმრავლესობით (128 ხმით 7 წინააღმდეგ) დაამტკიცა განსაკუთრებული კომისიის გადაწყვეტილება და ამით დამთავრდა კანონპროექტზე მუშაობა. სახელმწიფო საბჭოში ზემოაღნიშნული ხმების განაწილება ნათლად აჩვენებს სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობის პოლიტიკურ-ჰუმანიტარულ ორიენტაციებს. [4:397]

1905-07 წლების რევოლუციის პირობებში და განსაკუთრებით მისი დაღმავლობის პერიოდში არსებული განუკითხაობის გამო სიკვდილით დასჯის პრობლემა გააქტიურდა, თუმცა ილიას სასჯელის ეს უკიდურესი ზომა თავიდანვე, სამოლვანეო ასპარეზზე გამოსვლის დროიდან აწუხებდა. ჯერ კიდევ 1862 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა „სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თაობაზე ვიქტორ ჰიუგოს წიგნი“. მკვლევარების მიერ დადგენილია, რომ მისი თარგმანი ბ.ვ.-ს ფსევდონიმით ილიას ეკუთვნოდა. პუბლიცისტიკის გარდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილიამ გაილაშქრა თავის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი დატვირთვის მქონე მოთხრობაში „სარჩობელაზე“.

სიკვდილით დასჯის, ამასთან ერთად კანონის წინაშე თანასწორობის დაცვის და ეროვნული დისკრიმინაციის წინააღმდეგ იყო მიმართული ილიას პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების ბრწყინვალე დოკუმენტი, 1898 წლის ნოემბერში სასულიერო სემინარიის რექტორის – სერაფიმესადმი გაგზავნილი წერილი. წერილის მიზეზი გახდა დისკრიმინაციული კანონმდებლობა, რომლის ძალითაც ტიტულოვანი ერის (რუსების) და დანარჩენი ერების წარმომადგენლებს ერთნაირი დანაშაულისათვის სხვადასხვა სასჯელს უსჯიდნენ. ეს ილიას პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების, პრობლემის

არსის ჩამოყალიბებისა და ძირითადი იდეის არგუმენტაციის თვალსაზრისით იმდენად მნიშვნელოვან დოკუმენტად მიგვაჩნია, რომ დიდ ამონარიდს არ მოვერიდებით:

„...კანონის წინაშე თანასწორობას აშკარად არღვევს... შექმნილი კანონი, რომლის ძალითაც ერთიდაიმავე დანაშაულისათვის ქართველი გადაეცემა სახალხო სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია დამნაშავეებს სიკვდილის განაჩენი გამოუტანოს, ხოლო რუსი სამართლდება სამოქალაქო უწყების სასამართლოს მიერ, ... სადაც სიკვდილით დასჯა გამორიცხულია სასჯელების რიცხვიდან.რისთვის და რა სარგებლობისთვის ახვევენ თავზე ქართველს იმ აზრს, რომ კანონი რუსთა მიმართ მაინც მზრუნველ დედად სჩანს, ხოლო ქართველთა მიმართ კი გაბოროტებულ და სისხლმონყურებულ დედინაცვალად.

მე ვუთითებ კანონის წინაშე ამ აღმაშფოთებელ უთანასწორობაზე, რასაკვირველია არა იმიტომ, რომ მინდოდა კანონი დავიყვანო ყველას მიერ სისხლიან განჩინებად, არამედ იმ მიზნით, რათა ის ჰუმანური საწყისით, რომლის სახელითაც კაცობრიობამ მოითხოვა სასჯელთა რიცხვიდან სიკვდილით დასჯის გამორიცხვა და რომელიც აღიარებულ უნდა იქნას ადამიანთა ურთიერთობათა ზნეობრივი სრულყოფის სფეროში, კაცობრიობის პროგრესის საუკეთესო მონაპოვრად, გამოყენებულ იქნეს ყველას მიმართ თანაბრად...

ხომ არ არის ყოველივე ეს პირდაპირი მითითება იმაზე, რომ ერთი და იმავე სახელმწიფოში ერთი კატეგორიის მოქალაქეთა სიცოცხლე ფასდება მეტად, ვიდრე მეორე კატეგორიისა. განა შეიძლება ასეთ ნიდაგზე იზარდოს და განვითარდეს ერთობის და სიყვარულის გრძობა? ... როგორც ღვთის წინაშე, ასევე კანონის წინაშე, ყველანი უნდა იყვნენ თანასწორნი“.[7:157]

ამ უაღრესად საინტერესო, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მთლიანად თანამედროვე „აზრთა მდინარებას“ ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ს. ჯორბენაძე ასეთ შეფასებას აძლევდა: ილიას ეს წერილი „ერთ-ერთი უბრწყინვალესი პუბლიცისტური დოკუმენტთაგანია, რომელიც კი სადმე და ოდესმე დაწერილა ერის დასაცავად“. [8:228]

სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ თავისი გამოსვლებით ილია ქართული მენტალიტეტისათვის დამახასიათებელი ტრადიციის გამგრძელებლად შეიძლება ჩაითვალოს. „ქართლის ცხოვრება“ გვიამბობს, რომ თამარ მეფემ „ოქროვანი ხანის“ საქართველოში სიკვდილით დასჯაც გააუქმა და სხეულის მიმართ სასჯელიც აკრძალა. XVIII საუკუნის მინურულის ქართველი მოაზროვნე, პოლიტიკური მეცნიერების პირველი წარმომადგენელი ახალ დროში, ალექსანდრე ამილახვარი თავის პოლიტოლოგიურ ნაშრომში „ბრძენი აღმოსავლეთისა, გინა განზრახვა მისი სახელმწიფოსათვის მმართველობისა“, აღნიშნავდა, რომ ადამიანს არ შეიძლება წაართვა ის, „რომლისაც მიცემა არ ძალ გედუას“; კიდევ იმის გამო, რომ „ცოცხლისა სიკვდილი შესაძლებელ არს და აღდგინება მისი არავისგან“. [9:65]

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სიკვდილით დასჯის შესახებ საზოგა-

დოებრივი კონსენსუსი არ არსებობდა და მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც საკმაო არგუმენტაცია ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ილია სასჯელის ამ უმაღლესი ზომის წინააღმდეგი იყო, ოპონენტების არგუმენტებსაც ითვალისწინებდა და „რაც კი თქმულა სიკვდილით დასჯის თაობაზედ რომ სასწორზე დაიდვას, არა მგონია ისე თვალსაჩინოდ გადაიხაროს ან ჰოსა ან არასაკენ, რომ ამ გადახრამ დაარწმუნოს ვინმე“ [2:465]. ამის მიზეზად ილია თვლიდა, რომ პრობლემას მეცნიერული დამუშავება აკლია და ორივე დაპირისპირებული მხარის პოზიცია მხოლოდ მრწამსის შედეგია – ასე სჯერათო – აღნიშნავდა ილია. ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ილია საგანგებოდ სწავლობს არსებულ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურას დანაშაულისა და სასჯელის შესახებ. მის ბიბლიოთეკაში გვხვდება არაერთი ნაშრომი ამ პრობლემის თეორიულ ასპექტებზე, ჩანიშნული წითელი და ლურჯი ფანქრებით, რაც იმის მანიშნებელია (სხვა შემთხვევების გათვალისწინებითაც), რომ ილია პრობლემას სერიოზულად ჩაუღრმავდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამავე პერიოდში, 1906 წელს გამოცემული სტატიების კრებული „სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ“. [11]

საერთოდ, ილიას მკაცრი სასჯელები არ მიაჩნდა დანაშაულის აღმოფხვრისა და დამნაშავეთა აღზრდა – გამოსწორების საშუალებად. დამნაშავეობის შესამცირებლად მას მთელი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და აღმზრდელობითი კომპლექსის განხორციელება მიაჩნდა საჭიროდ, სადაც ოჯახს, სკოლას, ეკლესიას და სახელმწიფოს თავისი ფუნქცია აქვს. ილია ერთ თავის ნარკვევში დამახასიათებელი სათაურით „ციხეში ჯდომა უფრო ახშობს ზნეობას, ვიდრე აფხიზლებს“ პირობითი სასჯელის ეფექტიანობას განიხილავს ევროპული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე.

ევროპაში პირველად „პატარა, მაგრამ კარგად განათლებული ქვეყანა“ ბელგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ციხე ვერაფერი ადგილია ადამიანის გამოსასწორებლად და შემოიღო კანონები წვრილმანი დანაშაულისათვის „პირობითი სასჯელის“ შესახებ. ამ სასჯელის არსი, ილიას გადმოცემით იმაშია, რომ წვრილმან დამნაშავეს სასამართლო მიუსჯის ციხეს, მაგრამ გარკვეული დროის განმავლობაში ციხეში არ ჩასვამენ, თვალყურს ადევნებენ და თუ მისი მოქმედება-საქმიანობა „რიგანია და შეუმნიკვლელი“ სასჯელს აპატიებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი სასჯელს აღსრულებაში მოიყვანენ [12:137].

უნდა აღინიშნოს, რომ სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო სახელმწიფო საბჭოში ილიას გამოსვლის ჩვენამდე მოღწეული კონსპექტი არ არის ილიას სტილში ბოლომდე ჩამოყალიბებული დებულებების ფორმით. ზოგი დაუმთავრებელია, ზოგი რას გულისხმობდა მხოლოდ ავტორს შეიძლებოდა სცოდნოდა, მაგრამ რაც გასაგებად არის და აზრს დამთავრებული სახე აქვს, სრულიად საკმარისია ილიასეული კონცეფციის გასააზრებლად. სიკვდილით დასჯის აკრძალვის სასარგებლოდ ილიას სამი არგუმენტი აქვს ჩამოყალიბებული. მიეყვით ამ არგუმენტებს და თანმიმდევრულად განვიხილოთ:

„3. ხოლო სამი რამ საბუთი წინააღმდეგ სიკვდილით დასჯისა:

ა) აჩლუნგებს გრძნობას ჩვენებურს, რომელსაც სისხლი ეზიზღება და

ხშირის ნახვით კი ყურიც ეჩვევა და გრძნობაც¹ მაგ. ახლა სიკვდილი ისეთი ჩვეულებრივი რამ ამბავია, არავისღა უმღვრევს გულს და ყურადღებასაც არ აქცევს“. ილიას მხედველობაში აქვს რეალური ვითარება, რევოლუციის დაღმავალი ხასიათი, როცა ხელისუფლების რევანშისტული აგრესია რევოლუციური ძალების მიმართ აპოგეას აღწევს და ხელისუფლების მიერ შექმნილი საგანგებო სასამართლოები რევოლუციის მონაწილეებს ძიებისა და განაჩენის გარეშე უსჯიან სიკვდილს.

სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო არგუმენტაციის ეს კომპონენტი ბუნებითი სამართლის შემადგენელია.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიხედვით, ადამიანებს პოზიტიური, სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლისაგან დამოუკიდებლად თანდაყოლილი აქვთ ბუნებითი თვისებები, გრძნობები და უფლებები. სახელმწიფოს ყოველგვარი კანონი ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს ბუნებითი სამართლით განსაზღვრულ ადამიანთა ბუნებისათვის დამახასიათებელ ზემოაღნიშნულ გარემოებებს. სხვანაირად სამართალი საზოგადოებისათვის მიუღებელი იქნება და ვერ იმუშავებს. ილიას მიაჩნდა, რომ სადაც ადამიანის გონება ვერ სწვდება ჭეშმარიტებას შემეცნების პროცესში, ჩვენი არჩევანი უნდა გავაკეთოთ ადამიანურ გრძნობებზე, რაც ბუნებითი სამართლის საფუძველია. ამის კლასიკურ მაგალითად, როგორ შეიძლება გრძნობებმა შეცვალოს გონება შემეცნების პროცესში, ილიას შექსპირი მოყავს: „გრძნობაც ერთი დარგია ცნობადობისა და საჭიროა – როცა ჭკუა მოკლებულია შეძლებას, გაიგოს რამე. შექსპირმა გრძნობით სასწაულები მოახდინა ცნობისა და ცოდნისათვის. გრძნობა სულიერი მარტო ადამიანის ნიჭია“ [2:465].

ამ ლოგიკური მსჯელობის შემდეგ შეიძლება გამოგვეთოთ სიკვდილით დასჯის ერთი უმთავრესი საწინააღმდეგო არგუმენტი. სიკვდილით დასჯა ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო აქტია, ეწინააღმდეგება ბუნებით სამართალს, ადამიანურ გრძნობებს, ბუნებრივ ჰუმანიზმს, რადგან ადამიანს არ შეიძლება მოსწონდეს სისხლი, სიკვდილი. მისი ხშირი გამოყენება ადამიანში სპობს ბუნებრივ გრძნობებს, სიყვარულისა, პატივისცემისა, ურთიერთდინდობისა და ურთიერთგაგანისა.

სიკვდილით დასჯის შემდეგი საწინააღმდეგო არგუმენტია ის, რომ ბ. „არყევს ზნობას, რადგანაც ართმევს იმას რისი მიცემაც არ შეუძლია“ (ხაზგასმა ილიასია).

სიკვდილით დასჯის უარყოფითი გავლენის არგუმენტაციას ზნობაზე ილია ორი მიმართულებით განიხილავს – საერო-ზნობრივი და სარწმუნოებრივი, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური.

საერო ზნობრივი თვალსაზრისით სიკვდილით დასჯა უზნობაა, რადგან ადამიანს არ შეიძლება ნაართვა ის, რისი მიცემაც შენ არ შეგიძლია და ბუნებრივია, არც მიგიცია. სიცოცხლე ადამიანს ადამიანისგან არ მიუღია და „საზოგადოება ყოველთვის პასუხისმგებელია თავისი წევრების საქციელისათვის. აზროვნება ყალიბდება იმ სოციალურ გარემოში, სადაც

1. უნებლიე შეცდომაა, ნაცვლად „ყურიცა“ უნდა იყოს „თვალის“.

მას მოღვაწეობა უხდება. ცუდი და ბოროტი ადამიანი არ იბადება, იგი ცუდი ხდება სხვადასხვა ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედებით, რომლებსაც ვერ კიდეც საკმაოდ ვხვდებით ცხოვრებაში. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენაში ბრალი მიუძღვის არა მარტო დამნაშავეს, არამედ მთელ საზოგადოებასაც.“ [10:61] - აღნიშნავს აკადემიკოსი ჯ. ხეცურიანი. გარდა ზოგად-ზნეობრივი პრინციპებისა, სიკვდილით დასჯა ილიას მიუღებლად მიაჩნია სარწმუნოებრივ-ზნეობრივი თვალსაზრისითაც, რადგან ეწინააღმდეგება ქრისტიანობის იმ კეთილშობილურ სწავლებას, რომ უნდა გიყვარდეს მოყვასი შენი. სიკვდილით დასჯა უნდა გაუქმდეს, რადგან იგი ეწინააღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე“ [2:466]. მითუმეტეს, რომ ქრისტიანული სარწმუნოება არ განაწყობს მრევლს აგრესიისა და შურისძიებისაკენ. როგორც გაბრიელ (იმერეთის) ეპისკოპოსი (ქიქოძე) აღნიშნავს პატიმრებთან შეხვედრაზე:

- „ჩვენი დიდებული მასწავლებლის ქრისტეს სწავლით, დამნაშავე და ბოროტმოქმედი კაცი ყველაზედ პირველად უბედური, ავადმყოფი ქმნილებაა. კანონი და საზოგადოება შურისძიებისა და თავის ჯავრის ამოსაყრელად არ უნდა სჯიდეს მას. უბედურს და ზნეობით ავადმყოფს გამხნივება, დარიგება, სწორ გზაზე დაყენება, წამლობა ეჭირებაო. ასე ამბობს ქრისტე და ამაში იმას, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიც, ახალი დროის გამოჩენილი მეცნიერნიც და ფილოსოფოსნიც ეთანხმებიან“ [13:299].

სიკვდილით დასჯის კიდეც ერთი საწინააღმდეგო არგუმენტია ის, რომ „შეცდომა დასჯისა აღარ სწორდება და უდანაშაულოს კლავს“ [2-465].

ამასთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტი მოაქვს ილიას საფრანგეთის რელიგიურ-პოლიტიკური ცხოვრებიდან 1878 წლის ივნისის „საპოლიტიკო მიმოხილვაში“. საფრანგეთში მთელი ისტორიული ეპოქის მანძილზე მიმდინარეობდა დაპირისპირება რესპუბლიკის მომხრე და მონინააღმდეგე ძალებს შორის, რომელიც ხშირად შეიარაღებული წინააღმდეგობის ხასიათს იღებდა. ეს პროცესი, მისი არსი, მამოძრავებელი ძალები, მიზნები ილიას დაწვრილებით აქვს გაანალიზებული და ამის შესახებ სხვა დროს კიდეც გვექნება საუბარი.

საფრანგეთი აღნიშნავდა ვოლტერის გარდაცვალების 100 წლისთავს, რომელიც იყო „ერთი იმ მოღვაწეთაგანი მეთვრამეტე საუკუნისა, რომელთაც დასთესეს 1789 წლის რევოლუციის თესლი“ - აღნიშნავდა ილია. ამ თარიღის აღმნიშვნელ ღონისძიებაზე პარიზში სიტყვით გამოვიდა ვიქტორ ჰიუგო.

ამ გამოსვლაში რელიგიურ ნიადაგზე საზოგადოების შეუნყნარებლობის ერთი მაგალითი მოიყვანა რევოლუციამდელი საფრანგეთის ცხოვრებიდან: 1761 წელს ქ. ტულუზაში თავის სახლში იპოვეს ჩამოხრჩობილი ახალგაზრდა კაცი. ეს თვითმკვლელობა იყო, მაგრამ მსაჯულებმა მკვლელობად ჩათვალეს და დამნაშავეც მოძებნეს, რომელიც აღმოჩნდა მოკლულის მამა, ჰუგენოტი². მას დააბრალეს, რომ უკრძალავდა შვილს კათოლიკობის მიღებას. ამ მოხუცი კაცის შემადრწუნებელ წამებას, სანამ მოკლავდნენ, ვიქტორ ჰიუგო და ილიაც

2. ჰუგენოტები ფრანგი პროტესტანტები, რომლებსაც კათოლიკეები დევნიდნენ.

დანერვილებით გადმოსცემს. „მამის სიკვდილის შემდეგ ცხადად გამოჩნდა, რომ ყმანვილმა კაცმა თვითონ მოიკლა თავი. მაგრამ კაცის კვლაც მოხდა. ვისგან? მსაჯულებისგან“ [14:223-224]

ილია იმ თვალსაზრისსაც ეხმიანება, რომელიც მაშინდელ საზოგადოებაში ფეხმოკიდებული იყო და ზოგს მიაჩნდა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება გამოიწვევდა მძიმე დანაშაულობების მომრავლებას. ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „საბუთად მოყვანა იმისა, რომ სიკვდილით დასჯა ამრავლებს თუ აკლებს დანაშაულობას – არაფერს არ მოასწავებს, რადგანაც დანაშაულობის სიმრავლე სხვა ათასნაირ მიზეზებზეა დამოკიდებული“ [2:466].

ილიას აღნიშნული თვალსაზრისი მრავალ ქვეყანაში წარმოებული გამოკვლევებით უცილობლად დადასტურებულია, მაგრამ ილიას დროსაც და დღესაც სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელი ფუნქცია მისი ფუნქციონირების მთავარ არგუმენტად მიაჩნიათ. მათ სწმათ, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება გამოიწვევს მძიმე დანაშაულობათა ზრდას, რადგან სიცოცხლე ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასია და მისი წართმევის მუქარა მძიმე დანაშაულის პრევენციის ყველაზე ქმედითი საშუალებაა.

სიკვდილით დასჯის მომხრეების აღნიშნული არგუმენტაციის სანინაალმდეგოდ აკად. ჯ. ხეცურიანი მიუთითებს:

„ძნელად თუ შესძლებს დღეს რომელიმე მკვლევარი ისეთი სტატისტიკური მონაცემების მოტანას, რომლებიც დაადასტურებენ დამნაშავეობის რიცხვის შემცირებას სიკვდილით დასჯის შემოღების შედეგად. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დამნაშავეობის სტატისტიკაში სანინაალმდეგო ფაქტები კი საკმაოადა. ამას მონაშობს თუნდაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სპეციალური გამოკვლევები. კვლევის შედეგები ცხადად გვიჩვენებს, რომ სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმების ან მისი გამოყენების საგრძნობ შემცირებას არ გამოუწვევია დანაშაულობათა რიცხვის ზრდა“ [10-54,55]. პროფ. ჯ. ხეცურიანს ზემოაღნიშნული მოსაზრების არგუმენტირებისათვის საჭირო მონაცემებიც მოაქვს.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში აღნიშნული პრობლემა დადგა, სიკვდილით დასჯის მონინაალმდეგებმა ისე, რომ ბევრი ალბათ არც იცნობდა ილიას მოსაზრებებს, სიტყვა-სიტყვით და აზრობრივად გაიმეორეს ილიას არგუმენტაცია. უფრო მეტიც, ამ პერიოდში გამოქვეყნებული საერთაშორისო სამართალდამცავი და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების მთელ ცივილიზებულ სამყაროში აღიარებული დეკლარაციები და პრინციპები, რომლებსაც ემყარებოდნენ სიკვდილით დასჯის მონინაალმდეგეები ჩვენში, ზუსტად იმ დებულებებს ეფუძნებოდა, რაც ილიამ თავის დროზე ჩამოაყალიბა.

* * *

გაზეთ „დროების“ 1908 წლის 13 დეკემბრის № 22-ში და ერთდროულად თბილისის რუსულენოვან გამოცემებში გამოქვეყნდა ილიას ქვრივის ოღლა გურამიშვილის თხოვნა თბილისის გენერალ-გუბერნატორისადმი. ნერილს,

მისი დიდი ზნეობრივი მნიშვნელობის გამო, მთლიანად გთავაზობთ: „სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ჩემთვის და მთელი საქართველოსთვის ძვირფას ილია ჭავჭავაძის სამ მკვლელს. სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე, ღვთის მიერ მასზე მოვლენილი მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანურ გრძნობის, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას. მე ღრმად მნამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა ამათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ გზა-დაბნეულ ძმებად მიიჩნედა: დღეს კი ჩემი ქმრის ხსოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიჩრდილება. ეს საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ ღვაწლს სიყვარულისას, ცხოვრების მასწავლებელ ქრისტეს იმ საუკუნო მცნებას, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული ქმარი. მოგმართავთ თქვენ გულწრფელისა და მხურვალე თხოვნით: ნუ დაამტკიცებთ სასამართლოს განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილით დასჯის შესახებ: თვით მე მხოლოდ შემთხვევით გადავრჩი სიკვდილს ჩემი ქმრის გვერდით და თითქოს მხოლოდ იმისთვის დავრჩი ამ სოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა – შევუნდო იმ უბედურ, გზაბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა“. [7:391]

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ილიას ქვრივმა მისი მეუღლის საკადრისი ზნეობრივი მაგალითი მისცა ადამიანებს. მისი მნიშვნელობა რომ ბოლომდე გაეიაზროთ, უნდა აღენიშნოთ, რომ ილიას მკვლელობით აღშფოთებული საქართველო ბორგავდა და უმკაცრეს, დაუყონებლივ შურისძიებას მოითხოვდა. ანგარიშსწორებას მეტად სახიფათო მასშტაბები შეიძლება მიეღო და ამის გამო საქართველოს პოეტურმა გენიამ, რომელიც ასევე ბრწყინვალედ ერკვეოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში, ვაჟა-ფშაველამ, ერს ასე მიმართა:

„...სისხლი სისხლისათვის, ცოდვა მივუმატოთ ცოდვას? სირცხვილს - სირცხვილი? განა იმათ ადამიანობისა ერთი ბუნო ნიშანწყალი რომ ჰქონდეთ, იზამდნენ ამას?... არა, არ არიან ისინი ადამიანები, უნდა შევრაცხოთ მხეცებად, პირუტყვებად და პირუტყვებზე რომ ვიძიოთ შური, ისე, როგორც ადამიანზე, ეს ხომ ჩვენი სირცხვილია, ჩვენი ადამიანობის დამცირება“. [15:696,697].

იაკობ გოგებაშვილი, ილიას ერთგული თანამებრძოლი, ოღლა გურამიშვილის თხოვნას ოპერატიულად გამოეხმაურა თავის ნერილში „სამაგალითო შუამდგომლობა უკვდავის ილიას მეუღლისა“. ის მიუთითებს, რომ „როდესაც ღრმა კაცთმოყვარეობით აღსავსე შუამდგომლობა ილიას მეუღლისა“ დაიბეჭდა სატახტო ქალაქის გამოცემებში, „გამოუთქმელი შთაბეჭდილება მოახდინა რუსულ დანიანურებულ საზოგადოებასა და სალიტერატურო სფეროებში. ერთმა გამოჩენილმა და უმნიველო რუსთა ლიტერატორმა საუკეთესო რუსულ გაზეთში „Русская ведомости“ აღფრთოვანებული სტატია უძღვნა³

3. როგორც შემდეგ გაირკვა, ქართველი მეცნიერების მიერ 1908 წლის 31 დეკემბერს

ამ შუამდგომლობას და სხვათა შორის თქვა: როდესაც მთელს რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის: მოჰკალ, ჩამოახრჩე, დახვრიტე და ლამის სასონარკვეთილების მორევში ჩაიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც იგი მხეცურად დასჭრეს, ევედრება მთავრობას: სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსო. „აქამდინ ვიცოდი, ამბობს ბოლოს ავტორი, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდისო; ახლა უნდა ვსთქვათ: ზნეობრივმა მზემ აღმოსავლეთიდან – საქართველოდან ამოაშუქაო.“ [16:137]

წყაროები და ლიტერატურა:

1. Реч, 1906, 10 - ციტირებულია: დ. შველიძე. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. თბ., 1993.
2. ილია ჭავჭავაძე ტ. X (ათტომეული, პ. ინგოროყვას რედაქტორობით)
3. ჟურნალი „განათლება“, 1908, №3-4.
4. ე. აბაშმაძე. ილია ჭავჭავაძე – სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები. თბ., 1987.
5. Горгидзе М. Грузины в Петербурге (страницы летописи культурных связей). Тб., 1967.
6. Шалури В. Летописи дружбы Т. I, Тб., 1967.
7. გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ფოტომატიანი. წიგნი 2. თბ., 1990.
8. ს. ჯორბენაძე, თსუ შრომები, ტ. 69, თბ., 1958.
9. პოლიტოლოგია (პროფ. ო. გოგიაშვილის რედაქციით). თბ., 2004 .
10. ჯ. ხეცურიანი. სიკვდილით დასჯა. არგუმენტები და ფაქტები. თბ., 1997.
11. Против смертной казни. сб. статей под. ред. Гернета М.Н. ... М., 1906.
12. ილია ჭავჭავაძე ტ. XIII.
13. გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე). ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. თბ., ტ. II, 1990.
14. ილია ჭავჭავაძე ტ. VI. (ოცტომეული).
15. ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი. თბ., 1985.
16. ი. გოგიაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. III, თბ., 1990.

აღნიშნულ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის „Ex oriente Lux“ („სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის“) – ავტორი იყო ი. გორბუნოვ-პოსადოვი, ცნობილი მწერალი და გამომცემელი, ლ. ტოლსტოის უახლოესი მეგობარი, რომლისგანაც შეიტყო ოღლა გურამიშვილის თხოვნის შესახებ.

ILIA CHAVCHAVADZE AND CAPITAL PUNISHMENT

Summary

Ilia Chavchavadze started to crusade against execution as soon as he appeared in the public arena; he reflected his negative attitude towards capital punishment in his literary heritage as well as in his ethical and religious works. Ilia Chavchavadze formed his attitude towards execution as a complete conception in 1907, when he was preparing to deliver a speech in the State Council, i.e., Russia's supreme legislative body the member of which he was at the time.

Ilia Chavchavadze had three major arguments showing the necessity of banning capital punishment. As Ilia Chavchavadze alleges the capital punishment:

1. Weakens humane feelings that abhor blood and also makes a man more callous; Ilia Chavchavadze relied on universal justice norms when asserting this statement;

2. Debilitates morals by inflicting irrecoverable harm on a human being. Ilia Chavchavadze presented his arguments against the capital punishment in two key directions: national-ethical and Christian-Orthodox;

3. Sometimes claims a totally innocent man's life and can yield consequences impossible to rectify; Ilia Chavchavadze corroborated this statement by mentioning the example from the religious-political life of France.

After Ilia Chavchavadze's perfidious assassination, Georgia's and Russia's Fourth Estate – the imperial press was among them – published his widow Olga Guramishvili's petition to government representatives; by maintaining that her spouse fought against capital punishment all his life, Olga Guramishvili appealed the political high ranking officials to restrain from executing Ilia Chavchavadze's assassins. The grieving woman thought that passing a death sentence against her husband's murderers would have troubled his great soul in heaven.

The aforementioned petition of Ilia Chavchavadze's wife was recognized throughout the empire as an unprecedented manifestation of an exceptional moral sense.

ომარ გოგიაშვილი

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ ПРОТИВ СМЕРТНОЙ КАЗНИ

Резюме

Илья Чавчавадзе с самого начала своей деятельности выступал против смертной казни. Его отрицательное отношение к высшей мере наказания отразилось как на его художественном творчестве, так и на публицистике религиозно-нравственного характера. Форму сложившейся концепции оно приняло в 1907 году, когда Илья Чавчавадзе готовился к выступлению в Государственном совете, высшем законодательном органе Российской империи, членом которой (сенатором) он являлся.

В дошедших до нас документах Илья Чавчавадзе, приводя аргументы в пользу запрета смертной казни, рассматривает ее в трех направлениях:

1. Притупляет у человека чувство отвращения к крови и, часто ее видя, его зрение и чувство к ней привыкают. Илья Чавчавадзе в данном случае опирается на нормы природного права.
2. Распатывает нравственность, так как отнимает у человека то, чего он дать не может. Аргументируя отрицательное влияние смертной казни на нравственность, Илья Чавчавадзе рассматривает это влияние в двух направлениях: светско-нравственном и христианско-православном.
3. Ошибку приговора нельзя исправить, может быть казнен невиновный. Илья Чавчавадзе приводит и соответствующий пример из религиозно-политической жизни Франции.

После коварного убийства Ильи Чавчавадзе в грузинской и русской (в том числе имперской) прессе было опубликовано обращение вдовы Ильи Чавчавадзе, Ольги Гурамишвили, в котором она просила представителей власти не предавать смерти убийц ее мужа. Главным ее аргументом было то, что Илья всю свою жизнь боролся против смертной казни и приведение в исполнение этого наказания ляжет тяжестью на его душу.

Это обращение вдовы великого Ильи во всей империи было оценено как беспрецедентный пример высшей нравственности.

გიორგი ჭიჭვილი

ქვეყნისა და ერის მსახურებაში

(დავით მუსხელიშვილი – 85)

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს დავით მუსხელიშვილს 85 წელი შეუსრულდა. კოლეგები და მეგობრები გულითადად ულოცავენ ბატონ დავითს საიუბილეო თარიღს და ჯანმრთელ ცხოვრებას უსურვებენ ჩვენი დარგისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.



დღეს დავით მუსხელიშვილი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული ქართული საისტორიო სკოლის აღიარებული ლიდერია. მან ღირსეულად გააგრძელა სახელოვანი მამის, ლევან მუსხელიშვილის და მასწავლებლის, ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო ტრადიციები და საქართველოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის კვლევა ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

მისი სამეცნიერო ინტერესები მეტად ფართოა: საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია, ქართველთა ეთნოგენეზი და ქართველთა თვითშეგნება, უძველესი ხანის გორანამოსახლარები და ხეები, ფეოდალ-

ური – საციხისთავო და საქალაქო – ქვეყნები, ციხე-სიმაგრეთა ლოკალიზაცია, ცხვრის გზები და საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალეები, დემოგრაფიული და სოციალური პროცესები, მთისა და ბარის ურთიერთობა, უძველეს ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა თუ ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის საფუძვლები, საქართველოს პან-კავკასიური მონარქიის ხასიათი, საქართველოს როლი კავკასიაში და კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობები მეზობლებთან, სახელმწიფო და ეკლესია, თბილისის მნიშვნელობა საქართველოსა და კავკასიის ისტორიაში, არქეოლოგიური თუ ნყაროთმცოდნეობითი პრობლემატიკა და სხვა. ასეთია არასრული ჩამონათვალი საკითხებისა, ქართველი ერის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს რომ ეხება ენეოლითის ხანიდან გვიან შუა საუკუნეებამდე.

დავით მუსხელიშვილის კვლევების ძირითადი სფერო ისტორიული გეოგრაფიაა. საქართველოსა თუ მისი ცალკეული კუთხეების (კახეთ-ჰერეთის,

ქვემო ქართლის, აფხაზეთის) პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეთნიკური გეოგრაფიის დანვრილებითმა შესწავლამ საშუალება მისცა ნარ-მოეჩინა საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის ჩამოყალიბების პროცესი, მისი შინაგანი სტრუქტურა და ამ სტრუქტურის ისტორიული ევოლუცია; განესაზღვრა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ძირითადი ეტაპები და დაედგინა ტერიტორიული ევოლუციის კანონზომიერებანი. მიღებული დასკვნები მეთოდოლოგიური ხასიათისაა და სახელმძღვანელო პრინციპებადაა ქცეული ისტორიული გეოგრაფიის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

ბატონ დავითის რედაქციითა და თანაავტორობით გამოცემული ნაშრომები „საქართველოს ისტორიის ატლასი“ (თბ. 2003) და „საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში“ (თბ. 2010) აღინიშნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივ. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის პრემიებით. ის დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის მედლით და ღირსების ორდენით. 2013 წლის 10 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა – ილია მეორემ ისტორიული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის დავით მუსხელიშვილს გადასცა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო, წმინდა გიორგის ოქროს ორდენი.

ბატონი დავითის ცხოვრებასა და შემოქმედებას რამდენიმე წერილი მიეძღვნა (იხ. კრებული „აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი“, თბ. 2003 და ჟურნალი „ანალები“ № 3, 2008); მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა დანვრილებითაა განხილული და შეფასებული დევი ბერძენიშვილის ნარკვევებში. ამიტომ წინამდებარე წერილში შევხვები დავით მუსხელიშვილის მოღვაწეობის მხოლოდ ერთ მხარეს, რომელიც დღეს განსაკუთრებით აქტუალურია.

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკურ-კულტურული საფუძვლების კვლევამ ბატონი დავითი მეტად მნიშვნელოვან დასკვნამდე მიიყვანა: „ისტორიული საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია არ იყო მხოლოდ კონკრეტული გეოგრაფიული სივრცე, შემთხვევით მოქცეული გარკვეული პოლიტიკური ნების გავლენის არეალში. პირუკუ, ეს იყო იმანენტური სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკურ-კულტურული მრავალსაუკუნოვანი განვითარების კანონზომიერი პოლიტიკური გამოვლენა მოცემულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გარემოში. ამდენად, საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ეს იყო, შეიძლება ითქვას, ერთიანი ორგანული სისტემა... საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ამავე დროს ქართული-ეროვნული სახელმწიფოებრივი ტერიტორიაა, ქართველი ხალხის შემოქმედებაა...“

ამ დებულების ილუსტრაციის საუკეთესო საშუალება ისტორიული რუკები გახლავთ. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებაში (ასე ერქვა მაშინ ამ დანესებულებას) დავით მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა საქართველოს ისტორიის ატლასის მაკეტი. ატლასის ავტორები ივ. ჯავახიშვილის ნაანდერძევით

ხელმძღვანელობდნენ – პოლიტიკური ისტორიის განვითარების პროცესის რუკებზე მაქსიმალური სიზუსტით ასახვა.

სხვადასხვა მიზეზთა გამო ატლასის გამოცემა თითქმის ოცი წლით გადაიდო. ნაშრომის რედაქტორი, აკად. დ. მუსხელიშვილი წინასიტყვაობაში წერდა: "წინამდებარე გამოცემა არ არის ჩვეულებრივი ისტორიული ატლასი, რომელშიც, როგორც წესი, ქვეყნის მხოლოდ ამა თუ იმ ეპოქის შესატყვისი პოლიტიკური სიტუაციის ამსახველი რუკებია თავმოყრილი, უკეთეს შემთხვევაში, მოკლე ისტორიული კომენტარებით. „საქართველოს ისტორიის ატლასი“, ფაქტობრივად, დოკუმენტირებული პუბლიკაციაა: მას ახლავს „განმარტებითი ტექსტი“, რომელშიც, შეძლებისდაგვარად, ყველა ძირითად პირველწყაროზე მითითებით და რიგ შემთხვევაში სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, დასაბუთებულია, არსებითად, თითოეულ რუკაზე ასახული ქვეყნის პოლიტიკური სურათი... ასე რომ, საბოლოო ჯამში, ატლასი სათანადო არგუმენტაციით, ფაქტობრივად, ასახავს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ტერიტორიის პოლიტიკური ცვლილებების პროცესს უძველესი პერიოდიდან დღევანდლამდე“. მომზადდა ატლასის მეორე, შევსებული გამოცემა და ინგლისური ვერსია, რაც დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პრობლემატიკის სწორ გააზრებას უცხოეთში.

დაეუბრუნდეთ კვლავ 80-იან წლებს. იმ დროისათვის ატლასს კიდევ ერთი ამოცანა ეკისრებოდა — ის უნდა ყოფილიყო საპირწონე კარტოგრაფიული აგრესიისა, რომელიც საბჭოთა რეჟიმის პირობებში მეზობელი რესპუბლიკებიდან მოდიოდა. სომხეთსა და აზერბაიჯანში გამოცემულ რუკებზე (რომელთა ავტორები, ზოგჯერ, ფრიად ავტორიტეტული მეცნიერებიც იყვნენ) ისეთი სურათი იხატებოდა, თითქოს ჩვენი მეზობლების ისტორიული საზღვრები საქართველოსთან ასწლეულებისა და ათასწლეულის მანძილზეც კი უცვლელად თბილისთან გადიოდა! ისტორიული რეალობის გამრუდების პოლიტიკა არაბალი იყო; მსგავს ტენდენციებზე ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია მიუთითებდნენ. უფრო საინტერესო კი ის ფაქტი გახლდათ, რომ ამგვარივე ზედაპირული თუ აგდებული დამოკიდებულება რუსეთის სამეცნიერო წრეებიდანაც მომდინარეობდა.

ბატონი დავითი და მისი კოლეგები კარგად გრძნობდნენ მსგავსი ოპუსების პოლიტიკურ შედეგებს და აფრთხილებდნენ თავის ოპონენტებს: რუკაზე ასახული ყველა ფაქტი დიდ სიფრთხილესა და მკაცრ არგუმენტაციას მოითხოვს, ვინაიდან ისტორიულ-პოლიტიკური გეოგრაფია სცილდება წმინდა სამეცნიერო ინტერესებს და საზოგადოებრივ დატვირთვას იძენს.

ეს შეგონება წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. სულ მალე საქართველოში სისხლიანმა კონფლიქტებმა იფეთქა, ხოლო სეპარატისტთა იდეოლოგიებმა თავისი პრეტენზიების დასასაბუთებლად ე.წ. ისტორიული რუკები ააფრიალეს.

XXI საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით კი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ (ანტიქართული ისტერია უფრო მეტად გამძაფრდა. ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის ცნება ქი-

ლიკის საგნად იქცა, ამტკიცებდნენ, „საქართველო“ და „ქართველები“ საბჭოთა ხელისუფლებამ, ან, უკეთეს შემთხვევაში, რუსეთის იმპერიამ შექმნა. რუსი „ექსპერტების“ უზამს რიტორიკას საეჭვოდ დაემთხვა სომეხ „მოღვაწეთა“ გააქტიურება, კულტურულ-ტერიტორიული პრეტენზიების განცხადება საქართველოს სამხრეთ რეგიონებზე (ქვემო ქართლი, ჯავახეთი). ზოგიერთ თანამედროვე სომეხ ისტორიკოსს თუ ვერწმუნებით, ქართველები არც კი არსებობდნენ, იყვნენ მხოლოდ ჩვეულებრივი სომხები და არაჩვეულებრივი სომეხი-დიოფიზიტები; ან თუ რამ არსებობდა ქართული, სახელმწიფოებრიობის ჩათვლით, ყოველივე სომხების მიერ იყო შექმნილი. სიცრუით გაჯერებული თეორიების შეთხზვამ პატივცემული კოლეგები ისე გაიტაცა, რომ ვერც შეამჩნიეს, როგორ გამოუჩნდნენ კონკურენტები ოსი და აფხაზი ისტორიკოსების სახით, რომლებიც ქართული სამეფოს შექმნას საკუთარ ეთნოსთა დამსახურებად მიიჩნევენ.

დავით მუსხელიშვილმა კარგად აჩვენა, რომ სომეხ მეისტორიეთა თუ ექსპერტთა ტრადიცია სათავეს მოვსეს ხორენაცისგან იღებდა. აღნიშნული ტერიტორიებისთვის სომხებმა ქართველებთან სამი დიდი ომი აწარმოეს – ძვ.წ. II საუკუნეში, IX-X საუკუნეებში და 1918 წელს – და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს, თუმცა საბოლოოდ ისტორიამ სულ სხვაგვარად განსაჯა: XI ს-ის II ნახევარში სომხური სახელმწიფოებრიობა კავკასიაში საბოლოოდ დაემხო, სომხები კი დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მიმოიფანტნენ. საქართველოს სამეფო რომ არა, კავკასიელი სომხებიც და მათი სამეფოებიც, კილიკიის სომეხთა მსგავსად, ისტორიკოსთა გარდა აღარაღივსებოდა.

ბატონი დავითი ეთნოკრატების აგრესიის მიზეზის ახსნასაც ცდილობს. ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა, ბუნებრივია, რომ აქ ქართველებთან ერთად არაქართველებიც ცხოვრობდნენ. ისინი სხვადასხვა დროს იყვნენ საქართველოს შემოხიზნულნი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტური მასალაც არსებობს, ხოლო სამშობლოდან იმიტომ მოდიოდნენ, რომ ქართულ მონარქიაში თავს გაცილებით უკეთ გრძნობდნენ. „ეს კი, თავის მხრივ იმის აშკარა მონიშნაა, – დასძენს პატივცემული მკვლევარი – რომ ქართველებში არ არსებობს ქსენოფობია, პირუკუ – ტოლერანტობა მათი გენეტიკური განწყობაა. ამას ხელს უწყობდა შუა საუკუნეების ქართული ეკლესია, რომელიც კანონიკურად იცავდა რამართლმადიდებლურ მრწამსს, შემწყნარებლური იყო სხვა კონფესიებისა თუ რელიგიების მიმართ. ამასაც კარგად მონიშნებდა შუა საუკუნეების როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები. ქსენოფობიის უქონლობა და ტოლერანტობა ქართველი ხალხის მაღალი კულტურისა და სიძლიერის მაჩვენებელია...“ მაშ, რატომ მოხდა, რომ ქართველი ერის ეს მახასიათებელი, გეოპოლიტიკური ვითარების ცვლილებების შედეგად, მის სისუსტედ გადაიქცა? – კითხულობს ბატონი დავითი და პასუხსაც თავად სცემს: მიზეზი ქართველი და რუსი ხალხის მენტალურ შეუთავსებლობაშია.

„ქართველების მთელი ისტორია თავისუფლებისთვის ბრძოლა“ – წერს პატივცემული მკვლევარი და იქვე განაგრძობს: „მე არ ვიცი მსოფლიოში

მეორე ხალხი, რომელსაც ამდენი და ასეთი ძალმომრეობა გადაეტანის და შეენარჩუნებინოს თავისი სახელმწიფოებრიობა: ბერძნები, რომაელები, პართელები, ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, ხაზარები, სელჩუკიანი თურქები, მონღოლები, თურქმანები, ოსმალები, ყიზილბაშები, დასასრულ რუსები, ყველანი იპყრობდნენ ჩვენს ქვეყანას და ცდილობდნენ ხალხის დამონებას, მაგრამ საბოლოოდ ვერც ერთმა ვერ მოახერხა ეს და ვერ მოახერხა იმიტომ, რომ ქართველი ხალხის ძირითადი ეროვნულ-ფსიქოლოგიური განწყობა თავისუფლებისმოყვარეობაა“. სწორედ ქართველთა ეს თვისება აღიზიანებთ რუსეთში მონური ფსიქოლოგიის მოფამისტო ელემენტებს (მათთვის ხომ საქართველოს საუკეთესო „ხედები ბომბდამმენიდან იშლება“) და კრემლის ისტებლოშმენტს, ვისთვისაც რუსული სახელმწიფოს მშენებლობა საკუთარი თვითგადარჩენისა და თავდაცვის სისტემა ყოფილა მარტოოდენ, თუნდაც სხვა ხალხთა ფიზიკური განადგურებისა და ტერიტორიების მიტაცების ხარჯზე. რუს იდეოლოგთათვის ეროვნული სახელმწიფო არ არსებობს, მაშინ როცა ქართველი ერი აშენებს ეროვნულ სახელმწიფოს, რომლის ერთი გოჯი მინაც კი დაპყრობილი არ არის და მისი სეცესიის უფლებაც არც არავის აქვს.

დავით მუსხელიშვილმა კარგად აჩვენა, როგორ თანხმობლივად ნათლავენ საქართველოს „მცირე იმპერიად“ და მოითხოვენ მის „დემონტაჟს“ რუსი/საბჭოთა პარტოკრატები (სუსლოვი, პუტინი) თუ უფლებადამცველები (სახაროვი). ეს რიტორიკა ერთ შემთხვევაში გაუგებრობისა და საქართველოს ისტორიის უცოდინრობის შედეგი შეიძლებადა ყოფილიყო, ხოლო სხვა შემთხვევაში აშკარა სიცრუისა და ძალადობის შესანიღბავად გამოიყენებოდა. არ დააყოვნა ბატონ დავითის პასუხმაც – აკადემიურმა, ეროვნული ღირსების გრძნობით აღსავსემ. ღია წერილები რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვ. პუტინისადმი და ჟურნალისტ მ. განაპოლკისადმი ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძესთან თანაავტორობით დაინერა. ჩვენმა ღვანლმოსილმა მეცნიერებმა დიდი ტაქტით პუტინი და მისი დამქაშები უმეცრებასა და სიცრუეში ამხილეს, „შეახსენეს“ ავგისტოს ომში გამარჯვებული რუსული არმიის ველური ქმედებები, შეადარეს თემურ-ლენგის ბრბოთა თარეშს და ვანდალიზმს, რომლითაც კრემლი ამაყობდა, განაჩენიც გამოუტანეს – სამუდამო სამარცხვინო ლაქა რუსი ხალხის ისტორიაში.

დავით მუსხელიშვილის ისტორიულ-გეოგრაფიული გამოკვლევები „სრულიად ნათელყოფს ქართველი ხალხის სამართლებრივ სუვერენულ უფლებას დღევანდელი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელზე დროთა ვითარებაში სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენლები შემოსახლდნენ“. ქართველი ისტორიკოსის თვალსაზრისით, ეროვნული ტერიტორია ისეთივე წმიდათანმინდაა, როგორც ეროვნული ენა და მისი ხელყოფის ყველა მცდელობა ეროვნულ დისკრიმინაციად უნდა განიხილებოდეს.

ისტორია თითქოს მეორდება: 1918 წელს ივანე ჯავახიშვილიც დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთ ისტორიულად ჩამოყალიბებული სახელმწიფო საზღვრების დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებდა, მაგრამ, უმედ-

გოდ: სოციალ-დემოკრატები მზად იყვნენ, „ერი“ და „მამული“ „დემოკრატიისა“ და „ინტერნაციონალიზმის“ სამსხვერპლოზე მიეტანათ. დღესაც ქართველ ისტორიკოსთა შეგონებებს წაუყრუებენ არა მხოლოდ რუსეთში, არამედ საქართველოშიც, ამიტომ ბატონმა დავითმა ხელისუფალთ და საზოგადოებას (განსაკუთრებით იმ ნაწილს, ვისთვისაც საუცხოო მხოლოდ უცხოა) ცნობილი გერმანელი სამართალმცოდნის, რუდოლფ ფონ იერინგის სიტყვებიც შეახსენა: „თუ ხალხი შეურაცხყოფაზე მხოლოდ დუმილით პასუხობს, ამგვარი გულგრილობით თავს დასალუპავად სწირავს. თუ ერი მეზობელს უფლებას აძლევს, დაუსჯელად მიიტაცოს მისი მიწის თუნდაც ერთი მტკაველი, მაშინ ის სხვა ტერიტორიებსაც დაკარგავს; საბოლოოდ მას აღარაფერი დარჩება და როგორც სახელმწიფო, შეწყვეტს არსებობას. სხვაგვარ ბედს ასეთი ერი არც იმსახურებს“.

სურათი მეტად შავ-ბნელია. ეს კანონზომიერება დღესაც მოქმედებს – არა აქვს მნიშვნელობა, მოინაწილდევს მიტაცებული აქვს შენი მიწა-წყლის ერთი მეტრი, სამასი მეტრი თუ მთელი რეგიონები.

ქართული სახელმწიფოს დასამარების ქვუამხიარულ მოსურნეთ ჰგონიათ, რომ დრო მათზე მუშაობს, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ! – ომხიანად ბრძანებს ბატონი დავითი; მომავლის იმედი და სიკეთის გამარჯვების რწმენა ხომ მისი დამახასიათებელი თვისებაა. ოპტიმიზმის საფუძველს კი წარსულის ღრმა ცოდნა აძლევს: „საქართველოს კონსოლიდაციის საწინააღმდეგო უდიდესი პოლიტიკური ფაქტორი ყოველთვის იყო მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა ანტიკური ხანის თუ შუა საუკუნეების უდიდეს იმპერიებს შორის, რომელთა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებიც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე იხლართებოდა. როგორც კი ეს გარეშე ფაქტორი სუსტდებოდა, უმაღვე იწყებოდა ქართული მიწების ხელახალი ინტეგრაციის პროცესი. ეს არის სწორედ ქართული სულის გამოვლენა!“

სული უკვდავია, მაგრამ ის შეიძლება გაქრეს და ქართველი ერიც „სხვის ხელში სათამაშო, უსახურ ბრბოდ“ გადაგვარდეს, თუ ხელისუფლება მიზანმიმართულად განაგრძობს საქართველოს ისტორიისა და ქართველოლოგიური მეცნიერებების იგნორირებას და ახალგაზრდობაში პატრიოტული სულისკვეთების ჩაკვლას. ესეც ამაგდარი მეცნიერის კიდევ ერთი გაფრთხილებაა, XIX-XX საუკუნეთა მოღვაწეების (ი. ჭავჭავაძის, კ. იასპერსის, რ. რეიგანის...) დიად ნააზრევზე დაფუძნებული.

ძნელია, არ დავეთანხმოთ ბატონ დავითს და აქვე არ გავიხსენოთ მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) სიტყვები, ხუთი წლის წინ რომ ბრძანა: „ბატონო დავით! საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევა ჩვენი ერის გადარჩენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს. ამ საქმის უანგარო მსახურება რჩეულთა ხვედრია. თქვენი სახით ჩვენს საზოგადოებას დიდებულ წინაპართა ღვანლის ღირსეული გამგრძელებელი ეგულება. მიიღეთ ქართველი ხალხის გულწრფელი მადლობა და სიყვარული. იცოცხლეთ და იძლეგრძელეთ მრავალსა წელსა, მრავალჟამიერ“.

GIORGI TCHEISHVILI

IN THE SERVICE OF HOMELAND AND NATION

Summary

This article is dedicated to the 85th birthday of a prominent Georgian scholar and Academician, David Muskhelishvili. His studies in historical geography, history and the archaeology of Georgia have been priceless contributions to Georgian historiography. His concept of “national state territory~ is highly salient. Muskhelishvili’s thorough studies of historical geography have clearly shown that Georgia is not only a geographical space but a state territory formed by the Georgian nation over the course of historical epochs, marked deeply by political, socio-economic and ethno-cultural processes. Equally valuable is his historical viewpoint on Georgians’ legitimate sovereign rights within the whole territory of modern Georgia. The national territory is as sacred as the national language and, therefore, all infringements upon national territory should be considered as a prejudice against the Georgian nation, according to Professor Muskhelishvili.

ГЕОРГИЙ ЧЕНШВИЛИ

НА СЛУЖБУ РОДИНЫ И НАРОДА

Д. Мухелишвили – 85

Резюме

Статья посвящается 85-летию видного грузинского ученого акад. Давида Левановича Мухелишвили. Его труды по исторической географии, истории и археологии Грузии являются ценным вкладом в грузинскую историографию. Особенную важность приобретает научная концепция Д.Л. Мухелишвили о государственной территории Грузии. На основе всесторонних историко-географических исследований акад. Мухелишвили убедительно продемонстрировал, что Грузия являлась не только географическим пространством, но национально-государственной территорией, созданной грузинским народом в ходе многовекового политического, социально-экономического и этнокультурного процесса. Весьма ценным является и следующий его вывод: с исторически точки зрения, суверенное право грузинского народа на всей территории Грузии является бесспорным, несмотря на то, что здесь обрели вторую родину представители других народов. «Национальная государственная территория такая же святая святых как и национальный язык. Вот почему ... посягательство на национальную территорию следует оценивать на уровне национальной дискриминации» – заключает Давид Мухелишвили.

მონელი არახაშია

თვალსაჩინო ნვლილი „ქართლის ცხოვრების“ შესავლაში

ძველი ქართული მატრიანეების კრებული – „ქართლის ცხოვრება“, რომელსაც ჩვენი წინაპრები მონინებით „წმინდა და პატრიოსან წიგნად“ მოიხსენიებდნენ, ქართული საზოგადოების მუდმივი ყურადღებითა და მზრუნველობით იყო და არის გარემოცული. მას ამ მხრივ საერო ხასიათის წერილობით ქმნილებებს შორის „ვეფხისტყაოსანი“ უწევს ღირსეულ კონკურენციას, რაც სრულებით არაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შუა საუკუნეების ქართული ცივილიზაცია, ნ. ბერძენიშვილის ხატოვანი თქმით, სამ სვეტს – სახარებას, „ვეფხისტყაოსანს“ და „ქართლის ცხოვრებას“ ემყარებოდა.

„ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული კვლევის ორსაუკუნოვანი ისტორია ახალ-ახალი პრობლემების დასმისა და შემდგომი გაფართოების უწყვეტი პროცესია, რასაც ქართველოლოგიის წინსვლის კვალობაზე დასასრული არ უჩანს. თვით „ქართლის ცხოვრება“, მისთვის ნიშანდობლივი მრავალმხრივობით, ქმნის მასთან სხვადასხვა ასპექტით მიახლოების შესაძლებლობას. ამის ნათელი დადასტურებაა სულ ახლახან გამოქვეყნებული სოლიდური მოცულობის წიგნი „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი“ გ. გამყრელიძის, დ. მინდორაშვილის, ზ. ბრაგვაძის, მ. კვაჭაძის ავტორობით და თ. თოდუას, მ. მარგველაშვილის, ვ. შატბერაშვილის, თ. ჭანიშვილის, მ. გაჩეჩილაძის, მ. ოდიშელის თანაავტორობით. ავტორ-შემდგენლებთან ერთად მუშაობდა კონსულტანტების ჯგუფი ბ. ჯორბენაძის, ოთ. ტყეშელაშვილის, თ. ჩიქოვანის, რ. რამიშვილის, ნ. მამაიაშვილის, ნ. პაჭიკაშვილის, დ. კაჭარავას, ჯ. ამირანაშვილის, ვ. სადრაძის, კ. კახიანის, ეკ. ჯანდიერის, ვ. ნიკოლაიშვილის, მ. ხუციშვილის, მ. ჩხატარაშვილის, მ. ძნელაძის, ირ. სოზიაშვილის შემადგენლობით. წიგნი წარმოადგენს ენციკლოპედიური ხასიათის ცნობარს, სადაც „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული გეოგრაფიული პუნქტების (ქალაქები, ციხე-ქალაქები, სოფლები, დაბები, ციხე-სიმაგრეები და ა. შ.) შესახებ თავმოყრილია მეცნიერების სხვადასხვა დარგის მონაცემები.

ტოპოარქეოლოგიური კვლევის ზოგადი ამოცანებიდან და მეთოდოლოგიიდან გამომდინარე ყოველი სალექსიკონო ერთეულის ქვეშ მოცემულია:

1. გეოგრაფიული პუნქტების ძველი და ახალი სახელწოდებები;
2. ჩამონათვალი წერილობითი წყაროებისა, სადაც ეს პუნქტებია მოხსენიებული;
3. პუნქტის და მის ტერიტორიაზე განთავსებული ძეგლის ადგილმდებარეობა.

ბა; 4. მისი აღწერა და არქეოლოგიური არტეფაქტების შესახებ კომენტარი; 5. არქეოლოგიური შესწავლის მოკლე ისტორია და მისი თანამედროვე მდგომარეობა; 6. სრული ბიბლიოგრაფია. ეს მოკლე, სქემატური ჩამონათვალიც კი საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რაოდენ ხანგრძლივი და დიდი მოცულობის მუშაობაა განუხლები ლექსიკონის შესაქმნელად.

„ლექსიკონმა“ სხვა წერილობითი წყაროების მონაცემთა მოხშობით, დღეისათვის შემორჩენილი ან თავის დროზე არსებული კულტურის ძეგლების დეტალური აღწერებით, არქეოლოგიური მონაპოვრების საფუძველზე რეალურ-ისტორიული სურათის აღდგენით, შეიძლება ითქვას, ხელახლა გააცოცხლა „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე მოსენიებული, ზოგჯერ სულ თითოჯერ გაუღებელი ისტორიული ციხე-ქალაქები, სოფლები, ეკლესია-მონასტრები, ციხე-კოშკები, კიდევ უფრო საგნობრივი გახადა და ახალი, მეტად მნიშვნელოვანი ნიუანსებით გაამდიდრა ჩვენი ცოდნა-წარმოდგენები მათ შესახებ.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული გეოგრაფიული პუნქტების ერთი ნაწილი დროთა განმავლობაში გაქრა, ზოგი დაკნინდა ან სხვა პუნქტს შეერწყა და მათი ნაკვალევი მიკროტოპონიმის სახითაა შემოინახა, ზოგმა სახელი იცვალა, რის გამოც მათი ზუსტი ლოკალიზაცია ძალზე რთულია და სპეციალურ, მათ შორის, საველე კვლევა-ძიებას მოითხოვს. „ლექსიკონი“ ამ მიმართულებითაც ფასდაუდებელ სამსახურს უწევს „ქართლის ცხოვრების“ სათანადო ინფორმაციის მეტი სისრულით გახსნას.

წიგნში შეტანილი ტოპონიმების სიტყვანი, მართალია, ძველი და ახალი „ქართლის ცხოვრების“ და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების ტექსტებიდან არის ამოკრებილი, მაგრამ ავტორები მხოლოდ ამ მასალით არ იფარგლებიან და იქვე მოაქვთ შესაბამისი ცნობები ნარატული, დოკუმენტური თუ სტატისტიკური წყაროებიდან, რაც, არსებითად, ამ უკანასკნელთა შესწავლა-დაზუსტებასაც გულისხმობს.

„ქართლის ცხოვრებაში“ დასახელებული ყველა ტოპონიმი, სხვადასხვა მიზეზის გამო, „ლექსიკონში“ ვერ მოხვდა, რაც პირველი გამოცემისათვის ბუნებრივიცაა, მაგრამ რაკი მთავარი საქმე უკვე გაკეთდა, „ლექსიკონს“ მიღმა დარჩენილი ისტორიული პუნქტებიც, მაგ., გულგულა, დღივი, თხოთა, ოშკი, პარხალი, ციხე-გოჯი, ყყონდიდი და ა. შ. იოლად გაიკვლევნ გზას შემდგომ გამოცემებში, მითუმეტეს, როცა განზრახულია წიგნის ელექტრონული ვერსიის შექმნა.

ნაშრომი უაღრესად საყურადღებოა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და არქეოლოგიისათვის, მაგრამ სრულიად განსაკუთრებულია მისი მნიშვნელობა „ქართლის ცხოვრების“ შეწავლის საქმეში, ამაში ლექსიკონის წვლილი იმდენად თვალსაჩინოა, რომ მისი გათვალისწინების გარეშე ძნელია წარმოვიდგინოთ „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა მთელი წყების მეტ-ნაკლებად ამომწურავი ინტერპრეტაცია და, შესაბამისად, მათი სრულფასოვნად ჩართვა ქვეყნის ისტორიული წარსულის მეცნიერული რეკონსტრუქციის პროცესში. ლექსიკონი განუზომლად დიდ სამსახურს გაუწევს „ქართლის ცხოვრების“ ენციკლოპედიის შექმნას, რის აუცილებლობასაც დაჟინებით მოითხოვს კრებულის შესწავლის დღეისათვის მიღწეული მაღალი დონე.



ნიგნს გააჩნია პრაქტიკული გამოყენების პოტენციალიც. მის საფუძველზე შესაძლებელია ქვეყნის ცალკეული ისტორიული ძეგლების შესახებ საინფორმაციო ცნობარების (ბუკლეტების, გზამკვლევების, რუკების) შედგენა ტურისტებისათვის, აგრეთვე ტურისტულ მარშრუტებში ახალი ობიექტების ჩართვა.

GONELI ARAKHAMIA

A SIGNIFICANT CONTRIBUTION IN THE STUDY OF "KARTLIS TSKHOVREBA"

Summary

The code of the old-Georgian Chronicles – "Kartlis Tskhovreba" ("History of Georgia") has attracted constant attention of scientists- kartvelologists for a long time. Great number of studies elucidating the value of this code as a historical source have been published. Recently encyclopedic reference book of solid body "Topoarchaeological dictionary of the History of Georgia" was published. It was created by a collective of authors under the leadership of G. Gamkrelidze. The book gives localization description of geographic points mentioned in the "History of Georgia", description of cultural monuments in those points, history of archaeological study in these areas etc. The book compiled in this respect enriches and makes more substantial our knowledge and understanding on cities and fortresses, villages, churches and monasteries mentioned in the "History of Georgia". Based on this point of view, the book makes a significant contribution to the study of the History of Georgia.

ГОНЕЛИ АРАХАМИА

ВЕСОМЫЙ ВКЛАД В ИЗУЧЕНИИ "КАРТЛИС ЦХОВРЕБА"

Резюме

Свод древнегрузинских летописей – "Картлис цховреба" ("История Грузии") уже давно и постоянно привлекает внимание ученых грузиноведов. Издано множество исследований, в которых освещена ценность этого свода, как исторического источника. Недавно была опубликована книга энциклопедического характера солидного объема – "Топоархеологический словарь Истории Грузии", созданная коллективом авторов под руководством Г. Гамкrelидзе. Книга содержит локализацию упомянутых в "Истории Грузии" географических пунктов, описание имеющихся в них культурных памятников, историю археологического изучения этих пунктов и т.д. Составленная по подобному плану книга делает еще более предметными и обогащает многими важными нюансами наши знания и представления об упомянутых в "Истории Грузии" городах-крепостях, селах, поселках, церквях и монастырях, являющихся немymi участниками различных исторических событий. С этой точки зрения книга вносит весомый вклад в изучение "Истории Грузии".

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი

2006 წელს საქართველოს ხელისუფლებამ ქართული სამეცნიერო საზოგადოებრიობის აზრის, ინტერესების უგულვებელყოფით განახორციელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „რეფორმა“. ამის შედეგად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტიდან ღვანწმოსილი მეცნიერების ძალიან დიდი ნაწილი უსამართლოდ და უბოდიშოდ, მრავალი წლის მუშაობისათვის მადლობაც რომ არ უთხრეს ისე, გარეთ გამოაძევეს და ინსტიტუტში მუშაობა აუკრძალეს.

ასეთ ვითარებაში დაიბადა იდეა, შექმნილიყო არასამთავრობო, დამოუკიდებელი, არაკომერციული სამეცნიერო უჯრედი, რომელიც შეინარჩუნებდა, განამტკიცებდა და განავითარებდა ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბურძენიშვილის, გიორგი მელიქიშვილის და სხვა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების ტრადიციებს, მისცემდა შესაძლებლობას მეცნიერებს გაეგრძელებინათ საყვარელი საქმიანობა.

აკადემიკოსმა დ. მუსხელიშვილმა, პროფესორებმა მ. სამსონაძემ, თ. ცაგარეიშვილმა, კ. კახაძემ და ა. დაუშვილმა 2006 წლის ნოემბერში დააფუძნეს „ისტორიის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი“, რომელმაც ძალიან მალე გააერთიანა 45 ქართველი ისტორიკოსი, ეთნოლოგი, ფილოლოგი.

სამეცნიერო ცენტრი მუდამ მომხრე იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საკუთარ, ტრადიციულ უფლებებში აღდგენის და აკადემიის ხელმძღვანელობის ნდობითა და მხარდაჭერით სარგებლობდა. აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტის თ. გამყრელიძის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის გ. თევზაძის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის რ. მეტრეველის მხარდაჭერითა და თანადგომით სამეცნიერო ცენტრს შესაძლებლობა მიეცა თვეში ერთხელ სამეცნიერო ღონისძიებებისა და შეკრებებისათვის გამოეყენებინა აკადემიის დარბაზები, აქ აწყობდა სამეცნიერო სესიებს, კონფერენციებს, სემინარებს, დისკუსიებს.

მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისია (ხელმძღვანელი აკად. დ. მუსხელიშვილი), მასში გაერთიანდა სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა დიდი ნაწილი და ამიერიდან განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება ერთობლივი ძალისხმევით ტარდება.

ძალიან მალე გამოიკვეთა მუშაობის ძირითადი მიმართულებებიც — საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის პრობლემეტიკაზე ინტენსიური

მუშაობა, სამეცნიერო ცოდნის პროპაგანდა, საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა, საზღვარგარეთულ სამეცნიერო ცენტრებთან და კოლეგებთან ურთიერთობების აღდგენა-განმტკიცება, მონოგრაფიებისა და სამეცნიერო სტატიების ბეჭდვა.

სამეცნიერო ცენტრმა აღადგინა ჟურნალ „ანალების“ სისტემატური პუბლიკაცია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამსახურის გარეშე დარჩენილი მეცნიერებისათვის, რომლებმაც მოიპოვეს თავისი სამეცნიერო პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობა. „ანალების“ პირველი ნომრები ქართველი ისტორიკოსების პირადი შეწირულობის საფუძველზე გამოდიოდა (უკვე დაიბეჭდა 9 ნომერი, მზადდება №10).

სამეცნიერო ცენტრი ხშირად ატარებდა და ატარებს კონფერენციებს (ილია ჭავჭავაძის საბიბლეო თარიღებთან დაკავშირებულ, საქართველო - აშშ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ და ა.შ.), რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ არა მარტო სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლები, არამედ კოლეგები სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციებიდან.

სამეცნიერო ცენტრი ინტენსიურად თანამშრომლობს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრთან, პოლიტოლოგიის ინსტიტუტთან, კავკასიის ზალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან და ერთობლივი საინტერესო ღონისძიებებით გარკვეული წვლილი შეაქვს უმნიშვნელოვანესი პრობლემების მეცნიერული შესწავლის საქმეში.

თავიდანვე სამეცნიერო ცენტრის გამგეობის ყურადღების ცენტრში მოექცა უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობების აღდგენა. ცენტრის თანამშრომლები, აკადემიკოსი ნ. ხაზარაძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლ. მელიქიშვილი, პროფესორები ნ. ვაჩნაძე, გ. ჭეიშვილი, მ. ხომერიკი, გ. ჩიქოვანი და სხვები აქტიურად მონაწილეობენ საზღვარგარეთ ჩატარებულ სამეცნიერო ღონისძიებებში. ჩვენი ცენტრიც, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებულ ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, უკვე 4 საერთაშორისო სიმპოზიუმის თანამონაწილეა. ცენტრის მაღალ სამეცნიერო პოტენციალის აღიარებაა, რომ მისი ჟურნალის „ანალები“ რედაქლეგიაში შედიან ცნობილი საზღვარგარეთელი მეცნიერები: რ. სუნი (აშშ), გ. კოსაკი (გფრ), გ. ლარსონი (შვედეთი). 2012 წელს ცენტრში სტაჟირებას გადიოდა აშშ პენსილვანიის უნივერსიტეტის დოქტორანტი ლ. პიგ-კაიზერი.

ქართველი ისტორიკოსების ძალისხმევა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 2009 წლიდან დაიწყო ინტენსიური თანამშრომლობა „მაგთიკომის“ ხელმძღვანელობასთან, რომელმაც სამეცნიერო ცენტრს დაუფინანსა რამდენიმე საინტერესო პროექტი. ესენია: „საქართველოს ისტორია“ (ოთხტომეული, მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, ავტორები აკადემიკოსები გ. მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, ო. ჯაფარიძე, დ. მუსხელიშვილი და სხვ.), „საქართველოს ისტორია“ (ერთტომეული, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ავტორები დ. მუსხელიშვილი, მ. სამსონაძე, ა. დაუშვილი).

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ სამეცნიერო ცენტრმა გამოსცა სერია ნაშრომებისა, რომლებშიც მოცემულია არგუმენტირე-

ბული კრიტიკა საქართველოს ისტორიის გამყალბებლებისა. გამოქვეყნდა: «Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии»; «Некоторые вопросы истории осетин Шида Картли»; «Некоторые вопросы грузинско-русских взаимоотношений в современной историографии».

არსებობის მცირე ხნის მანძილზე ცენტრის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი ნაშრომები: „საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში“, ნიგნი I და ნიგნი II, ავტორები: დ. მუსხელიშვილი, დ. ბერძენიშვილი, გ. ჭეიშვილი და სხვ. (დამსახურა ნიკო ბერძენიშვილის სახ. პრემია), წყაროთმცოდნეობითი და ისტორიული ძიებანი – ავტორი: ნ. ხაზარაძე, „რუსეთის კოლონიალიზმი საქართველოში“ – ავტორები: ა. ბენდიანიშვილი მ. სამსონაძე, ა. დაუშვილი, ო. ჯანელიძე და სხვ.; „საქართველო, XX საუკუნის 90 წლები, ქრონიკები“, ნიგნი I და ნიგნი II. ავტორ-შემდგენლები: მ. სამსონაძე, გ. მაისურაძე, ა. დაუშვილი, ნ. თომაძე და სხვ.; „სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში“ (ავტორები: ლ. მელიქიშვილი, გ. ჩიქოვანი და სხვ.); „ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა“ (ავტორი: მ. ბურდული); „საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის პირველ ნახევარში“ (ავტორი: გ. ჯამბურია); „ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები“ (ავტორი: ა. ბენდიანიშვილი); ნიკოლოზ გულაბერისძე, საკითხავი და გალობანი სვეტიცხოველისანი (გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. სულავამ), „ლეონტი მროველის თვალსაზრისი კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობაზე“ – ავტორი: გ. მაისურაძე, „საინგილოს ისტორიის ნარკვევები“ – ავტორი: თ. პაპუაშვილი და მრავალი სხვა.

არ შეიძლება სპეციალურად არ აღინიშნოს სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა ინიციატივა – გლობალიზაციისა და ეროვნული ფასეულობების ტოტალური გაუფასურების ვითარებაში სამეცნიერო-პოპულარული ფორმით გაუნიოს პროპაგანდა საქართველოს ისტორიას, ქართულ ენოგრაფიას, კულტურას. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური სერია – „საქართველოს ისტორიის საგანძური“. უკვე გამოქვეყნდა 12 ბროშურა, მათ შორის დ. მუსხელიშვილის „ერის ისტორია“, დ. ბერძენიშვილის „უცხოელების თვალით დანახული საქართველო“, ლ. გაბუნიას „ვაზო, შვილივით ნაზარდო...“, მ. ბურდულის „შვილი სარკეა ქვეყნისა...“, მ. შილაკაძის „ქართული ხალხური საკრავები“ და სხვები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სამეცნიერო ცენტრის ინტენსიური კავშირი და თანამშრომლობა აშშ-ის ცნობილ გამომცემლობასთან „NOVA publishers“-თან, რომლის დირექტორ-გამომცემელი, ჩვენი თანამემამულე ნ. გოცირიძე ხშირად აქვეყნებს ჩვენი ცენტრის მიერ მომზადებულ მონოგრაფიებსა თუ ცალკეულ კრებულებს (მაგალითად: Georgian history: David Muskhelishvili, Mikhael Samsonadze, Aleksander Daushvili; Some Issues of Georgian History in Armenian Historiography).

ცენტრის თანამშრომლებს დღესაც მზად აქვთ არაერთი პროექტი და განსახორციელებელი წინადადება. საჭიროა მხოლოდ სათანადო დაფინანსება და ხორცს შეისხამს მრავალი წლის მანძილზე საგულდაგულოდ ნაფიქრი, აწონილ-დაწონილი და განსჯილი გეგმები.

ალექსანდრე დაუშვილი

...გოგი 1933 წლის 25 მარტს იყო დაბადებული. 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და იმ-თავითვე შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის პიონერთა და მო-სწავლეთა სასახლის კავკასიოლოგიის კაბინეტში. აქ შეიძინა მოზარდებთ-ან ურთიერთობის, მათი განსწავლის, წრთვის გამოცდილება, რომელიც წარმატებით გამოიყენა შემდგომში. სად არ ნახავდით გოგის, სტუდენტებით გარშემორტყმულს, ქართული ისტორიული ძეგლების მოსახილად!... იგი მათ აცნობდა არა მხოლოდ საქართველოს მინა-წყლის კულტურულ მემკვიდრეო-ბას, არამედ ამოგზაურებდა საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში – მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და ტალინში... ახალგაზრდებს აზიარებდა მსოფლიო კულტურას...

პროფესიული ინტერესების გარდა გოგის სხვა ინტერესებიც ჰქონდა: მას იტაცებდა ქართული ხელოვნება, და არამხოლოდ ქართული, ხელოვნე-ბა ზოგადად. ის გამუდმებით ადევნებდა თვალყურს ქართული ფერწერის, თეატრალური თუ სამუსიკო ხელოვნების განვითარების პროცესებს. ხშირად ნახავდით მხატვართა გამოფენებზე, თეატრალურ პრემიერებზე, საოპერო თუ საბალეტო სპექტაკლებზე, გასტროლიორ-მუსიკოს შემსრულებელთა კონცერტებზე.

...არსებობს კიდევ ერთი სფერო საზოგადოებრივი ცხოვრების, აზ-როვნების, ჯანის სიმრთელის, სიბრძნის, ხელოვნებისადმი ნიჭისა და მიდრეკილების გამომხატველი – ფეხბურთი, რომელიც გოგისთვის რალაც ლეთაებრივი იყო. ჩვენ ვერ გავკადნიერდებით იმდენად, რომ შევაფასოთ გოგი როგორც ფეხბურთის გულშემმატკივარი, ვიტყვით ზოგადად, რომ გოგი მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მაყურებელი გახლდათ, არ გამოუ-ტოვებია თბილისის დინამოს კი არა, არც ერთი ქართული კლუბის თამაში, თვალყურს ადევნებდა მათ ვარჯიშს სანვრთნელ ბაზებზე, ბევრს მიმოდიოდა საფეხბურთო მატჩების გამო. საბჭოთა ფეხბურთის ჭეშმარიტი ცოცხალი მემატჩიანე გახლდათ... ამის გამო ჯერ ოპერის, ხოლო შემდგომ ცნობილი ვერის ბალის ფეხბურთის გულშემმატკივართა ერთ-ერთი აღიარებული ლიდე-რიც იყო...

გოგი დემეტრადის კოლორიტული ფიგურა დიდად დააკლდა როგორც მის უსაყვარლეს თბილისს, ისე მთლიანად საქართველოს.

ნათელა ვაჩნაძე
ბაკურ ბაქრაძე

n⁷/5



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა
თბილისი – 2013
რუსთაველის გამზ. 52

